

# მაკროეკონომიკის პრინციპები



# მაკროეკონომიკის პრინციპები

(ლექციების კურსი)

2021

# შ ი ნ ა ა რ ს ი

მაკროეკონომიკის შესავალი .....	3
--------------------------------	---

## ნაწილი 1

### მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

თემა 1. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა.....	11
თემა 2. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა.....	43

## ნაწილი 2

### ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში

თემა 3. წარმოება და ეკონომიკური ზრდა.....	68
თემა 4. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა.....	110

## ნაწილი 3

### ეკონომიკური არასტაბილურობა

თემა 5. უმუშევრობა.....	130
თემა 6. ფულის მასის ზრდა და ინფლაცია.....	155
თემა 7. ეკონომიკური ციკლები.....	181

## ნაწილი 4

### მაკროეკონომიკური მოდელები

თემა 8. კეინზიანური ეკონომიკა.....	208
თემა 9. მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა.....	241

## ნაწილი 5

### ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა

თემა 10. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკის (საერთაშორისო ეკონომიკის) ძირითადი ცნებები.....	264
თემა 11. ფინანსური კრიზისი და სახელმწიფო ვალი.....	286
თემა 12. საერთო სავალუტო ზონები და ევროპული მონეტარული კავშირი.....	320

# შესავალი მაკროეკონომიკაში

მაკროეკონომიკაში რამდენიმე სადავო საკითხი არსებობს. ეკონომისტების ზოგიერთი უთანხმოება გამომდინარეობს ეკონომიკის ისტორიიდან და სხვადასხვა აზროვნების სკოლებიდან, რომლებიც ბოლო 250 წლის მანძილზე ჩამყალიბებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ყველაზე პატივსაცემი ეკონომიკური მოაზროვნე იყო მათი დროის ადამიანი, რომელიც ანალიზებდა და ფიქრობდა ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე არსებულ აქტუალურ პრობლემებზე. ეკონომიკური განვითარება არ შეჩერებულა. მუდმივად იცვლებოდა კონტექსტი, რომელშიც ეს განვითარება მიმდინარეობდა. უაღრესად რთულია და პირობითია სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში ეკონომიკის ფუნქციონირების რეჟიმებს შორის ანალოგიების პოვნა. მაგალითად, 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის მიზეზების ანალიზს და იმ პოლიტიკურ ხედვებს, რომლებიც კრიზისით გამოწვეული ზოგიერთი პრობლემის გამოსასწორებლად არსებობდა, შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მსგავსება 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის მიზეზებსა და შედეგებთან. ამასთან, 2007 წლის მსოფლიო ძალიან განსხვავებული იყო 1929-1930 წლების მსოფლიოსაგან. განსხვავებების გათვალისწინებით, საინტერესოა რამდენადაა შესაძლებელია დიდი დეპრესიისას გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების გამოიყენება კრიზისის მომდევნო პერიოდების ეკონომიკისათვის?

გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა მაკროეკონომიკური საკითხების განსხვავებული და ზოგჯერ კრიტიკული ანალიზი. ეს დაგვეხმარება ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი პიროვნების შესახებ არსებული ინფორმაციის გაანალიზებაში, რომლებმაც მოცემულ დისციპლინაში აზროვნების საზღვრები გაარღვიეს. ეს პროლოგი აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

## ბაზრებამდე არსებული მსოფლიო

ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზება ბაზრების საშუალებით შედარებით ახალი ფენომენია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1,8 მილიონი წლის არსებობდა შემგროვებლობითი და სამონადირეო საქმიანობა, რომლებსაც პირველყოფილი ადამიანი მისდევდა.

დაახლოებით 10 000 წლის წინ ადამიანმა გარეული ცხოველები მოაშინაურა და დაიწყო მიწათმოქმედების განვითარება. ისინი ჯგუფებად ცხოვრობდნენ. სამიწათმოქმედო ტექნიკის განვითარებასთან ერთად, საფუძველი ჩაეყარა ვაჭრობას, რომელიც მიდინარეობდა ერთი პროდუქტის მეორეზე პირდაპირი გაცვლის, ანუ ბარტერის გზით. ვაჭრობა მხოლოდ ნამატის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი და ასეთ გარემოებაში მიწის ნაყოფიერების საკითხი მნიშვნელოვანი გახდა. ალბათ გასაკვირი არცაა, რომ მიწა იქცა მნიშვნელოვან ფაქტორად ტომების მიერ ძალაუფლების მოპოვების საკითხში. მიწით სარგებლობის უფლების მოპოვება გახდა უფრო გვიანდელ პერიოდში ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი, რომელიც ტიპიური იყო ევროპის დიდ ნაწილში ჯერ კიდევ V საუკუნეში.

ფეოდალური წყობა იერარქიული იყო მიწის საკუთრების ან გამოყენების უფლებასთან დაკავშირებით. მიწის გამოყენების განსხვავებული უფლებების სანაცვლოდ, ჯგუფებმა ერთგულება აღუთქვეს მათ სუზერენებს (უმაღლესი ძალაუფლების მქონე პირებს). ურთიერთობები ხშირად ემყარებოდა მომსახურების მიწოდებას მიწის გამოყენების უფლების სანაცვლოდ. ასეთი მომსახურება ხშირად სამხედრო ხასიათის იყო. ფეოდალური საზოგადოება, ძირითადად, პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საზოგადოება იყო, რომელიც მიწაზე საკუთრებას ემყარებოდა. ამასთან, ჯგუფებსა და ქვეყნებს შორის ვაჭრობა სტაბილურად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, ძირითადად ბარტერზე დაყრდნობით. ვაჭრობამ გამოიწვია ცხოვრების დონის ამაღლება და უმეტეს შემთხვევაში იმ ქალაქების განვითარება, რომლებიც მდებარეობდა მსხვილ პორტებსა და მდინარეებთან. ამან განაპირობა მერკანტილიზმის ზრდა, რაც გულისხმობს სახელმწიფოების ეკონომიკურ კეთილდღეობასა და ძალაუფლების მოხვეჭაზე ფოკუსირებას. ამ კეთილდღეობისა და ძალაუფლების ცენტრში ოქრო და ვერცხლი იყო მოქცეული. ვაჭრობა განვითარდა ზოგიერთი ეროვნული იდენტურობის ზრდასთან ერთად და შედეგად, ვაჭრები, ანუ შუამავლები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის გახდნენ მდიდრები და ძლევამოსილები.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა ძირითადად მომგებიანი ჩანდა ქვეყნის ეკონომიკისთვის, ეროვნული სახელმწიფოები არ ერიდებოდნენ იმპორტის შეზღუდვას, რადგან ფიქრობდნენ, რომ იმპორტი აზიანებდა ეროვნულ ინტერესებს. ვაჭრობის წახალისების მიზნით, უფრო მეტად გავრცელდა ხელოსანთა კლანის მონოპოლისტური ძალაუფლება საქონლის წარმოებაზე. ხელოსანთა კლანი არამარტო „გარანტირებული“ მაღალი ხარისხის საქონელს აწარმოებდა, არამედ ხელს უწყობდა ეროვნული ძალაუფლების, სიმდიდრისა და პრესტიჟის მოპოვებას. საქონლით ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, შემცირდა ბარტერის გამოყენების სიხშირე და დაიწყო მონეტარული სისტემის განვითარება, რომელიც უმეტესწილად ეფუძნებოდა ოქროს. რა თქმა უნდა, ოქროს შორ მანძილზე ტრანსპორტირება საშიში და სარისკო იყო, რის შედეგადაც დაიწყო ადრეული საბანკო სისტემების განვითარება, რათა გარანტირებული ყოფილიყო სავაჭრო ოპერაციის განხორციელება და შექმნილიყო პირობები მოვაჭრეებს შორის სახსრების უსაფრთხო და დაცულ გადაადგილებისათვის.

## კლასიკური ეკონომიკური თეორია

მერკანტილისტური ეპოქის შუა პერიოდში ადამ სმიტი ცდილობდა იმჟამად განვითარებული ეკონომიკური სისტემის გაანალიზებასა და ახსნას, რომელიც კომპლექსურობის მზარდ ტენდენციას ავლენდა. ადამ სმიტის „უხილავი ხელის“ თეორიის უკანა ფონზე შესაძლებელია დავინახოთ ნაციონალური სახელმწიფოს მნიშვნელოვნების იდეა. ინდივიდებს შეუძლიათ იმოქმედონ საკუთარი კეთილდღეობის მაქსიმიზირების ხელშესაწყობად, მაგრამ, ამავე დროს, მათი მოქმედებები ასევე ხელს უწყობს საზოგადოების (ან ეროვნული სახელმწიფოს) კეთილდღეობის ზრდას.

სმიტმა და მისმა თანამედროვეებმა იდენტიფიცირება გაუკეთეს საბაზრო სისტემას, რომელიც საფუძვლად უდევს ბაკალავრიატის საფეხურის ეკონომიკის სწავლებას. საბაზრო სისტემა აერთიანებს მყიდველებსა და გამყიდველებს, ფასი მოქმედებს როგორც სტიმული ორივე მათგანისათვის და გავლენას ახდენს მათ შესაბამის ქცევაზე. საბაზრო სისტემა ეფუძნება ინდივიდთა ქცევას, რომლებიც მოქმედებდნენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ანალიზს ექვემდებარებოდა, თუ რატომ იქცეოდნენ ინდივიდები ისე, როგორც იქცეოდნენ და რა შედეგების მომტანი იყო მათი გადაწყვეტილებები. ეკონომიკური აქტორების ქცევის გააზრების მიზნით საჭირო გახდა გარკვეული დაშვებების გაკეთება და ამ მიზნით შემუშავდა მოდელები. დროთა განმავლობაში ეს მოდელები უფრო და უფრო იხვეწებოდა, რადგან მუდმივად მუშავდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ანალიზის ტექნიკა და კვლევის მეთოდოლოგია. ბაზრის ანალიზის საფუძვლები, რომელიც შემუშავდა მე -18 -19 საუკუნეებში, მოიცავს დიდად პატივცემული მოაზროვნეების, მათ შორის ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს საქმიანობას. შესაძლებელია კლასიკური ეკონომიკის საერთო შეხედულებებისა და მიდგომების შეჯამება შემდეგნაირად:

- 1) ადამიანები ძირითადად დაინტერესებულნი არიან საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობით და მაქსიმალურად ცდილობენ თავიანთი ინდივიდუალური ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდას.
- 2) ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შესაძლებელია ინდივიდებისა და საზოგადოებების კეთილდღეობის მაქსიმუმამდე გაზრდა. ფასები ეკონომიკური აქტიურობის მასტიმულირებელი მთავარი მექანიზმია და მათი მეშვეობით ხდება რესურსების რაციონალური განაწილება. ადამ სმიტი ამ პროცესს ბაზრის „უხილავი ხელის“ მოქმედებას უწოდებდა.
- 3) საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში მთავრობის როლის მინიმუმამდე შეცირება უზრუნველყოფს ამ სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას. სახელმწიფოს მთავარი მოვალეობებია კანონის და საკუთრების უფლების დაცვა, სამართლიანობისა და თავდაცვის უზრუნველყოფა.

ეს რეზიუმე მნიშვნელოვანია, რადგან იგი შეიცავს იმ ეკონომისტების ფუნდამენტურ შეხედულებებს, რომლებიც საბაზრო სისტემას მიიჩნევენ შეზღუდული რესურსების განაწილების ყველაზე ეფექტიან საშუალებად. ეს არა მხოლოდ მიკროეკონომიკის, არამედ მაკროეკონომიკის საფუძვლების გაგებაშიც გვხვმარება. ეკონომისტები, რომელთაც სჯერათ თავისუფალი ბაზრების ეფექტიანობა, უმეტესად მხარს უჭერენ ისეთ ეკონომიკურ

პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება მიკრო და მაკრო დონეებზე საბაზრო გადაწყვეტილებების მიღებას.

## ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია და მარჟინალიზმი

ეკონომიკური მეცნიერების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ფართო გამოყენება ჰპოვა ეკონომიკურ კვლევებში მათემატიკური მეთოდების გამოყენებამ, რომელიც გვებმარება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების გაგებაში, ახსნასა და პროგნოზირებაში.

ეს მეთოდი განსაკუთრებით გავრცელდა ზღვრული ანალიზის განვითარებასთან ერთად, რაც ხელს უწყობდა გაგებას - როგორ ახდენდნენ ზღვრულ ანალიზს ეკონომიკური აქტორები. მათემატიკა გამოიყენებოდა ქცევის მტკიცებულების უზრუნველსაყოფად. ის ემყარებოდა მრავალ დაშვებას, კერძოდ,

ეკონომიკური სუბიექტები რაციონალურად იქცევიან და ცდილობენ მაქსიმალურად შეამცირონ შეზღუდვები.

ეკონომიკური ანალიზის შეზღუდული ოპტიმიზაციის ტექნიკის განვითარება უკავშირდება უილიამ ჯევონსს. ლეონ ვალრასის, კარლ მენგერის, ვილფრედო პარეტოს და კნუტ ვიქსელის ანალიზის მეთოდები გამოიყენეს სხვა ცნობილმა ეკონომისტებმა, მათ შორის ალფრედ მარშალმა, რომელმაც საფუძველი დაუდო მიწოდების ეკონომიკას.

ანტუან ავგუსტინ კურნოტისა და ფრენსის ისიდრო ეჯუორტის მიერ გამოყენებული მოდელები ვალრასის მოდელებთან ერთად აყალიბებენ ზოგადი წონასწორობის თეორიას, რომელსაც თანამედროვე ნეოკლასიკური თეორია ემყარება.

ნეოკლასიკოსთა რწმენა თავისუფალი ბაზრის ძლევამოსილებისადმი, მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების ფართო გამოყენებასთან ერთად, მრავალი ათეული წლის განმავლობაში დომინირებდა ეკონომიკურ თეორიაში.

## მარქსისტული ეკონომიკური თეორია

ეკონომიკური სისტემების მარქსისტული ანალიზი ემყარება იდეას, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში დომინირებს კლასობრივი ბრძოლები და ერთი კლასის ექსპლუატაცია მეორის მიერ. ამასთანავე, კაპიტალიზმამდელ საზოგადოებებში არსებობდა ე.წ. „გარეეკონომიკური“ იძულება, რომელიც გულისხმობს, რომ მონათმფლობელის მიერ მონის და ფეოდალის მიერ ყმა გლეხის ექსპლუატაციას არ გააჩნია ეკონომიკური საფუძველი და ემყარება პირად ძალაუფლებას. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მარქსის აზრით, იცვლება ექსპლუატაციის საფუძველი და გარეეკონომიკურ იძულებას ცვლის ეკონომიკური იძულება - უშუალო მწარმოებლები (დაქირავებული მუშები), მოკლებულნი არიან რა წარმოების საშუალებებზე საკუთრებას, იძულებულნი ხდებიან თავიანთი სამუშაო ძალა მიჰყიდონ წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებს - კაპიტალისტებს.

კ. მარქსმა გამოიყენა ა. სმიტის, დ. რიკარდოს მიერ შექმნილი „შრომითი ღირებულების თეორია“ და მასზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა „ზედმეტი ღირებულების თეორია“. ამ უკანასკნელის არსი მდგომარეობს შემდეგში: კაპიტალისტები სარგებლობენ იმით, რომ



ფლობენ წარმოების საშუალებებს, რის საფუძველზეც უსასყიდლოდ ითვისებენ დაქირავებული მუშების მიერ შექმნილი ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს.

ხედმეტი ღირებულების თეორიიდან კ. მარქსმა გამოიყვანა კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის კრიზისების თეორია. ანტაგონისტური დაპირისპირება შრომასა და კაპიტალს შორის განაპირობებს დაქირავებული მუშების ხელფასების შემცირებას კაპიტალისტთა მოგების გაზრდის მიზნით. ვინაიდან, მარქსის აზრით, ერთობლივი მოთხოვნის ჩამოყალიბებაში მოხმარების საგნებზე მოთხოვნას აქვს გადამწყვეტი როლი, რომლის დიდ ნაწილს დაქირავებული მუშების მოთხოვნა შეადგენს, წარმოიშობა ქრონიკული წინააღმდეგობა ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. გადახდისუნარიანი მოთხოვნის ჩამორჩენა მიწოდებაზე არის, მარქსის ტერმინოლოგიით, ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნის ობიექტური საფუძველი. მარქსი ვარაუდობდა, რომ ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შეუძლებელი იყო კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩოებში. ამიტომ აუცილებელი იყო კერძო საკუთრებაზე დამყარებული ბურჟუაზიული სისტემის საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული კომუნისტური (სოციალისტური) სისტემით შეცვლა.

## ავსტრიული სკოლა (მარჟინალიზმი)

ეკონომიკური თეორიის ავსტრიული სკოლის წარმომადგენლები არიან მენგერი, ჯეკონსი, ვალრასი და სხვ. მენგერმა 1871 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ეკონომიკის პრინციპები“, რომელშიაც ჩამოაყალიბა ეკონომიკური კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა ინდივიდუალური უპირატესობები და ზღვრული ანალიზი. ეს მეთოდები არ გაიზიარეს იმ პერიოდის გერმანიის სხვა ეკონომისტებმა, განსაკუთრებით კი - უილიამ როშერმა, რომელიც იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი 1848 წლიდან გარდაცვალებამდე (1894 წელი). თუმცა, დღეს არავინ უარყოფს იმას, რომ „მარჟინალიზმის თეორიამ“ (ავსტრიულმა სკოლამ) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური აზროვნების განვითარებაში.

1930-იანი წლებიდან ავსტრიული სკოლა, ვენის უნივერსიტეტის გარდა, ასოცირდება სხვა უნივერსიტეტებთანაც, მაგალითად, ჩიკაგოსთან. კერძოდ, ლუდვიგ ფონ მიზესი, ფრიდრიხ ჰაიეკი (ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში 1974 წელს, რომელიც ასწავლიდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში) იყვნენ ავსტრიული სკოლის ინტელექტუალური მემკვიდრეობის თვალსაჩინო გამგრძელებლები.

ავსტრიული სკოლის ძირითადი ხედვა ეფუძნება თავისუფალი ბაზრების, კერძო საკუთრების, საკუთრების უფლებებისა და ინდივიდუალური არჩევანის პრიორიტეტს გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ავსტრიული სკოლის ეკონომისტები აცნობიერებენ, რომ საბოლოო ჯამში მხოლოდ ადამიანები აკეთებენ არჩევანს, რომლის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია გაცვლისა და მოლაპარაკებების პროცესზე და ურთიერთობებზე ფოკუსირება. მათივე აზრით, ეკონომიკისთვის, რომელიც სოციალური მეცნიერებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, პრიორიტეტულია ეკონომიკური მოვლენების და პროცესების ანალიზი და არა მათი პროგნოზირება.

ამრიგად, ეკონომიკაში სუბიექტური შეხედულებების როლის აღიარება მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების გაანალიზებაში, როგორცაა სარგებლიანობა და ალტერნატიული დანახარჯები.

ავსტრიული სკოლის ტრადიციის მიმდევარმა მოაზროვნეებმა დიდი წვლილი შეიტანეს მაკროეკონომიკაში, განსაკუთრებით მონეტარული თეორიის სფეროში. ავსტრიელი ეკონომისტები ცნობილნი არიან თავისუფალი საბანკო სისტემისა და ფულის დენაციონალიზაციის იდეით. ისინი მიიჩნევენ, რომ თავისუფალი საბანკო სისტემა გახდებოდა ცენტრალური ბანკების გაუქმების საფუძველი. ბანკები კონკურენციას გაუწევდნენ ერთმანეთს თავისუფალ ბაზარზე, თვითონ დაადგენდნენ საპროცენტო განაკვეთებს და გამოსცემდნენ საკუთარ ვალუტას.

## კეინზიანიზმი

კეინზიანიური ეკონომიკა ასოცირდება ჯონ მეინარდ კეინზის (1883–1946) ნაშრომებთან. კეინზი სწავლობდა ალფრედ მარშალისა და არტურ პიგუს დროს კემბრიჯში 1900-იანი წლების დასაწყისში. მისმა ყველაზე ცნობილმა ნაშრომმა, „*დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია*“, რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა, უზარმაზარი გავლენა მოახდინა ეკონომისტების მომდევნო თაობებზე. კეინზიანიური მოძღვრება დაუპირისპირდა ნეოკლასიკური და ავსტრიული სკოლის ფუძემდებლურ პრინციპებს.

კეინზის ვარაუდით, არ არსებობდა არანაირი საფუძველი, რომ შრომის ბაზრები უნდა გათავისუფლებულიყო სახელმწიფოს ჩარევისგან. იგი მიიჩნევდა, რომ უმუშევრობის მაღალი დონე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ეკონომიკაში არსებული ერთობლივი მოთხოვნის დეფიციტით. მოთხოვნის ხარვეზების გამოსწორება შესაძლებელი იყო საგადასახადო ინსტრუმენტების გამოყენებით მთავრობის მიერ ეკონომიკაში ჩარევით, ერთობლივი მოთხოვნის გასაზრდელად (ან მის შესამცირებლად, სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდებში).

კეინზის იდეები განავითარეს სხვა ცნობილმა ეკონომისტებმა, მათ შორის ჯოან რობინსონმა, ჯონ ჰიკსმა, ჯეიმს ტობინმა, არტურ ოკუნმა, რობერტ სოლოუმ და პოლ სამუელსონმა.

კეინზის გარდაცვალების შემდეგ მისი თეორია სამი მიმართულებით განვითარდა. ესენია: **ახალი კეინზიანიზმი** (რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მოცემული სახელმძღვანელოს თანაავტორი, პროფ. გრ. მენქიუ - რედ. შენიშვნა), **პოსტკეინზიანიზმი** და **ნეოკლასიკური სინთეზი**.

მრავალმა ეკონომიკურად განვითარებულმა ქვეყანამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოთხოვნაზე ორიენტირებული კეინზიანიური მოდელი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველად გამოიყენა და ამ გზით ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს მიაღწია.

1970-იანი წლების დასაწყისში კეინზიანიური თეორია კრიზისში ჩავარდა. ბევრი ეკონომისტი ამტკიცებდა, რომ განვითარებულ ქვეყნებში წარმოშობილი ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს თეორია იყო, ვინაიდან იგი ქადაგებდა ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს გადაჭარბებულ ჩარევას და ზღუდავდა ეკონომიკური სუბიექტების კერძო ინიციატივას. კეინზიანიური თეორიის კრიტიკოსების აზრით, ადგილი ჰქონდა კონკურენტუნარიანობის შემცირებას, ადამიანების არაჯანსაღ და

გადაჭარბებულ დამოკიდებულებას სახელმწიფოზე, რაც კეინზიანური თეორიიდან მომდინარეობდა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, რიგი ეკონომისტების მიერ ფულადი და მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენების გზით, სტაგფლაციის (იგულისხმება წარმოების მოცულობის შემცირების პირობებში ინფლაციის ზრდა) პრობლემის მოგვარებამ გამოიწვია აქცენტის გადატანა მოთხოვნის მართვის პოლიტიკიდან ფულად პოლიტიკაზე. აღნიშნულმა კი განაპირობა კეინზიანური თეორიის მონეტარიზმით ჩანაცვლება. თუმცა, 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა კვლავ გამოიწვია კეინზის იდეებისადმი ინტერესის ზრდა.

## მონეტარიზმი

მონეტარიზმი მრავალ შეხედულებასთან ასოცირდება, თუმცა მისი მთავარი დებულებაა, რომ გრძელვადიან პერიოდში ფულის მასის ზრდა გავლენას არ ახდენს რეალურ ცვლადებზე (ე.წ. მონეტარული ნეიტრალიტეტი), მაგრამ მოკლევადიან პერიოდში ეს ნეიტრალიტეტი შეიძლება საერთოდ არ არსებობდეს.

მონეტარული ნეიტრალიტეტი გულისხმობს, რომ ფულის მასის ზრდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ზეგავლენას ახდენს ნომინალურ მაჩვენებლებზე, მაგალითად, ფასებზე, ხელფასებზე, ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებზე და ა.შ. და არა რეალურ ცვლადებზე, როგორცაა გამოშვება, მოხმარება და ფარდობითი ფასები.

მონეტარისტული სკოლის ერთ-ერთი წამყვანი ეკონომისტი იყო მილტონ ფრიდმანი, ეკონომიკის ნობელის პრემიის ლაურეატი 1976 წელს. ფრიდმანმა ექვეყნა დააყენა კეინზის იდეების ძირითადი ასპექტები, როდესაც მან 1957 წელს გამოაქვეყნა „*მოხმარების ფუნქციის თეორია*“; სადაც ჩამოყალიბა მუდმივი შემოსავლის ჰიპოთეზის იდეა. სხვა ნაშრომებში მან შეისწავლა ფასების როლი ინდივიდუალურ ბაზრებზე. ფრიდმანის მთავარი დამსახურებაა ფულის რაოდენობრივი თეორიის საფუძველზე ახალი თეორიული მიმართულების - „მონეტარიზმის“ ჩამოყალიბება. მასვე ეკუთვნის ცნობილი ფრაზა „ინფლაცია თითქმის და ყველგან არის მონეტარული ფენომენი“.

იმის გამო, რომ 1970-იან წლებში რიგ განვითარებულ ეკონომიკურ ქვეყნებში ინფლაციის ზრდის ტემპმა საგანგაშო მაჩვენებელს მიაღწია, კეინზის მოთხოვნის მართვის პოლიტიკა ფრიდმანის ფულის მართვის (კონტროლის) პოლიტიკამ ჩანაცვლა, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა მაღალი ინფლაციის დასაძლევად.

გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ს მთავრობებმა დააანონსეს ფულის მიწოდების ზრდის მიზნობრივი მაჩვენებლები 1980-იანი წლების თითქმის მთლიანი პერიოდისთვის. მაგრამ, საბოლოოდ, ამ მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდა და აღნიშნულ პოლიტიკაზე უარი ითქვა ჯერ მიზნობრივი გაცვლითი კურსის, შემდეგ კი, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის პოლიტიკის სასარგებლოდ.

## ფემინისტური ეკონომიკა

ამ პროლოგში ალბათ შენიშნეთ, რომ ყველა ხსენებული ეკონომისტი კაცი იყო. მართლაც, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის 47 ლაურეატს შორის, 1969 წლიდან

მხოლოდ ერთი იყო ქალი- ელინორ ოლსტრომი, რომელიც 2009 წელს ნობელის პრემიის კომიტეტმა დააჯილდოვა. .

ეკონომეტრიკულ და მათემატიკურ მეთოდებზე ფოკუსირებით და ბევრ უნივერსიტეტში ნეოკლასიკური კვალიფიკაციის დაუფლებით, ფემინისტი ეკონომისტები სვამენ კითხვას, გამოიყენება თუ არა სწორი შეფასებები და მიდგომები ძირითადი ეკონომიკური საკითხების გასაანალიზებლად. გარდა ამისა, ისინი ვარაუდობენ, რომ კვლევის არსებული მეთოდებიდან გამომდინარე გაკეთებულმა დასკვნებმა შეიძლება უგულებელყოს ქალთა როლი საზოგადოებაში, გააკეთოს დაშვებები, რომლებიც არ შეიცავს საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებს და ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის ზრდას.

განსაკუთრებული სფერო, სადაც ფემინისტი ეკონომისტები აქტიური მკვლევარები არიან, შრომის ბაზრების ანალიზი და ქვეყნის სიმდიდრისა და კეთილდღეობის გაანგარიშების მეთოდების კვლევაა. იმ როლის უგულებელყოფა, რასაც ქალები საოჯახო საქმიანობაში ასრულებენ და ის სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი, რასაც ისინი ქმნიან არაანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებით, მათი აზრით, სიმდიდრის შექმნისა და კეთილდღეობის ანალიზისას არასრული და არაზუსტი შედეგების მიღების საფუძველი ხდება. გენდერული უთანასწორობა სამუშაო ადგილზე გამოიხატება არა მხოლოდ იმით, რომ ქალებს ხშირად უხდიათ მამაკაცისგან განსხვავებულ ხელფასს ერთი და იგივე სამუშაოსთვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონმდებლობით აკრძალულია ბევრ ქვეყანაში, არამედ - ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობით საზოგადოების ყველა სეგმენტში, რაც ფემინისტების აზრით, არა მხოლოდ უსამართლო და უთანასწოროა, არამედ ზიანს აყენებს ქვეყნის პოტენციურ ზრდას.

## თემა 1. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა

ეკონომიკა ძირითადად იყოფა ორ ნაწილად - მიკროეკონომიკად და მაკროეკონომიკად. მიკროეკონომიკა შეისწავლის როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს ინდივიდები, საოჯახო მეურნეობები და ფირმები და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ბაზარებზე. მაკროეკონომიკა წარმოადგენს მთლიანი ეკონომიკის კვლევას. მაკროეკონომიკის მიზანია ახსნას ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც ერთდროულად აისახება ბევრ საოჯახო მეურნეობაზე, ფირმაზე და ბაზარზე. ეკონომისტები აანალიზებენ მთლიან ეკონომიკას, რადგან იგი წარმოადგენს ზოგადი კეთილდღეობის საფუძველს. სუბიექტური კეთილდღეობით ადამიანები აფასებენ • საკუთარ ბედნიერებას. ობიექტური კეთილდღეობა იზომება ისეთი ინდიკატორებით, როგორცაა განათლების ხელმისაწვდომობა, ცხოვრების დონის მაჩვენებლები, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ა.შ. ბევრი მაკროეკონომიკური ცვლადი, რომელსაც ეკონომისტები სწავლობენ, განუყოფლად არის დაკავშირებული კეთილდღეობის ამ განმარტებებთან. გონივრული შემოსავლის არსებობა ნიშნავს, რომ ადამიანებს საშუალება აქვთ შეიძინონ პირველადი მოხმარების და ფუფუნების საგნები, რაც ხელს უწყობს სუბიექტური კეთილდღეობის ამაღლებას. ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი ეროვნული შემოსავლები, შეუძლიათ უზრუნველყონ უკეთესი ხარისხის განათლება, სამუშაო ძალის დაცვის პროგრამები, საცხოვრებლის უფრო მაღალი ხარისხი, უკეთესი ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და ა.შ., რაც გავლენას ახდენს ობიექტურ კეთილდღეობაზე.

ამ თავში განხილულია კეთილდღეობის გაზომვის გზები. ეკონომიკის კეთილდღეობის გაზომვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზაა მთლიანი სამამულო პროდუქტის, ან უბრალოდ მსპ-ს გააგნარიშება, რომელიც იზომება ქვეყნის მთლიანი შემოსავლის ან მთლიანი ხარჯების საშუალებით. მსპ ყველაზე კარგად შესწავლილი და ფართოდ გავრცელებული მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, მაგრამ მასაც ჰყავს თავისი კრიტიკოსები და, ამასთან, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების გზასაც აქვს გარკვეული შეზღუდვები. ის კეთილდღეობის კარგ საზომად ითვლება, თუმცა კეთილდღეობის გაზომვის მცდელობისას უნდა გავითვალისწინოთ მისი ნაკლოვანებებიც. მაგალითად, მსპ-ში აისახება მხოლოდ მატერიალური შემოსავლები, რაც ნიშნავს, რომ უფრო მაღალი ეროვნული შემოსავალი უტოლდება შესაძლებლობას შეიძინოს მეტი საქონელი და მომსახურება. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს კეთილდღეობის ზრდას. ადვილი მისახვედრია, რომ შემოსავლების ასეთი მეთოდით გაანგარიშება შეიძლება არ ითვალისწინებდეს იმ ფაქტორებს, რომლებიც ასევე ხელს უწყობენ სუბიექტური და ობიექტური კეთილდღეობის ზრდას. ზოგიერთმა ეკონომისტმა აღნიშნა, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში მსპ-ს მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად,

ბევრ განვითარებულ ქვეყანაში სუბიექტური კეთილდღეობა თითქმის არ გაზრდილა. ამას შეიძლება მრავალი მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ის, რაც შეიძლება გამოიყენონ ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა, როგორც ჯანმრთელობისა და სიმდიდრის საზომი, ქვეყნის მოქალაქეებისთვის არ არის ადეკვატურად აღქმადი. ჩვენ დავიწყებთ კეთილდღეობის საზომების შესწავლას ეროვნული შემოსავლის გამოთვლით. ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების მიუხედავად, ეს არის ერთ – ერთი საუკეთესო გზა, რომლითაც კეთილდღეობის გაზომვა ხორციელდება.

## ეკონომიკის შემოსავალი და ხარჯები

შემოსავლები კეთილდღეობის საზომია, რადგან ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას პირველადი მოთხოვნილებისა და ფუფუნების საგნების შესაძენად. ჩვენ განვსაზღვრეთ ცხოვრების დონე, როგორც საქონლისა და მომსახურების ოდენობა, რომლის შეძენა შეუძლია ქვეყნის მოსახლეობას. ამ განმარტების თანახმად, უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანებს ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტები აქვთ - სარგებლობენ უკეთესი საცხოვრებელი პირობებით, უკეთესი ჯანდაცვით, კომფორტული მანქანებით, უფრო მდიდრული არდადეგებით და ა.შ. იგივე მსჯელობა შეიძლება გამოყენებული იქნას ქვეყნის საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის გასაანალიზებლად. თუ გვანტერესებს როგორ მუშაობს ეკონომიკა, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ მთლიანი შემოსავალი, რომელიც ყველა ეკონომიკური სუბიექტის შემოსავლის ჯამია.

მსპ ერთდროულად ზომავს ეკონომიკაში ყველა შემოსავლის მთლიან მოცულობას და საქონლისა და მომსახურების გამომუშავებაზე გაწეულ მთლიან ხარჯებს. ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთის ტოლია, რადგან ყველა ტრანზაქციას ორი მონაწილე ჰყავს: მყიდველი და გამყიდველი. მყიდველის მიერ დახარჯული თითოეული ევრო გამყიდველისთვის შემოსავალს შეადგენს. მაგალითად, თუ მაიკლი ასტრიდს 20 ევროს უხდის მის სახლში ფანჯრების გასაწმენდად, ასტრიდი არის მომსახურების გამყიდველი და მაიკლი არის მყიდველი. ასტრიდის შემოსავალი შეადგენს 20 ევროს, მაიკლის დანახარჯიც არის - 20 ევრო. ამრიგად, გარიგება თანაბრად უწყობს ხელს ეკონომიკის მთლიანი შემოსავლისა და მთლიანი დანახარჯების ზრდას. მსპ, ნებისმიერ შემთხვევაში, მთლიანი შემოსავლით გავზომავთ მას თუ მთლიანი დანახარჯებით, გაიზრდება 20 ევროთი.

შემოსავლისა და დანახარჯების ტოლობა ჩანს წრიული დინების დიაგრამაზე (ნახაზი 1.1.). ეს არის მოდელი, რომელშიც აღწერილია ყველა გარიგება შინამეურნეობებსა და ფირმებს შორის მარტივი ეკონომიკის პირობებში. ამ ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების ბაზარი არის ის ადგილი, სადაც შინამეურნეობები და ფირმები ურთიერთქმედებენ იმ კომპანიების საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების წარმოებას, რომელსაც ყიდულობენ შინამეურნეობები. საოჯახო მეურნეობების მიერ გაწეული დანახარჯები ამ საქონელზე და მომსახურებაზე წარმოადგენს ფირმების შემოსავალს. ისინი ასევე ურთიერთქმედებენ წარმოების ფაქტორთა ბაზრებზე. ფირმები საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებულ ფულს იყენებენ საწარმოო ფაქტორების შესაძენად (მიწა, შრომა, კაპიტალი და სამეწარმეო უნარი) იმ ოჯახებისგან, რომლებიც ამ ფაქტორების გაყიდვას ახორციელებენ. საოჯახო მეურნეობების მიერ მიღებული შემოსავალი (ხელფასი, ქირა, პროცენტი და მოგება) გამოიყენება საქონლისა და

მომსახურების შესაძენად. ამ ეკონომიკაში ფული მიედინება საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებში და შემდეგ ბრუნდება ისევ საოჯახო მეურნეობებში.

საოჯახო მეურნეობების მიერ მიღებული შემოსავალი მთლიანად არ იხარჯება საქონლისა და მომსახურების შესაძენად. ამ შემოსავლების ნაწილი იხარჯება გადასახადებზე, რომელსაც მოსახლეობა მთავრობას უხდის. გარკვეულ შემოსავალი კი დანაზოგის სახით ფინანსურ ინსტიტუტებში ხვდება საპენსიო დანაზოგის, დაზღვევისა და საბანკო ანგარიშებზე შენატანის სახით. შინამეურნეობების მიერ საქონელსა და მომსახურებაზე დახარჯული შემოსავლის ნაწილი ტოვებს ეკონომიკას იმპორტის სახით. ანალოგიურად, ფირმები მიღებული შემოსავლის ნაწილს უხდიან მთავრობას ბიზნესზე დაკისრებული გადასახადების სახით. გადასახადები (T), დაზოგვა (S) და იმპორტზე გაწეულ დანახარჯები (M) წრიული ნაკადის სახით მოძრაობენ ეკონომიკაში.

მთავრობები იყენებენ საგადასახადო შემოსავლებს და ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებულ სესხებს, რათა განახორციელონ სამთავრობო სერვისები, ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, განათლებაში, ჯანდაცვაში, თავდაცვასა და ა.შ. ეს ინვესტიცია ბრუნდება საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. ფირმები იყენებენ სასესხო კაპიტალის ბაზარზე აღებულ სესხებს ახალი ქარხნის, აღჭურვილობის და გაფართოების ხარჯების დასაფარად. მათ მიერ ინვესტიციისთვის გამოყენებული თანხა ისევ ბრუნდება საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. ფირმები ასევე ყიდნიან ზოგიერთ საქონელს და მომსახურებას საზღვარგარეთ და ამიტომ ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი ისევ ეკონომიკურ ბრუნვაში ხვდება. ფინანსური ინსტიტუტები ასევე ასესხებენ ფულს საზღვარგარეთ და უცხოური ფირმები ფულს დებენ ქვეყანაში, რომელიც აღირიცხება როგორც კაპიტალის წმინდა გადინება (NCO), სამთავრობო შესყიდვები (G), ინვესტიციები (I) და ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი (X) მოიხსენიება როგორც ცირკულარული ნაკადის შემოდინებები.

თეორიულად, მსპ-ს გაზომვა შემოსავლის ან დანახარჯების საშუალებით ერთი და იგივე შედეგს იძლევა. ეროვნული შემოსავალი, ეროვნული დანახარჯები და მსპ გამოიყენება სინონიმებად. მსპ-ს გასაანგარიშებლად საჭიროა ეკონომიკაში არსებული დანახარჯების შეკრება - მოხმარება (C), ინვესტიციები (I), სახელმწიფო შესყიდვები (G) და სხვაობა იმპორტზე დახარჯულ თანხებს (MI) და ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებს შორის (X) (წმინდა ექსპორტი, (X - M) ან NX). წარმოგიდგინთ მსპ-ს გასაანგარიშებელ ფორმულას:


$$მსპ = C + I + G + NX$$

## ნახაზი 1.1

### მაკროეკონომიკური წრებრუნვის დიაგრამა

საოჯახო მეურნეობები ყიდულობენ საქონელსა და მომსახურებას ფირმებისგან, ხოლო ფირმები იყენებენ გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს მშრომელთა ხელფასის, მიწის მესაკუთრეთა ქიზის, კაპიტალის პროცენტისა და ფირმების მფლობელებისთვის მოგების გადასახდელად. მსპ

უდრის ოჯახების მიერ დახარჯულ მთლიან თანხას საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. ის ასევე უდრის მთლიან ხელფასს, ქირას, პროცენტს და მოგებას, რასაც ფირმები იხდიან ბაზრებზე საწარმოო ფაქტორების შესაძენად. ცირკულარული ნაკადის გადინებები მოიცავს გადასახადებს, დანაზოგებს და იმპორტზე გაწეულ დანახარჯებს, ხოლო ცირკულარული ნაკადის შემოდინებებში შედის მთავრობის ხარჯები, ინვესტიციები და ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები.



**შემოწმებისთვის:** რომელი ორი სიდიდე იზომება მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალებით? როგორაა შესაძლებელი ერთი ეკონომიკური მაჩვენებლით ერთდროულად ორი სიდიდის გაზომვა?

## მთლიანი სამამულო პროდუქტის გაზომვა



**მთლიანი სამამულო პროდუქტი (მსპ) -** ყველა იმ საბოლოო საქონლისა თუ მომსახურების საბაზრო ღირებულებაა, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში.

განვიხილოთ ამ განმარტების თითოეული ნაწილი.

### „საბაზრო ღირებულება“

მსპ აერთიანებს სხვადასხვა სახის პროდუქტებს ეკონომიკური საქმიანობის ღირებულების ერთ საზომში, რისთვისაც ის იყენებს საბაზრო ფასებს. იმის გამო, რომ საბაზრო ფასები ზომავს იმ თანხის ოდენობას, რომელიც ხალხს სურს გადაიხადოს სხვადასხვა საქონელში, ისინი ასახავენ ამ საქონლის ღირებულებას. თუ ვაშლის ფასი ორჯერ მეტია ფორთოხლის ფასზე, მაშინ ვაშლის წილი მსპ-ში ორჯერ მეტი იქნება, ვიდრე ფორთოხლის.

### „...ყველა ის...“

მსპ მოიცავს ეკონომიკაში წარმოებულ და ბაზრებზე გაყიდულ ყველა პროდუქტს. მსპ ზომავს არა მხოლოდ ვაშლისა და ფორთოხლის, არამედ მსხლისა და გრეიფრუტის, წიგნების და ფილმების საბაზრო ღირებულებას, თმის შეჭრას, ჯანდაცვის ღირებულებას და ა.შ.

მსპ ასევე მოიცავს საბინაო მომსახურების საბაზრო ღირებულებას, რომელსაც უზრუნველყოფს ეკონომიკის საბინაო მარაგი. საიჯარო საცხოვრებლისთვის ეს მნიშვნელობა ადვილად გამოსაანგარიშებელია - ქირა მოიცავს როგორც მოიჯარის (დამქირავებლის) დანახარჯებს, ასევე მეიჯარის (გამქირავებლის, მესაკუთრის) შემოსავალს. მიუხედავად ამისა, ბევრი ადამიანი ფლობს იმ ადგილს, სადაც ცხოვრობს და, შესაბამისად, არ იხდის ქირას. მსპ ემყარება დაშვებას, რომ მესაკუთრე, ფაქტობრივად, ქირას უხდის საკუთარ თავს, ამიტომ ქირის თანხა შედის როგორც მის დანახარჯებში, ისე შემოსავალში.

არსებობს მრავალი საქონელი და მომსახურება, რომელთა ღირებულება არ ისახება მსპ-ს მონაცემებში. მაგალითად: ბოსტნეულის მაღაზიაში ან სუპერმარკეტში შეძენილი ბოსტნეული მსპ-ს ნაწილია, მაგრამ თქვენს ბაღში მოყვანილი და თქვენს მიერვე მოხმარებული არ ისახება მსპ-ში. ბევრი ვაჭრობა ხორციელდება ნაღდი ფულის ხელიდან ხელში გადაცემით და არ ექვემდებარება ხელისუფლების მხრიდან კონტროლს. მაგალითად, სანტექნიკოსმა შეიძლება შეაკეთოს გამათბობლის ქვაბი, აიღოს ნაღდი ფული და არ დააფიქსიროს ეს მისი შემოსავლის ნაწილად საგადასახადო ორგანოებში. ამ სამუშაოს ღირებულება იმალება მსპ-ს მაჩვენებელში. ამ ტიპის საქმიანობა მოიხსენიება როგორც "არაფორმალური", "ჩრდილოვანი" ან "შავი" ეკონომიკა. უკიდურესად რთულია ჩრდილოვანი ეკონომიკის ზომის განსაზღვრა, მაგრამ ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ევროკავშირში არაფორმალური მუშახელის რაოდენობა 30 მილიონი ადამიანია და ქვეყნის მსპ-ს მეოთხედს აღწევს. ზოგიერთი შეფასებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის ზომა ბრიტანეთში წელიწადში დაახლოებით 150

მლრდ ფუნტი სტერლინგია (213 მლრდ ევრო) და მთლიან ევროპაში, დაახლოებით 2 ტრლნ ევრო.

ასევე არსებობს საქონლისა და მომსახურების გარიგებები ბაზრებზე, რომლებიც უკანონოა და, შეუძლებელია დეკლარირებული იყოს საგადასახადო ორგანოებში. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს მსკ-ს სიდიდეზე. 2014 წლის სექტემბრიდან, დიდი ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკური სამსახური, ONS იკვლევდა ნარკოტიკებში და პროსტიტუციაში დახარჯული თანხის ოდენობას, რათა გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ანგარიშების მონაცემები შეესატყვისებინა ევროკავშირის ქვეყნების მონაცემებთან. ONS-ის შეფასებით, ბრიტანეთის ეკონომიკაზე ნარკოტიკების და პროსტიტუციის საშუალო ზემოქმედება წელიწადში დაახლოებით 11 მლრდ ფუნტ სტერლინგს შეადგენს (15,6 მლრდ ევრო).

რიგმა ეკონომისტებმა აღნიშნეს, რომ მსკ-ს გაანგარიშება არ ითვალისწინებს შინამეურნეობის წარმმართველი ქალებისა და კაცების მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას და არც ბებია-ბაბუების მიერ ბავშვების მოვლის სამუშაოების ღირებულებას. ფემინისტი ეკონომისტები განსაკუთრებით აკრიტიკებენ განასხვავებებს ბაზრებზე განხორციელებულ "პროდუქტიულ" და "არაპროდუქტიულ" მუშაობას შორის. ოჯახების დახმარების საქმეში შესრულებულმა სამუშაომ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთო კეთილდღეობის ზრდას და ეს საქმიანობა ადამიანთა უმეტესობისთვის წარმოადგენს ძირითად საქმიანობას. ეს წვლილი არ არის გათვალისწინებული მსკ – ს გაანგარიშებაში. შედეგად, მსკ არასწორად აფასებს ეკონომიკაში არსებული კეთილდღეობის ჭეშმარიტ ზომას და საოჯახო საქმიანობის შემსრულებელთა (რომელთა უმეტეს ნაწილს ქალები შეადგენენ) პროდუქტიულ წვლილს ეკონომიკაში.

### “...საბოლოო...”

როდესაც ქალაქის კომპანია მიჰყიდის ქალაქს მისალოცი ბარათების კომპანიას, ქალაქს უწოდებენ შუალედურ საქონელს, ხოლო ბარათს ეწოდება საბოლოო საქონელი. მსკ მოიცავს მხოლოდ საბოლოო საქონლის ღირებულებას. მიზეზი ის არის, რომ შუალედური საქონლის ღირებულება უკვე შედის საბოლოო საქონლის ფასებში. თუ ქალაქის საბაზრო ღირებულება დაემატება ბარათის საბაზრო ღირებულებას, მაშინ ორმაგად დაითვლება. ანუ ის არასწორად (ორჯერ) დაითვლის ქალაქის ღირებულებას.

ამ პრინციპიდან მნიშვნელოვანი გამონაკლისია, როდესაც შუალედური საქონელი იწარმოება და გამოყენების ნაცვლად ფირმის ინვენტარს ემატება, რათა მოგვიანებით იქნას გამოიყენებული ან გაყიდული. ამ შემთხვევაში, შუალედური საქონელი მოცემულ მომენტში "საბოლოოდ" ითვლება, ხოლო მისი ღირებულება, როგორც საინვენტარო დაბანდება, ემატება მსკ-ს. როდესაც მოგვიანებით შუალედური საქონლის მარაგისგან შემდგარ ინვენტარს გამოიყენებენ ან გაყიდიან, ფირმის ინვენტარის დაბანდება უარყოფითი ნიშნით შევა მსკ-ში და მსკ-ს შემცირებას გამოიწვევს.

### “...საქონელი თუ მომსახურება...”

მსკ მოიცავს როგორც მატერიალურ საქონელს (სურსათი, ტანსაცმელი, მანქანები) ასევე არამატერიალურ მომსახურებას (თმის შეჭრა, ბინის დალაგება, ექიმთან ვიზიტი). როდესაც თქვენი საყვარელი ჯგუფის ალბომს ჩამოტვირთავთ (ლეგალურად), თქვენ ყიდულობთ საქონელს და ამ შენაძენის ფასი მსკ-ს ნაწილია. როდესაც იხდით იმავე ჯგუფის კონცერტის ბილეთის საფასურს, ყიდულობთ მომსახურებას და ბილეთის ფასიც ასევე აღირიცხება მსკ-ში.

#### „...იწარმოება...“

მსკ შეიცავს მიმდინარე პერიოდში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას. იგი არ შეიცავს ოპერაციებს, რომლებიც ეხება წარსულში წარმოებულ საქონელს. როდესაც ყიდულობთ ახალ სახელმძღვანელოს თქვენი ეკონომიკის კურსისთვის, სახელმძღვანელოს ღირებულება შედის იმ ქვეყნის მსკ-ში, რომელშიც მუშაობს გამომცემელი. როდესაც ერთი ადამიანი მიჰყიდის მეორად სახელმძღვანელოს სხვა პირს, მეორადი სახელმძღვანელოს ღირებულება არ არის შედის მსკ-ში.

#### „...ქვეყნის შიგნით...“

მსკ ასახავს წარმოებული პროდუქციის ღირებულებას ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებში. როდესაც ავსტრალიის მოქალაქე დროებით მუშაობს დიდ ბრიტანეთში, მისი წარმოება აღირიცხება გაერთიანებული სამეფოს მსკ-ში \ როდესაც გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე ფლობს ქარხანას ბულგარეთში, ამ ქარხნის წარმოება არ აღირიცხება დიდი ბრიტანეთის მსკ-ში (ის იქნება ბულგარეთის მსკ-ს ნაწილი). ამრიგად, საქონელი შედის ქვეყნის მსკ-ში, თუ ის წარმოებულია ქვეყნის შიგნით მწარმოებლის ეროვნების მიუხედავად.

#### „...დროის მოცემულ პერიოდში“

მსკ ასახავს იმ წარმოებული პროდუქციის ღირებულებას, რომელიც იწარმოება დროის კონკრეტულ ინტერვალში. ჩვეულებრივ, ეს ინტერვალი არის წელი ან წელიწადის მეოთხედი (სამი თვე).

როდესაც მთავრობა კვარტალური მსკ-ს ანგარიშს აქვეყნებს, იგი ჩვეულებრივ წარმოგვიდგენს მსკ-ს „წლიურ სიდიდედ“. ეს ნიშნავს, რომ რიცხვი, რომელიც კვარტალურ მსკ-ს წარმოადგენს, ერთ კვარტალში მიღებული შემოსავლისა და ხარჯების ოთხზე ნამრავლია. მთავრობა იყენებს ამ კონვენციას იმის გამო, რომ მსკ-ს კვარტალური და წლიური მაჩვენებლები უფრო ადვილი შესადარებელი იყოს.

გარდა ამისა, მთავრობის ანგარიშში კვარტალური მსკ-ს შესახებ, იგი წარმოადგენს მონაცემებს რომლებიც მიიღება სპეციფიკური მოდიფიცირების შედეგად, რასაც სეზონური კორექტირება ეწოდება. დაუკორექტირებელი მონაცემები ცხადყოფს, რომ ეკონომიკა წელიწადის ზოგიერთ მონაკვეთში უფრო მეტ საქონელსა და მომსახურებას აწარმოებს, ვიდრე მეორეში (როგორც ხვდებით, დეკემბრის სადღესასწაულო შოპინგი ბევრ ქვეყანაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია). ეკონომიკის მდგომარეობის შესაფასებლად, ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს ხშირად სჭირდებათ რეგულარული სეზონური ცვლილებების გადახედვა.

ამიტომ, სამთავრობო უწყებათა სტატისტიკოსები კვარტალურ მონაცემებს არეგულირებენ სეზონური რყევების გათვალისწინებით.

**შემოწმებისთვის:** რა უფრო მეტად გაზრდის მსკ-ს - 1 ევროს ღირებულების კალის წარმოება, თუ 1 ევროს წარმოების ოქროს წარმოება? რატომ?

## ინფორმაციისთვის

### შემოსავლის სხვა მაჩვენებლები

როდესაც ONS ან Eurostat გამოთვლის მსკ-ს ყოველ სამ თვეში, გაერთიანებული სამეფოსთვის და ევროკავშირისთვის, ისინი ასევე ანგარიშობენ შემოსავლის სხვადასხვა მაჩვენებლებსაც, რათა მიიღონ უფრო სრულყოფილი სურათი იმის შესახებ, თუ რა ხდება ეკონომიკაში. ეს მაჩვენებლები მსკ-სგან იმით განსხვავდება, რომ მათში გათვალისწინებულია, ან პირიქით - გამორიცხულია შემოსავლის გარკვეული კატეგორიები. გადავავლოთ თვალი მათგან ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომლებიც მნიშვნელოვნების კლების მიხედვითაა დალაგებული.

**მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ)** არის ქვეყნის მუდმივი რეზიდენტების, ანუ მოქალაქეების, მიერ გამომუშავებული მთლიანი შემოსავალი. იგი განსხვავდება მსკ-სგან იმით, რომ შეიცავს ადგილობრივი მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ გამომუშავებულ შემოსავლებს და არ შეიცავს უცხოელების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე გამომუშავებულ შემოსავლებს. ქვეყნების უმეტესობაში, რეზიდენტები ქმნიან ადგილობრივი წარმოების უმეტეს ნაწილს, ამიტომ მსკ-ს და მეპ-ის სიდიდეები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან.

**წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ)** არის ქვეყნის რეზიდენტების მთლიანი შემოსავალი (მეპ), რომელშიც არ შედის ამორტიზაციის ღირებულება. ამორტიზაცია არის ეკონომიკაში არსებული შენობებისა და მოწყობილობების ცვეთა. მაგალითად ბორბლების დაჟანგვა ან კომპიუტერების მოძველება.

**ეროვნული შემოსავალი (ემ)** არის მთლიანი შემოსავალი, რომელიც ქვეყნის რეზიდენტებმა მიიღეს საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში. იგი განსხვავდება წმინდა ეროვნული პროდუქტისგან იმით, რომ არ მოიცავს ბიზნესზე დაკისრებულ არაპირდაპირ გადასახადებს (მაგალითად, გაყიდვების გადასახადი) და მოიცავს ბიზნესზე გაცემულ სუბსიდიებს. წეპ-და და ემ-ს შორის განსხვავება შეიძლება გაჩნდეს ასევე "სტატისტიკური უზუსტობების" გამო, რაც გამოწვეულია მონაცემთა შეგროვების პრობლემებისგან.

**პირადი შემოსავალი (პშ)** არის შემოსავალი, რომელსაც იღებენ შინამეურნეობები და არაკომერციული ბიზნესი. ეროვნული შემოსავლისგან განსხვავებით, იგი არ შეიცავს გაუნაწილებელ შემოსავალს, რომელსაც კორპორაციები იღებენ, მაგრამ დივიდენდების სახით არ უხდიან მფლობელებს. პშ ასევე არ მოიცავს კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადებსა და სოციალური დაზღვევის შენატანებს. გარდა ამისა, პირადი შემოსავალი მოიცავს სარგებლიდან მიღებულ შემოსავალს, რომელსაც შინამეურნეობები იღებენ სამთავრობო ობლიგაციებიდან და აგრეთვე იმ შემოსავალს, რომელსაც შინამეურნეობები სამთავრობო ტრანსფერული პროგრამებიდან იღებენ, როგორცაა კეთილდღეობა და სოციალური დაცვის გადასახადი.

**განკარგვადი პირადი შემოსავალი (გპშ)** არის ის შემოსავალი, რომელიც მომხმარებლის განკარგულებაშია. იგი შინამეურნეობებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მთავრობის წინაშე ყველა ვალდებულების შესრულების შემდეგ რჩებათ. ეს უდრის პირად შემოსავალს, გამოკლებული პირადი გადასახადები და გარკვეული არასაგადასახადო ხარჯები (როგორცაა პარკირების ბილეთები).

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლის სხვადასხვა მაჩვენებელი გარკვეული დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისგან, ისინი თითქმის ერთნაირად ასახავს ეკონომიკის მდგომარეობას. როდესაც მსპ სწრაფად იზრდება, შემოსავლის ეს მაჩვენებლებიც, როგორც წესი, სწრაფად იზრდება; როდესაც მსპ მცირდება, ჩვეულებრივ, ეს მაჩვენებლებიც მცირდება.

## მსპ-ს კომპონენტები

ეკონომიკის ხარჯები მრავალგვარია. ერთსა და იმავე დროს, შეიძლება მიღერიანთა ოჯახი სადილობდეს მიუნხენის რესტორანში, მანქანათმშენებლობის საწარმო ახორციელებდეს სამუშაოებს რაინის სანაპიროებზე და გერმანიის არმია იარაღს ყიდულობდეს იარაღის მწარმოებელი ფირმისგან. მსპ ქვეყანაში წარმოებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე გაწეულ ყველა ამ დანახარჯს ითვალისწინებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული შემოსავალი (მსპ) შეიძლება განისაზღვროს შემდეგი განტოლებით:

$$Y \equiv C+I+G+NX$$

გაითვალისწინეთ, რომ ამ განტოლებაში გამოვიყენეთ სიმბოლო „≡“ სამი ხაზით, რაც ნიშნავს „იდენტურად ტოლს“. ეს იმიტომ ხდება, რომ მოცემული განტოლება არის **იდენტურობა** - ტოლობა, რომელიც ჭეშმარიტია მასში მონაწილე ცვლადებიდან გამომდინარე. ვინაიდან მსპ – ში შემავალი ხარჯების თითოეული ევრო ან ფუნტი მსპ – ს ოთხი კომპონენტიდან ერთ-ერთს ეკუთვნის, ამ ოთხი კომპონენტის ჯამი მსპ–ს ტოლი უნდა იყოს. უმეტესწილად ჩვენ ვიცავთ ნორმალურ პრაქტიკას იდენტობებთან ურთიერთობისას. ამიტომ

სახელმძღვანელოში გამოვიყენებთ ტოლობის ჩვეულებრივ ნიშანს, „=“. მოდით, უფრო კარგად განვიხილოთ ამ ოთხი კომპონენტიდან თითოეული.

## მოხმარება

**მოხმარება** საოჯახო მეურნეობების მიერ საქონელზე და მომსახურებაზე გაწეული ხარჯებია. ეს მოიცავს ხანგრძლივი მოხმარების საგნებს, როგორცაა ავტომობილები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სარეცხი მანქანები, მაცივრები და ხანმოკლე მოხმარების საქონელი, როგორცაა საკვები და ტანსაცმელი.

**მოხმარება** - საოჯახო მეურნეობების მიერ საქონელზე და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები ახალი საცხოვრებლის შექმნის გამოკლებით.

"მომსახურება" მოიცავს ისეთ არამატერიალურ საგნებს, როგორცაა თმის შეჭრა, გართობა და სამედიცინო დახმარება. საოჯახო მეურნეობების მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯები ასევე შედის მოხმარებაში მომსახურების პუნქტით (თუმცა ზოგიერთის აზრით, განათლებაზე გაწეული ხარჯები უნდა აისახებოდეს ინვესტიციის კომპონენტში და არა - მოხმარებაში).

## ინვესტიცია

**ინვესტიცია** არის შენობების, აღჭურვილობისა და ტექნიკის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მომავალში მწარმოებლურობის ზრდას. ეს არის კაპიტალური აღჭურვილობის, ინვენტარისა და შენობების შესყიდვების ჯამი. შენობებში ჩადებული ინვესტიციები მოიცავს საოჯახო მეურნეობების მიერ ახალ საცხოვრებლებზე გაწეულ დანახარჯებსაც. საყოველთაოდ მიღებული დაშვების თანახმად, ახალი სახლის შექმნა არის საყოფაცხოვრებო დანახარჯების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ინვესტიცია და არა - მოხმარება.

**ინვესტიცია** - კაპიტალური აღჭურვილობის, ინვენტარისა და შენობებზე გაწეული ხარჯები საოჯახო მეურნეობების მიერ ახალი საცხოვრებლის შექმნის ჩათვლით.

მნიშვნელოვანია ინვენტარის დაგროვების აღრიცხვის გაანალიზება. როდესაც Sony აწარმოებს სმარტფონს და გაყიდვის ნაცვლად დაამატებს მას თავის სასაქონლო მარაგებს, ივარაუდება, რომ სონიმ ტელეფონი „შეიძინა“. ეროვნული შემოსავლის გამოთვლისას ტელეფონს განიხილავენ როგორც სონის საინვესტიციო დანახარჯებს. (თუ Sony მოგვიანებით

გაყიდის ტელეფონს ინვენტარიდან, Sony-ს სასაქონლო მარაგები უარყოფითი გახდება და გადაფარავს მყიდველის დადებით დანახარჯს.) ინვენტარის ასეთი სახით განხილვა იმიტომ ხდება, რომ მსპ – ს ერთ – ერთი მიზანი არის იმის დადგენა, თუ რა ღირებულების პროდუქცია იწარმოება ეკონომიკაში დროის მოცემულ მონაკვეთში. ინვენტარს დამატებული პროდუქცია კი იმ პერიოდის წარმოების ნაწილია და, შესაბამისად, უნდა აისახოს მსპ-ში.

## სახელმწიფო შესყიდვები

**სახელმწიფო შესყიდვებში** შედის ადგილობრივი და ეროვნული მთავრობების მიერ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები. ის შეიცავს ასევე საჯარო მოხელეთა ხელფასებს და საზოგადოებრივ სამუშაოებზე ხარჯებს.

**სახელმწიფო შესყიდვები** - ადგილობრივი და ეროვნული მთავრობების მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაწეული ხარჯები.

„სახელმწიფო შესყიდვების“ ცნება მცირე დაზუსტებას საჭიროებს. როდესაც მთავრობა არმიის გენერალს ხელფასს უხდის, ეს ხელფასი სახელმწიფო შესყიდვების ნაწილია. რა ხდება მაშინ, როდესაც მთავრობა ფულად დახმარებას უწევს მოხუცებს? მთავრობის ასეთ ხარჯებს ტრანსფერულ გადასახდელებს უწოდებენ, რადგან მათი გადახდა რაიმე საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ არ ხდება. ტრანსფერული გადასახდელები ცვლის ოჯახის შემოსავალს, მაგრამ ისინი არ ასახავენ ეკონომიკის მწარმოებლურობას (მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ტრანსფერული გადასახდელები უარყოფითი გადასახადებია). იმის გამო, რომ მსპ გამიზნულია საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ან მათი გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების გასაზომად, ტრანსფერული გადასახდელები არ შედის სახელმწიფო შესყიდვების კომპონენტში.

**ტრანსფერული გადასახდელი** - გადასახადი, რომლითაც არ ხორციელდება საქონლის ან მომსახურების შეძენა.

## წმინდა ექსპორტი

**წმინდა ექსპორტი** უდრის უცხოელთა მიერ შეძენილი სამამულო წარმოების საქონლის ღირებულებისა (ექსპორტი) და ადგილობრივი რეზიდენტების მიერ შეძენილი უცხოური წარმოების საქონლის ღირებულების (იმპორტი) სხვაობას. ადგილობრივი ფირმის მიერ

საქონლის უცხოელი მყიდველისთვის მიყიდვა, მაგალითად Sony-ს ტელეფონების მიყიდვა აშშ-ს მოქალაქეებისთვის, ზრდის იაპონიის წმინდა ექსპორტს.

**წმინდა ექსპორტი** - უცხოელთა მიერ შეძენილი სამამულო წარმოების საქონლის ღირებულებასა (ექსპორტი) და ადგილობრივი რეზიდენტების მიერ შეძენილი უცხოური წარმოების საქონლის ღირებულებას (იმპორტი) შორის სხვაობა.

„წმინდა ექსპორტში“ სიტყვა „წმინდა“ გულისხმობს, რომ ექსპორტს იმპორტი აკლდება. ეს იმიტომ ხდება, რომ საქონლისა და მომსახურების იმპორტი შედის მსკ-ს სხვა კომპონენტებში. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის საყოფაცხოვრებო კომპანია ყიდულობს 30 000 ფუნტი სტერლინგის ღირებულების Volvo-ს ავტომობილს, რომელიც შვედეთშია წარმოებული. ეს გარიგება ზრდის მოხმარებას დიდ ბრიტანეთში 30 000 ფუნტ სტერლინგით, რადგან ავტომობილების შესყიდვები დიდი ბრიტანეთის სამომხმარებლო ხარჯების ნაწილია. ეს ასევე ამცირებს წმინდა ექსპორტს 30 000 ფუნტით, რადგან მანქანა არის იმპორტირებული (გათვალისწინეთ, რომ იგი ექსპორტს წარმოადგენს შვედეთისთვის). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმინდა ექსპორტში შედის უცხოეთში წარმოებული საქონელი და მომსახურება (მინუს ნიშნით), რადგან ეს საქონელი და მომსახურება შესულია მოხმარებაში, ინვესტიციებში ან სახელმწიფო შესყიდვებში (პლუს ნიშნით). ამრიგად, როდესაც ადგილობრივი საოჯახო მეურნეობა, ფირმა ან მთავრობა ყიდულობს საქონელს, ან მომსახურებას უცხოეთიდან, ეს შესყიდვა ამცირებს წმინდა ექსპორტს - მაგრამ იმის გამო, რომ ის ასევე ზრდის მოხმარებას, ინვესტიციებს ან სახელმწიფო შესყიდვებს, მსკ უცვლელი რჩება. ზემოთ მოყვანილი მაგალითი საშუალებას იძლევა უფრო მეტად გავამახვილოთ ყურადღება ექსპორტსა და იმპორტზე რათა თავიდან ავიცილოთ ამ ცნებებთან დაკავშირებული რაიმე გაუგებრობის წარმოშობა.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელია მსკ ერთ სულზე ან მოსახლეობის ერთ სულზე. იმისათვის, რომ გავიანგარიშოთ მსკ ერთ სულ მოსახლეზე, საჭიროა ქვეყნის მსკ-ს გაყოფა ამ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე. ეს მაჩვენებელი გამოსადეგია მსკ-ს შესადარებლად სხვადასხვა ქვეყანაში.

### ქეისის განხილვა

### მსკ-ს მაჩვენებლების ცვლილებები

ეროვნულ ან რეგიონულ სტატისტიკურ სამსახურებს, როგორცაა ONS ან Eurostat, აქვთ ეროვნული შემოსავლის მონაცემების შეგროვებისა და გაანგარიშების საკმაოდ დახვეწილი სისტემები. ეროვნული და რეგიონული ანგარიშების ევროპული სისტემა (ცნობილი, როგორც ESA95) ადგენს მონაცემებს წევრი სახელმწიფოების ეკონომიკის სტრუქტურისა და განვითარების შესახებ. იგი იყენებს შეთანხმებულ სააღრიცხვო ჩარჩოს, რომელიც მთელ



მსოფლიოში არის აღიარებული იმისთვის, რომ თითოეული ეკონომიკის აღწერა მოხდეს რაც შეიძლება ზუსტი და საიმედო მონაცემებით სხვადასხვა რეგიონის ეკონომიკასა და ეკონომიკის ჯგუფებს შორის მაქსიმალურად ზუსტი შედარების მოსახდენად.

დასაფიქრებელია, რამდენად რთული ამოცანაა ამ მონაცემების შეგროვება. უბრალოდ დაათვალიერეთ გარემო და წარმოიდგინეთ რამდენი ეკონომიკური აქტიურობა სრულდება დროის ერთ მცირე მონაკვეთში - ადამიანების მიერ საქონლისა და მომსახურების ყიდვა და გაყიდვა მაღაზიებში, ონლაინ ტრანზაქციები, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, ავტომანქანის მოხმარება, რომლისთვისაც საჭიროა დაზღვევა, საწვავით უზრუნველყოფა, მოვლა, რაც ასევე დაკავშირებულია დანახარჯებთან, სანაგვე ურნების დაცლა დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების მიერ, საღებავი რეზინის მოშორება ტროტუარებიდან, პოლიციის პატრულირება ქუჩებში და ა.შ. ხარჯების ყველა მონაცემის შეგროვების მცდელობა მასიური ამოცანაა. გარდაუვალია, რომ ნებისმიერი გამოქვეყნებული მსპ-ს მაჩვენებელი დროებითია. სტატისტიკის სამსახურები აგრძელებენ მათ მიერ გადაცემული მონაცემების გადახედვას და რეგულარულად აქვეყნებენ შესწორებულ ციფრებს.

ზუსტი მონაცემების შეგროვება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გადაწყვეტილებები ბიზნესის, ეკონომიკური პოლიტიკისა და ინვესტიციების შესახებ მიიღება მაკროეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. ამრიგად, ნათელია, რომ მსპ-ს მონაცემები გამოქვეყნებისას ექვემდებარება გადასინჯვას და ეს შესწორებები შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. კვარტალური მსპ – ს პირველადი მაჩვენებლები მოიხსენიება როგორც „სავარაუდო შეფასებები“, რადგან ისინი ემყარება საბოლოო შეფასებისათვის გამოყენებული მთლიანი მონაცემების ნაწილს. მაგალითად, ONS უზრუნველყოფს მინიმუმ ორ შესწორებას საწყის შეფასებებში და მას შემდეგ, რაც ყველა მონაცემი იქნება შეტანილი, განხორციელდება პირველადი შეფასების დადასტურება ან შეცვლა. შესაბამისად, საჯარო მოხელეებს მსპ-სთან დაკავშირებული განცხადების გაკეთებისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა მართებთ. ერთი კვარტლის მონაცემები შეიძლება სულაც არ იყოს მსპ-ს საიმედო მაჩვენებელი დროთა განმავლობაში.



მსკ-ს ზუსტი მონაცემების შეგროვების სირთულე, რომელსაც ბიზნეს საქმიანობის კომპლექსურობა იწვევს.

**შემოწმებისთვის:** ჩამოთვალეთ დანახარჯების ოთხი კომპონენტი. თქვენი აზრით რომელ მათგანს აქვს ქვეყნის მსკ-ში უმეტესი წილი? რატომ?

## რეალური და ნომინალური მსკ

თუ წინა წელთან შედარებით ადგილი აქვს საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული მთლიანი ხარჯების ცვლილებას, მაშინ ორიდან ერთი რამ ხდება:

1. ეკონომიკა საქონლისა და მომსახურების მეტ რაოდენობას აწარმოებს (რეალური ზრდა); ან
2. საქონელი და მომსახურება უფრო ძვირად იყიდება (ნომინალური ზრდა).

ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების შესწავლისას ეკონომისტები ამ ორი ეფექტის განცალკევებას ცდილობენ. კერძოდ, მათ სჭირდებათ ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი რაოდენობის ისეთი მაჩვენებელი, რომელზეც ამ საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილება არ მოქმედებს.

ამისათვის ეკონომისტები იყენებენ მაჩვენებელს, რომელსაც **რეალური მსპ** ეწოდება. რეალური მსპ პასუხს გვაძლევს შემდეგ კითხვაზე: როგორი იქნება ამ წელს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, თუ ამ საქონელსა და მომსახურებას წარსულის ერთ-ერთი კონკრეტული წლის ფასებით შევაფასებთ? ამჟამინდელ პროდუქციას წარსულის ფასების მიხედვით თუ შევაფასებთ, რეალური მსპ გვიჩვენებს, როგორ შეიცვალა ამ დროის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების მთლიანი წარმოება. ამ მეთოდის გამოყენებით წარმოებულ მსპ-ს უწოდებენ **მსპ-ს მუდმივ ფასებში**. ფასების ცვლილების გათვალისწინების გარეშე გაანგარიშებულ მსპ-ს უწოდებენ **მსპ მიმდინარე ან საბაზრო ფასებში**. ის გამოითვლება საანგარიშო წელს საქონლისა და მომსახურების რაოდენობის გამრავლებით ამ საქონლისა და მომსახურების ფასზე.

**რეალური მსპ** - საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობა, გამოხატული მუდმივ ფასებში.

**მსპ მუდმივ ფასებში** - გამოითვლება კონკრეტული საბაზო წლის ფასების გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ფასების ცვლილებებს დროთა განმავლობაში.

**მსპ მიმდინარე ან საბაზრო ფასებში** - გამოითვლება საანგარიშო წელს საქონლისა და მომსახურების რაოდენობის გამრავლებით ამ საქონლისა და მომსახურების ფასზე.

რეალური მსპ-ს გამოთვლის წესს უფრო დეტალურად რომ გავეცნოთ, ერთი მაგალითი განვიხილოთ.

### რაოდენობრივი მაგალითი

ცხრილი 1.1 გვიჩვენებს ზოგიერთ მონაცემს იმ ეკონომიკის შესახებ, რომელიც მხოლოდ ორ საქონელს აწარმოებს - ვაშლს და კარტოფილს. ცხრილში მოცემულია წარმოებული საქონლის რაოდენობა და მათი ფასები 2016, 2017 და 2018 წლებში.

**ცხრილი 1.1. რეალური და ნომინალური მსპ**

ფასები და რაოდენობა				
წელი	კვ ვაშლის ფასი (€)	ვაშლის რაოდენობა (კვ)	კვ კარტოფილის ფასი (€)	კარტოფილის რაოდენობა (კვ)
2016	1	100	2	50
2017	2	150	3	100
2018	3	200	4	150

წელი	ნომინალური მსპ-ს გამოთვლა
2016	$(€1 \times 100(\text{კგ ვაშლი}) + (€2 \times 50(\text{კგ კარტოფილი}))=€200$
2017	$(€2 \times 150(\text{კგ ვაშლი}) + (€3 \times 100(\text{კგ კარტოფილი}))=€600$
2018	$(€3 \times 200(\text{კგ ვაშლი}) + (€4 \times 150(\text{კგ კარტოფილი}))=€1200$
წელი	რეალური მსპ-ს გამოთვლა(საბაზო წელი 2016)
2016	$(€1 \times 100(\text{კგ ვაშლი}) + (€2 \times 50(\text{კგ კარტოფილი}))=€200$
2017	$(€1 \times 150(\text{კგ ვაშლი}) + (€2 \times 100(\text{კგ კარტოფილი}))=€350$
2018	$(€1 \times 200(\text{კგ ვაშლი}) + (€2 \times 150(\text{კგ კარტოფილი}))=€500$
წელი	მსპ დეფლატორის გამოთვლა
2016	$(€200/€200) \times 100 = 100$
2017	$(€600/€350) \times 100 = 171$
2018	$(€1200/€500) \times 100 = 240$

ამ ცხრილში მოცემულია, თუ როგორ უნდა გამოვთვალოთ რეალური მსპ, ნომინალური მსპ და მსპ დეფლატორი ჰიპოთეტური ეკონომიკისთვის, რომელიც მხოლოდ ვაშლს და კარტოფილს აწარმოებს.

ამ ეკონომიკის მთლიანი ხარჯების გამოსათვლელად, ვაშლისა და კარტოფილის რაოდენობები მათ ფასებზე უნდა გავამრავლოთ. 2016 წელს 100 კგ ვაშლი იყიდება, 1 კგ ღირს 1 ევრო, ამიტომ ვაშლის ხარჯები 100 ევროს შეადგენს. იმავე წელს 50 კგ კარტოფილი იყიდება 2 ევროდ კგ, ამიტომ კარტოფილის ხარჯებიც 100 ევროს უდრის. მთლიანი დანახარჯები ეკონომიკაში - ვაშლზე და კარტოფილზე გაწეული ხარჯების ჯამია და უდრის 200 ევროს. მიმდინარე ან საბაზრო ფასებში ასახული საქონლისა და მომსახურების წარმოებას ნომინალური მსპ ექოდება.

**ნომინალური მსპ** - საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობა, გამოხატული მიმდინარე ფასებში.

ცხრილი გვიჩვენებს ნომინალური მსპ-ს გამოთვლას ამ სამი წლის განმავლობაში. მთლიანი დანახარჯი იზრდება 200 ევროდან 2016 წელს 600 ევრომდე 2017 წელს და შემდეგ 1200 ევრომდე 2018 წელს. ამ ზრდის ნაწილი გამოწვეულია წარმოებული ვაშლისა და კარტოფილის რაოდენობის ზრდით, ნაწილი კი ვაშლისა და კარტოფილის ფასების ზრდით.

წარმოებული საქონლის რაოდენობის ისეთ მაჩვენებლად, რომელზეც ფასების ცვლილება გავლენას არ ახდენს, ჩვენ ვიყენებთ რეალურ მსპ-ს, საქონლისა და მომსახურების მუდმივ ფასებში გამოხატულ რაოდენობას. რეალური მსპ-ს გამოსათვლელად ჯერ საბაზო წელს ვირჩევთ, შემდეგ

ვიყენებთ საბაზო წლის ვაშლისა და კარტოფილის ფასებს ყველა დანარჩენი წლის საქონლისა და მომსახურების ღირებულების გამოსათვლელად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბაზო ფასების გამოყენება საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა წლებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობები შევადაროთ ერთმანეთს.

დავუშვათ, რომ ჩვენ 2016 წელს ავირჩიეთ საბაზო წლად. შემდეგ შეგვიძლია გამოვიყენოთ ვაშლისა და კარტოფილის 2016 წლის ფასები 2016, 2017 და 2018 წლებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების გამოსათვლელად. ცხრილი 1.1 გვიჩვენებს ამ გათვლებს. 2016 წლის რეალური მსპ-ს გამოსაანგარიშებლად ვიყენებთ 2016 წლის ვაშლისა და კარტოფილის ფასებს და 2016 წელს წარმოებული ვაშლისა და კარტოფილის რაოდენობებს (საბაზო წლისთვის, რეალური მსპ ყოველთვის უდრის ნომინალურ მსპ-ს). რეალური მსპ-ს გამოსათვლელად 2017 წელს ჩვენ ვიყენებთ 2016 წლის ვაშლისა და კარტოფილის ფასებს და 2017 წელს წარმოებული ვაშლისა და კარტოფილის რაოდენობებს. ანალოგიურად, 2018 წლის რეალური მსპ-ს გამოსათვლელად, ჩვენ ვიყენებთ 2016 წლის ფასებს და 2018 წლის რაოდენობებს. როგორც ვხედავთ, რეალური მსპ გაიზარდა 200 ევროდან (2016 წ.) 350 ევრომდე (2017 წ.) და შემდეგ 500 ევრომდე (2018 წ.) ვიცით, რომ ეს ზრდა წარმოებული რაოდენობის ზრდის შედეგია, რადგან ფასები საბაზო წლის დონეზეა შენარჩუნებული. რეალური მსპ-ს ზრდის ტემპი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{რეალური მსპ} - \text{ს ზრდის ტემპი } t \text{ წელს} = 1 \times \frac{(\text{მსპ } t \text{ წელს} - \text{მსპ } t - 1 \text{ წელს})}{(\text{მსპ } t - 1 \text{ წელს}) - 1}$$

## მსპ დეფლატორი

ნომინალური მსპ ასახავს როგორც საქონლისა და მომსახურების ფასებს, ასევე საქონლისა და მომსახურების რაოდენობებს, რომელსაც აწარმოებს ეკონომიკა. ამის საპირისპიროდ, ფასების მუდმივი შენარჩუნებით საბაზო დონეზე, რეალური მსპ ასახავს მხოლოდ წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობებს. ამ ორი სტატისტიკის მიხედვით შეგვიძლია გამოვთვალოთ მესამე სიდიდე, რომელსაც მსპ დეფლატორი ეწოდება. იგი გვიჩვენებს არა წარმოებული პროდუქციის რაოდენობას, არამედ ფასების დონეს.

**მსპ დეფლატორი** - ფასების საერთო დონის მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება ნომინალური მსპ-ს შეფარდებით რეალურ მსპ-სთან და გამრავლებით 100-ზე.

მსპ დეფლატორი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{მსპ დეფლატორი} = \frac{\text{ნომინალური მსპ}}{\text{რეალური მსპ}} \times 100$$

იმის გამო, რომ ნომინალური მსპ და რეალური მსპ ერთი და იგივე უნდა იყოს საბაზო წელს, მსპ დეფლატორი საბაზო წელს ყოველთვის 100-ის ტოლია. მსპ დეფლატორი შემდგომი წლებისთვის ზომავს ნომინალური მსპ-ს ცვლილებას საბაზო წელთან შედარებით, რაც არ არის განპირობებული რეალური მსპ-ს ცვლილებით.

წარმოიდგინეთ, რომ ეკონომიკაში წარმოებული რაოდენობები დროთა განმავლობაში იზრდება, მაგრამ ფასები იგივე რჩება. ამ შემთხვევაში, როგორც ნომინალური, ისე რეალური მსპ იზრდება, ამიტომ მსპ დეფლატორი მუდმივია. ახლა ჩათვალეთ, რომ ფასები დროთა განმავლობაში იზრდება, მაგრამ წარმოებული რაოდენობა იგივე რჩება. ამ მეორე შემთხვევაში, ნომინალური მსპ იზრდება, მაგრამ რეალური მსპ იგივე რჩება, ამიტომ მსპ დეფლატორიც იზრდება. გაითვალისწინეთ, რომ ორივე შემთხვევაში მსპ დეფლატორი ასახავს რა ემართება ფასებს და არა რაოდენობებს.

რეალური მსპ მიიღება ნომინალური მსპ-ს შეფარდებით მსპ დეფლატორთან.

$$\text{რეალური მსპ} = \frac{\text{ნომინალური მსპ}}{\text{მსპ დეფლატორი}}$$

დავუბრუნდეთ რიცხობრივ მაგალითს ცხრილში 1.1. მსპ დეფლატორი გამოითვლება ცხრილის ბოლოში. 2016 წლისთვის (საბაზო წლისთვის), ნომინალური მსპ 200 ევროა, რეალური მსპ-ც 200 ევროს ტოლია, მსპ დეფლატორი კი 100-ს უდრის. 2017 წლისთვის ნომინალური მსპ 600 ევროა, ხოლო რეალური მსპ 350 ევროა, მსპ დეფლატორი უდრის 171-ს. იმის გამო, რომ მსპ დეფლატორი 2017 წელს 100-დან 171-მდე გაიზარდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფასების დონე გაიზარდა 71 პროცენტით.

მსპ დეფლატორი არის ერთ – ერთი მაჩვენებელი, რომელსაც ეკონომისტები იყენებენ ეკონომიკაში ფასების საერთო დონეზე დაკვირვებისთვის. შემდეგ თავში განვიხილავთ სამომხმარებლო ფასების ინდექსს, სადაც ასევე აღწერილია განსხვავება ამ ორ მაჩვენებელს შორის.

**შემოწმებისთვის:** განსაზღვრეთ რეალური და ნომინალური მსპ. რომელი მათგანია ეკონომიკური კეთილდღეობის უკეთესი საზომი? რატომ?

## ჯაჭური კავშირი

ზემოთ განვიხილეთ მსპ-ს გაზომვის შესაძლებლობა შემოსავლისა და დანახარჯების საშუალებით და აღვნიშნეთ, რომ თეორიულად ისინი ერთი და იგივეა. მსპ ასევე შეიძლება შეფასდეს გამოშვების ან წარმოების მეთოდის მიხედვით. პროდუქტის ფასი წარმოადგენს იმ დანახარჯების ფულად გამოხატულებას, რომლებიც წარმოებაში გამოიყენება. წარმოების

პროცესის თითოეულ ეტაპზე შეიძლება შეიქმნას დამატებული ღირებულება. ONS განსაზღვრავს მთლიან დამატებულ ღირებულებას (მდდ), როგორც "მრეწველობაში ან ეკონომიკის სხვა სექტორში თითოეული მწარმოებლის მიერ შეტანილ წვლილს". მდდ გამოიყენება გამოშვებისა და შემოსავლების გასაზომად. სტატისტიკის სამსახურები, ჩვეულებრივ, პროდუქციის კლასიფიცირებას ახდენენ ინდუსტრიის ტიპების მიხედვით - მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა, სამთომომპოვებითი მომსახურება და ა.შ.

**მთლიანი დამატებული ღირებულება** - ადგილობრივი მწარმოებლების, ინდუსტრიებისა და სხვა სექტორების წვლილი ეკონომიკაში.

მსკ არის "მოცულობის საზომი", რომელიც ემსახურება "რამდენის" გაზომვას. დიდ ბრიტანეთში ONS- მა უნდა შექმნას მსკ-ს ერთი საზომი და ამას აკეთებს სამი მიდგომის - შემოსავლის, ხარჯების და გამოშვების გამოყენებით - საბოლოო მაჩვენებელი ასახავს სამივე სიდიდეს. თეორიულად ეს სიდიდეები უნდა იყოს ერთმანეთის ტოლი, მაგრამ პროცესი მილიონობით ტრანზაქციას და ინფორმაციის შეგროვებას მოიცავს და, სავარაუდოდ, ისინი არასდროს დაემთხვევა ერთმანეთს.

წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც ვინმეს სახლში აქვს გარკვეული სამუშაოები შესასრულებელი, მაგალითად, ოთახის შელესვა. სახლის მესაკუთრის მიერ გადახდილი სამუშაოს მთლიანი ფასი შეიძლება იყოს 1500 ფუნტი სტერლინგი - ეს უნდა წარმოადგენდეს სამუშაოში გამოყენებული რესურსების ჯამს. მლესავმა შეიძლება განაცხადოს „მისი უდიდებულესობის შემოსავლებსა და საბაჟოზე“ (HMRC), რომელიც პასუხისმგებელია დიდი ბრიტანეთის გადასახადების შეგროვებაზე, რომ ნამუშევარი არის მხოლოდ 1200 ფუნტი სტერლინგის ღირებულების (საშემოსავლო გადასახადის გადახდის თავიდან აცილება - უკანონოა, მაგრამ ამის მიუხედავად ხდება), და გამოყენებული რესურსები შეიძლება მოიცავდა თაბაშირ-მუყაოს, თაბაშირს, ელექტროობას, ვედროებს, ლურსმნებს, წყალს, ჯოხებს, მშენებლების სავაჭრო ობიექტებში მისასვლელ სამგზავრო ხარჯებს და ა.შ. ამ უბრალო მაგალითის მეშვეობითაც კი ადვილია იმის მიხვედრა, რომ რთულია თვალყური ადევნო მუშაობის პროცესში ჩართულ თითოეულ ნივთს!

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომელი წელი აირჩევა საბაზოდ რეალური მსკ-ს გამოსათვლელად. 2004 წლის დასაწყისამდე ONS იყენებდა მეთოდს, რომელსაც უწოდებდნენ "ფიქსირებულ საბაზო აგრეგატებს". მაგალითად, შესაძლოა მონაცემების შესადარებლად საბაზო წლად არჩეულიყო 1995 წელი. ამასთან, სტატისტიკის სამსახური ნებისმიერი სტატისტიკური მაჩვენებლის დასათვლელად, რისთვისაც საჭიროა საბაზო წლის არჩევა, მნიშვნელოვანია გაითვალისწინებოდეს გარემოებების ცვალებადობა. მაგალითად, 1995 წელს გავრცელებული საქონელი შეიძლება აღარც არსებობდეს. ამჟამად ბაზარზე არსებობდეს ისეთი პროდუქტები, რომლებიც იმ დროს არ იყო ხელმისაწვდომი - მაგალითად, DVD.

ზოგადად, რაც უფრო ხშირად მოხდება საბაზო წლის განახლება, მით უფრო ზუსტი იქნება სტატისტიკური მაჩვენებლები.

მსპ-ს დაანგარიშებისას *ფიქსირებული საბაზო აგრეგატები* შემდეგნაირად იქნა გამოყენებული. ეკონომიკის სხვადასხვა ნაწილის ზრდამ წონა მიანიჭა ამ ნაწილებს, მსპ-ს საბოლოო მაჩვენებლის გაანგარიშებისას საბაზო წლად 1995 წელი იქნა გამოყენებული, რათა დადგენილიყო თითოეული ნაწილის წონა. ამის შემდეგ საბაზო წლის განახლება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ხდებოდა.

მეთოდი, რომელსაც **"წლიური ჯაჭვური კავშირი"** ეწოდება, გამოიყენება ამ პრობლემების გადასაღებად. იმის ნაცვლად, რომ ხუთ წელიწადში განახლოთ საბაზო წელი, ეს მეთოდი ყოველწლიურად აკეთებს ამას წინა წლების ფასების (PYP) გამოანგარიშებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილავთ „მსპ (CVM)-ს“; სადაც CVM ნიშნავს ჯაჭვური მოცულობის ზომებს, განსხვავებით მუდმივ ფასებში გამოხატული მსპ-სგან. ONS და სხვა სტატისტიკური სერვისები მუდმივად ცდილობენ განახლოთ თავიანთი მეთოდები უფრო საიმედო და ზუსტი მონაცემების მისაღებად და ეს მეთოდების ასეთი მცდელობის ერთ-ერთი მაგალითია.

**წლიური ჯაჭვური კავშირი** - მსპ-ს მოცულობის გაზომვის მეთოდი წინა წლის ფასებზე დაყრდნობით.

ცხრილი 1.2 გვიჩვენებს ჯაჭვური კავშირის მეთოდის მუშაობის მაგალითს. ჩვენ გამოვიყენებთ წინა მაგალითს, რომელშიც ეკონომიკა აწარმოებს ვაშლს და კარტოფილს 2016 და 2017 წლებში შემდეგი ფასებით და რაოდენობით.

**ცხრილი 1.2. ჯაჭვური კავშირი**

2016 ნომინალური მსპ =  $(100 \times \text{€}1) + (50 \times \text{€}2) = \text{€}200$

2017 ნომინალური მსპ =  $(150 \times \text{€}2) + (100 \times \text{€}3) = \text{€}600$

თუ 2016 მიჩნეული იქნება საბაზო წლად, 2016 წლის ფასებში გამოსახული 2017 წლის გამოშვება იქნება:

2016: ნომინალური მსპ = რეალური მსპ = €200

2017: რეალური მსპ =  $(150 \times \text{€}1) + (100 \times \text{€}2) = \text{€}350$

რეალური მსპ-ს პროცენტული ცვლილება =  $\left(\frac{350 - 200}{200}\right) \times 100 = 75\%$

ჯაჭვურად შეწონილი რეალური მსპ-ს გამოსათვლელად გამოიყენება საშუალო ფასები დროის მოცემულ მონაკვეთში:



$$\text{ვაშლის საშუალო ფასი 2016 და 2017 წლებში} = \frac{(\text{€} + \text{€})}{2} = \text{€}1.50$$

$$\text{კარტოფილის საშუალო ფასი 2016 და 2017 წლებში} = \frac{(\text{€} + \text{€})}{2} = \text{€}2.50$$

$$\text{2016 წლის საშუალო ფასებით გაანგარიშებული მსპ} = (100 \times \text{€}1.50) + (50 \times \text{€}2.50) = \text{€}275$$

$$\text{2017 წლის საშუალო ფასებით გაანგარიშებული მსპ} = (150 \times \text{€}1.50) + (100 \times \text{€}2.50) = \text{€}475$$

$$\text{ჯაჭვურად შეწონილი მსპს პროცენტული ცვლილება} = \left( \frac{(\text{€}4 - \text{€}2)}{2} \right) \times 100 = 72.7\%$$

$$\text{მსპ დეფლატორი} = \left( \frac{\text{ნომინალური მსპ}}{\text{რეალური მსპ}} \right) \times 100$$

$$\text{2016 წლის მსპ დეფლატორი} = \left( \frac{2}{2} \right) \times 100 = 100$$

$$\text{2017 წლის მსპ დეფლატორი} = \left( \frac{\text{€}}{3} \right) \times 100 = 171.4$$

$$\text{მსპ დეფლატორის პროცენტული ცვლილება} = 71.4\%$$

ჯაჭვურად შეწონილი საბაზო წელი იქნება შუა წერტილი ამ ორ წელიწადს შორის.

$$\text{ჯაჭვურად შეწონილი 2016 წლის მსპ დეფლატორი} = \left( \frac{\text{ნომინალური მსპ(2)}}{\text{რეალური მსპ(2) საშუალო ასებით}} \right) \times 100 = \left( \frac{2}{2} \right) \times 100 = 72.7$$

$$\text{ჯაჭვურად შეწონილი 2017 წლის მსპ დეფლატორი} = \left( \frac{\text{ნომინალური მსპ(2)}}{\text{რეალური მსპ(2) საშუალო ასებით}} \right) \times 100 = \left( \frac{\text{€}}{4} \right) \times 100 = 126.3$$

$$\text{ჯაჭვურად შეწონილი მსპ დეფლატორის პროცენტული ცვლილება} = \left( \frac{(1 - .3 - 7.7)}{7.7} \right) \times 100 = 73.7\%$$

მონაცემთა ანალიზის თვალსაზრისით, ის მცირე განსხვავებას უნდა იძლეოდეს, მაგრამ მისი აღიარება საშუალებას იძლევა უფრო მეტად დარწმუნდეთ, რომ მონაცემები უფრო ზუსტი და საიმედოა წინა მაჩვენებლებთან შედარებით. ოფიციალური მონაცემების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოებულია ჯაჭვურად შეწონილი მონაცემების გამოყენებით.

## მსპ-ს როგორც კეთილდღეობის საზომის ნაკლოვანებები

მსპ კეთილდღეობის კარგ საზომად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ექვეყნე აყენებს კეთილდღეობის საზომად მისი გამოყენების საკითხს. კრიტიკოსები

ვარაუდობენ, რომ ის ორიენტირებულია მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობასა და შემოსავალზე. ისინი ამტკიცებენ, რომ არსებობს ბევრი რამ, რაც არ იზომება მსპ-ით, მაგრამ ხელს უწყობს ცხოვრების ხარისხისა და ეკონომიკურ კეთილდღეობის ამაღლებას. მაგალითად, ბავშვების ჯანმრთელობა, ან მათი განათლების ხარისხი, ან კიდევ პოეზიის შექმნა და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ მსპ შეიძლება არ არის ეკონომიკური კეთილდღეობის სრულყოფილი საზომი, მაგრამ უფრო დიდი მსპ-ს მქონე ქვეყნებს აქვთ უკეთესი ჯანდაცვის, უკეთესი საგანმანათლებლო სისტემის ქონის შესაძლებლობა და აქვთ საშუალება ასწავლიან უფრო მეტ მოქალაქეს პოეზიის კითხვა და ა.შ. მსპ არ ითვალისწინებს ჩვენს ინტელექტს, პატიოსნებას, გამბედაობასა და სიბრძნეს, მაგრამ ყველა ეს საამაყო თვისება უფრო ადვილი მისაღწევია, როდესაც ადამიანები ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ შეძლონ პირველადი საჭიროების საგნების შექმნა. მოკლედ რომ ვთქვათ, მსპ პირდაპირ არ ზომავს იმ კეთილდღეობას, რაც სიცოცხლეს უფრო ღირებულს ხდის, მაგრამ ის ზომავს ჩვენს შესაძლებლობას შევუქმნათ ადამიანებს ღირსეული ცხოვრების პირობები.

ზოგიერთი რამ, რაც მნიშვნელოვანია ცხოვრების ხარისხის გასაანალიზებლად მსპ-ს მიღმა დარჩენილი. ესენია:

- 1) **დასვენება.** დავუშვათ, ეკონომიკაში მოულოდნელად ყველამ დაიწყო მუშაობა კვირაში შვიდი დღე და უარი თქვა შაბათ-კვირას დასვენებით მიღებულ სიამოვნებაზე. შეიქმნება მეტი საქონელი და მომსახურება, შესაბამისად გაიზრდება მსპ. მსპ-ს ზრდის მიუხედავად, არ უნდა დავასკვნათ, რომ კეთილდღეობა გაუმჯობესდა. შემცირებული დასვენების შედეგად გაჩენილი დანაკარგი გადააჭარბებს მეტი რაოდენობის საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების შედეგად მიღებულ სარგებელს.
- 2) **სახლში მუშაობა და მოხალისეობა.** იმის გამო, რომ მსპ იყენებს საბაზრო ფასებს საქონლისა და მომსახურების ღირებულების დასადგენად, ეს გამორიცხავს მასში იმ საქმიანობის ღირებულების გათვალისწინებას, რომელიც ცდება ბაზრების საზღვრებს. კერძოდ, მსპ გამოტოვებს სახლში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას. მოხალისეობრივი მუშაობა ასევე ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას, მაგრამ მსპ არ ასახავს ამ წვლილს.
- 3) **გარემოს ხარისხი.** წარმოიდგინეთ, რომ მთავრობამ გააუქმა ყველა გარემოსდაცვითი რეგულაცია. ფირმებს შეეძლებათ საქონლისა და მომსახურების წარმოება მათ მიერ შექმნილი დაბინძურების გათვალისწინების გარეშე და შესაძლოა მსპ გაიზარდოს. მიუხედავად ამისა, კეთილდღეობა, სავარაუდოდ, შემცირდება. ჰაერისა და წყლის ხარისხის გაუარესებით გაჩენილი დანაკარგები გადააჭარბებს წარმოების ზრდიდან მიღებულ სარგებელს.
- 4) **შემოსავლების განაწილება.** საზოგადოებას, რომელშიც 100 ადამიანს აქვს წლიური შემოსავალი 50 00 ევრო და მსპ 5 მლნ ევროა, გასაკვირი არ არის, რომ

მსპ მოსახლეობის ერთ სულზე იყოს 50 000 ევრო. აქვე წარმოვიდგინოთ საზოგადოება, რომელშიც 10 ადამიანიდან თითოეული 500 000 ევროს შოულობს და 90 ადამიანი - საერთოდ არაფერს. შეიძლება ვინმემ ამ ორ სიტუაციას ექვივალენტური უწოდოს. მსპ ერთ ადამიანზე გვიჩვენებს, თუ რა შემოსავალი აქვს საშუალოდ ერთ ადამიანს, მაგრამ საშუალო მაჩვენებლის მიღმა დგას მნიშვნელოვანი ეკონომიკური და, შესაბამისად, სოციალური განსხვავება. ამ შემთხვევაში მსპ არ გვაძლევს ინფორმაციას შემოსავლის განაწილების შესახებ.

## ბედნიერების ეკონომიკა

ნათელია, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში განვითარებული ქვეყნების სიმდიდრის, შემოსავლების, მატერიალური საქონლისა და სერვისების მასობრივი გაზრდის მიუხედავად, ჩვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე არ შეცვლილა. მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა აჩვენა "ბედნიერების" შედარებით სტაბილური დონე მდიდარ ქვეყნებში. პროფესორებმა რიჩარდ ლაიარდმა, ენდრიუ ოსვალდმა, სტივენ ნიკელმა, რობერტ სკიდელსკიმ, ტიმ ბესლიმ, უილ ჰატონმა და ქვევითი ეკონომიკის წარმომადგენლებმა შეისწავლეს ეს პარადოქსი. ლეიარდი აცხადებს, რომ დასავლურ საზოგადოებებთან მიმართებაში: "საშუალოდ, ადამიანები არ არიან იმაზე ბედნიერები, ვიდრე ორმოცდაათი წლის წინ იყვნენ", (ლეიარდი, რ. (2005) ბედნიერება: გაკვეთილები ახალი მეცნიერებიდან. ლონდონი. „პინგვინი“.).

ფსიქოლოგებმა და ეკონომისტებმა დაადგინეს, რომ სტატისტიკური მონაცემები იმის მიხედვით იცვლება, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები საკუთარ ბედნიერებას და როგორ რეაგირებენ გარემოში მომხდარ ცვლილებებზე. შედეგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ბედნიერების განსაზღვრას, მაგრამ ის ასევე დამოკიდებულია ადამიანის უნარზე და მსოფლმხედველობაზე.

ლეიარდმა განსაზღვრა რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ ადამიანის „ბედნიერებას“. მან აღნიშნა, რომ ბედნიერების პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტორია სექსი, სოციალიზაცია, დასვენება, ლოცვა, თაყვანისცემა ან მედიტაცია, ჭამა, ვარჯიში, ტელევიზორის ყურება და შოპინგი. სხვა კვლევების თანახმად - ინდივიდუალური განათლების დონე, ჯანმრთელობა, დაოჯახებულობა, მარტოხელობა ან განქორწინებულობა, შემოსავლის დონე, სამუშაო / უმუშევრობა / პენსიონერობა, ადამიანების მისწრაფებები და განცდები. ყველაფერი ეს შეიძლება იყოს ბედნიერების ხელშემწყობი ფაქტორი.

ასეთი მახასიათებლების საფუძველზე შეიძლება ჩაიწეროს განტოლებები, რომლებიც სტატისტიკურად მიუახლოვდება კეთილდღეობის იდეალურ საზომს. ეს განტოლებები გამოიყენეს როგორც ეკონომისტებმა, ასევე ფსიქოლოგებმა და აღმოაჩინეს, რომ ისინი მართლაც საოცრად ეფექტიანია. ბედნიერების ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი

წარმომადგენელია პროფესორი ენდრიუ ოსვალდი, რომელიც მოღვაწეობს უორვიკის უნივერსიტეტში. ოსვალდი გვთავაზობს შემდეგ ფორმულას:

$$W_{it} = \alpha + \beta X_{it} + \varepsilon_{it}$$

ამ ფორმულაში,  $W$  არის ინდივიდუალური კეთილდღეობა მოცემულ დროში,  $X$  წარმოადგენს ცვლადების კრებულს, რომლებიც გავლენას ახდენენ კეთილდღეობაზე კონკრეტულ დროში. ეს შეიძლება იყოს ეკონომიკური, მაგალითად, შემოსავალი, ან დემოგრაფიული მაგალითად, სქესი. საბოლოო  $\beta$  არის ცდომილების ცვლადი, რომელიც გამოიყენება იმისთვის, რომ არ დავაკვირდეთ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ საბოლოო შედეგზე.

ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბედნიერების დონეზე, უფრო წონადია, ვიდრე წარმოვიდგენთ. სავარაუდოა თქვენმა მშობლებმა განაცხადონ, რომ მათ დროში ყველაფერი განსხვავებული იყო და "ამ დროში ხალხს ბევრად მეტი აქვს". ეს სიმართლეა, თუმცა მომდევნო თაობას მეტის მოლოდინი უჩნდება. თუ თქვენმა მშობლებმა შეძლეს შუა ასაკის მიღწევისას კომფორტული Jaguar- ის ყიდვა, თქვენ შესაძლოა ჩამოგიყალიბდეთ მოლოდინი, რომ ასეთი მანქანის ყოლა ნორმაა და იმედოვნებთ, რომ ეს შეიძლება იყოს თქვენი პირველი მანქანა და ა.შ.

ლეიარდი ვარაუდობს, რომ საზოგადოების უკმაყოფილება იმის შედეგია, თუ როგორ ვითარდება იგი ნულოვანი თამაშის შესაბამისად. ის გულისხმობს, რომ ჩვენ შეიძლება სულ უფრო და უფრო მეტად დავუპირისპირდეთ ერთმანეთს სტატუსის მოსაპოვებლად იმ თამაშში, რომელშიც არსებობს გამარჯვებული და დამარცხებული. თუ მე ვიპოვი მაღალ თანამდებობას დიდი ხელფასით, მაღალი სტატუსით და შენ დაკარგავ მსგავს სამუშაოს - ან საერთოდ ვერ შეძლებ მსგავსი სამუშაოს მიღებას, თავს უბედურად იგრძნობ. ცხოვრების ასეთი აღქმა, როგორც ნულოვანი თანხის თამაში, ცუდი შედეგების მომტანია. ეს ასახავს *პოზიციური გარეგანი ეფექტების* იდეას.

თუ ჩვენ ვიცით ის ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ვინმეს „გაბედნიერებას“ და ასევე ვიცით, რომ ამჟამინდელი საზოგადოება არ არის საუკეთესო ამის ასახვისთვის, მაშინ გონივრული იქნება კეთილდღეობის უკეთესი საზომის მოძებნა და დიფინიცია. ერთ-ერთი ასეთი იდეაა გამოვიყენოთ *საოჯახო პროგრესის საზომი*. სპს ითვალისწინებს ბევრ ფაქტორს, რომელიც შეიძლება დავაკავშიროთ ეკონომიკურ ზრდასთან, მაგრამ მხედველობაში იღებს ეკონომიკური ზრდის ფარდობით ეფექტებს და სხვა ფაქტორებს. მსპ-ს გაანგარიშებები არ ითვალისწინებს, მაგალითად, ჩატარებული საოჯახო სამუშაოს, რომელიც კეთილდღეობის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია. ის ასევე ააშკარავებს იმ უარყოფით გარეგან ეფექტებს, რაც გავლენას ახდენს სოციალურ და გარემოზე, მაგალითად, დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების შემცირება, დანაშაულის ხარჯები და ოჯახის დანგრევა.

კეთილდღეობის განსხვავებულ მაჩვენებლებს გვთავაზობენ ჯეიმს ტობინი და უილიამ ნორდჰაუსი. ესენია: *მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდექსი და რეალური პროგრესის ინდიკატორი.*

## პირადი კეთილდღეობის მაჩვენებლები

მსკ-ს ზოგიერთი ნაკლოვანების გათვალისწინებისა და კეთილდღეობის შესახებ ჩატარებულ რამდენიმე კვლევაზე დაყრდნობით სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს მონაცემებს, რომლებიც სუბიექტური და ობიექტური კეთილდღეობის გაზომვას ემსახურება. ONS ბრიტანეთში ერთ-ერთი ასეთი ორგანოა. მან გამოაქვეყნა მოხსენებები 2012 წლიდან დიდ ბრიტანეთში პირადი კეთილდღეობის შესახებ ოთხი „მაღალი დონის“ მაჩვენებლის და 41 მნიშვნელოვანი მაჩვენებლის გამოყენებით. ანგარიში მომზადებულია 165 000 ადამიანის გამოკითხვის შედეგად. მოცემული ოთხი „მაღალი დონის“ მაჩვენებელია:

1. მთლიანობაში, რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი დღევანდელი ცხოვრებით?
2. საერთო ჯამში, რამდენად გრძნობთ იმას, რასაც თქვენს ცხოვრებაში აკეთებთ?
3. საერთო ჯამში, რამდენად ბედნიერად გრძნობდით თავს გუშინ?
4. საერთო ჯამში, რამდენად შემფოთებულად გრძნობდით თავს გუშინ?

პასუხები მოცემულია 0 – დან 10 – მდე დიაპაზონში. 10 არის „სრულად“ და 0 არის „საერთოდ არა“. მნიშვნელოვანი მაჩვენებლები მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა პირადი ჯანმრთელობა და ფინანსები, გარემო, ურთიერთობები, განათლება და უნარები, ეკონომიკა და მენეჯმენტი. ONS იმედოვნებს, რომ ანგარიშები ეროვნულ კეთილდღეობის სხვა მაჩვენებლებს, მაგალითად, მსკ-ს შეავსებს. იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიში მხოლოდ 2012 წლიდან ქვეყნდება, გრძელვადიანი ტენდენციების დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა. მაგრამ აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - არსებობს კავშირი ხსენებულ კეთილდღეობასა და ეკონომიკის მდგომარეობას შორის.

სხვა სამსახურები, როგორცაა Eurostat და OECD, ასევე ავითარებენ კეთილდღეობის სტატისტიკას. Eurostat– ის ცხოვრების ხარისხის ინდიკატორები მოიცავს ONS– ის ანგარიშების მსგავს კატეგორიებს და მონაცემებს მატერიალური საცხოვრებელი პირობების, სამუშაოს, ჯანმრთელობის, განათლების, დასვენებისა და სოციალური ურთიერთობების, ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოების, მმართველობისა და ძირითადი უფლებების, ბუნებრივი და საცხოვრებელი გარემოს, ცხოვრების საერთო პირობების შესახებ.

## საერთაშორისო განსხვავებები მსკ-ში და ცხოვრების ხარისხი

მსკ მონაცემები გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის კეთილდღეობის შედარების ბაზად. მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს მსკ-ს აბსოლუტურად განსხვავებული დონე აქვთ მოსახლეობის ერთ სულზე.

**ცხრილი 1.3 მსპ, სიცოცხლის ხანგრძლივობა და განათლება**

ცხრილში მოცემულია მსპ მოსახლეობის ერთ სულზე (იზომება აშშ დოლარებში) და ცხოვრების ხარისხის ორი მაჩვენებელი 13 ქვეყნისთვის.

ქვეყანა	მსპ მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარებში) (2015)	სიცოცხლის ხანგრძლივობა (მამაკაცები და ქალები) (2013)	წიგნიერების მაჩვენებელი (% 15 წელს ზემოთ მოსახლეობაში) (2013)
აშშ	54 629	79	99
გერმანია	47 627	81	99
გაერთიანებული სამეფო	45 603	81	99
რუსეთი	12 735	71	100
მექსიკა	10 230	77	94
ბრაზილია	11 384	74	91
ჩინეთი	7 594	75	94 (2010)
ინდონეზია	3 492	71	93 (2011)
ინდოეთი	1 595	66	69 (2011)
პაკისტანი	1 334	67	57 (2012)
ბანგლადეში	1 092	71	60
მოზამბიკა	602	50	51(2012)
ნიგერია	427	58	15 (2012)

**წყარო: World Bank and UNICEF**

ცხრილში ასევე მოცემულია სიცოცხლის ხანგრძლივობა და განათლება. ეს მონაცემები იძლევა ნათელ სურათს. მდიდარ ქვეყნებში, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში ადამიანების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 –80 წელია და თითქმის ყველას შეუძლია კითხვა. ღარიბ ქვეყნებში, როგორცაა ნიგერი, მოზამბიკი, ბანგლადეში და პაკისტანი,, ადამიანებს, როგორც წესი, ელის ბევრად უფრო ხანმოკლე ცხოვრება და წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის წილიც შედარებით დაბალია.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ხარისხის სხვა ასპექტების შესახებ არსებული მონაცემები ნაკლებად სრულყოფილია, ისინი გვიჩვენებენ, რომ დაბალი მსპ-ს მქონე ქვეყნებს აქვთ ახალშობილთა და დედათა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი, ბავშვებისთვის არასაკმარისი საკვები და ნაკლებად უსაფრთხო სასმელი წყალი. ქვეყნებში, სადაც დაბალი მსპ-ა, სკოლაში უფრო ნაკლები ბავშვი სწავლობს და მოსწავლეები ნაკლები მასწავლებლებისგან იღებენ განათლებას. ამ ქვეყნებში ასევე ნაკლები ტელევიზორი, ტელეფონი და კეთილმოწყობილი გზაა და ნაკლები საოჯახო მეურნეობა იყენებს ელექტრო ენერგიას.

## დასკვნა

ამ თავში განხილულია, თუ როგორ ზომავენ ეკონომისტები კეთილდღეობას. მაკროეკონომიკის შესწავლის უმეტესი ნაწილი, რომელსაც ამ წიგნის დანარჩენ ნაწილში განვიხილავთ, ემსახურება ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი დინამიკის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენას. მაგალითად, რატომ განიცდის ეკონომიკათა უმეტესობა რყევებს? რატომ არის ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორც ინფლაცია, უმუშევრობა, საპროცენტო განაკვეთი და გაცვლითი კურსი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კეთილდღეობის დასადგენად? რისი გაკეთება შეუძლიათ მთავრობებს მსკ-ს უფრო სწრაფი ტემპით გაზრდისთვის? რისი გაკეთება შეუძლიათ პოლიტიკოსებს მსკ-ს რყევების სიმძიმის შესამცირებლად? ეს ის კითხვებია, რომლებზეც უახლოეს მომავალში ვიმსჯელებთ.

მიუხედავად იმისა, რომ მსკ ეკონომიკური კეთილდღეობის კარგი საზომია, არ უნდა დაგვავიწყდეს ამ მაჩვენებლის ნაკლოვანებები და, ასევე ისიც, რომ ზოგადი ეკონომიკური კეთილდღეობა შემოსავლის გარდა შეიძლება მოიცავდეს სხვა ფაქტორებსაც.

## ახალი ამბებიდან

### კეთილდღეობა

*ONS ყოველწლიურად აქვეყნებს მოხსენებას სახელწოდებით "პირადი კეთილდღეობა დიდ ბრიტანეთში". ამ წყაროში განხილულია ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც განვითარდა 2015 წელს და მოიცავდა ანგარიშს 2014/15 ფინანსური წლისთვის.*

### პირადი კეთილდღეობა დიდ ბრიტანეთში

ONS-ის ანგარიშმა აჩვენა, რომ პირადი კეთილდღეობა ყოველწლიურად უმჯობესდება 2012 წლის პირველი მოხსენების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ განიცდიდა 2007-08 წლების ფინანსური კრიზისისა და შემდგომი რეცესიის გავლენას. მოხსენებაში ჩანს, რომ შემცირდა მოსახლეობის შემფოთების დონე, რაც შეიძლება ნაწილობრივ განპირობებული იყო ქვეყანაში საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით. ლონდონი და სამხრეთ-აღმოსავლეთი დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ ცენტრად ითვლება, სადაც მოსახლეობის ერთ სულაზე შემოსავლის უფრო მაღალი დონე ფიქსირდება, ვიდრე ქვეყნის სხვა ნაწილებში. თუმცა კეთილდღეობის ანგარიშმა აჩვენა, რომ ლონდონში მოსახლეობას კეთილდღეობის საშუალო დონე ჰქონდა დიდი ბრიტანეთის მასშტაბით. შესაძლოა ეს ხაზს უსვამს მსკ-ს, როგორც კეთილდღეობის ერთადერთ საზომთან დაკავშირებით არსებულ კრიტიკას, რადგან შემოსავლის მაღალი დონე ყოველთვის არ განაპირობებს ბედნიერებას.

*არსებობს ბევრი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის კეთილდღეობაზე.*

ლონდონში ოთხი „მაღალი დონის“ მაჩვენებლიდან, ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელი 7,6 დაფიქსირდა, იმის შეგრძნება, რომ ის, რასაც აკეთებს ცხოვრებაში, ღირებულია 7,8 და იყო თუ არა ბედნიერი გუშინ, 7,5. მოხსენებით დადგინდა, რომ წინა



წლებთან შედარებით ეს მაჩვენებლები მცირედით გაიზარდა. მაჩვენებელში - „საერთო ჯამში, რამდენად შემოფოთებულად გრძნობდით თავს გუშინ?“ 10-დან 2,9 ქულა დაფიქსირდა, რაც ნაკლებია წინა წლის შედეგებთან შედარებით.

მოხსენებაში შემოთავაზებულია პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესების რამდენიმე მიზეზი. ეს ნაწილობრივ უკავშირდება ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესებას რეცესიის შემდეგ და უმუშევრობის შემცირებას, მაგრამ ასევე აღნიშნულია, რომ ბედნიერების დონე შეიძლება დაეცეს სწრაფი ცვლილებების პერიოდში. ფინანსური კრიზისი კი სწორედ ასეთ სწრაფ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს.

იორკშირში და ჰამბერში დაფიქსირდა კეთილდღეობის განსხვავებული შედეგები. ამ ორ რეგიონში არ დაფიქსირებულა კეთილდღეობის

მაღალი დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ინგლისის ჩრდილო-დასავლეთით დაფიქსირდა ყველაზე მაღალი საშუალო გაუმჯობესება პირველი სამი „მაღალი დონის“ მაჩვენებლით. იგივე მაჩვენებლებით, უელსში არ დაფიქსირებულა არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ რეგიონებში უმუშევრობის მაღალმა დონემ შეიძლება გარკვეულწილად ახსნას კეთილდღეობის გაუმჯობესების არარსებობა. ამის საპირისპიროდ, ჩრდილოეთ ირლანდიას ჰქონდა ცხოვრებით კმაყოფილების უმაღლესი ნიშნული, ოთხივე მაჩვენებლის მიხედვით.

**კითხვები**

1. რას ფიქრობთ პირადი კეთილდღეობის ანგარიშზე და, თქვენი აზრით, რატომ აქვეყნებს ONS ამ ანგარიშს?
2. თქვენი აზრით, რომელია კეთილდღეობის უკეთესი მაჩვენებელი - პირადი კეთილდღეობის ანგარიში თუ მსპ?



3. ფიქრობთ თუ არა, რომ ოთხი „მაღალი დონის“ მაჩვენებლიდან პირველი სამი ყოველთვის უნდა იზრდებოდეს და მეოთხე კი მცირდებოდეს? რატომ?

4. თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა რეგიონში ეკონომიკური კეთილდღეობის სხვადასხვა დონე დაფიქსირდა?

5. თქვენი აზრით, რამდენად მისაღებია პირადი კეთილდღეობის ანგარიშის კეთილდღეობის საზომად გამოყენება ეკონომიკაში? რამდენად სარწმუნოა მათი შედეგები თქვენთვის?

წყარო: Personal Well-being in the UK 2014/15. Office for National Statistics.  
[http://www.ons.gov.uk/ons/dcp171778\\_417216.pdf](http://www.ons.gov.uk/ons/dcp171778_417216.pdf). Accessed 29th November 2015.

## შეჯამება

- ვინაიდან ყველა გარიგებას ჰყავს როგორც მყიდველი, ასევე გამყიდველი, ეკონომიკის მთლიანი ხარჯები და ეკონომიკის მთლიანი შემოსავალი ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს.
- მსპ ასახავს მიმდინარე პერიოდში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე გაღებულ მთლიან ხარჯებს და, აგრეთვე, ამ საქონლისა და მომსახურების წარმოებიდან მიღებულ მთლიან შემოსავალს. უფრო ზუსტად, მსპ ყველა იმ საბოლოო საქონლისა თუ მომსახურების საბაზრო ღირებულებას, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში.
- მსპ ოთხი კომპონენტისგან შედგება: მოხმარება, ინვესტიციები, სახელმწიფო შესყიდვები და წმინდა ექსპორტი. მოხმარება შეიცავს საოჯახო მეურნეობების მიერ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს, ახალი საცხოვრებლის შესამენად დახარჯული თანხის გარდა. ინვესტიციებში შედის ახალი მოწყობილობებისა და შენობების ხარჯები, ოჯახების მიერ ახალი საცხოვრებლის შექმნისას გადახდილი თანხის ჩათვლით. სამთავრობო შესყიდვები შეიცავს ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობების ხარჯებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე. წმინდა ექსპორტი უცხოელთა მიერ სამამულო წარმოების საქონელზე დახარჯული თანხებისა (ექსპორტი) და ქვეყნის რეზიდენტების მიერ უცხოურ საქონელზე დახარჯული თანხების (იმპორტი) სხვაობაა.
- ნომინალური მსპ საქონლისა და მომსახურების წარმოების შეფასებისთვის მიმდინარე ფასებს იყენებს, რეალური მსპ კი - საქონლისა და მომსახურების წარმოების შეფასებისთვის მუდმივ, საბაზო წლის ფასებს. მსპ დეფლატორი - ნომინალური მსპ-სა და რეალური მსპ-ს ფარდობაა და ეკონომიკაში არსებული ფასების საერთო დონეს ასახავს.
- მსპ ეკონომიკური კეთილდღეობის კარგი მაჩვენებელია, თუმცა არა სრულყოფილი. ის არ შეიცავს არალეგალური საქმიანობის დანახარჯებს და შემოსავლებს, ასევე არ ასახავს იმ ეკონომიკური საქმიანობის ღირებულებას, რაც ბაზრის საზღვრებს გარეთ ხორციელდება. მაგალითად, დიასახლისობას, ბავშვის მოვლას და მოხალისეობრივ სამუშაოებს.

- მსკ-ს ნაკლოვანებების გამო, რიგი მთავრობები ხელს უწყობენ სტატისტიკის სამსახურებს ეკონომიკური კეთილდღეობის სხვა მაჩვენებლების გამოყენებაში, რომელიც შეიცავს კეთილდღეობის როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ მაჩვენებლებს - როგორ გრძნობენ ადამიანები თავს ცხოვრების არსებულ პირობებში.

## კითხვები განხილვისთვის

1. ახსენით რატომ უნდა იყოს ეკონომიკის შემოსავლები და დანახარჯები ერთმანეთის ტოლი?
2. რას ნიშნავს ტერმინი „მსკ მოსახლეობის ერთ სულზე“ და როგორ გამოითვლება ის?
3. რას ექნება უფრო მეტი წონა მსკ-ში მანქანის წარმოებას თუ ძვირადღირებული მანქანის წარმოებას? რატომ?
4. მცხოვრილი ფერმერისგან ყიდულობს ხორბალს 2 ევროდ, ამ ხორბალს ის იყენებს პურის გამოსაცხობად, რომელსაც შემდგომ 3 ევროდ ყიდის. სულ რამდენი ევროთი იზრდება მსკ ამ ოპერაციების შესრულების შედეგად?
5. წლების წინ ამანდამ 500 ევროდ შეიძინა ვინილის ფირფიტების კოლექცია. დღეს მან აღნიშნული ფირფიტები 100 ევროდ გაყიდა. რა გავლენას მოახდენს ეს ოპერაცია მიმდინარე წლის მსკ-ზე?
6. ჩამოთვალეთ მსკ-ს ოთხი კომპონენტი. მოიყვანეთ მაგალითი თითოეული მათგანის საილუსტრაციოდ.
7. რატომ თვლიან ეკონომისტები, რომ რეალური მსკ ეკონომიკური კეთილდღეობის უკეთესი მაჩვენებელია ვიდრე ნომინალური მსკ?
8. 2017 წელს ეკონომიკა აწარმოებს 100 პურს და თითოეული იყიდება 2 ევროდ. 2018 წელს ეკონომიკა აწარმოებს 200 პურს, თითოეული ღირს 3 ევრო. გამოთვალეთ ნომინალური მსკ, რეალური მსკ, მსკ დეფლატორი თითოეული წლისათვის (2017 წელი აირჩიეთ საბაზო წლად). რას უდრის თითოეული ამ მაჩვენებლის პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით?
9. რა ნაკლოვანებები გააჩნია მსკ-ს როგორც ქვეყნიე ეკონომიკური კეთილდღეობის საზომს?
10. რა განსხვავებაა სუბიექტურ და ობიექტურ კეთილდღეობას შორის და როგორ შეიძლება ამ მაჩვენებლების გამოყენება კეთილდღეობის გაზომვის მეთოდების სრულყოფისათვის?

## პრობლემები და სავარჯიშოები

1. მსკ-ს რომელ კომპონენტებზე მოახდენს გავლენას შემდეგი მოქმედებები?

- ა. ოჯახი ყიდულობს ახალ მაცივარს.
- ბ. დეიდა ჯეინი ყიდულობს ახალ სახლს.
- გ. ასტონ მარტინი ყიდის DB7-ს საკუთარი კოლექციიდან.
- დ. თქვენ ყიდულობთ პიცას.
- ე. მთავრობა აკეთებს ახალ საავტომობილო გზას.
- ვ. ჰონდა ახალ საწარმოს ხსნის დერბში, ინგლისში.

2. მსკ-ს „სახელმწიფო შესყიდვების“ კომპონენტში არ შედის ტრანსფერული გადასახდელები. დაფიქრდით მსკ-ს განმარტებაზე. რატომ არ შეიცავს ის ტრანსფერულ გადასახდელებს?
3. რატომ შედის საოჯახო მეურნეობის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლის შექმნა მსკ-ს ინვესტიციების კომპონენტში მოხმარების ნაცვლად? საოჯახო მეურნეობის მიერ კიდევ რისი შექმნა შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციების კომპონენტის ნაწილად?
4. მსკ-ში არ შედის იმ მეორადი საქონლის ღირებულება რომელიც მოხმარების შემდეგაა გაყიდული. აქცევს თუ არა ეს ფაქტი მსკ-ს კეთილდღეობის ნაკლებად ეფექტიან საზომად?
5. ცხრილში მოცემულია რძისა და თაფლის ბაზარი.

წელი	რძის ფასი (€)	რძის რაოდენობა (ლიტრი)	თაფლის ფასი (€)	თაფლის რაოდენობა (ლიტრი)
2016	1	100	2	50
2017	1	200	2	100
2018	2	200	4	100

ა. დაიანგარიშეთ ნომინალური მსკ, რეალური მსკ, და მსკ დეფლატორი თითოეული წლისათვის, 2016 წლის საბაზო წლად არჩევით.

ბ. გამოთვალეთ ნომინალური მსკ-ს, რეალური მსკ-ს და მსკ დეფლატორის პროცენტული ცვლილება 2017-დან 2018 წლამდე.

გ. გაიზარდა თუ არა ეკონომიკური კეთილდღეობა 2017 წლიდან 2018 წლამდე? ახსენით.

6. თუ ფასები გაიზარდება, ადამიანთა შემოსავლებიც გაიზარდება. ამის მიუხედავად რეალური მსკ-ს გაანგარიშებისას ეს ფაქტი უგულებელყოფილია. თუ ასეა, რატომ თვლიან ეკონომისტები, რომ რეალური მსკ კეთილდღეობის უკეთესი მაჩვენებელია ვიდრე ნომინალური?
7. ერთ დღეს ბორისის სალონმა თმის შეჭრიდან მიიღო 400 ევროს ოდენობის შემოსავალი. ამ დღის მანძილზე დანადგარების ამორტიზაციის ხარჯებმა შეადგინა

50 ევრო. დარჩენილი 350 ევროდან ბორისმა მთავრობას გადაუხადა 30 ევროს ოდენობის გადასახადო, 220 ევრო მან სახლში წაიღო ხელფასის სახით, 100 ევრო კი გადაიხადა სალონისთვის ახალი მოწყობილობის შესაძენად. 220 ევროდან მან 70 ევრო გადაიხადა კომუნალურ გადასახადებში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვალეთ ბორისის შეტანილი წვლილი შემდეგ სიდიდეებში:

ა. მსპ.

ბ. წმინდა ეროვნული პროდუქტი

გ. ეროვნული შემოსავალი.

დ. პირადი შემოსავალი

ე. განკარგვადი პირადი შემოსავალი.

**8.** ხანდახან ეკონომისტები კეთილდღეობის საზომად მსპ-ს ნაცვლად მეპ-ს ანიჭებენ უპირატეობას. რომელი მაჩვენებლის გამოყენებაა უფრო ეფექტიანი ქვეყნის რეზიდენტების მთლიანი შემოსავლის გასაზომად? რომელი მაჩვენებლის გამოყენებაა უფრო ეფექტიანი თუ გვსურს მთლიანი ეკონომიკური აქტივობის გაზომვა?

**9.** იმის გათვალისწინებით, რომ მსპ-ს როგორც კეთილდღეობის საზომს, აქვს გარკვეული ნაკლოვანებები, იქნება თუ არა უკეთესი მსპ-ს გაანგარიშებისას გათვალისწინებული იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური კეთილდღეობა?

**10.** გასული სამი ათწლეულის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა ქალთა წილი ეკონომიკურ აქტივობაში.

ა. თქვენი აზრით, როგორ იმოქმედა ამ ცვლილებამ მსპ-ს სიდიდეზე?

ბ. წარმოიდგინეთ, რომ საოჯახო საქმიანობის შედეგად გაწეული სამუშაოს აღრიცხვა ხდება კეთილდღეობის გაზომვისას. როგორ შეცვლიდა ეს ცვლილება მსპ-ს სიდიდეს?

## თემა 2. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა

ადამიანები იღებენ ხელფასს, ყიდულობენ საქონელს და მომსახურებას, რაც მათ საარსებოდ სჭირდებათ. ამ საქონლისა და მომსახურების ფასი განსაზღვრავს მათ მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების რაოდენობას. დროთა განმავლობაში ფასები იცვლება ისე, როგორც ხელფასები და რთულია დროის ყოველ მოცემულ მონაკვეთში მათი თანაფარდობის დადგენა. **ცხოვრების ღირებულება** გულისხმობს თუ რამდენი ფული სჭირდება ადამიანს ცხოვრების გარკვეული სტანდარტების შესანარჩუნებლად. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 1900 წელს გაზეთ "თაიმსის" ფასი იყო 1,2 პენსი, ლუდისა და რძის ყიდვა 1 პენსზე ნაკლებად შეიძლებოდა, ხოლო ათი ახალი კვერცხის პაკეტის ფასი 6,9 პენსი იყო. 1930 წელს დიდ ბრიტანეთში საცხოვრებელი სახლის საშუალო ფასი 590 ფუნტი სტერლინგი იყო, ხოლო ერთი პურის ფასი დაახლოებით 3 პენსი (1 ფუნტი = 100 პენსი). XXI საუკუნის დასაწყისში ფასების საშუალო დონე 66-ჯერ მეტი იყო 1900 წელთან შედარებით. თანამედროვე პირობებში 1900-იანი წლების დასაწყისთან შედარებით ფასებისა და ხელფასების მნიშვნელოვანი ცვლილებების პირობებში რთულია ცხოვრების დონის ცვლილების განსაზღვრა.

**ცხოვრების ღირებულება** - ცხოვრების სტანდარტების შენარჩუნების მიზნით აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შეძენისთვის საჭირო ფულის რაოდენობას.

ეკონომიკაში, დროის გარკვეულ მონაკვეთში, საქონლისა და მომსახურების ფასების დაფიქსირება იძლევა ფასების დონეს. იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება ფასების დონე დროთა განმავლობაში, შეიძლება განვსაზღვროთ ფასების დონის შეცვლის სიჩქარე. ფასების დონის და, შესაბამისად, დროთა განმავლობაში ცხოვრების ღირებულების ცვლილების გასარკვევად, უნდა ვიპოვოთ რაიმე ხერხი, რომელიც ფულად მაჩვენებლებს სამომხმარებლო შესაძლებლობის მაჩვენებლებად გადააქცევს და მოახდენს მათ შედარებას. აღნიშნულ პროცედურას ახორციელებს სტატისტიკის სამსახური სამომხმარებლო ფასების ინდექსის - **სფი-ს (CPI)** მაჩვენებლის განსაზღვრით.

სფი გამოიყენება დროთა განმავლობაში ცხოვრების ღირებულების ცვლილებაზე დაკვირვებისათვის. როდესაც სფი იზრდება, ტიპური ოჯახი ხარჯავს უფრო მეტ ფულს ცხოვრების ერთი და იგივე დონის შესანარჩუნებლად. ეკონომისტები იყენებენ ტერმინს **ინფლაცია** იმ სიტუაციის აღსაწერად, როდესაც ეკონომიკაში ფასების საერთო დონე იზრდება, ხოლო **დეფლაცია** ხდება მაშინ, როდესაც ფასების საერთო დონე ეცემა. ინფლაციის მაჩვენებელი არის ფასების პროცენტული ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით.

## სამომხმარებლო ფასების ინდექსი სფი - (CPI)

**სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი)** არის ტიპური მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულების მაჩვენებელი. ყოველთვიურად, სამთავრობო ორგანო (დიდ ბრიტანეთში ეროვნული სტატისტიკის ოფისი (ONS) და ევროპაში, Eurostat) ანგარიშობს და აქვეყნებს სამომხმარებლო ფასების ინდექსს.

**სამომხმარებლო ფასების ინდექსი** - ტიპური მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულება.

## როგორ ითვლიან სამომხმარებლო ფასების ინდექსს

ამ მაჩვენებლის სტრუქტურის გასაგებად, განვიხილოთ მარტივი ეკონომიკა, რომელშიც მომხმარებლები ყიდულობენ მხოლოდ ორ საქონელს - სალათსა და ბურგერებს. ცხრილი 21.1 აჩვენებს ხუთ ნაბიჯს, რომელსაც ONS და Eurostat მიჰყვებიან (მაგალითისთვის ჩვენ გამოვიყენებთ ONS-ს, თუმცა პრინციპი ასახავს ფასების ცვლილებების გაზომვას მთლიანად ევროპაში).

1. **კალათის დაფიქსირება.** სფი-ს გამოთვლის პირველი ნაბიჯი არის იმის დადგენა, რომელი ფასებია ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპური მომხმარებლისთვის. თუ ტიპური მომხმარებელი უფრო მეტ სალათს ყიდულობს, ვიდრე ბურგერებს, მაშინ სალათის ფასი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბურგერების და, შესაბამისად, უფრო მეტი წონა უნდა მიენიჭოს ცხოვრების ღირებულების გაზომვაში. მომხმარებლების გამოკითხვის საფუძველზე, საქონლისა და მომსახურების კალათის მოძიებით, ONS ადგენს იმ წონებს, რომლითაც ტიპური მომხმარებელი კალათას ყიდულობს. 21.1

ცხრილის მაგალითში, ტიპიური მომხმარებელი ყიდულობს კალათას, რომელშიც შედის 4 სალათი და 2 ბურგერი.

2. **ფასების დადგენა.** მეორე ნაბიჯი არის კალათაში მოცემული თითოეული საქონლისა და მომსახურების ფასების დადგენა დროს თითოეული მონაკვეთისთვის. ცხრილში მოცემულია სალათისა და ბურგერების ფასები სამი განსხვავებული წლის მიხედვით..
3. **კალათის ღირებულების გამოთვლა.** მესამე ნაბიჯი არის ფასების შესახებ მონაცემების გამოყენება სხვადასხვა დროს საქონლისა და მომსახურების კალათის ღირებულების გამოსათვლელად. ცხრილი გვიჩვენებს ამ გაანგარიშებას სამი წლის განმავლობაში. ამ გაანგარიშებაში მხოლოდ ფასები იცვლება. კალათაში საქონლის რაოდენობების უცვლელობის პირობებში (4 სალათი და 2 ბურგერი). ჩვენ ვაცალკევებთ ფასების ცვლილებების ეფექტს ნებისმიერი რაოდენობრივი ცვლილების ეფექტისგან, რომელიც შეიძლება ერთდროულად მოხდეს.

## ცხრილი 2.1

### სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და ინფლაციის დონის გამოთვლა: მაგალითი

ცხრილში ნაჩვენებია, როგორ უნდა გამოვთვალოთ სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ინფლაციის დონე წარმოსახვით ეკონომიკაში, სადაც მომხმარებლები მხოლოდ სალათს და ჰამბურგერებს ყიდულობენ

#### საფეხური 1: მომხმარებლების გამოკითხვა სამომხმარებლო კალათის დაფიქსირების მიზნით

#### 4 სალათი და 2 ჰამბურგერი

#### საფეხური 2: თითოეული საქონლის ფასის დადგენა თითოეულ წელს

წელი	სალათის ფასი	ჰამბურგერის ფასი
2016	\$1	\$2
2017	2	3
2018	3	4

#### საფეხური 3: სამომხმარებლო კალათის ღირებულების გამოთვლა თითოეულ წელს

2016	$(\$1 \times 4 \text{ სალათი}) + (\$2 \times 2 \text{ ჰამბურგერი}) = \$8$
2017	$(\$2 \times 4 \text{ სალათი}) + (\$3 \times 2 \text{ ჰამბურგერი}) = \$14$
2018	$(\$3 \times 4 \text{ სალათი}) + (\$4 \times 2 \text{ ჰამბურგერი}) = \$20$

#### საფეხური 4: საბაზო წლის (2016) არჩევა და თითოეული წლისთვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოთვლა

2016	$(\$8/8) \times 100 = \$100$
2017	$(\$14/8) \times 100 = \$175$
2018	$(\$20/8) \times 100 = \$250$

**საფეხური 5: წინა წლის ინფლაციის დონის გამოთვლა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენებით**

2017	$(175-100) / 100 \times 100 = 75\%$
2018	$(250-175) / 175 \times 100 = 43\%$

4. **საბაზო წლის არჩევა და ინდექსის გამოთვლა.** მეოთხე ნაბიჯი არის საბაზო წლის, როგორც ეტალონის არჩევა და მასთან სხვა წლების შედარება. ინდექსის გამოსათვლელად, საქონლისა და მომსახურების კალათის ფასი ყოველ წელს იყოფა საბაზო წლის კალათის ფასზე და შემდეგ ეს კოეფიციენტი მრავლდება 100-ზე. შედეგად მიღებული სიდიდე არის სფი..

21.1 ცხრილის მაგალითში, 2016 წელი არის საბაზო წელი. ამ წელს სალათისა და ბურგერების კალათა 8 ევრო ღირს. ამიტომ, ყველა წლის განმავლობაში კალათის ფასი იყოფა 8 ევროზე და მრავლდება 100-ზე. 2016 წელს სფი არის 100. (საბაზო წელს ინდექსი ყოველთვის არის 100). 2017 წელს სფი არის 175. ეს ნიშნავს, რომ 2017 წელს კალათის ფასი არის საბაზო წლის ფასის 175 პროცენტი (ანუ გაიზარდა 75%-ით). სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქონლის კალათა, რომელიც საბაზო წელს 100 ევრო ღირს, 2017 წელს ღირს 175 ევრო. ანალოგიურად, 2018 წელს სფი არის 250%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ 2018 წელს ფასების დონე არის საბაზო წლის ფასის 250 პროცენტი.

5. **ინფლაციის დონის გამოთვლა.** მეხუთე და ბოლო ეტაპია სფი-ს გამოყენება ინფლაციის დონის გამოსათვლელად, რაც წინა პერიოდთან შედარებით ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილებაა, ანუ ინფლაციის დონე ზედიზედ ორი წლის განმავლობაში გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\text{ინფლაციის დონე მეორე წელს} = 100 \times \frac{(\text{C I მეორე წელს} - \text{C პირველ წელს})}{\text{C პირველ წელს}}$$

ჩვენი მაგალითის მიხედვით, ინფლაციის დონე 2017 წელს არის 75% და 2018 წელს 43%.



$$C \text{ პირველ წელს} = \frac{\text{სამომხმარებლო კალათის ღირებულება პირველ წელს}}{\text{სამომხმარებლო კალათის ღირებულება საბაზო წელს}}$$

ინფლაციის დონე გამოთვლილია ფორმულით:

$$\text{ინფლაციის დონე } t \text{ წელს} = 100 \times \frac{(\text{ფასების ინდექსი } t \text{ წელს} - \text{ფასების ინდექსი } t - 1 \text{ წელს})}{\text{ფასების ინდექსი } t - 1 \text{ წელს}}$$

**ინფლაციის დონე** - ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მაგალითი ამარტივებს რეალურ სამყაროს მისი ორი საქონლით შემოსაზღვრით, იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ანგარიშობენ სტატისტიკის ოფისები სფი-ს და ინფლაციის დონეს. ოფისები ყოველთვიურად აგროვებენ და ამუშავებენ მონაცემებს ათასობით საქონლისა და მომსახურების ფასების შესახებ და ხუთი ზემოხსენებული ნაბიჯის გათვალისწინებით, განსაზღვრავენ, რამდენად სწრაფად იზრდება ცხოვრების ხარჯები ტიპური მომხმარებლისთვის. სფი-ს გარდა, სტატისტიკის სამსახურები ასევე ითვლიან ფასების ინდექსებს ცალკეული კატეგორიებისთვის - „საქონელი“ და „მომსახურება“, აგრეთვე **მწარმოებლის ფასების ინდექსს - მფი (PPI)**, რომლებიც ზომავენ ფირმების და არა მომხმარებლების მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების კალათის ფასებს. იმის გამო, რომ ფირმებს საბოლოოდ თავიანთ ხარჯები გადააქვთ მომხმარებლებზე უფრო მაღალი სამომხმარებლო ფასების სახით, მფი-ს ცვლილებების მიხედვით შესაძლებელი ხდება სფი-ის ცვლილებების პროგნოზირება.

**მწარმოებელთა ფასების ინდექსი** - იმ საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილების მაჩვენებელი, რომელსაც ფირმები ყიდულობენ.

## ცხოვრების ღირებულების გაზომვის პრობლემები

სფი-ს მიზანია ცხოვრების ღირებულების ცვლილებების გაზომვა - რამდენი უნდა გადაიხადოს ადამიანმა საქონლისა და მომსახურების შესაძენად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სფი ცდილობს შეაფასოს, რამდენად უნდა გაიზარდოს შემოსავალი, რომ ადამიანმა იგივე ცხოვრების დონე შეინარჩუნოს. დავუშვათ, 2016 წელს ინდივიდს კვირაში 120 ევროს ოდენობის შემოსავალი აქვს და მხოლოდ ბურგერებს ყიდულობს, თითოეულს 2 ევროდ. მისი ცხოვრების დონეა 60 ბურგერი კვირაში. 2017 წელს ბურგერების ფასი გაიზარდა 3

ევრომდე და შემოსავლის უცვლელობის პირობებში ახლა მას კვირაში მხოლოდ 40 ბურგერის შეძენის შესაძლებლობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდის ცხოვრების დონე დაეცა, რადგან მას ახლა უფრო ნაკლები ბურგერის მოხმარების საშუალება აქვს. იმისათვის, რომ მისი ცხოვრების დონე შენარჩუნდეს 60 ბურგერის ოდენობით, საჭიროა ამ ადამიანის შემოსავალი კვირაში 120 ევროდან 180 ევრომდე გაიზარდოს. თუ შემოსავლების ზრდა ფეხდაფეხ მიჰყვება ფასების ზრდას, მაშინ ინდივიდუალური ცხოვრების დონე არ შეიცვლება. თუ შემოსავლები სფი-ზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლით იზრდება, მაშინ ხდება ცხოვრების დონის შემცირება, ხოლო თუ შემოსავლები სფი-ზე უფრო სწრაფი ტემპით იზრდება - ხდება ცხოვრების დონის ამაღლება.

სფი არ წარმოადგენს ცხოვრების ღირებულების სრულყოფილ საზომს. საყოველთაოდაა აღიარებული ამ ინდექსთან დაკავშირებული სამი პრობლემა, თუმცა ძნელია მათი გადაჭრა.

**ჩანაცვლებისკენ სწრაფვა.** პირველ პრობლემას ჰქვია ჩანაცვლებისკენ სწრაფვა. ფასები წლიდან წლამდე არ იცვლება პროპორციულად: ზოგი ფასი მეტად იზრდება, ზოგი ნაკლებად. ფასების განსხვავებულ ცვლილებებზე მომხმარებლები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ - იმ საქონელს, რომელთა ფასები გაიზარდა, ნაკლები რაოდენობით ყიდულობენ და იმ საქონელს, რომელთა ფასები შემცირდა, უფრო მეტი რაოდენობით (რა თქმა უნდა, სხვადასხვა მომხმარებლები ფასების ცვლილებებზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ სწორედ მოთხოვნის ელასტიკურობის გამო). მომხმარებლები ჩანაცვლებენ შედარებით მეტად გამძვირებულ საქონლს შედარებით უფრო იაფი საქონლით. ვინაიდან ფასის ინდექსი გამოითვლება საქონლის ფიქსირებული კალათის საფუძველზე, ის უგულებელყოფს მომხმარებელთა ჩანაცვლებისაკენ სწრაფვას. ამის გამო, ინდექსი ცხოვრების ღირებულების გაცილებით მეტ ზრდას გვიჩვენებს, ვიდრე ამას სინამდვილეში აქვს ადგილი.

განვიხილოთ მარტივი მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ პირველ წელს ვაშლი უფრო იაფია, ვიდრე მსხალი და ამიტომ მომხმარებლები უფრო მეტ ვაშლს ყიდულობენ, ვიდრე მსხალს. როდესაც სტატისტიკის სამსახური სამომხმარებლო კალათას დაადგენს, ვაშლის წონა უფრო მეტი იქნება, ვიდრე მსხლის. დავუშვათ, რომ მომავალ წელს მსხალი უფრო იაფია, ვიდრე ვაშლი. მომხმარებლებმა ფასების ცვლილებებზე შეიძლება უპასუხონ იმით, რომ უფრო მეტი მსხალი და ნაკლები ვაშლი იყიდონ. მიუხედავად ამისა, სფი-ს გამოთვლისას, სტატისტიკის სამსახური იყენებს ფიქსირებულ კალათას, რაც ძირითადად, ითვალისწინებს, რომ მომხმარებლები ახლა აგრძელებენ ძვირადღირებული ვაშლის იმავე რაოდენობით შეძენას, როგორც ადრე. ამ მიზეზით, ინდექსი ასახავს მომხმარებლების ცხოვრების ხარჯების რეალურთან შედარებით გაცილებით უფრო სწრაფად ზრდას.

**ბაზარზე ახალი საქონლის შემოსვლა.** სფი-ს მეორე პრობლემაა ახალი საქონლის შემოსვლა ბაზარზე. ამ შემთხვევაში, მომხმარებელს უფრო ფართო არჩევანის შესაძლებლობა ეძლევა. უფრო მეტიც, მრავალფეროვნება თითოეულ ევროს ან ფუნტს უფრო მეტ

მსყიდველობით უნარს ანიჭებს. ამიტომ მომხმარებლებს ნაკლები ფული სჭირდებათ ცხოვრების გარკვეული დონის შესანარჩუნებლად. იმის გამო, რომ სფი ემყარება საქონლისა და მომსახურების ფიქსირებულ კალათს, ის არ ასახავს მსყიდველობითი უნარის ამ ცვლილებას.

მაგალითად, როდესაც ვიდეოპლევრები დაინერგა, მომხმარებლებს საყვარელი ფილმების სახლში ყურების შესაძლებლობა გაუჩნდათ. ამ ახალმა საქონელმა მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდა გამოიწვია სამომხმარებლო არჩევანის გაფართოებით. ცხოვრების ღირებულების სრულყოფილი ინდექსი ამ ცვლილებას ცხოვრების ღირებულების შემცირებით გამოხატავდა. თუმცა, სფი არ შემცირებულა ვიდეოპლევრების ბაზარზე შემოსვლის შემდეგ. საბოლოოდ, ONS-მა გადახედა საქონლის კალათას, რათა შეეტანა ვიდეოპლევრები, ხოლო შემდეგ ინდექსმა მათი ფასების ცვლილებები ასახა. დროთა განმავლობაში საჭირო გახდა ინდექსის გადასინჯვა, რათა გთვალისწინებულიყო ვიდეოს პოპულარობის შემცირების და DVD-ს პოპულარობის ზრდა, შემდეგ Blu-ray DVD და, სულ ახლახანს, ფილმების ჩამოტვირთვისა (downloading) და მისი ნაკადური გადაცემის პოპულარობის (streaming) ზრდა.

**ხარისხის ცვლილების გაუთვალისწინებლობა.** მესამე პრობლემა სფი-სთან დაკავშირებით არის ხარისხის ცვლილების გაუთვალისწინებლობა. თუ საქონლის ხარისხი წლიდან წლამდე უარესდება, ევროს ან ფუნტის მსყიდველობითი უნარი მცირდება მაშინაც კი, თუ საქონლის ფასი უცვლელი რჩება. ანალოგიურად, თუ ხარისხი წლიდან წლამდე იზრდება, ევროს ან ფუნტის მსყიდველობითი უნარი იზრდება. სტატისტიკის სამსახურები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გაითვალისწინონ ხარისხის ცვლილება. როდესაც კალათაში პროდუქტის ხარისხი იცვლება - მაგალითად, მანქანის ახალ მოდელს აქვს მეტი ცხენის ძალა ან უკეთეს საწვავს მოიხმარს - სტატისტიკის სამსახურები საქონლის ფასს აკორექტირებენ ხარისხის ცვლილების გათვალისწინებით. ისინი, არსებითად, ცდილობენ გაითვალისწინონ საქონლისა და მომსახურების ხარისხი კალათის ფასის დადგენისას.

კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ. 2004 წელს ONS-მა პირველად შეიტანა ციფრული კამერები სფი-ში. გარდა იმ პრობლემებისა, რომლებიც ინდექსში ახალი საქონლის შემოსვლამ განაპირობა, ციფრული კამერები ასევე ძალიან სწრაფ ტექნოლოგიურ პროგრესს განიცდიან - ისეთი თვისებები, როგორცაა მასშტაბირება (zoom) და მეგაპიქსელების რაოდენობა, სწრაფად ვითარდება და ციფრული კამერების გაყიდვებზე ახლა გავლენას სმარტფონებში ჩაშენებული კამერის ტექნოლოგიის განვითარება ახდენს. ამრიგად, ციფრული კამერის ან სმარტფონის საშუალო ფასი გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება იგივე დარჩეს, საშუალო ხარისხი კი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს. ONS ცდილობს ამის გამოსწორებას ჰედონური ხარისხის რეგულირების მეთოდით (hedonic quality adjustment). ეს გულისხმობს ციფრული კამერის საშუალო მახასიათებლების შემუშავებას (მაგ., ეკრანის ზომა, მეგაპიქსელების რაოდენობა, მასშტაბირების (zoom) თავისებურებები და ა.შ.) და ფასის კორექტირებას, როდესაც ამ საშუალო მახასიათებელიდან ერთ-ერთი იზრდება.

მიუხედავად ამ მცდელობებისა, ხარისხის ცვლილებები პრობლემად რჩება, რადგან ხარისხის გაზომვა ძალიან რთულია.

**სფი-ს რელევანტურობა (შესაბამისობა).** ინდექსის საბოლოო პრობლემა ის არის, რომ სფი-ს მიხედვით გაზომილი ინფლაცია ყოველთვის არ ასახავს ადამიანთა კონკრეტულ სიტუაციას. ეს იმიტომ ხდება, რომ მათი ინდივიდუალური დანახარჯები შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ მონაცემებს, რომელსაც ოფიციალური სტატისტიკური სტრუქტურები გვთავაზობს. მაგალითად, თუ ინდივიდი თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს დახარჯავდა საწვავზე და იპოთეკურ სესხებზე, ამ შემთხვევაში გაზის, ელექტროენერჯის, ბენზინისა და იპოთეკური სესხის განაკვეთების ფასების ზრდა არაპროპორციულ გავლენას მოახდენდა მის მიერ ინფლაციის აღქმულ გამოცდილებაზე. ინფლაციის ამ განსხვავებულმა აღქმამ შეიძლება გავლენა იქონიოს მოლოდინებზე.

იმის გამო, რომ ინდივიდებს აქვთ განსხვავებული აღქმა როგორც ინფლაციის, ასევე ინფლაციის მათზე გავლენის შესახებ, 2007 წელს ONS-მა გამოაქვეყნა პერსონალური ინფლაციის კალკულატორი (PIC). PIC საშუალებას აძლევს მომხმარებლებს შეიტანონ საკუთარი დეტალები, მაგალითად, რა არის მათი პირადი ყოველთვიური დანახარჯები, რამდენს ხარჯავენ ისინი საკვებზე, სადილზე, ალკოჰოლზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელებზე, ტრანსპორტის საწვავზე და ა.შ. გარდა ამისა, კალკულატორი ასევე ითვალისწინებს თანხის დანახარჯებს კომუნალური მომსახურებისთვის, ადგილობრივი გადასახადის გადახდისთვის, სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურებისათვის და არდადეგებისთვის.

ONS იმედოვნებს, რომ PIC დაეხმარება ინდივიდებს უფრო მეტად დაინტერესდნენ როგორ ხდება ინფლაციის გაანგარიშება და უკეთესად იცოდნენ, თუ როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს მათ ცხოვრებაში ფასების რეალობა ოფიციალურად გამოქვეყნებული მონაცემებისგან.

## ინფორმაციისთვის

### რა არის სფი-ს კალათში?

სფი-ს განსაზღვრისას, დიდი ბრიტანეთის ONS ცდილობს შეიტანოს ყველა საქონელი და მომსახურება, რომელსაც ტიპიური მომხმარებელი ყიდულობს. უფრო მეტიც, იგი ცდილობს შეაფასოს ეს საქონელი და მომსახურება იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით ყიდულობენ მომხმარებლები თითოეულ ნივთს. ONS დიდი ბრიტანეთის მასშტაბით ყოველთვიურად აგროვებს დაახლოებით 180 000 ფასს 700 საქონელზე და მომსახურებაზე დაახლოებით 150 რეგიონიდან, რომლებიც სავარაუდოდ წარმოადგენენ რეგულარულად გამოყენებულ საქონელსა და მომსახურებას. ყიდვის ჩვევების შეცვლის შედეგად, საქონლისა და მომსახურების კალათაც უნდა შეიცვალოს. ყოველწლიურად ONS-ს ცვლილებები შეაქვს

საქონლისა და მომსახურების კალათაში, რომლის საფუძველზეც გაიანგარიშება ინფლაციის მაჩვენებელი დიდ ბრიტანეთში. ONS-მა უნდა გაითვალისწინოს არამარტო საქონლისა და მომსახურების წარმომადგენლობითობა, არამედ ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები ტიპიური შინამეურნეობის საოჯახო ბიუჯეტში და იმ ბრენდების ხარისხის ცვლილება, რომლებიც მაღაზიებს შემოაქვთ.

ცხრილი 21.2-ში მოცემულია 2015 წელს სფი-ში შეტანილი პროდუქტების ძირითადი ჯგუფები.

დროთა განმავლობაში საკვებზე, თამბაქოსა და ალკოჰოლზე გაწეული დანახარჯი აღარ არის მნიშვნელოვანი შინამეურნეობის ბიუჯეტში. სამაგიეროდ საცხოვრებელი გახდა უფრო მნიშვნელოვანი, რაც შესაძლოა ასახავდეს ადამიანების ინტერესს საკუთარი სახლების ფლობის მიმართ (დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი ფლობს საკუთარ სახლებს, ევროპის სხვა ნაწილებისგან და აშშ-საგან განსხვავებით, სადაც საცხოვრებელი ფართის დაქირავება უფრო ხშირად ხდება, ვიდრე სახლების ყიდვა). ბოლო 30 წლის განმავლობაში გაიზარდა ხარჯები დასასვენებელ სერვისებზეც.

ზოგიერთი საქონელი და მომსახურება, რომლებიც აღარ არის წარმომადგენლობითი, ამოღებულია კალათიდან. ეს იზომება ამ საქონელზე და მომსახურებაზე დახარჯული თანხით. თუ მომხმარებელთა დანახარჯები საქონელზე ყოველწლიურად აღემატება 400 მილიონ ფუნტ სტერლინგს, ეს საქონელი ჩვეულებრივ შედის კალათაში, მაგრამ თუ დანახარჯები 100 მილიონზე ნაკლებია, მაშინ რაღაც განსაკუთრებული მიზეზი უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ ეს საქონელი კალათაში დარჩეს. ბოლო წლებში ეს შეეხებოდა მიკროტალღურ ღუმელებს, რომლებიც პირველად გამოჩნდა ინდექსში 1980-იან წლებში. ONS-ში ამბობენ, რომ ისინი კვლავ პოპულარულია, მაგრამ მათი საიმედოობა და ფასების დაცემა ნიშნავს, რომ მათზე დახარჯული თანხა შემცირდა და შედეგად, ისინი კალათიდან ამოიღეს. სხვა საგნებიც, რომლებიც ამოღებულია კალათიდან, მოიცავს ფირს 35 მმ-იანი კამერებისათვის (თავად კამერები ამოღებული იქნა 2007 წელს), ტოპ 40 სინგლს და ტელევიზორის შეკეთებას. იმის გამო, რომ ტექნოლოგია ცვლის ცხოვრების წესს, ONS ამბობს, რომ ადამიანები მუსიკის ჩამოტვირთვას ამჯობინებს, ვიდრე სინგლის ყიდვას, ხოლო ოჯახები ტელევიზორის შეცვლას ანიჭებენ უპირატესობას, ვიდრე მათ შეკეთებას.

**ცხრილი 2.2**

**CPI დაყოფა წონების მიხედვით 2014-2015 წლებში**

CPI დაყოფა	2014 წლის წონები (ათასის ნაწილი)	2015 წლის წონები (ათასის ნაწილი)	პროცენტული ცვლილება
------------	----------------------------------	----------------------------------	---------------------

			(%)
საკვები და არაალკოჰოლური სასმელი	112	110	-1.8
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	45	43	-4.4
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	72	70	-2
საბინაო ხარჯები (წყალი, ელ.ენერგია და სხვ)	129	128	-0.8
ფურნიტურა, ავეჯი და სხვ.	60	59	-1.7
ჯანდაცვა	24	25	4.2
ტრანსპორტი	152	149	-2.0
კომუნიკაციები	32	31	-3.1
რეკრეაცია და კულტურა	144	147	2.1
განათლება	22	26	18.2
რესტორანი და სასტუმრო	120	121	0.8
სხვა საქონელი და მომსახურება	88	91	3.4
სულ	1000	1000	
საქონელი და მომსახურება, რომელიც შედიოდა 2015 წლის სამომხმარებლო კალათში ელექტრო-სიგარეტის შევსება, კრაფტ-ლუდი, პროტეინის ფხვნილი, სათამაშო კონსოლები (მოწყობილობები), ონლაინ რეგისტრაცია და მუსიკის გამოწერა.			

## სამომხმარებლო ფასების ინდექსი - სფი (CPI), სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი -(Harmonized Index of Consumer Prices – HICP) და საცალო ფასების ინდექსი (Retail Prices Index -RPI)

2003 წლის ბოლომდე დიდ ბრიტანეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფასების გაზომვა საცალო ფასების ინდექსის (RPI) გამოყენებით. 2003 წლის დეკემბერში დიდი ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს კანცლერმა განაცხადა, რომ ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა ინფლაციას და ფასებს, დაკავშირებული იქნებოდა CPI-თან და არა RPI-სთან. ასე რომ, სფი-ს დინამიკა გახდა ინფლაციის მთავარი საზომი და შესაბამისობაში მოვიდა დანარჩენ ევროპასა და მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში არსებულ პრაქტიკასთან.

RPI აგებულია ზემოთ აღწერილი გზით და CPI-სგან განსხვავდება ძირითადად კალათაში შეტანილი საქონლით, მომსახურებით და მოიცავს შინამეურნეობებს. კერძოდ, CPI გამორიცხავს რიგ ნივთებს, რომლებიც შედის RPI-ში და ძირითადად დაკავშირებულია საცხოვრებელთან, როგორცაა მუნიციპალური გადასახადი (ადგილობრივი მთავრობის გადასახადი) და სახლის შესაძენად აღებული იპოთეკური სესხის პროცენტები. CPI -ში ეს პუნქტები გამორიცხულია, რადგან თუ მუნიციპალური გადასახადები ან საპროცენტო

განაკვეთების ზრდის გამო იპოთეკური სესხის გადასახადები მოიმატებს, მაშინ RPI-ით შეფასებული ინფლაციის დონეც გაიზრდება მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკაში ძირითადი ინფლაციური ზეწოლა შესაძლოა არც კი შეცვლილიყო. ასევე, CPI მოიცავს ყველა კერძო შინამეურნეობას, ხოლო RPI გამორიცხავს მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიან 4 პროცენტს და პენსიონერთა შინამეურნეობებს, რომელთა შემოსავლის მინიმუმ სამ მეოთხედს სახელმწიფო ტრანსფერები შეადგენს. CPI ასევე მოიცავს სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში მაცხოვრებლებს და დიდ ბრიტანეთში მყოფ უცხოელ სტუმრებს. ეს ნიშნავს, რომ მასში შეიტანება ზოგიერთი რამ, რომელიც არ შედის RPI-ში, მაგალითად საბროკერო გადასახადები, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლებში უცხოელი სტუდენტების განთავსებისა და სწავლის საფასური. აღნიშნული ინდექსები ასევე განსხვავდება ფასების გაზომვის ზოგიერთი წვრილმანი დეტალით (მაგალითად, ხარისხის კორექტირების შესაძლებლობით (allowance for quality adjustment)).

რა იყო CPI-ს შემოღების მიზეზები? მაგალითად ის, რომ ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, იგი უფრო ახლოს არის მაკროეკონომიკურ ანალიზში გამოყენებული ფასების საერთო დონის კონცეფციასთან. თუმცა სხვები ამტკიცებენ, რომ მან შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებლის ღირებულება არაზუსტი იქნება, თუ მას იპოთეკური გადასახადის პროცენტსა და მინიციპალურ გადასახადებს გამოვაკლებთ. ამასთან, ბრიტანეთის მიერ CPI-ს მიღების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მისი აგებულება ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებული CPI-ს სტრუქტურის იდენტურია. იმის გამო, რომ ფასების ეს ინდექსები ჰარმონიზებულია ქვეყნების მიხედვით, ისინი ევროპაში ცნობილია, როგორც სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსები, ანუ HICP. ეს საშუალებას იძლევა მოხდეს ინფლაციის დონის პირდაპირი შედარება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ასეთი შედარება შეუძლებელია სამომხმარებლო ფასების ეროვნული ინდექსების გამოყენებით ინდექსის მომცველობის და აგებულების სხვაობის გამო. დიდი ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკის ოფისის მიერ გამოქვეყნებული CPI, ფაქტობრივად, არის დიდი ბრიტანეთის HICP.


ნახაზი 21.1 გვიჩვენებს ინფლაციას 2014 წელს, რომელიც HICP-ის მიხედვით ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყნისთვის იზომება. როცა ერთიანი შეთანხმების საფუძველზე თითოეული ქვეყნისთვის მიღებული ფასების ინდექსი ცნობილია, ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ შევადაროთ ეს მაჩვენებლები.

---

## **ნახაზი 21.2**

### **HICP შედარებები, ევროკავშირის ქვეყნები, 2014 წ**

*ვერტიკალური ღერძი გვიჩვენებს პროცენტულ ცვლილებას 12 თვის განმავლობაში EU-ს 28 ქვეყნისთვის, 2014 წელს*



## მსკ დეფლატორი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ ეკონომიკაში ფასების საერთო დონის კიდევ ერთი მაჩვენებელი - მსკ დეფლატორი. მსკ დეფლატორი არის ნომინალური მსკ-ს შეფარდება რეალურ მსკ-თან. ვინაიდან ნომინალური მსკ არის მიმდინარე ფასებში გამოხატული პროდუქციის რაოდენობა, ხოლო რეალური მსკ - საბაზო წლის ფასებში გამოხატული პროდუქციის რაოდენობა, მსკ დეფლატორი ასახავს ფასების მიმდინარე დონეს საბაზო წლის ფასების დონესთან შედარებით.

ეკონომისტები და პოლიტიკოსები იმის შესაფასებლად, თუ რამდენად სწრაფად იცვლება ფასები, აკვირდებიან როგორც მსკ-ს დეფლატორს, ასევე სფი-ს. როგორც წესი, ორივე ეს მაჩვენებელი ერთსა და იმავე შედეგს იძლევა. თუმცა, მათ შორის არსებობს ორი მნიშვნელოვანი განსხვავება.

პირველი განსხვავება ისაა, რომ მსკ დეფლატორი ასახავს ადგილობრივი წარმოების ყველა საქონლისა და მომსახურების ფასებს, ხოლო სფი ასახავს მომხმარებლის მიერ შეძენილი ყველა საქონლისა და მომსახურების ფასებს. ვთქვათ, საფრანგეთის კოსმოსური ფირმის Dassault-ის მიერ წარმოებული და საფრანგეთის საჰაერო ძალებისთვის მიყიდული თვითმფრინავის ფასი იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავი საფრანგეთის მსკ-ს ნაწილია, ის არ არის ტიპიური მომხმარებლის მიერ ნაყიდი საქონლისა და მომსახურების



კალათის ნაწილი. ამ შემთხვევაში ფასების ზრდა აისახება საფრანგეთის მსკ-ს დეფლატორში, მაგრამ არა - საფრანგეთის სფი-ში.

განვიხილოთ მეორე მაგალითი. დავუშვათ, რომ Volvo აძვირებს მანქანების ფასს. იმის გამო, რომ Volvo დამზადებულია შვედეთში, მანქანა არ არის საფრანგეთის მსკ-ს ნაწილი. მაგრამ ფრანგი მომხმარებლები ყიდულობენ Volvo-ს და ამიტომ მანქანა წარმოადგენს ტიპიური მომხმარებლების კალათის საქონელს. შესაბამისად, იმპორტირებული მოხმარების პროდუქტზე ფასის ზრდა საფრანგეთში აისახება სფი-ში, მაგრამ არა - მსკ-ს დეფლატორში.

პირველი განსხვავება სფი-სა და მსკ-ს დეფლატორს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ნავთობის ფასი იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი გარკვეული ოდენობის ნავთობს აწარმოებს, ისევე როგორც კონტინენტური ევროპის ბევრ ქვეყანაში, დიდ ბრიტანეთში გამოყენებული ნავთობის დიდი ნაწილი ახლო აღმოსავლეთიდან შემოდის. შედეგად, ნავთობი და ნავთობპროდუქტები სამომხმარებლო ხარჯებში გაცილებით უფრო მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი, ვიდრე მსკ-ში. შესაბამისად, ნავთობის ფასის ცვლილება გაცილებით უფრო მეტად ცვლის სფი-ს, ვიდრე მსკ-ს დეფლატორს.

მეორე და უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება მსკ-ს დეფლატორსა და სფი-ს შორის ეხება იმას, თუ რა წონა ენიჭება სხვადასხვა ფასებს მათი საერთო დონის გამომხატველი ერთი მაჩვენებლის დადგენაში. სამომხმარებლო ფასების ინდექსში საქონლისა და მომსახურების უცვლელი კალათის ფასი შედარებულია საბაზო წლის ამავე კალათის ფასთან. სამომხმარებლო ფასების ინდექსისაგან განსხვავებით, მსკ დეფლატორში მიმდინარე პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასი შედარებულია საბაზო წლის ამავე საქონლისა და მომსახურების ფასთან.

ამრიგად, საქონლისა და მომსახურების ჯგუფი, რომელიც გამოიყენება მსკ-ს დეფლატორის გასაანგარიშებლად, დროთა განმავლობაში ავტომატურად იცვლება. ეს განსხვავება არ არის მნიშვნელოვანი, როდესაც ყველა ფასი პროპორციულად იცვლება. თუ სხვადასხვა საქონელზე და მომსახურებაზე ფასები განსხვავებულად იცვლება, მაშინ წონები გავლენას ახდენს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე.

ინფლაციის მაჩვენებლებს - მსკ დეფლატორს და სფი-ს ცვლილების ერთნაირი ტენდენციები აქვთ.

**შემოწმებისთვის:** მოკლედ განმარტეთ, რის გაზომვას ცდილობს CPI და როგორ ხდება მისი გაანგარიშება.

## ეკონომიკური ცვლადების კორექტირება ინფლაციის ეფექტის გათვალისწინებით

ეკონომიკაში ფასების საერთო დონის გაზომვის მიზანია დროის სხვადასხვა მონაკვეთში მონეტარული მაჩვენებლების შედარების შესაძლებლობა. ახლა, როცა ვიცით ფასების ინდექსების გაანგარიშება, ვნახოთ როგორ გამოვიყენებთ ამ ინდექსს წარსულის გარკვეული მაჩვენებლის შესადარებლად დღევანდელ მაჩვენებელთან.

### ფულის მაჩვენებლები დროის სხვადასხვა ინტერვალში

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფულის მაჩვენებლების შედარების მიზნით, უნდა ვიცოდეთ როგორც ისტორიული, ისე დღევანდელი ფასების დონე. ამ შედარებისთვის ჩვენ უნდა გადავითვალოთ ისტორიული ფასები დღევანდელ ვალუტაში. ფასების ინდექსი განსაზღვრავს ინფლაციის კორექტირების ზომას.

T წლის ევროს ან ფუნტის დღევანდელ ევროდ ან ფუნტად გარდაქმნის ფორმულა შემდეგნაირია (ვთქვათ, ფასების დონე დღეს და ფასების დონე T წელს იზომება იმავე საბაზისო წლის მიხედვით):

$$\frac{\text{დღევანდელი თანხის რაოდენობა}}{\text{ფუნტებში, ევროებში}} = \frac{\text{თანხის რაოდენობა}}{\text{T წლის ფუნტებში, ევროებში}} \times \frac{\text{ფასების დღევანდელი დონე}}{\text{ფასების დონე T წელს}}$$

სგი ზომავს ფასის დონეს და განსაზღვრავს ინფლაციის კორექციის ზომას. საილუსტრაციოდ ავიღოთ ბრიტანეთის პარლამენტის წევრების ხელფასი. თემთა პალატის საინფორმაციო ოფისის თანახმად, 1947 წელს იგი შეადგენდა 1000 ფუნტს წელიწადში. ONS-ის მიხედვით, 1947 წელს RPI იყო 28.9, ხოლო 2015 წლისთვის - 1018.6. ეს მონაცემები შევიტანოთ ფორმულაში:

$$2015 \text{ წლის ხელფასი } \pounds = 1947 \text{ წლის ხელფასი } \pounds \times \frac{\text{RPI 2015 წელს}}{\text{RPI 1947 წელს}}$$

$$2015 \text{ წლის ხელფასი} = \pounds 1000 \times \left( \frac{1018.6}{28.9} \right)$$

$$2015 \text{ წლის ხელფასი} = \pounds 35\,230$$

როგორც ვხედავთ, 1947 წელს დეპუტატისთვის გადახდილი ხელფასი 1000 ფუნტი სტერლინგი 2015 წლის ფუნტი სტერლინგებით უდრის 35 230-ს. რეალურად, 2015 წელს

დეპუტატის ძირითადი წლიური ანაზღაურება იყო 74 000 ფუნტი სტერლინგი. როგორც ვხედავთ, 2015 წელს ინგლისის პარლამენტის წევრის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 1947 წელს მისი კოლეგის ცხოვრების დონესთან შედარებით.

## ინდექსაცია

ფასების ინდექსები გამოიყენება სხვადასხვა პერიოდის ფულადი მაჩვენებლების შედარებისას ინფლაციის ეფექტის კორექტირებისათვის. ამ ტიპის კორექტირება ეკონომიკაში ხშირია. როდესაც გარკვეული თანხის ოდენობა კანონით ან ხელშეკრულებით ავტომატურად კორექტირდება ინფლაციის გათვალისწინებით, ითვლება, რომ თანხა ინდექსირებულია ინფლაციის მიხედვით. მაგალითად, ფირმებსა და პროფკავშირებს შორის მრავალი გრძელვადიანი კონტრაქტი მოიცავს ხელფასის ნაწილობრივ ან სრულ ინდექსირებას სფი-ს მიხედვით. ასეთ მდგომარეობას ეწოდება საარსებო მინიმუმზე დანამატი - cost-of-living allowance, ანუ COLA. COLA ყოველწლიურად ამაღლებს ხელფასს სფი-ს ან იმ მაჩვენებლის საფუძველზე, როგორცაა RPI.

**ინდექსაცია** - ინფლაციის ტემპის მიხედვით თანხების ავტომატური კორექტირება მთავრობის შესაბამისი კანონის საფუძველზე.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები (Income Tax Brackets) ყოველწლიურად იცვლება ინფლაციის შესაბამისად, თუმცა, უმეტეს ქვეყნებში, ისინი ოფიციალურად არ არის ინდექსირებული.

## ინფლაციის შესწორება (კორექტირება)

### ქეისის განხილვა

რომელი იყო ყველა დროის ყველაზე პოპულარული ფილმი? პასუხმა შეიძლება გაგაოცოთ. ფილმის პოპულარობა ჩვეულებრივ იზომება მსოფლიო კინოთეატრების სალარო აპარატების მონაცემებით (ბილეთების გაყიდვებით). ამ მაჩვენებლის მიხედვით, 2016 წლის დასაწყისისთვის, „ავატარი“ (Avatar -გამოვიდა 2009 წელს) ნომერ პირველი ფილმი იყო, რომლის შემოსავალი 2,79 მლრდ დოლარს შეადგენა. შემდეგ მოდის „ტიტანიკი“ (Titanic -1993 წელი, შემოსავალი 2,19 მლრდ დოლარი), „ვარსკვლავური ომები“ ( Star Wars: The Force Awakens -2015 წელი, \$ 2.01 მლრდ დოლარი) გადავიდა მესამე ადგილზე; 2015 წელს გამოშვებული „იურული სამყარო“ (Jurassic World) იყო მეოთხე ადგილზე, \$ 1.67 მლრდ დოლარის შემოსავალით, შემდეგ მოდის „მარველის შურისმაძიებლები“ (Marvel's The Avengers -2012 წელი) 1,52 მლრდ დოლარის შემოსავალით, „განრისხებული 7“ (Furious 7 -2015 წელი) (1,52 მლრდ დოლარი), „ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები“ ( Harry Potter and the Deathly Hallows), ნაწილი 2 (2011) - \$1.34 მლრდ, „გაყინული“ (Frozen 2013 წ.) 1,28 მლრდ დოლარის შემოსავალით; მეათეზე გავიდა „ რკინის კაცი 3“ (Iron Man 3 -2013 წელი) \$ 1,21 მ დოლარის შემოსავალით. მაგრამ ამ რეიტინგში იგნორირებულია აშკარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტი - რომ ფასები, მათ შორის კინოთეატრების ბილეთების, დროთა განმავლობაში იზრდება. როდესაც ჩვენ ვაკორექტირებთ სალარო აპარატების მონაცემებს ინფლაციის მიხედვით, მდგომარეობა ძალიან განსხვავებულია.

ცხრილი 21.4 გვიჩვენებს ყველა დროის ფილმების ათეულს, რომლებიც რანჟირებულია მსოფლიო სალაროს შემოსავლების მიხედვით აშშ დოლარებში ინფლაციის გათვალისწინებით. 1977 წელს გამოშვებული ორიგინალი „ვარსკვლავური ომები“ (Star Wars) მეორე ადგილზეა, „მუსიკის ჰანგები“ (The Sound of Music) - მესამეზე, ხოლო ყველა დროის ნომერ პირველი ფილმი, ამერიკის სამოქალაქო ომის დრამა „ქარწალებულნი“ (Gone with the Wind, ინფლაციის შესწორებით - 1,757 მლრდ დოლარი) გამოვიდა უსწრებს „ავატარს“, რომლის შემოსავალი, ინფლაციით კორექტირების შედეგად \$846 მილიონია, ათეულშიც კი არ შედის და მე-15 ადგილს იკავებს. გასული საუკუნის 30-იან წლებში, სანამ საკუთარ სახლში ტელევიზორები ყველას არ ჰქონდა, კინოთეატრში დასწრება სამჯერ ან ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე დღეს არის. მაგრამ ამ ეპოქის ფილმები პოპულარობის რეიტინგში იშვიათად ჩნდება, რადგან ბილეთების ფასები დღეს არსებულ ფასებზე გაცილებით ნაკლებია.

### ცხრილი 2.4

ყველა დროის უპოპულარულესი ფილმები ინფლაციის გათვალისწინებით

ფილმები	გამოშვების წელი
ქარწაღებულნი (Gone with the Wind)	1939
ვარკვლავთა ომები (Star Wars)	1977
მუსიკის ჰანგები (The Sounds of Music)	1965
უცხოპლანეტელი (E.T)	1982
ათი მცნება (The Ten Commandments)	1956
ტიტანიკი (Titanic)	1997
ყბები (Jaws)	1975
ექიმი ჟივაგო (Doctor Zhivago)	1965
ეგზორცისტი (The Exorcist)	1967
ვიფქია და შვიდი ჯუჯა (Snow White and the Seven Dwarfs)	1937


## რეალური და ნომინალური სარგებლის განაკვეთები<sup>1</sup>

ინფლაციის გავლენის შედეგად ეკონომიკური ცვლადების კორექტირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და გარკვეულწილად რთულია, როდესაც ვაკვირდებით სარგებლის (საპროცენტო) განაკვეთების მონაცემებს. პროცენტიან ანგარიშზე შეტანილი დანაზოგი იძლევა ანაზღაურებას არსებული საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე და პირიქით, როდესაც ადამიანები ბანკიდან ფულს სესხულობენ სხვადასხვა შესყიდვების

<sup>1</sup> Interest Rate - სარგებლის განაკვეთი იგივეა, რაც საპროცენტო განაკვეთი.

დასაფინანსებლად, მაგალითად, ავტომობილის შესაძენად, ამისთვის სესხზე იხდიან სარგებლის (საპროცენტო) განაკვეთს. სარგებლის (საპროცენტო) განაკვეთი წარმოადგენს მომავალში გადასახდელს წარსულში დარიცხული თანხისთვის. შედეგად, საპროცენტო განაკვეთები ყოველთვის გულისხმობს თანხების შედარებას დროის სხვადასხვა მონაკვეთში. საპროცენტო განაკვეთების სრულყოფილად გასაგებად უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ ხდება მათი კორექტირება ინფლაციის გავლენის შედეგად.

განვიხილოთ მაგალითი. დავუშვათ, რომ კარლამ ბანკში შემნახველ ანგარიშზე შეიტანა 1000 ევრო. წლის ბოლოს კარლა სარგებლის სახით იღებს 100 ევროს და შეუძლია ბანკიდან გამოიტანოს 1100 ევრო. შეიძლება ვთქვათ, რომ წლის ბოლოს კარლა 100 ევროთი უფრო მდიდარი გახდა? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია ინფლაციის წლიურ დონეზე. თუკი 1 წლის მანძილზე ინფლაცია 10%-ით გაიზარდა, კარლას მსყიდველობითი უნარიანობა უცვლელი რჩება. თუ ინფლაციის დონე 4 პროცენტი იყო, მაშინ კარლას მსყიდველობითი უნარიანობა მხოლოდ 6%-ით არის გაზრდილი. თუ ინფლაციის მაჩვენებელი 15 პროცენტი იყო, მაშინ მსყიდველობითი უნარიანობა 5%-ით არის შემცირებული. სარგებლის განაკვეთს, რომელსაც შემნახველი ანგარიში იხდის, ეწოდება **სარგებლის ნომინალური განაკვეთი**, ხოლო სარგებლის განაკვეთი, რომელიც კორექტირებულია ინფლაციის მიხედვით, არის **სარგებლის რეალური განაკვეთი**. სარგებლის ნომინალური განაკვეთს, სარგებლის რეალური განაკვეთსა და ინფლაციას შორის კავშირი შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:

სარგებლის რეალური განაკვეთი დროის მოცემულ მომენტში = სარგებლის ნომინალური განაკვეთი დროის მოცემულ მომენტში - ინფლაციის დონე დროის მოცემულ მომენტში.

$$r_t = i_t - \pi_t$$

სარგებლის რეალური განაკვეთი არის სხვაობა სარგებლის ნომინალურ განაკვეთსა და ინფლაციის მაჩვენებელს შორის. სარგებლის ნომინალური განაკვეთი გვიჩვენებს რამდენად სწრაფად იზრდება ფუნტის ან ევროს რაოდენობა მოქალაქის საბანკო ანგარიშზე დროთა განმავლობაში. სარგებლის რეალური განაკვეთი კი გვიჩვენებს, რამდენად სწრაფად იზრდება მოქალაქის საბანკო ანგარიშის მსყიდველობითი უნარი.

**სარგებლის ნომინალური განაკვეთი** - განაკვეთი, რომელიც ჩვეულებრივ არ არის კორექტირებული ინფლაციის ცვლილების მიხედვით.


**სარგებლის რეალური განაკვეთი** - განაკვეთი, რომელიც კორექტირებულია ინფლაციის მიხედვით.

ნახაზი 2.2 გვიჩვენებს სარგებლის ნომინალურ განაკვეთს, ინფლაციის დონეს და სარგებლის რეალურ განაკვეთს. როგორც ვხედავთ, სარგებლის რეალური და ნომინალური განაკვეთები ყოველთვის არ მოძრაობენ ერთად. მაგალითად, 1970-იანი წლების ბოლოს სარგებლის ნომინალური განაკვეთები მაღალი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ინფლაცია მას აჭარბებდა, სარგებლის რეალური განაკვეთი უარყოფითი გახდა. ამის მსგავსად, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, სარგებლის რეალური განაკვეთები, გაცილებით უფრო დაბალი დონის მიუხედავად, ასევე უარყოფითი იყო. ეს ნიშნავს, რომ ინფლაცია უფრო სწრაფად ანადგურებს ადამიანთა დანაზოგებს, ვიდრე სარგებლის ნომინალური განაკვეთების ზრდა. ამის საწინააღმდეგოდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში სარგებლის ნომინალური განაკვეთები დაახლოებით 5.0 პროცენტს შეადგენდა, მაგრამ ინფლაციის შედარებით დაბალი დონის გამო, სარგებლის რეალური განაკვეთებიც შედარებით დაბალი იყო.

## ნახაზი 2.2

### რეალური და ნომინალური სარგებლის (საპროცენტო) განაკვეთები

ეს ნახაზი გვიჩვენებს ინფლაციის დონეს (PI), სარგებლის ნომინალურ და რეალურ განაკვეთების საშუალო წლიურ ცვლილებებს 1976-დან 2014 წლამდე. სარგებლის ნომინალური განაკვეთი არის სამთვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი. სარგებლის რეალური განაკვეთი არის ნომინალურ სარგებლის განაკვეთს მინუს წლიური ინფლაციის მაჩვენებელი, რომელიც იზომება RPI- ით.



**შემოწმებისთვის:** რატომ არის მნიშვნელოვანი ინფლაციის გათვალისწინება ხელფასების ზრდისა და ნებისმიერი ფინანსური ინვესტიციიდან მიღებული შემოსავლის გამოთვლის დროს?

## დასკვნა

უახლესი ისტორიის მანძილზე ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ქვეყნების ვალუტების - ფუნტი სტერლინგის, ევროს და დოლარის რეალური ღირებულებები არ იყო სტაბილური. მოწინავე ეკონომიკებში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ევროპის სხვა ქვეყნებსა და აშშ-ში, ფასების მუდმივი ზრდა იყო ნორმა. სხვადასხვა დროის ნომინალური მაჩვენებლების შედარებისას უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს ფუნტი ან ევრო არ არის ის, რაც 10 წლის წინ იყო, ან, სავარაუდოდ, ათი წლის შემდეგ იქნება.

ამ თავში განხილულია, თუ როგორ ზომავენ ეკონომისტები ფასების საერთო დონეს და როგორ იყენებენ ფასების ინდექსებს ეკონომიკური ცვლდების კორქტირებისათვის ინფლაციის გათვალისწინებით. ეს ანალიზი მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ ჯერ არ განვიხილავთ ინფლაციის მიზეზებსა და შედეგებს - თუ როგორ ურთიერთქმედებს ინფლაცია სხვა ეკონომიკურ ცვლადებთან. ეს ჩვენი შემდეგი ამოცანაა. იმის ახსნის შემდეგ, თუ როგორ ზომავენ ეკონომისტები მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, ახლა ჩვენ მზად ვართ განვახილოთ მოდელი, რომლებიც ხსნიან ამ ცვლადების გრძელვადიან და მოკლევადიან დინამიკას.

## ახალი ამბებიდან

### ინფლაცია ურუგვაიში

*მსოფლიოს ქვეყნებს მსგავსი პრობლემები აქვთ ინფლაციის მართვის მხრივ. ამ სიახლეებში განვიხილავთ ურუგვაის გამოცდილებას, რომლის სფი 2015 წელს ორნიშნა გახდა.*

ურუგვაის სტატისტიკის სამსახური, Instituto Nacional de Estadística (INE) აქვეყნებს ქვეყნის სამომხმარებლო ფასების ინდექსს (Índice de Precios del Consumo (IPC)). IPC-ის მიზნობრივი მაჩვენებელი 3-7 პროცენტია, მაგრამ 2015 წლის ნოემბერში ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 10.05% იყო. IPC-ის ზრდის დიდი ნაწილი (INE-ს ინფორმაციით), სურსათისა და სასმელების ფასებზე მოდიოდა; ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, საცხოვრებლებზე, მშენებლობებზე,



დასვენებასა და კულტურაზე ფასები კი შემცირდა წინა წელთან შედარებით.

ორნიშნა IPC ცუდი სიახლე იყო როგორც მთავრობისთვის, ასევე მშრომელებისთვის. ურუგვაის ჰყავს ძლიერი პროფკავშირები და ინფლაციის მაღალი ტემპის პირობებში, ისინი მოითხოვენ ხელფასების ზრდას, რათა უზრუნველყონ მშრომელთა ცხოვრების დონის შენარჩუნება, თუმცა, ამან შეიძლება ეკონომიკური პრობლემები გამოიწვიოს. 2015 წელს მაინც მოხდა ინფლაციის დონის ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ შედგა ნებაყოფლობითი შეთანხმება მთავრობასა და საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის, სუპერმარკეტების ჩათვლით, სამი თვის განმავლობაში დაახლოებით 1600 დასახელების საქონლის ფასების გაყინვის შესახებ.

ორნიშნა ინფლაციის შესამცირებლად მთავრობამ ასევე განიხილა ელექტროენერჯის, კომუნიკაციების, საწვავის, ჯანდაცვისა და წყლის ფასების შემცირების გზები, რომლებიც მთავრობის უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფება.

დროთა განმავლობაში გარე ფაქტორებმა შესაძლოა ხელი შეუშალოს მთავრობის ამ მცდელობას. მაგალითად, ურუგვაული პესოს დასუსება აშშ დოლარის მიმართ გაზრდის იმპორტირებული პროდუქციის ფასებს და ამით ზეწოლას მოახდენს IPC-ზე. აქვე შევნიშნავთ, რომ ურუგვაის იმპორტი მისი მსკ-ს დაახლოებით მეხუთედს შეადგენს და იმპორტის ფასების ზრდას მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია ინფლაციაზე.

ინფლაციაზე გავლენის მქონე ზოგიერთი ეფექტი შეიძლება დაკომპენსირდეს შიდა მოთხოვნის შენელებით. ამ ქვეყნის მეზობლებს - ბრაზილიასა და არგენტინას საკუთარი პრობლემები შეექმნათ, რამაც ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე. მთავრობისთვის რთული აღმოჩნდა ბალანსის პოვნა - მოთხოვნის იმგავრად მართვა, რომ ინფლაციური ზეწოლა შემცირებულიყო ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ზედმეტი უარყოფითი გავლენის გარეშე.

## კითხვები

1. რატომ შეიძლება ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელი პრობლემად ჩაითვალოს ისეთი ქვეყნისთვის, როგორიცაა ურუგვაი?
2. რა გზით შეიძლება ინფლაციამ შეამციროს მშრომელთა ცხოვრების დონე?
3. თუ პროფკავშირები წარმატებული არიან ხელფასების შესახებ მოლაპარაკებებში, (რომლებიც განაპირობებს ცხოვრების დონის შენარჩუნებას), როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს ეს ურუგვაის ეკონომიკაში მომავალ ინფლაციაზე?
4. გარკვეული პერიოდის განმავლობაში საცალო ვაჭრობასა და მთავრობას შორის შეთანხმება ფასების გაყინვის შესახებ შექმნილია ინფლაციური ზეწოლის შესამსუბუქებლად. როგორ ფიქრობთ, რატომ გაიზარდა ინფლაცია ამ გაყინვის მიუხედავად?
5. ახსენით, რატომ იწვევს ურუგვაული პესოს შესუსტება ქვეყანაში ინფლაციურ ზეწოლას.

## შეჯამება

1. სამომხმარებლო ფასების ინდექსი გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების კალათის ფასების ცვლილებებს საბაზო წლის იმავე კალათის ფასებთან შედარებით. ინდექსი გამოიყენება ეკონომიკაში ფასების საერთო დონის გასაზომად. პროცენტული ცვლილება სფი–ში ზომავს ინფლაციის დონეს.
2. სფი არის ცხოვრების ღირებულების არასრულყოფილი საზომი შემდეგი სამი მიზეზის გამო. პირველი, ის არ ითვალისწინებს მომხმარებელთა შესაძლებლობას შეცვალონ (ჩაანაცვლონ) ძვირი საქონელი შედარებით უფრო იაფით. მეორე, ის არ ითვალისწინებს ფულის მსყიდველობითი უნარის ზრდას ახალი საქონლის შემოტანის (ბაზარზე გამოჩენის) გამო. მესამე, ის დამახინჯებულია საქონლისა და მომსახურების ხარისხის ცვლილების გაზომვის სირთულით, რის გამოც სფი ხელოვნურად ზრდის რეალურად არსებულ ინფლაციას.
3. მიუხედავად იმისა, რომ მსპ დეფლატორი ასევე ზომავს ეკონომიკაში ფასების საერთო დონეს, ის მაინც განსხვავდება სფი–სგან, რადგან ის მოიცავს წარმოებულ და არა მოხმარებულ საქონელსა და მომსახურებას. შედეგად, იმპორტირებული საქონელი გავლენას ახდენს სფი–ზე, მაგრამ არა მსპ-ს დეფლატორზე. გარდა ამისა, როცა სამომხმარებლო ფასების ინდექსი უცვლელ სასაქონლო კალათას იყენებს, მსპ დეფლატორი მსპ-ს შემადგენლობის შეცვლისთანავე ავტომატურად ცვლის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალს.
4. დროის სხვადასხვა პერიოდის თანცების შედარება ამ პერიოდებში მსყიდველობითი უნდარის შედარების კარგი ხერხი არ არის. წარსულის ფუნტებისა და ევროს რაოდენობა მათ დღევანდელ რაოდენობას რომ შევადაროთ, ძველი რაოდენობა უნდა დაექვემდებაროს ინფლაციის დონის მიცდვით კორექტირებას.
5. სხვადასხვა კანონებში და კერძო კონტრაქტებში იყენებენ ფასების ინდექსებს ინფლაციის შედეგების გასათვალისწინებლად.
6. ინფლაციის დონის შესწორება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარგებლის განაკვეთების მონაცემების გადახედვისას. სარგებლის ნომინალური განაკვეთი არის პროცენტი, რომელსაც ჩვეულებრივ ბანკი გვთავაზობს. ეს არის პროპროცია, რომლითაც შემნახველ ანგარიშზე თანხის ოდენობა დროში იზრდება. ამის საპირისპიროდ, სარგებლის რეალური განაკვეთი ითვალისწინებს ფულის ღირებულების ცვლილებებს დროთა განმავლობაში. სარგებლის რეალური განაკვეთი ტოლია სარგებლის ნომინალურ განაკვეთს მინუს ინფლაციის დონე.

## კითხვები განხილვისთვის

1. რომელია ფასების ინდექსის აგების ხუთი ეტაპი?
2. რატომ იყენებენ სტატისტიკოსები შეწონილ სიდიდეებს ფასების ინდექსების შედგენისას?
3. თქვენი აზრით, რომელი უფრო დიდ გავლენას ახდენს სფი–ზე - 10% –ით ქათმის ფასის

ზრდა თუ 10% –ით ხიზილალის ფასის ზრდა? რატომ?

4. აღწერეთ სამი პრობლემა, რაც სფი–ს ცხოვრების ღირებულების არასრულყოფილ საზომად აქცევს.
5. რატომ ცვლიან სტატისტიკოსები დროდადრო საქონლის კალათის შემადგენლობას?
6. ჩათვალეთ, რომ ბოთლი ღვინის ფასი 1990 წელს 3,50 ევრო იყო, ხოლო 2017 წელს - 8,50 ევრო. გარდა ამისა, ფასების ინდექსი 1990 წელს იყო 95, ხოლო 2017 წელს - 160. 1990 წელს ღვინო უფრო იაფი იყო, ვიდრე 2017 წელს? ახსენით.
7. თუ საფრანგეთის ფლოტის წყალქვეშა ნავის ფასი მოიმატებს, ეს გავლენას ახდენს საფრანგეთის სფი-ზე თუ საფრანგეთის მსკ-ს დეფლატორზე? რატომ?
8. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ერთ კოლოფი შოკოლადის ფასი 1 ევროდან 6 ევრომდე გაიზარდა. იმავე პერიოდში, სფი გაიზარდა 150-დან 300-მდე. ინფლაციის გათვალისწინებით, რამდენად შეიცვალა შოკოლადის კოლოფის ფასი?
9. განმარტეთ სარგებლის ნომინალური და რეალური განაკვეთების მნიშვნელობა. როგორ არიან ისინი დაკავშირებული?
10. რატომ არის მნიშვნელოვანი სარგებლის რეალური განაკვეთების ცოდნა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თავიანთ დანაზოგს ქმნიან შემოსავლის მიღების მიზნით?

## პრობლემები და სავარჯიშოები

1. დავუშვათ, რომ ადამიანები მხოლოდ სამ საქონელს მოიხმარენ, როგორც ეს ცხრილშია ნაჩვენები:

	ჩოგბურთის ბურთები	ჩოგბურთის ჩოგნები	კოკა კოლა
2016 ფასი (€)	2	40	1
2016 რაოდენობა	100	10	200
2017 ფასი (€)	2	60	2
2017 რაოდენობა	100	10	200

ა. როგორია თითოეული ამ საქონლის ფასების პროცენტული ცვლილება? როგორია ფასების საერთო დონის პროცენტული ცვლილება?

ბ. უფრო და უფრო ძვირი ხდება თუ არა ჩოგბურთის ჩოგნები კოკა-კოლასთან შედარებით? იცვლება თუ არა ზოგის კეთილდღეობა სხვებთან შედარებით? ახსენით.

2. დავუშვათ, რომ ვეგოპიის მკვიდრნი მთელ შემოსავალს ხარჯავენ ყვავილოვანი კომბოსტოს, ბროკოლისა და სტაფილოსთვის. 2017 წელს ყიდულობენ 100 თავ ყვავილოვან კომბოსტოს 200 ევროდ, 50 კონა ბროკოლს 75 ევროდ და 500 სტაფილოს 50 ევროდ. 2018 წელს ისინი ყიდულობენ 75 თავ ყვავილოვან კომბოსტოს 225 ევროდ, 80 კონა ბროკოლს 120 ევროდ და 500 სტაფილოს 100 ევროდ. თუ საბაზო წელია 2017, რა არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი ორივე წელს? რა არის ინფლაციის დონე 2018 წელს?

3. გადადით UK ONS ვებსაიტზე (<http://www.statistics.gov.uk>) ან Eurostat (<http://ec.europa.eu/eurostat/web/rmain/horne>) და იპოვნეთ მონაცემები სამომხმარებლო ფასების ინდექსის შესახებ. რამდენად გაიზარდა ინდექსი ყველა საქონლისა და მომსახურების ჩათვლით ბოლო ერთი წლის განმავლობაში თქვენი ქვეყნისთვის? ხარჯების რომელი კატეგორიისთვის გაიზარდა ყველაზე მეტად ფასები? ყველაზე ნაკლებად? განიცადა რომელიმე კატეგორიამ ფასის კლება? შეგიძლიათ ახსნათ ამ ფაქტებიდან რომელიმე?
4. სამომხმარებლო ფასების ინდექსის აგებულების რომელი პრობლემების ილუსტრირება შეიძლება შემდეგი სიტუაციებით? ახსენით.
  - ა. ფილმების სტრიმინგის<sup>2</sup> ზრდა.
  - ბ. მანქანებში საჰაერო ბალიშების დანერგვა.
  - გ. პერსონალური კომპიუტერის შესყიდვების ზრდა მათი ფასის შემცირების საპასუხოდ.
  - დ. სმარტფონებში ციფრული კამერების გამოყენების ზრდა.
  - ე. შემცირდა ეკონომიური მანქანების გამოყენება ბენზინის ფასების დაცემის შემდეგ.
5. დავუშვათ, მთავრობამ უნდა დაადგინოს სახელმწიფო ასაკობრივი პენსიის დონე დიდ ბრიტანეთში ისე, რომ იგი ყოველწლიურად იზრდებოდეს სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდის პროპორციულად.
  - ა. თუ მოხუცები იმავე საბაზრო კალათს მოიხმარენ, რომელსაც სხვა ადამიანები, ასეთი პოლიტიკა უზრუნველყოფს თუ არა მოხუცების ცხოვრების დონის ყოველწლიურ გაუმჯობესებას? ახსენით.
  - ბ. სინამდვილეში, მოხუცები უფრო მეტ ჯანდაცვას მოიხმარენ, ვიდრე ახალგაზრდები და ჯანდაცვის ხარჯები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საერთო ინფლაცია. რას გააკეთებდით იმის დასადგენად, რეალურად უმჯობედება თუ არა მოხუცების ეკონომიკური მდგომარეობა წლიდან წლამდე?
6. როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდება თქვენს მიერ შემენილი საქონლისა და მომსახურების კალათა ტიპური ოჯახის მიერ ნაყიდი კალათისგან? თქვენი აზრით, ინფლაციის უფრო მაღალი ან დაბალი მაჩვენებლის წინაშე დგახართ, ვიდრე ამას სამომხმარებლო ფასების ინდექსი მიუთითებს? რატომ?
7. ზოგიერთ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის კატეგორიები არ არის გაზრდილი ინფლაციის შესაბამისად. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება მთავრობამ ეს გააკეთოს? (მინიშნება: ეს ფენომენი ცნობილია როგორც "bracket creep" ანუ „კატეგორიათა აცოცება“).
8. როდესაც გადაწყვეტენ დათვალონ, თუ რა თანხის დაზოგვა მოხდება საპენსიო ასაკისთვის, მომუშავეებმა უნდა გაითვალისწინონ სარგებლის რეალური თუ ნომინალური განაკვეთი, რომელსაც მათი დანაზოგიდან მიიღებენ? ახსენით.

<sup>2</sup> სტრიმინგი: ციფრული ფილმი, რომლის ყურებაც შეიძლება მომენტალურად, ფაილის შენახვის გარეშე.

9. დავუშვათ, რომ მსესხებელი და გამსესხებელი თანხმდებიან ნომინალური საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც მსესხებელმა უნდა გადაიხადოს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინფლაცია იმაზე მაღალია, ვიდრე ორივე ელოდა.  
ამ სესხის სარგებლის რეალური საპროცენტო განაკვეთი მოსალოდნელზე მაღალია თუ დაბალი?  
კარგავს თუ იგებს გამსესხებელი მოულოდნელად მაღალი ინფლაციის შედეგად? რა შეიძლება ითქვას მსესხებელზე?
10. დავუშვათ 2016 წელს სურსათის ფასი წლის განმავლობაში 2 პროცენტით გაიზარდა. 2017 წელს კი წლის განმავლობაში სურსათის ფასი 1.9 პროცენტით გაიზარდა. გარდა ამისა ვივარაუდოთ, რომ სურსათს მაღალი წონა აქვს სამომხმარებლო ფასების ინდექსის აგებულებაში. თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს სურსათის ფასების ცვლილება 2017 წლის სამომხმარებლო ფასების ინდექსზე?

## თემა 3. წარმოება და ეკონომიკური ზრდა

მაკროეკონომიკის ნაწილის პირველ ორ თავში ჩვენ გავარჩიეთ, თუ როგორ უნდა გავზომოთ ეკონომიკური ზრდა და ფასების დონის ცვლილებები. ეს მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ცვლადებია. ახლა კი ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რა განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის დონეს. წინა თავებში ჩვენ გადავხედეთ ქვეყნებს შორის და ქვეყნის შიგნით არსებულ შემოსავლების განსხვავებებს. დასავლეთ ევროპის მდიდარი ქვეყნის საშუალო სტატისტიკურ ადამიანს აქვს ათჯერ მეტი შემოსავალი, ვიდრე საშუალო სტატისტიკურ ადამიანს ისეთ ღარიბ ქვეყნებში, როგორცაა ინდოეთი, ინდონეზია და ნიგერია. ნობელის პრემიის ლაურეატმა *რობერტ ლუკასმა* გარკვეული დრო დაუთმო ქვეყნებს შორის ზრდის სხვადასხვა ტემპის, სიღარიბისა და უთანასწორობის დონის შესწავლას.

ლუკასმა დასვა კითხვა, თუ რატომ აქვთ ქვეყნებს ზრდის სხვადასხვა ტემპი და ცხოვრების დონეებს შორის ასეთი დიდი განსხვავებები. ახალი ამბები და სოციალური მედია მკვეთრად ამახვილებს ყურადღებას ცხოვრების დონის ამ განსხვავებებზე და გვიჩვენებს ცხოვრების დონეებს შორის არსებულ უზარმაზარ განსხვავებებს. მართლაც, დაახლოებით 30 წლის წინ ლუკასმა დაწერა: "ადამიანის კეთილდღეობის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია ასეთ თემებთან, უბრალოდ გამოაგნებელია: როგორც კი ვინმე დაფიქრდება ამ თემაზე, სხვა რამეზე ფიქრი უკვე შეუძლებელი ხდება". ვფიქრობთ, ღირს ლუკასის ამ სიტყვებზე შეჩერება. მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანია, ვისთვისაც ცხოვრება ყოველდღიური არსებობისთვის ბრძოლაა. საკმარისი საკვებისა და წყლის შოვნა სიცოცხლის შესანარჩუნებლად არ არის ადვილი ამოცანა. ასეთ პირობებს თუ შევადარებთ განვითარებული სამყაროს მრავალი ადამიანის ცხოვრების სტილთან, დიდი კონტრასტი გამოგვივა და ასეთი შედარება, მორალური შედეგების თვალსაზრისით, უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

რით აიხსნება ასეთი განსხვავებული გამოცდილება? როგორ შეიძლება მდიდარმა ქვეყნებმა შეინარჩუნონ ცხოვრების მაღალი დონე? როგორი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გაატარონ ღარიბმა ქვეყნებმა უფრო სწრაფი ზრდისთვის, რათა შეუერთდნენ განვითარებულ სამყაროს? ეს კითხვები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკურ საკითხთა შორის. როგორც ვნახეთ, ეკონომიკის მსკ ზომავს როგორც ეკონომიკაში მიღებული მთლიანი

შემოსავლის, ასევე ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების წარმოების მთლიან ღირებულებას. რეალური მსპ-ს დონე და ზრდა ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი საზომია. აქ ყურადღებას ვამახვილებთ რეალურ მსპ-ზე და და მისი გრძელვადიანი ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებზე. მოგვიანებით წინამდებარე სახელმძღვანელოში ჩვენი განვიხილავთ რეალური მსპ-ს მოკლევადიან რყევებს მისი გრძელვადიანი ტრენდის განმავლობაში.

## ეკონომიკური ზრდა მსოფლიოში

ეკონომიკური ზრდის ანალიზისთვის დამახასიათებელია მსპ-ს დონის გამოყენება მოსახლეობასთან მიმართებით. კერძოდ, შეიძლება გამოვყოთ ორი ცნება: მსპ მოსახლეობის ერთ სულზე და მსპ ერთ მომუშავეზე. მსპ მოსახლეობის ერთ სულზე მიიღება მოცემულ მომენტში არსებული რეალური მსპ-ს დონის გაყოფით მოსახლეობის რაოდენობაზე, ქვეყნებს შორის შედარების საჭირო საფუძველს და შესაძლებლობას ქმნის. ასეთი მონაცემები, როგორც წესი, წარმოდგენილია აშშ დოლარში.

$$\text{რეალური მსპ მოსახლეობის ერთ სულზე} = \frac{\text{რეალური მსპ}}{\text{მთლიანი მოსახლეობა}}$$

ანალოგიურად, ჩვენ შეგვიძლია გავიანგარიშოთ რეალური მსპ დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობის მიხედვით, რომ გავზომოთ ერთ დასაქმებულ შემოსავალი.

$$\text{რეალური მსპ ერთ მომუშავეზე} = \frac{\text{რეალური მსპ}}{\text{დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა}}$$

ცხრილი 3.1 გვიჩვენებს მთლიანი შიგა პროდუქტს (მსპ) მოსახლეობის ერთ სულზე მთელ რიგ ქვეყნებში. როგორც ვხედავთ, ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში და იცვლება ძალიან განსხვავებული ტემპებით ბოლო 50 წლის განმავლობაში. მაგალითად, ირლანდიის შემოსავალი 2014 წელს დაახლოებით, 33-ჯერ მეტია, ვიდრე ინდოეთის, მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთში 1960 წლის შემდეგ შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 19-ჯერ გაიზარდა. უდარიბეს ქვეყნებს, როგორცაა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ნიგერია, აქვთ ძალიან დაბალი საშუალო შემოსავალი, რომელიც პრაქტიკულად უცვლელი დარჩა ბოლო 50 წლის განმავლობაში.

### ცხრილი 3.1

#### რეალური მსპ მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარში სხვადასხვა ქვეყნებში

ქვეყნის სახელწოდება	1960	1970	1980	1990	2000	2010	2014
ავსტრალია	60	157	276			570	659
ალბანეთი				639	1193	4094	4 619
ავსტრია	935	2 054	10843	21 629	24 5 17	46 593	51 127
აზერბაიჯანი				1237	655	5 843	7 884
ბანგლადეში	89	138	223	295	407	760	1 093
ბელგია		2 776	12 913	20 679	23152	44 361	47 517
ბურუნა ფასო	68	81	283	352	227	574	713
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	75	103	350	490	245	447	371
ჩინეთი	89	112	193	316	955	4 515	7 594
კვიპროსი			4 232	9 642	14 307	30439	27194
ჩეხეთის რესპუბლიკა				3 902	5 995	19 764	19 554
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	220	244	546	267	397	311	440
დანია	1 365	3 422	13 833	26 862	30 744	57 648	60 634
ფილიპინები		221	528	765	1 461	2 668	3199
ესტონეთი					4070	14 632	19 720
გერმანია		2 751	12 092	22 220	23 685	41 726	47 627
საბერძნეთი	534	1 500	5 916	9 673	11 961	26 863	21 683
ისლანდია	1 415	2 606	14991	25 675	31 820	41 696	52 111
ინდოეთი	84	115	272	375	452	1 388	1 596
ირლანდია	686	1 485	6366	14 017	26 101	47 904	53 314
იტალია	804	2 101	8432	20 765	20 059	35 878	34 960
ლუქსემბურგი	2 242	4479	17226	34 142	48827	102 863	
ნიდერლანდები	1 069	2 878	13 563	20 937	25 958	50 3 41	51 590
ნიგერია	132	145	421	314	160	351	427
ნიგერს	93	224	871	322	378	2 315	3 203
ნორვეგია	1 442	3 306	15 772	28 243	38 147	87 646	97 363
პოლონეთი				1 698	4493	12 530	14423
პორტუგალია	360	934	3369	7 885	11 502	22540	22 081
რუმინეთი				1 651	1 662	8139	9 997
რუსეთის ფედერაცია				3 485	1 772	10 675	12736
სლოვენია					10228	23418	23963
სამხრეთ აფრიკა	423	811	2 921	3 182	3 099	7 390	6478
ესპანეთი	396	1 209	6 200	13 773	14 788	30738	30262
შვედეთი	1 983	4 669	16 857	30 162	29 263	52 076	58887
შვეიცარია	1 787		18 785	38 332	37 813	74277	
თურქეთი	508	491	1 567	2 791	4 215	10 112	10 530
არაბთა გაერთიანებული საამიროები			42879	27 989	34 208	34342	44204
გაერთიანებული სამეფო	1 380	2 348	10 032	19 096	26 296	38362	45603
ჯამბია	229	427	655	404	340	1 456	1 722
ჯიმბაბვე	281	362	916	838	535	677	896



ცხრილი 3.2 გვიჩვენებს, რომ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე მსპ შედარებით მაღალია, ხშირად აქვთ წლიური ზრდის დაბალი ტემპები. მაგალითად, 1960-2014 წლებში გერმანიასა და ნორვეგიაში ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპი იყო დაახლოებით 3.1 პროცენტი, ხოლო საფრანგეთში - 3.3 პროცენტი. ისეთი ქვეყნები, როგორცაა არაბთა გაერთიანებული საემიროები და ჩინეთი, განიცდიდნენ სწრაფი ზრდის პერიოდებს. 1970 წლიდან ჩინეთის ეკონომიკურმა ზრდამ საშუალოდ 9,6 პროცენტი შეადგინა. ამჟამად ჩინეთი მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკაა აშშ-ს შემდეგ, თუმცა ჩინეთში მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი კვლავ შედარებით დაბალია. დასავლეთ ევროპის ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ შეძლო ზრდის ხანგრძლივ პერიოდით შენარჩუნება, თუმცა საშუალო ზრდის ტემპი სულაც არ არის მაღალი. ამ ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი გაცილებით მაღალია, ვიდრე ზოგიერთ ისეთ ქვეყანებში, რომლებიც ამჟამად განიცდიან წლიური ზრდის მაღალ ტემპებს. დროთა განმავლობაში შესაძლებელია, რომ მდიდარი ქვეყნები ყოველთვის არ იყვნენ უფრო მდიდრები, ღარიბი ქვეყნები კი ყოველთვის არ იქნებიან ღარიბები.

## ცხრილი 3.2

### რეალური მსკ-ს წლიური ზრდა (%)

ქვეყნის სახელწოდება	1960	1970	1980	1990	2000	2010	2014
ავღანეთი						8.4	2
ალბანეთი				-9.6	7.3	3.7	1.9
ავსტრია	5.5	9.3	1.7	4.3	3.4	1.9	0.3
აზერბაიჯანი					11.1	4.9	2
ბანგლადეში	6.1	5.6	0.8	5.6	5.3	5.6	6.1
ბელგია	5	7.4	4.4	3.1	3.6	2.5	1.1
ბურკინა ფასო	4	0.1	0.8	-0.6	1.8	8.4	4
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	5	2.3	-4.5	-2.1	-2.5	3.0	1
ჩინეთი	-27.3	19.4	7.8	3.9	8.4	10.6	7.4
კვიპროსი			5.8	7.4	5.7	1.4	-2.3
ჩეხეთის რესპუბლიკა					4.3	2.3	2
დანია	-10.9	-0.2	2.2	-6.6	-6.9	7.1	9
ეგვიპტე	6.4	3.5	-0.5	1.6	3.7	1.6	1.1
ესტონეთი		6.6	10	5.7	5.4	5.	2.2
გერმანია			1.4	5.3	3	4.1	1.6
საბერძნეთი	11.1	11	0.7	0	4.0	-5.4	0.8
ისლანდია	-0.1	10.6	6.7	1.2	4.7	-3.1	1.9
ინდოეთი	3.7	5.2	6.7	5.5	3.8	10.3	7.4
ირლანდია			3.	8.5	9.5	-0.3	4.8
იტალია	8.2	9	3.4	2	3.7	1.7	-0.4
ლუქსემბურგი	3.8	2.4	0.8	5.3	8.4	5.1	
ნიდერლანდები	0.3	13.6	1.3	4.2	4.4	1.1	0.9
ნიგერი	4.5	3.1	-2.2	-1.3	-1.4	8.4	6.9
ნიგერია	0.2	2.5	4.2	12.8	5.3	7.8	6.3
ნორვეგია	6.3	2.9	4.6	1.9	3.2	0.6	2.2
პოლონეთი					4.3	3.7	3.4
პორტუგალია	5.5	16.5	4.6	4	3.8	1.9	0.9
რუმინეთი				-5.6	2.1	-0.9	1.8
რუსეთის ფედერაცია				-3	10	4.5	0.6
სლოვენია					4.2	1.2	2.6
სამხრეთ აფრიკა	3.8	5.2	6.6	-0.3	4.2	3.0	1.5
ესპანეთი	11.8	6.2	2.2	3.8	5.3	0.0	1.4
შვედეთი	5.7	11.2	1.7	0.8	4.7	6	2.3
შვეიცარია				3.7	3.9	3	
თურქეთი	1.2	3.2	-2.4	9.3	6.8	9.2	2.9
არაბთა გაერთიანებული საემიროები			23.9	18.3	10.9	1.6	3.6
გაერთიანებული სამეფო	2.6	10.4	-2.2	0.5	3.8	1.9	2.6
ზამბია	1.4	4.8	3	-0.5	3.9	10.3	6
ზიმბაბვე	6.3	22.6	14.4	7	-3.1	11.4	3.2

რით აიხსნება, მაგალითად, ჩინეთში და ინდოეთში მრავალი ადამიანის ცხოვრების დონის ზრდა, ხოლო ისეთი ქვეყნები, როგორცაა ნიგერი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე უღარიბეს ქვეყნებად რჩებიან? რატომ იზრდება ზოგი ქვეყანა სწრაფად, ზოგი კი ჩამორჩება? ეს არის სწორედ ის კითხვები, რომლებსაც შემდგომში შევეცდებით გავცეთ პასუხი..

**შემოწმებისთვის:** იხილეთ ცხრილები 3.1 და 3.2. შეგიძლიათ წარმოდგენილ ქვეყნებში დაინახოთ რაიმე განმეორებადი რეგულარულობა მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალსა და მსპ-ს წლიურ ზრდის ტემპებს შორის? რით შეიძლება აიხსნას ეს განმეორებადი რეგულარულობა?

## ინფორმაციისთვის

### ნაზარდის ჯადოსნურობა და „70-ის წესი“

დავუშვათ, თქვენ დააკვირდით, რომ ერთ ქვეყანას აქვს საშუალო ზრდის ტემპი წელიწადში 1 პროცენტით, ხოლო სხვას - 3 პროცენტით. თავიდან შეიძლება ეს განსაკუთრებულ მოვლენად არ მოგეჩვენოთ. რა განსხვავება მოაქვს 2 პროცენტს?

პასუხი - დიდი განსხვავება. ზრდის ტემპებში მცირეოდენ განსხვავებას გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს.

ვნახოთ მაგალითი. დავუშვათ, ეკონომიკის ფაკულტეტის ორი კურსდამთავრებული, მილტონი და ჯენეტი, 22 წლის ასაკში იწყებენ პირველად იწყებენ მუშაობას წელიწადში 20 000 ევროს ხელფასის ოდენობით. მილტონი ცხოვრობს ეკონომიკაში, სადაც ყველა შემოსავალი წელიწადში 1 პროცენტით იზრდება, ხოლო ჯენეტი ცხოვრობს ეკონომიკაში, სადაც შემოსავალი წელიწადში 3 პროცენტით იზრდება. გამოთვლები ნაზარდის პრინციპის გამოყენებით აჩვენებს, თუ რა ხდება. მილტონი პირველი წლის შემდეგ დამატებით მიიღებს 20 000 ევროს 1 პროცენტს (200 ევრო). მეორე წელს ის კიდევ 20 200 ევროზე დამატებით 1 პროცენტს ღებულობს (22,402 ევროს) და ა.შ. დროთა განმავლობაში ნაზარდის გამოსათვლელად გამოვიყენებთ ფორმულას  $M = P(1 + i)^n$ , სადაც  $M$  არის მთლიანი ღირებულება პერიოდის ბოლოს,  $P$  არის საწყისი ღირებულება,  $i$  კი არის საპროცენტო განაკვეთი ( ანუ ზრდის ტემპი) და  $n$  - წლების რაოდენობა. 40 წლის შემდეგ მილტონის გამოიმუშავება იქნება  $20\,000 = (1 + 0,01)^{40}$ , რაც 29 777 ევროს ტოლია.

მეორე მხრივ, ჯენეტი გამოიმუშავებს  $20\,000 = (1 + 0,03)^{40}$ , რაც 65,240 ევრო ტოლია 40 წლის თავზე. ამრიგად, 2 %-ანი სხვაობის შედეგად, ჯენეტის ხელფასი ბევრად მეტია მილტონის ხელფასზე.

ძველი მარტივი წესი, რომელსაც ეწოდება „70-ის წესი“, გვეხმარება ზრდის ტემპისა და ნაზარდის ეფექტის გაგებაში. 70-ე წესის თანახმად, თუ ცვლადი წელიწადში  $x$  პროცენტით იზრდება, მაშინ ეს ცვლადი ორმაგდება დაახლოებით  $\frac{70}{x}$  წლის განმავლობაში. მილტონის ეკონომიკაში შემოსავალი წელიწადში 1 პროცენტით იზრდება, ასე რომ, მას სჭირდება 70 წელი შემოსავლების გაორმაგებისთვის. ჯენეტის ეკონომიკაში, შემოსავალი იზრდება 3 პროცენტით წელიწადში, ასე რომ მას სჭირდება 23 წელზე ოდნავ მეტი შემოსავლების გასაორმაგებლად.

## ზრდის თეორია

ეკონომიკური ზრდა უმეტეს ქვეყნებში დროთა განმავლობაში იცვლება. ზოგჯერ ეკონომიკა გადის სწრაფი ზრდის პერიოდებს, ზოგჯერ უფრო ნელა იზრდება, ზოგჯერ კი საერთოდ იკლებს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება დადგინდეს ტენდენცია, რომელიც ჩვეულებრივ გამოიხატება პროცენტული ზრდის ტემპით. მე-20 თავში ვნახეთ, რომ მსკ-ს რეალური ზრდა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\text{რეალური მსკ - ს ზრდის ტემპი } \uparrow \text{ წელში} = \frac{(\text{მსკ}_t - \text{მსკ}_{t-1})}{\text{მსკ}_{t-1} - 1}$$

ზრდის ტრენდი და რეალური ზრდა მნიშვნელოვანი ფაქტორებია. როდესაც ამ წიგნში ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ ბიზნესციკლებს, დავინახავთ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ზრდის ტემპის სხვადასხვა ტრენდია. იმისათვის, რომ ქვეყანამ ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება განიცადოს, საჭიროა მდგრადი ზრდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. წლიური ზრდა არ არის აუცილებელი იყოს მაღალი, მაგრამ ის მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს. იმის განსაზღვრა, შეუძლია თუ არა ქვეყანას მდგრადი ზრდის შენარჩუნება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და

რატომ შეიძლება ზოგიერთი ქვეყანის ეკონომიკა უფრო სწრაფად გაიზარდოს, ვიდრე სხვები, წარმოადგენს მაკროეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. ზრდის თეორიასთან დაკავშირებულმა კვლევებმა ნობელის პრემია მოუტანა **საიმონ კუზნეცს** 1971 წელს და **რობერტ სოლოუსს** 1987 წელს.

1956 წელს **რობერტ. მ. სოლოუსი** და **ტრევორ სვანმა** დაადგინეს, რომ ადამიანური და ფიზიკური კაპიტალი და მოსახლეობის ზრდის ტემპები წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორებს. წლების განმავლობაში ეკონომისტებმა კიდევ უფრო გააფართოვეს ამ ფაქტორთა ჩამონათვალი. ეკონომიკური ზრდის მტავარი ფაქტორებია:

- ⌋ მაკროეკონომიკური სტაბილურობის დონე ეკონომიკაში;
- ⌋ ქვეყანაში მოქმედი სავაჭრო პოლიტიკის ტიპი (ქვეყანის ეკონომიკა ღიაა თუ ჩაკეტილი);
- ⌋ ინსტიტუტებისა და მმართველობის ხარისხი (ანუ რამდენად ეფექტიანად მოქმედებს კანონის უზენაესობა და რამდენად შეუძლიათ მთავრობებს გააკონტროლონ კორუფცია);
- ⌋ რამდენად არსებობს ქვეყანაში ძალადობა, ომი და კონფლიქტი;
- ⌋ რეგიონალური მახასიათებლები, მაგალითად, არის თუ არა ქვეყანა ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, აზიის ან აფრიკის ნაწილი;
- ⌋ გეოგრაფიული ფაქტორები, როგორცაა ფიზიკური რესურსების არსებობა და კლიმატი;
- ⌋ საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ხარისხი;
- ⌋ შიდა ფაქტორები, მაგალითად, როგორცაა ნაყოფიერი მიწის ოდენობა.

ეკონომიკური ზრდის თეორიის შემდეგი ნაწილი შეისწავლის მწარმოებლურობის როლს ზრდაში, რომელსაც შეიძლება ვიწოდოთ „ზრდის ნეოკლასიკური თეორია“. პირველ რიგში, ჩვენ განვიხილავთ ტერმინის „მწარმოებლურობის“ არსს, რომელიც ზრდის ნეოკლასიკური თეორიის ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენს.

## მწარმოებლურობა

წინამდებარე თავის ზოგიერთი ცნება უბრუნდება წინა თავებში განხილულ კონცეფციებს, რა დროსაც განვიხილეთ წარმოების ფუნქცია, ზღვრული და კლებადი ზღვრული პროდუქტის ცნებები. ამ კონცეფციების შესახებ ცოდნა გამოგადგებათ ამ ნაწილში; მთავარი განსხვავება იმაშია, რომ ახლა ჩვენ მაკროეკონომიკურ დონეს განვიხილავთ და არა მიკროეკონომიკურს.

## რატომ არის მწარმოებლურობა ასეთი მნიშვნელოვანი?

დავიწყოთ მწარმოებლურობისა და ეკონომიკური ზრდის შესწავლა მარტივი მოდელის შემუშავებით, რომელიც დაფუძნებულია გემის ჩაძირვის შედეგად უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი ადამიანის მაგალითზე, რომელსაც ანი ჰქვია. მას შემდეგ, რაც ანი მარტო ცხოვრობს, ის საკუთარი ხელით იჭერს თევზებს, მოჰყავს ბოსტნეული და იკერავს სამოსს. ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ანის ბიზნესი - თევზის, ბოსტნეულისა და ტანსაცმლის წარმოება და მოხმარება - მარტივი ეკონომიკაა. რა განსაზღვრავს ანის ცხოვრების დონეს? თუ ანის შეუძლია თევზაობა, ბოსტნეულის მოყვანა და ტანსაცმლის კერვა, ის კარგად ცხოვრობს. თუ იგი ამას სათანადოდ ვერ გაუმკლავდება, ის კარგად ვერ იცხოვრებს. იმის გამო, რომ ანის შეუძლია მოიხმაროს მხოლოდ ის, რასაც თავად აწარმოებს, მისი ცხოვრების დონე დამოკიდებულია მის მწარმოებლურობაზე.

გახსოვდეთ, მწარმოებლურობა გულისხმობს საქონლისა და მომსახურების ოდენობას, რომლის წარმოება შეუძლია დასაქმებულს (ან წარმოების რომელიმე სხვა ფაქტორს) მოცემულ პერიოდში. ანის ეკონომიკის მწარმოებლურობა მისი ცხოვრების დონის ძირითადი განმსაზღვრელია, ხოლო მწარმოებლურობის ზრდა - ცხოვრების დონის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა. რაც უფრო მეტ თევზს იჭერს ანი ერთ საათში, მით უფრო მეტს ჭამს სადილად. თუ ანი თევზაობისთვის უკეთეს ადგილს იპოვის, მისი მწარმოებლურობა გაიზრდება. მწარმოებლურობის ეს ზრდა ანის მდგომარეობას აუმჯობესებს: მას შეუძლია უფრო მეტი თევზი ჭამოს ან ნაკლები დრო დაუთმოს თევზაობას და შედეგად, გამოთავისუფლებული დრო დაუთმოს იმ საქმიანობას, რაც მას მოსწონს.

მწარმოებლურობის მნიშვნელობა ცხოვრების დონის განსაზღვრაში ისეთივე საკვანძოა ქვეყნის ეკონომიკისათვის, როგორც ანისთვის. შეგახსენებთ, რომ ეკონომიკის მსპ

ერთდროულად სამ ცვლადს ზომავს: ეკონომიკაში ყველას მიერ მიღებულ შემოსავალს, საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე მთლიან დანახარჯებს და წარმოებული პროდუქციის ღირებულებას. ანის მსგავსად, ქვეყანას შეუძლია ისარგებლოს ცხოვრების მაღალი დონით, თუ მას შეუძლია დიდი რაოდენობით საქონლისა და მომსახურების წარმოება. დასავლეთეევროპელები მალის მცხოვრებზე უკეთესად ცხოვრობენ, რადგან დასავლეთეევროპელი მშრომელების მწარმოებლურობა უფრო მაღალია, ვიდრე მალის მშრომელების. ამრიგად, ცხოვრების სტანდარტის დიდი განსხვავებების გასაგებად სხვადასხვა ქვეყნებში ჩვენ ვაკვირდებით საქონლისა და მომსახურების წარმოებას.

## როგორ განისაზღვრება მწარმოებლურობა

მწარმოებლურობის განმსაზღვრელი ფაქტორების საილუსტრაციოდ, ჩვენ ანის მაგალითს დავუბრუნდებით. მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს ანის მწარმოებლურობას. ანის უკეთესი შედეგი ექნება თევზაობაში, თუ მაგალითად, მას მეტი ანკესი აქვს, თუ ის გაწაფულია თევზაობაში, თუ მის კუნძულზე ბევრი თევზია და თევზაობისთვის იგი კარგ სატყუარებს იყენებს. ანის მწარმოებლურობის თითოეულ ამ განმსაზღვრელს ფაქტორს - რომელსაც შეიძლება ფიზიკური კაპიტალი, ადამიანური კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები და ტექნოლოგიური ცოდნა ვუწოდოთ - გააჩნია ანალოგი უფრო რთულ და რეალურ ეკონომიკაში. მოდით, რიგ-რიგობით გავეცნოთ თითოეულ ამ ფაქტორს.

**ფიზიკური კაპიტალი.** მუშებს შეიძლება უფრო მაღალი მწარმოებლურობა ჰქონდეთ, თუ კაპიტალის მარაგები დიდია. აღჭურვილობისა და კონსტრუქციების მარაგებს, რომლებიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის, ფიზიკურ კაპიტალს, ან უბრალოდ კაპიტალს უწოდებენ. მაგალითად, დურგლები ავეჯის დასამზადებლად ხერხებს, ხრახნებს და ბურღებს იყენებენ. უფრო და უფრო უკეთესი ხარისხის ხელსაწყოები, როგორცაა ელექტროხერხები და ზუსტი ჩარხვის მანქანა-დანადგარები, საშუალებას გაძლევთ უფრო სწრაფად და უფრო სწორად შეასრულოთ სამუშაო. დურგალს, რომელსაც ძირითადად მხოლოდ მარტივი ხელსაწყოები აქვს, ყოველკვირეულად უფრო ნაკლები ავეჯის დამზადება შეუძლია, ვიდრე დურგალს, რომელიც უფრო მაღალტექნოლოგიური ხის დამამზადებელ მოწყობილობას და დანადგარებს იყენებს.

კაპიტალის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ იგი თავად არის წარმოების „წარმოებული ფაქტორი“. კაპიტალი გვევლინება როგორც წარმოების პროცესში შემავალი დანახარჯი, რომელიც თავის დროზე თავად წარმოადგენდა წარმოებულ პროდუქციას. დურგალი ამზადებს მაგიდის ფეხს ჩარხზე. ჩარხი კი თავად იყო წარმოებული პროდუქტი, რომელსაც აწარმოებს ჩარხების მწარმოებელი კომპანია. თავის მხრივ, ჩარხის მწარმოებელმა კომპანიამ კიდევ სხვა მოწყობილობები და დანადგარები გამოიყენა, რომ ეწარმოებინა ჩარხი.

ამრიგად, კაპიტალი არის წარმოების ფაქტორი, რომელიც გამოიყენება ყველა სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის.

**ადამიანური კაპიტალი.** მეორე ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მწარმოებლურობას, არის ადამიანური კაპიტალი. ადამიანური კაპიტალი არის ტერმინი, რომელსაც ეკონომისტები იყენებენ ცოდნისა და უნარ-ჩვევების აღსანიშნავად, რასაც მუშები იღებენ განათლების, ტრენინგის და გამოცდილების გზით. ადამიანურ კაპიტალში შედის ბავშვთა სკოლამდელი აღზრდა-განათლების, დაწყებითი და საშუალო სკოლის, უნივერსიტეტის, ინსტიტუტის ან კოლეჯის და ზრდასრული მუშაკებისთვის სამუშაო ტრენინგის შედეგად მიღებული უნარები.

მიუხედავად იმისა, რომ განათლება, ტრენინგი და გამოცდილება ნაკლებად ხელშესახებია, ვიდრე ჩარხები, ბუღდოზერები და შენობები, ადამიანური კაპიტალი ბევრ რამეში ჰგავს ფიზიკურ კაპიტალს. ფიზიკური კაპიტალის მსგავსად, ადამიანური კაპიტალი ზრდის ქვეყნის შესაძლებლობებს აწარმოოს საქონელი და მომსახურება. ფიზიკური კაპიტალის მსგავსად, ადამიანური კაპიტალიც წარმოების „წარმოებული ფაქტორია“. ადამიანური კაპიტალის შექმნა მოითხოვს წარმოებაში შემავალ დანახარჯებს, როგორცაა ლექტორების შრომის ანაზღაურება, ბიბლიოთეკების შენახვა, სტუდენტობისთვის გამოყოფილი დრო და ა.შ.

**ბუნებრივი რესურსები.** მესამე ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მწარმოებლურობას, არის ბუნებრივი რესურსები, რომელშიაც იგულისხმება მიწა, მდინარეები და მინერალური საბადოები და ა.შ. ბუნებრივი რესურსები ორი ფორმისაა: განახლებადი და არაგანახლებადი. ტყე არის განახლებადი რესურსის მაგალითი. ხის მოჭრისას, მის ადგილზე ახალი ნერგის დარგვა მომავალში კვლავ ხეს მოგვცემს. ნავთობი წარმოადგენს არაგანახლებადი რესურსის მაგალითს. ნავთობი ბუნების მიერ წარმოებულია მრავალი ათასი წლის განმავლობაში და მისი

**ფიზიკური კაპიტალი,** ანუ მოწყობილობები, აღჭურვილობა და კონსტრუქციები, რომლებიც საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის გამოიყენება.

**ადამიანური კაპიტალი** - ცოდნა და უნარი, რომელსაც მშრომელი განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით იძენს.

**ბუნებრივი რესურსები** - საქონლისა და მომსახურების წარმოებაში შემავალი დანახარჯები, რომლებიც ბუნების მიერ არის მოწოდებული, მაგალითად მიწა, მდინარეები და მინერალური საბადოები.

მარაგი შეზღუდულია. ნავთობის მარაგების ამოწურვის შემდეგ, შეუძლებელია მისი ხელახლა შექმნა (ყოველ შემთხვევაში, ამას ათასობით წელი დასჭირდება).

ბუნებრივი რესურსების განსხვავებები იწვევს მსოფლიოში ქვეყნებს შორის ცხოვრების დონის განსხვავებას. შეერთებული შტატების ისტორიული წარმატება გარკვეულწილად განპირობებული იყო სოფლის მეურნეობისთვის შესაფერისი მიწის დიდი რაოდენობის

არსებობით. დღეს, შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყანა, როგორცაა ქუვეითი და საუდის არაბეთი, მდიდარია მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ტერიტორიაზე აღმოჩნდა მსოფლიოს უდიდესი ნავთობის საბადოები.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი რესურსები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, ისინი არ ასრულებენ გადამწყვეტ როლს მწარმოებლურობაში. მაგალითად, იაპონია ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს მცირე ბუნებრივი რესურსები. საერთაშორისო ვაჭრობა იაპონიის წარმატების შესაძლებლობას იძლევა. იაპონიას იმპორტირებული აქვს მრავალი ბუნებრივი რესურსი, რომელიც მას სჭირდება (მაგალითად, ნავთობი) და ახდენს წარმოებული საქონლის ექსპორტს რესურსებით მდიდარ ქვეყნებში.

**ტექნოლოგიური ცოდნა.** მწარმოებლურობის მეოთხე განმსაზღვრელი ფაქტორი არის ტექნოლოგიური ცოდნა - საქონლისა და მომსახურების წარმოების საუკეთესო გზების გამოძებნა. ასორმოდდაათი წლის წინ ევროპელების და ჩრდილოეთ ამერიკელთა უმეტესობა ფერმებში მუშაობდა, რადგან სოფლის მეურნეობის ტექნოლოგია დიდ შრომას მოითხოვდა მთელი მოსახლეობის გამოსაკვებად. დღეს, ტექნოლოგიის მიღწევების წყალობით, დასავლეთ ევროპის, შეერთებულ შტატებსა და კანადის მოსახლეობის მცირე ნაწილს შეუძლია საკმარისი რაოდენობის საკვების წარმოება, რათა მთელი მოსახლეობა გამოკვებოს. ამ ტექნოლოგიურმა ცვლილებამ შრომა გამოათავისუფლა სხვა საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის.

**ტექნოლოგიური ცოდნა -** საზოგადოების ცოდნა საქონლისა და მომსახურების წარმოების საუკეთესო საშუალებების შესახებ.

ტექნოლოგიური ცოდნა სხვადასხვა ფორმას იღებს. ზოგიერთი ტექნოლოგია საყოველთაოდ ცნობილია - როდესაც ერთი ადამიანი მოიგონებს და დაიწყებს მის გამოყენებას, შემდგომ ყველას იოლად შეუძლია მისით სარგებლობა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ჰენრი ფორდმა წარმატებით შემოიტანა აშშ-ში მონტაჟის ხაზის წარმოება, მსოფლიოს სხვა ავტომობილების მწარმოებლებმა და სამრეწველო მწარმოებლებმა სწრაფად მიბაძეს მას. სხვა ტექნოლოგია შეიძლება იყოს დაპატენტებული - ცნობილია მხოლოდ იმ კომპანიისთვის, ვინაც იგი აღმოაჩინა. მაგალითად, მხოლოდ კოკა-კოლას კომპანიამ იცის მისი ცნობილი გამაგრილებელი სასმელის საიდუმლო რეცეპტი, თუმცა სხვა ტიპის ტექნოლოგიები მოკლე დროში ექვემდებარება პატენტს. როდესაც ფარმაცევტული კომპანია აღმოაჩენს ახალ მედიკამენტს, პატენტის სისტემა აძლევს ამ კომპანიას უფლებას მხოლოდ გარკვეული დროის მანძილზე იყოს მისი ექსკლუზიური მწარმოებელი. პატენტის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, სხვა კომპანიებს საშუალება ეძლევათ აწარმოონ იგივე პრეპარატი. ტექნოლოგიური ცოდნის ყველა ეს ფორმა მნიშვნელოვანია ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის.



უნდა ვიცოდეთ ტექნოლოგიური ცოდნისა და ადამიანური კაპიტალის ერთმანეთისგან გარჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მჭიდრო კავშირშია, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ტექნოლოგიური ცოდნა გულისხმობს საზოგადოების გააზრებას, თუ როგორ მუშაობს სამყარო. ადამიანური კაპიტალი გულისხმობს დახარჯულ რესურსებს, რომლებიც ამ ცოდნას გადასცემს სამუშაო ძალას. თუ მეტაფორას გამოვიყენებთ, ცოდნა არის საზოგადოების სახელმძღვანელოების ხარისხი, ხოლო ადამიანური კაპიტალი არის დრო, რომელსაც მოსახლეობა მის შესწავლას უთმობს. მშრომელთა მწარმოებლურობა დამოკიდებულია როგორც მათი სახელმძღვანელოების ხარისხზე, ასევე მათი შესწავლისთვის დახარჯულ დროზე.

ტექნოლოგიური პროგრესი ნიშნავს, რომ ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის ხარისხი გაუმჯობესდა კაპიტალისა და შრომის მოცემული რაოდენობისთვის. ორივეს საშუალო მწარმოებლურობა უფრო მაღალია ნიშნავს, რომ უფრო მეტი პროდუქციის წარმოება შეიძლება წარმოების ფაქტორების საშუალებით. სინამდვილეში, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შეიძლება დააბალანსოს ზღვრული პროდუქტის შემცირებით გამოწვეული ეფექტი. თუ წარმოებაში დამატებითი ფაქტორები გამოიყენება და საერთო მწარმოებლურობა იზრდება, მაშინ შეიძლება ეკონომიკა იზრდებოდეს..

მოცემული ერთიანი წარმოების ფუნქციისათვის  $Y = A + f(K, L)$ , სადაც  $A$  არის ტექნოლოგიური პროგრესის ზრდის ტემპი, თუ კაპიტალის და შრომის თანაფარდობა უცვლელია, მწარმოებლურობა შეიძლება გაიზარდოს ტექნოლოგიური პროგრესის შემთხვევაში. მაგალითად, თუ ტექნოლოგიური პროგრესი იზრდება 0,5%-ით წელიწადში, მაშინ  $A = (1 + 0,005)$ . საშუალო შრომის მწარმოებლურობა შეიძლება გაიზარდოს 0,5% -ით მაშინაც კი, თუ კაპიტალის და შრომის თანაფარდობა დარჩება უცვლელი. თუ ეს ასეა, მაშინ წარმოების ფუნქცია ფაქტორებზე გადაინაცვლებს ზემოთ (ან წარმოების შესაძლებლობის მრუდი გადაინაცვლებს გარეთ), რაც ასახავს ეკონომიკის შესაძლებლობას აწარმოოს თითოეული პროდუქციის მეტი რაოდენობა.


### **ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები**

„სოლოუს და სვენის“-ის ზრდის თეორია (შემდგომში სოლოუს მოდელი ან თეორია) იძლევა ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ რამდენიმე მნიშვნელოვან ელემენტს. მოდელის დაშვებები შემდეგია: ეკონომიკაში არის მასშტაბის უცვლელი უკუგება, ეკონომიკა არის ჩაკეტილი (შესაბამისად  $Y = C + S$ ) და კაპიტალის და შრომის ზრდა ექვემდებარება ზღვრულ შემცირებას.

შეგახსენებთ, რომ წარმოებული პროდუქციის (მსპ) დონე, რომელიც აღნიშნულია  $Y$  სიმბოლოთი, განისაზღვრება ტექნოლოგიის დონის ( $A$ ) და შრომისა და კაპიტალის ( $L$  და  $K$ ) რაოდენობის მიხედვით. შედეგად, მიღებული აგრეგირებული (ერთიანი) წარმოების ფუნქცია ნაჩვენებია დიაგრამა 3.1-ზე. მსპ ნაჩვენებია ვერტიკალურ ღერძზე, ხოლო ფიზიკური კაპიტალის მარაგი ნაჩვენებია ჰორიზონტალურ ღერძზე. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულია ტექნოლოგია, ფიზიკური კაპიტალის ზრდა იწვევს მსპ-ს ზრდას ჯერ შედარებით სწრაფად, მაგრამ შემდეგ ნელდება, წარმოების ზღვრული შემცირების კანონის მიხედვით. კაპიტალის მარაგებში გაკეთებული ინვესტიციის დონე ნაჩვენებია  $I$  მრუდით. ეს ინვესტიციები დამოკიდებულია ქვეყნის დანაზოგის მაჩვენებელზე და დანაზოგების უფრო მაღალი დონე იწვევს კაპიტალის დაგროვების ზრდას. ფიზიკური კაპიტალის დონე დაკავშირებულია მსპ-ს დონესთან. თუ, მაგალითად, ძირითადი კაპიტალი ტოლია  $K_1$ -ს, მაშინ მსპ იქნება  $Y_1$ -ი. მანძილი  $K_1$ -ში არსებულ მსპ-ს დონესა და მოხმარების ინვესტიციის დონეს შორის არის ინვესტიცია.

### ნახაზი 3.1

**აგრეგირებული წარმოების ფუნქცია და ინვესტიციები**  
 აგრეგირებული წარმოების ფუნქცია განსაზღვრულია ტექნოლოგიით, კაპიტალით და სამუშაო წარმადობით, მოცემული ფიზიკური კაპიტალის დონის შესაბამისად. დანაზოგების დონე განსაზღვრავს ინვესტიციების დონეს. კაპიტალის მარაგის  $K_1$  დონეზე, მსპ არის  $Y_1$ . მოხმარების დონე  $I_1$ -ზე არის სხვაობა აგრეგირებულ წარმოების ფუნქციასა და ინვესტიციებს შორის



### გრძელვადიანი წონასწორობა

მოცემული ფიზიკური კაპიტალის მქონე ეკონომიკისთვის ზრდის ტრაექტორია დამოკიდებული იქნება ტექნოლოგიის დონეზე, შრომისა და კაპიტალის მწარმოებლურობაზე და დანაზოგების მაჩვენებელზე, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკურ კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებს. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ ინვესტიციების ნაწილი იხარჯება გაცვეთილი და მოძველებული კაპიტალის ჩანაცვლებაზე. თუ ფიზიკური კაპიტალი ძლებს საშუალოდ 15 წელს, მაშინ ცვეთის მაჩვენებელი იქნება  $\frac{1}{15}$  (6.7%). ცვეთის მაჩვენებელზე

კეთდება დაშვება, რომ იგი შედარებით უცვლელია ფიზიკური კაპიტალის რაოდენობის პროპორციის მიხედვით. ზრდის მოდელის ეს სამი ელემენტი ნაჩვენებია დიაგრამა 3.2-ზე. ამჯერად, ვერტიკალური ღერძი არის წარმოებული პროდუქცია ერთ მომუშავეზე, რომელიც დაიანგარიშება, როგორც მსპ (Y), გაყოფილი მშრომელთა რაოდენობაზე, L-ზე ( $\frac{Y}{L}$ ). ჰორიზონტალური ღერძი წარმოადგენს კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობას ან კაპიტალის თანაფარდობას ერთ მომუშავეზე, მოცემული ფიზიკური კაპიტალის (K) რაოდენობის პირობებში, გაყოფილი მომუშავეთა რაოდენობაზე, L-ზე ( $\frac{K}{L}$ ). კაპიტალისა და შრომის თანაფარდობა არის ერთ-ერთი ასპექტი, თუ რამდენად შეიძლება იყოს შრომა მწარმოებლური. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა კორეა და ვიეტნამი, სწრაფი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი არის არამხოლოდ ის, რომ მათ გააჩნიათ შედარებით იაფი მუშახელი, არამედ ისიც, რომ ორივე ქვეყანა ინვესტირებას ახდენს კაპიტალში და შედეგად, შრომის მწარმოებლურობა შედარებით მაღალია. თუ შევადარებთ აფრიკის ბევრ ქვეყანას, იქ საშუალო შემოსავლები ძალიან დაბალი რჩება და მთავარი მიზეზი იმაშია, რომ აფრიკის ამ ქვეყნებში კაპიტალის მარაგებში ინვესტიცია დაბალია და, შესაბამისად, შრომის მწარმოებლურობაც ასევე დაბალია. გარდა ამისა, საერთო წარმოების ფუნქციას  $Y = A(K, L)$  და ინვესტიციას ( $I$ ), რომელიც განისაზღვრება დანაზოგის მაჩვენებლით, ჩვენ დავამატეთ ცვეთის განაკვეთი  $\delta K$ . ცვეთის მაჩვენებელზე კეთდება დაშვება, რომ იგი არ იცვლება კაპიტალსა და ერთ დასაქმებულს შორის პროპორციის ცვლილების შემთხვევაში.


ახლა ვნახოთ, რა მოხდება, თუ ქვეყანა აღმოჩნდება ერთ მომუშავეზე კაპიტალის დონის  $K_1$  წერტილში (ნახაზი 3.2).

**ნახაზი 3.2**

გამომშვებული პროდუქცია ერთ მომუშავეზე

**მდგრადი წონასწორობის წერტილი**

გრძელვადიანი წონასწორობის წერტილი მოცემულია, რა დროსაც დანახარჯები ინვესტიციაზე ცვეთის განაკვეთის ტოლია. იგი კავშირშია კაპიტალისა და გამომუშაების ფარდობასთან, რომელიც წერტილში  $I'$  არის უცვლელი. თუ ეკონომიკა კაპიტალისა და გამომშვებული პროდუქციის ფარდობის სხვა წერტილში იმყოფება, მაშინ ეკონომიკა გადაინაცვლებს წონასწორობის მუდმივი დონის წერტილში.



$K_1$  წერტილში ინვესტიცია ერთ მომუშავეზე უფრო მაღალია, ვიდრე კაპიტალის ცვეთა ერთ მომუშავეზე. ამიტომ კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობა, ანუ ერთ მომუშავეზე კაპიტალი იზრდება. როგორც კი იზრდება კაპიტალის წილი ერთ მომუშავეზე, ასევე იზრდება წარმოებული პროდუქციის წილი ერთ მომუშავეზე საწყისი წერტილიდან  $\frac{Y}{L_1}$  წერტილამდე. ეკონომიკა განაგრძობს ზრდას მანამ, სანამ არ მიაღწევს კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის  $K^*$  წერტილს. ამ წერტილში, ინვესტიციის დანახარჯები და ცვეთის განაკვეთი ტოლია, კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის დონე კი - უცვლელია. სოლოუმ ამ წერტილს დაარქვა **სტაბილური მდგომარეობის წონასწორობის წერტილი**. კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის ასეთი თანაფარდობა იძლევა ერთ მომუშავეზე წარმოებულ პროდუქციას  $\frac{Y}{L_2}$ -ს. მაგალითად, კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობა რომ ყოფილიყო  $K_2$  წერტილში, ცვეთის დანახარჯები უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე ინვესტიცია და შედეგად კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობა შემცირდებოდა, რაც ეკონომიკის წონასწორობას  $K^*$ -ში გადანაცვლებსკენ უზიბებდა.

ეს წონასწორობა ასოცირდება ეკონომიკის ზრდის გარკვეულ ტემპთან, რომელიც ნაჩვენებია დიაგრამა 3.2-ზე გავლენიანი მხეხის ხზით.

**სტაბილური მდგომარეობის წონასწორობის წერტილი** არის წერტილი მზარდ ეკონომიკაში, სადაც ინვესტიციის დანახარჯები ცვეთის დანახარჯების ტოლია, ხოლო კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობა უცვლელია.

სოლოუს მოდელი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ეკონომიკის განვითარება დროის განმავლობაში. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობა დაბალი იქნება. კაპიტალში ჩადებული ინვესტიცია გაზრდის კაპიტალს ერთ მშრომელზე და გამოიწვევს ზრდას. დიაგრამა 3.2-ზე ზრდის ტემპი კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობის  $K_1$ -ში, უფრო მაღალია ვიდრე სტაბილური მდგომარეობის წონასწორობის წერტილი  $K^*$ -ი. როგორც ეს მითითებულია მთლიანი წარმოების ფუნქციის უფრო მკვეთრი დახრით ერთ მომუშავეზე წარმოებული პროდუქციის დონით  $\frac{Y}{L_1}$  - ში. თუმცა, ინვესტიციები განისაზღვრება დანახარჯების დონით. ეს შეიძლება შედარებით დაბალი იყოს განვითარებად ქვეყნებში, დაბალი შემოსავლის დონის გამო. დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებისთვის პრიორიტეტი, პირველ რიგში, ოჯახის გამოკვებაა და მხოლოდ ამის შემდგომ - დანახარჯის გაკეთება. გარდა ამისა, ნაკლებად განვითარებულ

**შემოწმებისთვის:** ჩამოთვალეთ და აღწერეთ ქვეყნის მწარმოებლურობის ოთხი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ქვეყნებს შეიძლება არ ჰქონდეთ საკმარისად განვითარებული ფინანსური ინსტიტუტები, რომ დანაზოგებს ხელი შეეწყოს. სახელმწიფო მმართველობასთან და კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად ნიშნავს, რომ ეს ეკონომიკა ღარიბი რჩება და ვერ ახერხებს გადავიდეს მდგრად განვითარებაზე.

## დემოკრატია და ზრდა

### ქეისის განხილვა

ჩინეთში ეკონომიკური ზრდის მაღალი დონე მიღწეულია პირობებში, სადაც პოლიტიკური ამინდს ქმნის ერთპარტიული მმართველობა. საუდის არაბეთში პოლიტიკური სისტემა აბსოლუტური მონარქიაა, სადაც მეფე არის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური და მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, ბოლო 35 წლის მანძილზე ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპი საკმაოდ მაღალია - დაახლოებით 5 პროცენტი. ნიშნავს ეს იმას, რომ პოლიტიკური სისტემა და განსაკუთრებით დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა ნაკლებად ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე? ეკონომისტები დარონ ასიმოგლუ და პასკალ რესტრუპო მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან და სერემ ნაიდუ კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, დადა ჯეიმს რობინსონი ჰარვარდის უნივერსიტეტიდან - იკვლევდნენ დემოკრატიის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე.

მათი კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ არსებობს ეკონომიკურად და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პოზიტიური კორელაცია დემოკრატიასა და მოსახლეობის ერთ სულზე მსპ-ს შორის. გარდა ამისა, მათ შეძლეს ეფექტის რაოდენობრივი დაზუსტება იმის ჩვენებით, რომ დემოკრატიული სისტემის შემოღებიდან 25 წლის თავზე, გრძელვადიანი მსპ იზრდება 20-25%-ით. თუ როგორ იწვევს დემოკრატია ასეთ გავლენას, აიხსნება ღია ეკონომიკით, სწავლაში ინვესტიციებით, განსაკუთრებით დაწყებითი სკოლებში, ჯანდაცვის გაუმჯობესებით, გადასახადების ხვედრითი წილით საზოგადოებრივი დოვლათის უზრუნველყოფაში და სოციალური სტაბილურობის მაღალი დონით. კვლევამ მოიცვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, რომლებიც დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლას შეუდგნენ ბოლო 35-40 წლის განმავლობაში. მაგალითად, ალბანეთი, არგენტინა, ბუტანი, ჩეხეთი, განა, ჰონდურასი, უნგრეთი, ლიბერია, მალი, ნიკარაგუა, ნიგერი, პაკისტანი, პოლონეთი, სიერა ლეონე, სლოვენია, სამხრეთ აფრიკა, ტაილანდი, თურქეთი და ზამბია.

## ზრდის მიზეზები


სოლოუს მოდელი გვეუბნება, რომ ეკონომიკაში კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობა, საბოლოო ანგარიშით, მიუახლოვდება სტაბილური მდგომარეობის წონასწორობის წერტილს. თუმცა ემპირიული მონაცემები სრულად არ უჭერს მხარს მოდელის ამ პროგნოზს, რაც ნაწილობრივ განპირობებულია დიდი რაოდენობის დაშვებებით. კერძოდ, სტაბილური მდგომარეობის წონასწორობის წერტილი დამოკიდებული იქნება ეკონომიკის სპეციფიკურ მახასიათებლებზე - მოსახლეობაზე, ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის დონეზე, დანაზოგებისა და ცვეთის მაჩვენებლებზე, სამუშაო ძალის ჩართულობის მაჩვენებელზე და ტექნოლოგიის დონეზე. მოდელის გამოყენება უფრო ეფექტიანი იქნება არა განსხვავებული, არამედ მსგავსი მახასიათებლების მქონე ეკონომიკების ქვეყნებისათვის.

## დანაზოგის განაკვეთის ცვლილებები

დანაზოგების მაჩვენებლის ზრდამ შეიძლება გაზარდოს ინვესტიციები, კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობა. თუ დავუშვებთ, რომ ეკონომიკა იწყება სტაბილური მდგომარეობის წონასწორობის წერტილიდან, როგორც ნაჩვენებია  $K^*$  წერტილით დიაგრამა 3.3-ზე, მაშინ ინვესტიციები უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ცვეთის დანახარჯები. ეს გაზრდის კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობას, რომელიც ეკონომიკას გადაიყვანს ახალი სტაბილური მდგომარეობის წონასწორობის  $K^{**}$  წერტილში.

**ნახაზი 3.3** გამოშვებული პროდუქცია ერთ მომუშავეზე

**დანაზოგების განაკვეთის ზრდა**  
 დანაზოგების განაკვეთის ზრდა  $I$  და  $I_1$ -მდე იწვევს ინვესტიციების ზრდას და აჭარბებს ცვეთის განაკვეთს და ზრდის კაპიტალისა და გამოშვებული პროდუქციის ფარდობას. ეკონომიკა ინაცვლებს მუდმივი დონის წონასწორობის ახალ წერტილში  $K^{**}$



## მოსახლეობის ზრდა

თუ მოსახლეობა იმავე ტემპით იზრდება, როგორც შემოსავალი, მაშინ მსკ ერთ სულ მოსახლეზე უცვლელი დარჩება. რეალობა ისაა, რომ მოსახლეობის ზრდა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავდება. ბევრ ქვეყანაში მოსახლეობა სწრაფად იზრდება და მიზეზები შეიძლება კომპლექსური იყოს. **შობადობა**, ათას სულ მოსახლეზე დაბადებული ადამიანების წილი ყველა სხვა თანაბარ პირობებში, შეიძლება გაიზარდოს, ან **სიკვდილიანობა**, ათას სულ მოსახლეზე სიკვდილიანობის წილი, შეიძლება შემცირდეს ყველა სხვა თანაბარ პირობებში. ან შესაძლოა სულაც ორივე პროცესი ერთდროულად ხდებოდეს. დიდ ბრიტანეთში და ევროპის ბევრ ქვეყანაში სიკვდილიანობა მცირდება; უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს უფრო მეტხანს და შობადობაც უცვლელი რჩება, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობა იზრდება. ამასთან, მოსახლეობის ზრდა არ ნიშნავს, რომ სამუშაო ძალა იზრდება. მოსახლეობის დაბერება შეიძლება ნიშნავდეს სამუშაო ძალის შემცირებას. გარდა ამისა, **მიგრაციის დონემ** - ქვეყანაში საზღვარგარეთიდან შემოსულ ადამიანთა რაოდენობასა და ქვეყნიდან გასულ ადამიანებს შორის სხვაობამ შეიძლება ასევე გავლენა მოახდინოს მოსახლეობის საერთო დონეზე და შემადგენლობაზე.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში იმიგრაციის მხარდასაჭერად ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ ქვეყანაში ჩამოსულ მიგრანტებს გააჩნდათ უნარები, რაც პროდუქტიულობის ზრდას უწყობდა ხელს. თუ ეს ასეა, წარმოების ფუნქციის მრუდმა შეიძლება ზემოთ გადაინაცვლოს, რაც ასახავს შრომის მწარმოებლურობის ზრდას, ტექნოლოგიის დონისა და ხელმისაწვდომი კაპიტალის გათვალისწინებით. ამ საკითხის კვლევა და ანალიზი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური თემაა, განსაკუთრებით მოცემული მიგრაციის იმ კრიზისის პირობებში, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყანას შეეხო.

**შობადობის დონე** - ათას სულ მოსახლეზე დაბადებული ადამიანების წილი.

**სიკვდილიანობის დონე** - ათას სულ მოსახლეზე სიკვდილიანობის წილი.

**მიგრაციის დონე** - სხვაობა ქვეყანაში შემოსულ და ქვეყნიდან გასულ ადამიანთა შორის.

სოლოუს ზრდის მოდელმა აჩვენა, რომ სამუშაო ძალის ზრდის პირობებში, კაპიტალისა და წარმოებული პროდუქციის თანაფარდობა რომ დარჩეს მუდმივი, ინვესტიციამ უნდა დაფაროს ცვეთა და უზრუნველყოს მეტი კაპიტალი. თუ ინვესტიციები არ მიყვება მოსახლეობის ზრდის ტემპს, ხალხი გადარიბდება. ეს ნაწილობრივ ხსნის იმას, თუ რატომ არის ნაკლებად განვითარებული ქვეყანებში სიღარიბის მაღალი დონე, რადგან მათი მოსახლეობა იზრდება, მაგრამ ინვესტიციები ამ ზრდას ვერ ეწევა. პოლიტიკოსები შეეცადნენ მოსახლეობის ზრდის შეჩერებას ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების შესახებ ინფორმირებულობის

გაზრდის გზით, ჩინეთის შემთხვევაში კი -საკანონმდებლო გზით, რომელიც წყვილებს აძლევს მხოლოდ ერთი შვილის ყოლის უფლებას. ეს კანონი ამოქმედდა 1979 წელს და გაუქმდა მხოლოდ 2015 წლის ოქტომბერში.

ქვეყანას მოსახლეობის ზრდაზე გავლენის კიდევ ერთი საშუალებაა სტიმულების გამოყენება. ბავშვის გაჩენას, როგორც ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილებას, გააჩნია ვერმიღებული სარგებელი. როდესაც ამ უკანასკნელის ღირებულება იზრდება, ხალხი ირჩევს უფრო მცირე ზომის ოჯახის ყოლას. კერძოდ, ქალებს, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კარგი განათლება და სასურველი სამუშაო, უფრო ნაკლები შვილები უნდათ, ვიდრე მათ, ვისაც ოჯახის ყოლის გარდა ნაკლები არჩევანი და შესაძლებლობები აქვთ. შესაბამისად, პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ქალის თანაბარ მოპყრობას და უფლებებს, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ერთ-ერთი გზაა მოსახლეობის ზრდის ტემპის შესამცირებლად და ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

**კაპიტალის მარაგების სიხალვათე.** ზრდის რამდენიმე თანამედროვე თეორია ხაზს უსვამს მოსახლეობის ზრდის გავლენას კაპიტალის ფორმირებაზე. ამ თეორიების თანახმად, მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი ამცირებს მსპ-ს ერთ მომუშავეზე, ვინაიდან მომუშავეთა რაოდენობის სწრაფი ზრდა განაპირობებს კაპიტალის მარაგების უფრო მეტ „სიხალვათეს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსახლეობის სწრაფი ზრდის შედეგად, ერთ მომუშავეზე ნაკლები კაპიტალი მოდის, რაც იწვევს მწარმოებლურობის შემცირებას და, შესაბამისად, მსპ-ს კლებას ერთ მომუშავეზე.

ეს პრობლემა ყველაზე მეტად გამოიკვეთა ადამიანური კაპიტალის შემთხვევაში. მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპის მქონე ქვეყნებს ბევრი სკოლის ასაკის ბავშვი ჰყავს, რაც დამატებით ტვირთად აწვება განათლების სისტემას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპის მქონე ქვეყნების განათლების დონე საკმაოდ დაბალია.

მთელს მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის დონეებს შორის სხვაობა დიდია. ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, გაერთიანებული სამეფო და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოსახლეობა წელიწადში მხოლოდ 1 პროცენტით იზრდება და მომავალში კიდევ უფრო ნელა გაიზრდება. ამის საპირისპიროდ, აფრიკის ბევრ ღარიბ ქვეყანაში, მოსახლეობა იზრდება დაახლოებით 3 პროცენტით წელიწადში. ამ ტემპით მოსახლეობის რაოდენობა ყოველ 23 წელიწადში ორმაგდება. მოსახლეობის ეს სწრაფი ზრდა ართულებს მომუშავეთათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და უნარების მიწოდებას, რაც მათ სჭირდებათ მწარმოებლურობის მაღალი დონის მისაღწევად.

**ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობა.** მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ შეიძლება შეზღუდოს ეკონომიკური კეთილდღეობა თითოეული მომუშავეის



კაპიტალის შემცირების გზით, მან შესაძლოა გარკვეული სარგებელიც მოიტანოს. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, მოსახლეობის გლობალური ზრდა ტექნოლოგიური პროგრესის და ეკონომიკური აღმავლობის მამოძრავებელი ძალაა. მექანიზმი მარტივია: რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება, მით უფრო სავარაუდოა, რომ ზოგიერთ მათგანს გაუჩნდება ახალი იდეები, რაც ტექნოლოგიურ პროგრესს გამოიწვევს და ყველას სარგებელს მოუტანს.

ეკონომისტმა *მაიკლ კრემერმა* 1993 წელს გამოაქვეყნა სტატია „მოსახლეობის ზრდა და ტექნოლოგიური ცვლილებები ჩვ. წ. აღრიცხვამდე მილიონი წლიდან 1990 წლამდე“, რომელიც მხარს უჭერდა ამ ჰიპოთეზას.

კ. კრემერი აღნიშნავდა, რომ ისტორიულად მსოფლიოში ეკონომიკური მაღალი ზრდის ტემპები სწორედ მაშინ შეიმჩნეოდა, როცა მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა.

მაგალითად, როდესაც მოსახლეობა მილიარდს აღწევდა (დაახლოებით 1800 წელს), ზრდის ტემპი გაცილებით აჭარბებდა ძვ. წ. აღრცხ. 500 წლის მაჩვენებელს, როდესაც მოსახლეობა მხოლოდ 100 მლნ იყო. ეს ფაქტი შეესაბამება ჰიპოთეზას, რომ როცა ადამიანთა რიცხოვნობა იზრდება, იგი ხელს უწყობს მეტ ტექნიკურ პროგრესს.

კრემერის მეორე მტკიცებულება ემყარება მსოფლიოს რეგიონების მონაცემთა შედარებას. ყინულოვანი ხანის ბოლოს პოლარული ყინულის დნობამ დატბორა მიწები და დაყო სამყარო ხმელეთის რამდენიმე რეგიონად, რომლებსაც ათასობით წლის განმავლობაში ერთმანეთთან ურთიერთობა არ შეეძლოთ. თუ ტექნოლოგიური პროგრესი უფრო სწრაფია იქ, სადაც უფრო მეტ ადამიანს შეუძლია აღმოაჩინოს ახალი რამ, მაშინ უფრო დასახლებულ რეგიონებს უფრო დიდი პროგრესისათვის უნდა მიეღწიათ.

კრემერის აზრით, სწორედ ასე მოხდა. მსოფლიოს ყველაზე წარმატებული რეგიონი 1500 წელს (როდესაც კოლუმბმა აღადგინა ტექნოლოგიური კონტაქტები) მოიცავდა "ძველი სამყაროს" ცივილიზაციებს ევრაზიის და აფრიკის უკიდურეს რეგიონში. შემდეგი ტექნოლოგიური განვითარების პროცესში იყო აცტეკების და მაიას ცივილიზაცია ამერიკაში, მონადირე-შემგროვებლები ავსტრალიაში და ტასმანიის პრიმიტიული ხალხი, რომელსაც ცეცხლი და ქვის და ძვლის იარაღებიც კი არ გააჩნდა.

ყველაზე მცირე იზოლირებული რეგიონი იყო ფლინდერის კუნძული, მცირე კუნძული ტასმანიასა და ავსტრალიას შორის. აქ მოსახლეობის რიცხვი ძალიან მცირე იყო და, შესაბამისად, ტექნოლოგიური განვითარების შესაძლებლობაც - ნაკლები, რამაც აქ ჩვ. წ. აღრ. დაახლოებით 3000 წელს მოსახლეობის განადგურება გამოიწვია. კრემერი ასკვნის, რომ დიდი მოსახლეობის არსებობა ტექნოლოგიური პროგრესის წინაპირობაა.

ერთი შეხედვით, ეს დასკვნა არ ეწინააღმდეგება თანამედროვე სამყაროს ემპირიულ დაკვირვებებს: როგორც ადრე აღვნიშნეთ, მრავალ მდიდარ განვითარებულ ქვეყანაში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოსახლეობის ზრდა მხოლოდ 1 პროცენტია წელიწადში, ხოლო ბევრ ღარიბ ქვეყანაში, მაგალითად, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში, მოსახლეობის ზრდა ბევრად უფრო მაღალია. რატომ არ ეხმარება მოსახლეობის რაოდენობის უფრო მაღალი ზრდა ამ ღარიბ ქვეყნებს ზრდაში, თუ კრემერის არგუმენტი სწორია? საქმე იმაშია, რომ კრემერმა მართლაც გააანალიზა მსოფლიო ეკონომიკური ზრდა, უფრო სწორად, ეკონომიკური ზრდა მსოფლიოს იზოლირებულ რეგიონებში. ამჟამად, ძალიან ღარიბ ქვეყანაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს ისეთი ტექნოლოგიური მიღწევები, რაც განვითარებულ ქვეყნებში არ მომხდარა და უცნობი იქნებოდა; პრობლემა არ არის ტექნოლოგიური პროგრესის ნაკლებობა, არამედ ტექნოლოგიის გამოყენების სირთულე ადამიანური კაპიტალის ნაკლებობის გამო და შესაძლოა, ასევე პოლიტიკური არასტაბილურობისა და კორუფციის გამოც. უფრო მეტიც, რადგან ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მრავალი ნიჭიერი ადამიანი მიგრირებს მდიდარ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მათ შეუძლიათ იმუშაონ, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდას.

### ტექნოლოგიური ზრდა

ტექნოლოგიის მიღწევები შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი დოვლათი. თუ დავუშვებთ, რომ ტექნოლოგია დაცული არ არის და თუნდაც მოხდეს მისი დაცვა, ის დიდხანს ვერ გაგრძელდება და მისი მოხმარება ყველასთვის უფასო და ხელმისაწვდომი ხდება. საერთო წარმოების ფუნქცია გვიჩვენებს, რომ მაშინაც კი, თუ კაპიტალი და შრომა არ იცვლება, ტექნოლოგიაში მიღწევები ზრდის შემოსავალს, რადგან კაპიტალიც და შრომაც უფრო პროდუქტიული ხდება. ეს ჩანს ბოლო 20 წლის განმავლობაში კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარების მაგალითზე. 1997 წელს ინტერნეტი მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე იმყოფებოდა და მობილური ტელეფონების შესაძლებლობები და ფუნქციები ძალიან იყო შეზღუდული. 1965 წელს Intel-ის ინჟინერმა *გორდონ მურმა* იწინასწარმეტყველა, რომ კომპიუტერების გამომთვლელი უნარი ყოველ ორ წელიწადში გაორმაგდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სიახლეების ტემპი შენედა, მურის მიერ აღმოჩენილი კანონზომიერება მეტწილად ძალაში დარჩა, რის გამოც მას "მურის კანონი" შეარქვეს.

ბიზნესში ტექნოლოგიის გამოყენებამ გამოიწვია მწარმოებლურობის გაზრდა და ბიზნესის წარმართვის მრავალფეროვნება. ინოვაცია ხშირად გამომდინარეობს იქიდან, რომ ვიღაც ფიქრობს პრობლემებზე, პოულობს მათი გადაჭრის გზებს და ეყრდნობა არსებულ ცოდნას. ტექნოლოგია არა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კლებადი ზღვრული პროდუქტიულობა შეიძლება კომპენსირებული იყოს, არამედ იწვევს წარმოების მოცულობის პროპორციულ

ზრდას. თუ შრომა და კაპიტალის მწარმოებლურობა იზომება როგორც ინდექსი და X წელი არის 100, მაშინ 5 პროცენტისანი ზრდა ერთი წლის პერიოდში გაზრდის მწარმოებლურობას 105-მდე. შემდეგი 5 პროცენტისანი ზრდა X + 2 წლის თავზე მწარმოებლურობის ინდექსს გაზრდის 110.25-მდე. ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შეიძლება გამოიწვიოს მწარმოებლურობის და მსპ-ს ექსპონენციალური ზრდა. მაგალითად, 1960 წელს ეროვნული სტატისტიკის ოფისმა

## ინფორმაციისთვის

### თომას მალთუსი

თომას რობერტ მალთუსი (1766-1834), ინგლისელი მინისტრი და ერთ-ერთი ყველაზე ადრეული პერიოდის ეკონომისტი და მოაზროვნე. ცნობილია თავისი წიგნით „ესეები მოსახლეობის პრინციპებზე, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი საზოგადოების მომავალზე“. მალთუსი ამტკიცებდა, რომ მუდმივად მზარდი მოსახლეობა გამოიწვევს საზოგადოების შენახვისათვის აუცილებელი რესურსების შემცირებას, რის გამოც კაცობრიობა განწირულია სამუდამო სიღარიბისათვის.

მალთუსის ლოგიკა ეფუძნებოდა დებულებას, რომ "საკვები აუცილებელია ადამიანის არსებობისთვის" და რომ „ადამიანების გამრავლება გაიზრდება და მას ვერაფერი შეეცვლის და შეაჩერებს“. მან დაასკვნა, რომ "მოსახლეობის ზრდა უსასრულოდ მეტია, ვიდრე დედამიწის შესაძლებლობა საარსებო წყარო გაუჩინოს ადამიანს". მალთუსის აზრით, მოსახლეობის ზრდის ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი იყო "სიღარიბე და ბოროტება". ის ამტკიცებდა, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციების ან მთავრობების მიერ სიღარიბის შემცირების მცდელობები უშედეგო იყო, რადგან ისინი უბრალოდ საშუალებას აძლევდნენ ღარიბებს უფრო მეტი შვილი ჰყოლოდათ, რაც კიდევ უფრო უშლიდა ხელს საზოგადოების მწარმოებლურ შესაძლებლობებს.

საბედნიეროდ, მალთუსის პესიმისტური პროგნოზი სიმართლისგან შორს არის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა დაახლოებით ექვსჯერ გაიზარდა, ცხოვრების დონე საშუალოდ გაცილებით მაღალია. ეკონომიკური ზრდის შედეგად, შიმშილი და არასწორი კვება დღეს უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე მალთუსის დროს. შიმშილი არის, მაგრამ ის უფრო ხშირად შემოსავლის არათანაბარი განაწილების ან პოლიტიკური არასტაბილურობის შედეგია, ვიდრე საკვების არაადეკვატური წარმოების.

რა არის მალთუსის შეცდომა? მან მიიჩნია - და სწორადაც - რომ დედამიწის მოსახლეობა ექსპონენციალურად გაიზრდებოდა, რადგან რაც უფრო მეტი ადამიანი იზადება და გადარჩება, მით უფრო მეტი ადამიანი იზადება, შემდგომ მათი შვილები და ა.შ. მან ასევე დაუშვა - არასწორად - რომ წარმოებულ საკვების რაოდენობა შეიძლება მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით გაიზარდოს მაშინ, როდესაც მოსახლეობის ზრდა გეომეტრიული პროგრესიით ხდება. პესტიციდები, სასუქები, მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, კულტურების ახალი ჯიშები და სხვა ტექნოლოგიური მიღწევები, რომელთა შესახებ მალთუსმა არც კი იცოდა, საშუალებას აძლევს ყველა ფერმერს გამოკვებოს მოსახლეობა. მეტი ადამიანის გამოსაკვებად სულ უფრო ნაკლები ფერმერია საჭირო, რადგან თითოეული ფერმერის მწარმოებლურობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მალთუსი ამას წარმოიდგენდა.

გამოაცხადა, რომ 2012 წელს დიდ ბრიტანეთში ერთ მომუშავეზე წარმოებული პროდუქციის ინდექსი (საბაზისო მაჩვენებელი) თუ შეადგენდა 35.8, 2014 წელს იგი გაუტოლდა 101.6-ს.

## შეჯამება

სოლოუს ზრდის მოდელის განხილვა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ზრდის მიზეზების შესახებ და გვადლევს მითითებს, თუ სად შეუძლიათ სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლებს ყურადღების კონცენტრირება. აგერგირებული წარმოების ფუნქცია არის მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეიძლება გაიზარდოს შემოსავალი/წარმოებული პროდუქცია, მეტი კაპიტალის და შრომის ინვესტიციის პირობებში და როგორ შეუძლია ტექნოლოგიურ მიღწევებს აღნიშნულ ფაქტორების მწარმოებლურობის გაზრდა. ეკონომიკური ზრდის გასაღები არის კაპიტალის მარაგების დაგროვება. დიდი კაპიტალის მარაგები, ყველა სხვა თანაბარ პირობებში, ხელს უწყობს პროდუქციის ზრდას. კაპიტალის დაგროვება შესაძლებელია დანაზოგებიდან ინვესტიციების განხორციელებით. თუ დანაზოგის მაჩვენებელმა ცვეთის ხარჯებს გადაამეტა, ეკონომიკა წონასწორობის სტაბილური მდგომარეობისკენ წავა. დანაზოგების მაჩვენებლის ზრდა თავისთავად არ იწვევს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის ზრდას შრომისა და კაპიტალის ზღვრული კლებადობის გამო. გაუმჯობესებულმა ტექნოლოგიამ შეიძლება შეცვალოს ზღვრული საქონლის კლების გავლენა და უზრუნველყოს როგორც წარმოებული პროდუქციის, ასევე მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის გაზრდა. მოსახლეობის სიდიდისა და სტრუქტურის ცვლილება არის გასათვალისწინებელი ფაქტორი მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის ზრდის მსპ-ს ზრდაზე ზეგავლენის შესასწავლად.

სოლოუს ზრდის მოდელი იძლევა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების საშუალებას. სტაბილური მდგომარეობის წონასწორობის წერტილზე გადასვლები და კვლევები აჩვენებს, რომ ეკონომიკა მართლაც მიდის ისეთი წერტილისკენ, სადაც გრძელვადიანი ზრდის ტემპები მსგავსია.

## ენდოგენური ზრდის თეორია

სოლოუს ზრდის მოდელი ითვალისწინებს, რომ მხოლოდ კაპიტალში ინვესტიცია ვერ გამოიწვევს მოსახლეობის ერთ სულზე ზრდას ზღვრული საქონლის შემცირების გამო და კაპიტალი წარმოების მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენს. გრძელვადიან ზრდას ტექნოლოგიური ცვლილებები განაპირობებს. სოლოუს მოდელში ტექნოლოგია ეგზოგენურია იმ გაგებით, რომ მის დონეზე გავლენას არ ახდენს არც კაპიტალის დაგროვება და არც მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება. სოლოუს მოდელი ვერ ხსნის, თუ რა განსაზღვრავს ტექნოლოგიის დონეს და

ტექნოლოგიურ ცვლილებებს. როგორც ზემოთ განვმარტეთ, ტექნოლოგია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საზოგადოებრივი დოვლათი, რომელიც არამეტოქეობისუნარიანია. ცოდნისა და იდეების განვითარების შედეგად, ისინი საზოგადოებაში ხელმისაწვდომი ხდება და მათი გამოყენება ყველას შეუძლია; ერთი ადამიანის მიერ გამოყენება ხელს არ უშლის სხვებს გამოიყენონ იგივე ცოდნა ან იდეები. თუ ტექნოლოგია არის საზოგადოებრივი დოვლათი და მისგან მოგების მიღება ვერ ხდება, მაშინ რა არის მოტივაცია იმისა, რომ ადამიანები ფიქრობდნენ ინოვაციებზე და ახალ იდეებზე?

*პოლ რომერი* შეეცადა გამოერკვია, თუ რატომ ხდება ტექნოლოგიის გაუმჯობესება და მის მიერ შემუშავებულ მოდელს ეწოდა ენდოგენური ზრდის თეორია. ენდოგენური ზრდის თეორია არის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის თეორია. იგი გვევლინება იმ ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შექმნის შედეგად, რომლებიც ყველას ეხება და ადამიანურ შრომას უფრო მწარმოებლურს ხდის. გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის ტემპი განისაზღვრება საერთო ფაქტორის მწარმოებლურობის ზრდის ტემპით. საერთო ფაქტორის მწარმოებლურობა კი ტექნოლოგიის განვითარების ტემპზე.

**ენდოგენური ზრდის თეორია** არის თეორია, რომლის მიხედვითაც გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის ტემპი განისაზღვრება წარმოების საერთო ფაქტორის მწარმოებლურობის ზრდის ტემპით, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ტექნოლოგიების განვითარების ტემპზე.

ამ თავის დასაწყისში ჩვენ ვნახეთ, რამდენად სწრაფად შეიცვალა ტექნოლოგია ბოლო 50 წლის განმავლობაში. ტექნოლოგიის ამ ექსპონენციალური ზრდის მნიშვნელოვანი ელემენტია ფირმების მიერ R&D-ში (კვლევასა და განვითარებაში) გაკეთებული ინოვაციები და ინვესტიციები. ბევრი ამ ინოვაციიდან და R&D-დან შეიძლება განხორციელდეს კომპანიების მიერ კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მიზნით. კონკურენტული უპირატესობა, როგორც ვიცით, შეიძლება განისაზღვროს, როგორც კომპანიის უპირატესობა კონკურენტებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, გაკეთებულია დაშვება, რომ კომპანიების სტიმულია მოგების მიღების მოტივით მოახდინონ ინოვაციებში და R&D-ში ინვესტირება. თუ ტექნოლოგია მეტოქეობისუნარიანი არ არის, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს სახელმწიფო პოლიტიკაზე: საჭიროა შემუშავდეს პოლიტიკა კომპანიების ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გაფართოების გზით, განათლების საშუალებით და ფართო სოციალური სარგებლის უზრუნველყოფით.

სოლოუს მოდელში კაპიტალის დაგროვება ხდება დანაზოგების ხარჯზე, ხოლო ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება - განათლების ხარჯზე. კაპიტალის დაგროვება არ მიიღება მხოლოდ კაპიტალის მუდმივი ტემპით გაზრდის გზით. როდესაც კომპანიები ახდენენ

ინვესტიციებს ახალ აღჭურვილობაში, შეიძლება გაიზარდოს ცოდნა, რომელიც საჭიროა მისი ეფექტიანად მუშაობისა და გამოყენებისათვის, რაც თავისთავად ზრდის ინტელექტუალურ კაპიტალს და ანაზღაურებს ზღვრული საქონლის შემცირებას. მაგალითად, თუ კომპანია ინვესტირებას ახდენს ახალ სააღრიცხვო სისტემაში, მისი თანამშრომლები უნდა იყვნენ მომზადებულნი მისი გამოყენებისათვის, რაც ნიშნავს ადამიანური კაპიტალის გაზრდას. თუ მომზადებული მუშაკები დატოვებენ კომპანიას, ისინი თავიანთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს თან წაიღებენ, რაც სარგებელს მოუტანს სხვა კომპანიებს. ამრიგად, ინოვაციების საშუალებით ინტელექტუალური კაპიტალის ზრდა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კომპანიის მწარმოებლურობაზე.

ინოვაციების განვითარებისას, ახალი ტექნოლოგიები ანაცვლებს ძველს და საჭიროა ახალი უნარები, რაც არსებულ უნარებს არარელევანტურს ხდის. 1942 წელს ავსტრიელმა ეკონომისტმა **იოზეფ შუმპეტერმა** შეიმუშავა **შემოქმედებითი (კრეატიული) განადგურების** იდეა ამ პროცესის აღსაწერად. ამ იდეის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ დროთა განმავლობაში ტექნოლოგიის ცვლილებას თან მოჰყვება გამარჯვებული და დამარცხებული კომპანიების არსებობა. ზოგი კომპანია დატოვებს ბაზარს, ხოლო თანამშრომლებს შეიძლება დასჭირდეთ გადამზადება ახალი უნარ-ჩვევების შესასწავლად, რაც შეიძლება ზიანის მომტანი იყოს ამ პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის. საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებამ უნდა აღიაროს, რომ R&D და ინოვაცია ხელს უწყობს „კრეატიული განადგურების“ ტემპის ამალღებას - აუცილებელს ტექნოლოგიის განვითარებისათვის, რაც ხელს უწყობს ტექნოლოგიურ ზრდას. R&D-ში ინვესტიციების წახალისების გზების ძიება სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია..

**კრეატიული განადგურება** არის პროცესი, როდესაც ახალი ტექნოლოგიები ანაცვლებს ძველს და მოითხოვს ახალ უნარებს, ხოლო არსებული უნარები არარელევანტური ხდება.

## ეკონომიკური ზრდა და საჯარო პოლიტიკა

როგორც უკვე დავიმახეთ, საზოგადოების ცხოვრების დონე გარკვეულწილად დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე, ხოლო მწარმოებლურობას ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის სიდიდე, ბუნებრივი რესურსები და ტექნოლოგიური ცოდნა განსაზღვრავს. ახლა განვიხილოთ საკითხი, რომელთანაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს უწევთ შეხება მთელ მსოფლიოში. რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფო პოლიტიკამ მწარმოებლურობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით?

## დანაზოგებისა და ინვესტიციების მნიშვნელობა

ამ თავის დასაწყისში ჩვენ განვიხილეთ დანაზოგების როლი ინვესტიციებთან მიმართებით. ინვესტიციები აუცილებელია კაპიტალის მარაგების შენარჩუნებისა და გაზრდის მიზნით. ვინაიდან კაპიტალი წარმოებული ფაქტორია, საზოგადოებას შეუძლია შეცვალოს კაპიტალის მოცულობა. თუ დღეს ეკონომიკა დიდი რაოდენობით ახალ კაპიტალურ საქონელს აწარმოებს, მაშინ ხვალ მას უფრო მეტი კაპიტალი ექნება და შეძლებს უფრო მეტი სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებას. ამრიგად, მომავალში მწარმოებლურობის გაზრდის ერთ-ერთი გზაა მიმდინარე რესურსების მეტი ინვესტიცია კაპიტალის წარმოებაში.

ამასთან, კაპიტალის დაგროვების გათვალისწინებით, აუცილებელია გარკვეული კომპრომისის დაშვება. შეზღუდული რესურსების პირობებში, კაპიტალის წარმოებისთვის მეტი რესურსის გამოყოფა გულისხმობს მიმდინარე მოხმარებისთვის ნაკლები რესურსების გამოყოფას საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის. ამრიგად, საზოგადოებამ მეტი ინვესტიცია რომ მოახდინოს კაპიტალში, მან ნაკლები უნდა მოიხმაროს და მეტი დაზოგოს. კაპიტალის დაგროვების საფუძველზე განხორციელებული ეკონომიკური ზრდა მოითხოვს საზოგადოებისგან მსხვერპლს: მიმდინარე მოხმარების შეზღუდვას მომავალში მოხმარების გაზრდის მიზნით.

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირის მმართველები გამიზნულად ზრდიდნენ რესურსებს კაპიტალური საქონლის წარმოებაში, რათა დაწეოდნენ უფრო მდიდარ და ინდუსტრიულად განვითარებულ დასავლეთის ქვეყნებს - გერმანიას, აშშ-ს და გაერთიანებულ სამეფოს. მათ შეძლეს მნიშვნელოვნად გაეფართოებინათ წარმოება მსხვილ ინდუსტრიებში, როგორცაა ნახშირი და ფოლადის წარმოება, რითაც შემდგომ გაზარდეს სხვა კაპიტალური საქონლის (და სამხედრო ტექნიკის) წარმოება. იმდროინდელი სსრკ-ს მოსახლეობის კომპრომისი მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი ნაკლებს ხარჯავდნენ სამომხმარებლო საქონლის წარმოებაზე, რის გამოც მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერიოდში მოსახლეობისთვის ეს გზა რთული იყო, ამგვარი გადაწყვეტილებები და არჩევანი დაეხმარა ქვეყანას გაემარჯვა ფაშისტურ გერმანიასთან მეორე მსოფლიო ომში და პლანეტის ერთ-ერთი ზესახელმწიფო გამხდარიყო.

კვლევებმა აჩვენა, რომ კორელაცია ზრდასა და ინვესტიციებს შორის ძლიერია. ქვეყნებს, რომლებიც მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავენ ინვესტიციებზე (ჩინეთი, იაპონია და ავსტრალია), ასევე აქვთ ზრდის მაღალი ტემპები. ქვეყნებს, რომლებიც მსკ-ს მცირე წილს უთმობენ ინვესტიციებს, (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ზიმბაბვე, ბანგლადეში) ზრდის დაბალი ტემპები აქვთ.

როგორც წესი, ქვეყნების დიდ რაოდენობაში ჩატარებული კვლევები ადასტურებს პირდაპირ კორელაციას ინვესტიციებსა და ზრდას შორის. თუმცა, არსებობს პრობლემა ამ მონაცემების ინტერპრეტაციაში. ორ ცვლადს შორის კორელაცია არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, რომელი ცვლადი არის მიზეზი და რომელი - შედეგი. არ არის გამორიცხული, რომ მაღალი ინვესტიცია იწვევდეს მაღალ ზრდას, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ მაღალი ზრდა იწვევდეს დიდ ინვესტიციას (ან შესაძლებელია, რომ მაღალი ზრდა და მაღალი ინვესტიცია განპირობებულია მესამე ცვლადით, რომელიც გამორიცხული იყო ანალიზში). მხოლოდ მონაცემებს არ შეუძლია მოგვცეს მიზეზებზე სრულყოფილი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, კაპიტალის დაგროვების პირდაპირი მზეოქმედება მწარმოებლურობაზე, დამტკიცებულია მრავალი ეკონომისტის მიერ. ამრიგად, დიდი მოცულობის ინვესტიცია იწვევს უფრო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

## უკუგების კლება და დაწვევის ეფექტი

როგორც დავინახეთ, დანაზოგების ზრდა არ განაპირობებს განუსაზღვრელი ვადით ეკონომიკის ზრდას კლებადი უკუგების ეფექტის გამო; დანაზოგების ზრდა მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იწვევს მაღალ ზრდას. რადგან დანაზოგების უფრო მაღალი ტემპი მეტი კაპიტალის დაგროვების საშუალებას იძლევა, დროთა განმავლობაში კაპიტალის დამატებითი ერთი ერთეულისგან წარმოებული დამატებითი პროდუქციის რაოდენობა მცირდება და ზრდა ნელდება. გრძელვადიან პერსპექტივაში, დანაზოგების უფრო მაღალი მაჩვენებელი იწვევს მწარმოებლურობისა და შემოსავლის მაღალ დონეს, მაგრამ არა ამ ცვლადების უფრო მაღალ ზრდას. ამ გრძელვადიანი ზრდის მიღწევას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. საერთაშორისო კვლევების თანახმად, დანაზოგების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

კაპიტალის უკუგების შემცირება ასევე მნიშვნელოვანია: ყველა სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნისთვის უფრო ადვილია სწრაფად განვითარება, როცა იგი შედარებით ღარიბია. საწყისი პირობების ამ გავლენას შემდგომ ზრდაზე ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც **დაწვევის ეფექტს**.

**დაწვევის ეფექტი** - თვისება, რომელიც გულისხმობს, რომ დაბალგანვითარებული ქვეყნები ზრდის უფრო მაღალ ტემპებს აღწევენ, ვიდრე მაღალგანვითარებული ქვეყნები.

ღარიბ ქვეყნებში მუშებს შეიძლება არ ჰქონდეთ ყველაზე ძირითადი ინსტრუმენტები კი და ამის შედეგი დაბალი მწარმოებლურობაა. კაპიტალის ინვესტიციის მცირე მოცულობაც კი ასეთ დროს მნიშვნელოვანად გაზრდის მომუშავეების მწარმოებლურობას. მდიდარ ქვეყნებში კი მომუშავეებს ბევრი კაპიტალი აქვთ გამოსაყენებლად, რაც ნაწილობრივ ხსნის მათ მაღალ მწარმოებლურობას. ამდენად, ერთ სულ მომუშავეზე კაპიტალის ასეთი მაღალი დონის



პირობებში, ერთი დამატებითი კაპიტალის ინვესტიცია შედარებით მცირე გავლენას ახდენს მათ მწარმოებლობაზე. ეკონომიკური ზრდის საერთაშორისო მონაცემების კვლევამ დაადასტურა ეს ეფექტი: როდესაც სხვა ცვლადები ფიქსირებულია, მსკ-დან ინვესტიციების გამოყოფის შედეგად, ღარიბი ქვეყნები უფრო სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე მდიდარი ქვეყნები.

დაწვევის ეფექტი ზოგიერთი დამაფიქრებელი ფაქტის ახსნაში გვეხმარება. ბოლო 40 წლის განმავლობაში, იაპონიამ მსკ-დან დაახლოებით 10%-ით მეტი გამოყო ინვესტიციებზე, ვიდრე ჩინეთმა, მაგრამ ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 1,7-ჯერ მეტი იყო, ვიდრე იაპონიის. აღნიშნული გარემოება აიხსნება იმით, რომ 1961 წელს იაპონიის მსკ ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 15-ჯერ მეტი იყო ვიდრე ჩინეთის. ვინაიდან ჩინეთში ინვესტიციები 1960-იან წლებში ძალიან დაბალი იყო, აქ კაპიტალის დაგროვებამ უფრო მაღალი შედეგები მოგვცა ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, რაც დაწვევის ეფექტის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს. ამის ახსნა შესაძლებელია დაწვევის ეფექტით. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჩინეთში ინვესტიციები ძალიან დაბალი იყო 1960-იანი წლებში. მცირე საწყისი კაპიტალით ჩინეთში კაპიტალის დაგროვებით მიღებული სარგებელი გაცილებით მეტი იყო, რამაც განაპირობა ქვეყნის შემდგომი მაღალი ზრდის ტემპი.

### უცხოური ინვესტიციები

სოლოუს მოდელი ითვალისწინებს დახურულ ეკონომიკას. ადგილობრივი დანაზოგი ქვეყნის ერთადერთი წყარო არ არის ახალ კაპიტალში ინვესტიციისთვის. სხვა წყაროა უცხოური ინვესტიციები. უცხოური ინვესტიცია რამდენიმე ფორმას იღებს. BMW-მ შესაძლოა ააშენოს მანქანების ქარხანა პორტუგალიაში. კაპიტალის ინვესტიციას, რომელსაც ფლობს და მართავს უცხოური საწარმო, ეწოდება **პირდაპირი უცხოური ინვესტიცია**. გარდა ამისა, გერმანელს შეუძლია შეიძინოს პორტუგალიის კორპორაციის წილი და პორტუგალიის კორპორაციამ შეიძლება გამოიყენოს აქციების გაყიდვიდან მიღებული თანხა ახალი ქარხნის ასაშენებლად.

ინვესტიციებს, რომლებიც ფინანსდება უცხოური ფულით, მაგრამ ადგილობრივი მაცხოვრებლები მართავენ, **უცხოურ პორტფელურ ინვესტიციებს** უწოდებენ. ორივე შემთხვევაში, გერმანელები უზრუნველყოფენ პორტუგალიის კაპიტალის გაზრდისთვის

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები** - კაპიტალის ინვესტიცია, რომელსაც ფლობს და მართავს უცხოური სუბიექტი.

**უცხოური პორტფელის ინვესტიციები** - ინვესტიციები, რომლებიც ფინანსდება უცხოური ფულით, მაგრამ მათ მართავენ ადგილობრივი მაცხოვრებლები.

საჭირო რესურსებს. ანუ, გერმანული დანაზოგი გამოიყენება პორტუგალიის ინვესტიციების დასაფინანსებლად.

როდესაც უცხოელები ქვეყანაში ინვესტიციას დებენ, რადგან მათგან მოგებას ელიან. BMW-ს ავტომობილების ქარხანა ზრდის პორტუგალიის კაპიტალის მარაგს და, შესაბამისად, ზრდის პორტუგალიის მწარმოებლურობას და პორტუგალიის მსკ-ს. ამასთან, BMW ამ დამატებითი შემოსავლის ნაწილს გერმანიას უბრუნებს მოგების სახით. ანალოგიურად, როდესაც გერმანელი ინვესტორი ყიდულობს პორტუგალიურ აქციებს, ინვესტორს აქვს უფლება მიიღოს მოგებიდან თავისი ნაწილი, რომელსაც პორტუგალიურმა კორპორაციამ გამოიმუშავა.

ამრიგად, უცხოეთიდან განხორციელებულ ინვესტიციებს ერთნაირი გავლენა არ აქვს ეკონომიკური აღმავლობის ყველა მაჩვენებელზე. შეგახსენებთ, რომ მსკ არის რეზიდენტი და არარეზიდენტი სუბიექტების მიერ მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი მთელი შემოსავალი, ხოლო მეკ არის ქვეყნის მაცხოვრებლის მიერ როგორც შინ, ასევე საზღვარგარეთ მიღებული შემოსავალი. როდესაც BMW ხსნის თავის ქარხანას პორტუგალიაში, ქარხნის მიერ მიღებული შემოსავლის ნაწილს იტვისებს ის ადაიანები, რომლებიც პორტუგალიაში არ ცხოვრობენ. შედეგად, პორტუგალიაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები პორტუგალიის შემოსავალს (მეკ-ით იზომება) ნაკლებად ზრდის, ვიდრე პორტუგალიის წარმოებას (რომელიც იზომება მსკ-ით).

ასეა თუ ისე, უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინვესტიციების სარგებლის ნაწილი უკან ბრუნდება უცხოელ ინვესტორთან, ეს ინვესტიციები ზრდის მოცემული ქვეყნის ეკონომიკის კაპიტალის მარაგს, რაც იწვევს მწარმოებლურობის და ხელფასების ზრდას. უფრო მეტიც, უცხოური ინვესტიციები ღარიბი ქვეყნებისათვის ერთ-ერთი გზაა მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებში გამოყენებული თანაედროვე ტექნოლოგიების მისაღებად.

ამ მიზეზის გამო, ბევრი ეკონომისტი ურჩევს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მთავრობას მხარი დაუჭირონ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წამახალისებელ პოლიტიკას, რაც გულისხმობს უცხოური კაპიტალის შემოდინებაზე ბარიერების მოხსნას.

მსოფლიო ბანკი ცდილობს ხელი შეუწყოს კაპიტალის ნაკადის დინებას ღარიბი ქვეყნებში. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია იღებს რესურსებს მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან და იყენებს ამ რესურსებს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე გასაცემად, რათა მათ შეძლონ ინვესტიცია გზებში, ინფრასტრუქტურაში, სკოლებში და სხვა

სახის კაპიტალში. ის ასევე თავაზობს ქვეყნებს რჩევას, თუ როგორ გამოიყენონ ეს სახსრები. მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) ერთად, შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ომის ერთ-ერთი გაკვეთილი იყო ის, რომ ეკონომიკური სიძნელეები ხშირად იწვევს პოლიტიკურ არეულობას, საერთაშორისო დამაბულობასა და სამხედრო კონფლიქტებს.

## განათლება

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატებისთვის განათლება - ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში - არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ინვესტიცია ფიზიკურ კაპიტალში. დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში განათლების ყოველი დამატებითი წელი ზრდის თანამშრომლის შემოსავალს დაახლოებით 10 პროცენტით. საშუალო და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებით შეზღუდულია ადამიანური კაპიტალი, სხვაობა განათლებულ და გაუნათლებელ მშრომელთა ხელფასებს შორის ძალიან დიდია. ამრიგად, ცხოვრების დონის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზაა კარგი სკოლების აშენება და მოსახლეობის სწავლის წახალისება.

ინვესტიციას ადამიანურ კაპიტალში, ისევე როგორც ფიზიკურ კაპიტალში, გააჩნია გაცდენილი სარგებელი. როდესაც სტუდენტები სკოლაში მიდიან, ისინი უარს ამბობენ სამსახურზე და ხელფასზე. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ბავშვები ადრეულ ასაკში ტოვებენ სკოლას, თუმცა დამატებითი განათლების სარგებელი ძალიან მაღალია მხოლოდ იმიტომ, რომ მათი შრომა აუცილებელია ოჯახის შესანარჩუნებლად.

ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ადამიანური კაპიტალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის, რადგან ადამიანურ კაპიტალს აქვს დიდი პოზიტიური ზემოქმედება. მაგალითად, განათლებულ ადამიანს შეუძლია შექმნას ახალი იდეები თუ როგორ უნდა აწარმოოს უკეთესად საქონელი და მომსახურება. თუ ეს იდეები საზოგადოების ზოგადი ცოდნის ფონდში მოხვდება, რათა ყველამ შეძლოს მათი გამოყენება, მაშინ ისინი წარმოადგენენ განათლების გარე სიკეთეს (დადებით ექსტერნალიას). ამ შემთხვევაში, განათლების უკუგება საზოგადოებისათვის უფრო მეტი სარგებლის მომტანია, ვიდრე ერთი ადამიანის მიერ მიღებული უკუგება. ეს არგუმენტი ამართლებს ადამიანურ კაპიტალში დიდი სუბსიდიების განხორციელებას, რასაც ჩვენ ვხედავთ სახელმწიფო განათლების სახით.

ღარიბი ქვეყნების მწვავე პრობლემაა **ტვინების გადინება** - მრავალი ყველაზე განათლებული ადამიანი მიგრირებს მდიდარ ქვეყნებში, სადაც მათ ცხოვრების მაღალი დონე

**ტვინის გადინება** - მრავალი ყველაზე განათლებულ მომუშავე ადამიანის მიგრაცია მდიდარ ქვეყნებში.

აქვთ. თუ ადამიანურ კაპიტალს აქვს პოზიტიური გავლენა, მაშინ ეს ტვინების გადინება დარჩენილ ხალხს გააღარიბებს, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში იქნებოდა. ეს საკითხი დილემას უქმნის სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლებს. ერთი მხრივ, მდიდარ ქვეყნებს, როგორცაა დასავლეთ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა, აქვთ უმაღლესი განათლების სისტემები და ბუნებრივი იქნება ღარიბი ქვეყნების მიერ საუკეთესო სტუდენტების გაგზავნა საზღვარგარეთ უფრო მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად. მეორეს მხრივ, იმ სტუდენტებს, რომლებმაც უცხოეთში გაატარეს დრო, შეუძლიათ აირჩიონ არ დაბრუნდნენ შინ და ამ შემთხვევაში ეს ტვინების გადინება კიდევ უფრო შეამცირებს ღარიბი ქვეყნის ადამიანური კაპიტალის მარაგს.

## ჯანმრთელობა და კვება

ტერმინი „ადამიანური კაპიტალი“ ჩვეულებრივ დაკავშირებულია სწავლასთან და განათლების მიღებასთან, მაგრამ ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ტიპის ინვესტიციების აღსაწერად: მაგალითად, ჯანმრთელი მოსახლეობის მისაღებად განკუთვნილი დანახარჯები. ყველა სხვა თანაბარი პირობებში, ჯანმრთელი მომუშავეები უფრო პროდუქტიულნი არიან. საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე სწორი ინვესტიცია ქვეყანას აძლევს პროდუქტიულობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების მნიშვნელოვან საშუალებას.

ეკონომიკის ისტორიკოსი *რობერტ ვოგელი* ვარაუდობს, რომ ჯანმრთელობის გაუმჯობესება უკეთესი კვების საშუალებით არის მნიშვნელოვანი ფაქტორი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. მისი შეფასებით, 1780 წელს დიდ ბრიტანეთში ყოველი მეხუთე ადამიანი იმდენად ცუდად იკვებებოდა, რომ ხელით შრომა არ შეეძლო. მათ შორის, ვისაც შრომა შეეძლო, არასაკმარისი კალორიების რაოდენობა მნიშვნელოვნად ამცირებდა მათ შესაძლებლობას შეესრულებინა დიდი მოცულობის სამუშაო. კვების გაუმჯობესებასთან ერთად, მომუშავეთა მწარმოებლურობაც იზრდებოდა.

ვოგელის კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის სიმაღლე, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მწარმოებლურობის მაჩვენებელია. დროის გარკვეულ მონაკვეთში მუშების დიდი რაოდენობის მონაცემების გამოკვლევით, მეცნიერმა დაადგინა, რომ უფრო მაღალი მუშები უფრო მეტს გამოიმუშავენ, ანუ უფრო მწარმოებლურები არიან. სიმაღლის გავლენა მწარმოებლურობაზე და, შესაბამისად, ხელფასებზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ღარიბ ქვეყნებში, სადაც არასრულფასოვანი კვება დიდ პრობლემას წარმოადგენს.

1993 წელს ვოგელმა ნობელის პრემია მიიღო ეკონომიკის ისტორიის დარგში შესრულებული შრომებისათვის, რომლებიც მოიცავდა კვლევას არამხოლოდ კვების შესახებ, არამედ მონობის და რკინიგზის როლს ამერიკის ეკონომიკის განვითარებაში. ლექციაზე,

რომელიც მან დაჯილდოებისას წაიკითხა, მან განაცხადა, რომ „დიდ ბრიტანეთში საერთო კვების გაუმჯობესება ითვალისწინებს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის დაახლოებით 30 პროცენტით ზრდას 1790 წლიდან 1980 წლამდე.“

საბედნიეროდ, განვითარებულ ქვეყნებში დღეს არასაკმარისი კვება იშვიათია (სიმსუქნე უფრო გავრცელებული პრობლემაა). განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებისათვის ცუდი ჯანმრთელობა და არასაკმარისი კვება რჩება მწაროებლურობის გაზრდისა და ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის მნიშვნელოვან დაბრკოლებად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეფასებით, სამხრეთ-საჰარის აფრიკაში მოსახლეობის თითქმის მესამედი არასაკმარისად იკვებება.

ჯანმრთელობასა და სიმდიდრეს შორის მიზეზობრივი კავშირი ორი გარემოებაში ვლინდება: ღარიბი ქვეყნები ნაწილობრივ ღარიბები არიან, რადგან მათი მოსახლეობა არაჯანსაღია, მათი მოსახლეობა კი არაჯანსაღია ნაწილობრივ იმიტომ, რომ ისინი ღარიბი არიან, მათ არ აქვთ საკმარისი ჯანდაცვა და საკვები. ეს არის მანკიერი წრე, როელიც შეიძლება დაიძლიოს სახელმწიფოს მიერ სიღარიბის აღმოფხვრისაკენ მიმართული აქტიური სოციალურიპოლიტიკის გატარებით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

## საკუთრების უფლებები, პოლიტიკური სტაბილურობა და კარგი მმართველობა

ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი გზა არის სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან საკუთრების უფლებების მტკიცე დაცვა, პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და კარგი მმართველობა. როდესაც ჩვენ განვიხილავდით ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებებს, დავინახეთ, რომ წარმოება საბაზრო ეკონომიკაში წარმოიქმნება მილიონობით ადამიანისა და კომპანიის ურთიერთქმედების შედეგად. მაგალითად, ავტომობილის ყიდვისას ჩვენ ამავდროულად ვყიდულობთ ავტომობილების დილერის პროდუქტს, ფოლადს იმ კომპანიისგან ვინც ავტომობილისთვის დაამზადა ნაწილები, პროდუქტს რკინის მადნის კომპანიისგან და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკამ უნდა მოახდინოს ოპერაციების კოორდინაცია ამ კომპანიებს შორის, კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის. საბაზრო ფასები კი ამ გარიგებების კოორდინაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

ფასების სისტემის ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა მთელ ეკონომიკაში საკუთრების უფლების დაცვა. სამთო კომპანია არ შეეცდება რკინის მადნის მოპოვებას, თუ მოელის, რომ მადანს მოპარავენ. კომპანია მოიპოვებს მადანს მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ დარწმუნებულია, რომ მოგებას მიიღებს მადნის გაყიდვით. ამ თვალსაზრისით, სასამართლოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბაზრო ეკონომიკაში: ისინი იცავენ საკუთრების უფლებას სისხლის სამართლის სისტემის მეშვეობით. გარდა ამისა, სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემით, სასამართლოები უზრუნველყოფენ, რომ მყიდველები და გამყიდველები პატივს სცემენ და იცავენ თავიანთი ხელშეკრულების პირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანები თვლიან, რომ საკუთრების უფლებები თავისთავად მოცემულობაა, ნაკლებად განვითარებულ ან განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს ესმით, რომ საკუთრების უფლების დაუცველობა შეიძლება სერიოზული პრობლემა იყოს. ბევრ ქვეყანაში მართლმსაჯულების სისტემა არ მუშაობს გამართულად. კონტრაქტების დაცვა ძნელი ხდება და თაღლითობები ხშირად დაუსჯელი რჩებიან. უფრო უარესს შემთხვევებში, სახელმწიფო არა მხოლოდ არ იცავს საკუთრების უფლებებს, არამედ რეალურად ზღუდავს მათ. ზოგიერთ ქვეყანაში კომპანიები ცდილობენ მოქრთამონ ხელისუფლების გავლენიანი წარმომადგენლები. ასეთი კორუფცია აფერხებს ბაზრის კოორდინაციის შესაძლებლობას. ეს ასევე ხელს უშლის შიდა დანაზოგების და უცხოური ინვესტიციების დაბანდებას. კორუფციისა და ქრთამის პრობლემა ფართოდ არის გავრცელებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ არის ზეწოლის ჯგუფი, რომელიც არსებობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების მიზნით. ყოველ წელს, იგი აქვეყნებს ინდექსს, რომელიც ასახავს კორუფციის დონეს მთელ მსოფლიოში. ქვეყნები დაყოფილია 0-დან 100-მდე შკალაზე, 0 მიუთითებს მაღალ კორუფციაზე და 100 მაღალ პატიოსნებაზე. 176 ქვეყნის რეიტინგში, დაახლოებით ორი მესამედი 50 შკალის ნიშნულზე დაბლა დგას.

საკუთრების უფლებებისთვის ერთ-ერთი საფრთხეს წარმოადგენს პოლიტიკური არასტაბილურობა. როდესაც რევოლუციები და გადატრიალებები ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩნდება ეჭვები, დაცული იქნება თუ არა საკუთრების უფლებები მომავალში. თუ რევოლუციურ მთავრობას შეუძლია საწარმოების ჩამორთმევა კერძო მესაკუთრებისთვის, რაც ხშირად მომხდარა კომუნისტური რევოლუციების შემდეგ, მაშინ ადგილობრივ მოსახლეობას ნაკლებად უჩნდება სტიმული რომ დაზოგოს, განახორციელონ ინვესტიცია ან ახალი ბიზნესი წამოიწყონ. ამავდროულად, უცხოელებსაც ნაკლები ინვესტიციის გაკეთების სტიმული აქვთ ასეთ ქვეყანაში. რევოლუციის საფრთხესაც კი შეუძლია ქვეყნის ცხოვრების დონე შეამციროს. შემთხვევითი არ არის, რომ ძლიერი სამხედრო დიქტატურის მქონე ქვეყნები, სადაც ხშირად ხდება სახელმწიფო გადატრიალებები, ცხოვრების დონის რეიტინგში დაბალ ადგილებს იკავებენ.

ამრიგად, ეკონომიკური კეთილდღეობა ნაწილობრივ დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ქვეყნები, სადაც არის ეფექტიანი სასამართლო სისტემა, მთავრობის

პატიოსანი მოხელეები და სტაბილური კონსტიტუცია, ცხოვრების უფრო მაღალი ეკონომიკური სტანდარტით გამოირჩევა, ვიდრე ქვეყნები, სადაც არის სუსტი სასამართლო სისტემა, კორუმპირებული ჩინოვნიკები და ხშირია რევოლუციები და გადატრიალებები. კარგი მმართველობის ძირითადი მახასიათებლებია - ძლიერი დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა, კორუფციის დაბალი დონე და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. ქვეყანაში თუ ეს ყველაფერი არსებობს, მაშინ უფრო მოსალოდნელია, რომ კონტრაქტები და საკუთრების უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი იყოს და თავისუფალმა ბაზრებმა ეფექტიანად გაანაწილოს შეზღუდული რესურსები. ბევრ ეკონომისტს მიაჩნია, რომ კარგი მმართველობის გარეშე, ეკონომიკური განვითარება საფრთხის წინაშე დადგება.

## თავისუფალი ვაჭრობა

მსოფლიოს ზოგიერთმა ღარიბმა ქვეყანამ სცადა „შიდა ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკის“ გატარებით უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის მიედწია. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს ქვეყნის მწარმოებლურობისა და ცხოვრების დონის ამაღლებას დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთკავშირის გარეშე. ამ მიდგომას მხარს უჭერს ზოგიერთი ადგილობრივი კომპანია, რომლის აზრითაც მათ უცხოური კონკურენციისგან დაცვა სჭირდებათ, რასაც ახლადშექმნილი ინდუსტრიის არგუმენტი ეწოდება. უცხოელთა მიმართ უნდობლობა ასევე უბიძგებს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების პოლიტიკოსებს დააწესონ ტარიფები და სხვა სავაჭრო შეზღუდვები.

ბევრი ეკონომისტი მხარს უჭერს „გარეთ ორიენტირებული პოლიტიკის“ გატარებას, რომელიც გულისხმობს ამ ქვეყნების მჭიდრო კავშირებს გლობალურ ეკონომიკასთან. საერთაშორისო ვაჭრობას შეუძლია გააუმჯობესოს ვაჭრობაში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობა. გარკვეული გაგებით, ვაჭრობა ერთგვარი ტექნოლოგიაა. როდესაც ქვეყანა ხორბლის ექსპორტს ახდენს და ფოლადი შემოაქვს, იგი სარგებელს მიიღებს ისევე, როგორც თითქოს მან გამოიგონა ხორბლის ფოლადად გადაქცევის ტექნოლოგია. ამრიგად, ქვეყანა, რომელიც მოხსნის სავაჭრო შეზღუდვებს, განიცდის იგივე ეკონომიკურ ზრდას, რაც დიდი ტექნოლოგიური წინსვლის შედეგად მოხდებოდა.

**„შიდა ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკის“** უარყოფითი შედეგები უფრო აშკარა ხდება ბევრი მცირე ზომის ნაკლებად განვითარებული ეკონომიკების შემთხვევაში. მაგალითად, არგენტინის მთლიანი მსპ ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის (ლონდონის ჩავთვლით) მიერ წარმოებული მსპ-ს ტოლია წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი მოულოდნელად შეწყვეტს ათი წლის განმავლობაში რეგიონის გარეთ ვაჭრობას. ვაჭრობიდან სარგებლის მიუღებლობის გამო, ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთს მოუწევს აწარმოოს ყველა ის საქონელი, რომელსაც მოიხმარს. ცხოვრების დონე სამხრეთ-აღმოსავლეთში

დაეცემა და პრობლემა დროთა განმავლობაში გაუარესდება. ზუსტად ასე მოხდა, როდესაც არგენტინამ „შიდა ბაზარზე ორიენტირებულ პოლიტიკის“ გატარება დაიწყო მე-20 საუკუნეში. ეს ასევე ნაწილობრივ ხსნის ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკურ პრობლემებს, რომელმაც ყველანაირი კავშირი გაწყვიტა დანარჩენ მსოფლიოსთან. ამის საპირისპიროდ, „გარე ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკის“ ქვეყნებმა, როგორცაა სამხრეთ კორეის რესპუბლიკა, სინგაპური და ტაივანი, მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს.

ვაჭრობის მოცულობა განისაზღვრება არა ამარტო მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკით, არამედ გეოგრაფიითაც. კარგი ბუნებრივი საზღვაო პორტების მქონე ქვეყნებისთვის უფრო ადვილია ვაჭრობა, ვიდრე ამ რესურსის არმქონე ქვეყნებისთვის. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს მრავალი მსხვილი ქალაქი, როგორცაა პარიზი, ბოსტონი, ნიუ იორკი, ჰონგ კონგი და ლონდონი, მდებარეობს ოკეანეებთან ახლოს ან დიდი მდინარეების ნაპირებზე, რაც უზრუნველყოფს სავაჭრო გემებისთვის ზღვაზე იოლად გასასვლელს. ანალოგიურად, იმ ქვეყნებს, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ, უფრო უჭირთ საერთაშორისო ვაჭრობა. მათ აქვთ დაბალი შემოსავლის დონე, ვიდრე იმ ქვეყნებს, რომლებსაც მსოფლიოს საზღვაო სავაჭრო ქსელებთან მისასვლელი გააჩნიათ.

## კვლევები და განვითარება

როგორც ენდოგენური ზრდის თეორიის მოკლე მიმოხილვაში ვნახეთ, ტექნოლოგიური პროგრესი შეიძლება იყოს ფირმების და ცალკეული გამომგონებლების კერძო კვლევის შედეგი. სახელმწიფოს აკისრია როგორც საზოგადოებრივი დოვლათის - ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფა, მას ასევე აკისრია ახალი ტექნოლოგიური კვლევებისა და განვითარების მხარდაჭერის ფუნქცია. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ამ ფუნქციას ახორციელებს სხვადასხვა გზით, მაგალითად, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი და დაფინანსებული კვლევითი ლაბორატორიების, ან პერსპექტიული მკვლევრებისთვის შეთავაზებული კვლევითი გრანტების სისტემის საშუალებით. მას ასევე შეუძლია დააწესოს საგადასახადო შეღავათები და წახალისებები კომპანიებისათვის, რომლებიც კვლევებით და განვითარებით არიან დაკავებული.

სახელმწიფო პოლიტიკის კიდევ ერთი გზა, რითაც იგი ხელ უწყობს კვლევებს, არის პატენტის სისტემა. როდესაც პირი ან კომპანია იგონებს ახალ პროდუქტს, მაგალითად, ახალ წამალს, გამომგონებელს შეუძლია პატენტის მოთხოვნა. თუ პროდუქტი ნამდვილად ორიგინალურად არის მიჩნეული, სახელმწიფო მას ანიჭებს პატენტს, რომელიც გამომგონებელს აძლევს ექსკლუზიურ უფლებას აწარმოოს პროდუქტი განსაზღვრული წლების განმავლობაში. არსებითად, პატენტი ეს არის გამომგონებლის საკუთრების უფლება გამომგონებაზე. ახალი იდეის საზოგადოებრივი დოვლათიდან კერძოზე გადაყვანა საშუალებას აძლევს გამომგონებელს



მოგება ნახონ თავიანთი გამოგონებით, თუნდაც დროის გარკვეულ პერიოდში. პატენტის სისტემა ზრდის ინდივიდებისა და კომპანიების სტიმულებს, რომ მონაწილეობა მიიღონ კვლევებში.

## მოსახლეობის ზრდა

ეკონომისტები და სხვა სოციოლოგები დიდი ხანია კამათობენ, თუ როგორ მოქმედებს მოსახლეობის ზრდა საზოგადოებაზე. მისი პირდაპირი გავლენა ყველაზე უფრო აისახება სამუშაო ძალის რაოდენობაზე: უფრო მეტი მოსახლეობა ნიშნავს მეტ მომუშავეს, რომელიც აწარმოებს მეტ საქონელს, მომსახურებას და მერ მომხმარებელს. ამ აშკარა ეფექტების გარდა, მოსახლეობის ზრდა ურთიერთქმედებს მწარმოებლურობის სხვა ფაქტორებთან, ოღონდ ნაკლებად თვალსაჩინო გზებით, რაც დებატების საკითხებად რჩება.

**შემოწმებისთვის:** აღწერეთ სამი გზა, რომელთა საშუალებითაც ხელისუფლების წარმომადგენელმა შეიძლება სცადოს საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესება. აქვს თუ არა ამ პოლიტიკას უარყოფითი მხარეები?

## დასკვნა: გრძელვადიანი ზრდის მნიშვნელობა

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ზრდის თეორიები; როგორ უკავშირდება ისინი ცხოვრების დონის განსხვავებებს ქვეყნებს შორის; როგორ შეუძლიათ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს ცხოვრების დონის გაუმჯობესება ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების მეშვეობით. სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლებმა, რომელთაც სურთ ცხოვრების დონის ამაღლება, თავიანთი ქვეყნის მწარმოებლურობის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით უნდა წახალისონ წარმოების ფაქტორების სწრაფი დაგროვება და მათი მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება.

ეკონომისტებს სხვადასხვა შეხედულება გააჩნიათ ეკონომიკის ზრდაში სახელმწიფოს როლს შესახებ. სახელმწიფოს შეუძლია ეკონომიკურ ზრდას ხელი შეუწყოს საკუთრების უფლებების დაცვით და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებით. უფრო საკამათო საკითხია ის, უნდა დაეხმაროს თუ არა მიზნობრივად სახელმწიფო გარკვეულ ინდუსტრიებს, რომლებიც შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს ტექნოლოგიური პროგრესის თვალსაზრისით. ექვგარეშეა, ეს კითხვები ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკაში. ერთი თაობის პოლიტიკოსების წარმატება ეკონომიკური ზრდის გაკვეთილების სწავლასა და გააზრებაში განსაზღვრავს, თუ როგორ სამყაროს მიიღებს მისი მომდევნო თაობა მემკვიდრეობად.

## ახალი ამბებიდან

### ეკონომიკური ზრდა ჩინეთში

ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად იქცა. თუმცა 2015 წელს გლობალურმა ფინანსურმა ბაზრებმა დაიწყეს ვარდნა და საქონლის ფასებმა დაიკლო, რის გამოც გამოქვეყნებული ანგარიშები წინასწარმეტყველებდა „ჩინური ზრდის სასწაულის“ და, ამასთან ერთად, გლობალური ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალის დასასრულს.

### ეკონომიკური ზრდა ჩინეთში: სასწაულის დასასრული?

1980-დან 2010 წლამდე ჩინეთის მსკ-ს ზრდის საშუალო ტემპი დაახლოებით 10 პროცენტი იყო. 2011-დან 2014 წლამდე იგი საშუალოდ 8 პროცენტს შეადგენდა. 2015 წლის ოქტომბერში ჩინეთის მესამე კვარტლის ზრდის ტემპმა 6.9 პროცენტი შეადგინა, რაც 2009 წლის შემდეგ პირველად იყო 7 პროცენტზე დაბალი. ანგარიშმა აჩვენა, რომ ინვესტიციებიც შენედა. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის გაძლიერების მცდელობებში შედის 200-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის დამტკიცება გზების, ენერგეტიკის, რკინიგზისა და დასუფთავების სფეროებში, რომელთა ღირებულებამ 258 მილიარდ ევროზე მეტი შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა შენედა, ჩინეთში წლების მანძილზე ძლიერმა ზრდამ შედარებით მოკლე დროში მილიონობით ადამიანი იხსნა სიღარიბისგან. შესაძლოა ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისტორიის რომელიმე სხვა მოვლენა. პროფესორი **ჯასტინ იფუ ლინი**, ყოფილი მთავარი ეკონომისტი და მსოფლიო ბანკის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ 1979 წელს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი ჩინეთში მხოლოდ 182 დოლარი იყო, რაც იმდროისათვის საჭარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნების საშუალო შემოსავლის მესამედზე ნაკლებს შეადგენდა. ბოლო 30 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 9 პროცენტზე მეტი იყო და 600 მილიონი ადამიანი გამოიყვანა სიღარიბიდან. ლინს მოჰყავს ეკონომიკის ისტორიკოსის **ანგუს მედისონის** (2001) კვლევა, რომლის თანახმად დასავლეთში მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის საშუალო წლიური ზრდა მე-18 საუკუნემდე დაახლოებით 0,05 პროცენტი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის გაორმაგებას, ევროპამ 1,400 წელი მოანდომა. მე-19 საუკუნეში ზრდა გახდა 1 პროცენტი, რის გამოც მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის გაორმაგებას 70 წელი დასჭირდა, ხოლო მე-20 საუკუნეში 2 პროცენტის ეკონომიკური ზრდის პირობებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 35 წელიწადში გაორმაგდა. ჩინეთის ეკონომიკური ზრდის "სასწაულის" სიდიდის ხაზგასასმელად საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ქვეყანამ 30 წლის განმავლობაში ისეთივე განვითარება შესძლო, რისთვისაც ინგლისს 350 წელი დასჭირდა.

ერთ-ერთი „საიდუმლო“, რითაც ჩინეთმა მიაღწია ასეთ სწრაფ და შთამბეჭდავ ზრდას, არის კაპიტალში მასობრივი ინვესტიციების განხორციელება, ვინაიდან მას ჭარბი სამუშაო ძალა ისედაც გააჩნია. ლინი ასევე ამტკიცებს, რომ ჩინეთმა შეძლო ესარგებლა საკუთარი "ჩამორჩენილობით" - გადმოეღო განვითარებული ქვეყნებიდან ტექნოლოგიები და ინოვაციები ნაკლები რისკის და დანახარჯების პირობებში. მსოფლიო ბანკის კომისიამ აღნიშნა, რომ ეს არის განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობა "მოახდინონ იმის იმპორტი,

რაც დანარჩენმა ქვეყანებმა იციან და გაატარონ ისეთი პოლიტიკა, რაც მათ სჭირდებათ." ეს შესაძლებლობა არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც შეიძლება დაეხმაროს განვითარებად ქვეყანას მიაღწიოს მოსახლეობის ერთ სულზე სტაბილურ ზრდას ხანგრძლივი დროის პერიოდში.

ზრდის შენელებამ გამოიწვია შეშფოთება, რომ ჩინეთი მომავალში ვერ შეძლებდა ზრდის ასეთი მაღალი ტემპების შენარჩუნებას და, თუ ასეა, ეს აუცილებლად აისახებოდა გლობალურ ეკონომიკაზე, რასაც განაპირობებს ჩინეთის მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკაში. 2015 წელს ქვეყნის აქციებმა საფონდო ბირჟებზე არასტაბილური რყევები განიცადა, სამრეწველო მოგება შემცირდა და სამრეწველო ფასებმა დაიკლო 43 თვის განმავლობაში, რაც ჩინეთი ეკონომიკაში ჭარბი სიმძლავრეების არსებობაზე მეტყველებდა. დიდი ვალი, სუსტი წარმოება და საცხოვრებელი სახლების ჭარბწარმოება კიდევ უფრო ამყარებდა პესიმისტურ პროგნოზებს, რომ ეკონომიკური სასწაული საბოლოოდ დასრულდა. მართლაც, სოლოუს ზრდის მოდელი პროგნოზირებს, რომ დამატებით კაპიტალს მხოლოდ მიღწეული ზრდის შენარჩუნება შეუძლია.

ამასთან, ლინი თვლის, რომ ჩინეთმა შეიძლება განაგრძოს ზრდა 8 პროცენტის ან მეტი ტემპით მომდევნო 20 წლის განმავლობაში. იგი თავის დასკვნას ამყარებს იმ არგუმენტით, რომ ქვეყანას კიდევ შეუძლია უწყვეტი სარგებელის მიღება "ჩამორჩენილობისგან" და რომ ჯერ კიდევ არსებობს დიდი სხვაობა, რომელიც ჩინეთმა უნდა გადალახოს, სანამ იგი დაეწევა ისეთ განვითარებულ ქვეყნებს როგორც არის აშშ. ამასთან, ჩინეთი უნდა გადაერთოს ტექნოლოგიური ცვლილებების გამოყენებაზე და აღარ დაეყრდნოს იაფ სამუშაო ძალას, ვინაიდან ეს შედარებითი უპირატესობა უკვე იწურება, რადგან სხვა დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებიც ვითარდებიან. ამრიგად, მომავალში ჩინეთი უკვე უნდა გახდეს არა ტექნოლოგიების შემწოვი, არამედ ინოვაციების შემქმნელი და დამწერგავი.

### კითხვები

1. ჩინეთის მოსახლეობა 1 მილიარდს აღემატება. ბუნებრივი ფაქტორების ეს უპირატესობა მთავარი მიზეზია იმისა, რომ ჩინეთმა შეძლო ასეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა ბოლო 30 წლის განმავლობაში? თუ ასეა, რატომ არ შეიძლება სხვა დიდი მოსახლეობის მქონე ქვეყნებიც გაიზარდონ ამ ტემპით?
2. დავუშვათ, რომ ბოლო 35 წლის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკა საშუალოდ 9 პროცენტით გაიზარდა. გამოიყენეთ „წესი 70“ იმის შესაფასებლად, თუ რამდენი დრო დასჭირდება ჩინეთს შემოსავლების გაორმაგებას. გვეხმარება ეს იმის შეფასებაში, თუ რამდენად გაიზარდა ჩინეთის ეკონომიკა ბრიტანეთთან შედარებით?
3. ახსენით, თუ როგორ აძლევს "ჩამორჩენილობის" იდეას ჩინეთს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიაღწიოს სწრაფ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას.
4. ჩინეთის წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარი იყო კაპიტალის მასიური დაგროვება. გვეხმარება სოლოუს ზრდის მოდელი იმის ახსნაში, თუ რატომ დაიწყო ზრდის შენელება?
5. რამდენად ეხმიანება ლინის მოსაზრება, რომ ჩინეთის სახელმწიფო უნდა გადავიდეს ინოვაციების ხელშეწყობაზე, ენდოგენური ზრდის თეორიას?

## შეჯამება

- 1) ეკონომიკური კეთილდღეობა, რომელიც იზომება მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდება მთელ მსოფლიოში. მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ქვეყნებში საშუალო შემოსავალი ათჯერ აღემატება მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. მსკ-ს ზრდის რეალური ტემპების მნიშვნელოვანი განსხვავების პირობებში, დროთა განმავლობაში ქვეყნების მდგომარეობა შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს.
- 2) ეკონომიკაში ცხოვრების დონე გარკვეულწილად დამოკიდებულია ეკონომიკის შესაძლებლობაზე აწარმოოს საქონელი და მომსახურება. მწარმოებლურობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია ფიზიკური კაპიტალის, ადამიანური კაპიტალის, ბუნებრივი რესურსების და მშრომელთათვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიური ცოდნის ოდენობაზე.
- 3) სოლოუს ზრდის მოდელში აღნიშნულია, რომ კაპიტალის დაგროვება ექვემდებარება შემცირებულ უკუგებას: რაც უფრო მეტი კაპიტალია ეკონომიკაში, მით ნაკლებ დამატებით წარმოებულ პროდუქციას იღებს ეკონომიკა დამატებითი ერთი ერთეული კაპიტალისგან. კლებადი უკუგების მიზეზით, უფრო მაღალი დანაზოგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უფრო სწრაფ ზრდას იწვევს, მაგრამ საბოლოოდ ზრდის ტემპი ნელდება, რადგან ეკონომიკა უახლოვდება კაპიტალის, მწარმოებლურობის და შემოსავლის მაღალ დონეს. უფრო მეტიც, კლებადი უკუგების მიზეზით, კაპიტალის უკუგება განსაკუთრებით მაღალია ღარიბ ქვეყნებში. ყველა სხვაა თანაბარ პირობებში, დაწვევის ეფექტის შედეგად, ეს ქვეყნები შეიძლება უფრო სწრაფად გაიზარდონ.
- 4) ენდოგენური ზრდის თეორია ხაზს უსვამს იმის მნიშვნელობას, თუ როგორ შეუძლია ტექნოლოგიას შეცვალოს და დააბალანსოს ზღვრული მწარმოებლურობის შემცირებით გამოწვეული შედეგები. ინოვაცია, კვლევები და განვითარება (R&D), ტექნოლოგიური ზრდის მნიშვნელოვანი საშუალებებია.
- 5) სახელმწიფო პოლიტიკამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე სხვადასხვა გზით: დანაზოგებისა და ინვესტიციების წახალისებით, უცხოური ინვესტიციების შემოდინების წახალისებით, განათლების ხელშეწყობით, საკუთრების უფლებების დაცვით და პოლიტიკური სტაბილურობით,

თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობით, ახალი ტექნოლოგიების კვლევისა და განვითარების ხელშეწყობით და მოსახლეობის ზრდის კონტროლით.

## კითხვები განხილვისთვის

1. რას ზომავს მსკ-ს დონე? მსკ-ს ზრდის ტემპი? თქვენ გირჩევნიათ იცხოვროთ მაღალ მსკ-ს და დაბალი ზრდის ტემპების მქონე ქვეყანაში, თუ ქვეყანაში, სადაც მსკ დაბალია, ხოლო ზრდის ტემპი მაღალი?
2. ჩამოთვალეთ და აღწერეთ მწარმოებლურობის ოთხი დეტერმინანტი;
3. რა სახით არის უნივერსიტეტის დიპლომი კაპიტალის ფორმა?
4. როგორ ზრდას იწვევს დანაზოგის უფრო მაღალი მაჩვენებელი - დროებით თუ უსასრულოდ?
5. თუ დავუშვებთ, რომ მოსახლეობა სტაბილურია, როგორ იმოქმედებს კაპიტალის დაგროვების ზრდა ეკონომიკურ ზრდაზე? შეუძლია თუ არა ქვეყანას მდგრადი ზრდის მიღწევა კაპიტალში ინვესტიციების გაზრდის გზით?
6. რა არის სტაბილური მდგომარეობის წონასწორობა?
7. რატომ არის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პროგრესი ნებისმიერი ეკონომიკის ზრდის ტემპის ასამაღლებლად?
8. რატომ შეიძლება გამოიწვიოს სავაჭრო შეზღუდვების, მაგალითად, ტარიფების მოხსნამ უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა?
9. როგორ აისახება მოსახლეობის ზრდის ტემპი მოსახლეობის ერთ სულზე მსკ-ს დონეზე?
10. აღწერეთ ორი გზა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ცდილობს ხელი შეუწყოს ტექნოლოგიური ცოდნის განვითარებას.

## პრობლემები და სავარჯიშოები

1. უმეტეს ქვეყნებს მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონელი და მომსახურება სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ. თუმცა, ამ თავში ნათქვამია, რომ ქვეყანას შეუძლია ცხოვრების მაღალი დონე ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ შეუძლია დიდი რაოდენობით საქონლისა და მომსახურების წარმოება. შეგიძლიათ ახსნათ ამ ორ ფაქტის თანაარსებობა?

2. ჩამოთვალეთ კაპიტალური დანახარჯები, რომლებიც საჭიროა თითოეულის საწარმოებლად:
  - ა) მანქანები;
  - ბ) მეორადი განათლება;
  - გ) საჰაერო მოგზაურობა;
  - დ) ხილი და ბოსტნეული.
  
3. დღეს დიდ ბრიტანეთში ერთ ადამიანზე შემოსავალი დაახლოებით ოთხჯერ მეტია, ვიდრე ერთი საუკუნის წინ იყო. ბევრ სხვა ქვეყანაში ასევე აღინიშნა მნიშვნელოვანი ზრდა ამ პერიოდში. რით შეიძლება განსხვავდებოდეს თქვენი ცხოვრების დონე თქვენი ბებია-ბაბუის ცხოვრების დონისგან?
  
4. „კრეატიული განადგურების“ იდეა მიანიშნებს, რომ ტექნოლოგიური ცვლილებებით გამოწვეულ ეკონომიკურ ზრდას შეიძლება ჰყავდეს წაგებულები და მოგებულები. იმ ქვეყანაში, სადაც სწავლობთ, რომელი კომპანიები ან ინდუსტრიები შემცირდა ან გაქრა ახალი ტექნოლოგიების შედეგად? როგორ შეუძლიათ სახელმწიფოებმა შეამსუბუქონ „კრეატიული განადგურების“ ნეგატიური გავლენის შედეგები და დაეხმარონ დაზარალებულებს?
  
5. როგორ ფიქრობთ, ენდოგენური ზრდის თეორია
  - ა) ეწინააღმდეგება სოლოუს მოდელს თუ
  - ბ) უფრო სრულყოფს სოლოუს მოდელის ?
  
6. საზოგადოება ირჩევს, თუ რა რაოდენობის რესურსს გამოიყენებს მოხმარებისთვის და რამდენს - ინვესტიციისთვის. ამ გადაწყვეტილებების ნაწილი მოიცავს კერძო დანახარჯებს, სხვები კი დაკავშირებულია სახელმწიფო დანახარჯებთან.
  - ა) აღწერეთ კერძო დანახარჯის ზოგიერთი ფორმა, რომელიც წარმოადგენს მოხმარებას და რომელიც წარმოადგენს ინვესტიციას.
  - ბ) აღწერეთ სახელმწიფო ხარჯების ზოგიერთი ფორმა, რომელიც წარმოადგენს მოხმარებას და რომელიც წარმოადგენს ინვესტიციებს.
  
7. რა არის კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციის გაცდენილი სარგებელი? როგორ ფიქრობთ, ქვეყანას შეუძლია ჭარბი ინვესტიცია მოახდინოს კაპიტალში? რა არის ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციის გაცდენილი სარგებელი? როგორ

ფიქრობთ, შეუძლია ქვეყანას ადამიანურ კაპიტალში მოახდინოს ჭარბი ინვესტიცია? ახსენით.

8. მრავალ განვითარებად ქვეყანაში, ახალგაზრდა ქალების საშუალო სკოლაში ჩარიცხვის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ახალგაზრდა კაცების. აღწერეთ სამი გზა, რომლითაც ახალგაზრდა ქალებისთვის განათლების მიღების მეტი შესაძლებლობების მიცემამ შეიძლება გამოიწვიოს ამ ქვეყნებში უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა.
9. მონაცემთა შესაბამისი წყაროს გამოყენებით, შეისწავლეთ ორი კონტრასტული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მახასიათებლები, რომელთაგან ერთში შედარებით მაღალია, მეორეში კი შედარებით დაბალი მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს დონე. რა ფაქტორები ახდენენ გავლენას მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს დონეებს შორის ამ განსხვავებებზე? არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში დაბალი მშპ-ს მქონე ქვეყანამ ზრდის უფრო მაღალი ტემპები განიცადა? თუ ასეა, რატომ, და თუ არა, რატომ არა?
10. საერთაშორისო მონაცემები აჩვენებს პოზიტიურ კავშირს პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის.
  - ა) რა მექანიზმით შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკურმა სტაბილურობამ ძლიერი ეკონომიკური ზრდა?
  - ბ) რა მექანიზმის საშუალებით შეუძლია ძლიერ ეკონომიკურ ზრდას გამოიწვიოს პოლიტიკური სტაბილურობა?

## დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა

**წ**არმოიდგინეთ, რომ კოლეჯი დაამთავრეთ (რა თქმა უნდა, ეკონომიკის განხრით) და საკუთარი ფირმის დაარსება გადაწყვიტეთ, რომელიც ეკონომიკური პროგნოზირებით იქნება დაკავებული. ვიდრე თქვენი პროგნოზების გაყიდვას შეუდგებოდეთ, მნიშვნელოვანი ხარჯები უნდა გაიღოთ საქმიანობის დაწყებისთვის. უნდა იყიდოთ კომპიუტერები, რომელთაც პროგნოზირებისთვის გამოიყენებთ, აგრეთვე მაგიდები, სავარძლები და თაროები თქვენი ოფისისთვის. ეს ყველაფერი კაპიტალია, რომელსაც თქვენი ფირმა მომსახურების წარმოებისა და გაყიდვისას გამოიყენებს.

როგორ შოულობთ თანხებს ამ კაპიტალური საქონლის ინვესტირებისთვის? შეიძლება, საკუთარი დანაზოგი გაქვთ, რომელსაც ამ ხარჯების დაფარვაში გამოიყენებთ. მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ საკმარისი ფული არ გაქვთ, რათა საკუთარი ძალებით მოახერხოთ საქმიანობის დაწყება. ამიტომ ფული, რომელიც ასე გჭირდებათ, უნდა იშოვოთ.

თქვენ წინაშე კაპიტალური ინვესტიციების დაფინანსების დიდი არჩევანია. შეგიძლიათ ფული ისესხოთ ბანკისგან, მეგობრისგან ან ნათესავისგან. ამ შემთხვევაში კრედიტორს პირობა უნდა მისცეთ, რომ არა მარტო ნასესხებ თანხას დაუბრუნებთ, არამედ სარგებელსაც. ამას გარდა, შეგიძლიათ, ვინმე დაარწმუნოთ, მოგცეთ ფული თქვენი მომავალი მოგების წილის სანაცვლოდ, როგორც არ უნდა იყოს ეს მოგება. ორივე შემთხვევაში თქვენი ინვესტიციები სხვა ადამიანის დანაზოგებიდან ფინანსდება.

**ფინანსური სისტემა** შედგება იმ ეკონომიკური ინსტიტუტებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ იმ ადამიანების დაკავშირებას, რომელთაც, ერთი მხრივ, დაზოგვის, მეორე მხრივ კი, ინვესტირების სურვილი და შესაძლებლობა აქვთ. როგორც წინა თავში ვნახეთ, დანაზოგები და ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის შემადგენელი ნაწილებია. როდესაც ქვეყანა თავისი მშპ-ს დიდ ნაწილს ზოგავს, რესურსების უფრო მეტი რაოდენობის გაცემამ

**ფინანსური სისტემა**  
ეკონომიკაში  
არსებული  
ინსტიტუტების  
ერთობლიობა,  
რომელიც ხელს  
უწყობს ერთი  
პირის დანაზოგისა  
და მეორე პირის  
ინვესტიციების  
დაკავშირებას.



შეიძლება კაპიტალის ინვესტირებისთვის, კაპიტალის ზრდა კი ქვეყნის მწარმოებლურობი და ცხოვრების დონის ზრდას იწვევს. მაგრამ წინა თავში არაფერი იყო ნათქვამი იმ შესახებ, თუ როგორ ახორციელებს ეკონომიკა დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინირებას. დროის ნებისმიერ მომენტში ადამიანთა ერთ ნაწილს საკუთარი შემოსავლებს სამომავლოდ დაზოგვა სურს, სხვებს კი სესხება უნდათ, რათა შეძლონ ინვესტიციები. განხორციელება ახალ და მზარდ ფირმებში. რა აკავშირებს ადამიანთა ამ ორ ჯგუფს? რა იძლევა იმის გარანტიას, რომ იმ ადამიანების ფულადი კაპიტალის მიწოდება, რომელთა ფულის დაზოგვა უნდათ, გააწონასწორებს ამ ფულად კაპიტალზე მოთხოვნას იმათი მხრიდან, ვისაც ინვესტირება სურს?

ამ თავში ფინანსური სისტემის მუშაობას შევისწავლით. პირველ რიგში ვიმსჯელებთ მრავალრიცხოვანი ინსტიტუტების შესახებ, რომლებიც შეერთებული შტატების ეკონომიკის ფინანსურ სისტემას შეადგენენ. ამის შემდეგ განვიხილავთ დამოკიდებულებას ფინანსურ სისტემასა და რამდენიმე ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადს – განსაკუთრებით, დანაზოგებსა და ინვესტიციებს – შორის. ბოლოს ჩამოვყალიბებთ ფინანსურ ბაზრებზე ფულად მიწოდებისა და მოთხოვნის მოდელს. ამ მოდელში სარგებლის განაკვეთია ფასი, რომელიც მიწოდებისა და მოთხოვნის სრულ გაწონასწორებამდე თვითრეგულირდება. მოდელს გვიჩვენებს, როგორ მოქმედებს სხვადასხვა სამთავრობო პოლიტიკა სარგებლის განაკვეთსა და, ამით, საზოგადოების შეზღუდული რესურსების განაწილებაზე.

## ფინანსური ინსტიტუტები აშშ-ს ეკონომიკაში

უხეშად რომ ვთქვათ, ფინანსურ სისტემას ეკონომიკის შეზღუდული რესურსები გადააქვს დამზოგველებისგან (მათგან, ვინც საკუთარ შემოსავალზე ნაკლებს ხარჯავს) მსესხებლებთან (მათთან, ვინც საკუთარ შემოსავალზე მეტს ხარჯავს). დამზოგველები ფულს სხვადასხვა მიზეზით ზოგავენ – რამდენიმე წლის შემდეგ შეილის კოლეჯში გასაგზავნად ან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ საკუთარი კომფორტული სიბერის უზრუნველსაყოფად. მსესხებლებიც სხვადასხვა მიზეზით სესხულობენ – საცხოვრებელი სახლის საყიდლად ან კომერციული საქმიანობის დასაწყებად. დამზოგველები საკუთარ ფულს ფინანსურ სისტემას იმ იმედით აწვდიან, რომ მოგვიანებით ამ ფულს სარგებლით დაიბრუნებენ. მსესხებლები ფულს მოითხოვენ ფინანსური სისტემიდან და იცინან, რომ შემდეგ ეს ფული უკანვე უნდა დააბრუნონ სარგებელთან ერთად.

ფინანსური სისტემა მრავალი ფინანსური ინსტიტუტისაგან შედგება, რომლებიც ხელს უწყობენ დამზოგველებისა და მსესხებლების კოორდინირებას. იმ ეკონომიკური ძალების ანალიზის დაწყებამდე, რომლებიც ფინანსურ სისტემას მართავენ, ჯერ ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტები უნდა განვიხილოთ. ფინანსური ინსტიტუტები შეგვიძლია ორ კატეგორიად დავყოთ – ფინანსურ ბაზრებად და ფინანსურ შუამავლებად. თითოეული კატეგორია ცალ-ცალკე განვიხილოთ.

### ფინანსური ბაზრები

ფინანსური ბაზრები ის ინსტიტუტებია, რომელთა მეშვეობითაც დაზოგვის მსურველებს შეუძლიათ პირდაპირ მიანოდონ ფული სესხების მსურველებს. შეერთებული შტატების ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური ბაზარია ობლიგაციათა ბაზარი და აქციათა ბაზარი.

**ობლიგაციათა ბაზარი.** როდესაც „ინტელს“, კომპიუტერული ჩიპების გიგანტ მწარმოებელს, ფულის სესხება სურს ახალი ქარხნის აშენების დასაფინანსებლად, შეუძლია ფული პირდაპირ საზოგადოებისგან ისესხოს. ამას „ინტელი“ ობლიგაციების გაყიდვით აკეთებს. ობლიგაცია ვალდებულების სერტიფიკატია, რომელიც ადასტურებს მსესხებლის ვალდებულებებს ობლიგაციის მფლობელის წინაშე. მარტივად რომ ვთქვათ, ობლიგაცია, უბრალოდ, თამასუქია. ობლიგაციაში აღნიშნულია სესხის დაბრუნების თარიღი, რომელსაც განაღდება ვადა ეწოდება, და სარგებლის განაკვეთი, რომელიც გადაიხდება პერიოდულ-

ფინანსური ბაზრები  
ფინანსური  
ინსტიტუტები,  
რომელთა  
მეშვეობითაც  
დაზოგვის მსურვე-  
ლებს შეუძლიათ  
პირდაპირ მიანოდონ  
ფინანსური სახსრები  
სესხების მსურველებს.

ობლიგაცია  
ვალდებულების  
სერტიფიკატი.

ლად სესხის განაღდება ვადის გასვლამდე. ობლიგაციის მყიდველი თავის ფულს „ინტელს“ აძლევს იმ დაპირების სანაცვლოდ, რომ თავნს (გასესხებულ თანხას) სარგებლით მიიღებს. მყიდველს შეუძლია, ობლიგაცია ვადის გასვლამდე შეინარჩუნოს ან სხვას მიჰყიდოს.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შეერთებული შტატების ეკონომიკაში მილიონობით სხვადასხვა ობლიგაციაა. როდესაც დიდ კორპორაციებს, ფედერალურ მთავრობას, შტატის მთავრობას ან ადგილობრივ მთავრობას ფული სჭირდებათ ახალი ქარხნის, ახალი რეაქტიული თვითმფრინავისა თუ ახალი სკოლის შესაძენად, ამ ფულს სესხულობენ ობლიგაციების გამოშვების გზით. თუ „უოლ სტრიტ ჯორნელს“ ან ადგილობრივი გაზეთის კომერციულ გვერდს გადახედავთ, აუცილებლად ნახავთ უმნიშვნელოვანესი ობლიგაციების ფასებისა და სარგებლის განაკვეთების სიას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ობლიგაციები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება, მათ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება აერთიანებს.

პირველი თვისება ობლიგაციის ვადაა – დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ობლიგაცია განაღდება. ზოგი ობლიგაცია მოკლევადიანია, მაგალითად, რამდენიმეთვიანი, ზოგის ვადა კი 30 წელია (ბრიტანეთის მთავრობამ გამოსცა ობლიგაცია, ე.წ. *მუდმივი რენტა*, რომელიც არასდროს განაღდება. ეს ობლიგაცია უზრუნველყოფს სამუდამო სარგებელს, მაგრამ თავნი არასდროს გაიცემა). ობლიგაციის სარგებლის განაკვეთი ნაწილობრივ მის ვადაზე დამოკიდებულია. გრძელვადიანი ობლიგაციები უფრო სარისკოა, ვიდრე მოკლევადიანი ობლიგაციები, რადგან გრძელვადიანი ობლიგაციების მფლობელებს უფრო დიდხანს მოუწევთ ლოდინი ძირითადი თანხის დაბრუნებისთვის. თუ ობლიგაციის მფლობელს ფული ობლიგაციის ვადის გასვლამდე დასჭირდა, მას სხვა არჩევანი არა აქვს, ობლიგაციის გაყიდვის გარდა, თანაც, შესაძლოა, ნაკლებ ფასად. ამ რისკის ასანაზღაურებლად გრძელვადიანი ობლიგაცია უფრო დიდ სარგებელს იძლევა, ვიდრე მოკლევადიანი ობლიგაცია.

ობლიგაციის მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა მისი *საკრედიტო რისკი* – იმის ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ მოახერხებს სარგებლის ან ძირითადი თანხის ნაწილის გადახდას. ასეთ მოვლენას *გადაუხდელობა*, ანუ *დეფოლტი* ეწოდება. მსესხებლებს შეუძლიათ (და ზოგჯერ ასეც იქცევიან) უარი თქვან სესხის გადახდაზე, თუ თავს გაკოტრებულად გამოაცხადებენ. როდესაც ობლიგაციების მყიდველები გრძნობენ, რომ გადაუხდელობის ალბათობა დიდია, ისინი სარგებლის უფრო დიდ განაკვეთს მოითხოვენ ამ რისკის საფასურად. ვინაიდან ითვლება, რომ აშშ-ს მთავრობის საკრედიტო რისკი მცირეა, სამთავრობო ობლიგაციების სარგებლის განაკვეთებიც, როგორც წესი, მცირეა. და პირიქით, ფინანსურად მერყევი კორპორაციები ფულს ე.წ. „ცუდი“ ობლიგაციების გამოშვების გზით სესხულობენ, რომელთა სარგებლის განაკვეთი ძალიან დიდია. ობლიგაციების მყიდველებს სარისკო კრედიტის შეფასება კერძო სააგენტოების დახმარებით შეუძლიათ, რომლებიც სხვადასხვა ობლიგაციების საკრედიტო რისკს განსაზღვრავენ.

ობლიგაციის მესამე მნიშვნელოვანი თვისებაა *გადასახადებთან დამოკიდებულება* – წესი, რომლითაც საგადასახადო კანონები ობლიგაციიდან მიღებულ სარგებელს ეპყრობიან. ობლიგაციების უმრავლესობის სარგებელი იბეგრება, ასე რომ ობლიგაციის მფლობელმა ამ სარგებლის ნაწილი საშემოსავლო გადასახადის სახით უნდა გადაიხადოს. მაგრამ, როდესაც შტატის ან ადგილობრივი მთავრობა უშვებს ე.წ. *მუნიციპალურ ობლიგაციებს*, ობლიგაციების მფლობელებს არ მოეთხოვებათ ფედერალური საშემოსავლო გადასახადის გადახდა ამ ობლიგაციის სარგებლიდან. ამ ობლიგაციების ასეთი უპირატესობის გამო შტატებისა და ადგილობრივი მთავრობების მიერ გამოშვებული ობლიგაციების სარგებლის განაკვეთი ნაკლებია, ვიდრე კორპორაციებისა თუ ფედერალური მთავრობის ობლიგაციების სარგებლის განაკვეთი.

**აქციათა ბაზარი.** კიდევ ერთი ხერხი, რომლითაც „ინტელს“ ნახევარგამტარების ახალი ქარხნის აგებისთვის საჭირო თანხების მოგროვება შეუძლია, კომპანიის აქციების გაყიდვაა. აქცია ფირმაში წილობრივ მონაწილეობას ადასტურებს და, აქედან გამომდინარე, ფირმის მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებაა. მაგალითად, თუ „ინტელი“ 1,000,000 აქციას ყიდის, თითოეული აქცია ფირმის 1/1,000,000 ნაწილის ფლობის უფლებაა.

ფულის მოგროვების მიზნით აქციების გაყიდვას *აქციებით დაფინანსება*, ხოლო ობლიგაციების გაყიდვას – *სესხის აღების გზით დაფინანსება* ეწოდება. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციები ახალი ინვესტიციებისთვის საჭირო ფულის მოსაგროვებლად როგორც

აქცია  
ფირმის წილობრივი  
მფლობელობის  
უფლება.

სასესიო, ისე აქციების ყიდვა-გაყიდვით მიღებულ ოპერაციებს იყენებენ, აქციები და ობლიგაციები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. „ინტელის“ აქციის მფლობელი „ინტელი“ თანამფლობელია, ხოლო „ინტელის“ ობლიგაციის მფლობელი კორპორაციის კრედიტორია. თუ „ინტელი“ ძალიან მომგებიანია, აქციითა მფლობელები ამ დიდი მოგების სარგებლობას იღებენ, ობლიგაციების მფლობელები კი – მხოლოდ თავიანთი ობლიგაციების სარგებლობას. თუ „ინტელს“ ფინანსური პრობლემები აქვს, ობლიგაციების მფლობელები იმარაგებენ, რაც ეკუთვნით, უფრო ადრე იღებენ, ვიდრე აქციითა მფლობელები მიიღებდნენ რაიმე ობლიგაციებთან შედარებით, აქციები მფლობელებს უფრო დიდ რისკსა და პოტენციურად უფრო მაღალ უკუგებას სთავაზობენ.

მას შემდეგ, რაც კორპორაცია აქციებს გამოუშვებს და საზოგადოებას თავის ნიღბს მიჰყიდის, ამ აქციებით ვაჭრობა მიმდინარეობს აქციითა ორგანიზებული გაცვლის ადგილებში, ე.წ. საფონდო ბირჟებზე. ამ ურთიერთქმედებებისას, როდესაც კორპორაციის აქციები მფლობელებს იცვლის, თვითონ კორპორაცია ფულს არ იღებს. აშშ-ს ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საფონდო ბირჟებია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, ამერიკის საფონდო ბირჟა და NASDAQ (საფონდო დილერთა ეროვნული ასოციაციის ავტომატური კვოტების სისტემა). თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს საფონდო ბირჟა, რომელზეც ადგილობრივი კომპანიების აქციები იყიდება.

ფასები საფონდო ბირჟებზე კომპანიების აქციების მიწოდებითა და მათზე მოთხოვნით განისაზღვრება. რადგან აქცია კორპორაციის თანამფლობელობას ადასტურებს, აქციაზე მოთხოვნა (და მისი ფასიც) ასახავს მყიდველების აზრს კორპორაციის მომავალი მომგებიანობის შესახებ, როდესაც ადამიანები კომპანიის მომავალს ოპტიმისტურად უყურებენ ისინი ზრდიან თავიანთ მოთხოვნას ამ კომპანიის აქციებზე და ამით აქციის გაძვირებას იწვევენ. ხოლო როდესაც ადამიანები ვარაუდობენ, რომ კომპანიას მცირე მოგება ან სულაც დანაკარგები ექნება, აქციის ფასი მცირდება.

აქციითა ფასების საერთო დონეზე დაკვირვებისთვის მრავალი საფონდო ინდექსი არსებობს. თითოეული ასეთი საფონდო ინდექსი გამოითვლება, როგორც კომპანიითა ჯგუფის აქციითა ფასების საშუალო დონის მაჩვენებელი. ყველაზე ცნობილი საფონდო ინდექსია „დოუ ჯონსის ინდექსურიული საშუალო ინდექსი“, რომელიც რეგულარულად გამოითვლება 1896 წლიდან. დღეს ეს ინდექსი 30 უდიდესი ამერიკული კომპანიის, მათ შორის „ჯენერალ მოტორსის“, „ჯენერალ ელექტრიკის“, „კოკა-კოლის“, AT&T-სა და IBM-ის, აქციითა ფასებს ეყრდნობა. კიდევ ერთი ცნობილი საფონდო ინდექსია „სტანდარდ & ფუა 500“, რომელიც 500 უდიდესი კომპანიის ფასებს ეყრდნობა. რადგან აქციითა ფასები მოსალოდნელ მომგებიანობას ასახავენ, ეს საფონდო ინდექსები დაკვირვებული შესწავლის ობიექტებია, როგორც მომავალი ეკონომიკური პირობების ინდიკატორები.

### ფინანსური შუამავლები

ფინანსური შუამავლები ის ფინანსური ინსტიტუტებია, რომელთა მეშვეობითაც დაზოგვის მსურველებს შეუძლიათ არაპირდაპირ მიანოდონ ფული სესხების მსურველებს. ტერმინი შუამავალი ამ ინსტიტუტების როლს ასახავს დამზოგველებისა და მსესხებლების დაკავშირებისას. აქ მხოლოდ ორ ყველაზე მნიშვნელოვან ფინანსურ შუამავალს – ბანკებსა და ურთიერთფონდებს – განვიხილავთ.


**ბანკები.** თუ მცირე საფუნთუშის მფლობელს თავისი საწარმოს გაფართოების დაფინანსება სურს, „ინტელისგან“ სრულიად განსხვავებულ სტრატეგიას აირჩევს. „ინტელისგან“ განსხვავებით, მეფუნთუშე გააცნობიერებს, რომ მისთვის თითქმის შეუძლებელია ამ ცნობილი კომპანიების აქციებისა თუ ობლიგაციების ბაზრებზე. მყიდველთა უმეტესობა დიდი და მოველოდეთ, რომ ჩვენი მეფუნთუშე თავისი საწარმოს გაფართოებას ადგილობრივი ბანკიდან აღებული კრედიტით დააფინანსებს.

ბანკები ის ფინანსური შუამავლებია, რომელთაც ყველაზე უკეთ ვიცნობთ. ბანკების ძირითადი ამოცანაა იმ ადამიანებისგან დეპოზიტების მიღება, ვისაც ფულის დაზოგვა სურს, და ამ დეპოზიტების გამოყენება იმ ადამიანებისთვის კრედიტების მისაცემად, ვისაც ფულის სესხება სურს. ბანკები დეპოზიტორებს სარგებელს უზღიან, მსესხებლებისგან კი

ფინანსური შუამავლები  
ფინანსური  
ინსტიტუტები,  
რომელთა  
მეშვეობითაც  
დაზოგვის მსურვე-  
ლებს შეუძლიათ,  
არაპირდაპირ მი-  
ანოდონ ფული სეს-  
ხების მსურველებს.

# ინფორმაციისათვის

როგორ წავიკითხოთ აქციათა ცხრილები გაზეთებში



თითქმის ყველა ყოველდღიური გაზეთი აქვეყნებს აქციათა ცხრილებს, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია რამდენიმე ათასი კომპანიის აქციებით ვაჭრობის უახლესი შედეგების შესახებ. მოვიყვანოთ იმ ინფორმაციის ტიპებს, რომელსაც ამ ცხრილებში ვხვდებით:

- **ფასი.** ცხრილების შესახებ ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ინფორმაცია აქციათა ფასების შესახებ. გაზეთში, ჩვეულებრივ, რამდენიმე ფასია წარმოდგენილი. „ბოლო“, ანუ „დახურვის“, ფასი იმ უკანასკნელი გარიგების ფასია, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა დღეს უშუალოდ ბირჟის დახურვამდე. ამას გარდა, მრავალ გაზეთში მოცემულია ინფორმაცია ბოლო სავაჭრო დღის (და, ზოგჯერ, უკანასკნელი წლისაც) „მაღალი“ და „დაბალი“ ფასების შესახებ.
- **მოცულობა.** თითქმის ყველა გაზეთი იძლევა ინფორმაციას უკანასკნელი სავაჭრო დღის განმავლობაში გაყიდული აქციების რაოდენობის შესახებ. ამ რიცხვს დღიური ბრუნვა ეწოდება.
- **დივიდენდი.** კორპორაციები საკუთარი მოგების გარკვეულ ნაწილს აქციათა მფლობელებს უხდიან. ამ თანხას დივიდენდი ეწოდება (მოგებას, რომელიც დივიდენდების სახით არ გაცივმა, გაუნაწილებელი შემოსავალი ეწოდება და ეს თანხა კორპორაციის მიერ დამატებითი ინვესტირებისთვის გამოიყენება). გაზეთებში ხშირად მოცემულია ანგარიში წინა წელს თითოეულ აქციაზე გაცემული დივიდენდის შესახებ. ამას გარდა, ხშირად იხილავთ ანგარიშს დივიდენდიდან მიღებული შემოსავლის შესახებ, რომელიც დივიდენდს წარმოადგენს, როგორც აქციის ფასის პროცენტულ წილს.
- **ფასისა და შემოსავლის თანაფარდობა.** კორპორაციის შემოსავალი, ანუ მოგება, კორპორაციის მიერ საკუ-

თარი პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული თანხისა და კორპორაციის დანახარჯების სხვაობაა, გამოთვლილი ამ კორპორაციის ბუღალტრების მიერ. შემოსავლის გარკვეული ნაწილი დივიდენდების გასაცემად გამოიყენება; დარჩენილი ნაწილი კი ფირმაში რჩება ახალი ინვესტიციებისთვის. ფასისა და შემოსავლის შეფარდება, რომელსაც ხშირად P/E-ს უწოდებენ, არის კორპორაციის აქციის ფასის შეფარდება იმ თანხასთან, რომელიც კორპორაციამ მიიღო გასულ წელს ერთი აქტიდან. როგორც წესი, ფასისა და შემოსავლის შეფარდება დაახლოებით 15-ის ტოლია. P/E-ს ზრდა იმას ნიშნავს, რომ კორპორაციის აქცია ძვირია მის ბოლოდროინდელ შემოსავალთან შედარებით. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანები მომავალში შემოსავლების ზრდას მოელონ ან აქცია გადაჭარბებულადაა შეფასებული. P/E-ს შემცირება იმას ნიშნავს, რომ კორპორაციის აქცია იაფია მის ბოლოდროინდელ შემოსავალთან შედარებით. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანები მომავალში შემოსავლების შემცირებას მოელონ ან აქცია არასაკმარისადაა შეფასებული.

რატომ ბეჭდავენ გაზეთები ამ მონაცემებს ყოველდღიურად? იმ ადამიანთა დიდი ნაწილი, ვინც საკუთარი დანახოვებით აქციებს ყიდულობს, ყურადღებით ადევნებს თვალს ამ მონაცემებს, რათა გადანყვიტოს, რომელი აქცია გაყიდოს და რომელი იყიდოს. მათგან განსხვავებით, აქციათა მფლობელების მეორე ნაწილი აქციის ყიდვისა და შენარჩუნების სტრატეგიას იყენებს: ეს ადამიანები წარმატებული კომპანიების აქციებს ყიდულობენ და მათ ხანგრძლივად ინარჩუნებენ, ფასების ყოველდღიურ ცვლილებებზე ყოველგვარი რეაგირების გარეშე.

მაქსიმალური და მინიმალური ფასი გასული წლის განმავლობაში		კომპანიის სახელწოდება	დივიდენდის მოცულობა	მიღებული დივიდენდი	ფასებისა და შემოსავლის შეფარდება	წინა დღის ვაჭრობის მოცულობა	აქციის ფასის ცვლილება წინა დღესთან შედარებით
52 კვირა Hi	Lo	Stock	Div	Yld %	PE	Vol 100s	Close Net Chg
66.04	48.90	ქლოროქსი	1.12	2.0	10	15099	56.83 0.95
36.42	17.99	ქოუჩსი		...	35	32236	34.97 -0.47
17.99	11.22	ქოუჩმენი	.24	1.9	30	352	12.72 -0.29
45.88	38.30	კოკა-კოლა	1.12	2.5	22	49150	44.36 -0.31

ოდნავ უფრო მეტ სარგებელს იღებენ. სარგებლის ამ ორ განაკვეთს შორის განსხვავება ბანკების დანახარჯებს ფარავს და გარკვეულ მოგებას აძლევს ბანკების მფლობელებს.

ფინანსური შუამავლობის გარდა, ბანკები კიდევ ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკაში: ისინი აადვილებენ საქონლისა და მომსახურების შექმნას კლიენტის დემანდის მიხედვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბანკები ხელს უწყობენ ახალი სპეციალური აქტივის შექმნას, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც გაცვლად. გაცვლის საშუალება ის ერთეულია, რომელიც შეგვიძლია ადვილად გამოვიყენოთ ფინანსურ ოპერაციებში. ბანკი, როგორც გაცვლის საშუალების გამცემი ინსტიტუტის მრავალი სხვა ფინანსური ინსტიტუტისგან მკვეთრად განსხვავდება. აქციები და ობლიგაციებიც, საბანკო დემონსტრაციების მსგავსად, სიმდიდრის დაგროვების საშუალებაა, ოღონდ სიმდიდრის მიღება არც ისე ადვილი, იაფი და სწრაფია, როგორც ჩვეის გამოწერის შემთხვევაში. ბანკების ამ მეორე როლს ჯერჯერობით უგულვებელყოფთ, მაგრამ მოგვიანებით დაგუბრუნდებით მონეტარულ სისტემაზე საუბრისას.

**ორმხრივი ფონდი**  
 ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც მოსახლეობას თავის აქციებს სთავაზობს და მიღებულ სახსრებს აქციებსა და ობლიგაციებში პორტფელური ინვესტირებისთვის იყენებს.

**ორმხრივი ფონდი.** ერთ-ერთი ფინანსური შუამავალი, რომლის მნიშვნელობაც აშშ ეკონომიკაში დღითი დღე იზრდება, ორმხრივი ფონდია. ორმხრივი ფონდი ის ინსტიტუტია, რომელიც აქციებს ყიდის და შემოსული თანხებით სხვადასხვა სახის აქციებისა და ობლიგაციების პორტფელს ყიდულობს. ორმხრივი ფონდის აქციის მფლობელი ამ პორტფელს დაკავშირებულ რისკს და მოგებას ინანილებს. თუ პორტფელის ღირებულება იზრდება აქციის მფლობელი სარგებლობას იღებს; თუ პორტფელის ღირებულება მცირდება, აქციის მფლობელი დანაკარგებს განიცდის.

ორმხრივი ფონდის ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ ისინი მცირე თანხების მფლობელებს დივერსიფიკაციის საშუალებას აძლევს. აქციებისა და ობლიგაციების მფლობელებს ურჩევნიათ, გაიხსენონ ანდაზა: „ყველა კვერცხს ერთ კალათაში ნუ ჩააწყობ“. ვინაიდან ნებისმიერი ცალკეული აქციისა თუ ობლიგაციის ღირებულება ერთი კომპანიის ილბადად ზეა დამოკიდებული, ერთი ტიპის აქციებისა თუ ობლიგაციების ფლობა ძალზე სარისკოა. ის ადამიანები კი, რომლებიც აქციებისა და ობლიგაციების მრავალფეროვან პორტფელს ყიდულობენ, ნაკლები რისკის წინაშე დგანან, რადგან თითოეული კომპანიის მხოლოდ მცირე ნაწილს ფლობენ. ორმხრივი ფონდი დივერსიფიკაციას აადვილებს. თუნდაც მხოლოდ რამდენიმე ასეული დოლარით, ადამიანს შეუძლია ორმხრივი ფონდის აქციები იყიდოს და არაპირდაპირი გზით ასობით დიდი კომპანიის თანამფლობელი თუ კრედიტორი გახდეს. ამ მომსახურებისთვის ორმხრივი ფონდის მფლობელი კომპანია აქციათა მფლობელებისგან გარკვეულ საზღაურს იღებს, რომელიც, როგორც წესი, ყოველწლიურად აქციების 0,5-2, პროცენტს შეადგენს.

მეორე უპირატესობა, რომელსაც ორმხრივი ფონდები იჩვენებენ, ისაა, რომ ისინი ჩვეულებრივი ადამიანებისთვის ხელმისაწვდომს ხდიან პროფესიონალი ფინანსური მენეჯერის კვალიფიციურ შრომას. თითქმის ყველა ორმხრივი ფონდის მენეჯერი დიდ ყურადღებას უთმობს იმ კომპანიების განვითარებასა და პერსპექტივებს, რომელთა აქციებსაც ყიდულობს. მენეჯერი იმ კომპანიების აქციებს ყიდულობს, რომელთაც, მისი აზრით, მომავლებიანი მომავალი აქვთ და ყიდის იმ კომპანიების აქციებს, რომელთა პერსპექტივებიც ნაკლებ საიმედოა. ასეთ პროფესიულ მენეჯერს, ამტკიცებენ ფონდების მფლობელი კომპანიები, ძალუძს იმ უკუგების გაზრდა, რომელსაც ორმხრივი ფონდის დემონსტრირების საკუთარი დანაზოგებიდან იღებენ.

**არლო და ჯენისი** ავტორი ზენი ჯონსონი



ფინანსისტ-ეკონომისტები საკმაოდ სკეპტიკურად ხვდებიან ამ მეორე არგუმენტს. თუმცა თითოეული კომპანიის პერსპექტივებს ათასობით მენეჯერი ადევნებს თვალს, კომპანიის აქციების ფასი, როგორც წესი, კარგად ასახავს კომპანიის ქეშმარიტ ღირებულებას. ამის შედეგად ძნელია „ბაზრის დაჯაბნა“ კარგი აქციების ყიდვისა და ცუდი აქციების გაყიდვის გზით. სინამდვილეში ის ორმხრივი ფონდი, ე.წ. *საინდექსო ფონდები*, რომლებიც მოცემული საფონდო ინდექსის მქონე ყველა აქციას ყიდულობენ, საშუალოდ მეტ წარმატებას აღწევენ, ვიდრე ის ორმხრივი ფონდი, რომელიც პროფესიონალი მენეჯერების აქტიური მენეჯმენტის უპირატესობით სარგებლობს. საინდექსო ფონდების უკეთესი საქმიანობის ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ფონდები დანახარჯებს დაბალ დონეზე ინარჩუნებენ იმით, რომ ძალიან იშვიათად ყიდიან და ყიდულობენ და, ამასთანავე, ვალდებული არ არიან, პროფესიონალ მენეჯერებს ხელფასები უხადონ.

## შეჯამება

შეერთებული შტატების ეკონომიკა სხვადასხვა ტიპის ფინანსური ინსტიტუტების უზარმაზარ რაოდენობას მოიცავს. ობლიგაციათა ბაზრის, აქციათა ბაზრისა და ორმხრივი ფონდების გარდა, არსებობს საპენსიო ფონდები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები და თვით ადგილობრივი მეფასშეებიც კი. ეს ინსტიტუტები ერთმანეთისგან მრავალი თვისებით განსხვავდებიან. მაგრამ, როდესაც ფინანსური სისტემის მაკროეკონომიკურ როლს ვაანალიზებთ, უფრო მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტების მსგავსებანი გვახსოვდეს, ვიდრე განსხვავებები. ყველა ფინანსური ინსტიტუტი ერთ მიზანს ემსახურება – დაზოგვის მსურველთა რესურსების გადატანას მსესხებელთა ხელში.

## სწრაფი

**გამოკითხვა:** რა არის აქცია? ობლიგაცია? რა განსხვავებაა მათ შორის? რა მსგავსებაა?

## დანაშობები და ინვესტიციები ეროვნულ საშემოსავლო ანბარიშეგზი

ფინანსურ სისტემაში მიმდინარე მოვლენებს ცენტრალური მნიშვნელობა აქვს მთლიანად ეკონომიკის განვითარების უკეთ გაგებისთვის. როგორც ვნახეთ, ამ სისტემის შემადგენელი ინსტიტუტები – ობლიგაციათა ბაზარი, აქციათა ბაზარი, ბანკები და ორმხრივი ფონდები – ეკონომიკის დანაშობებისა და ინვესტიციების კოორდინატორის როლს ასრულებენ. წინა თავში ისიც ვნახეთ, რომ დანაშობები და ინვესტიციები მშპ-სა და ცხოვრების დონის გრძელვადიანი ზრდის მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია. ამიტომ მაკროეკონომისტებისთვის აუცილებელია იმის გაგება, როგორ მუშაობს ფინანსური ბაზრები და როგორ მოქმედებს მათზე ესა თუ ის მოვლენა თუ პოლიტიკა.

ფინანსური ბაზრების ანალიზს იმ ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების განხილვით დავიწყებთ, რომლებიც ამ ბაზრებზე მიმდინარე საქმიანობას ასახავს. აქ ძირითად ყურადღებას მივაქცევთ არა ქცევას, არამედ აღრიცხვას. აღრიცხვა იმის დადგენას გულისხმობს, როგორ უნდა განვმარტოთ და შევკრიბოთ სხვადასხვა რიცხვები. პერსონალური ბუღალტერი პიროვნებას შემოსავლისა და ხარჯების შეკრებაში ეხმარება. ასევე იქცევა ეროვნული შემოსავლის აღმრიცხველი მთლიანად ეკონომიკისთვის. კერძოდ, ეროვნული შემოსავლის აღრიცხვებში მონაწილეობს მშპ და მასთან დაკავშირებული მრავალი სტატისტიკური მონაცემი.

ეროვნული შემოსავლის აღრიცხვის წესები რამდენიმე მნიშვნელოვან იგივეობას შეიცავს. გავიხსენოთ, რომ იგივეობა ისეთი ტოლობაა, რომელიც ქეშმარიტია მასში მონაწილე ცვლადების განმარტებიდან გამომდინარე. იგივეობების დამახსოვრება სასარგებლოა, ვინაიდან ისინი გვიჩვენებს, როგორაა სხვადასხვა ცვლადები ერთმანეთთან დაკავშირებული. აქ რამდენიმე იგივეობას განვიხილავთ, რომლებიც ნათელს ჰფენენ ფინანსური ბაზრების მაკროეკონომიკურ როლს.

## ზოგიერთი მნიშვნელოვანი იგივეობა

გავიხსენოთ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ეკონომიკის მთლიანი შემოსავალი, ეკონომიკაში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე განეული ხარჯებია. მშპ (რომელსაც Y-ით აღვნიშნავთ) იყოფა ხარჯების ოთხ კომპონენტად: მოხმარებად (C), ინვესტიციებად სახელმწიფო შესყიდვებად (G) და წმინდა ექსპორტად (NX). შეგვიძლია დავწეროთ:

$$Y = C + I + G + NX.$$

ეს ტოლობა იგივეობაა, ვინაიდან თითოეული დახარჯული დოლარი, რომელიც მარცხენა მხარეში მონაწილეობს, ასევე მონაწილეობს მარჯვენა მხარეშიც ერთ-ერთი კომპონენტის შემადგენლობაში. ცვლადების განმარტებიდან გამომდინარე, ეს ტოლობა ყოველთვის ჭეშმარიტია.

ამ თავში ჩვენს ანალიზს გავამარტივებთ, რისთვისაც დავუშვებთ, რომ ეკონომიკა რომელსაც შევისწავლით, ჩაკეტილია. ჩაკეტილი ეკონომიკა ისეთი ეკონომიკაა, რომელიც სხვა ეკონომიკებთან არ ურთიერთქმედებს. კერძოდ, ჩაკეტილი ეკონომიკა არც საქონელითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობს და არც საერთაშორისო სესხებასა თუ გასესხებაში. რა თქმა უნდა, რეალური ეკონომიკა ღია ეკონომიკაა, ან მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ (ღია ეკონომიკის მკარვე ეკონომიკა მოგვიანებით შევისწავლით). მიუხედავად ამისა, დაშვება ჩაკეტილი ეკონომიკის შესახებ სასარგებლო გამარტივებაა, რადგან ის დაგვეხმარება იმ დასკვნების გამოტანაში, რომლებიც ყველა სახის ეკონომიკას ახასიათებს. უფრო მეტიც, ეს გამარტივება მსოფლიო ეკონომიკისთვისაც კი სამართლიანია (ვინაიდან საპლანეტაშორისო ვაჭრობა ჯერ კიდევ არა გავრცელებული).

იმის გამო, რომ ჩაკეტილი ეკონომიკა საერთაშორისო ვაჭრობაში არ მონაწილეობს იმპორტი და ექსპორტი ზუსტად ნულის ტოლია. ამიტომ წმინდა ექსპორტიც (NX) ნულის ტოლია. ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავწეროთ:

$$Y = C + I + G.$$

ეს ტოლობა გვეუბნება, რომ მშპ მოხმარების, ინვესტიციებისა და სახელმწიფო შესყიდვების ჯამის ტოლია. ჩაკეტილ ეკონომიკაში გაყიდული პროდუქციის თითოეული ერთეული მოხმარებულია, ინვესტირებულია ან მთავრობის მიერაა შესყიდული.

იმის გასაგებად, თუ როგორ ახასიათებს ეს იგივეობა ფინანსურ ბაზრებს, ტოლობის ორივე მხარეს C და G გამოვაკლოთ. მივიღებთ:

$$Y - C - G = I.$$

ტოლობის მარცხენა მხარე (Y - C - G) ეკონომიკის მთლიანი შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც მოხმარებისა და სახელმწიფო შესყიდვებისთვის ფულის გადახდის შემდეგ რჩება. ამ თანხას ეროვნული დანაზოგი, ან, უბრალოდ, დანაზოგი ეწოდება და მას S-ით აღვნიშნავთ. თუ S-ს ჩავსვამთ (Y - C - G)-ის ნაცვლად, მივიღებთ:

$$S = I.$$

ეს ტოლობა იმაზე მეტყველებს, რომ დანაზოგი ინვესტიციების ტოლია.

ეროვნული დანაზოგის არსის გასაგებად კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ მის განმარტებას. T ცვლადით აღვნიშნოთ მთავრობის მიერ ოჯახებიდან ამოღებული გადასახადების მთლიანი თანხისა და მთავრობის მიერ ამავე ოჯახებისთვის გადახდილი ტრანსფერული გადასახადების (როგორცაა, მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფა) მთლიანი თანხის სხვაობა. ამის შემდეგ ეროვნული დანაზოგი შეგვიძლია ორი სახით გამოვხატოთ:

$$S = Y - C - G$$

$$S = (Y - T - C) + (T - G).$$

ეს ერთი და იგივე ტოლობაა, ვინაიდან მეორე ტოლობაში ორი T ერთმანეთს აბათილებს. მაგრამ, ამავე დროს, ეს ორი ტოლობა ეროვნულ დანაზოგზე მსჯელობის ორ სხვადასხვა გზას გვთავაზობს. კერძოდ, მეორე ტოლობაში ეროვნული დანაზოგი ორადაა გაყოფილი:

ეროვნული დანაზოგი (დანაზოგი) ეკონომიკის მთლიანი შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც სამომხმარებლო ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შემდეგ რჩება.

კერძო (Y - T - C) და საზოგადოებრივ (T - G) დანაზოგებად.

განვიხილოთ ეროვნული დანაზოგის ეს ორი ნაწილი. კერძო დანაზოგი შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც საოჯახო მეურნეობას რჩება გადასახადების გადახდისა და სამომხმარებლო ხარჯების გაღების შემდეგ. კერძოდ, ვინაიდან საოჯახო მეურნეობა იღებს Y შემოსავალს, გადასახადების სახით იხდის T თანხას და საქონლისა და მომსახურების შესაძენად ხარჯავს C-ს, კერძო დანაზოგია Y - T - C. საზოგადოებრივი დანაზოგი საგადასახადო შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც მთავრობას ხარჯების გაღების შემდეგ რჩება. მთავრობა გადასახადებიდან იღებს T თანხას, ხოლო საქონელსა და მომსახურებაზე ხარჯავს G-ს. თუ T G-ზე მეტია, მთავრობას ბიუჯეტის გარდამეტი აქვს, ვინაიდან იმაზე მეტს იღებს, ვიდრე ხარჯავს. ეს გარდამეტი T - G საზოგადოებრივი დანაზოგია. თუ მთავრობა იმაზე მეტს ხარჯავს, რასაც საგადასახადო შემოსავლის სახით იღებს (რასაც შეერთებული შტატების უახლეს ისტორიაშიც შქონდა ადგილი), მაშინ G T-ზე მეტია. ამ შემთხვევაში მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტს განიცდის და საზოგადოებრივი დანაზოგი T - G უარყოფითი რიცხვია.

ახლა ვნახოთ, როგორაა ეს იგივეობები დაკავშირებული ფინანსურ ბაზრებთან. ტოლობა  $S = I$  ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე მეტყველებს: მთლიანად ეკონომიკისთვის დანაზოგი ინვესტიციების ტოლი უნდა იყოს. მაგრამ ეს ფაქტი რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას ბადებს: რა მექანიზმები იმალება ამ იგივეობის მიღმა? რა უზრუნველყოფს იმ ადამიანების კოორდინირებას, ვინც დაზოგავს ან ინვესტირებას აპირებს? ამ კითხვების პასუხია ფინანსური სისტემა. ობლიგაციათა ბაზარი, აქციათა ბაზარი, ბანკები, ორმხრივი ფონდები და სხვა ფინანსური ბაზრები თუ შუამავლები  $S = I$  ტოლობის ორ მხარეს შორის დგანან. ისინი იღებენ ქვეყნის დანაზოგს და მას ქვეყნის ინვესტირებისკენ მიმართავენ.

**კერძო დანაზოგი**  
შემოსავალი, რომელიც საოჯახო მეურნეობებს რჩებათ გადასახადებისა და სამომხმარებლო ხარჯების გადახდის შემდეგ.

**საზოგადოებრივი დანაზოგი**  
საგადასახადო შემოსავალი, რომელიც სახელმწიფოს რჩება ხარჯების დაფარვის შემდეგ.

**ბიუჯეტის გარდამეტი**  
სიტუაცია, როცა საგადასახადო შემოსავლები მთავრობის ხარჯებზე მეტია.

**ბიუჯეტის დეფიციტი**  
სიტუაცია, როცა საგადასახადო შემოსავლები მთავრობის ხარჯებზე ნაკლებია.

## დანაზოგებისა და ინვესტიციების არსი

ტერმინები დანაზოგები და ინვესტიციები ზოგჯერ დამაბნეველია. ადამიანთა უმრავლესობა ამ ტერმინებს დაუფიქრებლად და ზოგჯერ არასწორად იყენებს. მაგრამ მაკროეკონომისტები, რომლებიც ეროვნულ შემოსავალს გამოითვლიან, ამ ტერმინებს ფრთხილად და სიტუაციის შესაბამისად იყენებენ.

განვიხილოთ ერთი მაგალითი. ვთქვათ, ლარი მეტს იღებს, ვიდრე ხარჯავს, და დაზოგილ თანხას საბანკო დეპოზიტზე დებს ან ამ თანხით რომელიმე კორპორაციის ობლიგაციასა თუ აქციას ყიდულობს. რადგან ლარის შემოსავალი მოხმარებაზე მეტია, მას თავისი წვლილი შეაქვს ეროვნულ დანაზოგში. ლარის შეუძლია იფიქროს, რომ ახორციელებს ფულის „ინვესტირებას“, მაგრამ მაკროეკონომისტი ლარის ქმედებას დაზოგვას დაარქმევდა და არა ინვესტირებას.

მაკროეკონომიკის ენაზე ინვესტირება გულისხმობს ახალი კაპიტალის, მაგალითად, დანადგარისა თუ შენობების, შექმნას. როდესაც მო ბანკიდან სესხს იღებს თავისთვის ახალი საცხოვრებელი სახლის შესაძენად, მას თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის ინვესტიციებში. ანალოგიურად, როდესაც „კარლი კორპორეიშნ“ აქციათა ნაწილს ყიდის და აქედან მიღებული სახსრებით ახალ ქარხანას აშენებს, მასაც თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის ინვესტიციებში.

მიუხედავად იმისა, რომ იგივეობა  $S = I$  გვიჩვენებს, რომ დანაზოგები და ინვესტიციები ერთმანეთის ტოლია მთლიანად ეკონომიკისთვის, ეს ასე არ არის ყველა საოჯახო მეურნეობისა თუ ფირმისთვის. ლარის დანაზოგი შეიძლება მისსავე ინვესტიციებზე მეტი იყოს და ლარის შეუძლია ქარბი თანხა ბანკში შეიტანოს. მოს დანაზოგი შეიძლება მისსავე ინვესტიციებზე ნაკლები იყოს, და ამ დანაკლისს მო ბანკიდან ისესხებს. ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები შესაძლებელს ხდიან დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების არსებობას იმით, რომ ერთი პირის დანაზოგს მეორე პირის ინვესტიციებისთვის იყენებენ.

## სწრაფი

**ბამოქიითხმა:** განმარტეთ კერძო დანაზოგი, საზოგადოებრივი დანაზოგი, ეროვნული დანაზოგი და ინვესტიციები. როგორაა ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული?



ზემოთ განვიხილეთ ეკონომიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტი მათი მაკროეკონომიკური როლი. ახლა კი შეგვიძლია ფინანსური ბაზრების მოდელი ავსოთ. ამ მოდელის აგებისას ჩვენი მიზანია იმის ახსნა, თუ როგორ ახორციელებენ ფინანსური ბაზრები დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინირებას. ამას გარდა, მოდელი გვაძლევს იმ სხვადასხვა სამთავრობო პოლიტიკის ანალიზისთვის საჭირო ინსტრუმენტებს რომლებიც დანაზოგებსა და ინვესტიციებზე ზემოქმედებენ.

სიმარტივისთვის დავეუშვათ, რომ ეკონომიკაში მხოლოდ ერთი ფინანსური ბაზარი არსებობს, რომელსაც სასესიო კაპიტალის ბაზარი ეწოდება. ის, ვინც საკუთარ შემოსავალს ზოგავს, ამ ბაზარზე საკუთარი დანაზოგის დეპოზიტზე შესატანად მიდის, ხოლო ის, ვისაც ფულის სესხება სურს, ამ ბაზარზე სესხის ასაღებად მიდის. ამდენად, ტერმინი სასესიო ფონდები იმ შემოსავალს აღნიშნავს, რომლის შენახვა და გასესხებაც გადამწყვეტს თანხების მფლობელებმა. ამ ბაზარზე სარგებლის მხოლოდ ერთი განაკვეთი არსებობს რომელიც ერთროულად დანაზოგის უკუგებაცა და სესხის ღირებულებაც.

რა თქმა უნდა, დაშვება ერთადერთი ფინანსური ბაზრის არსებობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც ვნახეთ, ეკონომიკაში მრავალი ტიპის ფინანსური ინსტიტუტები არსებობს. მაგრამ, როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, ეკონომიკური მოდელის აგების არსამყაროს გაგების მიზნით ამ სამყაროს გამარტივებაშია. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე შეგვიძლია უგულბებულყოფით ფინანსური ინსტიტუტების მრავალფეროვნება და დავეუშვათ რომ ეკონომიკაში მხოლოდ ერთი ფინანსური ბაზარი არსებობს.

სასესიო კაპიტალის ბაზარი, სადაც ისინი, ვისაც დაზოგვა სურს, ფინანსური რესურსების მიმწოდებლები არიან, ხოლო ისინი, ვისაც სესხება სურს, ამ რესურსების მომხმარებლები.

სასესიო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა


სასესიო კაპიტალის ბაზარს, ყველა სხვა სახის ბაზრის მსგავსად, მართავს მიწოდება და მოთხოვნა. ამიტომ სასესიო კაპიტალის ბაზრის მოქმედების გასაგებად ჯერ ამ ბაზრის მიწოდებისა და მოთხოვნის წყაროები უნდა განვიხილოთ.

სასესიო კაპიტალის მიწოდება იმ ადამიანებისაგან მომდინარეობს, ვისაც გარკვეული დამატებითი შემოსავალი აქვს და ამ შემოსავლის დაზოგვა და გასესხება სურს. ეს გასესხება შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი გზით, როგორც, მაგალითად, საოჯახო მეურნეობის მიერ ფირმის ობლიგაციის ყიდვისას, ან არაპირდაპირი გზით, როგორც მაშინ, როდესაც საოჯახო მეურნეობა დეპოზიტს დებს ბანკში, რომელიც შემდგომ ამ დეპოზიტს სესხების გასაცემად იყენებს. ორივე შემთხვევაში სასესიო კაპიტალის მიწოდების წყარო დანაზოგებია.

სასესიო კაპიტალზე მოთხოვნა მომდინარეობს იმ საოჯახო მეურნეობებიდან და ფირმებიდან, რომელთაც ფულის სესხება სურთ ინვესტირების მიზნით. ეს მოთხოვნა იმ ოჯახებს მოიცავს, რომლებიც ახალ სახლებს ყიდულობენ, და იმ ფირმებს, რომლებიც ფულს სესხულობენ ახალი დანადგარების შეძენისა თუ ახალი ქარხნების აშენების მიზნით. ორივე შემთხვევაში სასესიო კაპიტალზე მოთხოვნის წყაროა ინვესტიციები.

სარგებლის განაკვეთი გამოხატავს, ერთი მხრივ, ფასს სესხის ამლების მიერ კრედიტის გამოყენებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ – გამსესხებლის შემოსავალს. რადგან სარგებლის განაკვეთის ზრდის შედეგად სესხება ძვირდება, ამიტომ სასესიო კაპიტალის მოთხოვნის რაოდენობა მცირდება. მაგრამ, რაც მეტია სარგებლის განაკვეთი, მით უფრო მიმზიდველია დაზოგვა, ამიტომ, როდესაც სარგებლის განაკვეთი იზრდება, სასესიო კაპიტალის მიწოდების რაოდენობაც იზრდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასესიო კაპიტალზე მოთხოვნის მრუდი კლებადია, ხოლო სასესიო კაპიტალის მიწოდების მრუდი – ზრდადი.

1-ლ ნახაზზე ნაჩვენებია სარგებლის განაკვეთი, რომლის დროსაც სასესიო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა წონასწორობაშია. ამ წონასწორობაში სარგებლის განაკვეთი 5 პროცენტის ტოლია, ხოლო სასესიო კაპიტალზე მოთხოვნის რაოდენობაცა და სასესიო კაპიტალის მიწოდების რაოდენობაც \$1,200 მილიარდს შეადგენს. სარგებლის განაკვეთის თვითრეგულირებას საფუძვლად უდევს ყველა ბაზრისთვის დამახასიათებელი მიზეზები. თუ სარგებლის განაკვეთი წონასწორულ დონეზე ნაკლებია, მაშინ სასესიო კაპიტალის მიწოდების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე სასესიო კაპიტალზე მოთხოვნის რაოდენობა. ამის



**სასესხო კაპიტალის ბაზარი**

სარგებლის განაკვეთი თვითრეგულირდება სასესხო კაპიტალის მიწოდებისა და მოთხოვნის სრულ განონასწორებამდე. სასესხო კაპიტალის მიწოდება იქმნება როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი დანაზოგებიდან. სასესხო კაპიტალზე მოთხოვნას შეადგენს ფირმებისა თუ საოჯახო მეურნეობების სურვილი, ისეცხონ ფული ინვესტირების მიზნით. ამ ნახაზზე სარგებლის ნონასწორული განაკვეთია 5 პროცენტი, სასესხო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა – \$1,200 მილიარდის ტოლია.

შედეგად მიღებული სასესხო კაპიტალის დეფიციტი გამსესხებლებს სარგებლის განაკვეთის ზრდისკენ უბიძგებს. და პირიქით, თუ სარგებლის განაკვეთი ნონასწორულ დონეზე მეტია, სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობა მეტია, ვიდრე სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის რაოდენობა. გამსესხებლები დაინყებენ კონკურენტულ ბრძოლას მსესხებლებისთვის, და სარგებლის განაკვეთიც შემცირდება. ამ გზით სარგებლის განაკვეთი იმ ნონასწორულ დონეზე მიაღწევს, როდესაც სასესხო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა ზუსტად ერთნაირია.

გავისხენოთ, რომ ეკონომისტები განასხვავებენ სარგებლის რეალურ განაკვეთსა და სარგებლის ნომინალურ განაკვეთს. სარგებლის ნომინალური განაკვეთი ის განაკვეთია, რომლის სიდიდეც ყველასთვის ცნობილია – დანაზოგის ფულადი უკუგება და სესხის ღირებულება. სარგებლის რეალური განაკვეთი კი იგივე ნომინალური განაკვეთია, ოღონდ კორექტირებული ინფლაციის მიხედვით; ის სარგებლის ნომინალური განაკვეთისა და ინფლაციის დონის სხვაობის ტოლია. ვინაიდან ინფლაცია ფულის ღირებულებას ამცირებს, სარგებლის რეალური განაკვეთი ზუსტად ასახავს დანაზოგის ფულად უკუგებასა და სესხის ღირებულებას. ამგვარად, სასესხო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა დამოკიდებულია სარგებლის რეალურ, და არა ნომინალურ, განაკვეთზე და 1-ლ ნახაზზე ნაჩვენები ნონასწორობა ისე უნდა გავიგოთ, როგორც ნონასწორობა, რომელიც განსაზღვრავს სარგებლის რეალურ განაკვეთს ეკონომიკაში. როდესაც ამ თავში შეხვდებით ტერმინს *სარგებლის განაკვეთი*, უნდა გახსოვდეთ, რომ იგულისხმება სარგებლის რეალური განაკვეთი.

სასესხო კაპიტალის მიწოდებისა და მოთხოვნის ეს მოდელი გვიჩვენებს, რომ ფინანსური ბაზრები ძირითადად ეკონომიკაში არსებული სხვა ბაზრების მსგავსად ფუნქციონირებენ. მაგალითად, რძის ბაზარზე რძის ფასი რძის მიწოდების რაოდენობისა და მოთხოვნის რაოდენობის განონასწორებამდე თვითრეგულირდება. ამ გზით ბაზრის „უხილავი ხელი“ რძის ფერმების მფლობელთა და რძის მომხმარებელთა ქცევას მართავს. როგორც კი გავაცნობიერებთ, რომ დაზოგვა სასესხო კაპიტალის მიწოდებას ასახავს, ინვესტიციები კი – მოთხოვნას, მაშინვე მივხვდებით, როგორ ახდენს „უხილავი ხელი“ დაზოგვისა და ინვესტირების კოორდინირებას. როდესაც სარგებლის განაკვეთი სასესხო კაპიტალის ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის განონასწორებისთვის თვითრეგულირდება, ის ფულის დაზოგვის მსურველთა (სასესხო კაპიტალის მიწოდებელთა) და ინვესტირების მსურველთა (სასესხო კაპიტალის მომხმარებელთა) კოორდინირებას ახდენს.

ახლა კი სასესხო კაპიტალის ბაზრის ამ ანალიზის გამოყენებით შეგვიძლია შევისწავლოთ სხვადასხვა სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკაში არსებულ დანაზოგებსა და ინვესტიციებზე მოქმედებს. ვინაიდან ეს მოდელი ერთი კონკრეტული ბაზრის მიწოდებასა და მოთხოვნას ასახავს, ნებისმიერი სახის პოლიტიკის ანალიზისას ვიყენებთ იმ სამ

საფეხურს, რომლებიც მე-4 თავში განვიხილეთ. ჯერ ვადგენთ, მიწოდების მრუდს გადააგვიღებთ ეს პოლიტიკა თუ მოთხოვნის მრუდს. შემდეგ ამ გადაადგილების მიმართულე განვსაზღვრავთ. ბოლოს კი ვიყენებთ მიწოდება-მოთხოვნის დიაგრამას, რათა ვნახო როგორ იცვლება წონასწორობა.

### პოლიტიკა 1: გადასახადები და დანაზოგები

ამერიკელები თავიანთი დანაზოგების უფრო მცირე ნაწილს აბანდებენ, ვიდრე, მაგალითად, გერმანელები და იაპონელები. მიუხედავად იმისა, რომ დანაზოგებს შორის ასე განსხვავების არსებობის მიზეზები ჯერ კიდევ უცნობია, შეერთებული შტატების ბევრი პოლიტიკოსს ამერიკელთა მიერ დაზოგვის ასეთი დაბალი დონე უმთავრეს პრობლემად მიაჩნია. 1-ლ თავში მოცემული ეკონომიკის ათი პრინციპიდან ერთ-ერთი ის არის, რომ ქვეყნის ცხოვრების დონე დამოკიდებულია ამ ქვეყნის უნარზე, ანარმოს საქონელი მომსახურება. ხოლო, როგორც წინა თავში ითქვა, დანაზოგების სიდიდე ქვეყნის მწარმოებლურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია გრძელვადიან პერიოდში. თუ შეერთებული შტატები რაიმე გზით შეძლებს დანაზოგების რაოდენობის გაზრდას სხვა ქვეყნებში არსებულ დონემდე, მისი მშპ-ს ზრდის ტემპი გაიზრდება და გარკვეული დრო შემდეგ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეც უფრო მაღალი გახდება.


კიდევ ერთი პრინციპი ეკონომიკის ათი პრინციპიდან ის არის, რომ ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ. ამ პრინციპს ბევრი ეკონომისტი იყენებს იმის დასასაბუთებლად, რომ დაზოგვის დაბალი დონე შეერთებულ შტატებში, თუნდაც ნაწილობრივ, შედეგია ქვეყნის არსებული საგადასახადო კანონმდებლობისა, რომელიც დაზოგვის სტიმულებს ამცირებს შეერთებული შტატების მთავრობა, ისევე, როგორც ბევრი შტატის მთავრობა, გადასახად კრეფს შემოსავლიდან, სარგებლისა და დივიდენდების ჩათვლით. ამ პოლიტიკის შედეგები გასაგებად განვიხილოთ იმ 25 წლის ახალგაზრდას მაგალითი, რომელიც ზოგადად \$1,000-დან ყიდულობს 30-წლიან ობლიგაციას, რომლის სარგებლის განაკვეთია 9 პროცენტი. გადასახადების არარსებობისას, როდესაც ეს ინდივიდი 55 წლისა გახდება, მისი \$1,000 გაიზრდება \$13,268-მდე. მაგრამ, თუ ამ ინდივიდის სარგებელი იბეგრება, ვთქვათ, 33 პროცენტით, მაშინ გადასახადის შემდგომი სარგებლის განაკვეთი მხოლოდ 6 პროცენტს შეადგენს. ამ შემთხვევაში, \$1,000 მხოლოდ \$5,743 გახდება ოცდაათი წლის შემდეგ. სარგებელზე დაწესებული გადასახადი მნიშვნელოვნად ამცირებს მიმდინარე დანაზოგის სამომავლო უკუგებას და დაზოგვის სტიმულსაც ამცირებს.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად, ბევრი ეკონომისტისა და პოლიტიკოსის აზრით, უნდა შეიცვალოს საგადასახადო კოდექსი, რაც დაზოგვის სტიმულს გაზრდის. მაგალითად, ერთი შემოთავაზება გულისხმობს ზოგიერთი ტიპის ანგარიშებისთვის მაგალითად, საპენსიო ანგარიშებისთვის, განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას, რაც ადამიანებს საშუალებას მისცემს, დაბეგრისგან დაიცვან დანაზოგების გარკვეული ნაწილი. განვიხილოთ დაზოგვის ასეთი სტიმულის ზეგავლენა სასესხო კაპიტალის ბაზარზე, რაც მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია. ამ პოლიტიკას სამ საფეხურად გავაანალიზებთ.

ჯერ ვნახოთ, რომელ მრუდზე იმოქმედებს ასეთი პოლიტიკა. ვინაიდან გადასახადის ცვლილება შეცვლის საოჯახო მეურნეობების დაზოგვის სტიმულს სარგებლის თითოეული მოცემული განაკვეთისას, ეს პოლიტიკა თითოეული განაკვეთისას სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობას შეცვლის. ამიტომ გადაადგილება სასესხო კაპიტალის მიწოდების მრუდი. ვინაიდან გადასახადის ეს ცვლილება პირდაპირ არ იმოქმედებს იმ თანხაზე, რომლის შესხებაც სურთ მსესხებლებს სარგებლის თითოეული მოცემული განაკვეთისას, სასესხო კაპიტალზე მოთხოვნა უცვლელი დარჩება.

ამის შემდეგ ვნახოთ, რა მიმართულებით გადაადგილება მიწოდების მრუდი. ვინაიდან ამ პოლიტიკის პირობებში დანაზოგები ნაკლებად დაიბეგრება, ვიდრე მიმდინარე საგადასახადო პოლიტიკის პირობებში, საოჯახო მეურნეობები გაზრდიან საკუთარ დანაზოგებს შემოსავლების უფრო მცირე ნაწილის მოხმარების გზით. ამ დამატებითი დანაზოგებით საოჯახო მეურნეობები თავიანთ საბანკო დეპოზიტებს გაზრდიან ან მეტ ობლიგაციებს იყიდებიან. სასესხო კაპიტალის მიწოდება გაიზრდება და მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ, S<sub>1</sub>-დან S<sub>2</sub>-მდე, როგორც ეს მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია.

საბოლოოდ, შეგვიძლია შევადაროთ ძველი და ახალი წონასწორობები. ამ ნახაზზე



დაზოგვის სტიმულაჟი ზრდის სასესხო კაპიტალის მიწოდებას საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკელებისთვის დაზოგვის სტიმულის ზრდას, სასესხო კაპიტალის მიწოდების მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ  $S_1$ -დან  $S_2$ -მდე. ამის შედეგად სარგებლის წონასწორული განაკვეთი შემცირდება, რაც ინვესტირების სტიმულს გაზრდის. ამ ნახაზზე სარგებლის წონასწორული განაკვეთი 5-დან 4 პროცენტამდე შემცირდება, ხოლო დაზოგილი და ინვესტირებული სასესხო კაპიტალის წონასწორული რაოდენობა \$1,200-დან \$1,600 მილიარდამდე გაიზრდება.

სასესხო კაპიტალის მიწოდების გაზრდა სარგებლის განაკვეთს 5-დან 4 პროცენტამდე ამცირებს. სარგებლის განაკვეთის შემცირება კი იწვევს სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის რაოდენობის გაზრდას \$1,200-დან \$1,600 მილიარდამდე. ესე იგი, მიწოდების მრუდის გადაადგილება იწვევს საბაზრო წონასწორობის გადაადგილებას მოთხოვნის მრუდის გასწვრივ. ვინაიდან სესხების ლიზინგის მცირდება, საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს საკმარისი მოტივები უჩნდებათ უფრო მეტი ინვესტირების დაფინანსებისთვის. ამგვარად, თუ საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლა დაზოგვის სტიმულს გაზრდის, შედეგად სარგებლის განაკვეთი შემცირდება, ხოლო ინვესტირების დონე გაიზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ დაზოგვის ზრდის შედეგების ეს ანალიზი ფართოდაა მიღებული ეკონომისტებს შორის, ჯერ კიდევ არ არსებობს თანხმობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის საგადასახადო ცვლილებებია საჭირო. მრავალი ეკონომისტი მხარს უჭერს დაზოგვის გაზრდისკენ მიმართულ საგადასახადო რეფორმას, რომელიც ხელს შეუწყობდა ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას. მაგრამ არსებობენ ისეთი ეკონომისტებიც, რომლებიც არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ასეთი პოლიტიკა დიდად იმოქმედებს დაზოგვის რაოდენობაზე. ამ სკეპტიკოსებს შემოთავაზებული რეფორმების სამართლიანობაშიც ეპარებათ ეჭვი. ისინი ამტკიცებენ, რომ საგადასახადო ცვლილებებიდან სარგებლობას ძირითადად მდიდრები მიიღებენ, რომელთაც გადასახადების შემცირება ყველაზე ნაკლებად სჭირდებათ.


**პოლიტიკა 2: გადასახადები და ინვესტიციები**

დავუშვათ, კონგრესმა დაამტკიცა ახალი კანონი, რომელიც ამცირებს გადასახადს იმ ფირმებისთვის, რომლებიც ახალ ქარხნებს აშენებენ. არსებითად, სწორედ ასე იქცევა კონგრესი, როდესაც დროგამოშვებით აწესებს ინვესტირების საგადასახადო კრედიტს. განვიხილოთ ასეთი კანონის ზემოქმედება სასესხო კაპიტალის ბაზარზე, რაც მე-3 ნახაზზეა ნაჩვენები.

ჯერ ვნახოთ, მიწოდებაზე იმოქმედებს ეს კანონი თუ მოთხოვნაზე. რადგან ინვესტირების საგადასახადო კრედიტი შეცვლის ფირმის იმ სტიმულს, რომლებიც დაკავშირებულია სესხებასა და ახალი კაპიტალის ინვესტირებასთან, ამიტომ ეს კანონი შეცვლის მოთხოვნას სასესხო კაპიტალზე. ხოლო რადგან ინვესტირების საგადასახადო კრედიტი არ იმოქმედ-

### ინვესტირების სტიმულეზი ზრდის სასესხო კაპიტალზე მოთხოვნას

თუ საინვესტიციო კრედიტის კანონის დამტკიცება ამერიკულ ფირმებს ინვესტიციების გაზრდისკენ უბიძგებს, სასესხო კაპიტალზე მოთხოვნა გაიზრდება. ამის შედეგად სარგებლის წონასწორული დონე გაიზრდება, რაც დაზოგვის სტიმულეზს გაზრდის. ამ ნახაზზე, როდესაც მოთხოვნის მრუდი  $D_1$ -დან  $D_2$ -ში გადაადგილდება, სარგებლის წონასწორული განაკვეთი 5%-დან 6% პროცენტამდე იზრდება, ხოლო სასესხო კაპიტალის წონასწორული რაოდენობა \$1,200-დან \$1,400 მილიარდამდე იზრდება.



დებს იმ თანხაზე, რომელსაც საოჯახო მეურნეობები სარგებლის თითოეული მოცემულ განაკვეთისას ზოგავენ, ის სასესხო კაპიტალის მიწოდებაზე არ იმოქმედებს.

შემდეგ განვსაზღვროთ, რა მიმართულებით გადაადგილდება მოთხოვნის მრუდი. ვინაიდან ფირმებს სარგებლის ნებისმიერი მოცემული განაკვეთისას ინვესტიციების გაზრდის სტიმული ექნებათ, სარგებლის თითოეული განაკვეთისას სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის რაოდენობა გაიზრდება. ამგვარად, სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ  $D_1$ -დან  $D_2$ -მდე, როგორც ეს ნაჩვენებია მე-3 ნახაზზე.

ბოლოს განვიხილოთ წონასწორობის ცვლილება. მე-3 ნახაზზე სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის გაზრდა ინვეს სარგებლის განაკვეთის გაზრდას 5%-დან 6% პროცენტამდე, სარგებლის განაკვეთის ასეთი გაზრდა კი, თავის მხრივ, სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობის ზრდას იწვევს \$1,200-დან \$1,400 მილიარდამდე, რადგან საოჯახო მეურნეობები უფრო მეტს ზოგავენ. საოჯახო მეურნეობების ქცევის ეს ცვლილება ნახაზზე მიწოდების მრუდის გასწვრივ მოძრაობითაა გამოხატული. ამგვარად, თუ საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლა ინვესტირების სტიმულეზს გაზრდის, სარგებლის განაკვეთიცა და დაზოგვის დონეც გაიზრდება.


### პოლიტიკა 3: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი

გასული ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე აქტიუალური საკითხი გახლდათ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. როდესაც მთავრობა იმაზე მეტს ხარჯავს, ვიდრე გადასახადებიდან იღებს, იქმნება ბიუჯეტის დეფიციტი. წინა პერიოდებში დაგროვილი ბიუჯეტის დეფიციტების ჯამს სახელმწიფო ვალი ეწოდება. სახელმწიფო ვალის დაფარვა შესაძლებელია ბიუჯეტის გარდამეტის, ანუ სახელმწიფოს შემოსავლების მის ხარჯებზე მეტობის მეშვეობით. თუ მთავრობის ხარჯები და შემოსავლები ერთმანეთის ტოლია, მაშინ მთავრობას დაბალანსებული ბიუჯეტი აქვს.

წარმოიდგინეთ, რომ მთავრობის ბიუჯეტი ჯერ დაბალანსებულია, შემდეგ კი გადასახადების შემცირების ან ხარჯების ზრდის გამო ის დეფიციტს განიცდის. ბიუჯეტის დეფიციტის ეფექტი ისევე ჩვენთვის კარგად ცნობილი სამი საფეხურის მეშვეობით გავაანალიზოთ. პირველ რიგში დავადგინოთ, რომელი მრუდი გადაადგილდება ბიუჯეტის დეფიციტის ზრდისას. გავიხსენოთ, რომ ეროვნული დანაზოგი – სასესხო კაპიტალის მიწოდების წყარო

სახელმწიფო  
ბიუჯეტის  
დეფიციტის  
იჯექტი

როდესაც მთავრობა იმაზე მეტს ხარჯავს, ვიდრე გადასახადებიდან იღებს, ბიუჯეტის წარმოქმნილი დეფიციტი ეროვნულ დანაზოგს ამცირებს. სასესხო კაპიტალის მიწოდება მცირდება, ხოლო სარგებლის წონასწორული განაკვეთი იზრდება. ამგვარად, როდესაც მთავრობა ფულს სესხულობს საკუთარი დეფიციტის დასაფინანსებლად, ის სასესხო კაპიტალის ბაზრიდან გამოდევნის საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სესხს აიღებდნენ ახალი ინვესტიციების დასაფინანსებლად. ამ ნახაზზე, როდესაც მიწოდება შ1-დან შ2-მდე გადაადგილდება, სარგებლის წონასწორული განაკვეთი 5-დან 6 პროცენტამდე იზრდება, ხოლო დაზოგილი და ინვესტირებული სასესხო კაპიტალის წონასწორული რაოდენობა \$1,200-დან \$800 მილიარდამდე მცირდება.



– შედეგება კერძო და საზოგადოებრივი დანაზოგებისგან. ბიუჯეტის დეფიციტის ცვლილება ასახავს საზოგადოებრივი დანაზოგების და, აქედან გამომდინარე, სასესხო კაპიტალის მიწოდების ცვლილებას. რადგან ბიუჯეტის დანაზოგი იმ თანხაზე არ მოქმედებს, რომლის სესხებაც სურთ საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს სარგებლის თითოეული მოცემული განაკვეთისას ახალი ინვესტირებების განხორციელების მიზნით, ამიტომ დეფიციტი სასესხო კაპიტალის მოთხოვნას არ შეცვლის.

ამის შემდეგ უნდა განვსაზღვროთ, რა მიმართულებით გადაადგილდება მიწოდების მრუდი. როდესაც მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტს განიცდის, საზოგადოებრივი დანაზოგი უარყოფითია, ეს კი ეროვნულ დანაზოგს ამცირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც მთავრობა საკუთარი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად ფულს სესხულობს, ამცირებს სასესხო კაპიტალის მიწოდებას, რომელიც საჭიროა საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების მიერ ახალი ინვესტიციების დასაფინანსებლად. ამგვარად, ბიუჯეტის დეფიციტი სასესხო კაპიტალის მიწოდების მრუდს გადაადგილებს მარცხნივ S<sub>1</sub>-დან S<sub>2</sub>-მდე, რაც ნაჩვენებია მე-4 ნახაზზე.

დაბოლოს, შევადაროთ ძველი და ახალი წონასწორობები. მე-4 ნახაზზე, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტი სასესხო კაპიტალის მიწოდებას ამცირებს, სარგებლის განაკვეთი 5-დან 6 პროცენტამდე იზრდება, რაც ცვლის სასესხო კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირებაში მონაწილე საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების ქცევას. კერძოდ, სარგებლის გაზრდილი განაკვეთი სასესხო კაპიტალის ბევრ მსურველს სესხებას გადააფიქრებინებს. ნაკლები ოჯახი იყიდის ახალ სახლს და ნაკლები ფირმა ააშენებს ახალ ქარხანას. მთავრობის მიერ სესხის აღების შედეგად ინვესტიციების შემცირებას გამოდევნა ეწოდება და ის ნახაზზე მოთხოვნის მრუდის გასწვრივ მოძრაობითაა წარმოდგენილი \$1,200-დან \$800 მილიარ-

გამოდევნა  
ინვესტიციების  
შემცირება, რაც  
სახელმწიფოს მიერ  
სესხის აღების  
შედეგია.

დამდე. ეს იგი, როდესაც მთავრობა ფულს სესხულობს საკუთარი ბიუჯეტის დეფიციტ დასაფინანსებლად, ამით გამოდევნის კერძო მსესხებლებს, რომლებიც საკუთარი ინვესტიციების დაფინანსებას ცდილობენ.

ამგვარად, ძირითადი დასკვნა ბიუჯეტის დეფიციტის შესახებ ამ დეფიციტის სასესიკაპიტალის მიწოდებასა და მოთხოვნაზე ზემოქმედებიდან გამომდინარეობს: როდესაც მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტის გამო, ეროვნულ დანაზოგს ამცირებს ამ დროს სარგებლ განაკვეთი იზრდება, ხოლო ინვესტიციები მცირდება. რადგან ინვესტიციებს დიდი მნივნილობა აქვს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ეკონომიკურ ზრდას ანელებს.

მთავრობის ბიუჯეტის გარდამეტი დეფიციტის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს. როდესაც მთავრობა უფრო მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე ხარჯავს, ის სახელმწიფო ვალს ამცირებს. ბიუჯეტის გარდამეტი, ანუ საზოგადოებრივი დანაზოგი, ეროვნული დანაზოგის ზრდას ემსახურება. ამდენად, ბიუჯეტის გარდამეტი ზრდის სასესიხო ფონდება მინორდება, ამცირებს სარგებლის განაკვეთს და სტიმულს აძლევს ინვესტიციებს. მეტი ინვესტიცია კი, თავის მხრივ, კაპიტალის უფრო სწრაფ დაგროვებას და ეკონომიკურ ზრდას ნიშნავს.

## მაგალითი | აშშ-ს სახელმწიფო ვალის ისტორია

რამდენი აქვს ვალი აშშ-ს მთავრობას? ამ კითხვაზე პასუხი დროის სხვადასხვა პერიოდისათვის მნიშვნელოვნად განსხვავდება. მეხუთე ნახაზზე ნაჩვენებია აშშ-ს სახელმწიფო ვალი, როგორც ქვეყნის მშპ-ს პროცენტული წილი. ნახაზი გვიჩვენებს, რომ ვალი მშპ-0-სა (1936 წ.) და 107%-ს (1945 წ.) შორის მერყეობდა. ბოლო წლებში კი სახელმწიფო ვალ მშპ-ს 30-40% იყო.

სახელმწიფო ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. რადგან მშპ მთავრობის საგადასახადო ბაზის უხეში საზომია სახელმწიფო ვალისა და მშპ-ს კლებადი თანაფარდობა მზარდი საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის კვალობაზე მთავრობის ვალდებულების შემცირებას მოასწავებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია, თავად დაფაროს საკუთარი ხარჯები. და პირიქით, როდესაც სახელმწიფო ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა იზრდება, ეს კლებად საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის პირობებში მთავრობის ვალდებულებას სულ უფრო ამძიმებს. ამ დროს ამბობენ, რომ ფისკალური პოლიტიკა — სახელმწიფოს ხარჯები და გადასახადები — უნდა შეიცვალოს.

ისტორიულად სახელმწიფო ვალის ცვლილების ძირითადი მიზეზი ომი გახლდათ. როდესაც ომი იწყება, სახელმწიფოს თავდაცვის ხარჯები ჯარისკაცების ხელფასების დასაფარად და იარაღის შესაძენად მნიშვნელოვნად იზრდება. იმატებს გადასახადებიც, მაგრამ მათი ზრდის ტემპი გაცილებით ჩამორჩება ბიუჯეტის ხარჯების ზრდის ტემპს. ამ ყველაფრის შედეგი კი ბიუჯეტის დეფიციტი და მზარდი სახელმწიფო ვალია. როდესაც ომი მთავრდება, სახელმწიფო ხარჯები კლებულობს და სახელმწიფო ვალის მშპ-სთან თანაფარდობაც კლებას იწყებს.


ომის ვალით დაფინანსების პოლიტიკას ორი გამართლება შეიძლება მოეძებნოს: პირველი, სახელმწიფოს საშუალება აქვს, დროთა განმავლობაში გადასახადები ნელ-ნელა გაზარდოს. ვალი რომ არა, გადასახადები მკვეთრად გაიზრდებოდა და ეკონომიკის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად შეაფერხებდა. მეორე, ომის ხარჯების ნაწილის გადახდა მომავალ თაობებს გადაეცემა, რაც ნაწილობრივ, სამართლიანია, რადგან ქვეყნის უსაფრთხოების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვისაც სასარგებლოა.

1980-იან წლებში სახელმწიფო ვალი საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ამჯერად ამის მიზეზი ომი არ ყოფილა. რონალდ რეიგანი აშშ-ს პრეზიდენტი 1981 წელს გახდა. ის მცირერიცხოვანი მთავრობისა და დაბალი გადასახადების მომხრე იყო. თუმცა მთავრობის ხარჯების შეკვეცისას ის გაცილებით ნაკლებ პოლიტიკურ წინააღმდეგობას ნააწყდა, ვიდრე გადასახადების შემცირებისას. ამ პოლიტიკის შედეგად აშშ-ში ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი შეიქმნა, რომელიც რეიგანის მმართველობის შემდეგაც გაგრძელდა. სახელმწიფო ვალმა მშპ-სთან მიმართებაში 26%-დან (1980 წელს) 50%-მდე (1993 წელს) შეადგინა.

შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის ვალი, რომელიც მშპ-ს პროცენტებშია გამოხატული, დიდი იყო მეორე მსოფლიო ომში განეული ხარჯების გამო, მაგრამ შემდეგ, 1950-იან და 1960-იან წლებში, შემცირდა. სახელმწიფო ვალმა ისევ იწყო ზრდა 1980-იანი წლების დასაწყისში, რადგან რონალდ რეიგანის მიერ გადასახადების შემცირებას სამთავრობო ხარჯების ასეთივე შემცირება არ მოჰყოლია.

აშშ-ს სახელმწიფო ვალი

წყარო: აშშ სახაზინო დეპარტამენტი; აშშ კომერციის დეპარტამენტი და თ.ს. ბერი, „წარმოება და მოსახლეობა 1789 წლიდან“; ბოსტონის სტატია №6, რჩმონდი, 1988.



როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ამცირებს ეროვნული დანახარჯების დონეს, ინვესტიციებს და გრძელვადიან პერიოდში აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. სწორედ ამიტომ შეექმნათ პრობლემები პოლიტიკოსებსა და ეკონომისტებს 1980-იან წლებში. როდესაც 1993 წელს ბილ კლინტონმა ჩაიბარა პრეზიდენტის ოფისი, მისი პირველი და მთავარი მიზანი სწორედ დეფიციტის აღმოფხვრა გახდა. კონგრესშიც, როდესაც 1995 წელს უმრავლესობა რესპუბლიკელებმა მოიპოვეს, მათ დღის წესრიგში პირველ ადგილზე დეფიციტის პრობლემა დააყენეს. პრეზიდენტისა და კონგრესის ამგვარმა შემართებამ თავისი შედეგი გამოიღო და ბიუჯეტის დეფიციტი ჯერ შემცირდა, საბოლოოდ კი გარდამეტშიც გადაიზარდა. სწორედ ამის გამოა 1990-იანი წლების მიწურულიდან სახელმწიფო ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა კლებადი.

ამ თანაფარდობამ კვლავ დაიწყო ზრდა ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის პირველ წლებში. ამის მიზეზი გახდა ზოგიერთი გადასახადის შემცირება, რასაც ბუში წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებს დაჰპირდა. ეკონომიკაში დაწყებულ რეცესიას საგადასახადო შემოსავლების ავტომატური შემცირება და სახელმწიფო ხარჯების ზრდა მოჰყვა. 11 სექტემბრის თავდასხმების შედეგად ტერორიზმის წინააღმდეგ დაწყებული ომისა და შემდეგ ერაყში სამხედრო ინტერვენციის სახელმწიფოს ხარჯებმა მწვერვალს მიაღწია. •



ლასკმნა

„ფულს ნურც ისესხებ და ნურც გაასესხებ“, ურჩევს პოლონიუსი თავის ვაჟს შექსპირის „ჰამლეტში“. ყველა რომ ამ რჩევას მიჰყვებოდეს, ეს თავი ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. მხოლოდ რამდენიმე ეკონომისტი თუ დაეთანხმება პოლონიუსს. ჩვენს ეკონომიკაში ადამიანები ხშირად სესხულობენ და გაასესხებენ, და, როგორც წესი, ამისთვის საკმაო მიზეზებიც აქვთ. შეგიძლიათ ფული ისესხოთ საკუთარი კომერციული საქმიანობის დასაწყებად ან ახალი სახლის ასაშენებლად. ადამიანებს შეუძლიათ ფული გასესხონ იმ იმედით, რომ სარგებელი, რომელსაც გადაუხდით, მათ მშვიდ სიბერეს უზრუნველყოფს. ფინანსური სისტემის ამოცანა სწორედ სესხებისა და გასესხების კოორდინირებაში მდგომარეობს.



ფინანსური ბაზრები მრავალი თვისებით ეკონომიკის სხვა ბაზრების მსგავსია. სასესხებო კაპიტალის ფასს – სარგებლის განაკვეთს – მიწოდებისა და მოთხოვნის ძალები მართავენ. ისევე, როგორც ეკონომიკაში არსებულ ნებისმიერ სხვა ფასს. მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გადაადგილებებსაც ისევე ვაანალიზებთ, როგორც ამას სხვა ბაზრებისთვის ვაკეთებდით. 1-ლ თავში განხილული ეკონომიკის ათი პრინციპიდან ერთ-ერთი ის არის, რომ ბაზრები, როგორც წესი, ეკონომიკური საქმიანობის კარგი საშუალებაა. ეს პრინციპი ფინანსური ბაზრებისთვისაც გამოიყენება. როდესაც ფინანსურ ბაზრებს სასესხო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა წონასწორობაში მოჰყავთ, ამით ხელს უწყობენ ეკონომიკის მუშაობას.

მაგრამ ფინანსურ ბაზარს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს. ფინანსური ბაზარი სხვა ბაზრების უმრავლესობისგან განსხვავებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარსულისა და მომავლის დაკავშირებაში. ის, ვინც სასესხო კაპიტალს მიაწოდებს, ანუ დამოგველი, ასე იმიტომ იქცევა, რომ საკუთარი მიმდინარე შემოსავლის საშუალებით სამომავლო მსყიდველობითი უნარის გაძლიერება სურს. ის, ვინც სასესხო კაპიტალს მოითხოვს, ანუ მსესხებელი, ასე იმიტომ იქცევა, რომ ინვესტირების დაფინანსება სურს, რათა მომავალში საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის საჭირო დამატებითი კაპიტალი ჰქონდეს. ამგვარად, ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო დღევანდელი თაობის, არამედ იმ მომავალი თაობებისთვისაც, რომლებიც მემკვიდრეობით მიიღებენ სარგებლობას ფინანსური ბაზრების დღევანდელი მუშაობიდან.

შეჯამება

- აშშ-ს ფინანსური სისტემა შეიცავს მრავალ სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტს, როგორებიცაა ობლიგაციათა ბაზარი, აქციათა ბაზარი და ორმხრივი ფონდები. ყველა ეს ინსტიტუტი მიზნად ისახავს იმ საოჯახო მეურნეობების რესურსების გადატანას, რომელთაც საკუთარი შემოსავლების ნაწილის დაზოგვა სურთ, იმ საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების ხელში, რომელთაც სესხება სურთ.
- ეროვნული შემოსავლის გამოთვლა ხაზს უსვამს მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის არსებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან ურთიერთდაამოკიდებულებას. კერძოდ, ჩაკეტილ ეკონომიკაში ეროვნული დანაზოგი ინვესტიციების ტოლი უნდა იყოს. ფინანსური ინსტიტუტი ის მექანიზმია, რომლის

მეშვეობითაც ეკონომიკა ერთი პიროვნების დანაზოგს მეორე პიროვნების ინვესტიციასთან აკავშირებს.

- სარგებლის განაკვეთს სასესხო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს. სასესხო კაპიტალის მიწოდება იმ საოჯახო მეურნეობებიდან მომდინარეობს, რომელთაც საკუთარი შემოსავლის ნაწილის დაზოგვა და გასესხება სურთ. სასესხო კაპიტალზე მოთხოვნა იმ საოჯახო მეურნეობებიდან და ფირმებიდან მომდინარეობს, რომელთაც ინვესტირების მიზნით ფულის სესხება სურთ. სარგებლის განაკვეთზე რაიმე პოლიტიკისა თუ მოვლენის ზემოქმედების შესწავლისთვის უნდა განვიხილოთ ზემოქმედება, რომელსაც ეს პოლი-

ტიკა თუ მოვლენა სასესხო კაპიტალის მიწოდებასა და მოთხოვნაზე ახდენს.

- ეროვნული დანაზოგი კერძო დანაზოგისა და საზოგადოებრივი დანაზოგის ჯამია. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ინვესს უარყოფით საზოგადოებრივ დანაზოგს და ამის შედეგად ამცირებს

როგორც ეროვნულ დანაზოგს, ისე ინვესტირებისთვის საჭირო სასესხო კაპიტალის მიწოდებას. როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ინვესტიციებს გამოდევნის, მწარმოებლურობისა და მშპ-ს ზრდის ტემპები მცირდება.

## პირითაღი წნაზები

ფინანსური სისტემა, გვ. 545  
 ფინანსური ბაზრები, გვ. 546  
 ობლიგაცია, გვ. 546  
 აქცია, გვ. 547  
 ფინანსური შუამავლები, გვ. 550

ორმხრივი ფონდი, გვ. 552  
 ეროვნული დანაზოგი (დანაზოგი), გვ. 552  
 კერძო დანაზოგი, გვ. 553  
 საზოგადოებრივი დანაზოგი, გვ. 553  
 ბიუჯეტის გარდამეტი, გვ. 553

ბიუჯეტის დეფიციტი, გვ. 553  
 სასესხო კაპიტალის ბაზარი, გვ. 554  
 გამოდევნა, გვ. 559

## პითხვები გაყოკებისთვის

1. რა როლს ასრულებს ფინანსური სისტემა? დაასახელეთ და აღწერეთ ორი ბაზარი, რომლებიც აშშ-ს ეკონომიკის ფინანსური სისტემის ნაწილს შეადგენს. დაასახელეთ და აღწერეთ ორი ფინანსური შუამავალი.
2. რატომ არის მნიშვნელოვანი აქციებისა და ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის თავიანთი კაპიტალის დივერსიფიკაცია? რომელი ფინანსური ინსტიტუტები აადვილებს ამ პროცესს?
3. რა არის ეროვნული დანაზოგი? კერძო დანაზოგი? საზოგადოებრივი დანაზოგი? როგორაა ეს ცვლადები

- ერთმანეთთან დაკავშირებული?
4. რა არის ინვესტიციები? როგორაა ინვესტიციები დაკავშირებული ეროვნულ დანაზოგთან?
5. აღწერეთ საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომელიც კერძო დანაზოგის ზრდას გამოიწვევს. თუ ეს პოლიტიკა დაკანონდა, როგორ იმოქმედებს ეს სასესხო კაპიტალის ბაზარზე?
6. რა არის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი? რა გავლენას ახდენს ბიუჯეტის დეფიციტი სარგებლის განაკვეთზე, ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდაზე?

## საპარჯიშოები

1. ქვემოთ მოყვანილ წყვილებში რომელი ობლიგაციიდან უნდა მოველოდეთ სარგებლის მეტ განაკვეთს? ახსენით.
  - ა) აშშ-ს მთავრობის ობლიგაცია და აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყნის მთავრობის ობლიგაცია;
  - ბ) ობლიგაცია, რომელიც ძირითად თანხას 2005 წელს გასცემს და ობლიგაცია, რომელიც ძირითად თანხას 2025 წელს გასცემს;
  - გ) „კოკა-კოლა“ ობლიგაცია და ობლიგაცია კომპიუტერული პროგრამების იმ კომპანიისა, რომელიც თქვენს გარაჟში ფუნქციონირებს;
  - დ) ფედერალური მთავრობის ობლიგაცია და ნიუ-იორკის შტატის ობლიგაცია.
2. თეოდორ რუზველტი ამბობდა: „არ არსებობს ზნეობრივი განსხვავება ბანკოს, ლატარიისა თუ დოღზე თამაშსა და აქციათა ბაზარზე თამაშს შორის.“ რა სოციალურ მიზნებს ემსახურება, თქვენი აზრით, აქციათა ბაზრის არსებობა?
3. როდესაც რუსეთის მთავრობამ 1998 წელს გამოაცხადა, რომ უცხოურ ვალდებულებებს ვერ გადაიხ-

- დიდა, მრავალ განვითარებად ქვეყანაში სარგებლის განაკვეთი გაიზარდა. როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ეს?
4. ბევრი მშრომელი ყიდულობს იმ ფირმის აქციათა დიდ რაოდენობას, რომელშიც თვითონ მუშაობს. თქვენი აზრით, რატომ უწყობენ ფირმები ხელს ასეთ ქცევას? რატომ არ უნდა უნდოდეს მშრომელს იმ კომპანიის აქციების ყიდვა, რომელშიც მუშაობს?
5. ახსენით განსხვავება დაზოგვასა და ინვესტირებას შორის მაკროეკონომიკური თვალსაზრისით. ქვემოთ მოყვანილი სიტუაციებიდან, რომელია ინვესტირება? დაზოგვა? ახსენით.
  - ა) თქვენი ოჯახი ძველ სახლს აგირავებს და ახალ სახლს ყიდულობს.
  - ბ) თქვენ იყენებთ თქვენს \$200-იან ჩეკს და AT&T-ს აქციას ყიდულობთ.
  - გ) თქვენი მეზობელი იღებს \$100-ს და ამ შემოსავალს საბანკო დეპოზიტზე დებს.
  - დ) ბანკიდან სესხულობთ \$1,000-ს და ყიდულობთ ახალ მანქანას, რომელსაც პიცის მიმტანად მუშაობის დროს გამოიყენებთ.

6. დაეუშვათ მშპ \$8 ტრილიონია, გადასახადები – \$1,5 ტრილიონი, კერძო დანაზოგები – \$0,5 ტრილიონი, ხოლო საზოგადოებრივი დანაზოგი – \$0,2 ტრილიონი. ამ მონაცემებით გამოიანგარიშეთ მოხმარება, სახელმწიფო შესყიდვები, ეროვნული დანაზოგი და ინვესტიციები დახურული ეკონომიკისათვის.
7. ვთქვათ, „ინტელი“ ახალი ქარხნის აშენებას აპირებს.
- ა) თუ დაეუშვებთ, რომ „ინტელს“ ფულის სესხება სჭირდება ობლიგაციათა ბაზარზე, რატომ იმოქმედებს სარგებლის განაკვეთის ზრდა ახალი ქარხნის აშენების შესახებ „ინტელის“ გადაწყვეტილებაზე?
  - ბ) თუ „ინტელს“ საკმარისი სახსრები აქვს იმისთვის, რომ ახალი ქარხანა სესხების გარეშე ააშენოს, მაინც იმოქმედებს თუ არა სარგებლის განაკვეთის ზრდა ახალი ქარხნის აშენების შესახებ „ინტელის“ გადაწყვეტილებაზე? ახსენით.
8. ვთქვათ, მთავრობა მომავალ წელს \$20 მილიარდით მეტს სესხულობს, ვიდრე წელს.
- ა) მიწოდება-მოთხოვნის დიაგრამის დახმარებით გააანალიზეთ ეს პოლიტიკა. სარგებლის განაკვეთი გაიზრდება თუ შემცირდება?
  - ბ) როგორ შეიცვლება ინვესტიციები? კერძო დანაზოგი? საზოგადოებრივი დანაზოგი? ეროვნული დანაზოგი? შეადარეთ ამ ცვლილებების მასშტაბები მთავრობის დამატებითი სესხის \$20 მილიარდს.
  - გ) როგორ მოქმედებს სასესხო კაპიტალის მიწოდების ელასტიკურობა ამ ცვლილებების მასშტაბებზე? (დახმარებისთვის: ელასტიკურობის განმარტების გასახსენებლად გადახედეთ მე-5 თავს.)
  - დ) როგორ მოქმედებს სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის ელასტიკურობა ამ ცვლილებების მასშტაბებზე?
9. ე) ვთქვათ, მოსახლეობას სჯერა, რომ, რაც მეტად ისესხებს მთავრობა დღეს, მით მეტი იქნება გადასახადები მომავალში იმისათვის, რომ სახელმწიფო ვალი დაიფაროს. როგორ მოქმედებს კერძო დანაზოგებსა თუ სასესხო კაპიტალ დღევანდელ მიწოდებაზე? გაზრდის თუ შეამცირებს იმ ეფექტებს, რომლებზეც ა) და ბ) კითხვებზე პასუხის გაცემისას იმსჯელებთ?
9. ბოლო ათი წლის განმავლობაში, კომპიუტერული ტექნოლოგიამ ფირმებს საშუალება მისცა, მნიშვნელოვნად შეემცირებინათ ინვენტარის რაოდენობა გაყიდვიდან მიღებულ თითოეულ დოლარზე. გრაფიკულად აჩვენეთ ამ ცვლილების ზეგავლენა სასესხო კაპიტალის ბაზარზე (დახმარებისთვის: ინვენტარის ხარჯები ინვესტირების ერთ-ერთი სახეობაა). თქვენ აზრით, როგორ იმოქმედა ამ ცვლილებამ ქარხნების და დანადგარების ინვესტირებაზე?
10. „ზოგიერთი ეკონომისტი წუხს, რომ ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობის ხანდაზმული ნაწილს სწორედ მაშინ ამცირებს თავის დანაზოგებს, როდესაც განვითარებად ქვეყნებში იზრდება მოთხოვნა ინვესტიციებზე“ („იკონომისტ“, 6 მაისი, 1995). გრაფიკულად აჩვენეთ ამ მოვლენის ზემოქმედება სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე.
11. ამ თავში ითქვა, რომ ინვესტიციების გაზრდა შესაძლებელია როგორც კერძო დანაზოგებზე გადასახადების შემცირებით, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებით.
- ა) რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ორივე პოლიტიკის ერთდროული განხორციელება?
  - ბ) რა უნდა იცოდეთ კერძო დანაზოგების შესახებ იმისათვის, რომ გადაწყვიტოთ, ამ ორი პოლიტიკიდან რომელი იქნება უფრო ეფექტიანი ინვესტიციების გაზრდისთვის?



ამ თავში მოცემული საკითხების, ამოცანების, მაგალითების, სწრაფი გამოკითხვისა და ა.შ. შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის ესტუმრეთ ვებ-გვერდს <http://mankiw.swlearning.com>.

## უმუშევრობა

სამუშაო ადგილის დაკარგვა ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო მოვლენაა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანთა უმრავლესობა საკუთარ შრომით შემოსავალზე ამყარებს ცხოვრების დონის შენარჩუნების იმედებს. ამასთან, ადამიანები შრომისგან არა მხოლოდ შემოსავალს, არამედ პიროვნული სრულყოფილების გრძნობასაც იღებენ. სამუშაოს დაკარგვა ცხოვრების დონის შემცირებას, მომავალზე წუხილსა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვას ნიშნავს. ამიტომაც არ გვიკვირს, რომ პოლიტიკოსები საჯაროებისთვის ბრძოლის პროცესში ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ შეუწყობს ხელს მათ მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

წინა ორ თავში გავეცანით ზოგიერთ ძალას, რომელიც ქვეყნის ცხოვრების დონესა და მისი ზრდის ტემპებს განსაზღვრავს. მაგალითად, ქვეყანა, რომელიც თავისი შემოსავლის მეტ ნაწილს დაზოგვასა და ინვესტირებას უთმობს, თავისი კაპიტალის მარაგისა და მშპ-ს უფრო სწრაფ ზრდას განიცდის, ვიდრე ის ქვეყანა, რომელიც ნაკლებს ზოგავს და ნაკლებს ხარჯავს ინვესტირებაზე. ქვეყნის ცხოვრების დონის კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი დეტერმინანტია ამ ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონე. ადამიანებს, რომელთაც შრომა სურთ, მაგრამ სამუშაო ვერ უშოვიათ, არ შეაქვთ თავიანთი წვლილი საქონლისა და მომსახურების წარმოებაში. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია რეალურ ეკონომიკაში, სადაც ათასობით ფირმა და მილიონობით მშრომელია, უმუშევრობის დონე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. რაც უფრო მეტად არიან ქვეყნის მშრომელები დასაქმებული, მით მეტია ამ ქვეყნის მშპ.

ამ თავში უმუშევრობის შესწავლას დავინწყებთ. უმუშევრობის პრობლემა მოხერხებულობისთვის ორ ნაწილადაა დაყოფილი: გრძელვადიანი პერიოდის პრობლემა და მოკლევადიანი პერიოდის პრობლემა. უმუშევრობის ბუნებრივი დონე უმუშევრობის ჩვეული დონეა კონკრეტული ეკონომიკისთვის. ციკლური უმუშევრობა უმუშევრობის ბუნებრივი

დონიდან ყოველწლიურ გადახრას ასახავს და მჭიდროდაა დაკავშირებული საქმიანი აქტივობის ზრდასა და შემცირებასთან გრძელვადიან პერიოდში. ციკლურ უმუშევრობას საკუთარი ახსნა აქვს, რასაც მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური რყევების შესწავლამ გადავადებთ. ამ თავში კი უმუშევრობის ბუნებრივი დონის დეტერმინანტებს გავცნობთ როგორც ვნახავთ, ტერმინი ბუნებრივი სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს უმუშევრობის დონე სასურველი ან გარდაუვალი იყოს. ის მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს უმუშევრობა ჩვენი ჩარევის გარეშე მოკლევადიან პერიოდშიც კი არ შემცირდება.

პირველ რიგში უმუშევრობის განმსაზღვრელ ზოგიერთ ფაქტს განვიხილავთ. კერძო კი, შევისწავლით შემდეგ სამ საკითხს: როგორ განსაზღვრავს მთავრობა უმუშევრობის დონეს ეკონომიკაში? რა პრობლემები ჩნდება უმუშევრობის მონაცემების ინტერპრეტირებისას? რა დროის განმავლობაში რჩება ტიპური უმუშევარი უმუშევრად?

შემდეგ ვნახავთ, რატომ არსებობს ყოველთვის უმუშევრობის დონე, და როგორ ცდილობენ პოლიტიკოსები უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას. განვიხილავთ ეკონომიკაში უმუშევრობის ბუნებრივი დონის ოთხ მიზეზს: მინიმალური ხელფასის კანონს, პროფკავშირებს, ეფექტიან ხელფასებსა და სამუშაოს ძიებას. როგორც ვნახავთ, გრძელვადიან პერიოდის უმუშევრობა ერთი ცალკეული პრობლემის შედეგი არ არის, რომელსაც ერთგვარად განწყვეტა აქვს. უმუშევრობა მრავალ ერთმანეთთან დაკავშირებულ პრობლემას ასახავს ამიტომ არ არსებობს იოლი გზა, რომლითაც პოლიტიკოსები ეკონომიკაში უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირებას და, იმავდროულად, უმუშევრობით გამოწვეული სირთულეების შემსუბუქებას შეძლებდნენ.

## უმუშევრობის განსაზღვრა

ამ თავის შესწავლას იმით დავიწყებთ, რომ განვსაზღვრავთ, რას ნიშნავს ტერმინი უმუშევრობა.

### როგორ გამოითვლება უმუშევრობა?


უმუშევრობის დონის დადგენით დაკავებულია შრომის სტატისტიკის ბიურო (შსბ), რომელიც შრომის დეპარტამენტის ნაწილია. ყოველთვიურად შსბ იძლევა მონაცემებს უმუშევრობისა და შრომის ბაზრის სხვა ასპექტების შესახებ, როგორცაა უმუშევრობის ტიპები, შრომადღეების საშუალო რაოდენობა კვირაში და უმუშევრობის ხანგრძლივობა. ეს მონაცემები მიღებულია დაახლოებით 60,000 ოჯახის რეგულარული გამოკითხვის შედეგად, რომელსაც მოსახლეობის მიმდინარე გამოკითხვა ეწოდება.

გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, შსბ გამოკითხული ოჯახების თითოეულ ზრდასრულ წევრს (თექვსმეტი წლის ზევით) შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთში ათავსებს:

- **დასაქმებული.** ეს კატეგორია მოიცავს იმ პირებს, რომლებმაც წინა კვირის უდიდესი ნაწილი გაატარეს სამსახურში, სადაც ხელფასს იღებდნენ; ჰქონდათ საკუთარი ბიზნესი, ან უხელფასოდ იმუშავეს ოჯახის წევრის სანარმოში. ასევე, ეს კატეგორია მოიცავს მათ, ვისაც ჰქონდა სამუშაო, მაგრამ დროებით არ მუშაობდა შევსებულიაში ყოფნის, ავადმყოფობის, ან უამინდობის გამო.
- **უმუშევარი.** ამ კატეგორიაში შედის ადამიანთა ის ჯგუფი, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა, სცადეს მუშაობის დაწყება გასული 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ ვერ იშოვეს სამსახური. ეს კატეგორია მოიცავს იმ პირებსაც, რომლებიც დროებით დაითხოვეს სამსახურიდან ან ახალი სამსახურის დაწყების მოლოდინში არიან.
- **სამუშაო ძალას არმიკუთვნილები.** ამ ჯგუფში შედიან პირები, რომლებიც ამ ორიდან არც ერთ კატეგორიას არ ეკუთვნიან, მაგალითად, სტუდენტები, დიასახლისები ან პენსიონერები.

1-ლ ნახაზზე ნაჩვენებია მოსახლეობის ასეთი დაყოფა 2004 წლისთვის.

ზრდასრული მოსახლეობა (223,4 მილიონი)



სამუშაო ძალა (147,4 მლნ)

**შეერთებული შტატების მოსახლეობის კატაგორიები 2004 წელს**

შრომის სტატისტიკის ბიურო ზრდასრულ მოსახლეობას სამ კატეგორიად ყოფს: დასაქმებულებად, უმუშევრებად და იმ ადამიანებად, რომლებიც სამუშაო ძალაში არ შედიან.

წყარო: შრომის სტატისტიკის ბიურო

მას შემდეგ, რაც ყველა ინდივიდს კატეგორიებად დაყოფს, შსბ გამოითვლის სხვადასხვა სიდიდეებს, რომლებიც საჭიროა შრომის ბაზრის მდგომარეობის შეჯამებისთვის. შსბ განსაზღვრავს სამუშაო ძალას, როგორც დასაქმებულებსა და უმუშევრების რაოდენობათა ჯამს:

სამუშაო ძალა დასაქმებულთა და უმუშევართა საერთო რაოდენობა.

სამუშაო ძალა = დასაქმებულთა რაოდენობა + უმუშევართა რაოდენობა.

შსბ განსაზღვრავს უმუშევრობის დონეს, როგორც უმუშევრად დარჩენილი სამუშაო ძალის პროცენტულ რაოდენობას:

უმუშევრობის დონე უმუშევართა პროცენტული რაოდენობა სამუშაო ძალაში.

$$\text{უმუშევრობის დონე} = \frac{\text{უმუშევართა რაოდენობა}}{\text{სამუშაო ძალა}} \times 100.$$

შსბ გამოითვლის უმუშევრობის დონეს მთელი ზრდასრული მოსახლეობისთვის და უფრო ვიწრო ჯგუფებისთვის – შავკანიანებისთვის, თეთრკანიანებისთვის, მამაკაცებისთვის, ქალებისთვის და ა.შ.

ამავე გამოკითხვის მონაცემებს შსბ იყენებს სამუშაო ძალაში მონაწილეობის მონაცემების მისაღებად. სამუშაო ძალის ხვედრითი წილი ზრდასრულ მოსახლეობაში ასახავს შეერთებული შტატების ზრდასრული მოსახლეობის იმ ნაწილს (პროცენტებში), რომელიც სამუშაო ძალაში შედის:

სამუშაო ძალის ხვედრითი წილი ზრდასრულ მოსახლეობაში ზრდასრული მოსახლეობის პროცენტული წილი სამუშაო ძალაში.

$$\text{სამუშაო ძალის ხვედრითი წილი ზრდასრულ მოსახლეობაში} = \frac{\text{სამუშაო ძალა}}{\text{ზრდასრული მოსახლეობა}} \times 100.$$

ეს სტატისტიკური მაჩვენებელი ასახავს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც სამუშაო ძალაში მონაწილეობა არჩია. სამუშაო ძალის ხვედრითი წილი ზრდასრულ მოსახლეობაში,

უმუშევრობის დონის მსგავსად, გამოითვლება როგორც მთელი ზრდასრული მოსახლეობისთვის, ისე უფრო ვიწრო ჯგუფებისთვისაც.

იმის სანახავად, თუ როგორ გამოითვლება ეს მონაცემები, 2004 წელს მიღებული რიცხვები განვიხილოთ. ამ წელს 139,3 მილიონი ადამიანი მუშაობდა, 8,1 მილიონი კი უმუშევარი იყო. ამიტომ სამუშაო ძალა იყო:

$$\text{სამუშაო ძალა} = 139,3 + 8,1 = 147,4 \text{ მილიონი.}$$

უმუშევრობის დონე შეადგენდა:

$$\text{უმუშევრობის დონე} = (8,1 / 147,4) \times 100 = 5,5\%.$$

რადგან ზრდასრული მოსახლეობის რაოდენობა 223,4 მილიონი იყო, სამუშაო ძალის ხვედრითი წილი ზრდასრულ მოსახლეობაში შეადგენდა:

$$\begin{aligned} \text{სამუშაო ძალის ხვედრითი წილი ზრდასრულ მოსახლეობაში} &= \\ &= (147,4/223,4) \times 100 = 66,0\%. \end{aligned}$$

ასე რომ, 2004 წელს შეერთებული შტატების მოსახლეობის ორი მესამედი სამუშაო ძალაში მონაწილეობდა, ხოლო შრომის ბაზრის მონაწილეთა 5,5 პროცენტი უმუშევარი იყო.

1-ლ ცხრილში მოცემულია უმუშევრობისა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის სტატისტიკა შეერთებული შტატების მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის. სტატისტიკიდან სამი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ. პირველი: სამუშაო ძალაში 20 და მეტი წლის ქალების მონაწილეობა ნაკლებია, ვიდრე მამაკაცებისა, მაგრამ სამუშაო ძალაში შემავალ ქალების უმუშევრობის დონე ისეთივეა, როგორც მამაკაცების უმუშევრობის დონე; მეორე 20 წლის და უფროსი შავკანიანების მონაწილეობა სამუშაო ძალაში ისეთივეა, როგორც თეთრკანიანებისა, მაგრამ შავკანიანებს შორის უმუშევრობის დონე მეტია; და მესამე მოზარდების სამუშაო ძალაში მონაწილეობის წილი ნაკლებია, მათი უმუშევრობის დონე კი გაცილებით მეტია, ვიდრე ზრდასრული მოსახლეობისა. საზოგადოდ ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ შრომის ბაზრის დამახასიათებელი ცვლადები ეკონომიკის სხვადასხვა ჯგუფებისთვის სხვადასხვაა.

შრომის ბაზრის მონაცემები ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს. მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია უმუშევრობის დონე შეერთებულ შტატებში 1960 წლიდან. ნახაზზე ვხედავთ, რომ ეკონომიკაში უმუშევრობა ყოველთვის არსებობს და ამ უმუშევრობის დონე ყოველწლიურად იცვლება. უმუშევრობის დონეს, რომლის გარშემოც ხდება უმუშევრობის დონის ცვლილება, უმუშევრობის ბუნებრივი დონე ეწოდება, ხოლო უმუშევრობის გადახრას ბუნებრივი დონიდან

უმუშევრობის  
ბუნებრივი დონე  
უმუშევრობის  
დონე იცვლება.

## 1 ცხრილი


**შრომის ბაზარზე მრავალი დემოგრაფიული ჯგუფის**  
ეს ცხრილი გვიჩვენებს უმუშევრობის დონესა და აშშ-ს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების სამუშაო ძალაში მონაწილეობას 2004 წელს.

წყარო: შრომის სტატისტიკის ბიურო.

დემოგრაფიული ჯგუფი	უმუშევრობის დონე	სამუშაო ძალაში მონაწილეობა
<b>ზრდასრული (20 წლის და უფროსი)</b>		
თეთრკანიანი კაცი	4.4%	76.2%
თეთრკანიანი ქალი	4.2	59.7
შავკანიანი კაცი	9.9	70.9
შავკანიანი ქალი	8.9	64.2
<b>მოზარდები (16-19 წლის)</b>		
თეთრკანიანი კაცი	16.3	47.4
თეთრკანიანი ქალი	13.6	46.7
შავკანიანი კაცი	35.6	30.0
შავკანიანი ქალი	28.2	32.8

ეს ნახაზი აშშ-ს წლიური უმუშევრობის მაჩვენებლებს იყენებს იმის საჩვენებლად, თუ რა წილი მოდის უმუშევრად დარჩენილ სამუშაო ძალაზე. უმუშევრობის ბუნებრივი დონე არის უმუშევრობის ის ნორმალური დონე, რომლის გარშემოც მერყეობს უმუშევრობის მაჩვენებელი.

წყარო: აშშ-ს შრომის დეპარტამენტი, კონგრესის საბიუჯეტო ოფისი.



– ციკლური უმუშევრობა. უმუშევრობის ბუნებრივი დონე, რომელიც ნახაზზეა ნაჩვენები, კონგრესის საბიუჯეტო ოფისის ეკონომისტების მიერ შემუშავებული მონაცემთა მწკრივების შედეგია. 2004 წლისათვის, მათი გამოთვლების მიხედვით, უმუშევრობის ბუნებრივი დონე 5,2 პროცენტი იყო, რაც მხოლოდ მცირედ განსხვავდება უმუშევრობის 5,5%-იანი რეალური დონისაგან. მოგვიანებით ამ წიგნში მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკურ გადახრებზეც ვისაუბრებთ, ბუნებრივი დონიდან უმუშევრობის გადახრების ჩათვლით. ამ თავში კი მოკლევადიან გადახრებს უგულვებელყოფთ და შევისწავლით, რატომაა უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის ქრონიკული პრობლემა.

ციკლური უმუშევრობა უმუშევრობის გადახრა მისი ბუნებრივი დონიდან.

## მაგალითი

### ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობა შეერთებული შტატების სამუშაო ძალაში

ქალების როლი ამერიკულ საზოგადოებაში გასული საუკუნის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა. სოციოლოგები ამ ცვლილების მრავალ მიზეზს ასახელებენ. ეს ცვლილება ნაწილობრივ ახალი ტექნოლოგიების, მაგალითად, სარეცხი მანქანების, ტანსაცმლის საშრობების, მაცივრების, საყინულეებისა და ჭურჭლის სარეცხი მანქანების, შექმნის შედეგია, რამაც შეამცირა მძიმე საოჯახო საქმეების კეთებისთვის საჭირო დრო. ნაწილობრივ ამ ცვლილების მიზეზია შობადობაზე კონტროლის გაუმჯობესება, რამაც შეამცირა ბავშვების რაოდენობა ტიპურ ოჯახში. და, რა თქმა უნდა, ქალების როლის ეს ცვლილება პოლიტიკური და სოციალური სიტუაციის ცვლილების შედეგაცაა. ყველა ამ მიზეზმა ერთად დიდი გავლენა მოახდინა მთლიანად საზოგადოებაზე და კერძოდ ეკონომიკაზე.


ეს გავლენა ყველაზე კარგად სამუშაო ძალაში მონაწილეობის მონაცემებიდან ჩანს.



**სამუშაო ძალაში მონაწილეობა ქალებისა და მამაკაცებისთვის 1950 წლიდან**

ნახაზი გვიჩვენებს ზრდასრული ქალებისა და მამაკაცების წილს სამუშაო ძალაში. ნახაზის მიხედვით, გასული ათწლეულების განმავლობაში ქალები სამუშაო ძალაში ერთვებოდნენ, კაცები კი – ეთიშებოდნენ.

წყარო: აშშ-ს შრომის დეპარტამენტი.



მე-3 ნახაზზე მოცემულია შეერთებული შტატების მოსახლეობაში სამუშაო ძალის ხვედრითი წილი ქალებისა და მამაკაცებისთვის 1950 წლიდან. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების როლი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებოდა. იმ დროს, როცა მამაკაცების 87 პროცენტი იყო დასაქმებული, ქალების მხოლოდ 33 პროცენტი მუშაობდა ან სამუშაოს ეძებდა. მომდევნო ათწლეულებში ეს განსხვავება თანდათან შემცირდა, რადგან ქალების სულ უფრო მეტი რაოდენობა ჩაერთო სამუშაო ძალაში, მამაკაცების გარკვეული რაოდენობა კი სამუშაო ძალას გამოაკლდა. 2004 წლის მონაცემების მიხედვით, ამ წელს სამუშაო ძალაში შედიოდა ზრდასრული ქალების 59 პროცენტი, ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი მამაკაცებისთვის ამავე წელს 73 პროცენტი იყო. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ეკონომიკაში მამაკაცები და ქალები დღეს შედარებით თანასწორნი არიან.

სამუშაო ძალაში ქალების როლის გაზრდა ადვილი გასაგებია, მაგრამ მამაკაცების მონაწილეობის შემცირება რთული გასაგებია. ამ შემცირების რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, ახალგაზრდა მამაკაცები დღეს სკოლაში უფრო დიდხანს რჩებიან, ვიდრე მათი მამები და ბაბუები რჩებოდნენ. ამას გარდა, მამაკაცები დღეს უფრო ადრე გადაიან პენსიაზე და უფრო დიდხანსაც ცოცხლობენ. დაბოლოს, რაც უფრო მეტი ქალი იწყებს მუშაობას, მით მეტია იმ მამაკაცთა რაოდენობა, რომლებიც სახლში დარჩენასა და ბავშვების აღზრდას ამჯობინებენ. მოსწავლეები, პენსიონერები და სამხარეულოში მოფუხფუხე მამაკაცები განიხილება, როგორც სამუშაო ძალის გარეთ დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი.

**ზოგადას თუ არა უმუშევრობის დონე იმას, რაც გვინტერესებს?**

ეკონომიკაში უმუშევრობის დონის გამოთვლა, ერთი შეხედვით, სწორხაზოვნად შეიძლება მოგვეჩვენოს. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. ზოგი სრულ სამუშაო დღეს მუშაობს, ზოგი საერთოდ არ მუშაობს. ამათი გარჩევა იოლი საქმეა, მაგრამ ბევრად უფრო ძნელია უმუშევრის გარჩევა იმ ადამიანისგან, რომელიც სამუშაო ძალაში არ შედის.

სამუშაო ძალაში ჩართვა და სამუშაო ძალიდან გამოთიშვა საკმაოდ ხშირი მოვლენე-ბია. უმუშევართა მესამედზე მეტი სამუშაო ძალის ახალი წევრები არიან. ამ ახალბედათა შორის არიან პირველი სამუშაო ადგილის მაძიებელი ახალგაზრდებიც, მაგალითად, კოლე-ჯის ახალი კურსდამთავრებულები. მათ გარდა, ახალბედათა საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგე-ნენ გამოცდილი მშრომელები, რომლებიც წარსულში სამუშაო ძალას გამოეთიშნენ, მაგრამ ამჟამად ისევ სამუშაოს მოძებნა გადაწყვიტეს. უმუშევრობა ყოველთვის სამუშაოს მაძიებ-ლის წარმატებით არ მთავრდება. უმუშევრობის ყველა შემთხვევის ნახევარზე მეტი იმით მთავრდება, რომ პიროვნება სამუშაო ძალაში მონაწილეობას თავს ანებებს.

ადამიანების ასეთი საქციელი – სამუშაო ძალაში ჩართვა და სამუშაო ძალიდან გამო-თიშვა – უმუშევრობის სტატისტიკის ინტერპრეტირებას საკმაოდ აძნელებს. ერთი მხრივ, იმ ადამიანების გარკვეული ნაწილი, ვინც თავს უმუშევრად აცხადებს, სამუშაოს ძიებით დიდად არ ინუხებს თავს. ისინი საკუთარ თავს უმუშევრებს უწოდებენ, რათა იმ ადამიანთა რიცხვში მოხვდნენ, რომელთაც ესა თუ ის სამთავრობო პროგრამა ფინანსურ დახმარებას უწევს უმუშევრობისთვის. უფრო რეალისტური იქნებოდა, თუ ამ ინდივიდებს სამუშაო ძალაში მონაწილეობად არ ჩავთვლიდით. მეორე მხრივ, იმ ადამიანების ნაწილს, ვისაც სამუშაო ძალიდან გამოთიშულებად ვთვლით, შეიძლება, მუშაობა სურდეს. ამ ინდივიდებმა, შესაძლოა, უკვე სცადეს სამუშაო ადგილის მოძებნა, მაგრამ წარუმატებელი ძიების შემდეგ ამ მცდელობაზე უარი თქვეს. ასეთ ინდივიდებს, რომელთაც იმედდაკარგული მუშახელი ეწოდება, უმუშევრობის სტატისტიკა არ ითვალისწინებს, თუმცა ეს ის მშრომელები არიან, რომლებიც სამუშაოს გარეშე დარჩნენ.

არც ისე იოლია უკეთესი ხერხის მოძებნა, რის შედეგადაც უმუშევრობის დონე შრო-მის ბაზრის მდგომარეობის უფრო სანდო მაჩვენებელი გახდებოდა. უმუშევრობის დონე, რომლის მონაცემებსაც დღეს შსბ გვაძლევს, უნდა განვიხილოთ, როგორც უმუშევრობის სასარგებლო, მაგრამ არა სრულყოფილი მაჩვენებელი.

იმედდაკარგული მუშახელი ინდივიდები, რომელთაც სურთ მუშაობა, მაგრამ ხელი ჩაიქნიეს სამუშაო ადგილების ძებნაზე.

ხვედრითი წილი

ცხრილი 2

განსაზღვრა და აღწერა	ხვედრითი წილი
U-1 15 ან მეტი კვირის მანძილზე უმუშევარი პირების ხვედრითი წილი სამოქალაქო შრომით რესურსებში (მოიცავს მხოლოდ ხანგრძლივი დროით უმუშევრებს).	1,6%
U-2 სამუშაოდან გათავისუფლებულ და დროებითი სამუშაოს დასრულების შემდეგ უმუშევარ ადამიანთა ხვედრითი წილი სამოქალაქო შრომით რესურსებში (იმათი გამოკლებით, ვინც სამსახურს თავი დაანება).	2,4%
U-3 სრულიად უმუშევრების ხვედრითი წილი სამოქალაქო შრომით რესურსებში (უმუშევრობის ოფიციალური დონე).	5%
U-4 სრულიად უმუშევრებისა და იმედდაკარგულ მომუშავეთა ხვედრითი წილი სამოქალაქო შრომით რესურსებში პლუს იმედდაკარგული სამუშაო ძალა.	5,3%
U-5 სრულიად უმუშევრებისა და ზღვრული სამუშაო ძალის ხვედრითი წილი სამოქალაქო შრომით რესურსებში პლუს ზღვრული სამუშაო ძალა.	6%
U-6 სრულიად უმუშევართა, ზღვრული სამუშაო ძალისა და და ეკონომიკური მიზეზების გამო ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთა ხვედრითი წილი სამოქალაქო შრომით რესურსებში პლუს შრომის მოსურნე ყველა ზღვრული სამუშაო ძალა.	8,9%

სამუშაო ძალის დაუსაქმებლობის ალტერნატიული საზომები ცხრილში მოცემულია უმუშევრობის სხვადასხვა მაჩვენებლები აშშ-ს ეკონომიკისათვის (2005 წლის ივლისის მონაცემებით).

წყარო: აშშ-ს შრომის დეპარტამენტი.

შენიშვნა: შრომითი სტატისტიკის ბიურო ტერმინების შემდეგ დეფინიციებს გეთაყვინებს:

- ზღვრული სამუშაო ძალას მიეკუთვნება პირი, რომელიც მოცემულ მომენტში არ მუშაობს და სამუშაოს არ ეძებს, მაგრამ აქვს სურვილი, იმუშაოს და მზად არის ამისათვის, და რომელიც უახლოეს წარსულში ეძებდა სამსახურს.
- იმედდაკარგული სამუშაო ძალა არის ზღვრული მუშახელი, რომელიც უმუშევრობის მიზეზად სამუშაოს ბაზართან დაკავშირებულ რამე მიზეზს ასახელებს.
- ეკონომიკური მიზეზების გამო ნახევარ განაკვეთზე მომუშავე არის პირი, რომელსაც სურს და ძალუძს სრულ განაკვეთზე მუშაობა, მაგრამ იძულებულია, ნახევარ განაკვეთს დასჯერდეს.

# ახალი აბაზიდან



## ასაკოვან მამაკაცთა უმუშევრობის ზრდა

სულ უფრო იზრდება იმ მამაკაცთა რიცხვი, რომლებიც არც მუშაობენ და არც სამსახურს ეძებენ.

**სულ უფრო მეტი მამაკაცი აღარ მუშაობს. მაშ, რას აკეთებენ ისინი?**

ალან კრიუგერი

სამუშაო ასაკის მამაკაცთა მზარდი რაოდენობა „კრამერის ცხოვრების სტილით“ ცხოვრობს: არც მუშაობს და არც სწავლობს. 1967 წელს 25-54 წლის მამაკაცების 2,2% წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე იყო უმუშევარი და არც სასწავლებელში დადიოდა. 2002 წლისათვის ეს მაჩვენებელი, რომლის მონაცემებიც ჯერჯერობით უახლესია შრომის სტატისტიკის ბიუროსათვის, 8%-მდე ავიდა.

ეს ტენდენცია ნაწილობრივ ინვალიდობის მაჩვენებლებიდანაც გამომდინარეობს. დაუსაქმებელ მამაკაცთა ნახევარზე მეტი თავს ავადმყოფად ან უუნაროდ აცხადებს. თუმცა უკანასკნელი 35 წლის მანძილზე უმუშევარ მამაკაცთა რიცხვი, რომლებსაც მუშაობა შეეძლოთ — მრავალფეროვანი ჯგუფი, რომელშიც სხვებთან ერთად შედიან ახალგაზრდა პენსიონერები, მამაკაცები, ვინც ვერ

იმოვა სამსახური და ოჯახის წევრების მომვლელი — უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ინვალიდთა რიცხვი.

პრობლემა ზოგი ჯგუფისათვის სხვებზე უფრო მწვავედ დგას. 25-54 წლის სამუშაოზე დაბალი განათლების მქონე მამაკაცების თითქმის მეხუთედს 2002 წლის განმავლობაში ერთი კვირაც კი არ უმუშავია. უმუშევართა ხვედრითი წილი უმაღლესი განათლების მქონეთა შორის მხოლოდ 3,3% იყო. ცენტრალურ ქალაქებში მამაკაცების 10,8%-მა გაატარა მთელი წელი სამუშაოს გარეშე, მაშინ როდესაც დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 7,1% იყო.

დროთა განმავლობაში უმუშევრობის შენარჩუნება და კონცენტრირება მამაკაცთა იმ ჯგუფებში ხდება, რომლებიც ხშირად ატარებენ დროს დიდ შუალედებს უმუშევრად. შრომის სტატისტიკის ბიუროს ეკონომისტის, ჯეი სტიუარტის თქმით, 1987-1997 წლებში უმუშევარ მამაკაცთა შორის მხოლოდ 3% იყო ისეთი, რომელმაც დროის 2/3-ზე მეტი გაატარა უმუშევრად.



„სამუშაო ძალაში ვერ ჩაერთობით.“

მოზრდილ მამაკაცთა შორის ხანგრძლივი დაუსაქმებლობა თვით უმუშევრობაზე მნიშვნელოვან ფენომენად გადაიქცა. ბევრი უმუშევარი მამაკაცი სამუშაოს აქტიურად სულაც არ ეძებს. ამრიგად, ისინი უმუშევრებად ვერ ჩაითვლებიან. მიუხედავად ამისა, ეს ეკო-

## რამდენ ხანს ბრძელდება უმუშევრობა?

იმზე მსჯელობისას, თუ რამდენად სერიოზულია უმუშევრობის პრობლემა, ერთ კითხვაზე უნდა ვუპასუხოთ: უმუშევრობა მოკლევადიანი პერიოდის ტიპური მოვლენაა თუ გრძელვადიანი პერიოდისა? თუ უმუშევრობა მოკლევადიანი პერიოდის მოვლენაა, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს დიდი პრობლემა არ არის. მშრომელებს, შეიძლება, რამდენიმე კვირა დასჭირდეთ თავიანთი კვალიფიკაციისა და გემოვნებისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილის საპოვნელად. მაგრამ თუ უმუშევრობა გრძელვადიანი პერიოდის პრობლემაა, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს სერიოზული პრობლემაა. რაც უფრო დიდხანს რჩება უმუშევარი სამუშაო ადგილის გარეშე, მით უფრო დიდ ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ სიძნელებებს განიცდის.

რადგან უმუშევრობის ხანგრძლივობას შეუძლია გავლენა მოახდინოს უმუშევრობის პრობლემატურობასთან დაკავშირებულ შესვლურებებზე, ამიტომ ეკონომისტებმა დიდი დრო და ენერჯია შეაღიეს უმუშევრობის ხანგრძლივობის მონაცემების შესწავლას. მათ აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი და, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი შედეგი: უმუშევრობის შემთხვევათა უმრავლესობა ხანმოკლეა, ხოლო უმუშევრობის იმ შემთხვევათა უმრავლესობა, რომლებიც დროის თითოეულ მოცემულ მომენტში გვაქვს, ხანგრძლივია.

ამ განცხადების წესმარიტებაში დასაზრმუნებლად ერთი მაგალითი განვიხილოთ.

PHOTO: © NBC TV/THE KOBAL COLLECTION

ნომიკის ადამიანური რესურსებისათვის მნიშვნელოვანი დანაკლისია.

1980-იანი წლებიდან მოყოლებული ამგვარი უმუშევრობის საყოველთაოდ აღიარებული მიზეზი ის იყო, რომ დაბალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა შემცირდა, რამაც მათი ხელფასის კლება გამოიწვია. ამ კატეგორიის ადამიანთა გამომუშავებაზე პროფკავშირების შემცირებამ და მინიმალური ხელფასის რეალური ღირებულების დაცემამაც მოახდინა გავლენა. ამის გამო კი ბევრმა მამაკაცმა უბრალოდ შრომის ბაზრის დატოვება გადაწყვიტა.

როგორ გააყვათ ამ მამაკაცებს დრო და როგორ ცხოვრობენ?

სტიუარტის ანალი მოხსენება ყოვლის-მომცველ პასუხს გვთავაზობს. გამოკვლევა „რით არიან დაკავებული უმუშევარი მამაკაცები“ ეყრდნობა ინფორმაციას, რომელიც მიღებულია ეროვნულ მონაცემთა ბაზებიდან და ეხება უმუშევარი მამაკაცების დროის განაწილებას, ცხოვრების წესსა და შემოსავლის წყაროებს სამუშაო ასაკში.

ორიოდე სიტყვით რომ ვთქვათ, უმუშევარი მამაკაცის დღე ძალიან ჰგავს დასაქმებულის უქმე დღეს. ისინი დღეში 8,4 საათს უთმობენ დასვენებასა და რეკრეაციას, ხოლო 3,3 საათს – საშინაო საქმეებს. ფაქტობრივად იგივეა დასაქმებულთა უქმე დღეც, შესაბამისად 8 და

3,4 საათი.

სამუშაო დღეებში, სრულ განაკვეთზე მომუშავე პირი მხოლოდ 3,5 საათს უთმობს რეკრეაციას და 1 საათს – სახლის სამუშაოებს. როდესაც ვასიან სამუშაოს ასრულებდნენ, კაცები დღეში სამუშაოდ 8,6 საათს მუშაობდნენ.

მომუშავეთა და უმუშევართა სრული კვირის შედარება გვიჩვენებს, რომ უმუშევრები თითქმის მეოთხედით მეტს დროს ხარჯავენ საშინაო საქმეებზე, რაც მოიცავს სახლის ყოველდღიურ საქმეებს, დასუფთავებასა და რემონტს. მათი დროის საკმაო ნაწილი დასვენებასა და რეკრეაციას ეთმობა, განსაკუთრებით ტელევიზორის ყურებას, ურთიერთობას, სპორტსა და თამაშებს. უმუშევრებს 10%-ით მეტხანს სძინავთ (სამუშაოდ ღამეში 44 წუთით მეტი). ორივე ჯგუფი შედარებით მცირე დროს უთმობს ბავშვების აღზრდას.

მათგან განსხვავებით, უმუშევარი ქალი დროის ნახევარზე მეტს სახლის საქმეებსა და ბავშვებზე ზრუნვას უთმობს.

„კრამერის ცხოვრების სტილის“ დაცვა საკმაოდ ძნელი საქმეა. მით უმეტეს, თუკი თქვენი მეზობლები ჯერი სეინფილდზე ნაკლებად დიდსულოვნები არიან. 25-54 წლის ასაკის მამაკაცთა დაახლოებით 2/3-ს 2002 წელს გარკვეული შემოსავლები ჰქონდა – სამუშაოდ

\$11,551-ის ოდენობით. ამ შემოსავლებში უმეტესი წილი სოციალური დაზღვევისა და ინვალიდობის გადახდებზე მოდის.

გასაკვირი არ არის, რომ უმუშევართა ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად მათი ცოლების შემოსავლები განსაზღვრავს. თუმცა აღსანიშნავია, რომ 25-54 წლის ასაკის დაუსაქმებელთა მხოლოდ 42%-ია დაოჯახებული, განსხვავებით დასაქმებულებისაგან, რომელთათვისაც ეს მაჩვენებელი 68%-ია. დაუსაქმებელთა 29% მშობლებთან ან სხვა ნათესავებთან ერთად ცხოვრობს, რაც გაცილებით ალემატება დასაქმებულთა იმავე მაჩვენებელს, რომელიც მხოლოდ 9%-ს შეადგენს.

დაუსაქმებელ ზრდასრულ მამაკაცთა გამოცდილება მეტად მრავალფეროვანია; მათ შორის ბევრია ინვალიდიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტატისტიკა ისეთ ნარმოდგენას გვიქმნის, თითქოს ეს კატეგორია ფინანსურად ძალზე გაჭირვებულია; უნდა ითქვას, რომ მრავალი მათგანი მაინც ისე ცხოვრებას ახერხებს, თითქოს ყოველი დღე კვირა იყოს. როგორც ერთმა ბრუკლინელმა უმუშევარმა მითხრა, რომელიც 1998 წლიდან უმუშევარია, მისთვის მანჰეტენის ცენტრში მდებარე ტოტალიზატორი, ფაქტობრივად, „კლუბია“, სადაც ყოველდღიურად ხედავს თავის მსგავს მამაკაცებს.

წყარო: „ნიუ-იორკ ტაიმსი“, 2004 წ. 29 აპრილი.

დავუშვათ, ერთი წლის განმავლობაში კვირაში ერთხელ მიდიოდით უმუშევრობის სამთავრობო ოფისში, რათა საკუთარი უმუშევრობის შესახებ მოგეხსენებინათ. ყოველი ასეთი ვიზიტის დროს ოთხ სხვა უმუშევარს ხვდებოდით. სამი მათგანი მთელი წლის განმავლობაში არ იცვლებოდა, მეოთხე კი ყოველ კვირას იცვლებოდა. ამ მაგალითის მიხედვით, მოკლევადიან მოვლენად ჩათვლიდით უმუშევრობას თუ გრძელვადიანად?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში მარტივი ალგებრა დაგვეხმარება. ამ მაგალითში სულ 55 უმუშევარს ხვდებით; მათგან 52 უმუშევარია თითო კვირით, 3 კი უმუშევარია მთელი წლით. ამგვარად, უმუშევრობის შემთხვევათა 52/55, ანუ 95 პროცენტი, ერთ კვირაში სრულდება. ესე იგი, უმუშევრობის შემთხვევათა უმრავლესობა ხანმოკლეა. მაგრამ, მოდი, უმუშევრობის საერთო ხანგრძლივობა განვიხილოთ. 3 ადამიანის ერთწლიანი (52-კვირიანი) უმუშევრობა ჯამში უმუშევრობის 156 კვირას შეადგენს. თუ ამას 52 ადამიანის ერთკვირიანი უმუშევრობასაც დავუმატებთ, უმუშევრობის 208 კვირას მივიღებთ. ამ მაგალითში უმუშევრობის 156/208, ანუ 75 პროცენტი, იმ ინდივიდებისაა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში უმუშევარნი იყვნენ. ამგვარად, დროის თითოეულ მომენტში არსებული უმუშევრობა გრძელვადიანია.

ამ დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ ეკონომისტები და პოლიტიკოსები ფრთხილად უნდა იყვნენ, როდესაც უმუშევრობის მონაცემების ინტერპრეტირებას ახდენენ ან ახალ პოლიტიკას ქმნიან უმუშევართა დასახმარებლად. იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც სამუ-

შაოს კარგავს, მალე ახალს იპოვის. მაგრამ ეკონომიკაში არსებული უმუშევრობის პრობლემები იმ მცირერიცხოვანი მშრომელებისგან მომდინარეობს, რომლებიც ხანგრძლივად დროის განმავლობაში ვერ ახერხებენ სამუშაოს მოძებნას.

### რატომ ხდება, რომ მუდამ ვიღაც არის უმუშევარი?

ჩვენ განვიხილეთ, როგორ ზომავს სახელმწიფო უმუშევართა რაოდენობას, როგორ აანალიზებს იმ პრობლემებს, რომლებიც საამქარაოზე უმუშევრობის სტატისტიკას გამოაქვს, როგორ ითვალისწინებს შრომის ეკონომისტების დასკვნებს უმუშევრობის ხანგრძლივობა შესახებ. ასე რომ, უკვე კარგად უნდა გესმოდეთ, რა არის უმუშევრობა.

თუმცა ამ მსჯელობის დროს არ აგვიხსნიდა, რატომ არსებობს უმუშევრობა. ნებისმიერ ეკონომიკაში ამა თუ იმ ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების რაოდენობას უმეტესწილად ფასები აბალანსებს. შრომის იდეალურ ბაზარზეც სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების რაოდენობას ხელფასი უნდა აბალანსებდეს, რაც, თავის მხრივ, ამ ხელფასის პირობებში ყველა შრომისუნარიანი ადამიანის დასაქმებას უნდა უზრუნველყოფდეს.

რეალობა კი სხვაგვარია. ყოველთვის არსებობენ უმუშევრები, მაშინაც კი, როცა ეკონომიკა აღმავლობას განიცდის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმუშევრობა ნულამდე არ სოდებს ეცემა, არამედ უმუშევრობის ბუნებრივი დონის ირგვლივ მერყეობს. ამ თავში ჩვენ შევეცდებით, გავიგოთ, რა არის უმუშევრობის ბუნებრივი დონე და ვილაპარაკებთ იმაზე რატომ არ არის რეალური შრომის ბაზარი იდეალური.

თუ დასკვნებს წინასწარ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობის არსებობის ახსნა 4 გზით შეიძლება. პირველი ისაა, რომ ხშირად ადამიანები შესაფერისი ან სასურველი სამუშაოს საპოვნელად დრო სჭირდებათ. ამ პირობებში წარმოქმნილი უმუშევრობა ფრიტციული უმუშევრობის სახელით არის ცნობილი და ის ხშირად შედარებით მოკლევადიანი უმუშევრობის ასახსნელად გამოიყენება.

შემდეგი სამი ახსნა იმაზე მიუთითებს, რომ სამუშაო ძალის ზოგიერთ ბაზარზე არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა საკმარისი არ არის სამუშაოს ყველა მსურველი დასაქმაცილოდ. ეს მაშინ ხდება, როცა შრომის მიწოდება ნაკლებია, ვიდრე შრომაზე მოთხოვნა. ამგვარ უმუშევრობას სტრუქტურული უმუშევრობა ჰქვია და ის ხშირად გამოიყენება გრძელვადიანი დაუსაქმებლობის ასახსნელად. როგორც ვნახავთ, ასეთი უმუშევრობა მაშინ ჩნდება, როცა ხელფასი მოთხოვნა-მიწოდების წონასწორულ წერტილზე უფრო მაღალია. ამ თავში იმ სამ მიზეზსაც განვიხილავთ, რომელთა გამოც ხელფასს შეიძლება წონასწორულზე მაღალი იყოს. ესენია მინიმალური ხელფასის კანონები, პროფკავშირები და ეფექტიანი ხელფასები.

### სწრაფი

**გამოკითხვა:** როგორ განისაზღვრება უმუშევრობის დონე? როგორ შეიძლება უმუშევრობის დონემ ხელოვნურად გაზარდოს ან შეამციროს დაუსაქმებელთა რიცხვი?

#### ფრიტციული უმუშევრობა

უმუშევრობა, რომელიც წარმოიქმნება იმის გამო, რომ ადამიანები ისეთ სამუშაოს ეძებენ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ უნარსა და გამოცდილებას.

#### სტრუქტურული უმუშევრობა

უმუშევრობა, რომელსაც ზოგიერთ ბაზარზე წარმოშობს სამუშაო ადგილების სიმცირე სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობასთან შედარებით.

## სამუშაოს ძებნა

სამუშაოს ძებნა პროცესი, რომლის მეშვეობითაც მშრომელები თავიანთი გამოცდილებისა და უნარის შესაბამის სამუშაოს პოულობენ.

უმუშევრობის არსებობის ერთ-ერთი მიზეზია სამუშაოს ძებნა, როდესაც ადამიანები თავიანთი უნარისა და გამოცდილების შესაფერის სამუშაოს ეძებენ. ყველა ადამიანი და ყველა სამუშაო რომ ერთნაირი იყოს, სამუშაო ძალაც ერთნაირად დაოსტატებული იქნებოდა და სამუშაოს ძებნა აღარავის დასჭირდებოდა. სამუშაოდან დათხოვნილი ადამიანები სწრაფადვე იპოვნიდნენ ახალ სამუშაოს. სინამდვილეში სამუშაო ძალის მონაწილენი ერთმანეთისაგან გამოვლენიან და უნარებით განსხვავდებიან, სამუშაოები კი - მახასიათებლებით. სამუშაოს მაძიებელთა და სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაცია კი ეკონომიკაში ფუნქციონირებად უამრავ ფორმასა და საოჯახო მეურნეობას შორის ნელა ვრცელდება.

## რატომ არის გარდაუვალი ფრიქციული უმუშევრობა

ფრიქციული უმუშევრობა ხშირად ფირმებს შორის სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილების შედეგია. როდესაც მომხმარებელი „დელისა“ და „გეიტუეის“ კომპიუტერებს შორის არჩევანს პირველზე აჩერებს, ეს უკანასკნელი ზრდის შრომაზე მოთხოვნას, „გეიტუეი“ კი ამცირებს. „გეიტუეის“ ყოფილმა თანამშრომლებმა ახალი სამუშაო უნდა ეძებონ, „დელმა“ კი უნდა გადაწყვიტოს, ვინ მიიღოს ახალ ვაკანსიებზე. სწორედ ამ გადანაცვლებების შედეგად ჩნდება უმუშევრობის პერიოდები.

ასევე, იმის გამო, რომ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონები სხვადასხვა პროდუქციას აწარმოებენ, უმუშევრობა ერთ რეგიონში შეიძლება გაიზარდოს, მეორეში კი შემცირდეს. მაგალითად, რა მოხდება, თუ მსოფლიოში ნავთობის ფასები დაეცემა? ტეხასის ნავთობკომპანიები ფასების შემცირებას წარმოებისა და სამუშაო ადგილების შეკვეცით უპასუხებენ და ტეხასში უმუშევრობა მოიმატებს. სამაგიეროდ ბენზინის გაიაფება ავტომობილებზე მოთხოვნას წაახალისებს და მიჩიგანის ავტომწარმოებელი კომპანიები, პირიქით, წარმოებას და სამუშაო ადგილების რაოდენობას გაზრდიან. მრეწველობის დარგებს ან სამრეწველო რეგიონებს შორის მოთხოვნის ცვლილებებს *სექტორული გადაადგილებები ეწოდება*. იმ დროის გამო, რომელიც სამუშაო ძალის მონაწილეებს ახალ სექტორში სამუშაოს მოსაძებნად სჭირდებათ, სექტორული გადაადგილებები დროებით უმუშევრობას იწვევს.

ფრიქციული უმუშევრობა უბრალოდ გარდაუვალია, რადგან ეკონომიკა მუდამ იცვლება. საუკუნის წინ დასაქმების მხრივ აშშ-ს ოთხი უდიდესი სამრეწველო დარგი იყო ბამბის, მატყლის, მამაკაცის ტანსაცმლის წარმოება და ხე-ტყის მრეწველობა. დღეს ოთხი მთავარი დამსაქმებელი საავტომობილო მრეწველობა, ავიაცია, კომუნიკაციები და ელექტრონიკა. მომხდარი გადაადგილების შედეგად ზოგი ფირმის სამუშაო ადგილები გაუქმდა, ზოგისა კი შეიქმნა. საბოლოოდ კი მწარმოებლურობის უფრო მაღალი დონე და ცხოვრების გაცილებით მაღალი სტანდარტები მივიღეთ. თუმცა ამ პერიოდში შემცირებულ დარგებში მომუშავე ადამიანებს ახალი სამუშაოს ძიება მოუხდათ.

მონაცემები გვიჩვენებს, რომ ყოველ წელს აშშ-ს წარმოებაში არსებული სამუშაო ადგილების სულ მცირე 10% მაინც უქმდება. ამასთან, ყოველ თვეში სამუშაოს მუშაკთა საშუალოდ 3% ტოვებს. ზოგი იმიტომ, რომ მიაჩნია, რომ სამუშაო მის კვალიფიკაციას და ინტერესებს არ შეესაბამება; ზოგი კი (განსაკუთრებით ახალგაზრდები) იმიტომ, რომ ახალ, უფრო მაღალანაზღაურებად სამუშაოს პოულობს. დინამიკურ და გამართულად მომუშავე საბაზრო ეკონომიკაში სამუშაო ძალის ამგვარი მოძრაობა სავსებით ნორმალური მოვლენაა, თუმცა მას შედეგად ფრიქციული უმუშევრობა მოჰყვება.

## საზოგადოებრივი პოლიტიკა და საშუალო კეზნა

მართალია, გარკვეული ფრიქციული უმუშევრობა გარდაუვალია, მაგრამ მისი ზუსტი მასშტაბის განსაზღვრა ძნელია. რაც უფრო სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია ვაკანსიებისა და სამუშაოს მაძიებელთა შესახებ, მით უფრო სწრაფად შეუძლია ეკონომიკას ფირმებისა და პოტენციური თანამშრომლების დაკავშირება. ინტერნეტი, მაგალითად, აადვილებს სამუშაოს ძებნას და, შესაბამისად, ამცირებს ფრიქციულ უმუშევრობას. მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოებრივ პოლიტიკასაც. თუ ის სამსახურის პოვნისათვის საჭირო დროს ამცირებს, ეკონომიკის უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირებაც შეუძლია.

სახელმწიფო ცდილობს, თავისი პროგრამების მეშვეობით უფრო ადვილი გახადოს სამსახურის პოვნა. ერთ-ერთი გზაა სახელმწიფო დასაქმების სააგენტოების ხელშეწყობა, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ. მეორე გზა არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სასწავლო პროგრამები, რომელთა მიზანია ადამიანების ზრდად დარგებში სამუშაოდ მომზადება და შეჭირვებული ჯგუფების სილატაკისაგან დაცვა. ამ პროგრამების მომხრეები თვლიან, რომ სამუშაო ძალის სრული დასაქმებისა და საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი უთანაბრობის შემცირებისაკენ სწრაფვით ეკონომიკის ეფექტიანობა იზრდება.

ამ პროგრამების მოწინააღმდეგეები კი არ არიან დარწმუნებული, რამდენად უპრობანია სახელმწიფოს ჩარევა სამუშაოს ძებნის პროცესში. ისინი ამბობენ, რომ უმჯობესია, ეს

# ახალი აპებუიდან

## უმუშევრობა გერმანიაში



ევროპის ქვეყნებში ტრადიციულად უმუშევრობის დაზღვევა ბევრად უფრო გულუხვი იყო, ვიდრე აშშ-ში, თუმცა ზოგი მათგანი უკვე იწყებს ამ პოლიტიკის გადახედვას.

### გერმანია ცდილობს, კათილდლეოგის სახელმწიფო ღრმა კრიზისიდან გამოიყვანოს ქრისტოფერ როუდსი

გერმანია, ესენი. რენატე ფრანკე ოთხი წლის წინ გერმანიის სოციალური დაცვის სისტემაში გადაარჩინა.

მას შემდეგ, რაც დედამისი კიბოთი გარდაიცვალა, ექიმებმა შეილსაც იგივე დიაგნოზი დაუსვეს. სულეირად დატყულებმა 48 წლის რენატემ ელექტრონულ კომპანიაში სამსახურს თავი დაანება. თუმცა მას გვერდში სახელმწიფო ამოუდგა. რენატე სამი კვირით დასასვენებლად გაგზავნეს და უმუშევრობის დახმარებაც დაუნიშნეს, რომელიც მისი ყოფილი ხელფასის თითქმის 60%-ს შეადგენდა.

მაგრამ გასულ წელს სახელმწიფო გამკაცრდა ქალბატონ ფრანკეს მიმართ. მისი დახმარება შემცირდა მას შემდეგ, რაც რენატემ უარი თქვა სრულგანაკვეთიან სამუშაოზე. მას აცნობეს, რომ მომავალში დახმარების მისაღებად თავისი მანქანა უნდა გაეყიდა. და ერთ დილას სამრეწველო ქალაქის გარეუბანში მდებარე თავის პატარა ბინაში მყოფი რენატე

საკუთარ მომავალზე დაფიქრდა: „მომავლის შემეშინდა“, - თქვა მან.

ასეთივე მდგომარეობაშია გერმანიაც. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველაზე დიდი ეკონომიკური პრობლემების წინაშე მდგარი ქვეყანა ისტორიულად ტაბუდადებული საკითხების გადახედვას იწყებს. რეალობა მკაცრია: ქვეყნის ეკონომიკური სისტემა აღარ მუშაობს. მსოფლიოს მესამე უდიდესი ეკონომიკა, აშშ-სა და იაპონიის შემდეგ, უკანასკნელ სამ წელიწადში მეორე რეცესიას განიცდის. გერმანია მსოფლიოს მთავარ ქვეყნებს შორის ეკონომიკურად უსუსტესი ხდება. უმუშევრობამ თითქმის 11%-ს მიაღწია.

მკაცრმა პირობებმა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის ყოველმხრივი გადახედვა მოითხოვა. მართალია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიას სამხედრო და მორალური მარცხის კატასტროფულ შედეგებთან შერიგება მოუხდა, მაგრამ ეკონომიკურმა სიძლიერემ და სოციალური კეთილდღეობის მძლავრი სისტემის ჩამოყალიბებამ ქვეყანას სიამაყის საფუძველი შეუქმნა.

ახლა კი რეცესიაში მყოფ ქვეყანას

ძველი მოდელით ცხოვრება აღარ შეუძლებელია - სოციალური ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ს მიუახლოვდა. მაჩვენებელი, შევდეთის გარდა, ყველს სხვა ქვეყნისაზე მეტია, ხოლო აშშ-ს იმავე მაჩვენებელს ორჯერ და მეტად აღემატება. უკანასკნელი რამდენიმე თვის მანძილზე ბერლინის მემარცხენე ცენტრის ტული მთავრობა უმუშევრობის დახმარებების შემცირების, საზოგადოებრივ ჯანდაცვის სისტემაში კერძო კომპანიების ჩართვის, სუბსიდიების ასეულობით მილიონი დოლარით შეკვეცისა და მომუშავეთა დათხოვნისაგან დამცველ კანონების გადახედვის ინიციატივით გამოვიდა. გასულ თვეში მთავრობამ წარმოადგინა გადასახადების შეკვეცის გეგმაც. ზოგმა მინისტრმა 30-დღიანი შევბულების შემცირებაც კი მოითხოვა გავიხსენოთ: აშშ, სადაც შევბულება 12-დღიანია.

შობადობის შემცირებამ, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ, საპენსიო ასაკის დაწევამ, სამუშაო დროის შემცირებამ და უმუშევრობის სტაბილურად მაღალმა დონემ ეკონომიკური სისტემა დაასუსტა.

საკითხი კერძო ბაზარმა დაარეგულიროს. ფაქტია, რომ სამუშაოს ძებნა ჩვენს ეკონომიკაში უმეტესად სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ხორციელდება. ინფორმაცია ვაკანსიებისა და პოტენციური კანდიდატების შესახებ საგაზეთო განცხადებებით, ინტერნეტ-გვერდებით და სიტყვიერად ვრცელდება. სამუშაო ძალის უმრავლესობა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ განათლებასაც სწორედ კერძო სექტორში იღებს. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ვერ გააუმჯობესებს, და შეიძლება გააუარესოს კიდევ ინფორმაციის გავრცელება იმის თაობაზე, რომელი ვაკანსია რომელ პოტენციურ მომუშავემდე უნდა მივიდეს და როგორი სწავლება სჭირდება კონკრეტულ სამუშაოს მძიებელს ყველაზე მეტად. კრიტიკოსები ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილებები, უმჯობესია, თავად დამქირავებლებმა და სამუშაოს მძიებლებმა მიიღონ.

### უმუშევრობის დაზღვევა

სახელმწიფო პროგრამებიდან ერთ-ერთი, რომელიც თავისდაუნებურად ზრდის ფრიქტიულ უმუშევრობას, უმუშევრობის დაზღვევა გახლავთ. ეს პროგრამა იმისთვის შეიქმნა, რომ ნაწილობრივ მაინც დაიცვას ადამიანები, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს. ამ დაკარგვამ

უმუშევრობის დაზღვევა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ნაწილობრივ ავსებს მშრომელთა შემოსავლებს, როდესაც ისინი უმუშევრად რჩებიან.

1970 წლიდან პენსიონერთა და უმუშევართა მთლიანი რაოდენობა 80%-ით გაიზარდა და დასავლეთ გერმანიაში 16,3 მილიონს მიაღწია, მაშინ, როდესაც მომუშავეთა და დამქირავებელთა რაოდენობამ, რომლებიც გადასახადების შემცობით აფინანსებენ ამ სისტემას, მხოლოდ 4%-ით მოიმატა და 30,7 მლნ-ს გაუტოლდა.

მეოცე საუკუნის ადრეულ წლებში სოციალურ საჭიროებათა დიდი ნაწილი, მაგალითად, ბავშვებზე და მოხუცებზე ზრუნვა, ევროპის ქვეყნებში ოჯახების კისერზე იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პასუხისმგებლობის უდიდესი ნაწილი სახელმწიფომ აიღო და სოციალური კეთილდღეობის სისტემაც უზომოდ გაფართოვდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა ევროპის ქვეყნების განუხრელი ეკონომიკური ზრდა, რომელიც წელიწადში 5%-ზე მეტი იყო. სამუშაო ადგილების სიუხვის გამო ქვეყნებმა დაიწყეს სამუშაო ძალის იმპორტი თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. შობადობამ იმატა, ახალგაზრდა სამუშაო ძალა კი შედარებით მცირერიცხოვან ასაკოვან მოსახლეობას აფინანსებდა.

ევროპას შეეძლო, გულუხვი ყოფილიყო. 1960-70-იან წლებში სახელმწიფოს სოციალური როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გასცდა ყველა მოქალაქისათვის ჯანდაცვის, უმაღლესი განათლების, ბავშვებსა და მოხუცებზე ზრუნვის უზრუნველყოფას. გადანაწილების ინსტირუქენ-

ტები საშუალო კლასმა მიიტაცა, - ამბობს დენის სნოუერი, ლონდონის უნივერსიტეტის ბრიტეიქის კოლეჯის საერთაშორისო ეკონომიკის პროფესორი. ეს ნიშნავდა, რომ მოვლენათა შემობრუნება სულ უფრო გართულდებოდა, რადგან შეღავათების სისტემით სულ უფრო მეტი ამომრჩეველი და მოქალაქე სარგებლობდა.

თუ 1960-იანი წლების დასაწყისში ევროპის ქვეყნების სოციალური ხარჯები ამერიკულზე მხოლოდ ოდნავ მაღალი იყო, 1990 წელს ეს განსხვავება უკვე ორჯერ გაიზარდა. „ამერიკელები არ არიან განსაკუთრებით დამოკიდებული სოციალურ დაზღვევაზე, რადგან ფიქრობენ, რომ თავდაუზოგავი მუშაობით გამდიდრდებიან და აღარ შეაწუხებთ ჯანდაცვის ხარჯების სიმძიმე“, - ამბობს რობერტ მაკკულოხი, პრინსტონის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი. ევროპელებს კი გამდიდრების იმედი ნაკლებად აქვთ, რაც ზრდის სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მიღების სურვილს, - დასძენს მაკკულოხი. როგორც კვლევები გვიჩვენებს, ევროპელები შემოსავლის თანასწორობასაც ამერიკელებზე მეტად აფასებენ.

სახელმწიფო კეთილდღეობის მკვეთრმა ზრდამ მოსალოდნელის საწინააღმდეგოდ შედეგი მოგვცა: წარმოიშვა არაინტეგრირებული საზოგადოება, რომელშიც სულ უფრო იზრდებოდა დიდი ხნის განმავლობაში უმუშევარი კლასი. გერმანიის

4,5 მილიონი უმუშევრის ნახევარზე მეტი სამუშაოს გარეშე წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობს, რაც ართულებს მათ შემდგომ დასაქმებას და ზრდის სახელმწიფოზე მათ დამოკიდებულებას. ანალოგიური მაჩვენებელი აშშ-ში მხოლოდ 6%-ია.

სახელმწიფო აღარ ზრუნავს იმაზე, რომ ის, ვინც სამსახური ბოლო დროს დაკარგა, მუდმივ უმუშევრად არ გადაიქცეს. მიმდინარე წლიდან მოყოლებული, დაუოჯახებელმა უმუშევარმა ან ქვეყანაში ნებისმიერ ადგილას უნდა იპოვოს სამუშაო, ან დახმარებას გამოეთხოვოს. სხვა ზომებიდან აღსანიშნავია დახმარებების შეკვეცა იმ უმუშევრისათვის, ვინც უარს იტყვის შეთავაზებულ სამსახურზე ან დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში რეგისტრაციაზე.

ელექტრონული კომპანიის ყოფილ თანამშრომელზე, ქალბატონ ფრანკზე, სახელმწიფოს გამკაცრებამ ნამდვილად იმოქმედა. მან, როგორც ხდება ხოლმე, რამდენიმე ნახევარგანაკვეთიან სამუშაოზე მდივნად იმუშავა, რომ დახმარების თანხები ოდნავ გაეზარდა. თუმცა სახელმწიფო დახმარების შემცირებასთან ერთად უკანასკნელ თვეებში მან აქტიურად დაიწყო სრულგანაკვეთიანი სამუშაოს ძებნა და მისში ერთ-ერთ ახლომდებარე ელექტრონულ კომპანიაში ბუღალტრის თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა.

წყარო: „უოლ სტრიტ ჯორნელი“, 2003 წ. 10 ივლისი

არ იგულისხმება სამუშაოდან საკუთარი ნებით წასვლა, რაღაც მიზეზის გამო დათხოვნა ან უბრალოდ სამუშაო ძალაში გადასვლა. სოციალური დაცვის ამ ფორმას მხოლოდ ისინი ექვემდებარებიან, ვინც სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ გათავისუფლდა, რომ დამქირავებელს მათი შრომა აღარ სჭირდებოდა. პროგრამის მუშაობის პირობები დროთა განმავლობაში და შტატების მიხედვით იცვლება, მაგრამ ტიპური ამერიკელი, რომელსაც ეს დაზღვევა ეხება, 26 კვირის განმავლობაში ყოფილი ხელფასის 50%-ს მიიღებს.

უმუშევრობის დაზღვევა ამცირებს უმუშევრობის სიმძიმეს, მაგრამ ამავე დროს ზრდის უმუშევრობის დონეს. ეს მოვლენა იხსნება ეკონომიკის ერთ-ერთი პრინციპით: ადამიანები სტიმულზე რეაგირებენ. იმის გამო, რომ ახალი სამსახურის დაწყების შემდეგ წყდება უმუშევრობის დაზღვევით სარგებლობა, ადამიანები ნაკლებად ინტენსიურად ეძებენ სამუშაოს და ხშირად ამბობენ უარს ნაკლებად მიზიდველ წინადადებებზე. ამასთან ერთად, იმის გამო, რომ დაზღვევა უმუშევრობით გამოწვეულ უსიამოვნებას ამცირებს, ადამიანები დამქირავებლებთან მოლაპარაკების დროს სამსახურით უზრუნველყოფის გარანტიებზე ლაპარაკს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

შრომის ეკონომისტებმა შეისწავლეს უმუშევრობის დაზღვევის გავლენა ადამიანთა სტიმულზე. ერთ-ერთი ასეთი კვლევა 1985 წელს ილინოისის შტატში ჩატარდა. შემთხვევითი წესით შეარჩიეს უმუშევრების ორი ჯგუფი, რომელთაც უმუშევრობის დაზღვევა





ერგებოდათ. ერთი ჯგუფის თითოეულ წევრს 11 კვირის განმავლობაში სამსახურის პოვნის შემთხვევაში \$500-იან პრიზს სთავაზობდნენ, მეორე ჯგუფს — არა. შედარების შედეგებზე აჩვენა, რომ პირველ ჯგუფში უმუშევრობა 7%-ით შემცირდა, ვიდრე მეორეში. ეს ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რა გავლენას ახდენს უმუშევრობის დაზღვევა სამსახურის ძებნის მცდელობაზე.

სხვა კვლევებით მეცნიერები უმუშევრობის დაზღვევის მქონე პირთა ქცევას უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკვირდებოდნენ. როგორც ცნობილია, უმუშევრობის დაზღვევის თანხა მფლობელს მხოლოდ 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდში უზრუნველყოფს კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ უმუშევართა მიერ სამსახურის პოვნის სიხშირე საგრძნობლად მატულობს. ამრიგად, უმუშევრობის დაზღვევა ამცირებს სამსახურის ძებნის ძალისხმევას.

ის, რომ უმუშევრობის დაზღვევა ამცირებს სამუშაოს ძიების ძალისხმევას და ზრდის უმუშევრობას, არ ნიშნავს, რომ ეს პოლიტიკა ცუდია. პროგრამის მიზანი ისაა, რომ უმუშევრად დარჩენილ ადამიანს თავიდან ააცილოს შემოსავალთან დაკავშირებული მოულოდნელობები. გარდა ამისა, ეს პროგრამა საშუალებას აძლევს ადამიანებს, უფრო სასურველი და შესაფერისი სამუშაო იპოვონ. ზოგი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ უმუშევრობის დაზღვევა ადამიანებს საუკეთესო სამუშაოს მოძებნის საშუალებას აძლევს.

უმუშევრობის დაზღვევის კვლევები გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის დონის ზუსტი მაჩვენებელი არ არის. მართალია, ეკონომისტთა უმეტესობა თვლის, რომ დაზღვევის გაუქმება უმუშევრობას შეამცირებდა, მაგრამ პოლიტიკის ამგვარი ცვლილება გაზრდის თუ შეამცირებს ქვეყნის კეთილდღეობას, ეს ჯერჯერობით დავის საგანია.

## სწრაფი

**გამოკითხვა:** რა გავლენას მოახდენს მსოფლიოში ნავთობის ფასის ზრდა ფრიქციული უმუშევრობის დონეზე? არის თუ არა ამგვარი უმუშევრობა არასასურველი? ფასის ამ ცვლილებით გამოწვეულ უმუშევრობის დონეზე რომელი საზოგადოებრივი პოლიტიკით შეიძლება ზემოქმედება?

## მინიმალური ხელფასის კანონები

იმის გაანალიზების შემდეგ, თუ როგორ ხდება ფრიქციული უმუშევრობის წარმოშობა სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილების შეხამების პროცესში, ვნახოთ, როგორ ხდება სტრუქტურული უმუშევრობის ჩამოყალიბება მაშინ, როდესაც სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა აჭარბებს სამუშაო ადგილების რაოდენობას.

იმისათვის, რომ კარგად გავეგოთ სტრუქტურული უმუშევრობა, განვიხილოთ, როგორ იზრდება უმუშევრობა მინიმალური ხელფასის კანონების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური ხელფასის კანონები ეკონომიკაში უმუშევრობის ძირითადი მიზეზი არ არის, ისინი მაინც დიდ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებზე, რომელთა წევრებს შორის უმუშევრობა განსაკუთრებით დიდია. უფრო მეტიც, ჩვენი მსჯელობის დაწყება მინიმალური ხელფასის კანონების ანალიზით ბუნებრივია, რადგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ანალიზი შეიძლება უმუშევრობის უფრო მნიშვნელოვანი მიზეზების გასაგებადაც გამოვიყენოთ.

მე-4 ნახაზზე ნაჩვენებია ეკონომიკური სიტუაცია მინიმალური ხელფასის არსებობის დროს. როდესაც მინიმალური ხელფასის კანონის შედეგად ხელფასი მინოდებისა და მოთხოვნის გამანონასწორებელ ხელფასზე მეტია, შრომის მინოდების რაოდენობა იზრდება, ხოლო შრომაზე მოთხოვნის რაოდენობა მცირდება წონასწორულ დონესთან შედარებით. ჩნდება შრომის სიჭარბე. ვინაიდან მშრომელების რაოდენობა სამუშაო ადგილების რაოდენობაზე მეტია, ზოგი მშრომელი უმუშევარი რჩება.

იმის გამო, რომ მინიმალური ხელფასის კანონები უმუშევრობის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია, ისინი ყველაზე არ ახდენს გავლენას. ეკონომიკის მშრომელთა უმრავლესობის ხელფასები ოფიციალურ მინიმუმს ბევრად აღემატება, ამდენად, ეს კანონები მათ ნაკლებ-

ბად ეხებათ მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების მცდელობის დროს. მინიმალური ხელფასის კანონები შემზღუდველია ძირითადად სამუშაო ძალის ყველაზე არაკვალიფიციური და გამოუცდელი წევრების, მაგალითად, მოზარდებისთვის. მათი წონასწორული ხელფასი დაბალია და ამდენად, უფრო მეტია იმის შანსი, რომ ის კანონიერ მინიმუმს ვერ მისწვდეს. მინიმალური ხელფასის კანონებით სწორედ უმუშევართა ამ ჯგუფის დაუსაქმებლობა აიხსნება.


მიუხედავად იმისა, რომ მე-4 ნახაზზე მინიმალური ხელფასის შედეგებია ნაჩვენები, ეს ნახაზი ერთი, უფრო ზოგადი, დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: როდესაც ხელფასი რაიმე მიზეზით ხელოვნურადაა შენარჩუნებული წონასწორული დონის ზემოთ, შედეგად უმუშევრობას ვიღებთ. მინიმალური ხელფასის კანონები მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ შეიძლება ხელფასები „ძალიან მაღალი“ იყოს. მომდევნო ორ ქვეთავში იმის კიდევ ორ მიზეზს განვიხილავთ, რატომ შეიძლება ხელფასები წონასწორულ დონეზე მაღლა იყოს შენარჩუნებული. ეს მიზეზებია პროფკავშირები და ვფექტიანი ხელფასები. ძირითადი ეკონომიკური სიტუაცია ამ შემთხვევებში ისეთივეა, როგორც მე-4 ნახაზზე, მაგრამ უმუშევრობის ასეთი ახსნა შეგვიძლია ეკონომიკის მშრომელთა უფრო მეტი რაოდენობისთვის გამოვიყენოთ.

აქ შეგვიძლია შევჩერდეთ და შევნიშნოთ, რომ სტრუქტურული უმუშევრობა, რომელიც ზემოთ მოცემული წონასწორული ხელფასიდან წარმოიქმნება, სრულიად განსხვავდება ფრიქციული უმუშევრობისაგან, რომელსაც სამუშაო ძიების პროცესი წარმოშობს. სამუშაოს ძიება არ ნიშნავს ხელფასებით მიწოდებისა და მოთხოვნის დაუბალანსებლობას. როდესაც უმუშევრობის მიზეზი სამუშაოს ძიებაა, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ადამიანები ისეთ სამსახურს ეძებენ, რომელიც მათ უნარსა და გემოვნებას ყველაზე უკეთ შეეფერება. საპირისპიროდ, როდესაც ხელფასი წონასწორულ დონეზე მაღლაა, მაშინ სამუშაო ძალის მიწოდების რაოდენობა მოთხოვნას აჭარბებს და პოტენციური მომუშავეები ახალი სამუშაო ადგილების მოლოდინში უმუშევრად რჩებიან.

**სწრაფი**

**ბაზრობის მინიმალური ხელფასი:** ააგეთ მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდები შრომის ბაზრისთვის, რომელზეც ხელფასი წონასწორული დონის ზემოთაა შენარჩუნებული. აჩვენეთ შრომის მიწოდების რაოდენობა, მოთხოვნის რაოდენობა და უმუშევრობის რაოდენობა.

**ნ ა ხ ა ზ ი 4**



**უმუშევრობა, რომელიც წონასწორულ დონეზე მაღალი ხელფასის შედეგია**  
 შრომის ამ ბაზარზე ხელფასი, რომელიც მიწოდებასა და მოთხოვნას აწონასწორებს, არის  $W_E$ . ამ წონასწორული ხელფასის დროს შრომის მიწოდების რაოდენობაცა და მოთხოვნის რაოდენობაც  $L_E$ -ს ტოლია. მაგრამ, როდესაც მინიმალური ხელფასის დანესების შედეგად ხელფასი წონასწორულ ხელფასზე მეტი ხდება, შრომის მიწოდების რაოდენობა  $L_S$ -მდე იზრდება, ხოლო შრომაზე მოთხოვნის რაოდენობა  $L_D$ -მდე მცირდება. შედეგად მიღებული შრომის სიჭარბე,  $L_S - L_D$ , უმუშევრობას ასახავს.

# პროფკავშირები და კოლექტიური მოლაპარაკება


პროფკავშირი მშრომელთა ასოციაცია, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს ხელფასისა და სამუშაო პირობების შესახებ.

პროფკავშირი მშრომელთა გაერთიანებაა, რომელიც ხელფასებისა და სამუშაო პირობებს შესახებ აწარმოებს მოლაპარაკებებს. დღეს ამერიკელ მშრომელთა მხოლოდ 16 პროცენტია პროფკავშირებში გაერთიანებული, წარსულში კი პროფკავშირები ბევრად უფრო დიდ როლს ასრულებდა შეერთებული შტატების ეკონომიკაში. 1940-იან და 1950-იან წლებში როდესაც პროფკავშირები თავისი ძლიერების მწვერვალზე იყო, ის შეერთებული შტატების სამუშაო ძალის დაახლოებით მესამედს აერთიანებდა. პროფკავშირები დღესაც დიდ როლს ასრულებს მრავალი ევროპული ქვეყნის ეკონომიკაში. მაგალითად, შვედეთსა და დანიას მშრომელთა სამ შეოთხედზე მეტი პროფკავშირის წევრია.

## პროფკავშირების ეკონომიკა

კოლექტიური მოლაპარაკება პროცესი, რომელშიც პროფკავშირები და ფირმები აღწევენ შეთანხმებას დასაქმების პირობებზე.

პროფკავშირი ერთგვარი კარტელია. როგორც ყველა კარტელი, პროფკავშირიც გამყიდველთა ჯგუფია, რომელიც საკუთარი საბაზრო ძალაუფლების გაფართოებას ცდილობს მშრომელთა უმრავლესობა ხელფასის, სარგებლობისა და სამუშაო პირობების შესახებ მოლაპარაკებას ინდივიდუალურად აწარმოებს დასაქმებულთან. ამ მშრომელებისგან განსხვავებით, პროფკავშირის წევრები გუნდურად მოქმედებენ. პროცესს, რომელშიც პროფკავშირები და ფირმები შეთანხმებას აღწევენ დასაქმების პირობებზე, კოლექტიური მოლაპარაკება ეწოდება.



# ინფორმაციისათვის

ვინ იღებს მინიმალურ ხელფასს?

2005 წელს შრომის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა კვლევის შედეგები იმის შესახებ, მომუშავეთა რომელმა კატეგორიამ მიიღო მინიმალურზე ნაკლები ხელფასი, რომელიც იმ დროისთვის საათში \$5,15-ს შეადგენდა (მინიმალურზე ნაკლებ ანაზღაურებას იმიტომ იღებენ, რომ ზოგი მოლაპარაკებით მუშაობს; მინიმალური ხელფასის კანონის ადმინისტრირება სრულყოფილად ვერ ხერხდება; ზოგი კი შემოსავლის დეკლარირების დროს საათობრივ ხელფასს \$5-მდე ამრგვალებს). ქვემოთ მოცემულია კვლევის შედეგები:

- საათობრივ ანაზღაურებაზე მომუშავე მამაკაცების 2% და ქალების 4% იტყობინება, რომ ფედერალურ მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს იღებს.
- მინიმალურ ხელფასზე მომუშავენი ძირითადად ახალგაზრდები არიან. \$5,15 ან უფრო ნაკლები ანაზღაურების მიმღებთა ნახევარი 25 წლამდე ასაკისაა, მეოთხედი - 16-19 წლის. მოზარდებს შორის \$5,15-ზე ნაკლებ ხელფასს 9% იღებს, 25 წლამდე ასაკის მომუშავეთა შორის კი - 2%.
- მინიმალურ ხელფასზე მომუშავეებს ნაკლები განათლება აქვთ მიღებული. საათში \$5,15-ის ან უფრო ნაკლების

- მიმღებთა შორის, რომლებიც 16 წლისანი და უფრო ახალგაზრდები არიან, მხოლოდ 2%-ს აქვს საშუალო განათლების ატესტატი. კოლეჯის ხარისხის მფლობელთა შორის ეს მაჩვენებელი 1%-ია.
- მინიმალურ ხელფასზე მომუშავეები ძირითადად არასრულ განაკვეთზე მუშაობენ. არასრულ განაკვეთზე (კვირაში 35 საათზე ნაკლები) მომუშავეთა შორის \$5,15 ან ნაკლები 7%-მა მიიღო, სრულ განაკვეთზე მომუშავეთაგან კი - 1%-მა.
- დარგი, სადაც ყველაზე მაღალი იყო საათში \$5,15 ან ნაკლებ ხელფასზე მომუშავეთა რაოდენობა, გახლავთ კერძო ტურიზმი (დაახლოებით 15%). მინიმალურ ან ნაკლებ ხელფასზე მომუშავეთა დაახლოებით სამი მეხუთედი სწორედ ამ დარგებში იყო დასაქმებული, უპირველესად, კვებისა და სასმელების გაყიდვის ადგილებში. მრავალი ამ მომუშავეისათვის საათობრივ ანაზღაურებას კლიენტების ნაჩუქარი ფულიც ემატება.
- მინიმალურ ან ნაკლებ ანაზღაურებაზე მომუშავეთა ხვედრითი წილი 1979 წლის შემდეგ შემცირდა, როდესაც მონაცემთა რეგულარული შეგროვება დაიწყო.

როდესაც პროფკავშირი ფირმასთან მოლაპარაკებას აწარმოებს, იმაზე უფრო მაღალ ხელფასებს, მეტ საპენსიო უზრუნველყოფასა და უკეთეს სამუშაო პირობებს ითხოვს, ვიდრე ფირმა თავის მშრომლებს პროფკავშირის არარსებობის შემთხვევაში შესთავაზებდა. თუ პროფკავშირი და ფირმა შეთანხმებას ვერ აღწევენ, პროფკავშირს შეუძლია ორგანიზება გაუწიოს ფირმიდან მშრომელთა გამოსვლას, ანუ გაფიცვას. ვინაიდან გაფიცვა წარმოებას, გაყიდვასა და მოგებას ამცირებს, გაფიცვის მუქარის წინაშე მდგარი ფირმა იძულებულია, იმაზე მაღალი ხელფასის გადახდაზე დათანხმდეს, რასაც სხვა შემთხვევაში გადაუხდიდა. ეკონომისტები, რომლებიც პროფკავშირების ეფექტებს შეისწავლიან, იმის მოწმენი ხდებიან, რომ პროფკავშირების წევრები, როგორც წესი, იმ მშრომლებზე 10-20 პროცენტით მეტს იღებენ, რომლებიც პროფკავშირებში არ არიან გაერთიანებული.

ბაჟიცვა  
ფირმის მუშაკთა  
ორგანიზებული  
პროტესტი.

როდესაც პროფკავშირი ხელფასს წონასწორულ დონეზე მაღლა სწევს, იზრდება შრომის მიწოდების რაოდენობა და მცირდება შრომაზე მოთხოვნის რაოდენობა, რასაც შედეგად უმუშევრობა მოჰყვება. ის მშრომლები, რომლებიც დასაქმებული დარჩნენ, უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ისინი, ვინც ხელფასის გაზრდის შედეგად სამუშაო ადგილი დაკარგა, უარეს მდგომარეობაში ვარდებიან. ამის გამო პროფკავშირებს ხშირად ასახელებენ მშრომელთა ორ ჯგუფს – ვინც სარგებლობას იღებს პროფკავშირების მიერ გაზრდილი ხელფასებიდან („შინაურები“) და ვინც ხელფასის გაზრდის შედეგად სამუშაო ადგილს კარგავს („გარეულები“) – შორის არსებული კონფლიქტის მიზეზად.

„გარეულები“ ორგვარად რეაგირებენ თავიანთ ახალ სტატუსზე. ზოგიერთი მათგანი უმუშევრად რჩება და ელოდება, როდის იშოვის სამუშაო ადგილს და პროფკავშირების მაღალ ხელფასს მიიღებს. სხვები კი მუშაობას იმ ფირმებში იწყებენ, სადაც პროფკავშირი არ არსებობს. ამიტომ, როდესაც პროფკავშირები ეკონომიკის ერთ დარგში ხელფასებს ზრდიან, სხვაგან შრომის მიწოდება იზრდება. შრომის მიწოდების ეს ზრდა კი, თავის მხრივ, იწვევს ხელფასების შემცირებას იმ დარგებში, რომლებშიც პროფკავშირული მოძრაობა არ არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროფკავშირების წევრი მშრომლები კოლექტიური მოლაპარაკების სარგებლობას იმკიან, ამის დანახარჯებს კი ის მშრომლები გაიღებენ, რომლებიც პროფკავშირულ მოძრაობაში არ არიან ჩართული.

ეკონომიკაში პროფკავშირების როლი ნაწილობრივ იმ კანონებზეა დამოკიდებული, რომლებიც პროფკავშირების ორგანიზებასა და კოლექტიურ მოლაპარაკებებს არეგულირებს. ჩვეულებრივ, ფართული მოლაპარაკება კარტელის წევრებს შორის აკრძალულია. თუ ფირმები, რომლებიც საერთო პროდუქციას ყიდიან, ამ პროდუქციაზე მაღალი ფასის დადების თაობაზე შეთანხმდებიან, ეს შეთანხმება იქნება „კონსპირაცია ვაჭრობის შეზღუდვის მიზნით“. მთავრობა ამ ფირმებს ანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევისთვის სამოქალაქო და კრიმინალური სასამართლოს მეშვეობით დასჯის. კარტელებისგან განსხვავებით, პროფკავშირების ფუნქციონირება ამ კანონებს არ ექვემდებარება. პოლიტიკოსები, რომლებიც ამ კანონებს ადგენდნენ, თვლიდნენ, რომ მშრომლებს მეტი საბაზრო ძალაუფლება სჭირდებოდათ დამსაქმებლებთან მოლაპარაკებების წარმოებისას. უფრო მეტიც, პროფკავშირების შექმნის ხელშეწყობის მიზნით მრავალი კანონია შექმნილი. კერძოდ, 1935 წლის ვაგნერის აქტი დამსაქმებლებს უკრძალავს მშრომელთა საქმეებში ჩარევას, როდესაც ეს მშრომლები პროფკავშირების შექმნას ცდილობენ, და დამსაქმებლებისგან პროფკავშირებთან კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების წარმოებას მოითხოვს. არსებობს სახელმწიფო სააგენტოც – შრომითი ურთიერთობების ეროვნული საბჭო, რომელიც პროფკავშირებში გაერთიანების უფლებას იცავს.

კანონები, რომლებიც პროფკავშირების საბაზრო ძალაუფლებაზე მოქმედებს, პოლიტიკური დებატების ხშირი თემაა. ზოგჯერ კანონმდებლები კამათობენ შრომის უფლების კანონის შესახებ, რომელიც ფირმის მშრომლებს უფლებას აძლევს, აირჩიონ, შეუერთდნენ თუ არა პროფკავშირებს. ასეთი კანონების არარსებობის დროს კოლექტიური მოლაპარაკების პროცესში პროფკავშირს შეუძლია მოითხოვოს, რომ პროფკავშირის წევრობა ფირმებში მუშაობის აუცილებელი პირობა იყოს. უკანასკნელ წლებში ვაშინგტონელი კანონმდებლები განიხილავდნენ კანონს, რომელიც ფირმებს გაფიცულთა ნაცვლად სხვა მშრომელების მუდმივად დაქირავებას აუკრძალავდა. ეს კანონი გაფიცვებს ფირმებისთვის უფრო ხარჯიანს გახდიდა და ამით პროფკავშირების საბაზრო ძალაუფლებას გაზრდიდა. ეს და სხვა გადაწყვეტილებები ხელს უწყობს პროფკავშირული მოძრაობის მომავლის განსაზღვრას.

# პარგია თუ ცუდი პროფკავშირი ეკონომიკისთვის?

ეკონომისტები ჯერაც ვერ შეთანხმებულან იმაზე, კარგია თუ ცუდი პროფკავშირები მთლიანად ეკონომიკისთვის. მოდი, ორივე მოკამათე მხარის პოზიცია განვიხილოთ.

პროფკავშირების კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ პროფკავშირი მხოლოდ კარტილ ერთ-ერთი სახეობაა. როდესაც პროფკავშირები ხელფასს იმ დონეზე მეტად ზრდიან რომელიც კონკურენტულ ბაზარზე დომინირებს, შრომაზე მოთხოვნის რაოდენობა მცირდება, მშრომელთა ნაწილი უმუშევარი რჩება და ეკონომიკის დანარჩენ ნაწილში ხელფასები მცირდება. შედეგად მიღებული შრომის განაწილება, ამ კრიტიკოსების აზრით, არ ეფექტიანია და არც სამართლიანი. არაეფექტიანია იმიტომ, რომ პროფკავშირის მაღალ ხელფასი ამცირებს დასაქმებას ეფექტიან, კონკურენტულ დონესთან შედარებით. არ სამართლიანია იმიტომ, რომ მშრომელთა ერთი ნაწილი სხვა მშრომელების ხარჯზე იღებს სარგებლობას.


პროფკავშირების მომხრეები აცხადებენ, რომ პროფკავშირები იმ ფირმების საბაზრო ძალაუფლების საწინააღმდეგო საშუალებაა, რომლებიც მშრომელებს ქირაობენ ამ საბაზრო ძალაუფლების უკიდურესი გამოვლინებაა „კომპანიის ქალაქი“, სადაც ვერ გეოგრაფიულ რეგიონში ერთადერთი ფირმა ქირაობს მშრომელთა უმრავლესობას. თუ „კომპანიის ქალაქის“ მშრომელები არ ყაბულდებიან ფირმის მიერ შემოთავაზებულ ხელფასებსა თუ სამუშაო პირობებზე, მათ სხვა გზა არ დარჩენიათ, ქალაქიდან წასვლა ან მუშაობის შეწყვეტის გარდა. ასე რომ, პროფკავშირების არარსებობის შემთხვევაში ფირმას შეუძლია, საკუთარი საბაზრო ძალაუფლება გამოიყენოს და მშრომელებს იმაზე ნაკლები ხელფასები და უარესი სამუშაო პირობები შესთავაზოს, რასაც შესთავაზებდა ამ მშრომელების დაქირავებისთვის სხვა ფირმებთან კონკურენტული ბრძოლა რომ უწყევდეს. ასეთ შემთხვევაში პროფკავშირს შეუძლია ფირმის საბაზრო ძალაუფლების განწინასწორება და ფირმის მშრომელების დაცვა ფირმის მფლობელთა წყალობის იმედად ყოფნისგან.

პროფკავშირების მომხრეები იმასაც ამტკიცებენ, რომ პროფკავშირებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფირმების დახმარებისთვის, რომლებიც თავიანთ მშრომელებზე ზრუნავენ როდესაც მშრომელი სამუშაო ადგილს იღებს, ეს მშრომელი და ფირმა, ხელფასის გარდა შრომის სხვა მრავალ ატრიბუტზეც უნდა შეთანხმდნენ: შრომის საათების რაოდენობაზე დამატებითი შრომის ანაზღაურებაზე, შვებულების ხანგრძლივობაზე, ავადმყოფობის დროის ანაზღაურებაზე, სამედიცინო დაზღვევით სარგებლობაზე, დანიანურების სქემაზე შრომის უსაფრთხოებაზე და ა. შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით მშრომელთა შეხედულებების წარდგენით პროფკავშირები ფირმებს საშუალებას აძლევენ, მშრომელები შრომის ატრიბუტების სწორი კომბინაციით უზრუნველყონ. მართალია, პროფკავშირების ნაკლებ არის ის, რომ ისინი ხელფასებს წონასწორულ დონეზე მაღლა სწევენ და ამით უმუშევრობას იწვევენ, მაგრამ მათ დიდი სარგებლობაც მოაქვთ – ისინი ფირმებს კმაყოფილი და ნაყოფიერი სამუშაო ძალის შენარჩუნებაში ეხმარებიან.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ეკონომისტებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს თანხმობას იმაზე, კარგია პროფკავშირები ეკონომიკისთვის თუ ცუდი. მრავალი სხვა ინსტიტუტის მსგავსად, ზოგ შემთხვევაში პროფკავშირები დადებითი მოვლენაა, ზოგში კი – უარყოფითი.

## სწრაფი

**ბამოკითხვა:** როგორ მოქმედებს საავტომობილო ინდუსტრიის პროფკავშირი „ჯენერალ მოტორსისა“ და „ფორდის“ ხელფასებსა და დასაქმებაზე? სხვა დარგების ხელფასებსა და დასაქმებაზე?



„ბატონებო, საგოლოო გადაწყვეტილებას წინ ვერაფერი დაუდგება, გარდა იმისა, რომ ფირმის მმართველობას მოგვების მაქსიმიზაცია სურს, პროფკავშირებს კი — უფრო მეტი ფული“.

## ეუფქტიანი ხელფასების თეორია

ეკონომიკაში უმუშევრობის მუდმივად არსებობის მეოთხე მიზეზს, სამუშაოს ძებნასთან, მინიმალური ხელფასის კანონებთან და პროფკავშირებთან ერთად, ეფექტიანი ხელფასების თეორია გვთავაზობს. ამ თეორიის თანახმად, ფირმები უფრო ეფექტიანად მოქმედებენ, თუ ხელფასები წონასწორულ დონეზე მეტია. ამიტომ ფირმებისთვის მომგებიანი იქნება, თუ



## უნდა შეხვიდეთ თუ არა პროფკავშირში?

ოდესმე, შეიძლება, დაგჭირდეთ ამ გადაწყვეტილების მიღება. ეს სტატია განიხილავს საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს.

### ხელფასის დღეს პროფკავშირის წევრები თავს ვიპოვიან რა ბრძანებებს

დევიდ ქეი ჯონსტონი

მას შემდეგ, რაც United Parcel Service-ის წინააღმდეგ მძღოლების ორკვირიანი გაუიცვა წარმატებით დასრულდა, ხოლო A.F.L.-C.I.O. პროფკავშირების ათასობით ორგანიზაციის ამზადებს, რომ მეოთხედი საუკუნის მანძილზე მიმდინარე შტატების შემცირებას შეეზღუდოს, მომავალში მილიონობით მომუშავეს წინაშე კვლავ დაისმება შეკითხვა, სურთ თუ არა მათ პროფკავშირში გაერთიანება.

ეს საკმაოდ რთული კითხვაა, რომელზე პასუხის გასაცემად მრავალ საკითხში უნდა იყოთ გარკვეული. რა გირჩევნიათ, კოლექტიური მოქმედება თუ ინდივიდუალური? ენდობით თუ არა პროფკავშირების ლიდერებს? გსურთ თუ არა, თქვენ ნაცვლად სხვა ვინმე აწარმოოს მოლაპარაკება დამქირავეებლებთან? ფიქრობთ თუ არა, რომ პროფკავშირში განწევრიანების გამო დაგითხოვენ, ან რომ პროფკავშირის შექმნამ შეიძლება თქვენი სამუშაო საზღვარგარეთ გაიტანოს?

ერთი მხრივ, არჩევანი მარტივია, თუმცა ის სულაც არ ემთხვევა იმ არჩევანს, რომელიც მომუშავეთა უმეტესობამ გააკეთა მშრომელთა მოძრაობის ათწლეულებში.

შემოსავლის თვალსაზრისით, მომუშავეებს ყველანაირად ურჩევნიათ პროფკავშირში გაერთიანება და ამას ყველა იდეოლოგიის მიმდევარი ეკონომისტი ეთანხმება. არაპროფკავშირული სამუშაოს პროფკავშირულად ქცევას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია და ბევრად დადებითად მოქმედებს მომუშავეს ფინანსებზე,

ვიდრე ნებისმიერი საინვესტიციო გეგმა, უძრავი ქონების შექმნა და სხვა მსგავსი რამ.

აი, როგორ მუშაობს ეს მექანიზმი: პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ ფრიმენი ამბობს: „თუკი შეგიძლიათ, რომ ფირმაში მომუშავეთა ორგანიზებული მოძრაობის ძალა შექმნათ, ეს ისევ თქვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. ეს მხოლოდ იმ ხალხს დააზიანებს, რომლებიც მომავალში მიიღებენ სამუშაოს. ასევე მენილებსაც, რომლებიც ნაკლებ მოგებას მიიღებენ; მენეჯერებს, რომლებსაც ნაკლები ანაზღაურება ერგებათ შემცირებული გასანაწილებელი მოგებიდან, და შეიძლება, მომხმარებლებსაც, რადგან პროდუქტი ოდნავ მეტის გადახდა მოუწევთ. ხოლო თუ უბრალოდ მომუშავე ხართ, მაშინ გაუგებარია, რატომ არ უნდა გასურდეთ პროფკავშირში განწევრიანება“.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პროფკავშირის წევრთა ხელფასი საშუალოდ 20%-ით მეტია; კიდევ უფრო მაღალია სხვა შეღავათები. ფინანსური სარგებლობა განსაკუთრებით დიდია მათთვის, ვისაც დაბალი კვალიფიკაცია აქვს, აგრეთვე ქალებისთვის, შავკანიანთა და ესპანურენოვანთათვის.

უფრო მეტიც, პროფკავშირის წევრთა 85%-ს აქვს ჯანმრთელობის დაზღვევა, მაშინ, როდესაც პროფკავშირს გარეთ მომუშავეთა მხოლოდ 57%-ია დაზღვეული, - აცხადებს, მასაჩუსეტისის უნივერსიტეტის პროფესორი ბარი ბლუსტონი.

ამ მოსაზრებებზე არდათანხმება თვით პროფკავშირების მოწინააღმდეგეთაც კი უჭირთ. რუგერტის ინსტიტუტის წარმომადგენელი ლეო ტროი, რომელიც ცნობილია პროფკავშირებისადმი თავისი უარყოფითი დამოკი-

დებულებით, ამბობს: „როდესაც საქმე ხელფასსა და შეღავათებს ეხება, დიახ, პროფკავშირში განწევრიანება ჯობია“.

პროფკავშირებისადმი მისი წინააღმდეგობა გამომდინარეობს იქიდან, რომ, როგორც ის ამბობს, კავშირები ამცირებს კომპანიის მფლობელთა მოგებას, ხელს უშლის საინვესტიციო გადაწყვეტილებებს, ანუ საბოლოოდ აფერხებს ეკონომიკის ზრდას. პროფესორი ტროი მიუთითებს, რომ თავადაც პროფკავშირის, ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაციის, წევრია.

დონალდ დირმა, ტეხასის უნივერსიტეტთან არსებული ბუშის სამთავრობო და საზოგადოებრივი სამსახურის სკოლის ეკონომისტმა, 1974-1996 წლებისთვის გამოიკვლია ხელფასებს შორის განსხვავება პროფკავშირების წევრ და არაწევრ მომუშავეთა ჯგუფებში მაშინ, როდესაც პროფკავშირების წევრების ხვედრითი წილი ამერიკულ მომუშავეთა შორის 22%-დან 15%-მდე შემცირდა.

პროფესორ დირის მიერ შესწავლილ ყველა კატეგორიაში პროფკავშირების წევრებს მეტი ხელფასი ჰქონდათ, ვიდრე პროფკავშირსგარე მომუშავეებს. უკანასკნელ წელს, დირის შეფასებით, საშუალოზე ნაკლები განათლების მქონე პროფკავშირის წევრს პროფკავშირსგარე შესაბამისი კატეგორიის მომუშავესთან შედარებით 22%-ით მაღალი ხელფასი ჰქონდა. სხვაობა განათლების დონის მატებასთან ერთად კლებულობს და კოლეჯის კურსდამთავრებულთათვის 10%-ზე ჩამოდის.

„პროფკავშირის წევრობას ნამდვილად აქვს აზრი, - ამბობს პროფესორი დირი, - თუკი, რა თქმა უნდა, გრძელვადიან პერიოდში სამსახურს არ დაკარგავთ“.

ეფექტიანი ხელფასი  
ხელფასი, რომელიც  
წონასწორულ  
ხელფასზე მეტია  
და რომელსაც  
ფირმები მშრომელთა  
მწარმოებლობის  
გაზრდის მიზნით  
გასცემენ.

შრომის ქარბი მიწოდების დროსაც კი მაღალ ხელფასებს შეინარჩუნებენ.

გარკვეულწილად, უმუშევრობა, რომელიც ეფექტიანი ხელფასების შედეგად ჩნდება, უმუშევრობის მსგავსია, რომელსაც მინიმალური ხელფასის კანონები და პროფკავშირები იწვევენ. სამივე შემთხვევაში უმუშევრობა იმის შედეგია, რომ ხელფასი შრომის მიწოდებისა და მოთხოვნის გამანონასწორებელ ხელფასზე მეტია. მაგრამ ამ შემთხვევებს შორის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მინიმალური ხელფასის კანონები და პროფკავშირები მშრომელთა რაოდენობის სიჭარბის დროს ფირმებს ხელფასების შემცირების საშუალებას არ აძლევენ. ეფექტიანი ხელფასების თეორია კი ამტკიცებს, რომ ასეთი შეზღუდვა ხშირსულადაა არაა აუცილებელი, რადგან ფირმების მდგომარეობა უკეთესია, როცა ხელფასი წონასწორულ დონეზე მეტია.

რატომ უნდა შეინარჩუნონ ფირმებმა მაღალი ხელფასი? ასეთი გადაწყვეტილება ერთი შეხედვით, უცნაურია, ვინაიდან ხელფასები ფირმათა დანახარჯების დიდი ნაწილია. ჩვეულებრივ, მოსალოდნელია, რომ ფირმა, რომელსაც მაქსიმალური მოგების მიღება სურს, დანახარჯებს – და, აქედან გამომდინარე, ხელფასებსაც – რაც შეიძლება დაბალი დონეზე შეინარჩუნებს. მაგრამ ეფექტიანი ხელფასების თეორიის თანახმად, მაღალი ხელფასების გადახდა შეიძლება მომგებიანი იყოს, რადგან ამან, შეიძლება, ფირმის მშრომელთა ეფექტიანობა გაზარდოს.

არსებობს ეფექტიანი ხელფასების თეორიის რამდენიმე სახესხვაობა. თითოეული მათგანი იმის სხვადასხვა ახსნას გვთავაზობს, რატომ უნდა სურდეთ ფირმებს მაღალი ხელფასების გადახდა. განვიხილოთ ოთხი ასეთი თეორია.

## მშრომელის ჯანმრთელობა

ეფექტიანი ხელფასების თეორიის პირველი და უმარტივესი სახეობა ხაზს უსვამს კავშირს ხელფასსა და მშრომელის ჯანმრთელობას შორის. რაც მეტ ხელფასს იღებს მშრომელი, მით უკეთ იკვებება, და, რაც უკეთ იკვებება, მით უფრო ჯანმრთელია და მით მეტია მისი მწარმოებლობა. ფირმისთვის უფრო მომგებია მაღალი ხელფასების გადახდა და ჯანმრთელი თელი, დიდი მწარმოებლობით გამორჩეული მშრომელების დაქირავება, ვიდრე დაბალ ხელფასების გადახდა და ნაკლებად ჯანმრთელი მშრომელების დაქირავება, რომელთა მწარმოებლობაც მცირეა.

ეფექტიანი ხელფასების თეორიის ეს განმტკიცება არ გამოდგება ისეთი მდიდარი ქვეყნების ფირმებისთვის, როგორცაა შეერთებული შტატები. ამ ქვეყნებში მშრომელთა უმრავლესობის წონასწორული ხელფასი ისედაც ბევრად აღემატება იმ დონეს, რომელიც საკმარისია ადეკვატური კვებისთვის. ფირმებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ წონასწორული ხელფასების გადახდა მათი მშრომელების ჯანმრთელობას საფრთხეს არ შეუქმნის.

ეფექტიანი ხელფასების თეორიის ეს სახესხვაობა უფრო იმ ქვეყნებში მოქმედ ფირმებს შეეხება, სადაც არასრულყოფილი კვება უფრო აქტუალური პრობლემაა. მაგალითად აფრიკის მრავალი ლარიბი ქვეყნის ქალაქებში დიდია უმუშევრობა. ამ ქვეყნებში ფირმები ხელფასების შემცირებას ერიდებიან, რადგან ამან შეიძლება მშრომელების ჯანმრთელობის გაუარესება და მწარმოებლობის შემცირება გამოიწვიოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კვებაზე ზრუნვა იმის მიზეზი, თუ რატომ არ ამცირებენ ფირმები ხელფასებს შრომის ქარბი მიწოდების მიუხედავად.

## მშრომელთა დენადობა

ეფექტიანი ხელფასების თეორიის მეორე განმტკიცება ხაზს უსვამს კავშირს ხელფასებსა და მშრომელთა დენადობას შორის. სამსახურიდან მშრომელის წასვლის მრავალი მიზეზი არსებობს: შეიძლება, მშრომელმა სხვა ფირმაში უკეთეს სამსახურს მიაგნო, საცხოვრებლად ქვეყნის სხვა ნაწილში გადავიდა, სამუშაო ძალას გამოეთიშა და ა. შ. სიხშირე, რომლითაც მშრომელები თავიანთ სამუშაო ადგილებს ტოვებენ, დამოკიდებულია მათ წინაშე მდგარი სტიმულების მთელ სიმრავლეზე, მათ შორის, სამუშაო ადგილის მიტოვების სარგებლობასა და სამუშაო ადგილზე დარჩენის სარგებლობაზე. რაც უფრო მეტს უხდის ფირმა თავის მშრომელებს, მით უფრო იშვიათად მიდიან ისინი ფირმიდან. ამგვარად, ფირმას შეუძლია

შეამციროს თავისი მშრომელების დენადობა, თუ მათ მაღალ ხელფასს გადაუხდის.

რატომ ცდილობენ ფირმები დენადობის შემცირებას? იმიტომ, რომ ახალი მშრომელების დაქირავება და სწავლება დანახარჯებთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც ახალი მშრომელები სათანადო ცოდნას შეიძენენ, მათი მწარმოებლურობა მაინც გამოცდილ მშრომელთა იმავე მაჩვენებლებზე ნაკლებია. ამიტომ იმ ფირმებისთვის, რომლებშიც მშრომელთა დენადობა დიდია, წარმოების დანახარჯებიც დიდია. ფირმებისთვის მომგებიანია წონასწორულზე მაღალი ხელფასების გაცემა მშრომელთა დენადობის შემცირების მიზნით.

## მშრომელთა კვალიფიკაცია

ეფექტიანი ხელფასების თეორიის მესამე სახესხვაობა ხაზს უსვამს კავშირს ხელფასებსა და მშრომელის კვალიფიკაციას შორის. როდესაც ფირმა ახალ მშრომელებს ქირაობს, მათი კვალიფიკაციის სრულყოფილად შეფასება არ შეუძლია. მაღალი ხელფასის გადახდით ფირმა კვალიფიციურ მშრომელებს სთავაზობს, განაცხადი შეიტანონ ამ ფირმაში სამუშაოდ. როდესაც ფირმა თანამშრომლებს მაღალ ხელფასს უხდის, ის გაცილებით მაღალხარისხოვან მუშახელს მიიზიდავს და ამით ზრდის თანამშრომელთა კვალიფიკაციას. როდესაც ფირმა მშრომელთა ჭარბ მიწოდებას შეთავაზებული ხელფასის შემცირებით პასუხობს, ყველაზე კომპეტენტური განმცხადებლები, სავარაუდოდ, არჩევენ, განაცხადი ამ ფირმაში არ შეიტანონ. ამგვარად, ფირმისთვის მომგებიანია მიწოდებისა და მოთხოვნის გამანონასწორებელ ხელფასზე მაღალი ხელფასის გადახდა.

## მშრომელთა კალისხმევა

ეფექტიანობის თეორიის მეოთხე სახესხვაობა ხაზს უსვამს კავშირს ხელფასებსა და მშრომელთა ძალისხმევას შორის. ზოგჯერ მშრომელს საკუთარი მოსაზრებები აქვს იმაზე, თუ რამდენად გულმოდგინედ უნდა იმუშაოს. ამიტომ ფირმები აკვირდებიან, როგორი ძალისხმევით იმუშაობენ მშრომელები, და იმას, რომელიც საკუთარ მოვალეობას სათანადო პასუხისმგებლობით არ ასრულებს, სამსახურიდან ითხოვენ. მაგრამ მოვალეობის შეუსრულებლობის ყველა შემთხვევის აღმოჩენა შეუძლებელია, რადგან ასეთი დაკვირვება არასრულყოფილია და ხარჯებს მოითხოვს. ფირმას შეუძლია, ეს პრობლემა წონასწორულ დონეზე მაღალი ხელფასების გადახდით გადაჭრას. რაც უფრო მაღალია ხელფასი, მით მეტად ცდილობენ მშრომელები სამუშაო ადგილის შენარჩუნებას და მით მეტია მთელი ძალისხმევით მუშაობის სტიმული.

ეფექტიანი ხელფასების თეორიის ეს სახესხვაობა „უმუშევართა სარეზერვო არმიის“ ძველი მარქსისტული იდეის მსგავსია. მარქსი თვლიდა, რომ ფირმები სარგებლობას იღებენ უმუშევრობიდან, ვინაიდან უმუშევრად დარჩენის საშიშროება მშრომელთა შორის დისციპლინის ამაღლებას უწყობს ხელს. ეფექტიანი ხელფასების თეორიის ამ ვარიანტიც უმუშევრობა ასეთ როლს ასრულებს. თუ ხელფასი იმ დონეზეა, რომელიც მიწოდებასა და მოთხოვნას აწონასწორებს, მშრომელს გულმოდგინედ მუშაობის ნაკლები მიზეზი აქვს,





რადგან, თუ დაითხოვენ, მალევე მონახავს ახალ ადგილს, სადაც ასეთსავე ხელფასს მღებს. ამიტომ ფირმები მშრომელებს წონასწორულზე მაღალ ხელფასებს უხდიან, რ შედეგადაც უმუშევრობა იზრდება და მშრომელს მოვალეობების გულმოდგინედ შესრულების სტიმული უჩნდება.

## მაგალითი

### ჰენრი ფორდი და მისი გულუხვი – დღეში \$5-იანი – ხელფასი

ფორდი გენიალური მენარმე გახლდათ. მას, როგორც „ფორდ მთორ ქამპანის“ დამაარსებელს, დიდი წვლილი მიუძღვის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიის განვითარებაში. დახელოვნებულ ოსტატთა მცირე ჯგუფით ავტომობილების წარმოების ნაცვლად, ფორდი ავტომობილებს არაკვალიფიციური მშრომელებით დაკომპლექტებულ კონვეიერზე აგებდა, რომლებიც ყოველთვის ერთსა და იმავე მარტივ ამოცანას ასრულებდნენ. ამ კონვეიერული პროცესის შედეგი იყო „Model T Ford“, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადრეული ავტომობილი.

1914 წელს ფორდმა კიდევ ერთი ნოვაცია შემოიღო: დღეში \$5 ხელფასი. ეს თანხა დღეს სულაც არ გვეჩვენება დიდად, მაგრამ იმ დროისთვის ეს დღევანდელზე ორჯერ მეტი ხელფასის ტოლფასი იყო. ამასთან, ეს ხელფასი ბევრად აღემატებოდა იმ ხელფასს, რომელიც მიწოდებასა და მოთხოვნას აწონასწორებდა. როდესაც ამ ხელფასის შესახებ საქვეყნო გამოცხადდა, ფორდის ქარხნების ჭიშკრებთან სამუშაო ადგილის მაძიებელთა გრძელრიგები გაჩნდა. იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ფორდთან სურდათ მუშაობა, ბევრად მეტი იყო იმაზე, ვიდრე ფორდს სჭირდებოდა.

ფორდის მაღალხელფასიანმა პოლიტიკამ ძირითადად ისეთი შედეგები გამოიღო როგორცაც ეფექტიანი ხელფასების თეორია წინასწარმეტყველებს. დენადობისა და სამუშაოს გაცდენის შემთხვევები შემცირდა, მწარმოებლურობა კი გაიზარდა. მშრომელები ეფექტიანობა იმდენად გაიზარდა, რომ, ხელფასების გაზრდის მიუხედავად, ფორდის წარმოების ხარჯები შემცირდა. ასე რომ, წონასწორულზე მაღალი ხელფასების გაცემა ფირმისთვის მომგებიანი იყო. თვით ჰენრი ფორდმა ამ ხელფასს „ხარჯების შემამცირებელი საუკეთესო ნაბიჯი“ უწოდა.

ამ ეპიზოდის ისტორიული ანგარიშიც ეფექტიანი ხელფასების თეორიას შეესაბამება „ფორდ მთორ ქამპანის“ ისტორიკოსი წერდა: „ფორდს და მის კომპანიონებს არაერთხელ განუცხადებიათ საჯაროდ, რომ მაღალი ხელფასის ეს პოლიტიკა წარმატებული აღმოჩნდა ისინი გულისხმობდნენ, რომ მაღალმა ხელფასმა გააუმჯობესა მშრომელთა დისციპლინა. გაიზარდა ამ მშრომელების დაინტერესება ფირმის საქმიანობით და გაიზარდა მათი პირადი მწარმოებლურობაც“.

რატომ დაანესა ჰენრი ფორდმა ეს ეფექტიანი ხელფასი? რატომ არ ისარგებლეს სხვა ფირმებმა ამ, აშკარად მომგებიანი, ბიზნეს-სტრატეგიის უპირატესობებით? ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ფორდის ეს გადაწყვეტილება მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონვეიერებთან. კონვეიერულად ორგანიზებული მშრომელები ერთმანეთზე დიდად არიან დამოკიდებული. თუ ერთი მშრომელი სამსახურს აცდენს ან ნელა მუშაობს, სხვა მშრომელებსაც უძნელდებათ თავიანთი ამოცანების შესრულება. იმ დროს, როდესაც კონვეიერების შედეგად წარმოება უფრო ეფექტიანი გახდა, გაიზარდა მშრომელთა დაბალი დენადობის, მაღალი კვალიფიკაციისა და დიდი ძალისხმევის მნიშვნელობაც. ამიტომ ეფექტიანი ხელფასების გაცემა „ფორდ მთორ ქამპანისთვის“, შეიძლება, უფრო უკეთესი სტრატეგია იყო, ვიდრე სხვა ფირმებისთვის. •

## სწავლი

**ბამიკითხვა:** მოიყვანეთ ფირმის მიერ წონასწორულ ხელფასზე მაღალი ხელფასის გადახდის მომგებიანობის ოთხი მიზეზი.

ამ თავში ვისაუბრეთ უმუშევრობის მაჩვენებლებსა და იმის მიზეზებზე, რატომ არსებობს ყოველთვის ეკონომიკაში უმუშევრობის გარკვეული დონე. ვნახეთ, როგორ უწყობენ ხელს უმუშევრობის ახსნას მინიმალური ხელფასის კანონები, პროფკავშირები, ეფექტიანი ხელფასები და სამუშაოს ძიება. უმუშევრობის ბუნებრივი დონის ამ ოთხი მიზეზიდან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკისთვის? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. ამიტომ ეკონომისტებს შორის არ არის მიღწეული თანხმობა იმასთან დაკავშირებით, უმუშევრობის რომელი მიზეზია ყველაზე მნიშვნელოვანი.

უმუშევრობა არ არის მარტივი პრობლემა, რომელსაც მარტივი გადაწყვეტა აქვს. მას მრავალი ახსნა აქვს და მასზე მრავალი სხვადასხვა სახელმწიფო პოლიტიკა მოქმედებს. როდესაც კონგრესი მინიმალური ხელფასის კანონს, კოლექტიური მოლაპარაკების დამარეგულირებელ კანონებს ან უმუშევრობის დაზღვევას განიხილავს, ამ დროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ამ პოლიტიკის შესაძლო გავლენა უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე. საინფორმაციო რევოლუციამ სრულიად შეცვალა სამუშაოს ძებნის პროცესი, ფირმებმა კი — თავიანთი დამოკიდებულება ეფექტიანი ხელფასის თეორიასთან, ამდენად, უმუშევრობის ბუნებრივი დონეც მატულობს. უმუშევრობა არ არის მარტივად გადასაწყვეტი უბრალო პრობლემა. თუმცა ის, თუ როგორაა ორგანიზებული ჩვენი საზოგადოება, დიდ გავლენას ახდენს უმუშევრობის პრობლემის სიმწვავეზე.

**შეჯამება**

- უმუშევრობის დონე სამუშაო ძალაში იმ მშრომელთა პროცენტული წილია, რომელთაც მუშაობა სურთ, მაგრამ სამუშაო არ აქვთ. შრომის სტატისტიკის ბიურო ამ სტატისტიკას ყოველთვიურად ათასობით ოჯახის გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გამოითვლის.
- უმუშევრობის დონე სამუშაო ადგილის უქონლობის არასრულყოფილი საზომია. ზოგიერთ იმათგანს, ვინც საკუთარ თავს უმუშევარს უწოდებს, არც კი სურს მუშაობა, ხოლო ზოგიერთი მშრომელი, რომელსაც მუშაობა სურს, სამუშაო ძალას სამუშაო ადგილის წარუმატებელი ძებნის შემდეგ გამოეთიშა.
- შეერთებული შტატების ეკონომიკაში იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც უმუშევარი ხდება, ახალ სამუშაოს მალე პოულობს. მიუხედავად ამისა, დროის ერთ რომელიმე მომენტში არსებული უმუშევრობის უდიდესი ნაწილი იმ ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფიდან მომდინარეობს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არიან უმუშევარი.
- უმუშევრობის ერთი მიზეზია დრო, რომელსაც მშრომელები საკუთარი გემოვნებისა და კვალიფიკაციისთვის შესაფერისი სამუშაო ადგილის მოძებნას ანდომებენ. უმუშევრობის დაზღვევა

- სამთავრობო პროგრამაა, რომელიც, მართალია, მშრომელთა შემოსავლებს იცავს, მაგრამ, ამავე დროს, სამუშაოს ძებნით გამოწვეული უმუშევრობის ხანგრძლივობას ზრდის.
- უმუშევრობის მეორე მიზეზი მინიმალური ხელფასის კანონებია. არაკვალიფიციური და გამოუცდელი მშრომელებისთვის წონასწორულზე მაღალი ხელფასის გადახდით მინიმალური ხელფასის კანონები შრომის მიწოდების რაოდენობის ზრდასა და მოთხოვნის რაოდენობის შემცირებას იწვევს. შედეგად მიღებული შრომის ჭარბი მიწოდება უმუშევრობას ასახავს.
- უმუშევრობის მესამე მიზეზი პროფკავშირთა საბაზრო ძალაუფლებაა. როდესაც პროფკავშირები ხელფასებს წონასწორულ დონეზე მაღლა სწევენ, ჩნდება შრომის ჭარბი მიწოდება.
- უმუშევრობის მეოთხე მიზეზს ეფექტიანი ხელფასების თეორია გვთავაზობს. ამ თეორიის თანახმად, ფირმებისთვის მომგებიანია წონასწორულზე მაღალი ხელფასების გადახდა. მაღალ ხელფასს შეუძლია, გააუმჯობესოს მშრომელთა ჯანმრთელობა, შეამციროს მშრომელთა დენადობა, გაზარდოს მშრომელთა ძალისხმევა და აამაღლოს მათი კვალიფიკაცია.

# პირითაღი წნევაები

სამუშაო ძალა, გვ. 583

უმუშევრობის დონე, გვ. 583

სამუშაო ძალის ხვედრითი წილი

ზრდასრულ მოსახლეობაში, გვ. 583

უმუშევრობის ბუნებრივი დონე, გვ. 584

ციკლური უმუშევრობა, გვ. 585

იმედდაკარგული მუშახელი, გვ. 587

ფრიქციული უმუშევრობა, გვ. 590

სტრუქტურული უმუშევრობა, გვ. 590

სამუშაოს ძებნა, გვ. 590

უმუშევრობის დაზღვევა, გვ. 592

პროფკავშირი, გვ. 596

კოლექტიური მოლაპარაკება, გვ. 596

გაფიცვა, გვ. 597

ეფექტიანი ხელფასი, გვ. 600

# პითხოვნი გაველკვებისთვის

- რომელ სამ კატეგორიად ყოფს მოსახლეობას შრომის სტატისტიკის ბიურო? როგორ გამოითვლის სამუშაო ძალას, უმუშევრობის დონესა და სამუშაო ძალის ხვედრითი წილს ზრდასრულ მოსახლეობაში?
- მოკლევადიანი პერიოდის მოვლენა უმუშევრობა თუ გრძელვადიანი პერიოდის? ახსენით.
- მინიმალური ხელფასის კანონებით მოზარდთა შორის არსებული უმუშევრობა აიხსნება უკეთ თუ კოლევჯის კურსდამთავრებულთა შორის არსებული უმუშევრობა? რატომ?
- როგორ მოქმედებენ პროფკავშირები უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე?
- რით ასაბუთებენ პროფკავშირების მომხრეები აზრს, რომ პროფკავშირები კარგია ეკონომიკისთვის?
- ახსენით ოთხი შემთხვევა, როდესაც ხელფასები გაზრდით ფირმას საკუთარი მოგების გაზრდა შეუძლია.
- რატომაა სამუშაოს ძიებით გამოწვეული უმუშევრობა გარდაუვალი? როგორ შეუძლია მთავრობას უმუშევრობის ხანგრძლივობის შემცირება?

# სამარჯიშოები

- შრომის სტატისტიკის ბიურომ გამოაცხადა, რომ 1996 წლის ნოემბერში შეერთებული შტატების ზრდასრული მოსახლეობიდან 127 587 000 დასაქმებული იყო, 7 221 000 უმუშევარი, ხოლო 66 645 000 არ შედიოდა სამუშაო ძალაში. რა მასშტაბებისა იყო სამუშაო ძალა? რას უდრიდა სამუშაო ძალის ხვედრითი წილი ზრდასრულ მოსახლეობაში? უმუშევრობის დონე?
- ნახეთ შრომის სტატისტიკის ბიუროს ვებ-გვერდი (<http://www.bls.gov>). რა დონეზეა ამჟამად უმუშევრობის ეროვნული მაჩვენებელი? იპოვეთ თქვენი შესაბამისი დემოგრაფიული ჯგუფის (მაგალითად, ასაკის, სქესის ან რასის მიხედვით) უმუშევრობის მაჩვენებელი. საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე უფრო მაღალია ის თუ დაბალი? რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორც მე-3 ნახაზზე ვხედავთ, 1970 წლიდან 1990 წლამდე პერიოდში სამუშაო ძალაში მამაკაცების მთლიანი წილი შემცირდა. მაგრამ მთლიანი წილის ეს შემცირება სხვადასხვაგვარად აისახა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე, როგორც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია ნაჩვენები.

რომელი ჯგუფისთვის შემცირდა ყველა მეტად სამუშაო ძალის ხვედრითი წილი ზრდასრულ მოსახლეობაში? ამ ინფორმაციიდან გამომდინარე რომელმა ფაქტორმა შეასრულა მინიშნელოვანი როლი ამ პერიოდში სამუშაო ძალაში მამაკაცთა მონაწილეობის მთლიანი წილის შემცირებაში?

- ამავე პერიოდში სამუშაო ძალაში ქალების წილი მკვეთრად გაიზარდა, რაც მე-3 ნახაზზეა ნაჩვენები. მაგრამ ისევე, როგორც მამაკაცების შემთხვევაში, ეს ცვლილება სხვადასხვაგვარი იყო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის, როგორც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია ნაჩვენები.

	ყველა ქალი	ქალი 25-54	ქალი 25-34	ქალი 35-44	ქალი 45-54
1970	43%	50%	45%	51%	54%
1990	58	74	74	77	71

- თქვენი აზრით, რატომ გაიზარდა სამუშაო ძალაში ახალგაზრდა ქალების მონაწილეობა უფრო მეტად, ვიდრე უფრო ასაკოვანი ქალებისა?

- 2003-2004 წლებში აშშ-ში მთლიანად დასაქმება 1,5 მილიონით გაიზარდა, მაგრამ უმუშევართა რაოდენობა მხოლოდ 0,6 მილიონით შემცირდა. რამდენად სწორია ეს მონაცემები? შეიძლება თუ არა, რომ იმ ადამიანთა რაოდენობის შემცირება, რომლებიც უმუშევრებად ითვლებიან, დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებელზე ნაკლები იყოს?

	ყველა მამაკაცი	მამაკაცი 16-24	მამაკაცი 25-54	მამაკაცი 55 წელზე ზევით
1970	80%	69%	96%	56%
1990	76	72	93	40

6. გრძელვადიან უმუშევრობას განიცდიან ქვემოთ ჩამოთვლილი მშრომელები თუ მოკლევადიან უმუშევრობას? ახსენით.
- ა) მშენებლობაზე მომუშავე მუშა, რომელიც ცუდი ამინდის გამო დაითხოვეს;
  - ბ) სანარმოს მუშა, რომელიც გარეუბანში მდებარე ქარხნიდან დაითხოვეს;
  - გ) საფოსტო მეეტლე, რომელიც სამსახურიდან რკინიგზიდან მომდინარე კონკურენციის გამო დაითხოვეს;
  - დ) პატარა სასაუზმის მზარეული, რომელიც იმის გამო დაითხოვეს, რომ ქუჩის მეორე მხარეს ახალი რესტორანი გაიხსნა;
  - ე) გამოცდილი შემდეგბელი მცირე განათლებით, რომელიც იმის გამო დაითხოვეს, რომ კომპანიამ ავტომატური შესადულებელი აპარატი შეიძინა.
7. შრომის ბაზრის დიაგრამაზე აჩვენეთ მინიმალური ხელფასის გაზრდის ზემოქმედება მშრომელთა ხელფასზე, მშრომელთა მიწოდების რაოდენობაზე, მოთხოვნის რაოდენობასა და უმუშევრობის რაოდენობაზე.
8. განვიხილოთ ეკონომიკა, რომელშიც შრომის ორი ბაზარი არსებობს – წარმოების მშრომელთა ბაზარი და მომსახურების სფეროს მშრომელთა ბაზარი. დავეუშვათ, წარმოებაში პროფკავშირი ამოქმედდა.
- ა) აჩვენეთ პროფკავშირის გავლენა ამ ბაზრის ხელფასებსა და დასაქმებაზე.
  - ბ) აჩვენეთ პროფკავშირის ეფექტი მეორე ბაზარზე არსებულ შრომის მიწოდებაზე. რა მოუფა წონასწორულ ხელფასს და დასაქმებას ამ ბაზარზე?
9. შეიძლება იმის ჩვენება, რომ დარგში მოთხოვნა შრომაზე უფრო ელასტიკური ხდება, როდესაც უფრო ელასტიკური ხდება მოთხოვნა ამ დარგის პროდუქციაზე. განვიხილოთ ამ ფაქტიდან გამომდინარე შედეგები შეერთებული შტატების საავტომობილო დარგისა და ავტომობილმშენებელთა პროფკავშირისთვის.
- ა) რა მოუვიდა ამერიკულ ავტომობილებზე მოთხოვნის ელასტიკურობას, როდესაც იაპონელებმა ძლიერი საავტომობილო დარგი შექმნეს? რა მოუვიდა ამერიკულ ავტომობილმშენებლებზე მოთხოვნის ელასტიკურობას? ახსენით.

- ბ) როგორც ამ თავში ითქვა, პროფკავშირი ყოველთვის დგას არჩევანის წინაშე, თუ რამდენად გაზარდოს ხელფასები, ვინაიდან ხელფასების მკვეთრი გაზრდა უკეთესია იმ მშრომელებისთვის, ვინც დასაქმებული რჩება, მაგრამ ამ დროს მკვეთრად მცირდება დასაქმებულთა რაოდენობა. როგორ იმოქმედა იაპონური ავტომობილების იმპორტმა პროფკავშირის წინაშე მდგარ ალტერნატივაზე ხელფასსა და დასაქმებას შორის?
  - გ) თქვენი აზრით, გაიზარდა თუ შემცირდა სხვაობა კონკურენტულ ხელფასსა და პროფკავშირის მიერ დანესებულ ხელფასს შორის იაპონიაში საავტომობილო დარგის განვითარების შედეგად?
10. დავეუშვათ, კონგრესმა დამტკიცა კანონი, რომელიც დამქირავებლებისგან მშრომელებისთვის გარკვეული სარგებლობის (მაგალითად, სამედიცინო მომსახურების) მიცემას ითხოვს, რაც ფირმის დანახარჯს თითოეულ მშრომელზე საათში \$4-ით გაზრდის.
- ა) როგორ იმოქმედებს ეს კანონი შრომის მიწოდებაზე? (ამ და მომდევნო კითხვებზე პასუხის გაცემისას კონკრეტული ციფრების დასახელებას ეცადეთ.)
  - ბ) თუ მშრომელი ამ სარგებლობას მისივე დანახარჯის ტოლად აფასებს, როგორ იმოქმედებს ეს კანონი შრომის მიწოდებაზე?
  - გ) თუ ხელფასს მიწოდებისა და მოთხოვნის განწონასწორება შეუძლია, როგორ იმოქმედებს ეს კანონი ხელფასსა და უმუშევრობის დონეზე? გაუმჯობესდება თუ გაუარესდება დამქირავებელთა ეკონომიკური მდგომარეობა? დაქირავებულთა ეკონომიკური მდგომარეობა?
  - დ) თუ მინიმალური ხელფასის კანონი არსებულ ხელფასს მიწოდებისა და მოთხოვნის განწონასწორების საშუალებას არ აძლევს, როგორ იმოქმედებს ახალი კანონი ხელფასზე, დასაქმების დონესა და უმუშევრობის დონეზე? გაუმჯობესდება თუ გაუარესდება დამქირავებელთა ეკონომიკური მდგომარეობა? დაქირავებულთა ეკონომიკური მდგომარეობა?
  - ე) ახლა კი დავეუშვათ, რომ მშრომელები ამ ახალ სარგებლობას სრულიად არ აფასებენ. როგორ შეცვლის ეს დაშვება თქვენს პასუხებს ბ), გ) და დ) კითხვებზე?



ამ თავში მოცემული საკითხების, ამოცანების, მაგალითების, სწრაფი გამოკითხვისა და ა.შ. შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის ესტუმრეთ ვებ-გვერდს <http://mankiwswlearning.com>.

## ფულის მასის ზრდა და ინფლაცია

მისთვის, რომ ნაყინი იყიდოთ, დღეს ერთი ან ორი დოლარი გჭირდებათ. მაგრამ სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო 70 წლის წინ. ნიუ-ჯერსის შტატის ტკბილეულის მაღაზიაში (რომელიც, სხვათა შორის, 1930-იან წლებში ავტორის ბებიას ეკუთვნოდა) ორი სხვადასხვა ზომის ნაყინი იყიდებოდა. პატარა ზომის ნაყინი სამი ცენტი ღირდა, დიდი ნაყინის ყიდვა კი ხუთ ცენტად შეიძლებოდა.

აღბათ, არ გიკვირთ, რომ ნაყინის ფასი ასე გაიზარდა. ჩვენს ეკონომიკაში ფასების უმეტესობა თანდათან იზრდება. ფასების საერთო დონის ზრდას *ინფლაცია* ეწოდება. ამ წიგნში უკვე ვნახეთ, როგორ გამოითვლიან ეკონომისტები ინფლაციის დონეს, როგორც სამომხმარებლო ფასის ინდექსის, მშპ დეფლატორის ან ფასების საერთო დონის რომელიმე სხვა ინდექსის პროცენტულ ცვლილებას. ფასების ეს ინდექსები გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი სამოცი წლის განმავლობაში ფასები წელიწადში დაახლოებით 4 პროცენტით იზრდებოდა. 70-წლიან პერიოდში ასეთმა ყოველწლიურმა ინფლაციამ ფასების დონის 16-ჯერ გაზრდა გამოიწვია.

ინფლაცია ბუნებრივი და გარდაუვალი მოვლენაა იმ ადამიანისთვის, ვინც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებულ შტატებში გაიზარდა, მაგრამ სინამდვილეში ინფლაცია სულაც არ არის გარდაუვალი. მეცხრამეტე საუკუნეში იყო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდები, როდესაც ფასების უმეტესობა შემცირდა, ანუ საქმე გვექონდა მოვლენასთან, რომელსაც *დეფლაცია* ეწოდება. 1896 წელს შეერთებული შტატების ეკონომიკაში ფასების საშუალო დონე 23 პროცენტით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1880 წელს და ეს დეფლაცია 1896 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში დებატების მთავარი თემა იყო. ფერმერებმა, რომელთაც დიდი ვალები დაუგროვდათ, იზარალებს, როდესაც მარცვლეულის ფასების შემცირებამ მათი შემოსავლები და, აქედან გამომდინარე, ვალების გადახდის უნარი შეამცირა. ამიტომ ფერმერები ისეთი სამთავრობო პოლიტიკის შემოღებას ითხოვდნენ, რომელიც დეფლაციის პროცესს საპირისპირო მიმართულებით შეაბრუნებდა.

უკანასკნელ წლებში ინფლაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ფასების ზრდ ტემპი ხშირად მნიშვნელოვნად იცვლებოდა. 1990-დან 1996 წლამდე ფასების წლიურ ზრდის საშუალო სიჩქარე დაახლოებით 2 პროცენტს შეადგენდა. 1970-იან წლებში ფასები წელიწადში 7 პროცენტით იზრდებოდა, რაც ათწლიან პერიოდში ფასების გაორმაგებას ნიშნავს. საზოგადოება ასეთ მაღალ ინფლაციას ძირითად ეკონომიკურ პრობლემად თვლიდა. როდესაც პრეზიდენტი ჯიმი კარტერი მეორედ იყრიდა კენჭს, მისი მონინაა მდევრე რონალდ რეიგანი აცხადებდა, რომ მაღალი ინფლაცია კარტერის ეკონომიკურ პოლიტიკის ერთ-ერთი ჩაყარდა იყო.

საერთაშორისო მონაცემები ინფლაციის კიდევ უფრო ფართო დიაპაზონის ცვლილებებზე მეტყველებს. 2005 წელს, როდესაც აშშ-ში ინფლაციის დონე თითქმის 3 პროცენტს იყო, რუსეთში ინფლაცია 12 პროცენტს, ხოლო ვენესუელაში — 15 პროცენტს უდრიდა. თუმცა, ისტორიული სტანდარტების მიხედვით, ინფლაციის ეს ერთი შეხედვით მაღალი ტემპები საკმაოდ ზომიერია. გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1921 წლიდან იანვარში, გაზეთი 0,3 მარკა ღირდა, ორ წელიწადზე ნაკლები ხნის შემდეგ კი ეს რიცხვი 70 000 000 მარკამდე გაიზარდა. ინფლაციის ასეთ განსაკუთრებულად სწრაფ ზრდას ჰიპერინფლაცია ეწოდება.



რა განსაზღვრავს ინფლაციის არსებობას და მის დონეს ეკონომიკაში? ამ კითხვას პასუხს ამ თავში გავცემთ ფულის რაოდენობრივი თეორიის მეშვეობით. ამ თეორიის ეკონომიკური არსი მოყვანილია ეკონომიკის ათი პრინციპიდან ერთ-ერთის სახით: როდესაც მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს, ფასები იზრდება. ამ თვალსაზრისს ხანგრძლივი დღის სტანდარტი ტრადიცია აქვს ეკონომისტებს შორის. რაოდენობრივ თეორიაზე მსჯელობდ მცხრამეტე საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი დევიდ იუმი, ხოლო უფრო მოგვიანებით მას მხარს უჭერდა ცნობილი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი. ინფლაციის ამ თეორიის ახსნება როგორც შედარებით ზომიერი ინფლაცია, მაგალითად, ისეთი, როგორც შედარებით უფრო მაღალი ინფლაცია, ისე ჰიპერინფლაცია, ისეთი, როგორც განიცდიდა გერმანია პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, ან როგორცაა უკანასკნელ წლებში ლათინურ ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა განიცდის.

ინფლაციის თეორიის ჩამოყალიბების შემდეგ შევეცდებით, ვუპასუხოთ ამ თეორიას თან დაკავშირებულ კითხვას: რატომ არის ინფლაცია პრობლემა? პასუხი თითქოს ამკარაა: ინფლაცია პრობლემა იმიტომაა, რომ ის ადამიანებს არ მოსწონთ. 1970-იან წლებში, როდესაც აშშ-ში ინფლაციის დონე შედარებით მაღალი იყო, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში ინფლაცია ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა. პრეზიდენტი ფორდი ამ პრობლემას 1974 წელს იმით გამოეხმაურა, რომ ინფლაციას „საზოგადოების ნომერი პირველი მტერი“ უწოდა და საზოგადოებას სპეციალური წინსაფრით წარუდგა, რომელზეც ეწერა: „ახლავე აღმოფხვრათ ინფლაცია“.

მაგრამ რა კონკრეტულ დანახარჯებს განიცდის საზოგადოება ინფლაციის შედეგად? პასუხი, ალბათ, გაგაკვირვებთ. ინფლაციის დანახარჯების დადგენა არც ისე ადვილია როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. თანაც, იმის მიუხედავად, რომ ყველა ეკონომისტი გმობს ინფლაციას, ზოგიერთის მტკიცებით, ზომიერი ინფლაციის დანახარჯები არც ისე დიდია, როგორც საზოგადოება თვლის.

## ინფლაციის კლასიკური თეორია

ინფლაციის შესწავლა ფულის რაოდენობრივი თეორიის ჩამოყალიბებით დაიწყო. ამ თეორიას ხშირად „კლასიკური“ ეწოდება, რადგან მისი წარმოშობა ეკონომიკურ მოაზროვნეთა ადრეულ თაობას ეკუთვნის. დღეს ეკონომისტთა უმრავლესობა ამ თეორიას გრძელვადიან პერიოდში ფასების დონისა და ინფლაციის დონის დეტერმინანტების ასახსნელად იყენებს.

### ფასების დონე და ფულის ღირებულება

ვთქვათ, აკვირდებით, როგორ იზრდება ნაყინის ფასი დროის გარკვეულ მონაკვეთში ხუთი ცენტრიდან ერთ დოლარამდე. რა დასკვნა უნდა გამოიტანოთ იმ ფაქტიდან, რომ ადამიან-

ნები მზად არიან, ნაყინში ასეთი დიდი ფასი მისცენ? იქნებ ისინი ნაყინის განსაკუთრებული გემოთი ტკბებიან (რადგან რომელიმე ქიმიკოსმა საოცრად გემრიელი ნაყინის ახალი რეცეპტი აღმოაჩინა)? მაგრამ, ალბათ, მიზეზი ეს არ არის. უფრო ის უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაყინის გემოთი ადამიანების ტკობა არ შეცვლილა, მაგრამ იმ ფულის ღირებულება, რომელსაც ნაყინის ყიდვისთვის ვიყენებთ, შემცირდა. მართლაც, პირველი აზრი, რაც შეიძლება ინფლაციაზე მსჯელობისას გაგვიჩნდეს, ისაა, რომ ინფლაცია უფრო ფულის ღირებულებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე საქონლის ღირებულებასთან.

ეს აზრი ინფლაციის თეორიისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმაში გვეხმარება. როდესაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ფასების დონის სხვა მაჩვენებლები იზრდება, კომენტატორები ხშირად განიხილავენ ცალკეულ ფასებს, რომლებიც ამ ინდექსებს შეადგენს: „უკანასკნელ თვეში სფი 3 პროცენტით გაიზარდა, რაც ყავის ფასის 20-პროცენტული ზრდისა და მახუთის ფასის 30-პროცენტული ზრდის შედეგია“. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომა გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ის ერთ ძირითად მომენტს არ ითვალისწინებს: ინფლაცია მთელ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკაში არსებული გაცვლის საშუალების ღირებულებას შეეხება.

ეკონომიკაში არსებული ფასების საერთო დონეს ორი კუთხით შეგვიძლია შევხედოთ. აქამდე ფასების დონეს განვიხილავდით, როგორც საქონლისა და მომსახურების კალათის ფასს. როდესაც ფასების დონე იზრდება, ადამიანებმა საქონელსა და მომსახურებაში მეტი უნდა გადაიხადონ. მაგრამ ფასების დონე შეგვიძლია განვიხილოთ აგრეთვე, როგორც ფულის ღირებულების მაჩვენებელი. ფასების დონის ზრდა ფულის ღირებულების შემცირებას ნიშნავს, ვინაიდან თქვენი საფულის თითოეულ დოლარს ამჯერად ნაკლები საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეუძლია.

ამას უკეთ გავიგებთ, თუ მას მათემატიკურად გამოვხატავთ. ვთქვათ, P ფასების დონეა, რომელიც გამოხატულია სამომხმარებლო ფასების ინდექსით ან მშპ დეფლატორით. ამ შემთხვევაში P დოლარების იმ რაოდენობას გვაძლევს, რომელიც საქონლისა და მომსახურების კალათის საყიდლად საჭირო. ახლა ამ მოსაზრებას საპირისპირო მხრიდან შევხედოთ: საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომლის ყიდვაც \$1-ით შეიძლება, 1/P-ს უდრის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ P ფულადი ერთეულებით გამოხატული საქონლისა და მომსახურების ფასია, 1/P იქნება ფულის ღირებულება, გამოხატული საქონლისა და მომსახურების ერთეულებით. ამგვარად, როდესაც ფასების საერთო დონე იზრდება, ფულის ღირებულება მცირდება.



„მოკლედ, რა იქნება? იმავე ზომის, რომორც ვარსან, თუ იმავე ფასად, რომორც ვარსან?“

## ფულის მიწოდება, ფულზე მოთხოვნა და მონეტარული წონასწორობა

რა განსაზღვრავს ფულის ღირებულებას? ეკონომიკაში წამოჭრილი მრავალი კითხვის მსგავსად, ამ კითხვის პასუხიც მიწოდება და მოთხოვნაა. როგორც ბანანების მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს ბანანის ფასს, ისე ფულის მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს ფულის ღირებულებას. ამიტომ ჩვენი შემდგომი ნაბიჯი ფულის რაოდენობრივი თეორიის ჩამოყალიბებაში ფულის მიწოდებისა და ფულზე მოთხოვნის დეტერმინანტების განხილვა იქნება.

ჯერ ფულის მიწოდება განვიხილოთ. წინა თავში ვიმსჯელებთ, როგორ განსაზღვრავს ფულის მიწოდებას ფედერალური სარეზერვო სისტემა საბანკო სისტემასთან ერთად. ღია ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების მეშვეობით ფედერალურ სარეზერვო სისტემას შეუძლია ბანკებისთვის სავალდებულო რეზერვების რაოდენობის შეცვლა, რაც, თავის მხრივ, ცვლის ფულის იმ რაოდენობას, რომლის შექმნაც ამ ბანკებს შეუძლიათ. ამ თავში, ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, უგულებელვყოფთ საბანკო სისტემით განპირობებული სირთულეების უმრავლესობას და ფულის მიწოდების რაოდენობას იმ ცვლადის სახით განვიხილავთ, რომელსაც უშუალოდ აკონტროლებს ფედერალური სარეზერვო სისტემა.

ახლა ფულზე მოთხოვნა განვიხილოთ. ფულზე მოთხოვნის რაოდენობის მრავალი დეტერმინანტი არსებობს, ისევე, როგორც მრავალი დეტერმინანტი განსაზღვრავს სხვა სახის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობას. მაგალითად, ის, თუ ფულის რა რაოდენობის შენახვას ამჯობინებენ ადამიანები თავიანთ საფულეებში, იმაზეა დამოკი-

დებულები, რამდენად ენდობიან ისინი საკრედიტო ბარათებს და რამდენად იოლი მისაგნებ უახლოესი ბანკომატი. ამას გარდა, როგორც შემდეგ თავში ვნახავთ, ფულზე მოთხოვნ რაოდენობა დამოკიდებულია იმ სარგებლის განაკვეთზე, რომელსაც პიროვნება იღებს როდესაც ფულის საფულეში შენახვასა თუ დაბალსარგებლიან საჩუქო ანგარიშზე შეტანასთან შედარებით უპირატესობას სარგებლიანი ობლიგაციის ყიდვას მიანიჭებს.

ფულზე მოთხოვნაზე მრავალი ცვლადი მოქმედებს, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ერთ-ერთი: ეკონომიკაში არსებული ფასების საშუალო დონე. ადამიანები ფულს იმიტომ იყენებენ, რომ ის გაცვლის საშუალებაა. სხვა აქტივებისგან, მაგალითად ობლიგაციებისა და აქტივებისგან, განსხვავებით, ადამიანები ფულს საქონლისა და მომსახურების ყიდვისთვის იყენებენ. ის, თუ ფულის რა რაოდენობას აირჩევენ ამ მიზნისთვის საქონლისა და მომსახურების ფასებზე დამოკიდებული. რაც უფრო მაღალია ფასები, მიმეტი ფულია საჭირო ტიპური გარიგებისთვის, და მით მეტი ფულის შენახვას ამჯობინებენ ადამიანები საკუთარ საფულეებში თუ საჩუქო ანგარიშებზე. ესე იგი ფასების დონის ზრდა (ფულის ღირებულების შემცირება) ფულზე მოთხოვნის რაოდენობის ზრდას იწვევს.

რა აწონასწორებს ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ფულის მიწოდებას და ფულზე ადამიანების მოთხოვნას? როგორც ირკვევა, ამ კითხვის პასუხი დამოკიდებულია დროის იმ მონაკვეთის ხანგრძლივობაზე, რომელსაც განვიხილავთ. მოკლევადიან პერიოდთან დაკავშირებულ პასუხს მოგვიანებით შევისწავლით და ვნახავთ, რომ ძირითადად როლს სარგებლის განაკვეთი ასრულებს. გრძელვადიან პერიოდში კი პასუხი სრულიად გასხვავებული და ბევრად უფრო მარტივია. გრძელვადიან პერიოდში ფასების საერთო დონე მანამდე თვითრეგულირდება, სანამ ფულზე მოთხოვნა ფულის მიწოდებას არ გაუტოლდება. თუ ფასების დონე ნონასწორულ დონეზე მეტია, ადამიანებს ურჩევნიათ, იმაზე მეტი ფული ჰქონდეთ, რასაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ქმნის, ამიტომ ფასების დონე უნდა შემცირდეს, რათა მიწოდება და მოთხოვნა გააწონასწოროს. თუ ფასების დონე ნონასწორულზე ნაკლებია, ადამიანებს ურჩევნიათ, იმაზე ნაკლები ფული ჰქონდეთ, რასაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ქმნის, ამიტომ ფასების დონე უნდა გაიზარდოს, რათა მიწოდება და მოთხოვნა გააწონასწოროს. ფასების ნონასწორულ დონეზე ფულის ის რაოდენობა, რომლის ფლობაც ადამიანებს სურთ, ზუსტად იმ რაოდენობის ტოლია, რომელსაც ფედერალური სარეზერვო სისტემა მიაწოდებს.

ეს ასახულია 1-ლ ნახაზზე. გრაფიკის ჰორიზონტალურ ღერძზე ფულის რაოდენობაა ათვლილი. მარცხენა ვერტიკალური ღერძი ფულის ღირებულებას ასახავს  $1/P$ , მარჯვენა ვერტიკალური ღერძი კი – ფასების დონეს  $P$ . აღსანიშნავია, რომ ფასების დონის ამსახველი მარჯვენა ვერტიკალური ღერძი შებრუნებულია: ფასების დაბალი დონე ამ ღერძის მწვერვალისკენაა ნაჩვენები, ფასების მაღალი დონე კი – ღერძის ძირისაკენ. ეს შებრუნებული ღერძი გვიჩვენებს, რომ, როდესაც ფულის ღირებულება მაღალია (როგორც ეს მარცხენა ღერძის წვეროზეა ასახული), ფასების დონე დაბალია (როგორც ამას მარჯვენა ღერძის მწვერვალი გვიჩვენებს).

გრაფიკზე მოცემული ორი მრუდი ფულის მიწოდებისა და ფულზე მოთხოვნის მრუდებია. ფულის მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა უცვლელად ინარჩუნებს არსებული ფულის რაოდენობას. ფულზე მოთხოვნის მრუდი კლებადია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ, როდესაც ფულის ღირებულება დაბალია (ფასების დონე კი – მაღალი), ადამიანებს ფულის უფრო მეტი რაოდენობა სჭირდებათ, რათა საქონელი და მომსახურება იყიდონ. ნონასწორობაში, რომელიც გრაფიკზე  $A$  წერტილითაა გამოხატული, ფულზე მოთხოვნის რაოდენობა აწონასწორებს ფულის მიწოდების რაოდენობას. ფულის მიწოდებისა და ფულზე მოთხოვნის ეს ნონასწორობა განსაზღვრავს ფულის ღირებულებას და ფასების დონეს.


## მონეტარული ჩარევის შედეგები

ახლა განვიხილოთ მონეტარული პოლიტიკის ცვლილებების შედეგები. წარმოვიდგინოთ, რომ თავდაპირველად ეკონომიკა ნონასწორობაშია, შემდეგ კი ფედერალური სარეზერვო სისტემა დოლარების გარკვეულ რაოდენობას ბეჭდავს და ამ დოლარებს მთელ ქვეყანაში ვერტიფრენიდან მიმოფანტავს, რითაც ფულის მიწოდებას აორმაგებს (უფრო რეალისტურად რომ ვთქვათ, ფედერალურ სარეზერვო სისტემას შეუძლია, ეკონომიკაში



ჰორიზონტალურ ღერძზე ფულის რაოდენობაა ასახული. მარცხენა ვერტიკალური ღერძი ფულის ღირებულებას გვიჩვენებს, მარჯვენა ვერტიკალური ღერძი კი - ფასების დონეს. ფულის მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, რადგან ფულის მიწოდების რაოდენობა ფიქსირებულია ფედერალური სარეზერვოსისტემის მიერ. ფულზე მოთხოვნის მრუდი კლებადია, ვინაიდან, როდესაც თითოეულ დოლარს საქონლისა და მომსახურების ნაკლები რაოდენობის ყიდვა შეუძლია, ადამიანებს ნაღდი ფულის მეტი რაოდენობის ფლობა სურთ. წონასწორობაში (A წერტილი) ფულის ღირებულება (მარცხენა ღერძზე) და ფასების დონე (მარჯვენა ღერძზე) თვითრეგულირდება მანამ, სანამ ფულის მიწოდების რაოდენობა ფულზე მოთხოვნის რაოდენობას არ გაუტოლდება.

**როგორ განსაზღვრავს ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა ფასების წონასწორობულ დონეს**



ფულის მასის გაფართოება განახორციელოს ღია ბაზარზე საზოგადოებიდან სამთავრობო ობლიგაციების გარკვეული რაოდენობის შესყიდვის გზით). რა მოხდება ასეთი მონეტარული ინიექციის შედეგად? რამდენად განსხვავებული იქნება ახალი წონასწორობა ძველი წონასწორობისგან?

მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია, რაც მოხდება. მონეტარული ინიექცია მიწოდების მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს  $MS_1$ -დან  $MS_2$ -მდე, ხოლო წონასწორობა A წერტილიდან B წერტილში გადაინაცვლებს. ამის შედეგად ფულის ღირებულება (მარცხენა ღერძზე)  $1/2$ -დან  $1/4$ -მდე შემცირდება, ხოლო ფასების წონასწორობული დონე (მარჯვენა ღერძზე) 2-დან 4-მდე გაიზრდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ფულის მიწოდების ზრდა დოლარების რაოდენობას ზრდის, შედეგად ფასის ისეთ ზრდას ვიღებთ, რომელიც თითოეულ დოლარს ნაკლებად ღირებულს ხდის.

ფულის რაოდენობრივი თეორია ხსნის, თუ როგორ განისაზღვრება ფასების დონე და რატომ იცვლება ეს დონე დროში. რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა ფულის ღირებულებას განსაზღვრავს, ფულის რაოდენობის ზრდა კი ინფლაციის ძირითადი მიზეზია. როგორც ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი ამბობდა, „ინფლაცია ყველგან და ყოველთვის მონეტარული მოვლენაა“.

**ფულის რაოდენობრივი თეორია**  
თეორია, რომლის თანახმად, ფულის რაოდენობა განსაზღვრავს ფასების დონეს, ხოლო ფულის რაოდენობის ზრდის ტემპი - ინფლაციის დონეს.


### თვითრეგულირების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აქამდე ერთმანეთს ვადარებდით ძველ და ახალ წონასწორობას მონეტარული ინიექციის შემდეგ. როგორ გადადის ეკონომიკა ძველიდან ახალ წონასწორობაში? ამ კითხვაზე სრული

## 2 ნ ა ხ ა ზ ი

### ფულის მინოდების ზრდა

როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის მინოდებას ზრდის, ფულის მინოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ,  $MS_1$ -დან  $MS_2$ -მდე. ფულის ლირებულება (მარცხენა ღერძზე) და ფასების დონე (მარჯვენა ღერძზე) თვითრეგულირდება, სანამ მინოდება და მოთხოვნა არ განონასწორდება. ნონასწორობა A ნერტილიდან B ნერტილში გადაინაცვლებს. ამგვარად, როდესაც ფულის მინოდების ზრდა დოლარების რაოდენობას ზრდის, ფასების დონე იზრდება, რაც თითოეული დოლარის ლირებულებას ამცირებს.



პასუხის გაცემა ეკონომიკაში მიმდინარე მოკლევადიანი ცვლილებების სრულ გაგებას მოითხოვს, რასაც მოგვიანებით შევისწავლით. მიუხედავად ამისა, აქვე შეგვიძლია, მოკლედ მიმოვიხილოთ თვითრეგულირების პროცესი, რომელიც ფულის მინოდების ცვლილების შემდეგ ხდება.

მონეტარული ინიექციის პირველი შედეგია ფულის ჭარბი მინოდება. ინიექციამდე ეკონომიკა ნონასწორულ მდგომარეობაშია (A ნერტილი მე-2 ნახაზზე). ფასების არსებული დონის პირობებში ადამიანებს ზუსტად იმდენი ფული აქვთ, რამდენიც სურთ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ვერტიფრენი ფულს მიმოფანტავს და ამ ფულს ადამიანები აკრეფენ, მათ დოლარების იმაზე მეტი რაოდენობა ექნებათ, ვიდრე სურდათ. ფასების იმავე დონის პირობებში ამჯერად ფულის მინოდების რაოდენობა მოთხოვნის რაოდენობას გადააჭარბებს.

ფულის ამ ჭარბი მინოდების თავიდან აცილებას ადამიანები სხვადასხვა გზებით ცდილობენ. მათ ხელთ არსებული ჭარბი ფულით ადამიანებს შეუძლიათ საქონელი და მომსახურება იყიდონ. შეუძლიათ, ეს ჭარბი ფული გაასესხონ, რისთვისაც ობლიგაციები უნდა იყიდონ ან ბანკის შემნახველ ანგარიშზე დადონ. ეს სესხები სხვა ადამიანებს საქონლისა თუ მომსახურების ყიდვის საშუალებას მისცემს. ორივე შემთხვევაში ფულის ინიექცია საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას იწვევს.

თუმცა ეკონომიკის უნარი, აწარმოოს საქონელი და მომსახურება, არ იცვლება. როგორც წარმოებისა და ზრდისადმი მიძღვნილ თავში ვნახეთ, ეკონომიკაში გამოშვებული საქონლისა და მომსახურების მოცულობა განისაზღვრება არსებული სამუშაო ძალით, ფიზიკური კაპიტალით, ადამიანური კაპიტალით, ბუნებრივი რესურსებით და ტექნოლოგიური ცოდნით. ფულის ინიექციის შედეგად არც ერთი ეს ფაქტორი არ იცვლება.

ამდენად, ეს გაზრდილი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდას იწვევს. ფასების დონის ზრდა კი, თავის მხრივ, ფულზე ადამიანების მოთხოვნის ზრდას იწვევს, რადგან მათ თითოეული გარიგებისათვის მეტი რაოდენობის დოლარი სჭირდებათ.

საბოლოოდ ეკონომიკა ახალ წონასწორობას (B ნერტილი მე-2 ნახაზზე) მიაღწევს, რომელშიც ფულზე მოთხოვნის რაოდენობა ისევე ფულის მიწოდების რაოდენობის ტოლი იქნება. ამ გზით თვითრეგულირდება საქონლისა და მომსახურების ფასების საერთო დონე, რასაც ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა წონასწორობაში მოჰყავს.

## კლასიკური დიქტომია და მონეტარული ნეიტრალიტეტი

ზემოთ ვნახეთ, როგორ იწვევს ფულის მიწოდების ცვლილება საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო დონის ცვლილებას. როგორ მოქმედებს ასეთი მონეტარული ცვლილება სხვა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, მაგალითად, წარმოებაზე, დასაქმებაზე, რეალურ ხელფასებსა და სარგებლის რეალურ განაკვეთზე? ეს კითხვა, დიდი ხანია, აინტერესებთ ეკონომისტებს. მე-18 საუკუნის დიდმა ფილოსოფოსმა დევიდ იუშმა ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა.

იუმი და მისი თანამედროვენი თვლიდნენ, რომ ყველა ეკონომიკური ცვლადი ორ ჯგუფად უნდა დაგყოს. პირველი ჯგუფი ნომინალურ ცვლადებს შეიცავს – ცვლადებს, რომლებიც ფულადი ერთეულებითაა გამოხატული. მეორე ჯგუფი შეიცავს რეალურ ცვლადებს – ცვლადებს, რომლებიც ფიზიკური ერთეულებითაა გამოხატული. მაგალითად, ხორბლის ფასიცა და სიმინდის ფასიც ნომინალური ცვლადებია, მაგრამ ხორბლის ფარდობითი ფასი, გამოხატული სიმინდის ფასში, რეალური ცვლადია, ვინაიდან ასახავს ხორბლის ერთი ფუნტის ფასს სიმინდის ფუნტებში. ანალოგიურად, რეალური ხელფასი (ხელფასი ინფლაციის გათვალისწინებით) რეალური ცვლადია, რადგან იმ პროპორციას ასახავს, რომლითაც ეკონომიკა საქონელსა და მომსახურებას შრომის ერთეულში ცვლის. სარგებლის რეალური განაკვეთი (სარგებლის ნომინალური განაკვეთი ინფლაციის გათვალისწინებით) რეალური ცვლადია, რადგან ასახავს პროპორციას, რომლითაც ეკონომიკა დღეს წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას მომავალში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე ცვლის. ცვლადების რეალურ და ნომინალურ ჯგუფებად დაყოფას კლასიკური დიქტომია ეწოდება (დიქტომია ორ ჯგუფად დაყოფა, კლასიკური კი ადრეული ეკონომიკური მოაზროვნეების იდეებს ასახავს).

კლასიკური დიქტომიის გამოყენება პრობლემურია მაშინ, როდესაც ფასების გამოყენებას ვინყებთ. ფასების უმრავლესობა ფულად ერთეულებშია გამოსახული, ანუ ნომინალური ცვლადებია. როდესაც ვამბობთ, რომ სიმინდის ერთი ბუშელის ფასი \$1-ია, ან ხორბლის ერთი ბუშელის ფასი \$2-ია, ფასები ნომინალური ცვლადებია. მაგრამ რას ვიტყვი შედარებით ფასებზე, ანუ ერთი საქონლის ფასის მეორესთან შედარებაზე? მაგალითად, როდესაც ვამბობთ, რომ სიმინდის ერთი ბუშელის ფასი ხორბლის 2 ბუშელია, ეს შედარებითი ფასი ფულად ერთეულში არ არის გამოხატული. როდესაც ორი საქონლის ფასებს ვადარებთ, დოლარის ნიშანი უქმდება და საქონელი ფიზიკურ ერთეულებში იზომება. ასე რომ, დოლარში გამოხატული ფასები ნომინალური ცვლადებია, შედარებითი ფასები კი — რეალური.

ამ დასკვნის გამოყენება მრავალგვარად შეიძლება. მაგალითად, რეალური ხელფასი (დოლარში გამოხატული ხელფასი, რომელიც ინფლაციის ტემპითაა კორექტირებული) რეალური ცვლადია, რადგან ის ზომავს იმ ნორმას, რომლითაც ადამიანები საქონელსა და მომსახურებას დოლარის თითოეულ ერთეულზე ცვლიან. სარგებლის რეალური განაკვეთიც (ინფლაციის ტემპით კორექტირებული სარგებლის ნომინალური განაკვეთი) რეალური მაჩვენებელია, რადგან ის იმ ნორმას გვიჩვენებს, რომლითაც ადამიანები დღევანდელ საქონელსა და მომსახურებას სამომავლო საქონელსა და მომსახურებაზე ცვლიან.

რატომ უნდა დაგყოს ცვლადები ამ ჯგუფებად? კლასიკური დიქტომია სასარგებლოა ეკონომიკის ანალიზისთვის, რადგან რეალურ და ნომინალურ ცვლადებზე სხვადასხვა ძალები მოქმედებს. კლასიკური ანალიტიკოსების აზრით, ნომინალურ ცვლადებზე დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის მონეტარული სისტემის განვითარება, მონეტარული სისტემა კი მნიშვნელოვანი რეალური ცვლადების გასაგებად არ გამოდგება.

როდესაც განვიხილავდით რეალურ ეკონომიკას გრძელვადიან პერიოდში, ეს საკითხი არ გამოაშკარავებულა. წინა თავებში შევისწავლეთ, თუ როგორ განისაზღვრება რეალური მშპ, დანაზოგები, ინვესტიციები, სარგებლის რეალური განაკვეთები და უმუშევრობა ისე, რომ

ნომინალური ცვლადები ცვლადები, რომლებიც ფულად ერთეულებში გამოიხატება.

რეალური ცვლადები ცვლადები, რომლებიც ფიზიკურ სიდიდეებში იზომება.

კლასიკური დიქტომია ნომინალური და რეალური ცვლადების თეორიული განცალკევება.

ფული არც კი გვიხსენებია. იმ ანალიზის დროს ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა მწარმოებლურობასა და წარმოების ფაქტორების მიწოდება იყო დამოკიდებული, სარგებლის რეალური განაკვეთი კი სასესხო ფონდების მიწოდება და მოთხოვნას აბალანსებდა; რეალური ხელფასი შრომის მიწოდებას და მოთხოვნას ანაბალანსებდა და უმუშევრობა მაშინ წარმოიშვებოდა, როდესაც რეალური ხელფასი რაიმე მიზეზით წონასწორულ დონეს აჭარბებდა. ამ დასკვნებიდან არც ერთს არ ჰქონდა რასა და საერთო ფულის მიწოდებასთან.

ფულის მიწოდების ცვლილება, კლასიკური ანალიზის მიხედვით, გავლენას ახდენს ნომინალურ და არა რეალურ ცვლადებზე. როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას აორმაგებს, ფასების დონე, დოლარში გამოხატული ხელფასი და დოლარში გამოსახულ ყველა სხვა ღირებულებაც ორმაგდება. რეალური ცვლადები, როგორებიცაა წარმოება და ასაქმება, რეალური ხელფასი და სარგებლის რეალური განაკვეთი, არ იცვლება. მონეტარულ ცვლილებებზე რეალური ცვლადების დამოუკიდებლობას მონეტარული ნეიტრალიტეტი ეწოდება.

განვიხილოთ ანალოგია, რომელიც მონეტარული ნეიტრალიტეტის ახსნაში დაგვეხმარება. ფული, როგორც ანგარიშგების ერთეული, ნებისმიერი ეკონომიკური გარიგებისათვის გამოიყენება. როდესაც ცენტრალური ბანკი აორმაგებს ფულის მიწოდებას, ფასებიც ორმაგდება, ანგარიშგების ერთეულის ღირებულება კი ნახევრდება. ზუსტად იგივე ცვლილება გვექნებოდა მაშინაც, თუ მთავრობა 1 იარღის სიგრძეს 36 ინჩიდან 18 ინჩამდე შეამცირებდა: ახალი საზომი ერთეულით ყველა გაზომვადი მანძილი (ნომინალური ცვლადები) გაორმაგდებოდა, მაგრამ რეალური მანძილი (რეალური ცვლადები) იგივე დარჩებოდა. დოლარიც, იარღის მსგავსად, უბრალოდ საზომი ერთეულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ღირებულების მერყეობა რეალურ ცვლილებებს არ უნდა იწვევდეს.

არის თუ არა მონეტარული ნეიტრალიტეტი რეალისტური? მთლიანად არა. იარღის შეცვლა 36 ინჩიდან 18 ინჩამდე გრძელვადიან პერიოდში არანაირ გავლენას არ მოახდენდა, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში ის მრავალ შეცდომასა და დიდ დაბნეულობას გამოიწვევდა. ბევრი თანამედროვე ეკონომისტი ფიქრობს, რომ მოკლევადიან პერიოდში, ანუ ერთი-ორი წლის განმავლობაში, მონეტარული ცვლილებები სწორედ ასევე ახდენს გავლენას რეალურ ცვლადებზე. იუმი, თავის მხრივ, ასევე არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ მონეტარული ნეიტრალიტეტი მოკლევადიანი პერიოდისათვის გამოდგებოდა (ამ წიგნში მოგვიანებით შევისწავლით მოკლევადიან არანეიტრალურობას და ეს საკითხი დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რატომ ცვლის ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის მიწოდებას დროთა განმავლობაში).

თუმცა კლასიკური დიქტომია მართებულია გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკისათვის. ათწლიანი პერიოდის განმავლობაში ფულადი ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნომინალურ ცვლადებზე (როგორიცაა ფასების დონე), მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელოდ ზემოქმედებს რეალურ ცვლადებზე (როგორიცაა რეალური მშპ). როდესაც ეკონომიკის გრძელვადიანი პერიოდის ცვლილებებს შეისწავლით, დარწმუნდებით, რომ ფულის ნეიტრალურობა კარგად ახასიათებს სამყაროს ფუნქციონირებას.

### ფულის ბრუნვის სიჩქარე და რაოდენობრივი განტოლება

ფულის რაოდენობრივ თეორიას შეგვიძლია სხვა კუთხით შევხედოთ, თუ შემდეგ კითხვას ვუპასუხებთ: წელიწადში რამდენჯერ გამოიყენება დოლარიანი ბანკნოტი ახალი საქონლის ან მომსახურების შესაძენად? ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს ცვლადი, რომელსაც ფულის ბრუნვის სიჩქარე ეწოდება. ფიზიკაში ტერმინი „სიჩქარე“ ობიექტის მოძრაობის სიჩქარეს აღნიშნავს. ეკონომიკაში „ფულის ბრუნვის სიჩქარე“ აღნიშნავს სიჩქარეს, რომლითაც დოლარიანი ბანკნოტი მოძრაობს ეკონომიკაში საფულიდან საფულემდე.

ფულის ბრუნვის სიჩქარის გამოსათვლელად პროდუქტის ნომინალური ღირებულება (ნომინალური მშპ) უნდა გავყოთ ფულის რაოდენობაზე. თუ P არის ფასების დონე (მშპ დეფლატორი), Y – პროდუქტის რაოდენობა (რეალური მშპ), ხოლო M – ფულის რაოდენობა, მაშინ ფულის ბრუნვის სიჩქარე იქნება:

$$V = (P \times Y) / M$$

იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს ფორმულა სამართლიანია, წარმოვიდგინოთ ეკონომიკა,

მონეტარული ნეიტრალიტეტი დებულება, რომლის თანახმად, ფულის მიწოდების ცვლილება რეალურ ცვლადებზე არ მოქმედებს.

ფულის ბრუნვის სიჩქარე, რომლითაც ფული ხელიდან ხელში გადადის.

რომელიც მხოლოდ პიცას ანარმოებს. დაფუძვით, წელიწადში 100 პიცა ინარმოება, ერთი პიცა \$10 ღირს და ამ ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობაა \$50. მაშინ ფულის ბრუნვის სიჩქარე იქნება:

$$V = (\$10 \times 100) / \$50 \\ = 20$$

ამ ეკონომიკაში ხალხი პიცაზე წელიწადში \$1,000-ს ხარჯავს. იმისთვის, რომ პიცის შესაძენად წელიწადში \$1,000 დაიხარჯოს, როცა ეკონომიკაში მხოლოდ \$50-ია, თითოეულმა დოლარმა მფლობელი წელიწადში 20-ჯერ უნდა გამოიცვალოს.

მცირე ალგებრული ცვლილებების შედეგად ამ ფორმულას შეიძლება ასეთი სახე მივცეთ:

$$M \times V = P \times Y$$

ეს ტოლობა გვეუბნება, რომ ფულის რაოდენობისა (M) და ფულის ბრუნვის სიჩქარის (V) ნამრავლი პროდუქციის ფასისა (P) და პროდუქციის რაოდენობის (Y) ნამრავლის ტოლია. ამ ტოლობას რაოდენობრივი განტოლება ეწოდება, რადგან იგი ფულის რაოდენობას (M) პროდუქციის ნომინალურ ღირებულებასთან (P×Y) აკავშირებს. რაოდენობრივი განტოლება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკაში ფულის რაოდენობის ზრდა ამ სამი ცვლადიდან ერთ-ერთში უნდა აისახოს: ან ფასების დონემ უნდა აიწიოს, ან პროდუქციის რაოდენობა გაიზარდოს, ან ფულის ბრუნვის სიჩქარე შემცირდეს.

შრავალი შემთხვევიდან ირკვევა, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე შედარებით სტაბილურია. მაგალითად, მე-3 ნახაზი გვიჩვენებს ნომინალურ მშპ-ს, ფულის რაოდენობასა და ფულის ბრუნვის სიჩქარეს შეერთებული შტატების ეკონომიკისთვის 1960 წლიდან. მართალია, ფულის ბრუნვის სიჩქარე მთლად მუდმივი არ არის, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ამის საწინააღმდეგოდ, ფულის მიწოდება და ნომინალური მშპ ამ პერიოდში ათჯერ და მეტად გაიზარდა. ამგვარად, გარკვეული მიზნებისათვის დაშვება ფულის ბრუნ-


**რაოდენობრივი განტოლება**  
განტოლება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ფულის რაოდენობას, ფულის ბრუნვის სიჩქარეს და ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას.

ნახაზზე ნაჩვენებია პროდუქციის ნომინალური ღირებულება, ასახული ნომინალურ მშპ-ში,  $M_2$ -ში გამოხატული ფულის რაოდენობა და მათი შეფარდებით გაზომილი ფულის ბრუნვის სიჩქარე. შედარების გამარტივებისთვის სამივე სიდიდე 1960 წლისთვის 100-ის ტოლია. როგორც ვხედავთ, ნომინალური მშპ და ფულის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ პერიოდში, ფულის ბრუნვის სიჩქარე კი შედარებით სტაბილური დარჩა.

### ნ ა ხ ა ზ ი 3

#### ნომინალური მშპ, ფულის რაოდენობა და ფულის ბრუნვის სიჩქარე

წყარო: აშშ-ს ეაქრობის დეპარტამენტი; ფედერალური სარეზერვო საბჭო.



ვის მუდმივი სიჩქარის შესახებ შეიძლება კარგი მიახლოება იყოს.

ახლა კი ამ მონაცემების საფუძველზე ავხსნათ ფასის წონასწორული დონე და ინფლაციის დონე. აი ეს ახსნაც:

1. ფულის ბრუნვის სიჩქარე დროში შედარებით სტაბილურია.
  2. რადგან ფულის ბრუნვის სიჩქარე სტაბილურია, ამიტომ, როდესაც ცენტრალური ბანკის ფულის რაოდენობას ( $M$ ), ეს პროდუქციის ნომინალური ღირებულების ( $P \times Y$ ) პროპორციულ ცვლილებას ინვესს.
  3. ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა ( $Y$ ) ძირითადად სანარმოო ფაქტორთა მიწოდებითა და არსებული ტექნოლოგიით განისაზღვრება. კერძოდ, რადგან ფული ნეიტრალურია, ამიტომ ის ზეგავლენას არ ახდენს პროდუქციის რაოდენობაზე.
  4. ფაქტორთა მიწოდებითა და ტექნოლოგიით განსაზღვრული პროდუქციის რაოდენობისას ( $Y$ ), როდესაც ცენტრალური ბანკი ცვლის ფულის მიწოდებას ( $M$ ) და ხელს უწყობს პროდუქციის ნომინალური ღირებულების ( $P \times Y$ ) პარალელურ ცვლილებას, ეს ცვლილებები ფასების დონის ( $P$ ) ცვლილებაშიც აისახება.
  5. აქედან გამომდინარე, როდესაც ცენტრალური ბანკი მკვეთრად ზრდის ფულის მიწოდებას, შედეგად ინფლაციის მაღალ დონეს ვიღებთ.
- ეს ხუთი საფეხური ფულის რაოდენობის თეორიის საფუძველია.

## მაგალითი | ფული და ფასები: ჰიპერინფლაციის ოთხი მაგალითი

მართალია, მიწისძვრები დიდძალ ზარალს აყენებს საზოგადოებას, მაგრამ, ამავე დროს ისინი სეისმოლოგებისთვის სასარგებლო მონაცემებსაც გვაწვდის. ეს მონაცემები გარკვეულ ნათელს ჰფენენ ალტერნატიულ თეორიებს და, ამგვარად, გვეხმარებიან მოსალოდნელი სამიშროების წინასწარმეტყველებასა და კონტროლების მიღებაში. ამის მსგავსად, ჰიპერინფლაცია ეკონომისტებს სთავაზობს ბუნებრივ ექსპერიმენტს, რომელიც მათ შეუძლიათ ეკონომიკაზე ფულის ზეგავლენის შესასწავლად გამოიყენონ.

ჰიპერინფლაციები საინტერესო მოვლენაა, ვინაიდან ამ დროს ფულის მიწოდებისა და ფასების დონის ცვლილებები ძალიან დიდია. მართლაც, ჰიპერინფლაცია ზოგადად განმარტებულია, როგორც ინფლაცია, რომელიც *თვეში* 50 პროცენტს აჭარბებს. ეს ნიშნავს, რომ ფასების დონე წელიწადში 200-ჯერ და მეტად იზრდება.

ჰიპერინფლაციის მონაცემები გვიჩვენებს აშკარა კავშირს ფულის რაოდენობასა და ფასების დონეს შორის. მე-4 ნახაზი ასახავს მონაცემებს ოთხი კლასიკური ჰიპერინფლაციისა, რომლებიც 1920-იან წლებში იყო ავსტრიაში, უნგრეთში, გერმანიასა და პოლონეთში. თითოეული გრაფიკი გვიჩვენებს ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობასა და ფასების დონის ინდექსს. ფულის წირის დახრილობა ფულის რაოდენობის ზრდის სიჩქარეს წარმოადგენს, ხოლო ფასების წირის დახრილობა – ინფლაციის დონეს. რაც უფრო დახრილია ეს წირები, მით უფრო სწრაფად იზრდება ფულის რაოდენობა და ინფლაციის დონე.

შევნიშნოთ, რომ თითოეულ გრაფიკზე ფულის რაოდენობა და ფასების დონე თითქმის პარალელურია. თითოეულ შემთხვევაში დასაწყისში ფულის რაოდენობის ზრდა ზომიერია და ასეთივეა ინფლაციაც, მაგრამ თანდათან ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა უფრო და უფრო სწრაფად იზრდება. დაახლოებით იმავე დროს ინფლაციაც იწყებს მკვეთრ ზრდას. შემდეგ ფულის რაოდენობასთან ერთად ფასების დონეც სტაბილური ხდება. ეს ეპიზოდები კარგად ასახავს *ეკონომიკის ათი პრინციპიდან* ერთ-ერთს: ფასები იზრდება, როდესაც მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს. •



## ინფლაციის გადასახადი

თუ ინფლაციის ახსნა ასე ადვილია, რატომ განიცდიან ქვეყნები ჰიპერინფლაციას, ანუ რატომ იღებენ ამ ქვეყნების ცენტრალური ბანკები გადაწყვეტილებას ფულის ისეთი რაოდენობის დაბეჭდვის თაობაზე, რომ ფულის ღირებულების მკვეთრი დაცემა გარდაუვალია?



ნახაზზე ნაჩვენებია ფულის რაოდენობა და ფასების დონე ჰიპერინფლაციის ოთხი შემთხვევის განმავლობაში (ეს ცვლადები მოცემულია ლოგარითმული მასშტაბით. ეს იმას ნიშნავს, რომ გრაფიკზე ასახული ერთნაირი ვერტიკალური მანძილები ცვლადის ერთნაირ პროცენტულ ცვლილებებს შეესაბამება). თითოეულ შემთხვევაში ფულის რაოდენობა და ფასების დონე ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირს ავლენს. ამ ორ ცვლადს შორის ასეთი მჭიდრო კავშირი შესაბამისობაშია ფულის რაოდენობრივ თეორიასთან, რომლის მიხედვით, ფულის მიწოდების ზრდა ინფლაციის ძირითადი მიზეზია.

**ფული და ფასები  
ჰიპერინფლაციისას**

წყარო: აღებულია თომას ვ. სარჯენტის ლექციიდან „ოთხი დიდი ჰიპერინფლაციის დასასრული“, ჩიკაგო, 1983, გვ. 41.



(ა) ავსტრია

(ბ) უნგრეთი



(გ) გერმანია

(დ) პოლონეთი



პასუხი ის არის, რომ ამ ქვეყნების მთავრობები ფულს დიდი რაოდენობით ბეჭდავენ თავიანთი ხარჯების დაფარვის მიზნით. როდესაც მთავრობას სურს გზების გაყვანა, პოლიციის თანამშრომელთათვის ხელფასის გადახდა, ღარიბებისა თუ მოხუცების უზრუნველყოფა, მან, პირველ რიგში, საჭირო ფონდები უნდა შექმნას. ჩვეულებრივ, მთავრობა ამას ისეთი გადასახადების აკრეფით ახორციელებს, როგორებიცაა საშემოსავლო გადასახადი და გაყიდვაზე დანესებული გადასახადი, ან ფულს თავისი ხალხისგან სესხულობს სამთავრობო ობლიგაციების გაყიდვის გზით. მაგრამ მთავრობას თავისი ხარჯების დაფარვა უფრო მარტივადაც შეუძლია – თავისთვის საჭირო ფულის რაოდენობის დაბეჭდვით.

როდესაც მთავრობა ფულის ბეჭდვით თავის შემოსავალს ზრდის, ვამბობთ, რომ იგი ინფლაციის გადასახადს აწესებს. თუმცა ინფლაციის გადასახადი სხვა გადასახადებს არ ჰგავს, რადგან არავინ იღებს მთავრობისაგან ამ გადასახადის ქვითარს. ინფლაციის გადასახადი უფრო ცბიერი რამაა. როდესაც მთავრობა ფულს ბეჭდავს, ფასების დონე იზრდება და თქვენს საფულეში შენახული დოლარების ღირებულება მცირდება. ამგვარად, ინფლაციის გადასახადი ისეთი გადასახადია, რომელსაც იხდის ყველა, ვისაც ფული აქვს.

ინფლაციის გადასახადის მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარია. შეერთებულ შტატებში ბოლო წლებში ინფლაციის გადასახადი შემოსავლის ტრივიალური წყარო იყო: მან მთავრობის შემოსავლების 3 პროცენტზე ნაკლები შეადგინა. მაგრამ 1770-იან წლებში ახალგაზრდა შეერთებული შტატების კოლონიალური კონგრესი

ინფლაციის გადასახადი შემოსავალი, რომელსაც მთავრობა იღებს ფულის გამომშვების გზით.

# ახალი აპეპიდან



## ჰიპერინფლაცია გერმანიაში

ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში გერმანიაში მომხდარი მოვლენები ჰიპერინფლაციისა და მისი შემზარავი შედეგების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია კაცობრიობის ისტორიაში.

### უამრავი ფული

„ჩემი ღირსება ამ ათ მარკად გავყიდე“ — ეს სიტყვები ენერა ბანკნოტზე, რომელიც 1923 წელს ბერლინელ მოქალაქეს ეჭირა ხელში და ასანთის კოლოფს ყიდულობდა. ეს იყო წლის დასაწყისში. ხუთ ნოემბრს კი პურის ფასმა 140 მილიარდი მარკა შეადგინა. მშრომელები დღეში ორჯერ იღებდნენ ხელფასს და ნახევარსაათიან შესვენებაზე მაღაზიებში გარბოდნენ, რომ რაიმე საქონლის შეძენა მაინც მოესწროთ, ვიდრე მათი ფული კიდევ უფრო გაუფასურდებოდა. ნოემბრის შუაში, როდესაც ფულის ახალი ერთეული შემოიღეს, ფასებს, 1914 წელთან შედარებით, კიდევ თორმეტი წელი მიემატა.

ფულადი სისტემის კოლაფსი და ჰიპერინფლაცია სხვა დროს და სხვა ქვეყნებშიც მომხდარა, მაგალითად, შანხაიში — 1949 წელს მაოისტების გამარჯვების წინ; არგენტინაში 1989 წელს. ივლისში

ფასები 197%-ით გაიზარდა, მაგრამ გერმანიის შემთხვევა განსაკუთრებულია მსოფლიოს ისტორიაში, რადგან ის საშინელი სიძიმით დაატყდა თავს განვითარებული ეკონომიკის ქვეყანას. არც ერთ სხვა ინფლაციას არ მოჰყოლია ასეთი სავალალო შედეგები. ჰიპერინფლაცია შეიძლება ჰიტლერის აღზევების მთავარი მიზეზი არ იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ კრიზისის პერიოდში გაიგო გერმანელთა უმრავლესობამ პირველად მისი, როგორც ლიდერის, სახელი. და იმათმა რისხვამ, ვინც ყველაფერი დაკარგა, ნაციაზმის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

ჰიპერინფლაციის ფესვები ომსა და გერმანელ კანონმდებლებს უკავშირდება, რომლებმაც მხარი დაუჭირეს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთათვის ქაღალდის ფულის ოქროზე გადაცვლის უფლების შეზღუდვას. ამასთან, ცენტრალურ ბანკს უფლება მიეცა, სახელმწიფო

და კომერციული ქაღალდები ახლად გამოშვებული ბანკნოტებისათვის უზრუნველყოფის რეზერვად გამოეყენებინა. ამან სახელმწიფოს საშუალება მისცა, ომის საწარმოებლად ფული ებეჭდა, რამაც ჩვეულებრივი შედეგი გამოიღო — ფასებმა იმატა. 1918 წლის დასასრულს მარკა დოლართან მიმართებაში 50%-ზე მეტად გაუფასურდა.

მთავრობა უზარმაზარ დეფიციტს განიცდიდა. 1919-1923 წლებში გადასახადები ხარჯების 35%-ზე მეტი არასოდეს ყოფილა. განსხვავება კი ფულის მასშტაბური ბეჭდვით იფარებოდა. საკმაოდ სუსტი საზოგადოებრივი ფინანსები კიდევ უფრო გაუარესდა მოკავშირეთა მხრიდან არა მხოლოდ ომის ზარალის ანაზღაურების, არამედ მეტროპოლისის პენსიების დაფარვის მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი საკმაოდ საეჭვო ღირებულების ობლიგაციებით დაიფარა, მთლიანი გადასახადი

სამხედრო ხარჯების დასაფარავად ინფლაციის მნიშვნელოვან გადასახადებს კრეფდა. ვინაიდან ახალ მთავრობას რეგულარული გადასახადებისა თუ სესხების გზით ფონდების შექმნის შეზღუდული შესაძლებლობა ჰქონდა, კოლონიალური დოლარების ბეჭდვა ამერიკელი ჯარისკაცების ხელფასებით უზრუნველყოფის ყველაზე ადვილი ხერხი იყო. ამან კი, რა თქმა უნდა, ინფლაციის მაღალი დონე გამოიწვია: რამდენიმე წლის განმავლობაში ფასები 100-ჯერ და მეტად გაიზარდა.

თითქმის ყველა ჰიპერინფლაცია ისეთივე სქემით მიმდინარეობს, როგორცაა მიმდინარეობდა ჰიპერინფლაცია ამერიკის რევოლუციის დროს. მთავრობას დიდძალი ხარჯები, არაადეკვატური საგადასახადო შემოსავალი და სესხების აღების შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. ამის შედეგად თავისი ხარჯების დასაფარავად იგი ფულის საბეჭდ დაზგას მიმართავს. ფულის რაოდენობის მასობრივ ზრდას მასობრივ ინფლაციამდე მივყავართ. ინფლაცია მთავრდება, როდესაც მთავრობა ახორციელებს ფისკალურ რეფორმებს, როგორცაა, მაგალითად, სამთავრობო ხარჯების მკვეთრი შემცირება, რომელთა შედეგადაც ინფლაციის გადასახადის არსებობის აუცილებლობა ქრება.

### ფიპერის ეუქტი

მონეტარული ნეიტრალიტეტის პრინციპის თანახმად, ფულის რაოდენობის ზრდის ტემპის მატება ინფლაციის დონის ზრდას იწვევს, მაგრამ არც ერთ რეალურ ცვლადზე არ მოქმედებს. ამ პრინციპიდან გამომდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა ეხება



თანხა 12,5 მილიარდს გაუტოლდა, რაც იმ დროისათვის უზარმაზარი ფული იყო და დიდი ბრიტანეთის მშპ-ს დაახლოებით ნახევარს უდრიდა. საიდან უნდა მოეტანა გერმანიას ამხელა თანხა? მოკავშირეებს გერმანიის ექსპორტის გაძლიერების გაგონებაც არ უნდოდათ, არც სამუშაო ძალისათვის გადახდა, რაც ევროპის აღდგენას დაეხმარებოდა. ასე რომ, ფულის დაზგები კვლავ ამუშავდა. მიმოქცევაში არსებული ფული ხუთ წელიწადში, 1918 წლიდან 1923 წლამდე, 29,2 მილიარდიდან 497 კვინტილიონამდე (497 თვრამეტი წულით) გაიზარდა.

ჯერ კიდევ 1919 წელს, როდესაც სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, ქენისი აცხადებდა, რომ გერმანიისათვის დაკისრებული ვალდებულებები მძიმე შედეგებს გამოიღებდა. 1922 წლის დასაწყისში თვით „ტიმისიცი“ კი, რომელიც დაპირებების შეუსრულებლობის გამო ძირითადად გერმანიის ლანძღვით იყო დაკავებული, წერდა, მოკავშირეთა მოთხოვნების შედეგად ქვეყანაში ფულის ბეჭდვა უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწევს და ეს გზა მოსკოვისკენ მიდისო. მიუხედავად იმისა, რომ ფულის ბეჭდვის მოსალოდნელი შედეგები კარგად იყო გაანალიზებული,

პოლიტიკოსებმა მას ყური არ ათხოვეს. იმავე წლის ბოლოს გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მოკავშირეთა მოთხოვნებს ვერ შეასრულებდა, რის პასუხადაც 1923 წლის იანვარში საფრანგეთისა და ბელგიის ჯარები გერმანიაში შევიდნენ და გერმანიის მრეწველობის გული, ქალაქი რური დაიკავეს. ეს უზარმაზარ ეკონომიკურ ზარალს ნიშნავდა, რადგან აქ ქვეყნის ქვანახშირის 85% იწარმოებოდა. ამასთან ერთად, მთავრობამ მხარი დაუჭირა პასიური წინააღმდეგობის კამპანიასაც, რომელსაც საბოლოო ჯამში საყოველთაო გაფიცვა მოჰყვა. მასში ჩართული 2 მილიონი მშრომელისათვის ხელფასის გადასახდელად ისევ დამატებითი ფული დაბეჭდეს, რამაც უფსკრულის პირას მდგარ ეკონომიკას უკანასკნელი საყრდენი გამოაცალა.

ფასები საოცრად გაიზარდა; გაიზარდა უმუშევრობაც, რომელიც 1923 წლის დასაწყისში საკმაოდ მცირე იყო. ოქტომბრის ბოლოს სამსახურიდან ოფიციალურად დაითხოვეს მელითონე მუშების ჯერ 19%, ცოტა ხანში კი დანარჩენებიც. ფასების სტაბილიზების მიზნით რამდენიმე სუსტი მცდელობა განხორციელდა: გერმანიის ზოგმა მინამ

საკუთარი, ვითომდა სტაბილური, ვალუტა გამოუშვა. ბადენები სახელმწიფო სატყეო მეურნეობიდან შემოსავლით იყო გამაგრებული, შანოვერები კი ჭვავზე გადაიცვლებოდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ოქროს სესხად ცნობილი ღონისძიება მოიფიქრა. გამოუშვა ბანკნოტები, რომლებიც 1935 წელს უნდა გადახდილიყო. 15 ნოემბერს კი რენტენმარკები შემოიღეს, რომელთა ღირებულება 1 მილიარდი ძველი მარკა, ანუ 24 ამერიკულ ცენტზე ნაკლები იყო, 1914 წლის ოქროს მარკის მსგავსად.

ფასების სტაბილიზაცია საკმაოდ სწრაფად მოხდა, მაგრამ მიყენებული ზიანი უზარმაზარი იყო. მილიონობით გერმანელმა დაკარგა დანაზოგები, რამაც მოგვიანებით გააადვილა მათი დარწმუნება იმაში, რომ ქვეყანას ზურგში დანა ეზრაელებისა და საერთაშორისო ფინანსისტების შეთქმულებამ ჩასცა. გერმანელი მწერალი ელიას კანეტი ეზრაელებისადმი ნაცისტების დამოკიდებულებას „მილიონების მიერ განადგურებულ“ შიპერინფლაციას აღარებდა. კანეტი აჭარბებდა, მაგრამ იგი მართალი იყო იმაში, რომ ფულადი სისტემის ნგრევამ ქვეყანას ღირსება დააკარგინა.

წყარო: „ეკონომისტი“, 1999 წ. 23 დეკემბერი

ფულის რაოდენობის ზემოქმედებას სარგებლის განაკვეთზე. სარგებლის განაკვეთის გაგება ძალიან მნიშვნელოვანია მაკროეკონომისტებისთვის, რადგან ამ ცვლადის ზემოქმედება დანაზოგებსა და ინვესტიციებზე დღევანდელ ეკონომიკას მომავლის ეკონომიკასთან აკავშირებს.

ფულის, ინფლაციისა და სარგებლის განაკვეთების ურთიერთკავშირის გასაგებად გავისხენოთ, რა განსხვავებაა სარგებლის ნომინალურ განაკვეთსა და სარგებლის რეალურ განაკვეთს შორის. სარგებლის ნომინალური განაკვეთი ის განაკვეთია, რომლის სიდიდესაც ბანკში გამცნობენ. მაგალითად, თუ შემნახველი ანგარიში გაქვთ, თქვენი სარგებლის ნომინალური განაკვეთი იმაზე მეტყველებს, რამდენით გაიზრდება თქვენს ანგარიშზე არსებული დოლარების რაოდენობა დროის გარკვეულ მონაკვეთში. სარგებლის რეალური განაკვეთი ახდენს სარგებლის ნომინალური განაკვეთის კორექტირებას ინფლაციის გათვალისწინებით და გვიჩვენებს იმას, თუ რამდენით გაიზრდება თქვენი დანაზოგის მსყიდველობითი უნარი დროის გარკვეულ მონაკვეთში. სარგებლის რეალური განაკვეთი სარგებლის ნომინალური განაკვეთისა და ინფლაციის დონის სხვაობის ტოლია:

$$\text{სარგებლის რეალური განაკვეთი} = \text{სარგებლის ნომინალური განაკვეთი} - \text{ინფლაციის დონე.}$$

მაგალითად, თუ ბანკში სარგებლის წლიური ნომინალური განაკვეთია 7 პროცენტი, ხოლო ინფლაციის დონე – 3 პროცენტი წელიწადში, მაშინ დეპოზიტების რეალური ღირებულება წელიწადში 4 პროცენტით იზრდება.

ეს ტოლობა შეგვიძლია სხვაგვარადაც დავწეროთ, რათა სარგებლის ნომინალურ განაკვეთი სარგებლის რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ჯამის სახით გამოვხატოთ:

$$\begin{aligned} & \text{სარგებლის ნომინალური განაკვეთი} = \\ & \text{სარგებლის რეალური განაკვეთი} + \text{ინფლაციის დონე.} \end{aligned}$$

სარგებლის ნომინალური განაკვეთის ასე გამოხატვა მოსახერხებელია, ვინაიდან ან ტოლობის მარჯვენა მხარის ორ შესაკრებზე სხვადასხვა ეკონომიკური ძალა ზემოქმედებს როგორც ერთ-ერთ ნინა თავში ვთქვით, სარგებლის რეალურ განაკვეთს სასესხო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს. ხოლო ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ინფლაციის დონეს ფულის მიწოდების ზრდა განსაზღვრავს.

ვენახოთ, როგორ ზემოქმედებს ფულის მიწოდების ზრდა სარგებლის განაკვეთებზე. გრძელვადიან პერიოდში, როცა ფული ნეიტრალურია, ფულის ზრდის ცვლილებამ სარგებლის რეალურ განაკვეთზე არ უნდა იმოქმედოს. ბოლოს და ბოლოს, სარგებლის რეალური განაკვეთი ხომ რეალური ცვლადია. იმისთვის, რომ სარგებლის რეალური განაკვეთი არ შეიცვალოს, სარგებლის ნომინალური განაკვეთის ცვლილება ზუსტად უნდა ასახავდეს ინფლაციის დონის ცვლილებას. ამგვარად, როდესაც ფედერალური მთავრობა ფულის რაოდენობას სწრაფად ზრდის, იზრდება როგორც ინფლაციის დონე, ისე სარგებლის ნომინალური განაკვეთი. ინფლაციის დონის ცვლილების შედეგად სარგებლის ნომინალური განაკვეთის ასეთ ცვლილებას ფიშერის ეფექტი ეწოდება ეკონომისტ ირვინგ ფიშერის (1867-1947) პატივსაცემად, რომელმაც პირველმა შეისწავლა ეს ეფექტი.

ალბათ, შენიშნეთ, რომ ფიშერის ეფექტზე ჩვენი მსჯელობა ისევ გრძელვადიან პერიოდით იფარგლება. ფიშერის ეფექტი მოკლევადიან პერიოდში არ მოქმედებს, რადგან ინფლაცია ამ დროს მოულოდნელი თითქმის არ არის. სარგებლის ნომინალური განაკვეთი, როგორც სესხის გადასახადი, სესხის გაცემისთანავე დგინდება. თუ მსესხებელსა და გამსესხებელს ინფლაცია სიურპრიზად მოეგლინება, მათ მიერ შეთანხმებით დადგენილი სარგებლის ნომინალური განაკვეთი ველარ ასახავს ფასების ზრდას. უფრო ზუსტად, ფიშერის ეფექტის მიხედვით, სარგებლის ნომინალური განაკვეთი მოსალოდნელი ინფლაციის მიხედვით თვითრეგულირდება. მოსალოდნელი ინფლაცია კი რეალურ ინფლაციასთან ერთად მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში მერყეობს და არა მოკლევადიანში.

ფიშერის ეფექტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სარგებლის ნომინალური განაკვეთის დროში ცვლილების გაგებისთვის. მე-5 ნახაზზე ნაჩვენებია სარგებლის ნომინალური განაკვეთი და ინფლაციის დონე აშშ-ს ეკონომიკაში 1960 წლიდან. ნახაზზე აშკარად ჩანს მჭიდრო კავშირი ამ ორ ცვლადს შორის. სარგებლის ნომინალური განაკვეთი 1960-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე იზრდებოდა, რადგან ამ დროს ინფლაციაც იზრდებოდა. ხოლო როდესაც 1980-იანი წლების დასაწყისიდან 1990-იანი წლების შუამდე სარგებლის ნომინალური განაკვეთი მცირდებოდა, ეს იმის შედეგი იყო, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ საბოლოოდ შეძლო, ინფლაციაზე სრული კონტროლისთვის მიეღწია.

### სწრაფი

**გამოკითხვა:** ქვეყნის მთავრობა ფულის მიწოდების ზრდის ტემპს წელიწადში 5 პროცენტთან წელიწადში 50 პროცენტამდე ზრდის. რა მოუვა ფასებს? სარგებლის ნომინალურ განაკვეთებს? რა შეიძლება იყოს მთავრობის ასეთი ქცევის მიზეზი?


## ინფლაციის ღანახარჯები

1970-იანი წლების დასაწყისში, როდესაც შეერთებულ შტატებში ინფლაციის დონემ წელიწადში დაახლოებით 10 პროცენტს მიაღწია, ინფლაცია ეკონომიკური პოლიტიკისადმი მიძღვნილი დებატების მთავარი თემა გახდა. და, მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ინფლაცია დაბალი იყო, ის მაინც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ცვლადად დარჩა, რომელსაც ძალიან დიდი ყურადღება ექცევა. ერთ-ერთმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ინფლაცია შეერთებული შტატების გაზეთებში ყველაზე ხშირად გამოყენებული ეკონომიკური ტერმინი იყო (და შორს ჩამოიტოვა მეორე ადგილზე

ნახაზზე გამოყენებულია წლიური მონაცემები 1960 წლიდან დღემდე, რომლებშიც მოცემულია სარგებლის ნომინალური განაკვეთი 3-თვიან სახაზინო ვალდებულებებზე და ინფლაციის დონე, გამოსახული სამომხმარებლო ფასების ინდექსით. ამ ორ ცვლადს შორის არსებული მჭიდრო კავშირი ფიშერის ეფექტის დამადასტურებელია: როდესაც ინფლაციის დონე იზრდება, იზრდება სარგებლის ნომინალური განაკვეთიც.

**სარგებლის ნომინალური განაკვეთი და ინფლაციის დონე**

წყარო: აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტი, აშშ-ს შრომის დეპარტამენტი.



გასული უმუშევრობა და მესამე ადგილზე გასული მწარმოებლურობა).

ინფლაციას დიდი ყურადღება ექცევა და მრავალი დისკუსია ეძღვნება, ვინაიდან ის სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემად ითვლება. არის თუ არა, მართლაც, ინფლაცია სერიოზული პრობლემა? და თუ არის, რატომ?

**მსყიდველუნარი უნარის შემცირება? ინფლაციასთან დაკავშირებული შეცდომა**

თუ საშუალო ადამიანს ჰკითხავთ, რატომაა მისთვის ინფლაცია ცუდი, ის გიპასუხებთ, რომ პასუხი ნათელია: ინფლაცია მას მძიმე შრომით მოპოვებული დოლარების მსყიდველობით უნარს ჰპარავს. როდესაც ფასები იზრდება, შემოსავლის თითოეული დოლარი საქონლისა და მომსახურების ნაკლებ რაოდენობას ყიდულობს. ამიტომ, შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ინფლაცია უშუალოდ მოქმედებს ცხოვრების დონეზე.

მაგრამ, თუ კარგად დაფიქრდებით, ამ პასუხში გაპარულ შეცდომას აღმოვაჩინთ. როდესაც ფასები იზრდება, საქონლისა და მომსახურების მსყიდველები მართლაც მეტს იხდიან იმაში, რასაც ყიდულობენ. მაგრამ, ამავე დროს, საქონლისა და მომსახურების გამყიდველები მეტს იღებენ იმაში, რასაც ყიდიან. რადგან ადამიანთა უმრავლესობა შემოსავალს საკუთარი მომსახურების, მაგალითად შრომის, გაყიდვით იღებს, ამიტომ შემოსავლის ინფლაცია ფასების ინფლაციასთან ხელიხელჩაკიდებული მოძრაობს. ამგვარად, ინფლაცია თავისთავად ადამიანთა რეალურ მსყიდველობით უნარს არ ამცირებს.

მაგრამ ადამიანებს ინფლაციასთან დაკავშირებული ამ მცდარი აზრის მაინც სჯერათ, რადგან არ ესმით მონეტარული ნეიტრალიტეტის პრინციპი. მშრომელი, რომლის წლიური შემოსავალი 10 პროცენტით იზრდება, ჩვეულებრივ, თვლის, რომ ხელფასის ეს მომატება მისი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის დაფასების შედეგია. როდესაც 6-პროცენტის ინფლაცია მშრომელის შემოსავლის ამ ნამატს 4 პროცენტამდე ამცირებს, ეს მშრომელი თვლის,

რომ დააკლეს ის, რასაც სამართლიანად იმსახურებს. მაგრამ, როგორც წინა თავებ ვნახეთ, რეალური შემოსავალი ისეთი რეალური ცვლადებით განისაზღვრება, როგორც ბიჯა ფიზიკური კაპიტალი, ადამიანური კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები და წარმოებული ტექნოლოგია. ნომინალური შემოსავალი კი, ამ ცვლადების გარდა, ფასებს საერთო დონითაც განისაზღვრება. თუ ფედერალური სარეზერვო სისტემა ინფლაციას 6 პროცენტიდან ნულამდე შემცირებს, ჩვენი მშრომლის ნლიური შემოსავლის მატება 10 პროცენტიდან 4 პროცენტამდე შემცირდება. მშრომელი თავს ნაკლებად დაჩაგრულად იგრძნობს, მაგრამ მისი რეალური შემოსავალი უფრო სწრაფად არ გაიზრდება.

თუ ნომინალური შემოსავალი ფასების ზრდასთან ერთად იზრდება, მაშინ რატომ ინფლაცია პრობლემა? როგორც ირკვევა, ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არსებობს. ეკონომისტები ინფლაციის რამდენიმე დანახარჯს განასხვავებენ. თითოეული ე დანახარჯი გვიჩვენებს, რომ ფულის მინოდების უწყვეტი ზრდა ამა თუ იმ გზით გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს რეალურ ცვლადებზე.

## „გაცვეთილი ფესსაცმლის“ დანახარჯები

როგორც ვნახეთ, ფულის მფლობელისთვის ინფლაცია გადასახადის მსგავსია. გადასახად თავისთავად არ წარმოადგენს დანაკარგს საზოგადოებისთვის: ეს არის ფულის გადაადგილება საოჯახო მეურნეობებიდან მთავრობისკენ. მაგრამ, როგორც მე-8 თავში ვნახეთ, გადასახადების უმრავლესობა ადამიანებს გადასახადების გადახდისგან თავის არიდების მიზნით თავიანთი ქცევის შეცვლის სტიმულს აძლევს, სტიმულების ასეთი დამახინჯება კი საზოგადოების საერთო დანაკარგებს იწვევს. სხვა გადასახადების მსგავსად, ინფლაციის გადასახადიც იწვევს საერთო დანაკარგებს, რადგან ადამიანები თავიანთ შეზღუდულ რესურსებს ამ გადასახადის თავიდან აცილების მიზნით ხარჯავენ.

როგორ შეუძლია პიროვნებას ინფლაციის გადასახადის თავიდან აცილება? რადგან ინფლაცია თქვენს საფულეში არსებული ფულის ღირებულებას ამცირებს, ამიტომ ინფლაციის გადასახადის თავიდან აცილება ნაკლები ფულის ფლობით შეგიძლიათ. ამის ერთ-ერთი გზა ბანკში უფრო ხშირი სტუმრობაა. მაგალითად, ყოველ ოთხ კვირაში ერთხელ ბანკიდან \$200-ის გამოტანის ნაცვლად, შეგიძლიათ კვირაში ერთხელ \$50 გამოიტანოთ. ბანკში უფრო ხშირი სტუმრობით შეგიძლიათ თქვენი ფულის მეტი რაოდენობა შეინახოთ სარგებლიან ანგარიშზე და ნაკლები – თქვენს საფულეში, სადაც ინფლაცია ფულის ღირებულებას ამცირებს.

დანახარჯებს, გამონვეულს ხელზე არსებული ნაღდი ფულის რაოდენობის შემცირებისაკენ მიმართული ძალისხმევით, „გაცვეთილი ფესსაცმლის“ დანახარჯები ეწოდება, რადგან ბანკში კლიენტის ხშირი სტუმრობა მისი ფესსაცმლის გაცვეთას იწვევს. ცხადია, ეს შედარება მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება, რათა ხაზი გაესვას იმ დროისა და ენერჯის დანაკარგებს, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში წარმოიქმნება.

„გაცვეთილი ფესსაცმლის“ დანახარჯები, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოა. და ეს ასეც არის შეერთებული შტატების ეკონომიკისთვის, სადაც ინფლაცია ბოლო წლებში საკმაოდ ზომიერია. მაგრამ იმ ქვეყნებში, რომლებიც ჰიპერინფლაციას განიცდიან, ეს დანაკარგები ძალიან დიდია. მოვიყვანთ ერთი ბოლივიელის გამოცდილებას ბოლივიაში არსებული ჰიპერინფლაციის დროს (ციტატა აღებულია „უოლ სტრიტ ჯორნლის“ 1985 წლის 13 აგვისტოს ნომრიდან):

როდესაც მასწავლებელი ედგარ მირანდა თავის ყოველთვიურ ხელფასს, 25 მილიონ პესოს, იღებს, წამის დაკარგვაც არ შეუძლია. პესოს ღირებულება ყოველ საათს მცირდება. ამიტომ, სანამ მისი ცოლი ბაზარში მირბის, რათა ბრინჯისა და მაკარონის თვიური მარაგი შეიძინოს, მირანდა დარჩენილ თანხას შავ ბაზარზე აშშ დოლარებზე ცვლის.

მირანდა, რომლის ქვეყანაც მსოფლიოში ყველაზე უმართავ ინფლაციას განიცდის, გადარჩენისთვის იბრძვის. ბოლივია იმის მაგალითია, თუ როგორ უთხრის უზარმაზარი ინფლაცია ძირს საზოგადოებას. ფასები ისე სწრაფად იზრდება, რომ მათი მნიშვნელობა უკვე თითქმის აღარავის ესმის. მაგალითად, ექვსი თვის განმავლობაში ფასების ზრდის ტემპმა ნლიურად 38,000 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად ამისა, მთავრობა აცხადებს, რომ გასულ წელს ინფლაციამ 2,000 პროცენტს

„გაცვეთილი ფესსაცმლის“ დანახარჯები მოსახლეობის მიერ რესურსების ფუჭად ფლანგვა, რისკენაც მას ინფლაციის დროს ხელზე ნაკლები ფულის ფლობის სურვილი უბიძგებს.

მიანია, ხოლო წელს სავარაუდოა ინფლაციის 8,000 პროცენტამდე გაზრდა, თუმცა სხვა გამოთვლები ბევრად უფრო დიდ რიცხვებს გვთავაზობს. ყოველ შემთხვევაში, ბოლივიის ინფლაციამ ბევრად გადააჭარბა ისრაელის 370 პროცენტსა და არგენტინის 1,100 პროცენტს – დიდი ინფლაციის ორ სხვა შემთხვევას.

30 წლის მირანდას ხელფასს უკეთ შევფასებთ, თუ დაეუშვებთ, რომ ის მაშინვე არ ყიდულობს დოლარებს. იმ დღეს, როდესაც მირანდამ 25 მილიონი პესო მიიღო, ერთი დოლარი 500,000 პესო ღირდა, ასე რომ, მირანდას ხელფასი \$50 იყო. მაგრამ, ხელფასი მეორე დღეს რომ აელო, როდესაც დოლარი 900,000 ღირდა, მირანდა \$27-ს მიიღებდა.

როგორც ამ სტატიიდან ჩანს, „გაცვეთილი ფეხსაცმლის“ დანახარჯი შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყოს. ინფლაციის მაღალი დონის პირობებში მირანდა საკუთარ თავს იმის უფლებას ვერ მისცემს, რომ ეროვნული ვალუტა გამოიყენოს, როგორც დაგროვების საშუალება. ამის ნაცვლად, ის იძულებულია, თავისი პესოები სწრაფად გადაცვალოს საქონელსა და აშშ დოლარებში, რაც მისთვის დაგროვების უკეთესი საშუალებაა. დრო და ენერჯია, რომელთაც მირანდა ნაღდი ფულის შემცირებას უთმობს, რესურსების ხარჯვაა. მთავრობა რომ დაბალი ინფლაციის პოლიტიკას მისდევდეს, მირანდა კმაყოფილი იქნებოდა თავისი პესოებით და დროსა და ენერჯიას უფრო ნაყოფიერად გამოიყენებდა. ამ სტატიის გამოქვეყნებიდან საკმაოდ მალე ბოლივიის ინფლაციის დონე უფრო მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა.

## „მენიუს“ დანახარჯები

იშვიათია ფირმა, რომელიც თავისი პროდუქციის ფასს ყოველდღიურად ცვლიდეს. ფირმები, ჩვეულებრივ, კვირების, თვეებისა და ზოგჯერ წლების განმავლობაშიც არ ცვლიან ფასებს. ერთ-ერთმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ფირმები ფასებს დაახლოებით წელიწადში ერთხელ ცვლიან.

ფირმები ფასებს იმიტომ ცვლიან იშვიათად, რომ ფასების ცვლილება გარკვეულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ფასების ცვლილებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს „მენიუს“ დანახარჯები ეწოდება, იმ დანახარჯების მსგავსად, რომელთაც რესტორანი ახალი მენიუს დაბეჭდვისათვის გაიღებს. „მენიუს“ დანახარჯები შეიცავს ახალი პრეისკურანტისა და კატალოგების დაბეჭდვის დანახარჯებს, გამყიდველებისთვის და მომხმარებლებისთვის ამ კატალოგების გაგზავნის დანახარჯებს, ახალი ფასების რეკლამირების დანახარჯებს, ახალი ფასების თაობაზე გადამწვეტილების მიღების დანახარჯებსა და თვით იმ დანახარჯებსაც კი, რომლებიც მომხმარებელთა შორის ახალი ფასებით გამოწვეული გაღიზიანების შესამცირებლადაა საჭირო.

ინფლაცია ზრდის „მენიუს“ დანახარჯებს, რომელთა გაღებაც ფირმებს უწევთ. შეერთებული შტატების ეკონომიკაში დღეს არსებული ინფლაციის დაბალი დონის პირობებში ფასების წლიური რეგულირების სტრატეგია მრავალი ფირმისთვისაა გამართლებული. მაგრამ, როდესაც მაღალი ინფლაცია ფირმების დანახარჯების სწრაფ ზრდას იწვევს, ასეთი სტრატეგია არაპრაქტიკულია. მაგალითად, ჰიპერინფლაციის დროს ფირმებმა ფასები ყოველდღიურად ან უფრო ხშირად უნდა ცვალონ, რათა ეკონომიკაში არსებულ სხვა ფასებს გაუთანაბრონ.

„მენიუს“ დანახარჯები ფასების ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

## ფარდობითი ფასების ცვალბადობა და რისურსების არასწორი განაწილება

ვთქვათ, რესტორანი „გემრიელი კერძები“ ყოველ იანვარს ბეჭდავს ახალ მენიუს ახალი ფასებით და მთელი წლის განმავლობაში ამ ფასებს უცვლელად ინარჩუნებს. თუ ინფლაცია არ არსებობს, რესტორნის ფარდობითი ფასები – მისი სადილების ფასების შეფარდება ეკონომიკაში არსებულ სხვა ფასებთან – მთელი წლის განმავლობაში მუდმივი იქნება. მაგრამ, თუ ინფლაციის წლიური დონე 12 პროცენტს შეადგენს, „გემრიელი კერძების“ ფასები ავტომატურად შემცირდება თვეში 1 პროცენტით. რესტორნის ფასები შედარებით

მაღალი იქნება წლის დასაწყისში, ახალი მენიუს დაბეჭდვიდან რამდენიმე თვის განმავლობაში, ხოლო წლის ბოლოს შედარებით დაბალი გახდება. რაც მეტია ინფლაციის დონით მეტი იქნება ეს ავტომატური ცვლილება. ამგვარად, რადგან ფასები ხშირად იცვლებს ინფლაცია ფარდობითი ფასების იმაზე მეტ ცვლილებას იწვევს, რაც ინფლაციის არარსებობისას იქნებოდა.

რატომ ხდება ასე? ამის მიზეზი ისაა, რომ შეზღუდული რესურსების განაწილებას საბაზრო ეკონომიკა ფარდობით ფასებს ეყრდნობა. იმის თაობაზე გადანყვეტილებები მიღებისას, თუ რა უნდა იყიდონ, მომხმარებლები სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების ფასებსა და ხარისხს ადარებენ ერთმანეთს. ამ გადანყვეტილებებით მომხმარებლები განსაზღვრავენ, როგორ იქნება განაწილებული წარმოების შეზღუდული ფაქტორები დარგებს და ფირმებს შორის. როდესაც ინფლაცია ფარდობით ფასებს ამახინჯებს, მომხმარებლები გადანყვეტილებებზე მახინჯდება, და მცირდება ბაზრების უნარი, საუკეთესოდ განაწილონ რესურსები.

## გადასახადების დამახინჯება ინფლაციის შედეგად

თითქმის ყველა გადასახადი სტიმიულებს ამახინჯებს, ადამიანებს ქცევის შეცვლისკენ უბიძგებს და ეკონომიკის რესურსების ნაკლებეფექტიან განაწილებას იწვევს. მაგრამ მრავალ გადასახადი კიდევ უფრო პრობლემატური ხდება ინფლაციის პირობებში. ამის მიზეზი ისაა რომ საგადასახადო კანონების შექმნისას კანონმდებლები ხშირად ინფლაციას არ ითვალისწინებენ. ის ეკონომისტები, რომლებიც საგადასახადო კოდექსს შეისწავლიან, იმ დასაკენამდე მიდიან, რომ ინფლაციის შედეგად დანაზოგებიდან მიღებულ შემოსავალს გადასახადის მეტი სიმძიმე ეკისრება.

იმის ერთ-ერთი მაგალითი, თუ როგორ ამცირებს ინფლაცია დაზოგვის სტიმიულებს არის გადასახადების ზეგავლენა *კაპიტალიდან მიღებულ სარგებლობაზე* – მოგებაზე, რომელიც მიიღება აქტივის იმ ფასზე მეტად გაყიდვით, რა ფასადაც იქნა ეს აქტივი შეძენილი. ვთქვათ, 1980 წელს საკუთარი დანაზოგების ნაწილით კორპორაცია „მაიკროსოფტის“ აქციები \$10-ად იყიდეთ, ხოლო 2005 წელს ეს აქციები \$50-ად გაყიდეთ. საგადასახადო კანონის თანახმად, თქვენი მოგებაა \$40, რომელიც აუცილებლად უნდა შეიტანოთ საშემოსავლო დეკლარაციაში. მაგრამ, დავუშვათ, რომ ფასების საერთო დონე 1980-დან 2005 წლამდე გაორმაგდა. ამ შემთხვევაში \$10, რომელიც 1980 წელს გაიღეთ ინვესტირებაზე, 2005 წელს \$20-ის ეკვივალენტურია (მსყიდველობითი უნარის თვალსაზრისით). როდესაც თქვენს ხელთ არსებულ აქციებს \$50-ად ყიდით, მიღებული რეალური სარგებლობა (მსყიდველობითი უნარის ზრდა) მხოლოდ \$30-ის ტოლია. მაგრამ საგადასახადო კოდექსი ინფლაციას არ ითვალისწინებს და თქვენს სარგებლობას \$40-ად აფასებს. ამგვარად, ინფლაცია აზვიადებს მოგების სიდიდეს და არაადეკვატურად ზრდის გადასახადის სიმძიმეს ასეთი ტიპის შემოსავლებისთვის.

ამის კიდევ ერთი მაგალითია გადასახადის გავლენა სარგებლის განაკვეთზე. საშემოსავლო გადასახადით იბეგრება დანაზოგის სარგებლის ნომინალური განაკვეთით მიღებული შემოსავალი, თუმცა სარგებლის ნომინალური განაკვეთის ნაწილი ინფლაციის კომპენსირებაზე იხარჯება. ასეთი პოლიტიკის შედეგების უკეთ გასაგებად განვიხილოთ 1-ლ ცხრილში მოცემული მაგალითი. ცხრილში შედარებულია ორი ეკონომიკა, რომელთაგანაც თითოეულში სარგებლის განაკვეთი 25 პროცენტით იბეგრება. პირველ ეკონომიკაში ინფლაცია ნულოვანია, ხოლო სარგებლის ნომინალური განაკვეთიცა და რეალური განაკვეთიც 4 პროცენტის ტოლია. ამ შემთხვევაში სარგებლიდან მიღებული შემოსავლის 25-პროცენტიანი გადასახადი სარგებლის რეალურ განაკვეთს 4-დან 3 პროცენტამდე ამცირებს. მეორე ეკონომიკაში სარგებლის ნომინალური განაკვეთი ისევ 4 პროცენტის ტოლია, მაგრამ ინფლაცია 8 პროცენტს შეადგენს. ფიშერის ეფექტის შედეგად სარგებლის ნომინალური განაკვეთი 12 პროცენტს უდრის. ვინაიდან საშემოსავლო გადასახადისთვის შემოსავლად ეს 12-პროცენტიანი სარგებელი ითვლება, მთავრობა ამ შემოსავლის 25 პროცენტს იღებს, რის შემდეგაც სარგებლის ნომინალური განაკვეთი მხოლოდ 9 პროცენტს შეადგენს, სარგებლის რეალური განაკვეთი კი – მხოლოდ 1 პროცენტს. ამ შემთხვევაში სარგებლიდან მიღებული შემოსავლის 25-პროცენტიანი გადასახადი სარგებლის რეალურ განაკვეთს 4 პროცენტიდან 1 პროცენტამდე ამცირებს, რადგან გადასახადის შემდგომი სარგებლის რეალური განაკვეთი

ნულოვანი ინფლაციის პირობებში სარგებლიდან მიღებული შემოსავლის 25-პროცენტიანი გადასახადი სარგებლის რეალურ განაკვეთს 4-დან 3 პროცენტამდე ამცირებს. 8-პროცენტიანი ინფლაციის პირობებში იგივე გადასახადი სარგებლის რეალურ განაკვეთს 4-დან 1 პროცენტამდე ამცირებს.

როგორ ზრდის ინფლაცია გადასახადის სიმძიმეს დანაზოგებისთვის

	ეკონომიკა 1 (სტაბილური ფასები)	ეკონომიკა 2 (ინფლაცია)
სარგებლის რეალური განაკვეთი	4%	4%
ინფლაციის დონე	0	8
სარგებლის ნომინალური განაკვეთი (რეალური განაკვეთი + ინფლაციის დონე)	4	12
25-პროცენტიანი ინფლაციის შედეგად (0,25 X სარგებლის ნომინალური განაკვეთი)	1	3
გადასახადისშემდგომი სარგებლის ნომინალური განაკვეთი (0,75 X სარგებლის ნომინალური განაკვეთი)	3	9
გადასახადისშემდგომი სარგებლის რეალური განაკვეთი (გადასახადისშემდგომი სარგებლის ნომინალური განაკვეთი - ინფლაციის დონე)	3	1

დაზოგვის სტიმულს იძლევა, დაზოგვა უფრო ნაკლებში მიდევნის ინფლაციის პირობებში (ეკონომიკა 2), ვიდრე სტაბილური ფასების პირობებში (ეკონომიკა 1).

ნომინალური მოგებისა და სარგებლის ნომინალური განაკვეთის გადასახადები იმის მაგალითებია, თუ რა სირთულეებს ქმნის ინფლაცია საგადასახადო კანონების აღსრულებისას. არსებობს ბევრი სხვა მაგალითიც. ინფლაციის შედეგად გადასახადების ცვლილების გამო ინფლაციის ზრდა ადამიანებს ნაკლების დაზოგვისკენ უბიძგებს. გავიხსენოთ, რომ ეკონომიკაში არსებული დანაზოგები უზრუნველყოფენ ინვესტირებისთვის საჭირო თანხებს, რაც, თავის მხრივ, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. ამგვარად, როდესაც ინფლაცია ზრდის გადასახადის სიმძიმეს დანაზოგებისთვის, გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკური ზრდის ტემპები მცირდება. თუმცა ამ ეფექტის მასშტაბებთან დაკავშირებით ეკონომისტებმა ერთსულოვნებას ვერ ვეროვით ვერ მიაღწიეს.

ინფლაციის აღმოფხვრის გარდა, ამ პრობლემის კიდევ ერთი გადანყვეტა საგადასახადო სისტემის ინდექსაციაა. ეს იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსი ხელმოწერედ უნდა შეიქმნას ინფლაციის გათვალისწინებით. მაგალითად, კაპიტალის სარგებლობის (მოგების) შემთხვევაში საგადასახადო კოდექსი შესყიდვის ფასის კორექტირებას ფასების ინდექსის მეშვეობით უნდა ახდენდეს და მხოლოდ რეალურ სარგებლობას ბეგრავდეს. სარგებლის განაკვეთის შემთხვევაში მთავრობამ მხოლოდ სარგებლის რეალური განაკვეთი უნდა დაბეგროს და გამორიცხოს სარგებლიდან მიღებული შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ინფლაციას აკომპენსირებს. გარკვეულწილად, საგადასახადო კანონები უკანასკნელ წლებში ინდექსაციის მიმართულებით შეიცვალა. მაგალითად, შემოსავლის ის დონეები, რომელთა მიღწევისას საშემოსავლო გადასახადი იცვლება, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებებზე დაყრდნობით ყოველწლიურად ავტომატურად რეგულირდება. მაგრამ საგადასახადო კანონების მრავალი სხვა ასპექტი - მაგალითად, დამოკიდებულება კაპიტალის სარგებლობასთან და სარგებლის განაკვეთთან - ინდექსაციას ვერ კიდევ არ ექვემდებარება.

იდელურ სამყაროში საგადასახადო კანონები არც ერთი ადამიანის რეალურ გადახდისუნარიანობას არ უნდა ცვლიდეს. მაგრამ ჩვენს სამყაროში არსებული საგადასახადო კანონები შორსაა სრულყოფილებისგან. უფრო სრული ინდექსაცია, შეიძლება, სასურველია, მაგრამ ეს კიდევ უფრო გაართულებს საგადასახადო კოდექსს, რომელიც, მრავალი ადამიანის აზრით, ისედაც ძალიან რთულია.

## გამოთვლების მოუწესრიგებლობა და მოუქნელობა

წარმოვიდგინოთ, რომ გამოკითხვას ვატარებთ და ხალხს ერთ კითხვას ვუსვამთ: „წინა იარაღი 36 ინჩს უდრის. თქვენი აზრით, რას უნდა უდრიდეს იარაღი მომავალ წელს?“. ადამიანები სერიოზულად გვიპასუხებენ, პასუხები ერთნაირი იქნება – იარაღი მომავალ წელსაც 36 ინჩი უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში ჩვენი ცხოვრება უმიზეზოდ გართულდებოდა. რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ინფლაციისთან? გავიხსენოთ, რომ ფული, როგორც ეკონომიკაში არსებული ღირებულების მაჩვენებელი, ისაა, რასაც ფასების დაწესების და საბუღალტრო აღიწესისას ვიყენებთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფული ის ერთეული რომლითაც ეკონომიკური გარიგებების ღირებულებას ვზომავთ. ამ მხრივ ფედერალური სარეზერვო სისტემის ამოცანა სტანდარტების ბიუროს ამოცანის მსგავსია – საყოველთაოდ მიღებული ზომის ერთეულის სანდოობის უზრუნველყოფა. როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის მინოდებას ზრდის და ინფლაციას წარმოშობს, ღირებულების მაჩვენებლის რეალური ღირებულება მცირდება.

ძნელია იმ უწესრიგობისა და არეულობის შეფასება, რომელსაც ინფლაცია იწვევს. უკმაყოფილო ვილპარაკეთ იმის შესახებ, რომ საგადასახადო კოდექსი არაკორექტულად გამოითვლია რეალურ შემოსავლებს ინფლაციის პირობებში. ამის მსგავსად, ბუღალტრები არაკორექტულად გამოითვლიან ფირმათა შემოსავლებს, როდესაც ფასები იზრდება. ვინაიდან ინფლაციის შედეგად დოლარს სხვადასხვა დროს სხვადასხვა რეალური ღირებულება აქვს, ფირმის მოგების – შემოსავლისა და დანახარჯების სხვაობის – გამოთვლა უფრო რთულია ისე ეკონომიკაში, სადაც ინფლაცია არსებობს. ამიტომ, გარკვეულწილად, ინფლაციის შედეგად მცირდება ინვესტირების უნარი, წარმატებული ფირმები წარუმატებელი ფირმებისაგან განასხვავონ, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ფინანსური ბაზრების როლს ალტერნატიული ტიპის ინვესტიციებზე ეკონომიკის რესურსების ეფექტიანად განაწილებაში.

## მოულოდნელი ინფლაციის განსაკუთრებული დანახარჯები: სიმდიდრის შემთხვევითი განაწილება

ჩვენ მიერ აქამდე განხილული ინფლაციის დანახარჯები მაშინაც კი არსებობს, როდესაც ინფლაცია მყარი და პროგნოზირებადია. მაგრამ ინფლაციას დამატებითი დანახარჯებიც ახლავს, თუ ის მოულოდნელია. მოულოდნელი ინფლაცია სიმდიდრეს ისე ანაწილებს მოსახლეობაზე, რომ ამას არაფერი აქვს საერთო არც დამსახურებასთან და არც საჭიროებასთან. ასეთი განაწილების მიზეზი ისაა, რომ ეკონომიკაში არსებული მრავალი სესხი გამოხატულია ზომის ერთეულით – ფულით.

გავიხილოთ ერთი მაგალითი. ვთქვათ, სემი კოლეჯში სწავლის ხარჯების დასაფარავად „დიდბანკიდან“ იღებს \$20,000-იან სესხს სარგებლის 7-პროცენტის განაკვეთით. ათი წლის შემდეგ სემის ვალი „დიდბანკის“ მიმართ \$40,000 იქნება. მისი ვალის რეალური ღირებულება დამოკიდებული იქნება ამ ათწლეულის განმავლობაში არსებულ ინფლაციაზე, თუ სემს გაუმართლებს, ეკონომიკაში ჰიპერინფლაცია მოხდება. ამ შემთხვევაში ხელფასები და ფასები ისე გაიზრდება, რომ ამ \$40,000-ის გადახდას სემი ჯიბის ფულით შეძლებს. მაგრამ, თუ ეკონომიკაში დიდი დეფლაციაა, მაშინ ხელფასები და ფასები მცირდება, და სემისთვის \$40,000 იმაზე ბევრად მეტი იქნება, რის გადახდასაც ვარაუდობდა.

ეს მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ ფასების მოულოდნელი ცვლილება სიმდიდრეს მოვალეებსა და კრედიტორებს შორის ანაწილებს. ჰიპერინფლაცია სემს „დიდბანკის“ ხარჯზე ამდიდრებს, ვინაიდან ვალის რეალურ ღირებულებას დიდად ამცირებს. სემს თავისი ვალის გადახდა იმაზე ნაკლები ღირებულების მქონე დოლარებით შეუძლია, ვიდრე მოელოდა. დეფლაცია კი „დიდბანკს“ ამდიდრებს სემის ხარჯზე, რადგან ვალის რეალური ღირებულებას ზრდის. ამ შემთხვევაში სემმა ვალი იმაზე მეტი ღირებულების მქონე დოლარებით უნდა გადაიხადოს, ვიდრე ვარაუდობდა. თუ ინფლაცია პროგნოზირებადია, სარგებლის ნომინალური განაკვეთის განსაზღვრისას სემსა და „დიდბანკს“ შეუძლიათ ინფლაცია გაითვალისწინონ (გაიხსენეთ ფიშერის ეფექტი). მაგრამ, თუ ინფლაციის პროგნოზირება ძნელია, სემიცა და „დიდბანკიც“ იმ რისკის წინაშე დგებიან, რომლისთვის თავის არიდებაც ორივეს ურჩევნია.

გაუთვალისწინებელი ინფლაციის ამ დანახარჯს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება,



როდესაც მას შემდეგ ფაქტთან ერთად განვიხილავთ: ინფლაცია განსაკუთრებით მერყევი და არამყარია, როდესაც ინფლაციის საშუალო დონე მაღალია. ეს ყველაზე კარგად ჩანს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლისას. იმ ქვეყნებში, სადაც ინფლაციის საშუალო დონე დაბალია, მაგალითად, გერმანიაში მეოცე საუკუნის მიწურულს, ინფლაცია, როგორც წესი, სტაბილურია. იმ ქვეყნებში კი, სადაც ინფლაციის საშუალო დონე მაღალია, მაგალითად, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, ინფლაცია, როგორც წესი, არასტაბილურია. არ არსებობს მაღალი და სტაბილური ინფლაციის მქონე ქვეყნის არც ერთი ცნობილი მაგალითი. ინფლაციის დონესა და სტაბილურობას შორის ასეთი დამოკიდებულება ინფლაციის კიდევ ერთი დანახარჯის არსებობაზე მეტყველებს. თუ ქვეყანა მაღალი ინფლაციის მონეტარულ პოლიტიკას მისდევს, ის იძულებულია, არა მხოლოდ ის დანახარჯები გაილოს, რომლებიც მაღალ, მაგრამ პროგნოზირებად ინფლაციასთანაა დაკავშირებული, არამედ ის დანახარჯებიც, რომლებიც დაკავშირებულია მოულოდნელი ინფლაციის დროს სიმდიდრის შემთხვევით განაწილებასთან.

## მაგალითი | „ოზის ქვეყნის ჯადოქარი“ და დეპატები მიმოქცევაში პერცხლის მონეტების გაშვების შესახებ

ბავშვობაში, ალბათ, არაერთხელ გინახავთ ფილმი „ოზის ქვეყნის ჯადოქარი“, რომელიც 1900 წელს დანერგილი საბავშვო წიგნის მიხედვითაა გადაღებული. ეს ფილმი და წიგნი გვიყვებიან ერთი პატარა გოგონას, დოროთის, ამბავს, რომელიც უეცრად სახლიდან შორს, ერთ უცნაურ ქვეყანაში აღმოჩნდება. მაგრამ, ალბათ, არ იცით, რომ ეს ამბავი სინამდვილეში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის შეერთებული შტატების მონეტარული პოლიტიკის ალგორითაა.

1880-დან 1895 წლამდე ფასების დონე შეერთებული შტატების ეკონომიკაში 23 პროცენტით შემცირდა. რადგან ეს მოულოდნელი მოვლენა იყო, მან სიმდიდრის მნიშვნელოვანი გადაწვევა გამოიწვია. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ფერმერების უმრავლესობა მევაღე იყო. მათი კრედიტორები კი აღმოსავლელი ბანკირები იყვნენ. როდესაც ფასების დონე შემცირდა, ფერმერთა ვალების რეალური ღირებულება გაიზარდა, რამაც ბანკების ფერმერების ხარჯზე გაამდიდრა.

იმდროინდელი პოპულისტი პოლიტიკოსების აზრით, ფერმერთა ამ პრობლემის გადაჭრა ვერცხლის ფულის მოჭრას შეეძლო. ამ დროისთვის შეერთებულ შტატებში ოქროს სტანდარტი იყო მიღებული. ოქროს რაოდენობა განსაზღვრავდა ფულის მინოდებას და, აქედან გამომდინარე, ფასების დონესაც. ვერცხლის მონეტების მიმოქცევაში გაშვების მომხრეებს სურდათ, რომ ოქროსთან ერთად ვერცხლიც ყოფილიყო ფულის სახით გამოყენებული. ეს წინადადება რომ მიეღოთ, ფულის მინოდება გაიზრდებოდა, რაც ფასების დონესაც გაზრდიდა და ფერმერთა ვალების სიმძიმესაც შეამსუბუქებდა.

ვერცხლის გარშემო ცხარე კამათი გაჩაღდა და ეს პრობლემა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა 1890-იანი წლების პოლიტიკოსთვის. პოპულისტებს შორის ფართოდ გავრცელდა ლოზუნგი: „ჩვენ დაგირავებულები ვართ. ყველაფერი დაგირავებულია, ჩვენი ხმების გარდა“. ვერცხლის მონეტების მიმოქცევაში გაშვების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მომხრე იყო უილიამ ჯენინგზ ბრაიანი, პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან 1896 წელს. ბრაიანი ისტორიაში ნაწილობრივ დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე წარმოთქმული შემდეგი ფრაზით შევიდა: „კაცობრიობა ოქროს ჯვარს არ უნდა ვაცვათ“.

ასე პოეტურად მას შემდეგ აღარავის ულაპარაკია მონეტარულ პოლიტიკაზე. მიუხედავად ამისა, არჩევნებში ბრაიანი დამარცხდა, პრეზიდენტი უილიამ მაკკინლი გახდა და შეერთებულმა შტატებმა ოქროს სტანდარტი შეინარჩუნა.

ლ. ფრენკ ბაუმი, „ოზის ქვეყნის ჯადოქარის“ ავტორი, შუა დასავლეთში მცხოვრები ყურნალისტი იყო. თავის საბავშვო წიგნში ბაუმმა პერსონაჟების პროტოტიპებად იმდროინდელი პოლიტიკური ბრძოლის მთავარი მონაწილეები გამოიყენა. იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე კომენტატორები სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას გეთავაზობენ პერსონაჟებთან დაკავშირებით, ერთი რამ მაინც უდავოა: ეს ზღაპარი ნათელს ჰფენს მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ დებატებს. ეკონომიკის ისტორიკოსი ჰიუ როკოფი „ჯორ-

# ახალი ამბებიდან

## როგორ დავიცვათ დანაზოგი ინფლაციისაგან

როგორც ვნახეთ, ფასების მოულოდნელი ცვლილების შედეგად ხდება სდიდრის გადანაწილება კრედიტორებსა და დებიტორებს შორის. ეს არ მოხდებოდა, სასესხო კონტრაქტები რომ ნომინალურ კი არა, რეალურ სიდიდეებს ითვალისწინებდეს. 1997 წელს აშშ-ს ხაზინამ დაინყო ობლიგაციების გამოშვება, რომელთა უკუგება ინფლაციის ინდექსის მიხედვით კორექტირდებოდა. წინამდებარე სტატიაში, რომელიც ამ ობლიგაციების გამოშვებამდე რამდენიმე თვით ადრე დაინერა, მოყვანილია ორი ცნობილი ეკონომისტის მსჯელობა ამ ობლიგაციების ღირსებებთან დაკავშირებით.



### ბრძელვადიანი პერიოდის ინფლაციის წინააღმდეგ მებრძოლნი

ჯონ კემპბელი და რობერტ შილერი

სამშაბათს ხაზინის მდივანმა რობერტ რუბინმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ინფლაციის ინდექსით კორექტირებული ობლიგაციების გამოშვებას გეგმავს. ეს არის ობლიგაციები, რომელთა სარგებლისა და ძირითადი თანხის დაფარვა ინფლაციის ინდექსის შესაბამისად მოხდება, რათა მათი მფლობელის მსყიდველობითი უნარიანობა სამომავლოდაც გარანტირებული იყოს.

ეს ისტორიული მომენტი. ეკონომისტები ასეთი ობლიგაციების საჭიროებას მრავალი წლის მანძილზე ამოვად ამტკიცებდნენ. პირველად კი ისინი ინგლისელმა ეკონომისტმა ჯოზეფ ლოუმ

ახსენა 1822 წელს. 1870-იან წლებში საკითხი კვლავ წამოჭრა ინგლისელმა უილიამ სტენლი ჯევონსმა. ამ საუკუნის დასაწყისში ლეგენდარულმა ირვინგ ფიშერმა ამგვარი ობლიგაციების მხარდაჭერით კარიერა გაიკეთა.

უკანასკნელ ათწლეულებში ყველანაირი პოლიტიკური შეხედულებების ეკონომისტებმა, დაწყებული მილტონ ფრიდმენით და ალან ბლანდერით, დამთავრებული ჯეიმს ტობინითა და ალან გრინსპენით, მხარი დაუჭირეს ინფლაციით კორექტირებული ობლიგაციების გამოშვებას. მიუხედავად ამისა, ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა, რადგან ხალხმა ამ ტიპის ფასიანი ქაღალდების შესახებ ბევრი არაფერი იცოდა.

იმედი ვიქონიით, რომ ახლა, როდესაც ეს ქაღალდები გამოვა, ინტერე-

სიც გაჩნდება. ინდექსირებული ობლიგაციების წარმატება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ საზოგადოება მათი არსის გაგებას. აქამდე ინფლაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფო ობლიგაციებს. 1966 წელს, როდესაც ინფლაციის დონე წელიწადში 3% იყო, თუქსონმე 30-წლიან ობლიგაციას შეიძენდნენ, წლიური 5%-იანი განაკვეთით, იკრავდნენ, რომ სადღეისოდ ეს ობლიგაციები თავიანთი თავდაპირველი ღირებულების 180%-ს შეადგენდნენ. რეალურად კი, მოსალოდნელზე უფრო მაღალი ინფლაციის წყალობით დღევანდელი ინფლაციები თავიანთი თავდაპირველი ღირებულების მხოლოდ 85%-ს უტოლდება.

უკანასკნელ წლებში ინფლაციის სიმცირის გამო ბევრი ადამიანი არ ფი-

ნელ ოვ ფოლითიქალ იქონომის“ 1990 წლის აგვისტოს ნომერში ასეთ ინტერპრეტაციას ვგთავაზობს:



აღრეული დებატები მონეტარული პოლიტიკის შესახებ

**დოროთი:** ტრადიციული ამერიკული ფასეულობანი  
**ტოტო:** პროპიბიციონისტური პარტია, რომელსაც თიტოტალერებსაც უწოდებდნენ  
**საფრთხობელა:** ფერმერები  
**რკინის ტყეკაფია:** ინდუსტრიის მშრომელები  
**მშისარა ლომი:** უილიამ ჯენინგზ ბრაიანი  
**აღმოსავლეთის ბოროტი ჯადოქარი:** გროვერ ქლივლენდი  
**დასავლეთის ბოროტი ჯადოქარი:** უილიამ მაკკინლი  
**ჯადოქარი:** მარკუს ალონზო შანა, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე  
**ოზი:** ერთი უნცია ოქროს აბრევიატურა  
**ყვითელი აგურის გზა:** ოქროს სტანდარტი  
**ბაუმის ამბის დასასრულს,** დოროთი სახლის გზას პოულობს, მაგრამ არა მხოლოდ ყვითელი აგურის გზის მეშვეობით. გრძელი და სახიფათო მოგზაურობის შემდეგ დოროთი

ქრობდა ამ საფრთხეზე. ეს უზრუნვე-  
ლობა სახიფათოა, რადგან დანაზოგი,  
თვით მცირე ინფლაციის პირობებშიც  
კი, გრძელვადიან პერიოდში შეიძლება  
სერიოზულად შემცირდეს.

წარმოიდგინეთ, რომ დღეს პენსიაზე  
გახვედით და სახელმწიფო ფასიანი ქა-  
ღალდების მფლობელი ხართ, რამაც  
ყოველწლიურად ფიქსირებული \$10000  
უნდა მოგტყუოს. თუ ინფლაცია არ იქნება,  
20 წლის შემდეგ მათ იგივე მსყიდველო-  
ბითი უნარი ექნება, რაც დღეს; მაგრამ  
თუ ინფლაცია წელიწადში 3% იქნება, 20  
წელიწადში იმ დროის \$10000-ის მსყიდ-  
ველობითი უნარი დღევანდელ \$5540-ს  
გაუტოვდება. 5%-იანი ინფლაცია ამ  
უნარს \$3770-მდე ჩამოსწევს, ხოლო თუ  
ინფლაციამ წელიწადში 10% შეადგინა,  
დღევანდელი \$10000-ის მსყიდველო-  
ბითი უნარი 20 წლის შემდეგ დღევან-  
დელი \$1390-ის ტოლი იქნება.

ამ სცენარებიდან რომელია უფრო  
მოსალოდნელი? ეს არავინ იცის. ინფლა-  
ცია საბოლოოდ იმათზეა დამოკიდე-  
ბული, ვისაც ჩვენ ვირჩევთ და ვნიშნავთ  
ფულის მიწოდების მმართველებად.

იმის გათვალისწინებით, რომ ამე-  
რიკელები უფრო დიდხანს ცოცხლობენ  
და იმედი აქვთ, რომ პენსიაზე გასვლის  
შემდეგ რამდენიმე ათწლეულს იცო-  
ცხლებენ, ინფლაციის ეფექტზე ფიქრი  
კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.  
სწორედ ამიტომ ინფლაციისაგან და-

ცული ინდექსირებული ობლიგაციების  
გამოშვება, რომლებიც მათი ღირებუ-  
ლების შენარჩუნების გარანტიას გვა-  
ძლევს, ნამდვილად მისასალმებელია.

არც ერთი სხვა ინვესტიცია არ გვთა-  
ვაზობს ასეთ უსაფრთხოებას. ჩვეულებ-  
რივი ობლიგაციების გადახდა დო-  
ლარის რაოდენობის მიხედვით ხდება.  
ინვესტორები კი არა მიღებული დო-  
ლარების რაოდენობით, არამედ თანხის  
მსყიდველობითი უნარით უნდა იყვნენ  
დაინტერესებული. ფულადი ბაზრის  
ფონდები დოლარით გვიხდებიან. მართა-  
ლია, გადახდილი თანხის რაოდენობა  
ინფლაციასთან ერთად იზრდება, რად-  
გან მოკლევადიანი სარგებლის განა-  
კვეთები ინფლაციასთან ერთად ზრდის  
ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ გა-  
ნაკვეთებზე სხვა მრავალი ფაქტორიც  
ახდენს გავლენას, ასე რომ ფულადი  
ბაზრებიდან მიღებული რეალური შემო-  
სავალი დატყული არ არის.

აქციების ბაზარი საკმაოდ მაღალ  
საშუალო განაკვეთებს გვთავაზობს,  
მაგრამ ის შეიძლება სწრაფად გაიზარ-  
დოს ან შემცირდეს. ინვესტორებს უნდა  
ახსოვდეთ 1970-იანი წლების დათვების  
და 1980-1990-იანი წლების ხარების ბაზ-  
რები.

ინფლაციით ინდექსირებული სა-  
ხელმწიფო ობლიგაციები ინგლისში  
15 წლით გამოდის, კანადაში - ხუთი  
წლით. ეს ობლიგაციები შემოღებულია

სხვა მრავალ ქვეყანაშიც, მათ შორის  
ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და  
შვედეთში. ბრიტანეთში, რომელსაც  
ინდექსირებული ობლიგაციების მსო-  
ფლიოში ყველაზე დიდი ბაზარი აქვს,  
ეს ფასიანი ქაღალდები ინფლაციის  
დონეზე 3-4%-ით მაღალ შემოსავალს  
იძლევა. აშშ-ში ამგვარმა დაზღვეულმა  
და გრძელვადიანმა შემოსავლებმა  
საპენსიო დანაზოგების მნიშვნელო-  
ვანი წილი უნდა შეადგინოს.

ვიმედოვნებთ, რომ ფინანსური ინს-  
ტიტუტები გამოიყენებენ ამ სიახლის  
უპირატესობებს და ინოვაციურ პრო-  
დუქტს შესთავაზებენ ხალხს. პირველად  
ალბათ ინდექსირებული ობლიგაციების  
ფონდები გაჩნდება, თუმცა მოსალოდ-  
ნელია ინდექსირებული იპოთეკის (ყო-  
ველთვიური გადახდები ინფლაციის შე-  
საბამისი იქნება) გამოჩენაც.

[ავტორის შენიშვნა: ამ სტატიის  
გამოსვლის შემდეგ ზოგი ნახსენები  
პროდუქტი უკვე არსებობს ბაზარზე,  
თუმცა ჯერჯერობით ფართოდ არ არის  
გავრცელებული.]

კლინტონის ადმინისტრაციას ამ გა-  
დაწყვეტილებამ სადღესოდ შესაძლოა  
დიდი პოპულარობა არ შემატოს, მა-  
გრამ მომავალი ათწლეულების ისტო-  
რიკოსები ინფლაციით ინდექსირებული  
ობლიგაციების გამოშვებას მნიშვნელო-  
ვან მოვლენათა შორის მოიხსენიებენ.

წყარო: „ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1996 წ. 18 მაისი

შეიტყობს, რომ ჯადოქარს არ შეუძლია მისი და მისი მეგობრების დახმარება. საბოლოოდ,  
დოროთი თავისი ვერცხლის ქოშების ჯადოსნურ ძალას აღმოაჩინეს (1939 წელს ამ ზღაპ-  
რის მიხედვით გადაღებულ ფილმში დოროთის ვერცხლის ნაცვლად ლალის ქოშები აცვია.  
ამჟამად, პოლიგუდელებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ მეცხრამეტე საუკუნის  
მონეტარული პოლიტიკის ამბავს ყვებოდნენ).

ვერცხლის ფულის მოჭრასთან დაკავშირებულ დებატებში განცდილი მარცხის მიუხედა-  
ვად, პოპულისტებმა საბოლოოდ მაინც მიიღწიეს მონეტარული პოლიტიკის გაფართოებასა  
და მათთვის სასურველ ინფლაციას. 1898 წელს გეოლოგებმა ოქრო აღმოაჩინეს ალასკაზე,  
მდინარე კლონდაიკის მახლობლად. ამას გარდა, გაიზარდა ოქროს მინოდება კანადის იუკონ-  
ნიდან და სამხრეთ აფრიკის ოქროს საბადოებიდან. ამის შედეგად, როგორც შეერთებულ  
შტატებში, ისე ოქროს სტანდარტის მქონე სხვა ქვეყნებში ფულის მიწოდებამ და ფასების  
დონემ ზრდა იწყო. 15 წლის შემდეგ შეერთებულ შტატებში ფასები იმ დონემდე გაიზარდა,  
რომელიც 1880 წელს არსებობდა, და ფერმერებმაც უფრო ადვილად შეძლეს თავიანთი  
ვალების გასტუმრება. •

## სწრაფი

**ბამოკითხვა:** ჩამოთვალეთ და აღწერეთ ინფლაციის ექვსი დანახარჯი.

ამ თავში ინფლაციის მიზეზებსა და მასთან დაკავშირებულ დანახარჯებზე ვილაპარაკებთ ინფლაციის ძირითადი მიზეზი ფულის რაოდენობის ზრდაა. როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის დიდ რაოდენობას ქმნის, ფულის ღირებულება სწრაფად მცირდება. სტაბილური ფასების შენარჩუნების მიზნით ცენტრალურმა ბანკმა მკაცრი კონტროლი უნდა შეინარჩუნოს ფულის მიწოდებაზე.

ინფლაციის დანახარჯები უფრო რთული თემაა. ეს დანახარჯები შეიცავს „გაცვეთილ ფეხსაცმლის“ დანახარჯებს, „მენიუს“ დანახარჯებს, ფარდობითი ფასების გაზრდილ ცვალებადობას, საგადასახადო ვალდებულებების მოულოდნელ ცვლილებებს, მოუწესრიგებლობასა და სიმდიდრის შემთხვევით გადანაწილებას. დიდია თუ მცირე ეს დანახარჯები მთლიანობაში? ეკონომისტები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ჰიპერინფლაციის დროს ეს დანახარჯები უზარმაზარია. მაგრამ ამ დანახარჯების სიდიდე ზომიერი ინფლაციის დროს – როდესაც ფასების ნლიური ზრდა 10 პროცენტს არ აღემატება – ჯერ კიდევ მსჯელობის საგანია.

იმის მიუხედავად, რომ ამ თავში ინფლაციასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები განვიხილეთ, საკითხი ამით არ ამოიწურება. რაოდენობრივი თეორიის მიხედვით, როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის რაოდენობის ზრდის სიჩქარეს ამცირებს, ფასები უფრო ნელა იზრდება. მაგრამ, როდესაც ეკონომიკა ინფლაციის ან დაბალ დონეზე გადადის, მონეტარული პოლიტიკის ცვლილება უარყოფითად მოქმედებს წარმოებასა და დასაქმებაზე. ესე იგი, იმის მიუხედავად, რომ მონეტარული პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში ნეიტრალურია, ის მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს რეალურ ცვლადებზე მოკლევადიან პერიოდში. მოგვიანებით მოკლევადიანი პერიოდის მონეტარულ არანეიტრალიტეტსაც შევისწავლით, რათა უკეთ გავიგოთ ინფლაციის მიზეზები და დანახარჯები.

**შეჯამება**

- ეკონომიკაში არსებული ფასების საერთო დონე თვითრეგულირდება ფულის მიწოდებისა და ფულზე მოთხოვნის სრულ განონასწორებამდე. როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას ზრდის, ფასების დონე იზრდება. ფულის მიწოდების რაოდენობის უწყვეტი ზრდა ხანგრძლივ ინფლაციას იწვევს.
- მონეტარული ნეიტრალიტეტის პრინციპის თანახმად, ფულის რაოდენობის ცვლილება ზემოქმედებს არა რეალურ, არამედ ნომინალურ ცვლადებზე. ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ მონეტარული ნეიტრალიტეტი აღწერს ეკონომიკის ქცევას გრძელვადიან პერიოდში.
- მთავრობას საკუთარი ვალდებულების გადახდა მარტივად, ფულის ბეჭდვით შეუძლია. როდესაც ქვეყნები დიდ მიდრეკილებას იჩენენ ამ „ინფლაციის გადასახადისკენ“, შედეგად ჰიპერინფლაციას იღებენ.
- მონეტარული ნეიტრალიტეტის პრინციპის ერთ-ერთი პრაქტიკული მაგალითია ფიშერის ეფექტი. ფიშერის ეფექტის თანახმად, როდესაც ინფლაციის დონე იზრდება, სარგებლის ნომინალური განაკვეთიც ამავე სიდიდით იზრდება, რის შედეგ-

- გადაც სარგებლის რეალური განაკვეთი უცვლელი რჩება.
- ბევრი ადამიანი თვლის, რომ ინფლაცია მას ალარობებს, რადგან იმის ღირებულების ზრდას იწვევს, რასაც ეს ადამიანი ყიდულობს. მაგრამ ეს აზრი მცდარია, რადგან ინფლაცია ნომინალურ შემოსავალსაც ზრდის.
- ეკონომისტები ინფლაციის ექვსი სახის დანახარჯს განასხვავებენ: „გაცვეთილი ფეხსაცმლის“ დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ნაღდი ფულის შემცირებასთან, „მენიუს“ დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ფასების უფრო ხშირ რეგულირებასთან, ფარდობითი ფასების ცვალებადობის ზრდა, საგადასახადო კოდექსის ინდექსაციის არარსებობით გამოწვეული საგადასახადო ვალდებულებების დაუფგამავი ცვლილება, არეულობა და მოუქნელობა, რაც ზომის ერთეულის ცვლილებასთანაა დაკავშირებული, და დებიტორებსა და კრედიტორებს შორის სიმდიდრის შემთხვევითი გადანაწილება. ჰიპერინფლაციის დროს ეს დანახარჯები უზარმაზარია, ხოლო ზომიერი ინფლაციის დროს მათი მასშტაბები დაუდგენელია.

## პირითაღი ცნაზაბი

ფულის რაოდენობრივი თეორია, გვ. 633  
ნომინალური ცვლადები, გვ. 635  
რეალური ცვლადები, გვ. 635  
კლასიკური დიქტომია, გვ. 635

მონეტარული ნეიტრალიტეტი, გვ. 636  
ფულის ბრუნვის სიჩქარე, გვ. 636  
რაოდენობრივი განტოლება, გვ. 637  
ინფლაციის გადასახადი, გვ. 639

ფიშერის ეფექტი, გვ. 642  
„გაცვეთილი ფეხსაცმლის“  
დანახარჯები, გვ. 644  
„მენიუს“ დანახარჯები, გვ. 645

## პითხვები ზამეოკაბისთვის

1. ახსენით, როგორ მოქმედებს ფასების დონის ზრდა ფულის რეალურ ლირებულებაზე.
2. ფულის რაოდენობრივი თეორიიდან გამომდინარე, რა შედეგები მოჰყვება ფულის რაოდენობის ზრდას?
3. ახსენით განსხვავება ნომინალურ და რეალურ ცვლადებს შორის. მოიყვანეთ ორ-ორი მაგალითი. მონეტარული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, რომელ ცვლადებზე მოქმედებს ფულის რაოდენობის ცვლილება?
4. რით ჰგავს ინფლაცია გადასახადს? რატომ აიხსნება ჰიპერინფლაცია უფრო მარტივად, როცა ინფლაციას განვიხილავთ, როგორც გადასახადს?
5. ფიშერის ეფექტიდან გამომდინარე, როგორ მოქმედებს ინფლაციის დონის ზრდა სარგებლის რეალურ განაკვეთსა და სარგებლის ნომინალურ განაკვეთზე?
6. როგორია ინფლაციის დანახარჯები? რომელი დანახარჯებია, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი აშშ-ს ეკონომიკისთვის?
7. თუ ინფლაცია მოულოდნელია, ვინ იღებს სარგებლობას – დებიტორები თუ კრედიტორები? ახსენით.

## სამარჯიშოები

1. დავუშვათ, წლევეანდელი ფულის მიწოდება 500 მილიარდს შეადგენს, ნომინალური მშპ 10 ტრილიონია, რეალური მშპ კი – 5 ტრილიონი.
  - ა) როგორი იქნება ფასების დონე? როგორი იქნება ფულის ბრუნვის სიჩქარე?
  - ბ) დავუშვათ, ბრუნვის სიჩქარე მუდმივია და წარმოებისა და მომსახურების დონე წელიწადში 5%-ით იზრდება. როგორი იქნება ნომინალური მშპ და ფასების დონე შემდეგ წელს, თუ ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის მიწოდების იმავე დონეს შეინარჩუნებს?
  - გ) ფულის მიწოდების როგორი დონე უნდა დააწესოს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შემდეგი წლისთვის, რათა ფასების წლევეანდელი დონე შეინარჩუნოს?
  - დ) ფულის მიწოდების როგორი დონე უნდა დააწესოს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შემდეგი წლისთვის, თუ უნდა, რომ ინფლაცია 10 პროცენტი იყოს?
2. დავუშვათ, საბანკო რეგულირებაში მომხდარმა ცვლილებებმა საკრედიტო ბარათები უფრო ხელმისაწვდომი გახადა და ადამიანებს ნაკლები ნაღდი ფული სჭირდებათ.
  - ა) რა გავლენას მოახდენს ეს მოვლენა ფულზე მოთხოვნაზე?
  - ბ) თუ ფედერალური სარეზერვო სისტემა ამ მოვლენას ყურადღებას არ მიაქცევს, რა მოუვა ფასების დონეს?
3. ხშირად მიიჩნევენ, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ინფლაციის ნულოვანი ტემპს უნდა მიაღწიოს. თუ დავუშვებთ, რომ ფულის სიჩქარე მუდმივია, ინფლაციის მუდმივობის პირობებში საჭირო იქნება თუ არა, რომ ფულის მასის ზრდაც ნულის ტოლი იყოს? თუ – კი, ახსენით, რატომ. თუ – არა, დაასახელეთ ფულის მასის ზრდის საჭირო ტემპი.
4. დავუშვათ, ინფლაციის დონე ქვეყანაში სწრაფად იზრდება. რა მოუვა ფულის მფლობელების ინფლაციის გადასახადს? რატომ არ ექვემდებარება შემნახველ ანგარიშებზე შენახული ფული ინფლაციის გადასახადის ცვლილებებს? შეიძლება თუ არა, ამ ანგარიშების მფლობელები ინფლაციის დონის ზრდის შედეგად დაზარალდნენ?
5. ჰიპერინფლაცია უალრესად იშვიათი მოვლენაა იმ ქვეყნებში, რომელთა ცენტრალური ბანკები ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი არიან. რატომ?
6. დავუშვათ, ინფლაციის ეფექტი ეკონომიკაზე მხოლოდ ორ ადამიანს ეხება. ესენი არიან ბობი, რომელსაც ლობიო მოჰყავს და რიტა, რომელსაც ბრინჯი მოჰყავს. ბობი და რიტა ყოველთვის თანაბარი რაოდენობის ლობიოსა და ბრინჯს მოიხმარენ 2005 წელს ლობიოს ფასი 1 დოლარი იყო, ბრინჯისა კი – 3 დოლარი.

- ა) ვთქვათ, 2006 წელს ლობიოს ფასი \$2 გახდა, ბრინჯის ფასი კი – \$6. როგორი იყო ინფლაციის დონე? გაუმჯობესდა, გაუარესდა თუ უცვლელი დარჩა ბობის ეკონომიკური მდგომარეობა ფასების ასეთი ცვლილების შედეგად? რა შეიძლება ითქვას რიტას შესახებ?
- ბ) დავუშვათ, ლობიოს ფასი 2006 წელს \$2 იყო, ბრინჯის ფასი კი – \$4. როგორი იყო ინფლაციის დონე? გაუმჯობესდა, გაუარესდა თუ უცვლელი დარჩა ბობის ეკონომიკური მდგომარეობა ფასების ცვლილების შედეგად? რა შეიძლება ითქვას რიტას შესახებ?
- გ) დაბოლოს, დავუშვათ, 2006 წელს ლობიოს ფასი \$2 იყო, ხოლო ბრინჯის ფასი – \$1,50. როგორი იყო ინფლაციის დონე? გაუმჯობესდა, გაუარესდა თუ უცვლელი დარჩა ბობის ეკონომიკური მდგომარეობა ფასების ასეთი ცვლილების შედეგად? რა შეიძლება ითქვას რიტას შესახებ?
- დ) რა უფრო მნიშვნელოვანია ბობისა და რიტასათვის — ინფლაციის საერთო დონე თუ ბრინჯისა და ლობიოს შედარებითი ფასი?
7. გადასახადის განაკვეთი 40%-ია. გამოთვალეთ სარგებლის რეალური განაკვეთი გადასახადამდე და გადასახადის გადახდის შემდგომ შემდეგი შემთხვევებისათვის:
- ა) ნომინალური განაკვეთი 10%-ია, ხოლო ინფლაცია – 5%;
- ბ) ნომინალური განაკვეთი 6%-ია, ხოლო ინფლაცია – 2%;
- გ) ნომინალური განაკვეთი 4%-ია, ხოლო ინფლაცია – 1%.
8. როგორია თქვენთვის „გაცვეთილი ფეხსაცმლის“ დანახარჯები ბანკში სტუმრობასთან დაკავშირებით? როგორ გამოხატავდით ამ დანახარჯებს დოლარებში? თქვენი აზრით, რით განსხვავდება თქვენ კოლეჯის პრეზიდენტის „გაცვეთილი ფეხსაცმლის“ დანახარჯები თქვენი დანაკარგებისგან?
9. გაიხსენეთ, რომ ეკონომიკაში ფული სამ ფუნქციას ასრულებს. რა ფუნქციებია ეს? როგორ მოქმედებ ინფლაცია ფულის უნარზე, შეასრულოს თითოეული ეს ფუნქცია?
10. დავუშვათ, ამერიკელები ვარაუდობენ, რომ ინფლაცია 3 პროცენტის ტოლი იქნება, მაგრამ ფასები პროცენტით იზრდება. რა ზარალს თუ სარგებლობას მოუტანს ასეთი მოულოდნელი ინფლაცია:
- ა) ფედერალურ მთავრობას?
- ბ) სახლის მფლობელს, რომლის გირაოს განაკვეთიც მუდმივია?
- გ) პროფკავშირის წევრ მშრომელს შრომის კონტრაქტის მეორე წელს?
- დ) კოლეჯს, რომელმაც თავისი ქონების ნაწილი ხაზინის ობლიგაციებში დააბანდა?
11. ახსენით ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მოულოდნელ ინფლაციასთან, მაგრამ არ არის დაკავშირებული მოსალოდნელ ინფლაციასთან.
12. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან რომელია ჭეშმარიტი და რომელი – მცდარი?
- ა) „ინფლაცია მსესხებლებს აზარალებს და გამსესხებლებს ეხმარება, რადგან მსესხებლები იძულებულნი არიან, სარგებლის უფრო დიდი განაკვეთი გადაიხადონ“.
- ბ) „თუ ფასები ისე იცვლება, რომ ფასების საერთო დონე უცვლელი რჩება, არავის ეკონომიკური მდგომარეობა არ უმჯობესდება და არ უარესდება“.
- გ) „ინფლაცია არ ამცირებს მშრომელთა უმრავლესობის მსყიდველობით უნარს“.



ამ თავში მოცემული საკითხების, ამოცანების, მაგალითების, სწრაფი გამოკითხვისა და ა.შ. შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის ესტუმრეთ ვებ-გვერდს <http://mankiw.swlearning.com>.

## თემა 7. ეკონომიკური ციკლები

წინამდებარე სახელმძღვანელოს მაკროეკონომიკის განყოფილებაში განვიხილეთ ძირითადი ეკონომიკური ცვლადების გრძელვადიანი დეტერმინანტები. თუმცა ადამიანთა უმრავლესობისთვის აშკარად საგრძნობს მოკლევადიანი რყევები წარმოადგენს. დროთა განმავლობაში, ეკონომიკებში ხდება რყევები შედარებით სტაბილურ პერიოდებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის შემცირება, ინფლაციის შედარებით დაბალი და სტაბილური დონე, და იმ პერიოდებს შორის, როდესაც ეკონომიკური ზრდა მცირდება და უმუშევრობა იზრდება. ზრდისა და დაცემის ამ პერიოდების ერთობლიობას ეწოდება **ეკონომიკური ციკლი**. ეკონომიკური ციკლების პირველი გამოკვლევა ეკუთვნის ამერიკელ ეკონომისტებს **უესლი კ. მიტჩელს** და **არტურ ფ. ბერნსს**. 1946 წელს გამოქვეყნებულ მათ წიგნში „*ეკონომიკური ციკლების შეფასება*“ განხილულია თუ როგორ იცვლება სხვადასხვა ეკონომიკური ცვლადები ეკონომიკური ზრდის ცვლილების შედეგად. ბერნსსა და მიტჩელს სურდათ შეესწავლათ, თუ რატომ გადაადგილდებიან ეკონომიკური ცვლადები ეკონომიკური დაცემის შესაბამისად; მათ **რეცესია** განსაზღვრეს, როგორც პერიოდი, რომელსაც ახასიათებს შემოსავლების შემცირება და უმუშევრობის ზრდა, რაც უარყოფითი ზრდის ორი თანმიმდევრული კვარტლის შემდეგ ხდება. თუ ზრდის ასეთი კლება გრძელდება და კიდევ უფრო მძიმეა, ეს შეიძლება შეფასდეს როგორც **დეპრესია**.

**რეცესია** - რეალური შემოსავლების შემცირებისა და უმუშევრობის ზრდის პერიოდი, რომელიც ორი თანმიმდევრული კვარტლის უარყოფითი ეკონომიკური ზრდის შემდეგ ხდება.

**დეპრესია** - მძიმე რეცესია.

ეკონომიკური ციკლის გაანალიზება შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის პერიოდებზე დაკვირვებით, საქმიანობის პიკების და ვარდნის უდაბლესი წერტილების იდენტიფიცირებით, სადაც თითოეული მათგანი გარდამტეხ წერტილებს წარმოადგენს. **პიკი** დგება მაშინ, როდესაც გამოშვება, დასაქმება და სხვა ცვლადები, როგორცაა საცალო

გაყიდვები ან გადამამუშავებელი წარმოების მოცულობა ერთად იწყებს შემცირებას. ვარდნის უდაბლესი წერტილი ეხება იმ დროს, როდესაც ეკონომიკური ცვლადების დაცემა წყდება და ისინი ზრდას იწყებენ. იმის დადგენა, თუ როდის იწყება ეს მოვლენები რთულია მასში ჩართული მონაცემების და მათი შეფასების მეთოდის კომპლექსურობის გამო. გარდა ამისა, ზოგიერთი ეკონომიკური ცვლადი, როგორცაა დასაქმება, შეიძლება არ შეიცვალოს სხვებთან ერთად და განიხილებოდეს, როგორც „ჩამორჩენილი ინდიკატორი“.

**პიკი** -წერტილი, სადაც დაკავშირებული ეკონომიკური ცვლადები აღწევენ თავიანთ მაქსიმუმს და შემცირებას იწყებენ.

**ვარდნის უდაბლესი წერტილი** - როდესაც დაკავშირებული ეკონომიკური ცვლადების დაცემა წყდება და ისინი იწყებენ ზრდას.

მეცნიერებს შორის მნიშვნელოვანი უთანხმოება არსებობს იმის თაობაზე, თუ რა იწვევს ეკონომიკურ საქმიანობაში მოკლევადიან ცვლილებებს. ტერმინი „ციკლი“ შეიძლება გულისხმობდეს, რომ გაფართოება და შემცირება ჩვეულებრივი პრაქტიკის ნაწილია, მაგრამ ეს ასე არ არის. არ არსებობს პიკებსა და ვარდნის უდაბლეს წერტილებს შორის პერიოდების, არც ეკონომიკის აღმავლობისა და ვარდნის ხანგრძლივობის კონკრეტული ნიმუში. გაერთიანებულ სამეფოში, 1920-24 წლების რეცესიაში, მაგალითად, პირველი 18 თვის განმავლობაში მთლიანი სამამულო პროდუქტი (მსპ;GDP) პიკური მაჩვენებლიდან დაახლოებით 9 პროცენტით შემცირდა და შემდეგ კიდევ 27 თვე დასჭირდა, რათა რეცესიის წინა პიკურ მაჩვენებელს დაბრუნებოდა; მომდევნო 12 თვეში იგი გაიზარდა და რეცესიის წინა პიკურ მაჩვენებელს დაახლოებით 4 პროცენტით გადააჭარბა. 1930-34 წლებში, ეკონომიკის აღდგენას დაახლოებით 48 თვე დასჭირდა, რათა რეცესიის წინა პიკურ მაჩვენებელამდე მიეღწია, მაგრამ ეკონომიკა, რეცესიის წინა პიკურ მაჩვენებელთან შედარებით, „მხოლოდ“ დაახლოებით 7 პროცენტით დაეცა. 1990-93 წლების რეცესიის პერიოდში, ეკონომიკას აღდგენას დაახლოებით 32 თვე დასჭირდა, მაგრამ ამის შემდეგ 8 პროცენტით გაიზარდა და რეცესიის წინა პიკურ მაჩვენებელს გადააჭარბა. 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის დროს ეკონომიკა დაახლოებით 6 პროცენტით დაეცა რეცესიის წინა პიკურ მაჩვენებელთან შედარებით და 2013/14 წლებამდე კრიზისამდელ დონეს ვერ მიაღწია. მოკლევადიანი რყევების მიზეზები ეკონომიკური ციკლის თეორიის ნაწილია. ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მოდელები არსებობს, მოკლევადიანი რყევების მიზეზების შესახებ ეკონომისტებს შორის არსებულ უთანხმოებას ასახავს.

თეორიულად არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ეკონომიკური ციკლები წარმოიშვება. თუ ფაქტორული რესურსები სრულადაა გამოყენებული, ინვესტიციები საკმარისია ცვეთის კომპენსირებისათვის, ხოლო შრომის პროდუქტიულობა სტაბილურია, მაშინ ეკონომიკას შეუძლია, განაგრძოს ზრდა. ამასთანავე, მოხმარებისა და მთავრობის ხარჯების ცვლილებების შედეგად ეკონომიკაში გაჩენილმა ძვრებმა, სრული დასაქმების დროს, გამოშვების მოცულობის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს. ბაზრებზე წარმოშობილმა



სიხისტემ შეიძლება პრობლემები გაამძაფროს და ეკონომიკაში უფრო ფართო არასტაბილურობა განაპირობოს. ეს მოსაზრება მოთხოვნის მხარიდან მოკლევადიანი რყევის ახსნა იქნებოდა.

სხვა განმარტებები ეხება პროდუქტიულობის დონეების ცვლილებებს ტექნოლოგიური ცვლილების ან მუშახელის რეალური ხელფასების გაზრდის შედეგად. მოკლევადიანი რყევების შესახებ ბევრი დისკუსია მონეტარული პოლიტიკის როლზე იყო ორიენტირებული. ცენტრალური ბანკების მიერ სარგებლის განაკვეთების ზრდის ან შემცირების და ფულის მასის ცვლილების შედეგად, მოკლევადიანი რყევები მოსალოდნელი ხდება. ბოლო 30 წლის განმავლობაში ეკონომიკური კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იმ მოდელების შემუშავება, რაც ცენტრალური ბანკების გადაწყვეტილებების მიღების შესახებ ინფორმირებულობას უწყობდა ხელს.

## ტრენდული ზრდის ტემპები

მონაცემების უმეტესობა, რომელსაც ამ თავში განვიხილავთ, კლასიფიცირებულია, როგორც დროითი რიგის მონაცემები, დროის პერიოდის განმავლობაში ცვლადზე დაკვირვებები, რომლებიც დროის მიხედვით არის დაჯგუფებული. ეკონომიკური ციკლების ანალიზში მთავარია მსკ დროის სხვადასხვა პერიოდში. ნახაზი 7.1 აჩვენებს ორ გრაფიკს: პანელი (a) გვიჩვენებს მსკ-ს გაერთიანებულ სამეფოში 1960-2014 წლებში. მსკ-ს სიდიდე მოცემულია ვერტიკალურ ღერძზე და გამოხატულია აშშ დოლარებში. ჰორიზონტალური ღერძი არის დროის პერიოდი წლების მიხედვით. პანელში (b) მოცემულია მსკ მთელ ევროკავშირში დროის იმავე პერიოდში.

**დროითი რიგის მონაცემები** - დროის პერიოდის განმავლობაში ცვლადზე დაკვირვებები, რომლებიც დროის მიხედვით არის დაჯგუფებულნი.

პანელი (a) გვიჩვენებს, რომ გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკის ღირებულება 1960 წელს იყო დაახლოებით \$72 მილიარდი, ხოლო 2014 წლისთვის გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკა თითქმის \$3 ტრილიონს უტოლდებოდა. პანელი (b) გვიჩვენებს, რომ 1960 წელს ევროკავშირის ეკონომიკის ღირებულება \$365 მილიარდს შეადგენდა, მაგრამ 2014 წელს ის \$18 ტრილიონამდე გაიზარდა. ორივე შემთხვევაში დაემატა ტრენდის ხაზი, რაც გვიჩვენებს, თუ როგორ გაიზარდა დროთა განმავლობაში გაერთიანებული სამეფოს და ევროკავშირის მსკ-ები. იგი ასევე გვიჩვენებს, თუ როგორ მერყეობს რეალური მსკ ტრენდის ირგვლივ.


დებატებში იმის შესახებ, თუ რა იწვევს მოკლევადიან რყევებს, ყურადღება ასევე გამახვილებულია პოლიტიკურ რეაგირებასა და სოციალური უზრუნველყოფის საჭიროებებზე. სოციალური უზრუნველყოფის საკითხები წარმოიშობა მაშინ, როდესაც ეკონომიკა გარკვეულწილად გამოდის თავისი წონასწორობის ფარგლებიდან. ამ შემთხვევაში

აუცილებელია პოლიტიკა, რომელიც მიმართულია წამოჭრილი სოციალური პრობლემების მოგვარებისკენ. ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ეკონომიკა კი არ გამოდის თავისი წონასწორობის ფარგლებიდან, არამედ წონასწორობის ერთი წერტილიდან მეორეზე გადაადგილდება. თუ ეს ასეა, მათი აზრით, პოლიტიკა არ არის საჭირო, რადგან ეკონომიკის წონასწორულ მდგომარეობაში სოციალური უზრუნველყოფის პრობლემებიც არ წამოიჭრება.

## ნახაზი 7.1.

### მსკ გაერთიანებულ სამეფოსა და ევროპაში, 1961-2014

პანელი (a) გვიჩვენებს მსკ-ს გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც შეფასებულია აშშ დოლარის მიმდინარე კურსით, ვერტიკალურ ღერძზე - იგივე მაჩვენებელი 1960-2014 წლების პერიოდში. პანელი (b) გვიჩვენებს მსკ-ს მთელ ევროკავშირში (ასევე აშშ დოლარში მიმდინარე კურსით) დროის იმავე პერიოდის განმავლობაში. ორივე პანელს დაემატა ტრენდის ხაზი.



## მონაცემთა ცნებები


ნახაზი 7.2 გვიჩვენებს გაერთიანებული სამეფოს მსკ-ს ზრდის ტემპს 1960 წლიდან 2014 წლამდე. ამ ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ ზრდის ტემპი დროის პერიოდების მიხედვით მერყეობს. 1962 წლიდან ზრდა დაჩქარდა და 1964 წელს 5 პროცენტს მიაღწია, ხოლო 1964 წლიდან 1968 წლამდე იგი შენედა. ამის შემდეგ, ზრდა კვლავ დაჩქარდა და 1973 წელს 7.3 პროცენტს მიაღწია, სანამ ეკონომიკა მკვეთრად დაეცემოდა და ეკონომიკური აქტივობა ფაქტობრივად შემცირდებოდა 1974 და 1975 წლებში. შემდეგი რეცესიები მოხდა 1980-იანი

და 1990-იანი წლების დასაწყისში და მუდმივი ზრდის 15-წლიანი პერიოდის შემდეგ, დრამატულად დასრულდა 2008 წელს, როდესაც ეკონომიკა შემცირდა. 2009 წელს, ეკონომიკა კიდევ 4 პროცენტით შემცირდა. ზრდა კვლავ აღდგა 2010 წელს, მაგრამ შედარებით დაბალ დონეზე იყო, სანამ 2013 წელს პიკს მიაღწევდა.

**ნახაზი 7.2.**

**მსკ-ს ზრდის ტემპი გაერთიანებულ სამეფოში, 1961-2014 (%)**

გაერთიანებული სამეფოს მსკ, დროის სხვადასხვა პერიოდში, პიკსა და ვარდნის უდაბლეს წერტილებს შორის მერყეობს. ზოგიერთ შემთხვევაში, მსკ-ს ზრდა დადებითია რამდენიმე წლის განმავლობაში და ამ დროს ეკონომიკაც იზრდება, მაგრამ სხვა წლებში მსკ-ს ზრდა უარყოფითია და ეკონომიკა მცირდება.



როდესაც ეკონომიკური აქტივობა ჩქარდება და ზრდის ტემპი ყოველწლიურად იზრდება, ეს გაფართოების პერიოდს წარმოადგენს. პროდუქტის წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპის დაჩქარების მიხედვით, ის შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც ბუმი.

2003 წელს, გაერთიანებული სამეფოს მსკ 3.8 პროცენტით გაიზარდა, 2004 წელს კი - 2.9 პროცენტით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკური აქტივობა 2004 წელს შენედა, მაგრამ იგი ზრდას მაინც განაგრძობდა. ილუსტრირებას ემსახურება შემდეგი მაგალითი: დავუშვათ, რომ ეკონომიკური აქტივობა წარმოებული ფოლადის ტონების რაოდენობის მიხედვით იზომება. თუ 2015 წელს გამოშვება იყო 10 მლნ ტონა, ხოლო 2016 წელს - 12 მლნ ტონა, მაშინ ზრდის ტემპი 2 პროცენტია. თუ 2017 წელს მისი გამოშვება 13.5 მილიონი ტონაა, ზრდის ტემპი 1.25 პროცენტია; ზრდა შენელებულია 2016 წელთან შედარებით, მაგრამ ეკონომიკა კვლავ მეტ ფოლადს აწარმოებს, ვიდრე წინა წელს. ამიტომ

მსკ-ს ზრდის ტემპის ცვლილების აღსაწერად ჩვენ ვიყენებთ ტერმინებს „დაჩქარება“ და „შენელება“, როდესაც ტემპი დადებითია.

ამასთან, როდესაც გამოშვების რეალური მოცულობა სინამდვილეში მცირდება, მაშინ ეკონომიკაში ადგილი აქვს **შეკუმშვას**. თუ 2018 წელს ფოლადის გამოშვება იქნებოდა 13 მილიონი ტონა, ეკონომიკა შემცირდებოდა; 2017 წელთან შედარებით, ნაკლები ფოლადი იწარმოებოდა და ზრდა იქნებოდა - 3.8 პროცენტი.

**შეკუმშვა** - როდესაც რეალური გამოშვება ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

როდესაც ეკონომიკურ ზრდას განვიხილავთ, მნიშვნელოვანია „ეკონომიკური ენის“ ცოდნა. თუ გაფართოება მნიშვნელოვნად აღემატება ტრენდს, ტერმინი „ბუმი“ შეიძლება შესაფერისი იყოს, მაგრამ თუ ზრდა ტრენდის ოდნავ ზემოთაა, მაშინ ეს ტერმინი შეიძლება მისაღები არ იყოს. მაგალითად, წლის 0.25 პროცენტის ზრდის ტემპი, წინა წლის 2.0 პროცენტის ზრდის შემდეგ, „მკვეთრ ვარდნას“ წარმოადგენს?

ნახაზზე 7.2 შეგვიძლია ვნახოთ წარმოდგენილი მონაცემების საშუალო მნიშვნელობა, წლიური ზრდის ტემპების ჯამის დამატებით (130.3) და წლების რაოდენობაზე გაყოფით (54). ამ პერიოდის საშუალო ზრდის ტემპია 2.4 პროცენტი. ამიტომ ზრდის დაჩქარების და შენელების პერიოდების აღწერისას შეგვიძლია, შევადაროთ ზრდის ტემპი კონკრეტულ პერიოდში და საშუალო ზრდის ტემპი. 1970 წლიდან 1973 წლამდე პერიოდს შეიძლება „ბუმის“ პერიოდი ვუწოდოთ იმის გათვალისწინებით, რომ მსკ-ს ზრდის ტემპმა საშუალოდ თითქმის 5 პროცენტი შეადგინა და 1973 წელს მიაღწია პიკს - 7.3 პროცენტს. 2008 და 2009 წლებში მსკ-ს ზრდა შესაბამისად, - 0.1 და 0.4 პროცენტი იყო, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება საშუალო ზრდის ტემპს მთელი პერიოდის განმავლობაში. ეკონომიკურ ციკლში და გამოშვების ტრენდში, პიკსა და ვარდნის ყველაზე დაბალ წერტილს შორის არსებულ სხვაობას **ამპლიტუდას** უწოდებენ. ნახაზი 7.2 გვიჩვენებს, რომ იგი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს.

**ამპლიტუდა** - სხვაობა პიკსა და ვარდნის ყველაზე დაბალ წერტილს და გამოშვების ტრენდს შორის.

**შემოწმებისთვის:** როგორია ეკონომიკური ციკლის მთავარი ფაზები?

## ტრენდები

ეკონომიკური დროითი რიგების მონაცემების შესახებ უთანხმოების მნიშვნელოვანი საკითხი არის ტრენდების არსებობა. ტრენდი მონაცემთა გრძელვადიან ცვლილებას წარმოადგენს. იგი შეიძლება იყოს აღმავალი, დაღმავალი ან უცვლელი. წინა განხილვებში 1961 წლიდან 2014 წლამდე გაერთიანებული სამეფოს მსპ – ს ზრდის მაჩვენებლად (საშუალო) ავიღეთ 2.4 პროცენტი. დროითი რიგების მონაცემთა ერთობლიობის საშუალო მნიშვნელობა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ტრენდი.

**ტრენდი** - მონაცემთა გრძელვადიანი ცვლილება.

ნახაზზე 7.1 ნაჩვენებია იყო გაერთიანებული სამეფოს და ევროკავშირის მსპ 1961-2014 წლებში, ხოლო ტრენდის ხაზი დაემატა მონაცემებს, რომლებიც ნათლად აჩვენებს, რომ ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში ტრენდი აღმავალი იყო. ტრენდებს შეუძლიათ **შაბლონების** დემონსტრირება გარკვეულ პერიოდში, რაც შეიძლება აღწერილი იყოს, როგორც **უცვლელი, ასევე დინამიკური**. **უცვლელი მონაცემები** არის დროითი რიგების მონაცემები, რომლებსაც აქვთ მუდმივი საშუალო მნიშვნელობა დროთა განმავლობაში, ხოლო **დინამიკური მონაცემები** არის დროითი რიგების მონაცემები, სადაც საშუალო მნიშვნელობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს დროთა განმავლობაში. ნახაზზე 7.1 მოცემული მონაცემები გვთავაზობს, რომ მსპ არის დინამიკური მონაცემები, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდება. სხვა ეკონომიკურ ცვლადებში შეიძლება გამოვლინდეს უცვლელი მონაცემები, უმუშევრობა, მაგალითად, უფრო დამახასიათებელია უცვლელი მონაცემებისთვის. 1993 წლიდან 2003 წლამდე, გაერთიანებულ სამეფოში უმუშევრობამ საშუალოდ 1.92 მილიონი შეადგინა, ხოლო 2004-15 წლებში, უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 2.012 მილიონი იყო. როგორც ნებისმიერი სტატისტიკური ანალიზის დროს, ყურადღება უნდა მიექცეს იმის გათვალისწინებას, თუ რას მოიცავს მონაცემები, როგორ შეიქმნა მონაცემები, დროის რა პერიოდია ჩართული და რა ტესტი იქნა გამოყენებული, ასევე ხშირად არსებობს უთანხმოება ეკონომიკურ ანალიზში გამოყენებულ შესაბამის სტატისტიკურ ტესტებსა და შეფასებებთან დაკავშირებით.

**უცვლელი მონაცემები** - დროითი რიგის მონაცემები, რომლებსაც დროთა განმავლობაში

უცვლელი საშუალო სიდიდე აქვს.

**დინამიკური მონაცემები** - დროითი რიგის მონაცემები, სადაც საშუალო სიდიდე შეიძლება

გაიზარდოს ან შემცირდეს დროთა განმავლობაში.

სტატისტიკური ტესტების გამოყენების შესახებ უთანხმოების განხილვა სცილდება ამ წიგნის ფარგლებს, მაგრამ ეკონომისტებს შორის არსებული უთანხმოება ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე, როგორცაა ეკონომიკური ციკლის ტრაექტორია და პოლიტიკის ვარიანტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, ძირითადად სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდის სანდოობისა და ვალიდურობის განსხვავებული ინტერპრეტაციებიდან გამომდინარეობს. დროთა განმავლობაში ტრენდს შესაძლო შედეგი აქვს. მაგალითად, ნახაზის 7.1 განხილვისას, იქნებოდა რაიმე საფუძველი გვევარაუდა, რომ მომავალი 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის დონე არ იქნება დადებითი და მზარდი გაერთიანებულ სამეფოში და ევროკავშირში? შეიძლება დავუშვათ, რომ დინამიკურ მონაცემებს აქვს ის, რასაც **დეტერმინირებულ ტრენდებს** უწოდებენ - ტრენდები: ა) რომლებიც უცვლელია (დადებითია ან უარყოფითი), გაანალიზებული დროითი რიგების მიუხედავად და ბ) რომლებიც მუდმივი რაოდენობით იცვლება თითოეული პერიოდის განმავლობაში. მსპ შეიძლება მოკლევადიან პერიოდში გადაიხაროს ტრენდიდან, მაგრამ, როდესაც მას უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დავაკვირდებით, იგი საშუალო სიდიდეს დაუბრუნდება. ამის საპირისპიროდ, **სტოქასტური ტრენდი** - როდესაც მისი ცვლადი შემთხვევითი რაოდენობით იცვლება დროის თითოეულ მონაკვეთში. თუ მაკროეკონომიკური ცვლადები გაანალიზებულია იმის დაშვებით, რომ ისინი დეტერმინირებულ ტრენდს ავლენენ, მაგალითად, მსპ იზრდება საშუალოდ 2.4 პროცენტით, მაშინ შეიძლება გატარებული იქნეს ეკონომიკური პოლიტიკური ზომები მსპ-ს ამ საშუალო სიდიდიდან გადახრის შემთხვევაში. ის, რამაც გამოიწვია მსპ-ს საშუალო სიდიდიდან გადახრა, უნდა იყოს გარდამავალი მოვლენა (დროებითი და მხოლოდ მოკლე დროის განმავლობაში გაგრძელებული) და ასევე გადახრის მიზეზიც დროებითია და მასზე გავლენის მოხდენა შესაძლებელია.

**დეტერმინირებული ტრენდები** - ტრენდები, რომლებიც არის უცვლელი (დადებითი ან უარყოფითი), გაანალიზებული დროითი რიგების მიუხედავად.

**სტოქასტური ტრენდი** - როდესაც ტრენდული ცვლადები, თითოეული პერიოდის განმავლობაში, გარკვეული შემთხვევითი რაოდენობით იცვლება.

რა იქნება, თუ დეტერმინირებული ტრენდი მოჩვენებითია და ჩვენ შეუსაბამო სტატისტიკური ტესტი გამოვიყენეთ დროითი რიგის მონაცემების მიმართ, რომელსაც განვიხილავთ? თუ მონაცემები ავლენს სტოქასტურ ტრენდს, მაშინ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არასწორი და შესაძლოა, დეფორმირებული პოლიტიკის ზომები. თუ გადახრები აღმოიფხვრება, ცვლადი, განსხვავებით დეტერმინირებული ტრენდისგან, საშუალო მაჩვენებელს არ დაუბრუნდება. ამის ნაცვლად, ცვლადი შეიძლება გადაადგილდეს მისი საშუალო მაჩვენებლიდან და შორს იყოს მისგან დროის შემდეგი პერიოდის განმავლობაში. დიდ რიცხვთა კანონის მიხედვით, რამდენადაც დაკვირვების რაოდენობა იზრდება,

დაკვირვების საშუალო რაოდენობა სავარაუდოდ იქნება დაკვირვების ერთობლიობის საშუალო. მაგალითად, თუ ათჯერ ავისვრით მონეტას, დავარდნისას შეიძლება ექვსჯერ ვიხილოთ ზედა მხარე და ოთხჯერ - ქვედა. ამ დაკვირვების საშუალო მაჩვენებელი ზედა და ქვედა მხარის თანაფარდობის მიხედვით არის 6:10 ან 0.6. თუ ჩვენ მონეტას კიდევ 90-ჯერ ავისვრით, შეიძლება 42-ჯერ ვიხილოთ ზედა მხარე და 48-ჯერ ქვედა მხარე, საშუალო მაჩვენებელი არის 0.46. როდესაც ჩვენ ერთობლიობის საშუალო მაჩვენებელს ვუყურებთ მთლიანობაში (100 დაკვირვება), საშუალო მაჩვენებელი არის 0.48. თუ მონეტას კიდევ 10 000-ჯერ ავისვრით, შანსია, რომ საშუალო მაჩვენებელი სავარაუდოდ, 0.5-ის სიახლოვეს იქნება. თუ ჩვენ მონეტის ასროლა განვაგრძებთ და ტრენდს დავაკვირდით, სავარაუდოდ, ის 0.5 იქნება. დაკვირვების საერთო რაოდენობიდან მონაცემთა შერჩევისას, საშუალო მაჩვენებელი შეიძლება იყოს განსხვავებული, როგორც ეს ნაჩვენებია ზემოთ, მაგრამ რაც უფრო მეტია დაკვირვების რაოდენობა, მით უფრო სავარაუდოა, რომ საშუალო მაჩვენებელს მივიღებთ. არ იქნება უსაფუძვლო, ვიფიქროთ, რომ მომავალ დროში საშუალო მაჩვენებელი კვლავ 0.5 იქნება.

თუმცა, თუ რამე შეიცვლება მონეტის ხასიათში ან ჰაერის მიერ გამოწვეულ ხახუნში, რომლის ზედაპირზეც მონეტა დაემუშავა და ა.შ., რაც გავლენას ახდენს მონეტის ასროლის შედეგებზე, მაშინ ტრენდი (საშუალო მაჩვენებელი), რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით, შეიძლება სრულიად შემთხვევითი იყოს ჩვენი დაკვირვების თითოეულ დროის პერიოდში და, როდესაც ვუყურებთ ერთობლიობას, როგორც ერთ მთლიანობას, დიდ რიცხვთა კანონის თანმიმდევრობა დარღვეულია.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სტატისტიკური არგუმენტების ეს შეჯამება, როდესაც ვაკვირდებით მაკროეკონომიკური ცვლადების მოკლევადიან ცვლილებებს. დროითი რიგების მონაცემების შესწავლა კომპლექსურია და მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება, როდესაც სხვადასხვა ეკონომიკურ სკოლას განვიხილავთ, რადგან სტატისტიკის განსხვავებული ინტერპრეტაციებიდან და გამოყენებიდან, მრავალი აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობა.

## მაკროეკონომიკური მონაცემების პროციკლური და ანტიციკლური მოძრაობები

მოდით დავუშვათ, რომ ქვეყნის მსპ დეტერმინირებულ ტრენდს აჩვენებს და 50 წლის განმავლობაში ტრენდული ზრდა 2.4 პროცენტია. თუ 18-თვიანი პერიოდის განმავლობაში მსპ-ს 1.3 პროცენტის ზრდა შეინიშნება, რას შეიძლება ველოდოდთ ამ შემთხვევაში?

იმის გათვალისწინებით, რომ მსპ ტრენდს ჩამორჩა, მოსალოდნელი იყო, რომ უმუშევართა რიცხოვნობა გაიზრდებოდა, ინფლაცია შენელებოდა, ფულის მასა და რეალური ხელფასებიც შემცირდებოდა. დროთა განმავლობაში დაკვირვებებმა აჩვენა, რომ როდესაც ეკონომიკური აქტივობა შემცირდება, უმუშევრობა იზრდება და ინფლაცია მცირდება. ამ რეზიუმეში არის გარკვეული ინტუიციური სადი აზრი. თუ ფირმები ამცირებენ წარმოებას, როგორც ამას მსპ-ს შემცირება გულისხმობს, მათ შეიძლება აღარ დასჭირდეთ იმდენივე თანამშრომელი, ზოგი მათგანი შეიძლება დაითხოვონ და, ამავდროულად, გაყიდვების დანაკარგების შიშის გამო, ფირმები შეიძლება ორმაგად დაფიქრდნენ ფასების

გაზრდაზე, როდესაც ეკონომიკური საქმიანობა მცირდება. მათ შეიძლება გადაწყვიტონ უცვლელი ან კიდევ უფრო ნაკლები ფასების შენარჩუნება, რათა მოთხოვნის გაზრდა წახალისონ..

ეკონომისტები ხშირად აკვირდებიან წყვილი ცვლადების გადაადგილებას, რომლებსაც *მრავალჯერად დინამიკებს* უწოდებენ. როგორც წესი, ამ ცვლადებიდან ერთ-ერთია მსპ. შემდეგ ეკონომისტები მსპ–ს შეადარებენ სხვა ეკონომიკურ ცვლადს, როგორცაა ინფლაცია ან დასაქმება დროის პერიოდების განმავლობაში და ნახავენ, შესაძლებელია თუ არა რაიმე ურთიერთკავშირის დადგენა.

მრავალჯერადმა დინამიკებმა შეიძლება გარკვეული ურთიერთკავშირები გამოავლინოს. როდესაც ცვლადი ტრენდზე მაღლაა, და ასევეა მსპ-ც, ცვლადს **პროციკლური** ეწოდება. როდესაც მსპ ტრენდზე მაღლაა, ინფლაცია და დასაქმება ასევე ორიენტირებულია, რომ ტრენდზე მაღლა იყოს, ამიტომ კლასიფიცირდება როგორც პროციკლური. რეალური ხელფასები და ნომინალური სარგებლის განაკვეთები ასევე კლასიფიცირდება, როგორც პროციკლური. თუ ცვლადი ტრენდზე დაბლაა, ხოლო მსპ ტრენდზე მაღლაა, ცვლადი აღწერილია, როგორც **ანტიციკლური**. უმუშევრობა შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც ანტიციკლური, რადგან იგი ორიენტირებულია იყოს ტრენდზე დაბლა, როდესაც მსპ ტრენდზე მაღლაა.

**პროციკლური** - ცვლადი, რომელიც ტრენდზე მაღლაა, როდესაც მსპ არის ტრენდზე მაღლა.

**ანტიციკლური** - ცვლადი, რომელიც ტრენდზე დაბლაა, როდესაც მსპ არის ტრენდზე მაღლა.

**შემოწმებისთვის:** მოელოთ, რომ ინფლაცია იქნება პროციკლური ან კოტრაციკლური იმ პერიოდში, როდესაც ეკონომიკური საქმიანობა მცირდება?

რა არის თქვენი მოლოდინი რეალურ ხელფასებთან დაკავშირებით ეკონომიკური საქმიანობის ზრდის პერიოდში?

## ცვლადები, როგორც ინდიკატორები

ეკონომისტები არ არიან წინასწარმეტყველები, მაგრამ როდესაც ცდილობენ ეკონომიკური ციკლების გაგებას და ეკონომიკური საქმიანობის ცვლილებების პროგნოზირებას, ისინი სწავლობენ ეკონომიკური ცვლადების ან მათი ერთობლიობის ტრენდიდან გადახრის კანონზომიერებებს გარკვეული დროის განმავლობაში.

მიტჩელისა და ბერნსის მიერ 1930-იან წლებში, შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, განისაზღვრა ციკლური ინდიკატორების ინდექსი, რომელსაც ახლა OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია)



ეკონომიკური საქმიანობის პოტენციური გარდამტეხი ეტაპების დასადგენად იყენებს. ნახაზი 7.3 გვიჩვენებს წამყვანი ინდიკატორების კრების ინდექსს 2003-2015 წლებში OECD-ის ზონისთვის. ისრები გვიჩვენებს გარდამტეხ ეტაპებს. ვხედავთ, რომ ინდექსის შემცირება 2007 წლის შუა პერიოდში დაიწყო. ამას მოჰყვა გლობალური რეცესია. 2009 წლის დასაწყისში ინდექსმა დაიწყო ზრდა, რამაც მიუთითა ეკონომიკური აქტიურობის დაწყების გარდამტეხ წერტილზე.


ციკლურ ინდიკატორებს შეიძლება ჰქონდეს სამი მახასიათებელი: ა) **წინმსწრები ინდიკატორები**, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკური საქმიანობის მომავალი ცვლილებების პროგნოზირებისათვის, ბ) **ჩამორჩენილი ინდიკატორი**, რომლის ცვლილება ხდება ეკონომიკური საქმიანობის ცვლილების შემდეგ და გ) **სინქრონული ინდიკატორები**, რომელთა ცვლილება ეკონომიკურ საქმიანობაში ცვლილებების პარალელურად მიმდინარეობს. OECD-ის წინმსწრები ინდიკატორების (CLI) ინდექსი კლასიფიცირებულია, როგორც წინმსწრები ინდიკატორი.

**წინმსწრები ინდიკატორი** - ინდიკატორი, რომლის გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკური საქმიანობის მომავალი ცვლილებების პროგნოზირებისათვის.  
**ჩამორჩენილი ინდიკატორი** - ინდიკატორი, რომლის ცვლილებები ეკონომიკური საქმიანობის ცვლილების შემდეგ ხდება.  
**სინქრონული ინდიკატორი** - რომლის ცვლილებები ეკონომიკურ საქმიანობაში ცვლილებების პარალელურად ხდება.

**ნახაზი 7.3.**

**OECD-ის ზონის წინმსწრები ინდიკატორების (CLI) ინდექსი, 2013-15**

*CLI ინდექსი გვიჩვენებს გლობალური ეკონომიკის ძირითად გარდამტეხ წერტილებს 2003 წლიდან.*



**წყარო:** OECD (2016), წინმსწრები ინდიკატორების (CLI) ინდექსი (წვდომა განხორციელდა: 11/01/2016).

## ეკონომიკური ციკლის ცვლილებათა მიზეზები

ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიკა შედგება შინამეურნეობებისა და ფირმებისგან, ამიტომ გონივრულია მოველოდეთ, რომ ეკონომიკის ამ ორი ელემენტის ქცევის დანიშნულებაა იმოქმედოს ეკონომიკური საქმიანობების ცვლილებებზე.

### გადაწყვეტილებები შინამეურნეობების ხარჯების შესახებ

შინამეურნეობები იღებენ გადაწყვეტილებას ბაზრისათვის მუშახელის მიწოდების შესახებ. მიწოდებული მუშახელის რაოდენობა ნაწილობრივ დამოკიდებულია რეალური ხელფასის განაკვეთზე. ხელფასების ზრდის ტემპი ფასებთან მიმართებაში მომხმარებელთა ყიდვითუნარიანობაზე აისახება. მომხმარებლების გადაწყვეტილება რეალური ხელფასის ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. შინამეურნეობები აგრეთვე იღებენ გადაწყვეტილებებს ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლისა და მომსახურების მოხმარების, დასვენებისა და გართობის, აგრეთვე იმ საქონლის შეძენაზე, რასაც ზოგჯერ „ძვირადღირებულ“ საქონელს უწოდებენ, მაგალითად, გრძელვადიანი საყოფაცხოვრებო საქონელი (ტელევიზორები, სარეცხი მანქანები, ავტომობილები, მაცივრები, საყინულეები და ა.შ.), რომ არაფერი ვთქვათ გადაწყვეტილებებზე სახლების ან ბინების შესყიდვის შესახებ. ამ ნივთების შეძენის გადაწყვეტილებები შეიძლება ციკლური იყოს: მაგალითად, თუ ახალდაქორწინებული წყვილი ყიდულობს სახლს, შეიძლება შემდეგ წელს მათ ავეჯზე, დეკორაციულ და საყოფაცხოვრებო ნივთებზე მნიშვნელოვანი თანხები დახარჯონ. შეიძლება რამდენიმე წელი გავიდეს, სანამ საქონელი დაიწყებს ცვეთას და საჭირო გახდება შეცვლა ან სახლს კვლავ ახალი მორთულობა დასჭირდება.

შინამეურნეობები ასევე იღებენ გადაწყვეტილებებს სარგებლის განაკვეთების, ფასებისა და დაბეგვრის ცვლილებების საფუძველზე. სარგებლის განაკვეთების ზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს დანაზოგების ზრდას და მოხმარების შემცირებას; ფასების ცვლილება გავლენას ახდენს ადამიანთა კეთილდღეობაზე და შესაძლოა გამოიწვიოს ხარჯვის ცვლილება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ადამიანებს შეეძლება სესხების აღება მათი ქონების ღირებულების გათვალისწინებით. გადასახადების განაკვეთების ცვლილებები სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვა გავლენას ახდენს და შეიძლება ქცევაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს.

### ფირმების მიერ გადაწყვეტილებების მიღება

ფირმები იღებენ გადაწყვეტილებას წარმოების დონეების შესახებ - რამდენი პროდუქტი უნდა აწარმოონ - იმის გათვალისწინებით, თუ რამდენს გაყიდიან. თუ ფირმები მაღალი მოთხოვნის წინაშე აღმოჩნდნენ, ისინი სავარაუდოდ გაზრდიან გამოშვებას, მოუწევთ უფრო მეტი მუშახელის დაქირავება, მეტი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ყიდვა. ზოგიერთმა ფირმამ შეიძლება მოინდომოს გაფართოება ახალ აღჭურვილობასა და

მანქანებში ინვესტირებით ან ახალი შენობებისა ან სხვა ფირმების შექმნითაც კი. ფირმები ასევე იღებენ გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, თუ რამდენი მუშახელი დაიქირაონ (ან გაათავისუფლონ) რეალური სახელფასო განაკვეთისა და პროდუქტიულობის დონის საფუძველზე. თუ რეალური ხელფასის განაკვეთი დაეცემა, ფირმებს უფრო მეტი მუშახელის დასაქმების შესაძლებლობა ექნებათ; თუ პროდუქტიულობის დონე გაიზრდება, მაშინ ხარჯები შეიძლება შემცირდეს და ფირმები უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს. ფირმები ასევე გააკონტროლებენ მარაგების დონეს (მარაგის ქვეშ ხშირად იგულისხმება სასაქონლო-მატერიალური აქტივები). თუ მარაგები იზრდება, მაშინ შესაძლოა გაყიდვები შემცირდეს, ხოლო თუ მარაგები მცირდება, გაყიდვები შეიძლება გაიზარდოს. მარაგების დონის ცვლილებებზე ფირმები რეაგირებას მოახდენენ გამოშვების გაფართოებით ან შემცირებით, ან ახალ მანქანებსა და აღჭურვილობაში, ახალი ფირმების შერწყმასა და შექმნაში ინვესტირებით.

## საგარეო ფაქტორები

ღია ეკონომიკაში გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს სამამულო და უცხოური ფირმების კონკურენტუნარიანობაზე იმპორტისა და ექსპორტის ფასების ცვლილების შედეგად. საზღვარგარეთ ეკონომიკურმა საქმიანობამ შეიძლება გავლენა იქონიოს ქვეყნებზეც, რადგან იცვლება უცხოური ფირმების და მომხმარებლების მიერ მოხმარების და ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებები. ევროზონის მრავალი ქვეყანა აღმოჩნდა პრობლემების წინაშე, ვინაიდან ფინანსურმა კრიზისმა აღდგენის ტემპი შეამცირა.

ჩვენ ასევე უნდა გავითვალისწინოთ იმ მოვლენათა შედეგები, რომლებიც ხშირად სრულიად არაპროგნოზირებადია, მაგალითად, გვალვა, წყალდიდობა, ცუნამი, ქარიშხლები, უკიდურესი სიცივე ან მიწისძვრები. ასევე პოლიტიკური არეულობა, ომი, ტერორიზმი და კონფლიქტი, რომლებმაც შეიძლება ცალკეული ქვეყნებისა და გლობალურ ეკონომიკაზე ხანგრძლივი გავლენა მოახდინონ.

## სამთავრობო პოლიტიკა

მთავრობები ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ. ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს საგადასახადო განაკვეთების ცვლილებების შესახებ და ამ ცვლილებების წამახალისებელი შედეგების გათვალისწინებას უნდა შეეცადონ. მთავარ ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს შეიძლება მთელს ეკონომიკაზე რეზონანსული შედეგები ჰქონდეს. სამთავრობო ორგანოებს ასევე შეუძლიათ გავლენა იქონიონ ეკონომიკურ საქმიანობაზე. ცენტრალური ბანკები დამოუკიდებელი არიან მთავრობებისაგან დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში, მაგრამ გაერთიანებულ სამეფოში, მაგალითად, ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს მთავრობა განსაზღვრავს. ინგლისის ბანკი პასუხისმგებელია მთავრობის მიერ განსაზღვრული მონეტარული პოლიტიკის წარმართვაზე. სარგებლის განაკვეთის ცვლილებები ისეთი გადაწყვეტილებების საშუალებით, როგორცაა სავალუტო სტიმულირება და ბიზნესისა და

შინამეურნეობებისათვის შეღავათიანი კრედიტების მიწოდება, გავლენას მოახდენს როგორც შინამეურნეობებზე, ასევე ფირმებზე.

## თავდაჯერებულობა და მოლოდინები

შინამეურნეობები და ფირმები გადაწყვეტილებებს იღებენ არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ სამომავლო საჭიროებების გათვალისწინებით. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ფიზიკურმა პირმა მიიღოს გადაწყვეტილება ავტომობილის შესაძენად €15 000-ს ოდენობით სესხის აღების შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ მომავალში მას შეიძლება სამსახურის დაკარგვის საფრთხე დაემუქროს. ახალი ამბების მედია მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ. თანამშრომლებს ექმნებათ წარმოდგენა, თუ როგორ მუშაობენ ფირმები, სადაც ისინი არიან დაქირავებულნი, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმებულებმა შეიძლება მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებები ადეკვატურად გაითვალისწინონ. მუშახელმა შეიძლება გაითვალისწინოს ინფლაციის მიმდინარე მაჩვენებლები, მათი მიმდინარე ხელფასები და გააკეთოს პროგნოზი მომავალი ინფლაციის შესახებ. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ისინი მოითხოვენ ნომინალური ხელფასის გაზრდას, რათა შეინარჩუნონ ცხოვრების მიღწეული სტანდარტი. ფირმებმა შეიძლება ასევე გაითვალისწინონ ინფლაციის მაჩვენებლები და იმსჯელონ მომხმარებლებისთვის ფასების გაზრდის შესახებ იმის მიხედვით, თუ როგორ ინფლაციას მოელიან მომავალში და ინფლაცია როგორ იმოქმედებს ნედლეულის ფასებზე.

მომავლის მოლოდინები აყალიბებს გადაწყვეტილებებს. ფირმების და შინამეურნეობების თავდაჯერებულობის რაოდენობრივი განსაზღვრა ისე, როგორც მისი ცვლილების დროის პროგნოზირება ძალიან რთულია. მაგალითად,

რა მომენტში იწყებს ადამიანი დაჯერებას, რომ აქციების ან სახლების ფასებმა პიკს მიაღწია? რა ეტაპზე იღებს ფირმა გადაწყვეტილებას დასაქმებული მუშახელის გათავისუფლების შესახებ და რატომ იწყებს შტატების შემცირებას? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა რთულია, მაგრამ თავდაჯერებულობა და მოლოდინები ეკონომიკური საქმიანობის ცვლილებებში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

**შემოწმებისთვის:** ქვეყნის ფინანსთა მინისტრი წარმოადგენს მთავრობის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს და იძლევა რეკომენდაციას, რომ მომავალ წელს ისინი მოელიან მსპ-ს ძლიერ შემცირებას არასასურველი საერთაშორისო ეკონომიკური პირობების გამო. რამდენად მოახდენს გავლენას ამგვარი გამოსვლა შინამეურნეობების და ფირმების თავდაჯერებულობასა და მოლოდინებზე?

## ეკონომიკური ციკლის მოდელები

ეკონომიკური ციკლების შესწავლისათვის განისაზღვრა მოდელები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათში გაკეთებული დაშვებების მიხედვით. ერთი მხრივ, არსებობს მოდელები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ბაზრები სწრაფად წონასწორდება და, შესაბამისად, ეკონომიკური სუბიექტების (შინამეურნეობების და ფირმების) კეთილდღეობა მაქსიმალურად იზრდება. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი მიზეზი, რის გამოც ეკონომიკურმა სუბიექტებმა თავიანთი ქცევა უნდა შეცვალონ. მეორე მხრივ, არსებობს მოდელები, რომელთა მიხედვით, ბაზრები ყოველთვის სწრაფად არ წონასწორდებიან. არსებობს მოუქნელობა, განსაკუთრებით ფასებთან და ხელფასებთან მიმართებაში. ეს ნიშნავს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ეკონომიკური სუბიექტები თავიანთ კეთილდღეობას ვერ გაზრდიან.

ჩვენ წარმოგიდგენთ ეკონომიკური ციკლის ზოგიერთი ძირითადი მოდელის მიმოხილვას და საკითხს დავასრულებთ დინამიკური სტოქასტური ზოგადი წონასწორობის (DSGE) მოდელებით.

## მიწოდების ეკონომიკა - ახალი კლასიკური მოდელი

ეს მოდელი ეკონომიკაში მიწოდების ანალიზს და შრომის ბაზრის ფუნქციონირებას ემყარება. ივარაუდება, რომ შრომის ბაზარი გაწონასწორდება, მაგრამ მუშახელს არასრულყოფილი ინფორმაცია აქვს. მოდელი ხაზს უსვამს ფასების მოსალოდნელ და გაუთვალისწინებელ ცვლილებებს. თუ მუშახელი სწორად გაითვალისწინებს ფასების ცვლილებას, მას შეუძლია შეცვალოს თავისი ქცევა ისე, რომ რეალური ხელფასები და მის მიერ უზრუნველყოფილი შრომის მოცულობა ბაზრის გაწონასწორებას დაარეგულირებს. მაგალითად, ფასების დონის ზრდის შემთხვევაში, რეალური ხელფასი მცირდება და, შესაბამისად, კომპანიებს მეტი მუშახელის დაქირავების სტიმული ეძლევათ. ფასების მოსალოდნელი ცვლილების შემთხვევაში მუშახელი მიხვდება, რომ მათი რეალური ხელფასები შემცირდება და, შესაბამისად, ნაკლებ შრომას მიაწვდის ბაზარს. შედეგად, შრომაზე მოთხოვნა იქნება მეტი, ვიდრე მისი მიწოდება, ნომინალური ხელფასი გაიზრდება და ბაზარზე დამყარებულ ახალ წონასწორობაში რეალური ხელფასი უცვლელი იქნება.

თუ მუშახელი ფასების ცვლილებას არ მოელოს, რეალური ხელფასი შემცირდება, ფირმების მოთხოვნა შრომაზე გაიზრდება, თუმცა მუშახელი განაგრძობს იგივე რაოდენობის საათების მიწოდებას. შესაბამისად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მის მიწოდებას გადააჭარბებს, რაც გამოიწვევს ნომინალური ხელფასის ზრდას. ამასთანავე, მისი ზრდა ფასების მატებასთან შედარებით ნაკლები იქნება. შედეგად, გამოშვება გაიზრდება, მაგრამ რეალური ხელფასი შემცირდება და გამოშვების მოცულობის ზრდა მსკ-ს ტრენდზე მაღლა იქნება. ამ მოდელში არსებობს წონასწორული გამოშვებიდან გადახრა, რადგან მუშახელს არასრული ინფორმაცია აქვს და არ იცის ფასების დონეზე ცვლილებების ზემოქმედების შესახებ.

**ერთობლივი მიწოდების შოკები.** ახალი კლასიკური მოდელის კიდევ ერთი ასპექტი განიხილავს როგორ შეიძლება ერთობლივი მიწოდების შოკებმა გამოშვების ტრენდიდან

გადახრა გამოიწვიოს. ეს შოკები გავლენას ახდენს წარმოების ფაქტორების პროდუქტიულობაზე და შეიძლება დროებითი იყოს (მაგალითად, სტიქიური უბედურების შედეგად) ან იყოს პერმანენტული - ახალი ტექნოლოგიების შექმნისას. მაგალითად, ბოლო 30 წლის განმავლობაში კომპიუტერულ ტექნოლოგიაში განვითარებულ მოვლენებს პროდუქტიულობაზე პერმანენტული გავლენა აქვს.

თუ მიწოდების შოკები დროებითია (მაგალითად, მიწისძვრის შედეგი), შრომაზე და ასევე სხვა ფაქტორებზე მოთხოვნა მცირდება, რაც შედეგად გამოშვების მსკ – ს ტრენდზე დაბლა დაცემას გამოიწვევს. ამ არგუმენტის ზოგიერთ ასპექტზე დაკვირვება შესაძლებელია ბოლო ათ წელში მომხდარ მოვლენების მაგალითზე. 2011 წელს ჩრდილოეთ იაპონიაში მომხდარმა მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზარალა არამხოლოდ ამ ქვეყნის ეკონომიკა, არამედ მთელ მსოფლიოში მიწოდების ქსელიც მოშალა. ფირმებმა აღმოაჩინეს, რომ შემადგენელი კომპონენტების მიწოდება შემცირდა. ზოგიერთ ფირმას მოუწია მუშახელის დათხოვნა და წარმოების შეჩერება მომარაგების ჯაჭვების აღდგენამდე. ბიზნესის გლობალური ხასიათი ნიშნავს, რომ ასეთმა სტიქიურმა უბედურებებმა შეიძლება შორს მიმავალი შედეგები გამოიღოს.

## მიწოდების ეკონომიკა - კეინზური მოდელი

კეინზის მიერ გამოთქმული ერთ-ერთი მთავარი ვარაუდის მიხედვით, ბაზრების ისე სწრაფად გაწონასწორება არ ხდება, როგორც ამას კლასიკური ეკონომისტები ფიქრობდნენ. მისი ვარაუდის თანახმად, საქონლისა და შრომის ბაზრების სრულყოფის შესაძლებლობები შეზღუდულია ხისტი ფასებისა და ხელფასების არსებობით. როდესაც შრომის ბაზრებზე ფირმები დებენ მუშახელთან ხელშეკრულებებს, ისინი შეზღუდულნი არიან შრომის ბაზრის კანონმდებლობითა და რეგულაციით. ეს ნიშნავს, რომ შეცვლილ ეკონომიკურ გარემოებებზე სამუშაო ძალის ადაპტირება არ არის ადვილი. შრომის ბაზარზე ჭარბი მოთხოვნა ან მიწოდება სწრაფად არ აღმოიფხვრება ხელფასების ცვლილებით მათი სიხისტის გამო და ხელფასებს შემცირების ტენდენცია აქვს.

ხისტ ფასებს ადვილი აქვს იქ, სადაც ფასების ცვლილება ფირმებისთვის დანახარჯებს წარმოადგენს. მე-ნ თემაში ჩვენ წარმოვადგინეთ მენიუს დანახარჯების იდეა. საქონლის ბაზარზე ეკონომიკური პირობების შეცვლამ ბაზრის გასაწონასწორებლად შეიძლება ფასების ცვლილება განაპირობოს, მაგრამ რადგან ფირმებს, ფასების ცვლილების გამო, ხარჯების გაწევა უწევთ, ფასები ხშირად არ იცვლება. ფირმები ფასების შესახებ თანხმდებიან მიმწოდებლებთან და საცალო ვაჭრებთან, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებების პირობებით, რომელთა გადასინჯვა შესაძლოა გარკვეული დროის განმავლობაში შეუძლებელი იყოს. მენიუს დანახარჯების არსებობა ნიშნავს, რომ ფასები იქნება ხისტი და მოკლევადიან პერიოდში ბაზრების სრულყოფას ხელს შეუშლის.

## მოთხოვნის ეკონომიკა - ახალი კლასიკური მოდელი

როგორც აღვნიშნეთ, ერთობლივი მოთხოვნა (AD) შედგება სამომხმარებლო ხარჯების, საინვესტიციო ხარჯების, სამთავრობო ხარჯების და წმინდა ექსპორტისგან. AD-ს რომელიმე ან ყველა კომპონენტის ცვლილებებმა გამოშვების ტრენდიდან გადახრა შეიძლება გამოიწვიოს. წიგნში მოგვიანებით ჩვენ გადავხედავთ AD-ს გადაადგილების მიზეზებს, მაგრამ ამ თავში ვაპირებთ თვალყური მივადევნოთ AD-ს სავარაუდო ცვლილების შედეგებს. მაგალითად, AD-ს ზრდა, სხვა *ფაქტორების უცვლელობისას*, ფასების დონის ზრდას გამოიწვევს. ფასების დონის ზრდა ამცირებს რეალურ ხელფასს და ფირმები მეტი მუშახელის დაქირავებას ცდილობენ, რაც ნომინალური ხელფასის მატებას იწვევს. AD-ს ზრდა გამოიწვევს გამოშვების ზრდას და ფასების დონე იზრდება. დაქირავებულთა რაოდენობის გაზრდა უმუშევრობის შემცირებას იწვევს. ახალი კლასიკური ინტერპრეტაცია ეყრდნობა იმას, რომ ნომინალური ხელფასის ზრდას მუშახელი არასწორად, როგორც რეალური ხელფასის ზრდას, აღიქვამს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი, ხელფასებზე ფასების ზრდის გავლენას სრულად არ ითვალისწინებენ. მე-6 თემაში ამას ჩვენ ვუწოდებთ *ინფლაციის ცდომილება*.

ამის შედეგია ის, რომ ეკონომიკა გადადის დროებით წონასწორობაში, სადაც ზოგიერთი ეკონომიკური სუბიექტის მოლოდინი სრულად არ არის ჩართული, რადგან არასწორია. ამასთან, დროთა განმავლობაში მუშახელი დაიწყებს იმის გაცნობიერებას, რომ შეიცვალა რეალური ხელფასი და შედეგად, თავის *ქცევასაც* შეცვლის. რამდენადაც მუშახელი, საკუთარი ცხოვრების დონის შენარჩუნების მიზნით, დაიწყებს მოილაპარაკებას ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით, ფირმების ხარჯები გაიზრდება და ზოგიერთი ფირმა შეამცირებს მიწოდებას. შედეგად ეკონომიკა უბრუნდება ტრენდულ გამოშვებას, მაგრამ უფრო მაღალი ფასების დონით.

თუ AD მცირდება, მაშინ ეკონომიკა შედის ვარდნის პერიოდში და როგორც გამოშვება, ისე ფასები მოკლევადიან პერსპექტივაში მცირდება. ხდება ზემოთ აღწერილის საპირისპირო პროცესი - რეალური ხელფასები იზრდება და ფირმები იწყებენ გამოშვების შემცირებას, რაც ზრდის უმუშევრობას. შრომაზე მოთხოვნა გადააჭარბებს შრომის მიწოდებას და ნომინალური სახელფასო განაკვეთები შემცირდება. მუშახელი ნომინალური ხელფასების შემცირებას განიხილავენ როგორც ცხოვრების დონის დაცემას, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი მოლოდინები ფასების დონის შემცირების გათვალისწინებით დარეგულირდება, და გამოშვება დაუბრუნდება ტრენდს.

**ციკლური შედეგები.** ზემოთ მოყვანილ ანალიზს გავლენა აქვს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ციკლურ ხასიათზე. ახალ კლასიკურ მოდელში, როდესაც გამოშვება ტრენდზე მაღალია, უმუშევრობა ანტიციკლურია, დასაქმება კი ტრენდზე უფრო მაღალი და, შესაბამისად, პროციკლური იქნება. ინფლაცია იქნება პროციკლური, მაგრამ რეალური ხელფასები - ანტიციკლური, რადგან გამოშვების ზრდის კვალდაკვალ რეალური ხელფასები მცირდება.

## მოთხოვნის ეკონომიკა - კეინზური მოდელი

გაიხსენეთ, რომ კეინზის მოდელი ითვალისწინებს ხისტი ფასებსა და ხელფასებს. თუ AD-ს ზრდა შეინიშნება, მაშინ ხელფასებისა და ფასების ადაპტირებას დრო სჭირდება. მოთხოვნის ზრდა ნიშნავს, რომ ფირმების მარაგები იწყებენ შემცირებას, ამიტომ ისინი მიიღებენ ზომებს გამოშვების ზრდის მიზნით და ამით დასაქმება გაიზრდება. ამრიგად, მოკლევადიან პერსპექტივაში გამოშვება ტრენდზე მაღლაა, მაგრამ ფასების დონე, ხისტი ფასების გამო, არ იცვლება.

თუმცა, დროთა განმავლობაში ეკონომიკა დაუბრუნდება ტრენდს, რადგან საბოლოოდ ფირმებს შეეძლება გაზარდონ ფასები და, შესაბამისად, გაიზრდება ნომინალური ხელფასები. ნომინალური ხელფასის ზრდა გავლენას ახდენს ფირმის ხარჯებზე, ზოგიერთი მათგანი დაიწყებს გამოშვების შემცირებას, რომელიც უბრუნდება ტრენდს, მაგრამ უფრო მაღალი ფასების დონით. ეს არის იგივე შედეგი, რაც მოცემულია ზემოთ განხილულ ახალ კლასიკურ მოდელში, მაგრამ განსხვავებულია ის გზა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკა ტრენდიდან გადახრას შეეგუა. თუ AD შემცირდება, ადგილი ექნება საპირისპირო სიტუაციას, რომელიც ხსნის თუ რატომ ხდება რეცესია.

AD-ს ვარდნის შემდეგ, ეკონომიკის ტრენდთან დაბრუნების სიჩქარე დამოკიდებული იქნება იმ დროზე, რაც ფასებისა და ხელფასების შეცვლილ ეკონომიკურ პირობებზე ადაპტირებას სჭირდება. ამ მოდელში დასაქმება, რეალური ხელფასები და ინფლაცია არის პროციკლური, ხოლო უმუშევრობა - ანტიციკლური.

## რეალური ეკონომიკური ციკლები

რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელის საფუძველია იმის დაშვება, რომ ტექნოლოგიაში მომხდარი ცვლილებები (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტექნოლოგიური ძვრები), რეალური ხელფასის განაკვეთის მიუხედავად, ზრდის გამოშვებას. მოდელი ვარაუდობს, რომ არ არსებობს ბაზრის ხარვეზები, ფირმები და შინამეურნეობები მოგებას და სარგებლიანობას მაქსიმალურად ზრდიან და ბაზრები სრულყოფილია.

ამ დაშვებების ფონზე, უარყოფითი ტექნოლოგიური შოკების არსებობის შემთხვევაში, შრომის პროდუქტიულობა ეცემა და სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მცირდება. შედეგად, შემცირდება გამოშვება და გაიზრდება უმუშევრობა. გამოშვება მცირდება, რადგან ერთობლივი მიწოდება (AS) მცირდება, რაც ეკონომიკაში ჭარბ მოთხოვნას წარმოშობს. AD-ს სიჭარბე ფასების დონის ზრდას გამოიწვევს. თუ ფასების დონე იზრდება, ეს გავლენას ახდენს რეალურ სარგებლის განაკვეთზე. შეგახსენებთ, რომ რეალური სარგებლის განაკვეთი არის ნომინალურ სარგებლის განაკვეთს მინუს ინფლაცია. თუ ინფლაცია იზრდება და ნომინალური სარგებლის განაკვეთი უცვლელია, მაშინ რეალური სარგებლის განაკვეთი მცირდება. რეალური სარგებლის განაკვეთის შემცირება ფირმების მიერ განხორციელებული ინვესტიციების ზრდას იწვევს.

რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელში არის დაშვება, რომ ტექნოლოგიური ძვრები შეიძლება გამოშვების მოკლევადიანი მერყეობების ძირითადი მიზეზი იყოს. ეკონომიკური ციკლის მიზეზები, შესაბამისად, არის ტექნოლოგიური ძვრები, რომლებიც AS-ის პერმანენტულად ცვლილებას იწვევს. როდესაც AS იცვლება, ეკონომიკური



სუბიექტების მოლოდინი ჯერ კიდევ გამართლებულია. ამიტომ მთავრობებს ან ცენტრალურ ბანკებს არანაირი მიზეზი არ აქვთ, ჩაერიონ და გამოიყენონ პოლიტიკური რეცეპტები. რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელი, შესაბამისად, დროთა განმავლობაში ზრდას განიხილავს არა როგორც დეტერმინირებულს, არამედ როგორც სტოქასტურ ტრენდს. რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელში დასაქმება, შრომის პროდუქტიულობა და რეალური ხელფასები პროციკლურია.

### ქეისის განხილვა

### კუდლანდი და პრესკოტი და რეალური ეკონომიკური ციკლები

ფინ ე. კუდლანდმა და ედვარდ კ. პრესკოტმა 2004 წელს ნობელის პრემია მოიპოვეს ეკონომიკის დარგში ეკონომიკური ციკლების კვლევაში შეტანილი წვლილის გამო. მათ ნაშრომებში მთავარი ყურადღება ნომინალური შოკებიდან გადატანილია რეალურ შოკებზე და ეს უკანასკნელი წარმოდგენილია გამოშვების გადახრის მთავარ ფაქტორად. შეკითხვა, რომელიც კუდლანდსა და პრესკოტს აინტერესებდათ, მდგომარეობდა არა ეკონომიკური ციკლის გაზომვაში, არამედ ტრენდის შესაბამისად გამოშვებასა და დასაქმებაზე აქცენტირებაში, და თუ რატომ მეორდებიან ისინი პერიოდულად.

ბევრი სახელმძღვანელო ეკონომიკურ ციკლს წარმოგვიდგენს ოთხი ფაზის სახით - ბუმი, შენელება, რეცესია, აღმავლობა. ტერმინი „ციკლი“ ემყარება „რასაც დასთეს, იმას მოიძვი“ ტიპის მიდგომას ეკონომიკისადმი. ციკლის ამგვარი ხედვა გულისხმობს თითქმის გარდაუვალ ტრენდს, სადაც ზრდა იქცევა ბუმიად, რაც თავის მხრივ, იწვევს ვარდნის დაწყებას, რასაც რეცესიამდე მივყავართ და ეს თანმიმდევრობა მუდმივად მეორდება. კუდლენდი და პრესკოტი ამ განმეორებად გადასვლებს „გადახრებს“ უწოდებენ.

მათი მტკიცებით, ეკონომიკური ციკლები უნდა განიხილებოდეს როგორც ტრენდული ზრდიდან პერიოდული გადახრა და ეკონომიკური ციკლები არც გარდაუვალია და არც ევოლუციური. ეკონომიკური საქმიანობის კრიზისის ამგვარი ახსნა არ შეიძლება თავისთავად მოიძებნოს ზრდის მიზეზებში ისე, როგორც ზრდის გაფართოების მიზეზები რეცესიაში არ გვხვდება.

ტრენდიდან ამ გადახრების ქცევის გაანალიზებისას, ისინი შეეცადნენ ექვქვემ დაეყენებინათ ეკონომიკური ციკლის გარშემო ჩამოყალიბებული ზოგიერთი ტრადიციული წარმოდგენა. მაგალითად, ეკონომიკური კრიზისის დროს მოსალოდნელია ფასების დონის დაცემა, ხოლო ეკონომიკური ზრდის დროს ფასების დონე მოიმატებს, ანუ ინფლაცია პროციკლურია. კრიზისის პირობებში ფირმები გაყიდვების წასახალისებლად ფასების შემცირებას ცდილობენ და მოთხოვნის დეფიციტის გამო, ფასების გაზრდაში ხელი ეშლებათ.

კუდლანდის და პრესკოტის მტკიცებით, ფაქტობრივად, ფასმა გამოვლინა ანტიციკლური ქცევა - როდესაც ეკონომიკური ზრდა შენელდა, ფასები გაიზარდა და, როდესაც ეკონომიკური ზრდა მაღალი იყო, ფასები შემცირდა. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ რეალური ხელფასები მცირდება ზრდის მატებასთან ერთად და, პირიქით. ფულის მასა ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კუდლანდისა და პრესკოტის მტკიცებით, ეკონომიკური ციკლების განმარტების მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, თუ როგორ უთმობენ ისინი დროს დასვენებას (არაკომერციული საქმიანობა) და საქმიანობებს, რომლებიც შემოსავლების მისაღებად არის გამიზნული. იმ ფაქტორების ანალიზის შემდეგ, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ეკონომიკურ ციკლებზე, ისინი შემდეგ დასკვნებამდე მიდიან:

მთლიანი ნამუშევარი საათები (შრომითი დანახარჯების შეფასება) მჭიდრო კორელაციაშია მსპ-ს ცვლილებებთან. აქ პრობლემა ისაა, რომ მსპ-ში შენატანები ყველა მუშახელისთვის ერთნაირია. კუდლანდი და პრესკოტი აღნიშნავენ, რომ ნეიროქირურგის საათობრივი მუშაობით შეტანილი წვლილი საავადმყოფოს რიგითი მუშაკის წვლილისაგან არსებითად განსხვავდება. ამის გათვალისწინებით, კუდლანდი და პრესკოტი მივიდნენ დასკვნამდე, რომ რეალური ხელფასები უფრო პროციკლურია, რასაც ეკონომიკური ციკლების შესახებ ტრადიციულ ლიტერატურა არ ითვალისწინებს.

- ) კაპიტალის მარაგი დიდწილად არ უკავშირდება რეალურ მსპ-ს, მაგრამ მასთან მჭიდრო კორელაციაშია, თუკი ანალიზში დაახლოებით ერთწლიანი ჩამორჩენის პერიოდი არის ჩართული.
- ) AD-ზე მოქმედ ფაქტორებთან დაკავშირებით, კუდლანდმა და პრესკოტმა განაცხადეს, რომ მოხმარება და ინვესტირება ძლიერ პროციკლურია, ხოლო სამთავრობო ხარჯები, როგორც ჩანს, ზრდასთან კორელაციაში არ არის.
- ) მათ ასევე აღნიშნეს, რომ იმპორტი პროციკლურია ისევე, როგორც ექსპორტი, თუმცა ექვსი თვიდან ერთ წლამდე ჩამორჩენით.
- ) შრომისა და კაპიტალიდან შემოსავალი მკაფიოდ პროციკლურია.
- ) მეცნიერებმა ვერ იპოვეს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ვიწრო ფული (M1) იწვევს ეკონომიკურ ციკლს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ვერ დაინახეს პირდაპირი კავშირი M1-ის გადიდებასა და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას შორის.
- ) საკრედიტო მექანიზმები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკური ციკლის თეორიის პერსპექტიულ განვითარებაში.
- ) ფასების დონე არის ანტიციკლიკური.
- ) კუდლანდისა და პრესკოტის შრომებმა დააჩქარა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კვლევები.

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია რეცესიას არ განიხილავს როგორც „მარცხს“ ეკონომიკაში და არც ბუმი მიჩნეული წარუმატებლობად. კუდლანდი და პრესკოტი ეკონომიკურ ციკლებს განიხილავენ როგორც ეკონომიკის რყევების განმარტებას, რომლებიც გასაგები რეაქციები უფროა, ვიდრე წარუმატებლობები. მათი ნაშრომები უარყოფს ზრდის შენელებაში „ხისტი ფასების“ როლს და ასევე, ინვესტიცია-მოხმარებასა და მონეტარულ არგუმენტებს შორის შეუსაბამობას ფასების სიგნალებზე ბაზრის უუნარობის შესახებ. ამის ნაცვლად, ისინი განიხილავენ ეკონომიკის რეალურ რყევებს და

ამ რყევების რეგულირების პროცესს, რაც შეიძლება გარკვეული დრო გაგრძელდეს. არსებითად, კუდლანდი და პრესკოტი ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური ციკლები შეიძლება სრულიად ბუნებრივად განვითარდეს კონკურენტულ გარემოში, ტრადიციულ თეორიაში არსებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც სრულყოფილ კონკურენციას ხანგრძლივი დროით უმუშევრობა არ მოჰყვება.

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიას ჰყავს თავისი კრიტიკოსები. ისინი ეჭვქვეშ აყენებენ დებულებას, რომ მიწოდებაში რყევებს აქვთ მუდმივი და არა დროებითი ხასიათი, ხოლო ემპირიულ კვლევებში ასევე ეჭვქვეშ დგება, თუ რამდენად ემთხვევა მტკიცებულებებს მოდელის დაშვებები და პროგნოზები ეკონომიკური ცვლადების ციკლურობის შესახებ.

## ეკონომიკის მაკროეკონომიკური მოდელები

ეკონომისტები შეიმუშებენ მოდელებს, რათა გაიგონ, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა. ეკონომიკა უკიდურესად კომპლექსურია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მოდელს მაკროეკონომიკის ყველა ელემენტისა და ურთიერთქმედების გათავისწინება შეეძლოს. ამასთან, მოდელები შეიძლება ღირებული იყოს პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების ინფორმირებულობისთვის. 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი იყო სტატისტიკური და ეკონომეტრიკული ტექნიკის მიღწევები. ამან ეკონომისტებს ეკონომიკის უფრო დახვეწილი მოდელების შექმნის საშუალება მისცა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

## ზოგადი წონასწორობის დინამიკური სტოქასტური (DSGE) მოდელები

DSGE მოდელები შემუშავდა კვლევის შედეგად, რომელსაც საფუძვლად რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელები დაედო. ახლა ისინი უფრო მეტად გამოიყენება ცენტრალური ბანკების მიერ, ფედ-ის ჩათვლით, როგორც ინსტრუმენტების ნაწილი პოლიტიკური გადაწყვეტილების ანალიზის, პროგნოზირებისა და მიღების პროცესში. ისინი ძალზე კომპლექსურია და ეყრდნობა განტოლებების დიდ რაოდენობას, რომლებიც ცდილობენ, განმარტონ იმ ეკონომიკური ცვლადების ურთიერთქმედება, რომელთაგან ბევრი ჩვენ უკვე განვიხილეთ. ეს მოდელები მუდმივად განვითარების პროცესში იმყოფებიან და პოლიტიკის განმსაზღვრელებს შეუძლიათ მათი გამოყენება სხვადასხვა მიმართულებით.

DSGE მოდელებს დინამიკურს უწოდებენ, რადგან ისინი დროთაშორის არჩვენებს ეყრდნობიან. ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებები არამარტო არსებულ გარემოებებს, არამედ სამომავლო სიტუაციებსაც ემყარებიან. ეს მოდელები პოლიტიკასა და სუბიექტთა ქცევას შორის ურთიერთქმედების შესაძლებლობას იძლევა. ტერმინი სტოქასტური ნიშნავს „შემთხვევით“. DSGE მოდელები მოიცავს ეკონომიკაში შემთხვევით რყევებს, რამაც შეიძლება ტრენდიდან ეკონომიკური საქმიანობის გადახრა გამოიწვიოს. მოდელის საბოლოო ელემენტი - ზოგადი წონასწორობა ეხება დაშვებას, რომ ფასები,

ხელფასები და სარგებლის განაკვეთები ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის ცვლილებებს მისადაგებია.

## DSGE მოდელების საამშენებლო ბლოკები

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა DSGE მოდელები, უმეტესობა მოიცავს სამ ძირითად ელემენტს - შინამეურნეობებს, ფირმებსა და მონეტარულ ორგანოს (ცენტრალური ბანკი). DSGE მოდელების ბოლოდროინდელი განვითარება მიზნად ისახავს ფინანსური და სამთავრობო სექტორების ჩართულობას, რაც ფისკალურ პოლიტიკაზე მოდელის გავლენას ხელს შეუწყობს. DSGE მოდელების გაცნობის მიზნით, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ შინამეურნეობებზე, ფირმებსა და მონეტარულ ხელისუფლებაზე.

**შინამეურნეობები.** შინამეურნეობები წარმოადგენენ ეკონომიკაში მოთხოვნის მხარეს, რაც თავის მხრივ, მსპ-ს განსაზღვრავს. განტოლებები, რომლებიც ასახავს შინამეურნეობების ურთიერთკავშირს, ფოკუსირებულია რეალური სარგებლის განაკვეთსა და სამომავლო მოლოდინებზე. იგულისხმება, რომ შინამეურნეობებმა, თავიანთი საბიუჯეტო შეზღუდვის პირობებში, მაქსიმალურად უნდა გაზარდონ საკუთარი კეთილდღეობა. უნდა აღინიშნოს, რომ მოდელის ცალკეული ელემენტები აგებულია მიკროეკონომიკის საფუძვლებზე: კეთილდღეობის მაქსიმიზების განტოლებებში გაითვალისწინება შინამეურნეობების ისეთი ქცევითი ასპექტების ჩართულობა, როგორცაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარსულში განხორციელებული მოხმარების შედეგები.

ჩვენ განვიხილეთ სარგებლის განაკვეთების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რეალური სარგებლის განაკვეთი ამ მოდელებში ძირითად როლს ასრულებს. თუ სარგებლის განაკვეთი მცირდება, შინამეურნეობები უფრო მეტად წახალისებულნი არიან მოიხმარონ მეტი, ვიდრე დაზოგონ, რაც, თავის მხრივ, მოთხოვნას ზრდის. თუ სარგებლის განაკვეთები გაიზრდება, საპირისპირო შედეგები მიიღება. თუ მომავლის მოლოდინი პოზიტიურია, სარგებლის განაკვეთის მიუხედავად, მოთხოვნა იზრდება და, პირიქით. ამრიგად, ეს არის უარყოფითი კავშირი რეალურ სარგებლის განაკვეთებს ან სასურველ ხარჯვას შორის. მოთხოვნა ინფლაციასა და მომავალი ინფლაციის მოლოდინებზე გავლენას ახდენს.

შინამეურნეობები ასევე შრომის მომწოდებლები არიან. მოხმარების დონეებზე გავლენას ახდენს ნამუშევარი საათების რაოდენობა, რომელიც განსაზღვრავს შრომის მიწოდებას. შინამეურნეობები მორიგეობით გადანაცვლებიან მუშაობასა და დასვენებაზე; თუ მათ სურთ მოხმარების გაზრდა, შეიძლება მეტი საათის შეთავაზება მოუხდეთ. მიღებული ხელფასი შეიძლება დაიხარჯოს ან დაიზოგოს. იმ საქონლის რაოდენობაზე, რომლის შეძენასაც მოხმარებლები შეძლებენ, გავლენას ინფლაცია ახდენს. დანაზოგის ოდენობა განისაზღვრება ხელმისაწვდომი შემოსავლიანობით რეალური სარგებლის განაკვეთის გათვალისწინებით.

შეიძლება მოხდეს მოთხოვნის შოკი, მაგალითად, როცა შინამეურნეობები, მოხმარების დაფინანსების მიზნით, სესხებს ინტენსიურად იღებენ და შემდეგ მოხმარებაზე ხარჯებს ამცირებენ, რათა სესხები დაფარონ ან ადგილი აქვს ვადაგადაცილებული სესხების

დიდ მოცულობას. ყოველივე ეს უარყოფით ზეგავლენას ახდენს შინამეურნეობების მოთხოვნაზე.

**ფირმები.** ითვლება, რომ ფირმები მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ მიისწრაფვიან და მოქმედებენ წარმოების ფუნქციის შესაბამისად, როდესაც გამოშვება დამოკიდებულია ტექნოლოგიაზე, კაპიტალსა და შრომაზე. შრომა მიჩნეულია ფირმის ხარჯების სტრუქტურის მთავარ ელემენტად და ტექნოლოგიის დონე გავლენას ახდენს წარმოების ფაქტორების პროდუქტიულობაზე. ივარაუდება, რომ ფირმებს აქვთ გარკვეული მონოპოლური ძალაუფლება და შეუძლიათ დააწესონ ფასები. ფასი დგინდება წარმოების ზღვრულ ღირებულებაზე ფასნამატის დაწესების საფუძველზე, რომელზეც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს შრომითი დანახარჯები. ფასნამატის ოდენობა განისაზღვრება მოსალოდნელი მოგების ნაკადის მიხედვით, რომელიც მომავალში მიიღება და ფირმების გადაწყვეტილებებში მოლოდინის ელემენტს მოიცავს. მოსალოდნელია, რომ ფირმების მიერ ფასების შეცვლის სურვილი იშვიათია მენიუს დანახარჯების გამო.

ეკონომიკური ზრდის პირობებში, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოშვების გაზრდის მიზნით, ფირმებს უწევთ, წახალისონ მუშახელი, რათა მათ მეტი შრომა მიაწოდონ ფირმებს. მუშახელი მეტ შრომას მიაწვდის, თუ სახელფასო განაკვეთები იზრდება, მაგრამ ეს ზრდის ფირმების ზღვრულ დანახარჯებს და შესაძლოა შედეგად ფასებიც გაიზარდოს. შესაბამისად, რეალურ საქმიანობასა და ინფლაციის ზეწოლას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.

მიწოდების შოკები წარმოიშობა ტექნოლოგიაში ცვლილებების ფორმით, რაც პროდუქტიულობის დონესა და რეალურ ხელფასებზე ახდენს გავლენას. ფირმების კაპიტალის სიდიდე განისაზღვრება შინამეურნეობების მიერ დაზოგვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებით, თუმცა, შესაძლოა მათზე გავლენა ფინანსური სექტორის ეფექტიანობამაც მოახდინოს. როგორც ადრე აღინიშნა, ფინანსური სექტორი სულ უფრო მეტად ერთვება DSGE მოდელებში. თუ ფინანსური სისტემა ფუნქციონირებს არაეფექტიანად, ფირმებისთვის რთულდება კაპიტალზე წვდომა.

**მონეტარული ორგანოები.** საქონლის და შრომის ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება გავლენას ახდენს მონეტარულ პოლიტიკაში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ცენტრალური ბანკები იღებენ, როცა მოკლევადიანი სარგებლის განაკვეთებს აკონტროლებენ. სარგებლის განაკვეთები დაფუძნებულია ცენტრალური ბანკის მიერ არსებული ინფლაციის გაანალიზებაზე, მოსალოდნელ ინფლაციასა და მსპ-ზე (ან რეალურ საქმიანობაზე). გადაწყვეტილებების მიღებისას, მიჩნეულია, რომ ცენტრალური ბანკები მოქმედებენ ე.წ. „ტილორის წესის“ ფარგლებში, რომელიც სარგებლის განაკვეთს აკავშირებს მიზნობრივი ინფლაციის განაკვეთთან, წარსული სარგებლის განაკვეთის დადგენასთან და გამოშვებაში არსებულ გარღვევასთან. ეს არის განსხვავება მიმდინარე გამოშვებასა და ტრენდს შორის. თუ იქმნება ინფლაციური ზეწოლა, ცენტრალური ბანკი ზრდის სარგებლის განაკვეთებს, რაც გავლენას ახდენს როგორც შინამეურნეობების, ასევე ფირმების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. ანალოგიურად, თუ ეკონომიკა მცირდება (რაც გულისხმობს იმას, რომ ინფლაციაც მცირდება), ეროვნულ ბანკს შეუძლია სარგებლის განაკვეთების შემცირება, რაც

ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტიმულირებას ინფლაციის მიზნობრივ ორიენტირზე დაყრდნობით.

## DSGE მოდელების გამოყენება და მნიშვნელობა

როგორც აღინიშნა, DSGE მოდელები შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მონეტარული ორგანოების ინსტრუმენტების ერთობლიობის ნაწილი. მნიშვნელოვანია მათი როლი ეკონომიკური აქტიურობის პროგნოზირებაში. შესაძლოა ეს იყოს შემთხვევა, როდესაც მოდელები გვთავაზობენ სიტუაციას, როცა პოლიტიკური ქმედება საჭირო არ არის. კვლევა გვიჩვენებს, რომ კვარტლის (სამი თვის) განმავლობაში, DSGE მოდელები იმდენად სანდო შეიძლება იყოს გამოშვებისა და ინფლაციის პროგნოზირებისას, როგორც სრული სტატისტიკური ანალიზი.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკის შემმუშავებლები მხოლოდ ამ მოდელებს ეყრდნობიან. მათში მოცემულია ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება დაერთოს სტატისტიკური ანალიზი, ბიზნეს-ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელების გამოცდილება და დასკვნები, რაც მათ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.

ძალიან ცოტა ეკონომისტი თუ იტყვის, რომ DSGE მოდელები სრულყოფილია და ამ მოდელების საიმედოობისა და ქმედითუნარიანობის გაუმჯობესება საჭირო არ არის. თუმცა, ცხადია, რომ ასეთი მოდელები მათ არქონას სჯობია, ვინაიდან შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ხელს უწყობს. მოდელების სისუსტე გამოიხატება დაშვებაში, რომ მოხმარება, ხელფასები, ინვესტიცია და გამოშვება გრძელვადიან პერიოდში ერთი და იმავე ტემპით იზრდება, რაც მონაცემთა დაკვირვების შედეგად ყოველთვის არ დასტურდება. ფინანსურმა კრიზისმა მკაფიოდ აჩვენა, რომ ფინანსური სექტორის როლი უფრო სრულყოფილად უნდა იქნას წარმოჩენილი მომავლის მოდელირებაში. ასევე საჭიროა ეკონომიკაში ფისკალური პოლიტიკის როლისა და ეფექტის უფრო მეტად აღიარება.

## დასკვნა

ჩვენ წარმოვადგინეთ მოკლევადიანი ეკონომიკური რყევების ანალიზის ზოგიერთი ასპექტი. გავეცანით რამდენიმე ძირითად კონცეფციას, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია რყევების პრობლემის მომავალში უფრო ღრმა შესწავლისთვის.

ჩვენ ასევე დავინახეთ, რომ ეკონომისტებს ეკონომიკური ციკლების განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვთ, რაც ეფუძნება სხვადასხვა დაშვებებს იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა, რამდენად სრულყოფილია ბაზრები და როგორ მოქმედებენ ეკონომიკური სუბიექტები. ეკონომიკური ციკლის მოდელები ფოკუსირებულია ეკონომიკის, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხარეზე. სავარაუდოდ, ამ სხვადასხვა მოდელების ერთობლიობაში უნდა მოიძებნოს პასუხები კითხვებზე, რომლებიც ეხება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ტრენდული ზრდიდან გადახრის გამოსასწორებლად. რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელი აჩენს კითხვებს იმის შესახებ, არსებობს თუ არა ტრენდები, რასაც ჩვენ ვხედავთ დროითი რიგის მონაცემებში და რომლებიც ანალიზის საფუძველს

წარმოადგენენ. თუ ეს ტრენდები არ არსებობს, მაშინ ტრენდიდან გადახრის შესამცირებლად შექმნილი პოლიტიკის ზომები შეცდომაში შემყვანია.

## შეჯამება

- ⌋ პერიოდულად ეკონომიკაში აქტივობის დონის შეცვლას აქვს ადგილი;
- ⌋ ძირითადი მაკროეკონომიკური მონაცემები ხშირად დროითი რიგის მონაცემებია, რომლებმაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მონაცემთა ნაკრებისთვის გამოყენებული სტატისტიკური ტესტების ნამდვილობა და სანდოობა;
- ⌋ ეკონომიკური ზრდა მიჰყვება ტრენდს, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იზრდება;
- ⌋ ამ ტრენდიდან გადახრა ცნობილია, როგორც ეკონომიკური ციკლი;
- ⌋ ეკონომიკურ ციკლს აქვს დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მოიცავს ეკონომიკური აქტივობის პიკებს, შენელებას, რეცესიას და აღმავლობას ძირითადი გარდამტეხი წერტილებით.
- ⌋ ტრენდები შეიძლება იყოს დინამიკური და უცვლელი. უცვლელ მონაცემებს შეუძლიათ გამოავლინონ დეტერმინანტული ტრენდები, რომლებიც შეიცვლება დროისგან დამოუკიდებელი მუდმივი მაჩვენებლით ან იყოს სტოქასტური, როდესაც ტრენდის ცვლადები შემთხვევითი სიდიდით იცვლება;
- ⌋ მაკროეკონომიკური მონაცემების განხილვა შესაძლებელია წყვილებში, სადაც ერთ-ერთი წყვილი ზოგადად არის მსპ. შედარებული ცვლადი შეიძლება იყოს ან პროციკლური ან ანტიციკლური;
- ⌋ მაკროეკონომიკური მონაცემების შეგროვებამ შეიძლება ეკონომისტებს საშუალება მისცეს გარკვეული ინდიკატორები განიხილონ, როგორც წინმსწრები, სინქრონული ან ჩამორჩენილი.
- ⌋ ეკონომიკური ციკლის ცვლილება შეიძლება განაპირობოს შინამეურნეობების და ფირმების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ცვლილებებმა, საგარეო რყევებმა, მთავრობის პოლიტიკამ, თავდაჯერებულობის ან მომავლის მოლოდინის ცვლილებამ.
- ⌋ ეკონომიკური ციკლის მოდელები განსხვავდება დაშვებებით, რომლითაც ისინი განსაზღვრავენ ბაზრების სრულყოფილების ხარისხს, მიწოდებისა და მოთხოვნის ეკონომიკებს შორის დამოკიდებულებას.
- ⌋ რეალური ეკონომიკური ციკლი ხაზს უსვამს ტექნოლოგიაში ცვლილებების, როგორც ეკონომიკური აქტივობის ცვლილების მიზეზს;
- ⌋ ცენტრალური ბანკები და პოლიტიკოსები გადაწყვეტილების მიღების პროცესში სრულ უფრო ხშირად იყენებენ დახვეწილ DSGE მოდელებს.

---

## შეკითხვები განხილვისათვის

1. რა არის დროითი რიგის მონაცემები? მოიყვანეთ ძირითადი მაკროეკონომიკური

ცვლადების სამი მაგალითი, რომლებიც დროითი რიგის მონაცემების მაგალითებია.

2. როგორია ტიპური ეკონომიკური ციკლის ძირითადი ეტაპები და რამდენ ხანს გრძელდება ისინი?
3. რა განსხვავებაა დეტერმინანტულ ტრენდსა და სტოქსტურ ტრენდს შორის?
4. მოელით თუ არა, რომ შემდეგი ცვლადები პროციკლური ან ანტიციკლური იქნება, თუ მსკ ტრენდზე ზემოთაა? განმარტეთ:
  - ა. ინფლაცია
  - ბ. უმუშევრობა
  - გ. დასაქმება
  - დ. რეალური ხელფასები
  - ე. ნომინალური სარგებლის განაკვეთები.
5. უმუშევრობა კლასიფიცირდება, როგორც „ჩამორჩენილი ინდიკატორი“. ახსენით, რას ნიშნავს ეს და რატომ არის უმუშევრობა ამგვარად კლასიფიცირებული.
6. რატომ შეიძლება გამოიწვიოს შინამეურნეობების მიერ გადაწყვეტილების მიღების ცვლილებამ მსკ-ს ტრენდიდან გადახრა?
7. რა როლს თამაშობს შინამეურნეობისა და ფირმების თავდაჯერებულობა ეკონომიკურ ციკლებში?
8. რა როლი აქვს ფასების მოულოდნელ ცვლილებებს ეკონომიკური ციკლის ახალ კლასიკურ მოდელში?
9. რა არის მნიშვნელოვანი განსხვავება რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელსა და სხვა ეკონომიკური ციკლის მოდელს შორის?
10. რა არის DSGE მოდელის ძირითადი მახასიათებლები?

## პრობლემები და სავარჯიშოები

1. იხილეთ ნახაზი 7.1. გაერთიანებული სამეფოსთვის ან ევროკავშირისთვის:
  - ა. შეაფასეთ ტრენდიდან გადახრების ამპლიტუდა ნაჩვენებ პერიოდში.
  - ბ. შეაფასეთ დროის ხანგრძლივობა ტრენდიდან გადახრის დასაწყისსა და ტრენდთან დაბრუნებას შორის თითოეულ შემთხვევაში.
2. დროის ერთ პერიოდში, ქვეყნის მსკ-ს ზრდის ტემპი დაფიქსირებულია 3.4 პროცენტის დონეზე გამოშვების ტრენდულის ზრდის ტემპის 2.8 პროცენტთან შედარებით, მომდევნო დროის ორი პერიოდების განმავლობაში, მსკ-ს ზრდის ტემპი შესაბამისად 2.8 და 2.0 პროცენტია. განიცდის თუ არა ქვეყანა რეცესიას? განმარტეთ.
3. გადადით თქვენი სტატისტიკის ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე და იხილეთ უმუშევრობისა და ინფლაციის მაჩვენებლები ბოლო 30 წლის განმავლობაში. გამოსახეთ მონაცემები ცალკე ცხრილზე, შეადგინეთ მისი გრაფიკი და განსაზღვრეთ ტრენდი. არის ტრენდი დინამიკური, უცვლელი ან განუსაზღვრელი? განმარტეთ.
4. ყოველთვის შესაძლებელია ტრენდის ამოცნობა ნებისმიერი დროითი რიგის მონაცემებში? რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას, თუ ტრენდები გადანაწილდება



- დროითი რიგის მონაცემებზე, რომლებიც რეალურად წარმოდგენილი არ არის?
5. მოძებნეთ შემდეგი პარალელური დინამიკა ქვეყნისთვის, სადაც სწავლობთ შესაბამის ვებ – გვერდზე. განმარტეთ, პარალელური დინამიკა პროციკლურია თუ ანტიციკლური; მსპ და:
    - ა. ინფლაცია
    - ბ. დასაქმება
    - გ. უმუშევრობა
    - დ. ფულის მასა (M1).
  6. ფირმები განიცდიან მარაგების ზრდას. ახსენით, რატომ შეიძლება ეს მომხდარიყო, რა რეაგირებას მოელით ფირმების მხრიდან ამ მოვლენაზე და როგორ შეიძლება ამან გავლენა მოახდინოს გამოშვებაზე.
  7. რატომ შეიძლება შეიცვალოს შინამეურნეობებისა და ფირმების თავდაჯერებულობა და მოლოდინი, რაც გამოიწვევს პროდუქტის მოცულობის ტრენდიდან გადახრას? არსებობს რაიმე მეთოდი, რომ შეფასდეს თავდაჯერებულობის ცვლილება ეკონომიკური საქმიანობის ცვლილებების ინდიკატორის მისაღებად?
  8. DSGE მოდელების კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მიუხედავად მათი კომპლექსურობისა და დახვეწილობისა, მათ ვერ უზრუნველყვეს რყევებზე ზუსტი ინფორმაციის მიღება, რამაც ფინანსური კრიზისი განაპირობა. მოდელებში ფინანსური ბაზრის ელემენტის არარსებობის გარდა, კრიტიკოსები ასევე ამტკიცებენ, რომ ნეოკლასიკური საფუძვლები და დაშვებები, რომლებსაც ეს მოდელები ემყარება, არსებითად არასწორია. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოთქვამენ კრიტიკოსები ამგვარ ბრალდებებს და რამდენად ეთანხმებით მათ შეფასებას?
  9. როგორ ფიქრობთ, რამდენად ხშირად „ასულელებს“ მუშახელს ინფლაციის ცდომილება?
  10. ეკონომიკური ციკლის რომელ მოდელს თვლით ყველაზე მიმზიდველად და რატომ?

## თემა 8. კეინზიანური ეკონომიკური თეორია და IS-LM ანალიზი

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ბაზრებს, შრომის ბაზრების ჩათვლით, სრულყოფილად შეუძლიათ ფუნქციონირება ეკონომიკაში მთავრობის ჩარევის გარეშე როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში. ევროპასა და აშშ-ში გასული საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესიის შედეგად მილიონობით ადამიანმა დაკარგა სამუშაო. ამ მოვლენამ ეკონომიკა კლასიკური თეორიები გადახედვის საჭიროების წინაშე დააყენა.

1936 წელს ეკონომისტმა *ჯონ მეინარდ კეინზმა* გამოაქვეყნა წიგნი "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია", რომელშიც ცდილობდა მოკლევადიანი ეკონომიკური რყევების და განსაკუთრებით - დიდი დეპრესიის ახსნას. კეინზი არ იყო პირველი, ვინც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კლასიკური პარადიგმები; მიტჩელისა და ბერნსის ნაშრომებში ბიზნეს ციკლებთან დაკავშირებით, რომლებიც დიდ დეპრესიამდე 20 წლით ადრე შეიქმნა, აღნიშნულ პრობლემებზე იყო მსჯელობა. კეინზმა გააგრძელა ეს ტრადიცია და მაკროეკონომიკური პროცესების ანალიზით, ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა დაინტერესება გამოიწვია.

კეინზის ძირითადი გზავნილი იყო ის, რომ რეცესიებისა და დეპრესიების წარმოშობა შეიძლება გამოწვეული იყოს საქონელზე და მომსახურებებზე არაადეკვატური ერთობლივი მოთხოვნით. კეინზი აკრიტიკებდა კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას იმ მიზეზით, რომ ამ თეორიას მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის გრძელვადიანი შედეგების ახსნა შეეძლო. „ზოგადი თეორიის“ შექმნამდე რამდენიმე წლით ადრე კეინზმა კლასიკური ეკონომიკური თეორიის შესახებ დაწერა შემდეგი: „მოვლენების მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში განხილვა მიმდინარე მოვლენების შესახებ არასწორი დასკვნების გაკეთების წინაპირობაა. გრძელვადიან პერსპექტივაში ყველანი დავიხოცებით. ეკონომისტები საკუთარ თავს ძალიან მარტივ, ძალიან უსარგებლო ამოცანას უყენებენ, თუ ქარიშხლიან სეზონებში გვეუბნებიან, რომ ქარიშხლის ჩადგომიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ ოკეანე დამშვიდდება“.

კეინზის ნაშრომები გამიზნული იყო როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების, ასევე მეცნიერ-ეკონომისტებისთვის. იმის გამო, რომ მსოფლიოში უმუშევრობა განსაკუთრებით მაღალ ნიშნულს აღწევდა, კეინზი მხარს უჭერდა AD-სა (AD-ერთობლივი მოთხოვნა) და სახელმწიფო შესყიდვების გაზრდის პოლიტიკას. კეინზი აღნიშნავდა, რომ მოკლევადიანი ინტერვენციები აუცილებელი იყო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. ის აქცენტს აკეთებდა მონეტარულ და მიწოდების პოლიტიკაზე, როგორც ევროპის უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის კონტროლის ძირითად გზებზე. ამასთან, 2007-2009 წლების ფინანსურმა კრიზისმა და მისმა შემდგომმა რეცესიამ კვლავ განაახლა ინტერესი კეინზიანური თეორიის როლზე მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში. კეინზის წვლილი ეკონომიკურ აზროვნებაში საყოველთაოდ აღიარებულია და ფასეულია.

## კეინზიანური ჯვარი

კლასიკური ეკონომიკა აღიარებდა ბაზრის ეფექტიანობას და ემყარებოდა დაშვებას მათი გამართულად ფუნქციონირების შესახებ. მაკროდონეზე ეს ნიშნავდა, რომ თუ ეკონომიკა გაუწონასწორებელ მდგომარეობაში იქნებოდა და უმუშევრობა იარსებებდა, ხელფასები და ფასები ბუნებრივად შეიცვლებოდა, რათა ეკონომიკა დაბრუნებულიყო წონასწორულ მდგომარეობაში, სრული დასაქმების პირობებში. **სრული დასაქმება** შრომის ბაზრის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანებს, რომლებიც მზად არიან იმუშაონ არსებული ხელფასების წონასწორული დონის შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, შეუძლიათ დასაქმება. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი არსებული უმუშევრობა კლასიფიცირდება როგორც ნებაყოფლობითი. 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის გამოცდილებამ კლასიკური დაშვებები უფრო ყურადღებით შესწავლის საგნად აქცია. უმუშევრად დარჩენილი მრავალი მილიონი ადამიანი თანახმა იყო ემუშავა ბაზარზე არსებული წონასწორული ხელფასის პირობებში. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ამ ადამიანების უმუშევრობა ნებაყოფლობითი არ შეიძლება ყოფილიყო. როგორც ცნობილია, ფასები შეიძლება ხისტი იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზრები ყოველთვის ვერ ახდენენ მყისიერ ადაპტირებას შეცვლილ მდგომარეობასთან, სიჭარბისა და დეფიციტის სწრაფად აღმოსაფხვრელად.

**სრული დასაქმება** - შრომის ბაზრის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც იმ ადამიანებს, რომელთაც სურთ მუშაობა ბაზარზე არსებული ხელფასების წონასწორულ დონეზე, შეუძლიათ დასაქმება.

## პოტენციური და ფაქტობრივი დანახარჯები

კეინზიანური ანალიზი განიხილავს განსხვავებას საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების მიერ პოტენციურ და ფაქტობრივ გადაწყვეტილებებს შორის. **პოტენციური დანახარჯი, დანაზოგი ან ინვესტიცია** არის საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების მიერ განხორციელებული კონკრეტული სასურველი ან განზრახული ქმედებები დასახული მიზნის მისაღწევად. მაგალითად, გამომცემელმა შეიძლება დაგეგმოს სახელმძღვანელოს 10 000 ეგზემპლარის გაყიდვა წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში; ინდივიდმა შეიძლება დაგეგმოს ზაფხულში დასასვენებლად წასვლა თურქეთში და ამ მოგზაურობისთვის განახორციელოს თანხის დაზოგვა; პირს შეუძლია დაზოგოს 1000 ევრო წლის განმავლობაში იმისთვის, რომ მომავალ წელს შეძლოს ქორწილის გადახდა.

**პოტენციური დანახარჯი, დანაზოგი ან ინვესტიცია** - საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების მიერ განხორციელებული კონკრეტული სასურველი ან განზრახული ქმედებები დასახული მიზნის მისაღწევად.

**ფაქტობრივი დანახარჯი, დანაზოგი ან ინვესტიცია** მოიცავს საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელებული მოქმედებების შედეგებს. გამომცემელს შეუძლია პირველი ექვსი თვის განმავლობაში გაყიდოს მხოლოდ 8000 ეგზემპლარი და მისი მარაგები გეგმიურზე 2000-ით მეტი

აღმოჩნდეს; დამსვენებელმა შეიძლება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ შეძლოს შვებულებაში წასვლა. ასეთ შემთხვევაში მათი ფაქტობრივი დანახარჯი პოტენციურზე ნაკლები იქნება (ხოლო ფაქტობრივი დანახარჯი პოტენციურზე მეტი, რადგან მათ არ დახარჯეს ის თანხა, რაც განზრახული ჰქონდათ); ქორწინებისთვის გათვალისწინებული დანახარჯი შეიძლება მოხმარდეს წყალდიდობისგან დაზიანებული სახლის შეკეთებას, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე.

**ფაქტობრივი დანახარჯი, დანახარჯი ან ინვესტიცია - საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელებული მოქმედებების შედეგები.**

პოტენციური და ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. კეინზის აზრით, უსაფუძვლოა იმის ვარაუდი, რომ წონასწორული ეროვნული შემოსავალი და სრული დასაქმების შესაბამისი გამოშვება ერთმანეთის ტოლი იქნება. ხელფასები და ფასები შეიძლება არ შეცვალოს მოკლევადიან პერიოდში, მათი სიხისტის გამო. აქედან გამომდინარე, ეკონომიკა შეიძლება იყოს ისეთ მდგომარეობაში, სადაც მოთხოვნის დონე არასაკმარისია სრული დასაქმების მისაღწევად. ის ვარაუდობდა, რომ 1930-იანი წლების უმუშევრობის დონე შეიძლებოდა შემცირებულიყო მთავრობების მიერ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განხორციელებდნენ ეკონომიკაში ინტერვენციას ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის გზით დასაქმების სასურველი დონის მისაღწევად.

## ეკონომიკის წონასწორობა

ჩვენ ვნახეთ, რომ ქვეყნის მშპ (რომელსაც ჩვენ ეროვნულ შემოსავალსაც ვუწოდებთ), დაყოფილია ოთხ კომპონენტად: მოხმარება, ინვესტიციები, სახელმწიფო შესყიდვები და წმინდა ექსპორტი.

წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც ყოველ მომენტში,  $C + I + G + NX$ -ის გაწეული მთლიანი დანახარჯები ეკონომიკაში ეროვნული შემოსავლის ტოლია. ეს შეიძლება წარმოვადგინოთ სქემატური ფორმით როგორც 45 გრადუსიანი მრუდი, როგორცაა ნაჩვენები (ა) და (ბ) ნახაზებზე 8.1.

(ა) და (ბ) ნახაზებზე 45 გრადუსიანი მრუდი აკავშირებს ყველა წერტილს, სადაც მოხმარების ხარჯები (ფაქტობრივი დანახარჯები) უდრის ეროვნულ შემოსავალს (პოტენციური დანახარჯები). ამ წერტილთა ერთიანობა შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ეკონომიკის შესაძლებლობების მაქსიმუმი - ერთობლივი მიწოდების (AS) მრუდი.

$C + I + G + NX$  მრუდი შემოსავლის ფუნქციაა - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანახარჯები დამოკიდებულია შემოსავალზე. თუ შემოსავალი გაიზრდება, დანახარჯებიც მეტი იქნება და ამიტომ  $C + I + G + NX$  მრუდს აქვს დადებითი დახრილობა.  $C + I + G + NX$  მრუდის E წერტილს, რომელიც მდებარეობს მთლიანი დანახარჯების ვერტიკალურ ღერძზე, ეწოდება **დამოუკიდებელი დანახარჯები, ან დამოუკიდებელი მოხმარება**. ეს არის ხარჯების ის კომპონენტი, რომელიც არ არის დამოკიდებული შემოსავალზე / გამოშვების მოცულობაზე. სახელმწიფო შესყიდვები ამ კომპონენტის ძირითადი ელემენტია.



---

### ნახაზი 8.1

#### დეფლაციური და ინფლაციური ხარვეზი

45 -გრადუსიანი მრუდი მოიცავს ყველა იმ წერტილს, სადაც მოხმარება უდრის შემოსავალს. დანახარჯების მრუდის ვერტიკალურ ღერძთან გადაკვეთის წერტილი გვიჩვენებს დამოუკიდებელ დანახარჯებს. ეკონომიკა წონასწორობაშია, როდესაც დანახარჯების მრუდი  $C + I + G + NX$  კვეთს 45 გრადუსიან მრუდს. (ა) ნახაზზე ეს წონასწორობა იმაზე დაბლაა, ვიდრე სრული დასაქმების პირობებში არსებული გამოშვების დროს იქნებოდა; მოთხოვნა არასაკმარისია სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად. დეფლაციური ხარვეზის აღმოსაფხვრელად მთავრობას დასჭირდება ხარჯების მრუდის გადატანა  $C + I + G + NX_1$  მრუდზე.

(ბ) წონასწორობა უფრო მაღლაა, ვიდრე სრული დასაქმების გამოშვების დროს იქნებოდა - ეკონომიკას არ აქვს მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში მთავრობამ უნდა შეცვალოს  $C + I + G + NX$  მრუდი  $C + I + G + NX_2$  მრუდით, ინფლაციური ხარვეზის აღმოსაფხვრელად.



**დამოუკიდებელი დანახარჯები, ან დამოუკიდებელი მოხმარება** - დანახარჯების ის კომპონენტი, რომელიც არ არის დამოკიდებული შემოსავალზე / გამოშვების მოცულობაზე.

ის წერტილი, რომელშიც ფაქტობრივი და პოტენციური დანახარჯები ერთმანეთის ტოლია, ეკონომიკის მოკლევადიანი წონასწორობის წერტილია. გაითვალისწინეთ, რომ ტერმინ "წონასწორობის" გამოყენება ამ კონტექსტში არ ნიშნავს "საუკეთესო" ან "სასურველ"

**დეფლაციური, ან გამოშვების ხარვეზი** - განსხვავება სრული დასაქმების დროს არსებულ გამოშვებასა და იმ ფაქტობრივ დანახარჯებს შორის, როდესაც დანახარჯები ნაკლებია, ვიდრე სრული დასაქმების დროს გამოშვებული პროდუქციის ღირებულება.

წონასწორობას - ეს უბრალოდ არის წერტილი, სადაც რეალური და გეგმიური დანახარჯები ერთმანეთის ტოლია. ეკონომიკა წონასწორობაშია, როდესაც  $C + I + G + NX$  მრუდი კვეთს 45 გრადუსის მრუდს. ამ მდგომარეობას ეწოდება **კეინზიანური ჯვარი**. (ა) ნახაზზე ეკონომიკა წონასწორობაშია  $Y$  ეროვნული შემოსავლის პირობებში.  $Y$  აღნიშნავს პოტენციურ შემოსავალს, რომელიც მიიღწევა სრული დასაქმების პირობებში. განსხვავებას სრული დასაქმების შესაბამის გამოშვებასა და მის დასაკმაყოფილებლად საჭირო დანახარჯებს შორის **დეფლაციური ხარვეზი** ეწოდება. დანახარჯები უნდა გაიზარდოს  $C + I + G + NX$ -მდე, რათა აღმოიფხვრას დეფლაციური ხარვეზი, რომელიც არის ვერტიკალური მანძილი ფაქტობრივ დანახარჯებსა და სრული დასაქმების პირობებში არსებულ გამოშვებას შორის.

(ბ) ნახაზზე  $C + I + G + NX$  მრუდი კვეთს 45 გრადუსიან მრუდს  $Y$  გამოშვების დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოშვების ეს დონე მეტია, ვიდრე სრული დასაქმების პირობებში იქნებოდა. ამ სიტუაციაში ეკონომიკას არ აქვს შესაძლებლობა დაფაროს ფაქტობრივი დანახარჯები, რაც გამოიწვევს ინფლაციურ ეკონომიკურ წნეხს. სრული დასაქმების გამოშვებასა და ფაქტობრივი დანახარჯების მრუდს შორის სხვაობას ეწოდება **ინფლაციური ხარვეზი**. საჭიროა შემცირდეს ფაქტობრივი დანახარჯები ინფლაციური ხარვეზის აღმოსაფხვრელად და  $C + I + G + NX$  მრუდი უნდა გადაადგილდეს  $C + I + G + NX_2$  მრუდზე, რათა ეკონომიკა წონასწორობის მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში ფაქტობრივი დანახარჯები და სრული დასაქმების მდგომარეობისას არსებული გამოშვება ერთმანეთის ტოლი იქნება.

**ინფლაციური ხარვეზი** - განსხვავება სრული დასაქმების პირობებში არსებულ გამოშვებასა და ფაქტობრივ დანახარჯებს შორის, როდესაც ფაქტობრივი დანახარჯები მეტია, ვიდრე სრული დასაქმების შესაბამისი გამოშვება.

**მოთხოვნის მენეჯმენტი (მართვა).** ბიზნეს ციკლში კეინზიანური ანალიზის გადახრები, პირველ რიგში, განპირობებულია მოთხოვნასთან დაკავშირებული ფაქტორებით. კეინზიანური ეკონომიკის პრინციპი ძალზე მარტივი და ინტუიციურია. კრიზისები ეკონომიკურ საქმიანობაში იმიტომ ხდება, რომ ფირმები ვერ ყიდიან ყველა იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლის გაყიდვასაც აპირებდნენ. თუ მომხმარებლები (არა მხოლოდ საბოლოო, არამედ შუალედური მომ

ხმარებლებიც) არ იყიდიან წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, ფირმებს მოუწევთ წარმოების შემცირება და მარაგების გაზრდა. თუ წარმოება მცირდება, ფირმებს აღარ სჭირდებათ იგივე რაოდენობის სამუშაო ძალა, რაც მანამდე. ასეთ შემთხვევაში ფირმებს შეუძლიათ პენსიაზე გასული მუშახელის ნაცვლად აღარ დაიქირაონ ახალი სამუშაო ძალა, გაათავისუფლონ მომუშავეები ან დროებით შეაჩერონ წარმოება. ამას მოჰყვება უმუშევრობის ზრდა, რაც მოთხოვნის დეფიციტით იქნება განპირობებული. სამსახურიდან დათხოვნილი ინდივიდები განიცდიან შემოსავლის შემცირებას და, შესაბამისად, ამცირებენ მოხმარებას, რაც პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს.

ხშირად რთულია მოხმარების შემცირების მიზეზების სწრაფი დადგენა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მოლოდინის გამო; ასევე შესაძლებელია განპირობებული იყოს სიახლეების მიმართ საზოგადოების რეაგირების ხარისხით (რაც უფრო მეტად გაჟღერდება საინფორმაციო საშუალებებში ცნობები რეცესიის შესახებ, მით მეტადაა მოსალოდნელი საზოგადოებაში არსებული მდგომარეობის გამწვავება), ან შეიძლება გამოწვეული იყოს

სტრუქტურული ცვლილებებით. სტრუქტურული ცვლილებები ზოგიერთი ფირმისთვის შეიძლება ახალი შესაძლებლობების მომტანი და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საშუალება იყოს, მაგრამ ძირითადად, სტრუქტურული ცვლილებები უარყოფითად მოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე. მომუშავეებს, რომლებიც შემცირებაში მოყვნენ სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, შეიძლება არ ჰქონდეთ ახალ ინდუსტრიაში შექმნილ სამუშაო ადგილებზე გადასვლის უნარები და, შედეგად, ხელფასის მაჩვენებლის მიუხედავად, ასეთი მუშახელი უმუშევარი დარჩება.

კეინზი ამტკიცებდა, რომ მთავრობებს შეუძლიათ გამოიყენონ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, რათა გავლენა მოახდინონ ეკონომიკაში არსებულ ერთობლივ მოთხოვნაზე და შეამცირონ დეფლაციური ან ინფლაციური ხარვეზები. დაბეგვრა არის გაჟონვა შემოსავლის წრიული ნაკადიდან (გავიხსენოთ ეკონომიკური წრებრუნვა), მაგრამ მთავრობას შეუძლია მისი „ინსტრუმენტად“ გამოყენება. კერძოს, მას შეუძლია შეცვალოს სახელმწიფო შესყიდვების ოდენობა და გადასახადების სიდიდე. სახელმწიფო შესყიდვები შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ბერკეტები მოთხოვნის სამართავად და ამით ეკონომიკის წონასწორობაში მოსაყვანად, რათა იგი მიუახლოვდეს სრული დასაქმებისას არსებულ გამოშვების მაჩვენებელს. სრული დასაქმების გამოშვების შესაბამისი თანხის წარმოებისას, ეკონომიკაში ყველა არსებული რესურსი სრულად იქნება გამოყენებული და ფაქტობრივი დანახარჯები მიუახლოვდება პოტენციურ დანახარჯებს. მაგალითად, თუ გეგმიური 1 ტრლნ ევროდან, ფაქტობრივი დანახარჯები მხოლოდ 800 მლრდ ევროა, დეფლაციური ან გამოშვების ხარვეზი იქნება 200 მლრდ ევრო. მთავრობამ შეიძლება გამოიყენოს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები, შეამციროს გადასახადები და გაზარდოს სახელმწიფო შესყიდვების ოდენობა, ამ დამატებითი 200 მლრდ ევროს დასახარჯად. ამ "ბერკეტების" გამოყენებას აქვს რამდენიმე საინტერესო თვისება, რომელსაც შემდეგ ნაწილში განვიხილავთ.

**შემოწმებისთვის:** რატომაა შესაძლებელი პოტენციური და ფაქტობრივი დანახარჯები არ იყოს ერთმანეთის ტოლი?

თუ ეკონომიკის პოტენციური დანახარჯები 500 მლრდ ევროა და ფაქტობრივი დანახარჯები 400 მლრდ ევრო, ამ შემთხვევაში ეკონომიკაში ადგილი ექნება ინფლაციურ თუ დეფლაციურ ხარვეზს? ახსენით.

რისი გაკეთება შეუძლია მთავრობას სრული დასაქმების შესაბამისი გამოშვების მისაღწევად?

## მულტიპლიკატორის ეფექტი

$C + I + G + NX$  მრუდს უწოდებენ დანახარჯების ფუნქციას. პოტენციური დანახარჯები უდრის მოხმარების, ინვესტიციის, სახელმწიფო შესყიდვებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს. ფორმულის სახით ეს შეიძლება შემდეგნაირად ჩაიწეროს:

$$E=C+I+G+NX$$

*ფაქტობრივი დანახარჯები / გამოშვება (გახსოვდეთ, რომ დანახარჯები არის მთლიანი გამოშვების ღირებულების გაზომვის ერთ – ერთი გზა ) აღინიშნება, როგორც Y. ეკონომიკა წონასწორობაში იმყოფება, როდესაც პოტენციური და ფაქტობრივი დანახარჯები ერთმანეთის ტოლია ( $E = Y$ ).*

დანახარჯების ფუნქციის დადებითი დახრილობა იმის მანიშნებელია, რომ პოტენციური დანახარჯები იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად, რაც განაპირობებს დანახარჯების ფუნქციის დახრილობას და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებზე. როდესაც მთავრობა სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებს, მაგალითად, აფორმებს 10 მლრდ ევროს ღირებულების კონტრაქტს სამშენებლო კომპანიასთან ახალი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისთვის, ამ ოპერაციას ექნება გარკვეული უკუკავშირი. მთავრობის მხრიდან მოთხოვნის ზრდა უშუალო გავლენას მოახდენს სამშენებლო კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობაზე და კომპანიის მოგებაზე (ფირმას პირობითად ვუწოდებთ Nucelec-ს). თავის მხრივ, Nucelec-ს უწევს სხვა კონტრაქტორებისგან რესურსების შეძენა დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად და ამიტომ ამ ფირმების მიერ წარმოებულ პროდუქციაზეც იზრდება მოთხოვნა. ამ ფირმების მუშაკები უფრო მაღალ შემოსავალს მიიღებენ, ხოლო მფლობელები კი - მეტ მოგებას; ისინი შემოსავლის ზრდას უპასუხებენ მოხმარების გაზრდით. შედეგად, მთავრობის მიერ Nucelec-თან გაფორმებული ხელშეკრულება გაზრდის მოთხოვნას ეკონომიკის მრავალი სხვა ფირმის პროდუქციაზეც. იმის გამო, რომ მთავრობის მიერ დახარჯულ თითოეულ ევროს შეუძლია გაზარდოს ერთობლივი მოთხოვნა ეკონომიკაში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო შესყიდვებმა მულტიპლიკატორის ეფექტი მოახდინა ერთობლივ მოთხოვნაზე.

**მულტიპლიკატორის ეფექტი** - ერთობლივი მოთხოვნის დამატებითი შედეგები, რაც ვლინდება მაშინ, როდესაც ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ზრდის სამუშაო ძალის შემოსავლებს და ამით ხელს უწყობს მოხმარებელთა დანახარჯების ზრდას, ანუ მოხმარების გაზრდას.

მულტიპლიკატორის ეფექტი გრძელდება ამ პირველი ეტაპის შემდეგაც. როდესაც სამომხმარებლო დანახარჯები (*მოხმარება*) იზრდება, ფირმები, რომლებიც ამ სამომხმარებლო საქონელს აწარმოებენ, მეტ ადამიანს ასაქმებენ და მეტ მოგებას იღებენ. დამატებითი შემოსავალი და მოგება კვლავ ასტიმულირებს მოხმარების ზრდას და ა.შ. ამრიგად, ვლინდება დადებითი უკუკავშირი, რადგან გაზრდილი მოთხოვნა იწვევს ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების შემოსავლების ზრდას, რაც, თავის მხრივ, კვლავ ერთობლივ მოთხოვნას ასტიმულირებს. მას შემდეგ, რაც ყველა ეს ეფექტი შეიკრიბება, მთლიანი გავლენა მოთხოვნილ საქონლისა და მომსახურების რაოდენობაზე შეიძლება გაცილებით დიდი იყოს, ვიდრე გაზრდილი სამთავრობო შესყიდვებიდან გამოწვეული საწყისი იმპულსი.

მოხმარების ზრდის შედეგად წარმოქმნილი მულტიპლიკატორის ეფექტი შეიძლება გაიზარდოს ინვესტიციების რეაგირებით გაზრდილ მოთხოვნაზე. მაგალითად, Nucelec-მა შეიძლება უპასუხოს გაზრდილ მოთხოვნას სამშენებლო მომსახურებებზე მეტი ამწეების და სხვა მექანიზებული სამშენებლო აღჭურვილობის შეძენით. ამ შემთხვევაში, მთავრობის უფრო მაღალი მოთხოვნა ზრდის მოთხოვნას საინვესტიციო საქონელზე. ამ პოზიტიურ უკუკავშირს მოთხოვნიდან ინვესტიციამდე *ინვესტიციის ამჩქარებელს* უწოდებენ.



## ამაჩქარებლის პრინციპი

### ქეისის განხილვა

ამაჩქარებლის პრინციპი უკავშირდება ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების სიჩქარეს ინვესტიციის ცვლილების სიჩქარესთან მიმართებით. საქონლისა და მომსახურების წარმოების გაზრდისთვის ფირმას სჭირდება აღჭურვილობა. წარმოიდგინეთ, რომ მანქანას შეუძლია კვირაში 1000 ცალი კომპიუტერის წარმოება. კომპიუტერულ ტაბლეტებზე მოთხოვნა ამჟამად 800-ია. თუ კომპიუტერულ ტაბლეტებზე მოთხოვნის რაოდენობა გაიზრდება 200 ერთეულით, ეს მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს ახალი დანადგარების ინვესტირების გარეშე. ამასთან, თუ მოთხოვნის რაოდენობა კვლავ გაიზრდება, შეიძლება საჭირო გახდეს ინვესტიცია ახალ მანქანებში.

წარმოიდგინეთ, რომ პირველ წელს კომპიუტერულ ტაბლეტებზე მოთხოვნა იზრდება 10 პროცენტით - 880-მდე. ბიზნესს შეუძლია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა არსებული აღჭურვილობის საშუალებით. მეორე წელს მოთხოვნა იზრდება 20 პროცენტით და ახლა 1056-ია არსებული აღჭურვილობის პირობებში. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია, მაგრამ დეფიციტი მხოლოდ 56 ერთეულია, ამიტომ ფირმა გადაწყვეტს, რომ გაზარდოს პროდუქტის ფასი ახალ დანადგარებში ინვესტირების ნაცვლად. მესამე წელს მოთხოვნა კიდევ 25 პროცენტით იზრდება. ამ შემთხვევაში მოთხოვნის რაოდენობაა 1320, მანქანას კი მაქსიმუმ 1000 ტაბლეტის წარმოება შეუძლია. ფირმა გადაწყვეტს ინვესტირებას ახალ დანადგარში. გაზრდილი მოთხოვნა დანადგარების მწარმოებლებზეც იმოქმედებს. მოთხოვნის 25-პროცენტიანმა ზრდამ გამოიწვია ინვესტიციების 100 პროცენტიანი "დაჩქარებული" ზრდა. ინვესტიცია ერთობლივი მოთხოვნის კომპონენტია და ამიტომ ეკონომისტები დაინტერესებულნი არიან იმით, თუ როგორ ხდება ინვესტიციების რეგულირება ეკონომიკაში მოთხოვნის რეგულირებით. როგორც ეს მაგალითი გვიჩვენებს, ურთიერთობა მოთხოვნის ზრდასა და ინვესტიციების ზრდას შორის საკმაოდ კომპლექსური ხასიათისაა.

*ინვესტიციისა და მოთხოვნის ცვლილებებს შორის არსებული კავშირი არ არის სწორხაზოვანი.*

## დანახარჯების მულტიპლიკატორის ფორმულა

განვიხილოთ მულტიპლიკატორის ეფექტის სიდიდის ფორმულა, რომელიც წარმოიქმნება სამომხმარებლო ხარჯების ზრდის შედეგად. ამ ფორმულის გამოყენებისას მნიშვნელოვანია **მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება** - დამატებითი შემოსავლის ის ნაწილი, რომელსაც ოჯახი მოიხმარს დაზოგვის ნაცვლად. ჩავთვალოთ, რომ მოხმარების ზღვრული მიდრეკილებაა  $\frac{3}{4}$ . ეს ნიშნავს, რომ ყოველი დამატებითი 1 ფუნტიდან ან ევროდან, საოჯახო მეურნეობა ხარჯავს  $\frac{3}{4}$ -ს და ზოგავს  $\frac{1}{4}$ -ს, **დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება** (MPS) განიმარტება როგორც დამატებითი შემოსავალი, რომელსაც ოჯახი ზოგავს, მოხმარების ნაცვლად. როდესაც Nucelec-ის მფლობელები მთავრობის კონტრაქტით 10 მლრდ ევროს იღებენ, ისინი ზრდიან მოხმარებას  $\frac{3}{4} \times 10$  ანუ 7,5 მლრდ ევროთი ( $MPC + MPS = 1$ ).

მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება - დამატებითი შემოსავლის ის ნაწილი, რომელსაც საოჯახო მეურნეობა მოხმარებაზე ხარჯავს დაზოგვის ნაცვლად.

დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება - დამატებითი შემოსავლის ის ნაწილი, რომელსაც საოჯახო მეურნეობა ზოგავს მოხმარების ნაცვლად.

საქონლისა და მომსახურების მოთხოვნაზე მთლიანი გავლენის დასადგენად, შევკრიბოთ ეფექტი (საწყისი მოქმედების ეფექტიდან, ყველა უკუკავშირის ჩათვლით):

სახელმწიფო შესყიდვების ზრდა = 10 მილიარდი ევრო

მოხმარების პირველი ცვლილება =  $MPC \times €10$  მლრდ

მოხმარების მეორე ცვლილება =  $(MPC)^2 \times €10$  მლრდ

მოხმარების მესამე ცვლილება =  $(MPC)^3 \times €10$  მლრდ

) •  
) •  
) •

მოთხოვნის მთლიანი ცვლილება =  $(1 + MPC + MPC^2 + MPC^3 \dots) \times €10$  მლრდ

მულტიპლიკატორი შეგვიძლია შემდეგი ფორმულის სახით წარმოვადგინოთ:

$$\text{მულტიპლიკატორი} = (1 + MPC + MPC^2 + MPC^3 + \dots)$$

მულტიპლიკატორი გვიჩვენებს მოთხოვნის რაოდენობას საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც წარმოქმნის სახელმწიფო შესყიდვების თითოეული დამატებითი ევრო.

$$\text{მულტიპლიკატორი} = 1 + X + X^2 + X^3 + \dots$$

ეს ტოლობა მიისწრაფის უსასრულობისკენ, ამიტომ ის შემდეგი განტოლებით წარმოვადგინოთ:

$$\text{მულტიპლიკატორი} = 1/(1-X)$$

ამ შემთხვევაში  $X=MPC$ , ამრიგად:

$$\text{მულტიპლიკატორი}(k) = 1/(1-MPC)$$

ამასთან,  $MPC + MPS = 1$  ასე რომ მულტიპლიკატორი შეგვიძლია წარმოვადგინოთ როგორც:

$$\text{მულტიპლიკატორი}(k) = 1/MPS$$

მაგალითად, თუ  $MPC = \frac{3}{4}$  მულტიპლიკატორი იქნება  $\frac{1}{(1-\frac{3}{4})} = 4$ , ამ

შემთხვევაში მთავრობის დახარჯული €10 მლრდ შექმნის €40 მლრდ-ს ღირებულების საქონლისა და მომსახურების მოთხოვნილ რაოდენობას.

მულტიპლიკატორის ეს ფორმულა იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას: მულტიპლიკატორის სიდიდე დამოკიდებულია მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებაზე. ამ შემთხვევაში, როცა MPC იყო  $\frac{3}{4}$ , მულტიპლიკატორი გამოვიდა 4. თუ MPC არის  $\frac{1}{2}$ , მულტიპლიკატორი იქნება 2. ამრიგად, უფრო დიდი MPC ნიშნავს უფრო დიდ გავლენას მოხმარებაზე. იმის გასაგებად, თუ რატომ არის ეს სიმართლე, გახსოვდეთ, რომ გამრავლება წარმოიქმნება იმიტომ, რომ მაღალი შემოსავალი ასტიმულირებს მოხმარებას. რაც უფრო დიდია MPC, მით უფრო დიდია გამოწვეული ეფექტი მოხმარებაზე და უფრო დიდია მულტიპლიკატორი. MPC განსაზღვრავს პოტენციური დანახარჯების ფუნქციის მოხმარების მრუდის დახრილობას.

## მულტიპლიკატორის ეფექტის გამოყენების სხვა გზები

მულტიპლიკატორის ეფექტის გამო, სახელმწიფო შესყიდვებისას დახარჯულ თითოეულ ევროს შეუძლია შექმნას ერთ ევროზე ბევრად მეტი ღირებულების პროდუქტი ერთობლივი მოთხოვნის საშუალებით. მულტიპლიკატორის ეფექტი არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების კომპონენტით. იგი ვრცელდება ნებისმიერ ღონისძიებაზე, რომელიც გავლენას ახდენს პოტენციური დანახარჯების კომპონენტებზე - მოხმარება, ინვესტიციები, სახელმწიფო შესყიდვები ან წმინდა ექსპორტი.

ვთქვათ, ეკონომიკაში ადგილი აქვს რეცესიას, რომელიც 1 მლრდ ევროთი ამცირებს ირლანდიის წმინდა ექსპორტს. ეს მოვლენა ამცირებს ირლანდიის ეროვნულ შემოსავალს და ამით მცირდება ირლანდიის რეზიდენტების მოხმარება. თუ MPC არის  $\frac{3}{4}$  და მულტიპლიკატორი 4, მაშინ წმინდა ექსპორტის 1 მლრდ ევროთი შემცირება ირლანდიის გამოშვების 4 მლრდ ევროს ღირებულებით შემცირებას გამოიწვევს.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. ვთქვათ, საფონდო ბირჟა ზრდის საოჯახო მეურნეობების შემოსავალს, რითაც ასტიმულირებს მათ დანახარჯებს საქონელსა და მომსახურებაზე (მოხმარებას) 2 მლრდ ევროთი. ეს დამატებითი სამომხმარებლო ხარჯები ზრდის ეროვნულ შემოსავალს, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს მოხმარების სტიმულირებას. თუ MPC არის 1 და მულტიპლიკატორი 4, მაშინ საოჯახო მეურნეობების შემოსავლის 2 მლრდ ევროთი გაზრდის საბოლოო შედეგი მოხმარების 8 მლრდ ევროთი გაზრდა იქნება.

მულტიპლიკატორი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მაკროეკონომიკაში. ის გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ეკონომიკას მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო შესყიდვების ან წმინდა ექსპორტის მცირე ცვლილებით, დიდი გავლენა მოახდინოს ერთობლივ მოთხოვნაზე და, შესაბამისად, ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების გამოშვების მთლიან რაოდენობაზე.

**წერილი ნაკადის გადინებას** უწოდებენ დანახარჯების თითოეულ თანმიმდევრულ „წრეზე“ დახარჯულ თანხას, ანუ გამოწვეულ დანახარჯებს. მულტიპლიკატორმა აჩვენა, თუ როგორ განისაზღვრება შემოსავლის საბოლოო ცვლილება MPC და MPS-ით. რაც უფრო მაღალია მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება, მით მეტია მულტიპლიკატორის ეფექტი.

ამასთან, ღია ეკონომიკაში დამატებითი 1 ევრო არ არის უბრალოდ დახარჯული ან დაზოგილი. დამატებითი შემოსავლის ნაწილი შეიძლება დაიხარჯოს საქონლისა და მომსახურების გაწევაზე ან მთავრობაში გაედინებოდეს გადასახადების სახით. გაჟონვა წრიული ნაკადიდან (I) კლასიფიცირდება როგორც ენდოგენური, რადგან ის პირდაპირ კავშირშია შემოსავლის ცვლილებასთან. წრიული ნაკადის გაჟონვა მოიცავს დანაზოგებს (S), გადასახადებსა (T) და იმპორტს (M).

განვიხილოთ წრიული ნაკადის შემოდინება (ინექციები). მთავრობები იღებენ საგადასახადო შემოსავალს (წრიული ნაკადის გაჟონვა), მაგრამ იყენებენ მათ იმ საქონელსა და მომსახურებებზე, რომლებსაც ისინი მოქალაქეებს სთავაზობენ (წრიული ნაკადის ინექცია). ფირმები იღებენ შემოსავალს საზღვარგარეთ საქონლის რეალიზაციით (ექსპორტი), რომელიც ასევე წარმოადგენს წრიული ნაკადის ინექციებს. და ფირმები, იყენებენ დანაზოგს (გაჟონვას), როგორც სახსრების წყაროს, ინვესტიციისთვის სესხის აღების მიზნით (ინექცია). წრიული ნაკადის ინექციები ეგზოგენურია - ისინი არ უკავშირდება გამოშვების ან შემოსავლის დონეს - ეს არის ინვესტიციები (I), სამთავრობო შესყიდვები (G) და ექსპორტის შემოსავალი (X).

მთლიანობაში დანახარჯების მრუდის დახრილობა დამოკიდებულია იმაზე, თითოეული დამატებითი 1 ევროდან რამდენი გაედინება წრიული ნაკადიდან. შემოსავლის ყოველი 1 ევროს დამატებით, ზოგი გაედინება წრიული ნაკადიდან გადასახადების სახით, ზოგი დანაზოგის საშუალებით, ზოგი კი იმპორტზე ხარჯვის გზით. დაბეგვისადმი ზღვრული მიდრეკილება (MPT) არის მთავრობის მიერ გადასახადებით აღებული შემოსავლის თითოეული 1 ევროს პროცენტი და იმპორტის ზღვრული მიდრეკილება (MPM), საზღვარგარეთის საქონელზე დახარჯული შემოსავლის თითოეული დამატებითი 1 ევროდან პროცენტული წილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითოეული დამატებითი შემოსავლის 1 პროცენტი არ არის განკარგვადი შემოსავალი, ანუ ყველა მათგანი ვერ დაიხარჯება მოხმარებაზე, გაჟონვის ზღვრული მიდრეკილების (MPW) განხილვისას მულტიპლიკატორის ეფექტი ბევრად დაბალი იქნება, ვიდრე მხოლოდ MPC-ს განხილვისას.

ჩვენ შეგვიძლია განვახლოთ მულტიპლიკატორის ფორმულა (k) წრიული ნაკადის გაჟონვების გათვალისწინებით:

$$k = \frac{1}{(MPS + MPT + MPM)}$$

$$k = \frac{1}{MPW}$$



MPW- ის სიდიდე განსაზღვრავს დანახარჯების მრუდის დახრილობას: რაც უფრო მაღალია დანახარჯების მრუდის დახრილობა, მით უფრო მეტია მულტიპლიკატორის სიდიდე, როგორც ეს ნაჩვენებია 8.2. ნახაზზე.

## ნახაზი 8.2

### დანახარჯების მრუდის დახრილობა და დამოუკიდებელი დანახარჯების შედეგები

(ა) ნახაზზე ნაჩვენებია ნაკლები დახრილობის მქონე დანახარჯების მრუდი, რომელშიც გაჟონვის ზღვრული მიდრეკილება მაღალია და მულტიპლიკატორის ეფექტი შედარებით დაბალი. ბერძნული ასო დელტა ( $\Delta$ ) ნიშნავს „ცვლილებას“. ეროვნული

შემოსავლის ცვლილების ( $\Delta Y$ ) გავლენა სახელმწიფო შესყიდვების ცვლილებაზე ( $\Delta G$ ) უფრო ნაკლებია (ბ) ნახაზზე, სადაც დანახარჯების მრუდს მეტი დახრილობა აქვს და ასახავს მულტიპლიკატორის უფრო მაღალ ეფექტს. ამ შემთხვევაში წრიული ნაკადის გაჟონვა შედარებით მცირეა. ამ მოცემულობის პირობებში სახელმწიფო შესყიდვების მცირე ზრდაც საკმარისია ეროვნული შემოსავლის იგივე ცვლილების მისაღწევად, რაც პირველ ნახაზზეა მოცემული.



## წონასწორობა პოტენციურ გაჟონვებსა და ინექციებს შორის

ეკონომიკური საკითხების ანალიზი გაჟონვებისა და ინექციების გათვალისწინებით სასარგებლოა იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება ერთობლივი მოთხოვნის მართვა. დავიწყოთ ეროვნული შემოსავლის იდენტურობის ფორმულით:

$$\text{გამოშვება} = \text{დანახარჯები} = \text{შემოსავალი}$$

როგორც უკვე ვიცით, დახურულ ეკონომიკაში  $S = I$ , სადაც დანაზოგები წრიული ნაკადის გაჟონვაა და ინვესტიცია კი - ინექცია. ჩვენ შეგვიძლია გავაფართოვოთ ეს ანალიზი ღია ეკონომიკის მოდელით და გადასახადების გათვალისწინებით. ასეთი ეკონომიკაში ეროვნული შემოსავლის წონასწორობის დონეზე პოტენციური გაჟონვა და პოტენციური ინექციები ერთმანეთის ტოლი იქნება:

$$\text{პოტენციური } S+T+M = \text{პოტენციური } I+G+X$$

ვთქვათ, ეკონომიკაში გამოშვებული მთელი საქონელი და მომსახურება შეიძინეს საოჯახო მეურნეობებმა და ფირმებმა. ამასთან, თუ ფაქტობრივი გაჟონვა გაცილებით მეტია, ვიდრე პოტენციური ინექციები, მაშინ ეკონომიკა განიცდის მოთხოვნის დეფიციტს. მაგალითად, ჩათვალოთ, რომ გამოშვება სრული დასაქმების პირობებში ( $Y$ ) შეადგენს 120 მლრდ ევროს. გაჟონვებს  $S$ ,  $T$  და  $M$ -ს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

$$S = 0.1Y$$

$$T = 0.2Y$$

$$M = 0.2Y$$

შემოსავალი რომ 1 ევროთი გაიზარდოს, დანაზოგი შეიცვლება  $0,1 \times 1 = 10$  ცენტით და ა.შ. ახლა ჩავთვალოთ, რომ ინვესტიცია 2 მლრდ ევროა, სახელმწიფო შესყიდვები 20 მილიარდი ევრო და ექსპორტის ღირებულება 10 მილიარდი ევრო. ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, ეროვნული შემოსავლის წონასწორობის დონე იქნება:

$$\text{პოტენციური } S+T+M = \text{პოტენციური } I+G+X$$

$$0.1Y+0.2Y+0.2Y=20+20+10$$

$$0.5Y=50$$

$$Y=100$$

ეს წონასწორობა 20 მილიარდი ევროთი ნაკლებია, ვიდრე გამოშვება სრული დასაქმების პირობებში. მთავრობას შეეძლო ერთობლივი მოთხოვნის მართვა სრული დასაქმების შედეგის მისაღწევად. შეეძლო სახელმწიფო შესყიდვების გაზრდა 10 მლრდ ევროთი და მულტიპლიკატორის ეფექტის საშუალებით  $Y$ -ის გაზრდა 120 მლრდ ევრომდე.

$$\text{პოტენციური } S+T+M = \text{პოტენციური } I+G+X$$

$$0.1Y+0.2Y+0.2Y=20+30+10$$

$$0.5Y = 60$$

$$Y = 120$$

ღია ეკონომიკაში მთავრობა შეიძლება არ აპირებდეს სრული დასაქმების მიღწევას და ამის ნაცვლად გადაწყვიტოს შეამციროს წმინდა ექსპორტი. ვთქვათ,  $Y = 120$  მლრდ

ევროს, ექსპორტი = 10 მლრდ ევროს, იმპორტი = 0.2Y, ანუ 24 მლრდ ევროს (0.2 x 120). თუ მთავრობას სურს წმინდა ექსპორტი ნულის ტოლი იყოს, მან შეიძლება შეამციროს სახელმწიფო შესყიდვები, მაგრამ შეცვალოს გადასახადის განაკვეთები ისე, რომ MPT გაზარდოს. თუ მთავრობის ხარჯები შემცირდება 5 მლრდ-მდე და გადასახადის ზღვრული მიდრეკილება გაიზარდება 0,4 Y – მდე, მაშინ მთავრობას შეუძლია მიაღწიოს ნულოვან წმინდა ექსპორტს:

$$\text{პოტენციური } S+T+ M = \text{პოტენციური } I+G+ X$$

$$0.1Y+0.4Y+0.2 Y = 20+5+10$$

$$0.7Y = 35$$

$$Y = 50$$

ამკარაა, რომ წმინდა ექსპორტის შემცირების პოლიტიკამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეროვნულ შემოსავალზე. მოთხოვნის მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი არის ის, რომ მთავრობას შეუძლია გამოიყენოს ფისკალური პოლიტიკა გამოშვების სასურველი დონის მისაღწევად, მაგრამ ამ ქმედებას შესაძლოა გრძელვადიანი გავლენა ჰქონდეს ეკონომიკის სხვა სფეროებზე.

თუ მთავრობა შეიმუშავებს უმუშევრობის შემცირებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, მაშინ წმინდა ექსპორტი შემცირდება და ქვეყანას სავაჭრო დეფიციტი ექნება ( $NX < 0$ ). საგარეო ვაჭრობა გავლენას ახდენს კაპიტალის წმინდა გადინებაზე და გაცვლითი კურსის ცვლილებებზე. გაცვლითი კურსის ცვლილებები გავლენას ახდენს ფირმების კონკურენტუნარიანობაზე ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ შეიძლება შეამციროს უმუშევრობა, მისი პოლიტიკა გამოიწვევს გრძელვადიან შედეგებს, რამაც შეიძლება შემდგომში გამოავლინოს ამ პოლიტიკის არაეფექტიანობა (მაგალითად, სავალუტო კრიზისი), შეამციროს მთლიანი შემოსავალი და კვლავ გაზარდოს უმუშევრობა.

## IS და LM მრუდები

კეინზიანური ჯვარი განიხილავს ეკონომიკის მოდელს, რომელიც იმყოფება მოკლევადიან წონასწორობაში. (გაითვალისწინეთ, თუ კეინზის ზოგად თეორიას გაეცნობით, შეიძლება გაგვიკვირდეთ კეინზიანური ჯვარის დიაგრამების არარსებობა. ეს დიაგრამები მოგვიანებით ეკონომისტებმა შეიმუშავეს კეინზის იდეებზე დაყრდნობით). წონასწორობის დროს პოტენციური დანახარჯები უდრის შემოსავალს ( $E = Y$ ). ჩვენ ასევე ვიცით როგორ მყარდება წონასწორობა ფულის ბაზარზე ფულზე მოთხოვნისა და ფულის მიწოდების მრუდების გადაკვეთით. ამ ეტაპზე ჩვენ განვიხილავთ **რეალური ფულადი ნაშთების** ცნებას - ეკონომიკაში არსებული მთლიანი ფულის მსყიდველობითი უნარი

**რეალური ფულადი ნაშთები** - ეკონომიკაში არსებული მთლიანი ფულის მსყიდველობითი უნარი, რომელიც გამოითვლება ფულის მასის თანაფარდობით ფასების დონესთან  $\frac{M}{P}$ .

გამოითვლება ფულის მასის თანაფარდობით ფასების დონესთან  $\frac{M}{P}$ .

საქონლისა და ფულის ბაზრები ურთიერთდაკავშირებულია, მათი მაკავშირებელი ფაქტორია საპროცენტო განაკვეთი. კეინზის მიერ საქონლის და ფულის ბაზრების ანალიზის შემდეგ (ლიკვიდობის უპირატესობის თეორიის საშუალებით) ნობელის პრემიის ლაურეატმა, ეკონომისტმა *ჯონ ჰიკსმა* შეიმუშავა თეორია, რომელშიც აღწერილი იყო, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის შედეგების ანალიზი. ამ ანალიზის სტრუქტურა ცნობილია, როგორც IS-LM მოდელი.

IS-LM აღწერს წონასწორობას ამ ორ ბაზარზე და განსაზღვრავს ზოგად წონასწორობას ეკონომიკაში. ზოგადი წონასწორობა ეკონომიკაში მყარდება მაშინ, როდესაც საქონლისა და ფულის ბაზარი წონასწორულ მდგომარეობაში იმყოფება კონკრეტული საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის დონეზე. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, IS-LM მოდელი მოძველებულია და ჯეროვნად ვერ ასახავს თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირებას, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისის შემდეგ. მოდელის ეფექტიანობასთან დაკავშირებული დებატების მიუხედავად, IS-LM-ის გამოყენება სასარგებლოა იმის გასაგებად, თუ როგორ ურთიერთქმედებს საქონლისა და ფულის ბაზრები და რა გავლენას ახდენს ეკონომიკაზე მონეტარული და ფისკალური პოლიტიკიკა. IS მოიცავს ინვესტიციებსა და დანაზოგებს ეკონომიკაში, LM კი აღნიშნავს ლიკვიდურობასა და ფულს. სიდიდეებს შორის დამაკავშირებელია საპროცენტო განაკვეთი (i).

## IS მრუდი

IS მრუდი გვიჩვენებს კავშირს საპროცენტო განაკვეთსა და შემოსავლის დონეს შორის საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. 32.3 დიაგრამის (ა) ნახაზი გვიჩვენებს კეინზიანური ჯვრის წონასწორობის  $a$  წერტილს (8.2 ნახაზიდან), სადაც დანახარჯების მრუდი  $C + I + G + NX$  კვეთს 45 გრადუსიან მრუდს. ნახაზი (ბ) გვიჩვენებს IS მრუდს. ვერტიკალურ ღერძზე ასახულია საპროცენტო განაკვეთი, ხოლო ჰორიზონტალურ ღერძზე მთლიანი გამოშვება (ეროვნული შემოსავალი). თუ საპროცენტო განაკვეთი შემცირდება, დანახარჯების მრუდი გადაადგილდება მარცხნივ ზემოთ და გაჩნდება წონასწორობის ახალი  $b$  წერტილი. ეს წერტილი ასახულია (ბ) ნახაზზეც, რომელიც გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების ბაზრის წონასწორობას დაბალი პროცენტის შემთხვევისთვის, რაც დაკავშირებულია უფრო მაღალი დონის ეროვნულ შემოსავალთან. თუ ამ ორ წერტილს შევაერთებთ, მივიღებთ IS მრუდს. მრუდი მოიცავს წონასწორობის ყველა შესაძლო წერტილს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ საპროცენტო განაკვეთთან და ეროვნული შემოსავლის დონესთან.

IS მრუდი გვიჩვენებს უკუკავშირს საპროცენტო განაკვეთსა და გამოშვებას შორის - პროცენტის შემცირება იწვევს შემოსავლის ზრდას და პირიქით. შემოსავლის ზრდა დამოკიდებული იქნება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ზომაზე და მულტიპლიკატორის სიდიდეზე. IS მრუდის დახრილობა განისაზღვრება მოხმარებისა და ინვესტიციების რეაგირების ხარისხით ( $C + I$ ) საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. ეკონომისტების კამათის საგანს წარმოადგენს ის, თუ რა დოზით რეაგირებს  $C + I$  საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. რაც უფრო მგრძობიარეა  $C + I$  საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მიმართ, მით უფრო მცირეა IS მრუდის დახრილობა.


---

### ნახაზი 8.3

### IS მრუდი



IS მრუდი გამომდინარეობს კეინზიანური ჯვრის დიაგრამიდან და გვიჩვენებს წონასწორობის ყველა შესაძლო წერტილს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ საპროცენტო განაკვეთთან და შემოსავლის დონესთან. (ა) ნახაზის საწყისი წონასწორობა მყარდება a წერტილში, სადაც  $C + I + G + NX$  მრუდი კვეთს 45 გრადუსიან მრუდს. ეროვნული შემოსავლის გაზრდა წარმოქმნის საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ახალ წონასწორობის წერტილს, b-ს, რომელიც ასახულია IS მრუდზე. ამ ორი წერტილის შეერთებით მიიღება IS მრუდი.



**IS მრუდის გადაადგილებები** - IS მრუდი გადაადგილდება დამოუკიდებელი დანახარჯების ცვლილებისას. მაგალითად, თუ სახელმწიფო შესყიდვები იზრდება, ეს ხდება საპროცენტო განაკვეთების ნებისმიერი ცვლილებისგან დამოუკიდებლად. დამოუკიდებელი დანახარჯების ზრდა იწვევს IS მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას - ასეთ შემთხვევაში იგივე საპროცენტო განაკვეთს შემოსავლის უფრო მაღალი დონე შეესაბამება. და პირიქით, დამოუკიდებელი დანახარჯების შემცირება გამოიწვევს IS მრუდის მარცხნივ გადაადგილებას. ამ შემთხვევაში იგივე საპროცენტო განაკვეთს უფრო დაბალი შემოსავლის დონე შეესაბამება.

## LM მრუდი


LM მრუდი მოიცავს ყველა წერტილს, რომელშიც ფულის ბაზარი წონასწორობაშია, პროცენტისა და ეროვნული შემოსავლის კომბინაციის გათვალისწინებით. **32.4 დიაგრამის**, ა ნახაზზე ნაჩვენებია ფულის ბაზარი. ფულზე მოთხოვნა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია საპროცენტო განაკვეთთან. ფულის მასა ნაჩვენებია ვერტიკალური მრუდზე და მიჩნეულია, რომ ფულის მიწოდებას უზრუნველყოფს ცენტრალური ბანკი. ფულის ბაზარზე, წონასწორობა მყარდება a წერტილში, სადაც ფულზე მოთხოვნის ( $D_m$ ) მრუდი კვეთს ფულის მიწოდების მრუდს ( $M_s$ ), სადაც საპროცენტო განაკვეთია  $i_1$ , და რეალური ფულის ნაშთების რაოდენობა  $M$ . (ბ) ნახაზზე ნაჩვენებია LM მრუდი. ვერტიკალურ ღერძზე მოცემულია საპროცენტო განაკვეთი და ჰორიზონტალურ ღერძზე - ეროვნული შემოსავალი. წონასწორობის წერტილი, a (ბ) ნახაზზე გამოსახულია როგორც  $a^*$  წერტილით. შემოსავლის ზრდა გავლენას მოახდენს ფულზე მოთხოვნაზე და იმ შემთხვევაში, თუ ფულის მასა იგივე იქნება, გავლენას მოახდენს წონასწორულ საპროცენტო განაკვეთზე. ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება ეროვნული შემოსავლის

ზრდას; მოთხოვნა ფულის მრუდზე (ა) ნახაზზე გადაინაცვლებს მარჯვნივ ( $D_{m1}$ ). ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ საზოგადოებას სურს მეტი ფულის ქონა საპროცენტო განაკვეთის ყოველ წერტილზე. იგივე საპროცენტო განაკვეთით ფულზე მოთხოვნა ახლა უფრო მაღალია იქნება, ვიდრე ფულის მიწოდება და ამიტომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება. ფულის ბაზარზე ახალი წონასწორობა დამყარდება  $b$  წერტილში. ეს მდგომარეობა (ბ) ნახაზზე ასახულია LM მრუდზე, როგორც  $b^*$  წერტილი. თუ ორ წერტილს შევაერთებთ, მივიღებთ LM მრუდს. LM მრუდი ასახავს საპროცენტო განაკვეთებისა და ეროვნული შემოსავლის ყველა კომბინაციას, სადაც ფულის ბაზარი წონასწორობაშია.

## ნახაზი 8.4

### LM მრუდი

LM მრუდი ასახავს საპროცენტო განაკვეთებისა და ეროვნული შემოსავლის ყველა კომბინაციას, სადაც ფულის ბაზარი წონასწორობაშია. შემოსავლის ზრდა გავლენას მოახდენს ფულზე მოთხოვნაზე. მოთხოვნა ფულის მრუდზე (ა) ნახაზზე გადაინაცვლებს მარჯვნივ ( $D_{m1}$ ). საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება და ფულის ბაზარზე ახალი წონასწორობა დამყარდება  $b$  წერტილში. (ბ) ნახაზზე  $a^*$  და  $b^*$  წერტილების შეერთებით მიიღება LM მრუდი.



LM მრუდეს აქვს დადებითი დახრილობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შემოსავლის ზრდა ასოცირდება საპროცენტო განაკვეთის ზრდასთან და, პირიქით. LM მრუდის დახრილობა დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთების ცვლილებაზე რა რეაგირება ექნება ფულზე მოთხოვნას. ამ დამოკიდებულების შესახებ ხშირია უთანხმოება ეკონომისტებს შორის.

**LM მრუდის გადაადგილებები** - LM მრუდი შეიძლება გადაადგილდეს, თუ ცენტრალური ბანკი გაზრდის ან შეამცირებს ფულის მიწოდებას. თუკი შემოსავალი იგივე დარჩება, ფულის მასის ზრდა გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და მიიღწევა ახალი წონასწორობა შემოსავლის იგივე დონეზე. ამ შემთხვევაში LM მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ და ქვემოთ. ის ასახავს შემოსავლისა და საპროცენტო განაკვეთის ახალ კომბინაციას, რომლის დროსაც ფულის ბაზარი წონასწორულ მდგომარეობაშია.


## ზოგადი წონასწორობა IS-LM მოდელის გამოყენებით

ბაზარზე ზოგადი წონასწორობა მყარდება IS და LM მრუდების გადაკვეთის წერტილში. გავიხსენოთ, რომ ამ მრუდების ნებისმიერი წერტილი წონასწორობის წერტილია, საქონლისა და ფულის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთისა და ეროვნული შემოსავლის დონის გათვალისწინებით. 8.5 ნახაზზე ნაჩვენებია IS და LM მრუდების გადაკვეთის წერტილი გვიჩვენებს მდგომარეობას, როდესაც პოტენციური დანახარჯები უდრის ფაქტობრივ ხარჯებს ( $E = Y$ ), ხოლო ფულზე მოთხოვნა უდრის ფულის მიწოდებას  $D = M$ . ამ ზოგადი წონასწორობის დამყარების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მოდელი, რათა გავანალიზოთ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შედეგები. რა გავლენას ახდენს ისინი ეკონომიკაზე და როგორ არის დაკავშირებული ეს ორი პოლიტიკა ერთმანეთთან.

### ნახაზი 8.5

#### ზოგადი წონასწორობა

ბაზარზე ზოგადი წონასწორობა მყარდება IS და LM მრუდების გადაკვეთის წერტილში. ამ მრუდების ნებისმიერი წერტილი წონასწორობის წერტილია, საქონლისა და ფულის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთისა და ეროვნული შემოსავლის დონის გათვალისწინებით. გადაკვეთის წერტილი გვიჩვენებს მდგომარეობას, როდესაც პოტენციური დანახარჯები უდრის ფაქტობრივ ხარჯებს ( $E = Y$ ), ხოლო ფულზე მოთხოვნა უდრის ფულის მიწოდებას  $D = M$ .



## ფისკალური პოლიტიკის შედეგები


დავუშვათ, მთავრობა ზრდის სახელმწიფო შესყიდვებს ეკონომიკური აქტიურობის გასაზრდელად. ავტონომიური დანახარჯების ეს ზრდა IS მრუდს გადაადგილებს

მარჯვნივ, როგორც ეს ნაჩვენებია 8.6 - (ა) ნახაზზე. შედეგად, ეროვნული შემოსავალი გაიზრდება და ასევე გაიზრდება საპროცენტო განაკვეთებიც. მსგავს შედეგს მივიღებდით იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა აირჩევდა გადასახადების შემცირებას, როგორც ეკონომიკის გაძლიერების საშუალებას. პოლიტიკის შედეგი დამოკიდებული იქნება გაჟონვის ზღვრულ მიდრეკილებასა და მულტიპლიკატორის ზომაზე. პირიქით მოხდება, თუ მთავრობა ხარჯების შემცირებას ან გადასახადების გაზრდას აირჩევს - ეროვნული შემოსავალი და საპროცენტო განაკვეთები შემცირდება.

### ნახაზი 8.6

#### ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შედეგები

(ა) ნახაზზე, სახელმწიფო შესწიდების ზრდა გადაადგილებს მრუდს IS მარჯვნივ, რის შედეგადაც მყარდება ახალი წონასწორობა, მაღალი საპროცენტო განაკვეთითა და ეროვნული შემოსავლის დონით. (ბ) ნახაზზე, ფულის მასის ზრდა LM მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ. ახალ წონასწორობაში საპროცენტო განაკვეთის შემცირდება და ეროვნული შემოსავალი გაიზრდება.



### მონეტარული პოლიტიკის შედეგები

თუ ცენტრალურმა ბანკმა გადაწყვიტა ფულის მიწოდების გაზრდა, LM მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ LM<sub>1</sub> მრუდის ადგილას, როგორც ეს ნაჩვენებია 32.6 (ბ) ნახაზზე. ახალ წონასწორობაში შემცირდება საპროცენტო განაკვეთი და ეროვნული შემოსავალი გაიზრდება. საპირისპირო შედეგს მივიღებთ, თუ ცენტრალურმა ბანკმა გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა ფულის მიწოდების შემცირებით.

**ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ურთიერთქმედება.** ცენტრალური ბანკის ქმედებები არ არის გამიჯნული მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ინსტიტუტი ეკონომიკურ პოლიტიკას დამოუკიდებლად წარმართავს. ცენტრალური ბანკის ადმინისტრაცია უნდა იყოს ინფორმირებული მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ინგლისის ბანკი და ევროპის ცენტრალური ბანკი (ECB) ვალდებული არიან შეინარჩუნონ ფასების სტაბილურობა და ეს შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის სახით.

ცენტრალურმა ბანკებმა უნდა გააკონტროლონ ფისკალური პოლიტიკის შედეგები და მათი გავლენა ინფლაციურ წნეხზე. ამ ინფლაციურ ზეწოლაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ცენტრალურმა ბანკმა მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე კონტროლის დაწესებით. მაგალითად, თუ მთავრობას სურს განახორციელოს უმუშევრობის შემცირებაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა, ასეთი პოლიტიკით შეიძლება იმოქმედოს ინფლაციურ წნეხზე, რომლის შემცირებაც სურს ცენტრალურ ბანკს.


დავუშვათ, მთავრობა ამცირებს გადასახადებს, რათა უფრო მეტი ადამიანი წახალისოს ეკონომიკაში სამუშაოს დასაწყებად ან იმისთვის, რომ საოჯახო მეურნეობებმა გაზარდონ მოხმარება. IS მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე 8.7, გაიზრდება ეროვნული შემოსავალი და საპროცენტო განაკვეთი. თუ ცენტრალურ ბანკს სურს საპროცენტო განაკვეთის დაბრუნება საწყის დონეზე, მან უნდა გაზარდოს ფულის მიწოდება. ამით LM მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ, ეროვნული შემოსავალი უფრო გაიზრდება და საპროცენტო განაკვეთი დაბრუნდება თავდაპირველ დონეზე. თუ ბანკი არ შეცვლიდა ფულის მასას, მაშინ გადასახადის შემცირების შედეგები ნაწილობრივ გაბათილდებოდა საპროცენტო განაკვეთის ზრდით, რაც შეაფერხებდა მოხმარების ზრდას.

**ნახაზი 32.7**

**მუდმივი პროცენტის შენარჩუნება**

**IS მრუდის გადაადგილების შემდეგ**

IS მრუდის გადაადგილება ცენტრალური ბანკის მოქმედების გარეშე, გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთისა და ეროვნული შემოსავლის ზრდას. თუ ცენტრალურ ბანკს სურს შეინარჩუნოს საპროცენტო განაკვეთი, მან უნდა გაზარდოს ფულის მიწოდება და LM მრუდი გადაადგილოს მარჯვნივ. ამის შედეგი იქნება საპროცენტო განაკვეთის შენარჩუნება  $i_e$  პროცენტზე.



თუ მთავრობა გადასახადებს გაზრდის, IS მრუდი გადაინაცვლებს მარცხნივ და შემცირდება როგორც ეროვნული შემოსავალი, ისე საპროცენტო განაკვეთი. თუ ცენტრალურ ბანკს სურს მუდმივი პროცენტის შენარჩუნება, მან უნდა შეამციროს ფულის მიწოდება და შედეგი იქნება ეროვნული შემოსავლის შემცირება. თუ ცენტრალურ ბანკს სურს ამ შედეგის თავიდან აცილება, მას შეუძლია გაზარდოს ფულის მიწოდება და ამით საპროცენტო განაკვეთის შემცირება. ეს ხელს შეუწყობს IS მრუდის გადაადგილებისას გამოწვეული ცვლილების დაბალანსებას და ეროვნულ შემოსავალზე გავლენის შემცირებას.


## IS-LM– დან ერთობლივ მოთხოვნამდე

გავიხსენოთ რეალური ფულის ნაშთების გამოსათვლელი ფორმულა:  $\frac{M}{P}$ . დავუშვათ, ეკონომიკაში გამოშვებული ერთეული პროდუქტის საშუალო ფასია 10 ევრო და ფულის მიწოდება 100 მილიარდი ევრო. რეალური ფულის ნაშთი იქნება  $\frac{1}{1}=10$ . თუ ერთეული პროდუქტის ფასი გაიზრდება 20 ევრომდე და ფულის მიწოდება უცვლელი დარჩება, რეალური ფულის ნაშთი შემცირდება 5-მდე.  $\frac{1}{2}=5$ . აღნიშნული ცვლილება LM მრუდს გადაადგილებს მარცხნივ, როგორც ეს ნაჩვენებია 32.8 (ა) ნახაზზე. შედეგად საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება და ეროვნული შემოსავალი შემცირდება. ამ შემთხვევაში ფასების დონე და ეროვნული შემოსავალი ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. AD მრუდი მიიღება ეროვნული შემოსავლისა და ფასების დონის ურთიერთდამოკიდებულების გამოყენებით, როგორც ეს ნაჩვენებია 32.8 (ბ) ნახაზზე.

### ნახაზი 8.8

#### ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მიღება

*ნახაზზე ფასების დონის ზრდა ამცირებს რეალური ფულის ნაშთებს და ახდენს LM მრუდის გადაადგილებას მარცხნივ  $LM_1$ - მდე. ეს იწვევს წონასწორული საპროცენტო განაკვეთის  $i_1$ - მდე ზრდას და ეროვნული შემოსავლის შემცირებას  $Y_0$ - დან  $Y_1$ - მდე. რივერსული კავშირი ფასების დონესა და ეროვნულ შემოსავალს შორის მოცემულია (ბ) ნახაზზე. ფასის ზრდა  $P_0$ - დან  $P_1$ - მდე იწვევს ეროვნული შემოსავლის შემცირებას  $Y_0$ - დან  $Y_1$  - მდე. ეს იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდიდზე არსებული წერტილის მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობას.*



**ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებები.** თუ ჩავთვლით, რომ ფასების დონე მუდმივია, ეროვნული შემოსავლის ცვლილება IS-LM მოდელში გამოიწვევს AD მრუდის გადაადგილებას. ფასების დონის მუდმივობის შემთხვევაში როგორც ფისკალური, ისე მონეტარული პოლიტიკის შედეგები იქნება AD მრუდის გადაადგილების მიზეზი. თუ მთავრობა გაამკაცრებს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო შესყიდვების შემცირებასა და გადასახადების გაზრდაში, IS მრუდი მარცხნივ გადაინაცვლებს და ეროვნული შემოსავალი შემცირდება. მოცემულ ფასების დონეზე, AD მრუდი გადაინაცვლებს მარცხნივ, როგორც ეს ნაჩვენებია 32.9 (ა) ნახაზზე.

თუ ცენტრალური ბანკი გაზრდის ფულის მიწოდებას, LM მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ და გაიზრდება ეროვნული შემოსავალი. მოცემულ ფასის დონეზე, AD მრუდიც გადაადგილდება მარჯვნივ, ახალი მდგომარეობა კვლავ გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის გაზრდას მოცემულ ფასების დონეზე, როგორც ეს ნაჩვენებია 32.9 (ბ) ნახაზზე.


ფისკალური პოლიტიკის შემსუბუქება (სახელმწიფო შესყიდვების გაზრდა და / ან გადასახადების შემცირება) და ფულის მასის შემცირება (მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება) წარმოქმნის ზემოთ აღწერილის საწინააღმდეგო შედეგებს, რაც აღწერილია 32.9 ნახაზზე.

**ნახაზი 8.9**

**ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებები მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის შედეგად**

(ა) ნახაზზე წარმოდგენილია სიტუაცია, როდესაც მთავრობა ამკაცრებს ფისკალურ პოლიტიკას, ეს ცვლილება გადაადგილებს IS მრუდს მარცხნივ და იწვევს ეროვნული შემოსავლის შემცირებას. AD მრუდი გადაადგილდება მარცხნივ და შემცირდება ეროვნული შემოსავალი მოცემული ფასების დონეზე. (ფასების იგივე დონეზე)

(ბ) ნახაზზე წარმოდგენილია სიტუაცია, როდესაც ცენტრალური ბანკი ამსუბუქებს მონეტარულ პოლიტიკას, რაც იწვევს LM მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ და ზრდის ეროვნულ შემოსავალს. AD მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ და ეროვნული შემოსავალი გაიზრდება მოცემული ფასების დონეზე.





## IS-LM მოდელის კრიტიკა და რომერის მოდელი

მოკლე შესავალი, სადაც განხილულია IS-LM მოდელის ანალიზი და ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შედეგების გავლენა მაკროეკონომიკაზე, დაგეხმარებათ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის უფრო სიღრმისეულად გაანალიზებაში და ეკონომიკის კურსის დაუფლების ახალ საფეხურზე გადასვლაში. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შედეგები დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომლებიც დაკავშირებულია IS და LM მრუდის დახრილობასთან, მათ ფარდობით პოზიციასთან და გადაადგილებასთან ეკონომიკური პოლიტიკის საპასუხოდ. სავსებით სავარაუდოა, რომ ფისკალური პოლიტიკის შედეგებს შეეძლოს მონეტარული პოლიტიკის შედეგების დაბალანსება, რაც ეროვნული შემოსავლის საწყის დონეზე დაბრუნების საშუალებას იძლევა. ამ საკითხების დამუშავებით, ეკონომისტები ცდილობენ უფრო ზუსტად განსაზღვრონ, რა შედეგების მომტანია ესა თუ ის ეკონომიკური პოლიტიკა მთლიანი ეკონომიკისთვის. ამ სახის კვლევების ჩატარებისას გასათვალისწინებელია მოდელში გამოყენებულ ცვლადებს შორის არსებული დამოკიდებულება და თითოეულის გავლენის ხარისხი მოდელის დანარჩენ ცვლადებზე.

IS-LM მოდელის გამოყენებით განვიხილოთ - რა როლს ასრულებს მიკროეკონომიკური ანალიზი მაკროეკონომიკის უკეთ გაცნობიერების საკითხში. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ მიკროეკონომიკური პრინციპები არ შეიძლება განყენებული იყოს მაკროეკონომიკისგან. ეკონომიკურმა პირობებმა შეიძლება მოახდინოს ხელფასებისა და ფასების კორექტირება სხვადასხვა ტემპით და ამით დაარეგულიროს ბაზრების ფუნქციონირება. თუ ეროვნული შემოსავალი შემცირდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკაში ფასები და ხელფასებიც შემცირდება, რაც ხელს შეუწყობს ბაზრების წონასწორულ მდგომარეობაში. ხისტი ხელფასები და ფასები შეიძლება გახდეს ეკონომიკური აქტიურობის შემცირების მიზეზი, რადგან ფირმები იძულებულნი გახდებიან იზრუნონ ფულადი ნაკადების შენარჩუნებზე და აღარ იქნებიან ორიენტირებულნი ბაზრის წილის გაფართოებაზე. როდესაც ფასები ხისტია, გაყიდვები მცირდება და ფირმები ამცირებენ გამოშვებას, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ აქტიურობაზე.

პროფესორი გრეგორი მენქიუ იყო ერთ-ერთი ეკონომისტი, რომელმაც უზრუნველყო ხისტი ფასებისა და მენიუს დანახარჯების იდეის შეჯერება რაციონალურ ქცევასთან თავის ნაშრომში „მცირე მენიუს ხარჯები და დიდი ბიზნეს ციკლები, მონოპოლიის მაკროეკონომიკური მოდელი“, რომელიც 1985 წელს გამოქვეყნდა. დებატები IS-LM მოდელის გარშემო გაგრძელდა და წარმოქმნა ბევრი ღირებული და საინტერესო კვლევა, რამაც ხელი შეუწყო მთლიანი ეკონომიკის უფრო სიღრმისეულად გაანალიზებას.

მართლაც, ერთი ასეთი უთანხმოება ეკონომისტებს შორის გამოწვეულია თავად მოდელის მთავარი დაშვების ირგვლივ. ზოგიერთმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეჭვქვეშ დააყენა IS-LM-ის სწავლების მნიშვნელობა, რადგან ისინი ამტკიცებენ, რომ ახლა სამყარო ძალიან განსხვავებულია იმ მდგომარეობისგან, რომელსაც ჰიკსი იცნობდა 1930 – იან წლებში, როდესაც მან პირველად განავითარა კეინზის იდეები. ამ მოდელის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკა ეფუძნება იმას, რომ ცენტრალური ბანკები აღარ აკონტროლებენ ფულის მასას, არამედ დღეისათვის ისინი ადგენენ საპროცენტო განაკვეთებს. ფულის მიწოდების კონტროლი საკმაოდ რთული ამოცანაა ცენტრალური ბანკისთვის და ამიტომ საპროცენტო განაკვეთის კონტროლი უფრო ეფექტიანი გზაა მონეტარული პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად.

ჩვენ უკვე გავცანით როგორ ადგენენ ცენტრალური ბანკები საპროცენტო განაკვეთებს ღია საბაზრო ოპერაციების საშუალებით. თუ ცენტრალურ ბანკს სურს შეამციროს საპროცენტო

განაკვეთები, მის ტრეიდერებს დაევალებათ შეიძინონ ობლიგაციები. ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ყიდნიან ამ ობლიგაციებს, მიიღებენ თანხებს, რაც გააფართოებს ფულის მასას. ეს, თავის მხრივ, LM მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ და საპროცენტო განაკვეთები შემცირდება. თუ ცენტრალური ბანკი გაზრდის პროცენტს, პირიქით მოხდება; ტრეიდერებს დაევალებათ ობლიგაციების გაყიდვა და ამით თანხების ამოღება საბანკო სისტემიდან. შედეგად ფულის მასა შემცირდება. LM მრუდი გადაადგილდება მარცხნივ და გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები.

**IS-MP მოდელი.** პროფესორ გრეგორი მენქიუს ერთ-ერთი ახლო კოლეგა დევიდ რომერი გვთავაზობს მიდგომას, რომელსაც უწოდებენ IS-MP მოდელს. იგი ასახავს ცენტრალური ბანკებისა და მთლიანად ეკონომიკის ფუნქციონირებას თანამედროვე პირობებში. მოდელში დაშვებულია, რომ ცენტრალური ბანკები არეგულირებენ ფულის მიწოდებას მათთვის სასურველი პროცენტის მისაღწევად. საპროცენტო განაკვეთი მორგებულია ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე. IS-LM მოდელში ფულის მასა ითვლება ეგზოგენურ ფაქტორად, რომლის სიდიდეც მონეტარულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული. რომერი მიიჩნევს, რომ გამოშვების ზრდისას ცენტრალური ბანკი ზრდის საპროცენტო განაკვეთებს ინფლაციური ზეწოლის შესუსტების მიზნით და როცა გამოშვება მცირდება, ცენტრალური ბანკი ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს, რათა შეინარჩუნოს ფასების დონის მიზნობრივი მაჩვენებელი.

MP ფუნქციაში გათვალისწინებულია ის ფაქტი, რომ ცენტრალური ბანკები ადგენენ საპროცენტო განაკვეთებს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად. იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ შეცვალოს ბაზარზე ფულის მიწოდება. რაც მთავარია, რომერი ვარაუდობს, რომ ინფლაციის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს MP მრუდის გადაადგილება. თუ ცენტრალური ბანკი ზრდის პროცენტს, ფულის მიწოდება შემცირდება, რაც გავლენას მოახდენს ფასების დონეზე და ინფლაციის მოლოდინზე. თუ ცენტრალური ბანკი შეამცირებს საპროცენტო განაკვეთებს, ფულის მიწოდება გაიზრდება და ინფლაციის შესახებ მოლოდინებიც შეიცვლება.

IS-MP მოდელის გაანალიზებისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ მისი მიკროეკონომიკური ასპექტები. ფასის ცვლილების მოლოდინი შეიძლება არ შეესაბამებოდეს რეალობას ფასების სიხისტის მასშტაბის გამო. თუ ვივარაუდებთ, რომ ფასები სრულიად ხისტია (ანუ ფასების დონე ფიქსირებულია), ისინი არ შეიცვლება ფულის მიწოდების ცვლილებისას. შესაბამისად, ინფლაციის მოლოდინები ნულოვანი იქნება. თუ ფულის მასა გაიზრდება, მაშინ რეალური ფულის ნაშთების მიწოდებაც ( $\frac{M}{P}$ ) გაიზრდება და გადააჭარბებს მოთხოვნას რეალური ფულის ნაშთებზე. ვინაიდან ფულის ბაზარი აღარ იქნება წონასწორულ მდგომარეობაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემცირდება საპროცენტო განაკვეთი, გაიზრდება შემოსავლის დონე, ან შეიცვლება ორივე მაჩვენებელი ერთად. ადგილი ექნება მოძრაობას IS მრუდის გასწვრივ და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან ერთად ეროვნული შემოსავალიც გაიზრდება. ამ შემთხვევაში ცენტრალურ ბანკს შეუძლია პირდაპირ გააკონტროლოს რეალური საპროცენტო განაკვეთი ფულის მიწოდების ცვლილებით, გეგმიური საპროცენტო განაკვეთის მისაღწევად.

ფასები რომ მომენტალურად კორექტირდებოდეს, ფულის მიწოდების ცვლილება გავლენას არ მოახდენდა რეალური ფულის ნაშთების მოწოდებაზე, რადგან  $\frac{M}{P}$  თანაფარდობა დააფიქსირებდა მას საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის დონის საშუალებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულის ბაზარი წონასწორობაში დარჩებოდა. არანაირი გადაადგილება არ განხორციელდებოდა IS მრუდის გასწვრივ და ცენტრალურ ბანკს არ შეეძლებოდა გავლენის მოხდენა რეალურ საპროცენტო განაკვეთებზე.

რეალურად ფასები ეკონომიკაში არ არის ფიქსირებული, მაგრამ სიჩქარე, რომლითაც ფასები ადაპტირდება ეკონომიკური პირობების ცვლილებებთან, განსხვავდება - ზოგი შედარებით სწრაფად იცვლება, ზოგი კი - შედარებით ხისტია. ეს ხისტი ფასები გავლენას ახდენს ფულის მასის თანაფარდობზე ფასების დონესთან (რეალური ფულის ნაშთების მიწოდება). ამრიგად, ეკონომიკაში შეიძლება მუდმივად არსებობდეს იწინააღმდეგარკვეული მოლოდინები, ვინაიდან M ყოველთვის გაიზრდება უფრო დიდი წილით, ვიდრე P. ფულის მიწოდების ზრდა გაზრდის მოსალოდნელ ინფლაციას და პირიქით. თუ ფასები ხისტია, ნომინალური ფულის მასის ზრდა გამოიწვევს ფულის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობიდან გამოსვლას, მაგრამ მოსალოდნელი ინფლაცია გავლენას არ მოახდენს რეალურ საპროცენტო განაკვეთებზე. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი კი სავარაუდოდ გაიზრდება ამ ცვლილების შედეგად.

შესაბამისად, ფასების სიხისტე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ შეუძლია ცენტრალურ ბანკს გავლენა მოახდინოს საპროცენტო განაკვეთზე ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად. ასეთი ანალიზი საინტერესო კითხვებს ბადებს. როდესაც საპროცენტო განაკვეთები მცირდება, როგორც ეს მოხდა ფინანსური კრიზისისა და გლობალური რეცესიის დროს 2008-2009 წლებში დიდი ბრიტანეთის, ევროპისა და აშშ-ის ცენტრალურმა ბანკებმა შეამცირეს საპროცენტო განაკვეთები ისტორიულად დაბალ დონემდე. საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად ცენტრალური ბანკი თავის ტრეიდერებს ავალეს შეიძინონ ობლიგაციები და გაზარდონ ფულის მიწოდება. ფულის მიწოდების ზრდა იწვევს ფასების დონის ზრდას; მართლაც, ზოგიერთმა ეკონომისტმა შეშფოთება გამოთქვა ცენტრალური ბანკების მიერ გატარებული რაოდენობრივი შემსუბუქების პოლიტიკის მასშტაბის შესახებ და იწინასწარმეტყველა ინფლაციის ზრდა. იმ პერიოდში, როდესაც ეკონომიკური აქტიურობა მცირდება, ინფლაციის მოლოდინი შეიძლება შემცირდეს და შედეგად ფულის ბაზარი წონასწორობიდან გამოვიდეს. მიზეზი ის არის, რომ ამ დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში მოსახლეობა მზად არის უფრო მეტი რეალური ფულის ნაშთი იქონიოს - და ჰქონდეს მოლოდინი საპროცენტო განაკვეთების გაზრდისა, რადგან მიიჩნევს, რომ საპროცენტო განაკვეთი მეტად ვეღარ შემცირდება. ეს არის ლიკვიდურობის ხაფანგი, რომელიც გულისხმობს მონეტარული პოლიტიკის მცირე გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე.

**შემოწმებისთვის:** დახაზეთ დიაგრამა, რომელიც გვიჩვენებს შემდეგი ცვლილებების გავლენას საპროცენტო განაკვეთებსა და ეროვნულ შემოსავალზე:

ა) მთავრობის მიერ გადასახადების გაზრდა;

ბ) ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილება საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ.

## კეინზიანიზმის დაბრუნება?

2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა განაახლა კამათი კეინზის მოთხოვნის მართვის პოლიტიკის მნიშვნელობაზე. ფინანსური კრიზისის შემდეგ არაერთმა ქვეყანამ გადაწყვიტა ეკონომიკაში ფისკალური სტიმულირების პაკეტების გამოყენება. ამან გააჩინა კითხვები ამ პაკეტების ეფექტიანობის შესახებ. 2008 წლის ბოლოს ევროკავშირმა გამოაცხადა ფისკალური სტიმულირების პაკეტი 200 მლრდ ევროს ოდენობით. დიდ ბრიტანეთში ფინანსთა კანცლერმა აღიარა, რომ მთავრობის სესხებმა შესაძლოა მიაღწიოს 175 მლრდ ფუნტ სტერლინგს და 2013-2014 წლებში მშპ - ს 79 პროცენტი იყოს (2012 წლის ბოლოს იგი მშპ - ს 73 პროცენტს

შეადგენდა). აშშ-ში პაკეტი \$ 800 მლრდ იყო; ამასობაში, ჩინეთმა 585 მლრდ დოლარი გაიღო, ხოლო იაპონიამ 275 მლრდ დოლარი. კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ასეთი პაკეტები საკმარისი არ იყო ეკონომიკაში არსებული უფსკრულის ამოსავსებად. მაგალითად, აშშ – ში, პოტენციურ და რეალურ მშპ – ს შორის უფსკრული ზოგიერთმა ეკონომისტმა დაახლოებით 2 ტრლნ დოლარად შეაფასა. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ფისკალური სტიმულირების პაკეტები რეალურად არ იყო ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო და რომ ყოფილიყო ისეთი, მაინც უსარგებლო იქნებოდა, მოსახლეობის დიდი რიცხვოვნობის გამო.

მაგალითად, 2009 წლის თებერვალში ევროკავშირის სტიმულირების პაკეტის შესწავლისას, დევიდ სპა და ჯაკობ ფონ ვეიზაკერი წერდნენ: "უნდა აღინიშნოს, რომ უახლოეს მომავალში სავარაუდო რეალური გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე შეიძლება უფრო მცირე იყოს, ვიდრე ამას ნაშრომი „განახლებული ზომის სტიმული“ გვიწინასწარმეტყველებს“ (<http://aei.pitt.edu/10549/1/>). იტალიის ფისკალური სტიმულის ანალიზის დროს, რომელიც შეადგენდა 80 მლრდ ევროს, სპამ და ვეიზაკერმა დაასკვნეს, რომ სტიმული საერთოდ არ იყო მოქმედება, მაგრამ ფისკალური შეკუმშვა 0,3 მლრდ ევროს შეადგენდა. ევროპის ნაწილში არსებობდა შემფოთება იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი ფისკალური სტიმულირების პაკეტი მოახდენდა ზეწოლას სახელმწიფო ვალზე და გავლენას იქონიებდა ევროს სტაბილურობაზე, რაზედაც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ევროკავშირის მომავალი კეთილდღეობა.

ნებისმიერი ფისკალური სტიმულის საფრთხეა ის, თუ რამდენად ქმნის იგი "რეალურ სიმდიდრეს". მთავრობებმა შეიძლება მეტი ფული დახარჯონ, მაგრამ რისთვის? თუ ფული დაიხარჯა საზოგადოებრივ სამუშაოებზე - ახალი სკოლების, საავადმყოფოების, გზების მშენებლობა და ა.შ., მაშინ ეს ნამდვილად გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას? გარკვეულწილად ასე იქნებოდა, მაგრამ როგორ უნდა დაფინანსდეს ეს დამატებითი ხარჯები? ფულის მოსაზიდად მთავრობას მოუწევს ან გადასახადების გაზრდა საკუთარი მოქალაქეებისთვის, ან სესხის აღება. ახალი გზის მშენებლობაზე დამატებითმა ხარჯებმა შეიძლება ფული ჩადოს სამშენებლო კომპანიებისა და მისი მუშაკების ჯიბეში, მაგრამ ამის დასაფინანსებლად მთავრობამ უნდა შეავიწროვოს სხვა მწარმოებლები, რითაც გააბათილებს სტიმულირების სარგებელს. თუ სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხები იმ ადამიანებს ხმარდება, რომელთაც დაკარგეს სამსახური, კრიტიკოსების აზრით, ასეთი პოლიტიკით მთავრობა არ უწყობს ხელს სიმდიდრის შექმნას; ამ პირებს შეიძლება გაჭირვების დროს დაეხმარონ, მაგრამ მიღებულ თანხას ისინი საკვებ პროდუქტებზე და სხვა საქონელზე დახარჯავენ, ამით კი არ შექმნიან რაიმე სიმდიდრეს მათ მიერ მიღებული სარგებლის სანაცვლოდ. მართლაც, კეინზმა თავად აღიარა, რომ სტიმულირების პაკეტებს გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნდა. 1937 წელს გაერთიანებული სამეფოს გაზეთ The Times- ის სტატიაში, ზოგადი თეორიის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ, მან დაწერა: „*მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენ ვუახლოვდებით ან უკვე მივალწიეთ იმ წერტილს, სადაც ზოგადი სტიმულის გამოყენებას უკვე აღარ მოაქვს დიდი სარგებელი ... აქედან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკის გაჯანსაღების შემდგომი ეტაპები საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას. გასაჭირში მყოფი სექტორების მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა დროებითი ზომების მიღება. ჯაროუს მარში, ასე ვთქვათ, თეორიულად სწორი იყო ... დღეს ჩვენ სწორად განაწილებული მოთხოვნა გვესაჭიროება, ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებაზე მეტად“.*

ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება მეტ გრძელვადიან ინვესტიციებს მოითხოვდეს, თუ უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის საკითხში გარკვეული სახის გაუმჯობესებებს აქვს ადგილი.

თუ მთავრობებს მეტი სესხის აღება მოუწევთ, შეიძლება ბაზარზე გაჩნდეს გამოდევნის ეფექტი (crowding out - კერძო მსესხებლის გამოდევნა (ძირითადი მსესხებლის როლში გამოდის სახელმწიფო, რომელსაც კრედიტების ბაზრიდან სახსრების დიდი ნაწილი მიაქვს). ამ სიტუაციაში მთავრობა კონკურენციას უწევს კერძო სექტორს სახსრების განაწილების საკითხში. ვინაიდან სასესხო სახსრების მიწოდება ლიმიტირებულია, თუ მთავრობები უფრო მეტ თანხას გამოიყენებენ, კერძო სექტორისთვის ნაკლები სახსრები იქნება ხელმისაწვდომი. თუ ვივარაუდებთ, რომ კერძო სექტორი უფრო ეფექტიანად იყენებს ასეთ საინვესტიციო სახსრებს, ვიდრე სახელმწიფო სექტორი, მაშინ ფისკალური სტიმულირების პაკეტი არამხოლოდ ითვისებს კერძო ინვესტიციებს, არამედ მათ ნაკლებად პროდუქტიულ მიზნებზე ხარჯავს.

**„კრუგმანი და დაჯგუფება“** (კერძო ინვესტიციების გაზრდა სახელმწიფო ხარჯების გაზრდის შედეგად). არსებობს მოსაზრებები, რომ საგანგებო სიტუაცია მოითხოვს საგანგებო მოქმედებას. ამ მოსაზრების ერთ-ერთი მომხრეა პოლ კრუგმანი. კრუგმანი მუდმივად ამტკიცებდა, რომ ფინანსური კრიზისისა და გლობალური რეცესიის სიღრმე ისეთი იყო, რომ ფისკალური სტიმული იყო საჭირო ლიკვიდურობის ხაფანგიდან გამოსაღწევად და გამოდევნის ეფექტისგან თავის დასაცავად. ფისკალური სტიმულები „დაჯგუფებას“ შექმნის. ლიკვიდურობის ხაფანგს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მონეტარული პოლიტიკა არასაკმარისია რეცესიიდან გამოსვლის ეკონომიკური სტიმულის შესაქმნელად. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, აშშ-ს ფედერალური ბანკისა და ინგლისის ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთები ნულამდე შემცირდა. იაპონიის ბანკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთი 2009 წლის აგვისტოში 0,1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ECB-ს - 1 პროცენტი იყო.

კრუგმანის აზრით, კერძო ინვესტიციები ეკონომიკის მდგომარეობის ფუნქციაა. გლობალური რეცესიის სიღრმის გამო ინვესტიციები შემცირდა. ინვესტიცია უფრო მეტად ზრდის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას, ვიდრე საპროცენტო განაკვეთი. მისი აზრით, თუ მთავრობები გამოიყენებენ შესაბამის ფისკალურ სტიმულს, ეს გააუმჯობესებს ეკონომიკის მდგომარეობას და ამით ხელს შეუწყობს კერძო სექტორში ინვესტიციების ზრდას. კერძო სექტორის ინვესტიციების ზრდასთან ერთად, ეს აუმჯობესებს პროდუქტიულ პოტენციალს და ხელს უწყობს ეკონომიკის რეცესიიდან თავის დაღწევას. კრუგმანი ამტკიცებს, რომ ფისკალურმა სტიმულებმა შეიძლება გამოიწვიოს დაჯგუფების ინდექსი, რაც გამოდევნის ეფექტს ანეიტრალებს.

ამ მოსაზრების კრიტიკოსები ვარაუდობენ, რომ სახელმწიფო ხარჯების გაზრდა წარმოშობს გამოდევნის ეფექტს ბაზარზე. სტიმულირების პაკეტის წარმატება ეკონომიკის გასაძლიერებლად და მომავალი თაობებისათვის სარგებლის მოსატანად მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მთავრობის მიერ გატარებული ხარჯების ტიპზე. ახალ სკოლებსა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე დახარჯვამ შეიძლება გააუმჯობესოს ეკონომიკის მომავალი პროდუქტიული პოტენციალი და გაუმკლავდეს ეკონომიკაში არსებულ სტრუქტურულ პრობლემებს, რომლებიც ზემოთ იყო აღნიშნული.

ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პოლიტიკური რენტის ძიება და ლოგროლინგი. პოლიტიკური რენტის ძიებას ადგილი აქვს იქ, სადაც რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით მიიღება გადაწყვეტილებები, რაც მაქსიმალურად ზრდის გადაწყვეტილების მიმღები პირის სარგებელს სხვა მხარის ან პარტიების ხარჯზე. ლოგროლინგი კი ხდება იქ, სადაც შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებები რესურსების განაწილების პროექტებზე, რომლებსაც ნაკლები მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიმღებთათვის. ძალაუფლების მქონე პირი ეხმარება მეორე მხარეს თავისთვის ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხის მოგვარებაში და ამით იღებს მომავალში მისთვის და მისი პარტიისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებაზე მხარდაჭერის

პირობას. ორივე შემთხვევაში, ნათელია, რომ რესურსების განაწილება არ არის ისეთი ეფექტიანი, როგორც კერძო სექტორის მიერ განხორციელების შემთხვევაში იქნებოდა და ეს უნდა იქნას გათვალისწინებული საჯარო სექტორის სტიმულირების ნებისმიერი პაკეტის შედგენისას.

## დასკვნა

მაკროეკონომიკაში კეინზიანური მიდგომების შესახებ კიდევ ბევრი სადავო საკითხი არსებობს, გარდა IS-LM მოდელის ეფექტიანობისა და რელევანტურობის შესახებ არსებული დებატებისა. ეს ხელს უწყობს საქონლის და ფულის ბაზრის ურთიერთმიმართების სიღრმისეულად გააზრებას და იძლევა ეკონომიკის ზოგადი ანალიზის უფრო ფართო განვითარების საფუძველს. ამ მოკლე შესავალში მოცემულია IS-LM მოდელთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი, რომელზეც ეკონომისტები ახლაც მსჯელობენ. ამ მოდელის გაცნობიერება ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებას ფულის მასის, საპროცენტო განაკვეთებისა და ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვან კავშირებზე.

### ახალი ამბებიდან

**„სიმკაცრე“ და ეკონომიკური ზრდა.** ეკონომისტების ინტერესის გაღვივება კეინზიანური ეკონომიკისადმი ფინანსურმა კრიზისმა განაპირობა. ბევრ ქვეყანაში, სესხის გაცემის მაღალი პროცენტი მთელ რიგ პრობლემებს წარმოშობდა, რომელთა მოგვარებაც აუცილებელი იყო. ამ პრობლემების მოგვარებაში დამკვიდრდა სიმკაცრის პოლიტიკა, მათ შორის სახელმწიფო ხარჯების შემცირება და გადასახადების ზრდა.

ექსპანსიური სიმკაცრე თუ კეინზიანური ინტერვენცია?

პროფესორი ლორდ რობერტ სკიდელსკი არის ეკონომიკის პროფესორი დიდ ბრიტანეთში, ვარვიკის უნივერსიტეტში და კეინზის ცნობილი მიმდევარი. მან დაწერა ნაშრომი სიმკაცრის პოლიტიკის შესახებ, რომელიც ბევრმა ქვეყანამ დანერგა ფინანსური კრიზისის შემდეგ. დიდი ბრიტანეთი ცდილობდა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას გადასახადების გაზრდით და სახელმწიფო ხარჯების შემცირებით, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ადამიანი განიცდიდა გაჭირვებას ამ პოლიტიკის შედეგად, დეფიციტი არ შემცირებულა იმ პერიოდის კანცლერის, ჯორჯ ოსბორნის მიერ პროგნოზირებულ დონეზე.

2016 წლის იანვრის დასაწყისში, ოსბორნმა გამოავლინა "ეკონომიკური ქარები" რაც გავლენას ახდენდა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის მდგრადობაზე. ამ "ეკონომიკურ ქარებს" შორის იყო ჩინეთში ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება, ე. წ. BRIC ქვეყნების პრობლემები, ნავთობის დაბალი ფასები, ევროპაში ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები. სკიდელსკიმ აღიარა ეს პრობლემები, მაგრამ თან დასძინა, რომ სიმკაცრის პოლიტიკამ დიდი ბრიტანეთი უფრო სუსტ მდგომარეობაში ჩააყენა, ვიდრე მანამდე იყო. მან აღნიშნა, რომ კეინზისადმი ინტერესი კრიზისისთანავე ხანმოკლე იყო და გარკვეული საწყისი ფისკალური იმპულსის შემდეგ, კეინზიანური პოლიტიკა გადაიზარდა სიმკაცრის პოლიტიკაში. მისი მტკიცებით, სიმკაცრის პოლიტიკამ მხოლოდ მცირე ხარისხით შეუწყო ხელი ეკონომიკის რეაბილიტაციას. მთავრობა არ ახორციელებს ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკას იმის გამო, რომ ეშინია ფინანსური ბაზრების საპასუხო რეგირების, რაც კიდევ უფრო გაზრდის დეფიციტს შემდგომი ეკონომიკური ზრდის საწინააღმდეგოდ და გაზრდის დეფოლტის საფრთხეს.

დიდ ბრიტანეთში ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპი დაფიქსირდა 2014 და 2015 წლებში და გადააჭარბა 2 პროცენტს, ხოლო DECO-ს თანახმად, გამოშვების ხარვეზი -0,017

პროცენტი იყო. ეს შეიძლება მიანიშნებდეს, რომ გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკა მყარ მდგომარეობაში იყო „ეკონომიკური ქარების“ სამართავად, მაგრამ სკიდელსკი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მან აღნიშნა, რომ მწარმოებლურობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა კრიზისის წინა დონეს და 15 პროცენტით დაბალი იყო გეგმიურ მაჩვენებელზე. სკიდელსკის აზრით, წარმოების ხარვეზის არსებობის გამო დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის შესაძლებლობები უნდა შემცირებულიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, AS უნდა გადაადგილებულიყო მარცხნივ.

სკიდელსკი ამას უკავშირებდა რეცესიის ხანგრძლივობას, რამაც გამოიწვია ინვესტიციების ნაკლებობა, დისფუნქციური საბანკო სისტემა და უმუშევრობის მაღალი დონე. რეცესიის ამ ეფექტებმა, მისი მტკიცებით, დიდი ბრიტანეთის მწარმოებლურობის შემცირება გამოიწვია. სკიდელსკის თანახმად, ამ პრობლემის მოგვარების საშუალებაა მთავრობამ მეტი ინვესტიცია განახორციელოს კაპიტალის ხარჯვის პროექტებში, რომლებიც ზრდის მწარმოებლურობას მომავალში. იგი ამტკიცებს, რომ ასეთი ხარჯები არ უნდა დაიფაროს სესხის აღებით. ბიუჯეტის დაბალანსებასა და სიმკაცრეზე კონცენტრირება მალავს ეკონომიკის ნამდვილ მდგომარეობას და ახანგრძლივებს ეკონომიკის გაჯანსაღების პერიოდს.

#### **კითხვები:**

1. გამოიყენეთ მულტიპლიკატორის კონცეფცია იმის ასახსნელად, თუ სახელმწიფო შესყიდვების შემცირება და გადასახადების გაზრდა როგორ იწვევს ეროვნული შემოსავლის შემცირებას.
2. რამდენიმე კეისიანი სტიმული გამოყენებული იქნა რამდენიმე მთავრობის მიერ ფინანსური კრიზისის დროს. გამოიყენეთ დიაგრამები იმის საჩვენებლად, თუ როგორ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე აღნიშნული სტიმულები.
3. აღწერეთ, რატომ მიიჩნევენ ბრიტანეთის მთავრობები, რომ არ არსებობს სიმკაცრის პოლიტიკის ეფექტიანო ალტერნატივა გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

## შეჯამება

- ) კეინზმა შექმნა ზოგადი თეორია იმ მასობრივი უმუშევრობის საპასუხოდ, რომელიც ეკონომიკაში წარმოიშვა 1930-იან წლებში.
- ) ის მხარს უჭერდა იდეას, რომ მთავრობები უნდა ჩაერიონ ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების მიზნით.
- ) კეინზიანური ჯვრის დიაგრამა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ეკონომიკა წონასწორობაში იყოს, როდესაც  $E = Y$ .
- ) ბაზარზე არსებული რეალური მდგომარეობა შეიძლება არ იყოს საკმარისი სრული დასაქმების პირობებში არსებული გამოშვების უზრუნველსაყოფად და ამიტომ მთავრობას შეუძლია გაზარდოს ერთობლივი მოთხოვნა სრული დასაქმების პირობებში არსებული გამოშვების დონის მისაღწევად.
- ) ჯონ ჰიქსმა წარმოადგინა კეინზის იდეები IS-LM მოდელის სახით, რომელიც აჩვენებს ზოგად წონასწორობას ეკონომიკაში.
- ) IS (ინვესტიციის დაზოგვის) მრუდი გვიჩვენებს საქონლის ბაზარზე წონასწორობის ყველა წერტილს კონკრეტული საპროცენტო განაკვეთისა და ეროვნული შემოსავლის დონეზე.
- ) LM (ლიკვიდურობისა და ფულის მიწოდების) მრუდი გვიჩვენებს წერტილებს, სადაც ფულის ბაზარი წონასწორობაში იმყოფება საპროცენტო განაკვეთისა და ეროვნული შემოსავლის დონით.
- ) ზოგადი წონასწორობა მყარდება იქ, სადაც IS მრუდი კვეთს LM მრუდს. ამ საპროცენტო განაკვეთისა და ეროვნული შემოსავლის დონეზე როგორც საქონლის ბაზარი, ასევე ფულის ბაზარი იმყოფება წონასწორობაში.
- ) ფისკალურმა და მონეტარულმა პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს IS და LM მრუდების გადაადგილებები, რაც ახალ წონასწორობის წერტილებს წარმოშობს.
- ) შედეგი დამოკიდებული იქნება სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის მოხმარებისა და ინვესტიციების რეაგირებაზე, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებაზე და საზოგადოების რეაგირებაზე, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად რეალური ფულის ნაშთების შენარჩუნებაზე.
- ) კრიტიკოსების აზრით, IS - LM მოდელი არ ასახავს თანამედროვე ეკონომიკის მონეტარული პოლიტიკის ფუნქციონირებას.
- ) ეკონომისტებმა შეიმუშავეს ახალი მოდელები, რომლებიც იმ ცვლილებებს ასახავს, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკაში.

## კითხვები განხილვისთვის

1. რა განსხვავებაა პოტენციურ და ფაქტობრივ დანახარჯებს შორის?
2. დახაზეთ კეინზიანური ჯვრის დიაგრამა იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავლენას ახდენს დამოუკიდებელი დანახარჯების ზრდა სრული დასაქმების შესაბამისი გამოშვების მისაღწევად.
3. რას აღნიშნავს ტერმინები ინფლაციური და დეფლაციური ხარვეზი?
4. რას ნიშნავს ტერმინი მოხმარებისკენ ზღვრული მიდრეკილება?
5. რატომაა  $MPC+MPS$  ტოლობა 1-ს ტოლი?



6. რას ეწოდება მულტიპლიკატორი? შეიძლება თუ არა მულტიპლიკატორის ეფექტი უარყოფითი იყოს? ახსენით.
7. ახსენით მოხმარებისკენ ზღვრული მიდრეკილება როგორ ზრდის დამოუკიდებელ დანახარჯებს და როგორ მოქმედებს გამოშვებაზე.
8. ნახაზის გამოყენებით აჩვენეთ როგორ იქმნება IS და LM მრუდები.
9. IS-LM მოდელის გამოყენებით ახსენით, სახელმწიფო შესყიდვების შემცირება როგორ ამცირებს დამოუკიდებელ დანახარჯებს.
10. ცენტრალურ ბანკს სურს ინფლაციური მოლოდინის შემცირება, საპროცენტო განაკვეთის გაზრდის გზით. IS-LM მოდელის გამოყენებით გააანალიზეთ ამ მოქმედების შედეგები.

## პრობლემები და სავარჯიშოები

1. კეინსის აზრით, რა იყო რეცესიებისა და დეპრესიების გამომწვევი ძირითადი მიზეზი? ამ მიზეზის იდენტიფიცირების შემდეგ რა ურჩია მან ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს?
2. შესაბამისი ნახაზის გამოყენებით ახსენით, თუ როგორ ჩნდება დეფლაციური ხარვეზი და როგორ ხდება ამ ხარვეზის აღმოფხვრა?
3. დავუშვათ, რომ ეკონომისტებმა შენიშნეს, რომ სამთავრობო ხარჯების 10 მილიარდი ევროთი გაზრდა, იწვევს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას 30 მილიარდი ევროთი.
  - ა. თუ ეს ეკონომისტები უგულბებლყოფენ „გამოდევნის“ შესაძლებლობას, რამდენი იქნება MPC მათი შეფასებით?
  - ბ. ახლა ჩათვალეთ, რომ ეკონომისტები ითვალისწინებენ გამოდევნის ეფექტს. მათი ახალი შეფასებით MPC უფრო მეტი იქნება თუ ნაკლები? ახსენით.
4. დავუშვათ, მთავრობა ამცირებს გადასახადებს 2 მილიარდი ევროთი, ბაზარზე არ არსებობს „გამოდევნის“ ეფექტი და MPC არის 0,75.
  - ა. რა იქნება გადასახადის შემცირების საწყისი გავლენა AD-ზე?
  - ბ. რა დამატებითი ეფექტები მოჰყვება ამ თავდაპირველ ეფექტს? მთლიანობაში რა გავლენას ახდენს გადასახადის შემცირება AD-ზე?
  - გ. შეადარეთ 2 მილიარდი ევროს ოდენობით გადასახადის შემცირების საერთო შედეგი სახელმწიფო შესყიდვების 2 მილიარდი ევროს ოდენობით ზრდის საერთო შედეგებს?
5. ჩათვალეთ, რომ ეკონომიკა წონასწორობაშია. გააანალიზეთ ავტონომიური დანახარჯების შემცირების გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე და უმუშევრობის დონეზე. დახაზეთ დიაგრამა თქვენი პასუხის საილუსტრაციოდ.
6. რას გვიჩვენებს IS მრუდი? რას გვიჩვენებს LM მრუდი?
7. რა განსაზღვრავს IS მრუდის დახრილობას? რა განსაზღვრავს LM მრუდის დახრილობას? ახსენით, რატომ შეიძლება ეს დეტერმინანტები უთანხმოების მიზეზი გახდეს ეკონომისტებს შორის?

8. IS-LM მოდელის გამოყენებით განმარტეთ ჩამოთვლილი ოპერაციების შედეგები:
- ა. სამთავრობო ინსტიტუტები ამცირებენ დანახარჯებს.
  - ბ. ცენტრალური ბანკი ახორციელებს აქტივების შესყიდვის ოპერაციას (რაოდენობრივი შემსუბუქება), რაც ზრდის ფულის მიწოდებას 300 მილიარდი ევროს ოდენობით.
  - გ. ცენტრალური ბანკი შიშობს, რომ ინფლაციური ზეწოლა გაიზრდება და ზრდის საპროცენტო განაკვეთებს.
  - დ. მთავრობა ზრდის გადასახადებს ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად.
9. ჩათვალეთ, რომ დეფლაციის პერიოდი იწვევს რეალური ფულის ნაშთების მიწოდების ზრდას. ახსენით რა გავლენა მოახდინა ამ ცვლილებამ ეკონომიკაზე IS-LM მოდელის გამოყენებით და შემდეგ რა გავლენას მოახდენს იგი AD-ზე და რატომ.
10. როგორ ფიქრობთ, კეინსის იდეები არის თუ არა დღესაც აქტუალური? ახსენით.

## თემა 9. მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა

ომისშემდგომი ეპოქის პოლიტიკა მკვეთრად იყო ფოკუსირებული ერთობლივი მოთხოვნის მართვაზე. 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლებში, მოთხოვნის მართვა ექვევებოდა დადგა და ზოგიერთმა ეკონომისტმა დაიწყო ეკონომიკის შესაძლებლობაზე - ერთობლივ მიწოდებაზე დაკვირვება. კერძოდ, ეკონომისტებმა დაიწყეს გადასახადების ხშირი ცვლილებების გავლენების შესწავლა, რაც ეკონომიკაში მოთხოვნიდან მიწოდებაზე აქცენტის გადატანას მოასწავებდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, AS მრუდი ვერტიკალურია, მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაში ის მარცხნიდან მარჯვნივ და ზემოთ მიემართება. AS მრუდის მარჯვნივ გადაადგილება გაზრდის ეკონომიკის შესაძლებლობებს და ეროვნულ შემოსავალს (შესაბამისად შეამცირებს უმუშევრობას). მიწოდების ეკონომიკაზე კონცენტრირება, შესაბამისად, ხელს შეუწყობს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევას და უფრო მაღალ ზრდას, უმუშევრობის შემცირებას და სტაბილურ ან კიდევ უფრო დაბალ ინფლაციას. ამრიგად, მიწოდების პოლიტიკა ფოკუსირებულია AS-ზე ზემოქმედების ფაქტორებზე. თუ AS წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების რაოდენობას, რომელსაც ფირმები ირჩევენ, რომ აწარმოონ სხვადასხვა ფასების დონის პირობებში, მაშინ იმის დადგენა, თუ რა ახდენს გავლენას ფირმების ქცევაზე, მნიშვნელოვანი საწყისი წერტილია.

### ერთობლივი მიწოდების მრუდის ცვლილებები

არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს AS მრუდის შეცვლა. ეს ფაქტორებია შრომითი, ფიზიკური ან ადამიანური კაპიტალის, ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის ცვლილებები, ტექნოლოგიის ცვლილებები და ფასების დონის მოლოდინები. მათზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის დანახვა, თუ როგორ შეიძლება AS მრუდში ცვლილებების შეტანა.

AS მრუდი მოკლევადიან პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, მოძრაობს ზევით, გრძელვადიან პერსპექტივაში კი მას ვერტიკალური მდგომარეობა უჭირავს.

გრძელვადიანი პერსპექტივის ვერტიკალური AS მრუდი ინტუიციურად გასაგები ხდება, თუ AS-ს ეკონომიკის შესაძლებლობების თვალსაზრისით განიხილავთ. წარმოიდგინეთ, რომ ეკონომიკაში ყველა ადამიანმა, ვისაც ხელფასის არსებული განაკვეთით მუშაობა სურს, შეძლო სამუშაოს პოვნა (ე.ი. იყო სრული დასაქმება), რომ თითოეული ფირმა აწარმოებდა თავისი მაქსიმალური შესაძლებლობით და არ არსებობდა

მანქანების მოცდენა, მაშინ ეკონომიკა აწარმოებდა მაქსიმალური მოცულობით, რომელსაც ჩვენ მოვიხსენებთ, როგორც გამოშვებას სრული დასაქმების პირობებში ( $Y_f$ ).


მოკლევადიან პერსპექტივაში AS მრუდი შეიძლება გადაადგილდეს, რაც იწვევს დროებით გადახრებს გამოშვებიდან სრული დასაქმების პირობებში, მაგრამ საბოლოოდ, როცა ფასების, ხელფასების ცვლილება და არასწორი აღქმა გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, გამოშვება თავის გრძელვადიან წონასწორობას უბრუნდება. AD-ში განხორციელებულმა ცვლილებებმა ეკონომიკური საქმიანობის მერყეობები შეიძლება გამოიწვიოს, ხოლო მოთხოვნის მართვისა და მერყეობების სტაბილიზების მცდელობის მიზნით, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარება შესაძლებელია. ამასთან, თუ ამოქმედდება პოლიტიკა AD-ს გასაზრდელად, მაგალითად, AD-ს ზრდის საპასუხოდ, შედეგები შეიძლება გამოშვების გარღვევის მასშტაბზე და ეკონომიკის მოქნილობაზე იყოს დამოკიდებული. უმუშევრობის შემცირებაზე და ფასების დონის ცვლილებაზე გავლენას ეკონომიკის მოქნილობა მოახდენს.

ნახაზი 9.1 ასახავს განსხვავებული ფორმის AS მრუდს. სრული დასაქმების პირობებში გამოშვების დონეზე AS მრუდი ვერტიკალურია, მაგრამ  $Y_1$ -სა და  $Y_f$ -ს შორის AS მრუდი სულ უფრო დამრეცი ხდება, ხოლო  $Y_2$ -ს და  $Y_1$ -ს შორის მრუდი თითქმის ჰორიზონტალურია. ამას ახალი კეინზიანური AS მრუდი ეწოდება.

### ნახაზი 9.1.

#### ერთობლივი მიწოდების კეინზიანური ახალი მრუდი

ერთობლივი მიწოდების კეინზიანური ახალი მრუდი ვერტიკალურია სრული დასაქმების პირობებში გამოშვების  $Y_f$  დონეზე. ეროვნული შემოსავლის დაბალ დონეებზე AS მრუდი ჰორიზონტალურია და ასახავს ფაქტს, რომ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი სარეზერვო შესაძლებლობებია, მაგრამ რამდენადაც ეროვნული შემოსავალი იზრდება, ფირმების გაფართოების შესაძლებლობა რთულდება და, ამგვარად, AS მრუდი თანდანობით დამრეცი ხდება, ვიდრე ვერტიკალურ მდგომარეობას არ მიიღებს, რაც სრული დასაქმების პირობებში გამოშვებას ასახავს.



საწყის წერტილსა და  $Y_2$ -ს შორის ეკონომიკაში საკმაოდ დიდი სარეზერვო შესაძლებლობებია, რომლებიც იწყებს შემცირებას სრული დასაქმების პირობებში გამოშვების დონის სიახლოვეს  $Y_f$ -ზე. ეს გავლენას ახდენს ეროვნული შემოსავლისა და ფასების დონეზე, თუ AD გადაადგილდება ისე, როგორც ნაჩვენებია ნახაზზე 9.2. თუ ეკონომიკა ფუნქციონირებს იწყებს  $Y_1$ -დან  $P_1$  ფასების პირობებში, ეკონომიკაში მნიშვნელოვანი სარეზერვო შესაძლებლობები არსებობს და გამოშვებაში დიდი გარღვევაა. თუ ფისკალური და/ან მონეტარული პოლიტიკა AD მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს, ეროვნული შემოსავალი შედარებით დიდი რაოდენობით გაიზრდება  $Y_1$ - დან  $Y_2$ - მდე. თუ ადგილი აქვს ფასების დონის უმნიშვნელოდ ზრდას, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ფილიპსის მრუდი შედარებით ნაკლებად ჩაღრმავებულია და უმუშევრობის შემცირებასა და ფასების დონის ზრდას შორის უკუკავშირი ხელსაყრელია. თუ პოლიტიკა განაგრძობს AD-ის მარჯვნივ გადაადგილებას, უკუკავშირი იცვლება, ეროვნული შემოსავლის ზრდა იწყებს შემცირებას და სრული დასაქმების პირობებში გამოშვებას უახლოვდება, ხოლო ფასები უფრო სწრაფი ტემპით იზრდება.

რატომ ხდება უკუკავშირი ნაკლებად ხელსაყრელი დროთა განმავლობაში? მიზეზი ის არის, რომ როცა AD იზრდება, საზოგადოების შეზღუდულ რესურსებზე ზეწოლაც იზრდება. მაგალითად, თუ AD გაიზარდა  $AD_3$ -დან  $AD_4$ -მდე, ფირმები ცდილობენ გამოშვების გაფართოებას გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და წარმოების ფაქტორების უფრო მეტი რაოდენობით ყიდვას შეეცდებიან. წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის ზრდის პირობებში მათი ფასიც იზრდება. შრომის რაოდენობა გარკვეულ დარგებში შესაძლებელია დეფიციტური გახდეს სხვა დარგებში გამოყენებული შრომის სახეობებთან შედარებით, რაც მკვეთრად გაზრდის ამ დარგებში ხელფასის მაჩვენებლებს.

მაგალითად, საამშენებლო დარგში გამოცდილ მუშახელზე მოთხოვნა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ ამ უნარების მქონე მუშახელის მიწოდება მოკლევადიან პერსპექტივაში არაელასტიკურია. გამოცდილი კალატოზის, სანტექნიკის, მლესავისა და ელექტრიკოსის მომზადებას დრო სჭირდება. ისინი, ვისაც ეს ცოდნა აქვთ, დაინახავენ, რომ მოთხოვნადი არიან და მათ შეეძლება თავიანთი შრომა უფრო მაღალი ხელფასის სანაცვლოდ გასწიონ. ფირმები, რომლებიც მაღალ ხელფასს იხდიან, ხედავენ, რომ მათი ხარჯები იზრდება, მაგრამ მოთხოვნის ზრდასთან ერთად ისინი გრძნობენ, რომ მათ შეუძლიათ უფრო მაღალი ხარჯები მომხმარებელს გადააკისრონ უფრო მაღალი ფასების სახით. ამიტომ ინფლაცია იწყებს მატებას. რაც უფრო მიუახლოვდება ეკონომიკა გამოშვებას სრული დასაქმების პირობებში, მით უფრო მეტი იქნება წარმოებაში ვიწრო ადგილები, რომლებიც წარმოიქმნება რესურსების შემცირების გამო. ამიტომ ფასებზე გავლენა უფრო დიდი იქნება, მაგრამ ეკონომიკის შემდგომი ზრდის შესაძლებლობა შემცირდება.

## გამოშვების გარღვევის მნიშვნელობა


მიწოდების სტიმულირებაზე ყურადღება მახვილდება იმის გამო, რომ პოლიტიკოსებმა არ იციან რა ზომისაა გამოშვებაში გარღვევა დროის კონკრეტულ მომენტში, ანუ სად არის ეკონომიკა AS მრუდზე. გამოშვებაში გარღვევა შეიძლება

გამოითვალოს ორი გზით. პირველი - პოტენციურიდან ფაქტობრივი გამოშვების გამოკლებით. პოტენციური გამოშვება ემყარება დაშვებას, რომ ბაზრები სრულყოფილად კონკურენტუნარიანია. მეორე - ფაქტობრივი გამოშვების გამოკლებით ბუნებრივი გამოშვებიდან, სადაც ბუნებრივი გამოშვება არასრულყოფილ კონკურენციას, ხისტ ფასებსა და ხელფასებს გულისხმობს. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ თანაფუნქციონირებენ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკები მაშინაც კი, თუ მთავრობები განზრახ არ ცდილობენ გავლენა მოახდინონ AD-ზე. გადასახადების განაკვეთების, შეღავათებისა და მთავრობის ხარჯების ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებები გავლენას იქონიებს AD-ს დონეზე, ხოლო მონეტარული პოლიტიკის ცვლილებები გავლენას მოახდენს საინვესტიციო გადაწყვეტილებებსა და გაცვლით კურსზე, შედეგად - წმინდა ექსპორტზე. თუ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის წმინდა ეფექტი ხელს უწყობს AD-ს ზრდას, გამოშვების გარღვევის სიდიდე გავლენას ახდენს ფასების დონის ცვლილებებსა და ეროვნულ შემოსავალზე.

**ნახაზი 9.2.**

**ერთობლივი მიწოდების მრუდი და ვიწრო ადგილები წარმოების პროცესში**

AD-ს ზრდა, როდესაც ეკონომიკაში მნიშვნელოვანი სარეზერვო შესაძლებლობებია, იწვევს ეროვნული შემოსავლის შედარებით დიდ ზრდას ფასების დონის შედარებით მცირე მატების პირობებში. AD-ს ზრდის პირობებში, რესურსული შეზღუდულობა ნიშნავს, რომ ხდება ეროვნული შემოსავლის შედარებით მცირე მოცულობით ზრდა და, ამავე დროს, რესურსებზე ზეწოლის გაძლიერების გამო ფასების დონის უფრო სწრაფად ზრდა მიმდინარეობს.



ეს ნაჩვენებია ნახაზზე 9.3. დავუშვათ, რომ (a) პანელში ეკონომიკა წონასწორობაშია  $Y_1$ -ზე. გამოშვების გარღვევა მოცემულია სრული დასაქმებისას გამოშვებასა და ფაქტობრივ


გამოშვებას შორის  $Y_t - Y_t$  ინტერვალით. AD-ს  $AD_2$ -მდე ზრდა გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის ზრდას  $Y_2$ -მდე და ფასების დონის ზრდას  $P_2$ -მდე. გამოშვების გარღვევის მასშტაბი მცირდება, მაგრამ ეკონომიკაში წარმოქმნილი ზოგიერთი პრობლემის გამო ეროვნული შემოსავლის ზრდა ინფლაციის მატების ხარჯზე ხდება. AD-ს ნებისმიერი შემდგომი ზრდა ნიშნავს, რომ ეკონომიკა გადახურების საფრთხის წინაშეა: მიწოდების შეზღუდვები აჩვენებს, რომ ფასებზე ზეწოლა იზრდება. (b) პანელში საწყისი წონასწორობა მოცემულია  $Y_1$ -ით, მაგრამ გამოშვებაში გარღვევა ისევ გამოსახულია  $Y_t - Y_t$  - ით. თუმცა ეს გარღვევა შედარებით მცირეა. ეკონომიკა უკვე უახლოვდება AS მრუდის ვერტიკალურ მონაკვეთს. AD-ს ზრდა ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავლის ზრდა ძალიან მცირეა, მაგრამ ფასების დონეზე გავლენა ბევრად უფრო ძლიერია. ეკონომიკა გადახურებულია და არ აქვს შესაძლებლობები, რომ გაუმკლავდეს AD-ს ზრდას. ამიტომ ძირითადი სიმძიმე ფასებს აწვება.

გამოშვების გარღვევის ზომის შეფასება მარტივია თეორიულად, მაგრამ ბევრად უფრო რთულია რეალობაში. გამოყენებული მოდელები განსხვავდება. შემუშავებულ განტოლებებში პარამეტრების განსხვავებულმა ზომამ შეიძლება შედეგებში დიდი ცდომილებები გამოიწვიოს. თუ პოლიტიკოსები გადაწყვეტილებებს აფუძნებენ გამოშვების იმ სავარაუდო გარღვევაზე, რომელიც არასწორია, პოლიტიკის შედეგები მოსალოდნელისაგან შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდეს. ამ მიზეზით, მიწოდების ეკონომიკის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკის მწარმოებლურობის გაზრდაზე ფოკუსირება ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა იყოს.

### ნახაზი 9.3.

#### გამოშვების გარღვევის ზომის ეფექტი

პანელი (a) გვიჩვენებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდის ეფექტს ეროვნულ შემოსავალზე და ფასების იმ დონეზე, როდესაც გამოშვების გარღვევა შედარებით დიდია. ამის საპირისპიროდ, თუ ეკონომიკა საწყისი წონასწორობაშია, როდესაც გამოშვების გარღვევა მცირეა, როგორც პანელში (b), მაშინ AD-ს ზრდას ფასების დონის ზრდაზე გაცილებით მეტი ეფექტი ექნება.




## სტაბილური ზრდა

მიწოდების ეკონომიკის მომხრეები გვთავაზობენ - თუ პოლიტიკა კონცენტრირებულია ეკონომიკის შესაძლებლობების გაზრდაზე, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ეროვნული შემოსავლის გაზრდა, მაგრამ ფასების დონის სტაბილურობის შენარჩუნების პირობებში. ეს ნაჩვენებია **ნახაზზე 9.4**.

### ნახაზი 9.4.

#### სტაბილური ეკონომიკური ზრდა

თუ მიწოდების სტიმულირების პოლიტიკები წარმატებულად ახდენენ AS მრუდის გადაადგილებას  $AS_1$ -დან  $AS_2$ -მდე, AD-ს ზრდა  $AD_1$ -დან  $AD_2$ -მდე შედეგად მოიტანს ეროვნული შემოსავლის შედარებით დიდ ზრდას  $Y_1$ -დან  $Y_2$ -მდე, მაგრამ ფასების დონის მხოლოდ ზომიერი ზრდით  $P_1$ -დან  $P_2$ -მდე. ახალი AS მრუდი დაკავშირებულია ეკონომიკის გაზრდილ შესაძლებლობებთან, რაც გამოიხატება სამუშაო ძალის სრული დასაქმების პირობებში გამოშვების მოცულობის ზრდით  $Y_1$ -დან  $Y_2$ -მდე.



დავუშვათ, AS მრუდი იმყოფება  $AS_1$  მდგომარეობაში, AD მრუდი კი -  $AD_1$  მდგომარეობაში. საწყისი წონასწორობა A წერტილია, ფასების დონეა  $P_1$  და ეროვნული შემოსავალია  $Y_1$ .  $AD_1$ -ს ზრდა  $AD_2$ -მდე, საწყისი  $AS_1$  მრუდის გათვალისწინებით, ეკონომიკაში განაპირობებს ვიწრო ადგილების წარმოქმნას წარმოების პროცესში და, შედეგად, ფასების დონის მატების დაწყებას. თუ მიწოდების სტიმულირების პოლიტიკამ მოახერხა  $AS_1$  მრუდის გადაადგილება მარჯვნივ  $AS_2$ -ზე, სამუშაო ძალის სრული დასაქმების პირობებში გამოშვების ახალი მოცულობა  $Y_2$  გაიზრდება  $Y_{f1}$ -სთან შედარებით.  $AD_1$ -ს ზრდა  $AD_2$ -მდე ახლა გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის ზრდას  $Y_1$ -დან  $Y_2$ -მდე, მაგრამ ფასების დონის ზრდა შედარებით მცირე იქნება -  $P_1$ -დან  $P_2$ -მდე. ბევრი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ეკონომიკაში მცირე ინფლაცია კარგია, რადგან ის



ასტიმულირებს ფირმებს აწარმოონ და გაფართოვდნენ. AS-ს მარჯვნივ გადაადგილებით, ეკონომიკას შეუძლია გაზარდოს ცხოვრების დონე და შეამციროს უმუშევრობა და, ამასთანავე, შეინარჩუნოს სტაბილური ფასები (სადაც ფასების დონე განისაზღვრება, როგორც ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი). ყოველივე ეს წარმოადგენს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას.

**შემოწმებისთვის:** რა არის ის ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს AS მრუდის გადაადგილება მარჯვნივ? რას ნიშნავს „ვიწრო ადგილი წარმოებაში“? რეგულარულობა?

## წარმოების სტიმულირების პოლიტიკის ტიპები

მიწოდების ეკონომიკის მომხრეებს ფუნდამენტური რწმენა აქვთ, რომ ბაზრებსა და კერძო სექტორს შეუძლიათ რესურსების ეფექტიანად განაწილება საჯარო სექტორთან შედარებით. ამ დაშვების გათვალისწინებით, ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პოლიტიკა რესურსების უფრო ეფექტიანად განაწილებას უზრუნველყოფს. ეს პოლიტიკა კლასიფიცირდება, როგორც **ბაზარზე მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა**. მიწოდების ეკონომიკის მომხრეები თვლიან, თუ მთავრობები აპირებენ ეკონომიკაში ჩარევას, მაშინ ყურადღება უნდა გამახვილდეს რესურსებში ინვესტირებაზე, რაც ეკონომიკურ საქმიანობას გააუმჯობესებს. მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარება, კვლევისა და განვითარების გაუმჯობესება და განათლების სფეროში ინვესტიცია. ეს პოლიტიკა მოიხსენიება, როგორც **ინტერვენციული პოლიტიკა**. ახლა უფრო დეტალურად განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

**ბაზარზე მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა** - პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრების გამოთავისუფლებას რესურსების განაწილების გასაუმჯობესებლად ფასების უფრო ეფექტიანი სიგნალების მეშვეობით.

**ინტერვენციული მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა** - პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ბაზრების მუშაობის გაუმჯობესებაზე, ინფრასტრუქტურაში, განათლებაში, კვლევისა და განვითარებაში ინვესტიციების განხორციელებით.

## ბაზარზე მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა

ბაზარზე მიწოდების სტიმულირების პოლიტიკის მიზანია ფასების სიგნალების მაქსიმალური გამოყენების გზით დაეხმაროს ბაზრებს ეფექტიან ფუნქციონირებაში, რათა რესურსები უფრო ეფექტიანად განაწილდეს. ამ პოლიტიკის საფუძველია ფილოსოფიური რწმენა, რომ ბაზრები რესურსების განაწილების ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. მოთხოვნის მართვის კეინზიანური პოლიტიკის გამოყენებამ განაპირობა მთავრობის უფრო მეტი ჩართულობა ეკონომიკაში. ბევრ ქვეყანაში შექმნილია სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო, რომელიც წინა პლანზე აყენებს მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებას. ეს, რასაკვირველია, იწვევს სახელმწიფო ხარჯების ზრდას.

მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა წინა პლანზე წამოიწია 1980-იან წლებში, როდესაც განვითარებული ქვეყნების მთავრობები სტაგფლაციასთან გამკლავებას ცდილობდნენ. ეს თავი არ არის გამიზნული ისტორიის გაკვეთილებისთვის, მაგრამ მოცემულია მოსაზრებები შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობების მიერ შემუშავებული პოლიტიკის შესახებ, რომლებიც მიწოდების სტიმულირებას უკავშირდება. „მიწოდების სფეროს რევოლუციის“ მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს გავლენის შემცირება ეკონომიკაში, მთავრობის ხარჯების შემცირება, გადასახადებისა და შეღავათების სისტემის რეფორმირება, შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში ნაკლები ჩარევა, საზოგადოებაში მეტი სამეწარმეო კულტურის წახალისება.

**საგადასახადო და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის რეფორმა.** როგორც ვიცით, გადასახადები გავლენას ახდენენ სტიმულირებაზე და შეუძლიათ ბაზრის შედეგების დეფორმირების გამოწვევა. სოციალური გადასახადები შეიძლება შეფასდეს როგორც უარყოფითი გადასახადი, რაც ადამიანებს ეხმარება, როდესაც ისინი რთულ პერიოდში არიან. ცოტა ადამიანი თუ იქნება, ვინც არ ეთანხმება ფირმების, პროდუქტებისა და ფიზიკური პირების დაბეგვრის საჭიროებას, რათა მთავრობამ მიიღოს საგადასახადო შემოსავალი და ასევე სასურველი მიმართულებებით მოახდინოს გავლენა სხვადასხვა ქცევაზე, მაგალითად მოწვევის შემცირება ან ნარჩენების შემცირების წახალისება. თუ ვაღიარებთ იმ ფაქტს, რომ გადასახადები - დადებითი და უარყოფითი - ამრუდებს საბაზრო შედეგებს, დებატები დაბეგვრის დონეზე გადადის.

ევროპის მრავალ ქვეყანაში და აშშ-ში საშემოსავლო და კორპორატიული გადასახადები შედარებით მაღალი იყო 1970-1980-იან წლებში. მაგალითად, 1978 წელს გაერთიანებულ სამეფოში საშემოსავლო გადასახადის ძირითადი განაკვეთი იყო 33 პროცენტი, ასევე არსებობდა სხვა უფრო მაღალი განაკვეთები, რომლებიც უკავშირდებოდა შემოსავლის უფრო მაღალ დონეს, როდესაც გადასახადის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 98 პროცენტი არაშრომით შემოსავალზე და 83 პროცენტი - შრომით შემოსავალზე. კორპორატიული გადასახადი გაერთიანებულ სამეფოში 1978 წელს 53 პროცენტი იყო მსხვილი კომპანიებისთვის და 42 პროცენტი მცირე კომპანიებისთვის. აშშ-ში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები 14-დან 70 პროცენტამდე მერყეობდა, ხოლო კორპორატიული გადასახადის განაკვეთები 50 პროცენტის ფარგლებში იყო. 1981

წელს, კორპორატიული გადასახადები გერმანიაში დაახლოებით 56 პროცენტი იყო, ნორვეგიაში - 50 პროცენტზე მეტი, ნიდერლანდებში - 48 პროცენტი და შვედეთში - თითქმის 58 პროცენტი. ცხრილი 9.1 გვიჩვენებს საშემოსავლო გადასახადის ყველაზე მაღალ განაკვეთებს ევროპის ცხრა ქვეყანაში 1979, 1995 და 2015 წლებისთვის.

**ცხრილი 9.1.**

**საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი ევროპის ცხრა ქვეყანაში, 1919-2015**

ქვეყანა	საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 1979 (%)	საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 1995 (%)	საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 2015 (%)
ბელგია	76.3	55.0	70.0
დანია	66.0	63.5	55.6
გერმანია	56.0	53.0	45.0
ირლანდია	60.0	48.0	41.0
ნიდერლანდები	72.0	60.0	52.0
ნორვეგია	75.4	13.7	47.2
პორტუგალია	80.0	40.0	46.5
შვედეთი	86.5	30.0	56.6
გაერთიანებული სამეფო	83.0	40.0	45.0

მიწოდების ეკონომიკის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ მაღალი საშემოსავლო და კორპორატიული გადასახადები არ იყო მომხიბლველი ფიზიკური პირებისა და ბიზნესისთვის. ჩვენ აქ უნდა გავიხსენოთ განსხვავება საშუალო და ზღვრული გადასახადების განაკვეთებს შორის. გავიხსენოთ, რომ ზღვრული გადასახადის განაკვეთები გულისხმობს გადასახადის თანხას, რომელიც აღებულია ყოველ დამატებით გამომუშავებულ ევროზე ან ფუნტზე. გაერთიანებულ სამეფოში, ზოგი ადამიანისთვის ზღვრული საგადასახადო განაკვეთი 83 პროცენტი იყო - მთავრობა ადამიანს მხოლოდ 17 პენსს უტოვებდა ყოველი გამომუშავებული დამატებითი ფუნტიდან. მიწოდების ეკონომიკის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ გადასახადის ასეთი მაღალი განაკვეთები მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა მუშაობისა და მეწარმეობისთვის.

როგორც საშემოსავლო, ასევე კორპორატიული გადასახადების შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების წახალისება, რომ დაიწყონ მუშაობა, ან იმუშაონ უფრო მეტი (მეტი საათი) იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურება მეტი იქნება. როგორც ითქვა, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთებმა შეცვალა უკუკავშირი სამუშაოსა და დასვენებას

შორის. გადასახადების უფრო მაღალი განაკვეთები ამცირებს დასვენების გამო მიუღებელ სარგებელს და ამიტომ ადამიანები ამჯობინებენ სამუშაოს გადიდებას და ნაკლებ დასვენებას. თუ გადასახადის განაკვეთები შემცირდება და ადამიანები შეძლებენ დაიტოვონ უფრო მეტი მათ მიერ გამოიმუშავებული შემოსავლიდან, ეს ხელფასების ზრდას ჰკავს. მოქმედებს შემოსავლის ეფექტი და შრომის მიწოდება იზრდება.

კორპორატიული და საშემოსავლო გადასახადების მაღალი დონე ასევე ასტიმულირებს ფირმებსა და ფიზიკურ პირებს შეამცირონ გადასახადები (რაც კანონიერია) ან თავი აარიდონ გადასახადებს (რაც უკანონოა). ამტკიცებენ, რომ მაღალი საგადასახადო განაკვეთები ხელს უწყობს ფირმებსა და ფიზიკურ პირებს იპოვონ გზები, რომლითაც მათი საგადასახადო ვალდებულება შეიძლება შემცირდეს. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ოფშორულ „საგადასახადო თავშესაფრებში“ ფულის შეტანით, საბუღალტრო ანგარიშებში ფირმების ხარჯების გატარებით ისეთ აქტივებზე, რომლებიც არ იბეგრება და, ამასთანავე, მნიშვნელოვან ზეგავლენას არ ახდენს ფირმის მწარმოებლურობაზე (მაგალითად, ინვესტიცია საოფისე კაბინეტებში, კომპანიის ძვირადღირებული მანქანების ყიდვა, კონფერენციების ჩატარება უფრო მდიდრულ ადგილებში და ა.შ.). გადასახადებიდან თავის არიდების მიზნით, კომპანიები ხშირად საკუთარ შემოსავლებს მიმართავენ ოფშორულ ზონებში ფუნქციონირებად კომპანიებში და შემდეგ უკან იბრუნებენ „სესხების“ სახით, რომელზეც იქ საშემოსავლო გადასახადი დაწესებული არ არის. ასეთი სქემები არ არის უკანონო, მაგრამ ზოგიერთი ირწმუნება, რომ ისინი ზნეობრივად არასწორია. გადასახადებისაგან თავის არიდება უკანონოა და გულისხმობს ფირმებისა და ფიზიკური პირების მცდელობებს თავიდან აიცილონ იმ შემოსავლის დეკლარირება, რომელიც დაბეგვრას ექვემდებარება. ეს შეიძლება ნაღდი ფულის მიღებას გულისხმობდეს შესრულებული სამუშაოსთვის, რომელიც შემდეგ არ არის დეკლარირებული შემოსავლად, ასევე - ფულის გათეთრების უფრო დახვეწილ სქემებსაც. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, თავიდან არიდებული გადასახადების მოცულობა დაახლოებით 14 მლრდ ფუნტი სტერლინგი იყო, ხოლო 2011 წელს საგადასახადო სამართლიანობის ქსელის მიერ ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, 145 ქვეყანაში გადასახადების თავიდან აცილების მოცულობამ \$3.1 ტრლნ შეადგინა.

საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ შეიძლება შეცვალოს როგორც შრომის, ასევე გადასახადების თავიდან არიდების სტიმულირება. შესაბამისად, გადასახადის განაკვეთების შემცირება ნიშნავს, რომ საგადასახადო შემოსავლები ფაქტობრივად იზრდება. დავუშვათ, რომ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის ყველაზე მაღალი განაკვეთი 80 პროცენტია და ეს განაკვეთი ვრცელდება ადამიანის მთელ შემოსავალზე (სინამდვილეში, ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის უმეტესობა პროგრესირებადია და ისეა დაჯგუფებული, რომ დაბალი შემოსავლის მქონე პირებმა უფრო დაბალი გადასახადი გადაიხადონ მაღალი შემოსავლის მქონეებთან შედარებით). €500 000-ს შემოსავალზე ფიზიკურ პირს €400 000-ს გადასახადის გადახდა მოუწევს და მას რჩება €100 000. თუ მთავრობამ გადასახადის განაკვეთი 60 პროცენტამდე შეამცირა, პირს გაუჩნდება ინტერესი, რომ ყოველი გამოიმუშავებული €1-დან უფრო მეტი დარჩება, რაც მოქმედებს

როგორც შრომის უფრო მძლავრი სტიმული. პირი მომდევნო წელს უფრო მეტად შრომობს და გამოიმუშავებს €750 000-ს, რომელზეც იხდის €450 000-ს გადასახადს და მას რჩება €300 000. ადამიანს მუშაობის მეტი სტიმული აქვს, ვინაიდან თავისი შემოსავლებიდან მეტი რჩება, მთავრობა კი უფრო მეტ საგადასახადო შემოსავლებს იღებს.

1980–1990–იან წლებში, ევროპის ბევრ ქვეყანაში, საშემოსავლო და კორპორატიული გადასახადების განაკვეთები შემცირდა. ფაქტობრივი საგადასახადო განაკვეთის შემცირების გარდა, მთავრობას ასევე შეუძლია შეცვალოს საგადასახადო შეღავათები, რომლებიც დაბეგრამდე მიღებული შემოსავლის ოდენობას შეეხება. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, 2010 წელს დაუბეგრავი შემოსავლის მინიმუმი შეადგენდა წელიწადში £6 500-ს, მაგრამ 2016 წელს £10 600-მდე გაიზარდა.

გადასახადის განაკვეთების შეცვლა გავლენას ახდენს სამუშაოს მაძიებლებზეც. თუ საგადასახადო განაკვეთები მაღალია ან საგადასახადო შეღავათები დაბალია, შეიძლება ეს იყოს დაბალი სტიმული, რომ ადამიანმა მუშაობა დაიწყოს და შეღავათი შეუწყდეს. დავუშვათ, ადამიანი იღებს €10 000-ს წელიწადში სხვადასხვა შეღავათებით, მაგრამ არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. ვთქვათ, ხელმისაწვდომი ხდება სამუშაო, რომელიც მას გადაუხდის €12 000-ს. თუ მუშახელი მიიღებს სამუშაოს, მაგრამ შემდეგ გადაიხდის გადასახადს თავისი მთლიანი შემოსავლიდან 25 პროცენტის ოდენობით, მაშინ ის მიიღებს წმინდა შემოსავალს €9000-ს ოდენობით. ეს არ არის ადამიანისთვის სტიმული, დაიწყოს მუშაობა, უარი თქვას შეღავათზე და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი. თუ გადასახადის განაკვეთი შემცირდება, ვთქვათ, 10 პროცენტამდე, ადამიანი მიიღებს წმინდა შემოსავალს €10 800 და, შესაბამისად, მეტი სტიმული ექნება მუშაობის დასაწყებად და შეღავათებით სარგებლობის შესაწყვეტად. მთავრობისთვის უკეთესი იქნება არა მხოლოდ ის, რომ ამ ადამიანს აღარ მისცეს შეღავათი, არამედ ისიც, რომ დამატებით იგი მიიღებს €1 200-ს საგადასახადო შემოსავლის სახით - მთავრობისთვის წმინდა სარგებელი შეადგენს €11 200-ს. გარდა ამისა, სამუშაოს მიღების შემდეგ, სახელმწიფო აღარ გაიღებს უმუშევართა დახმარების ხარჯებს, რაც ამცირებს უმუშევრობასთან ასოცირებულ სოციალურ ექსტერნალიებს.

ასეთი მიდგომა ასევე უკავშირდება სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმას, რომელიც ასტიმულირებს ადამიანებს უარი თქვან შეღავათებზე და დაიწყონ მუშაობა. შეღავათებზე წვდომის უფრო მკაცრ ტესტებზე დაქვემდებარებით და/ან სოციალური უზრუნველყოფის გადასახდელების შემცირებით, ადამიანები იძულებულნი არიან, გადააფასონ თავიანთი პოზიცია. ისინი ცდილობენ ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი სოციალურად ორიენტირებულ სახელმწიფოზე და საკუთარი თავის რჩენის გზები ეძებონ.

ამ პოლიტიკის შედეგად შრომის ბაზარი უფრო ეფექტიანია. ამ შემთხვევაში ნაკლები ადამიანია ნებაყოფლობით უმუშევარი, ისინი, ვინც დასაქმებულია, უფრო პროდუქტიულები არიან, ხოლო საწარმოებს მეტი სტიმული გააჩნიათ.

ჯერჯერობით ანალიზი საკმაოდ ინტუიციურია, მაგრამ რეალობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, განსაკუთრებით სამუშაო ძალის მიწოდების ელასტიკურობაზე. თუ სამუშაო ძალის მიწოდების ელასტიკურობა შედარებით დაბალია,

ხელფასების ნებისმიერი ზრდა გადასახადების შემცირების ან შეღავათების ცვლილების შედეგად, მხოლოდ შეზღუდულ გავლენას მოახდენს სამუშაო ძალის მიწოდების ზრდაზე. მაგალითად, თუ სამუშაო ძალის მიწოდების ელასტიკურობა იყო 0.1, ხელფასის მაჩვენებლის 5 პროცენტის ზრდა სამუშაო ძალის მიწოდების ზრდას გამოიწვევდა

## ქეისის განხილვა

### ლაფერის მრუდი და მიწოდების ეკონომიკა

1974 წელს, ერთ დღეს გავრცელდა ხმები, რომ ამერიკელი ეკონომისტი არტურ ლაფერი, რამდენიმე ცნობილ ჟურნალისტთან და პოლიტიკოსთან ერთად, ვაშინგტონის რესტორანში იჯდა. მან აიღო ხელსახოცი და დახატა მასზე სურათი იმის საჩვენებლად, თუ როგორ აისახება გადასახადის განაკვეთები საგადასახადო შემოსავლებზე. ლაფერმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ამ მრუდის ქვედა მიმართულებით დაქანებულ მხარეს იყო. მისი მტკიცებით, საგადასახადო განაკვეთები იმდენად მაღალი იყო, რომ მათი შემცირება რეალურად საგადასახადო შემოსავლებს გაზრდიდა.

ეკონომისტების უმეტესობა ლაფერის შემოთავაზებას სკეპტიკურად აფასებდა. იდეა იმის შესახებ, რომ საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ შეიძლება საგადასახადო შემოსავლის ზრდა გამოიწვიოს, გამართლებული იყო ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, მაგრამ უფრო საეჭვი იყო პრაქტიკაშიც ასე მოხდებოდა თუ არა. ცოტა იყო ლაფერის მოსაზრების მომხრე არგუმენტები, რომ საგადასახადო განაკვეთებმა - შეერთებულ შტატებში თუ სხვაგან - სინამდვილეში ასეთ უკიდურეს დონეს მიაღწია.

ამის მიუხედავად, **ლაფერის მრუდის** (როგორც შემდგომში ცნობილი გახდა) განმაპირობებელი მოსაზრება 1980-იან წლებში ძალიან გავლენიანი გახდა პოლიტიკურ წრეებში, განსაკუთრებით აშშ-ში პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის წლებში და გაერთიანებულ სამეფოში პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის მთავრობის დროს. საგადასახადო განაკვეთები - განსაკუთრებით, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები - 1980-იან წლებში, ორივე ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა.

**ლაფერის მრუდი** - ურთიერთკავშირი საგადასახადო განაკვეთებსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის.



არტურ ლაფერი

ადამიანი ლაფერის მრუდის უკან

მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში გადასახადის ყველაზე მაღალი განაკვეთი იყო 1980 წელს და შეადგენდა 83%-ს. პრემიერ-მინისტრის, მ. ტეტჩერის დროს იგი შემცირდა ჯერ

60%-მდე, ხოლო 1988 წელს - 40%-მდე.

თუმცა, ეკონომისტებს გაუჭირდათ გადასახადების ამ შემცირებით გამოწვეული რაიმე ძლიერი სტიმულირების კვალის პოვნა, რაც ლაფერის მრუდის თანახმად, მთლიანი საგადასახადო შემოსავლების ზრდას გამოიწვევდა. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს IFS-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 1980-დან 1986 წლამდე საგადასახადო შემოსავლების ზრდის მაქსიმუმ 3% შეიძლება მიეკუთვნოს საშემოსავლო გადასახადის შემცირების ეფექტს.

აშშ-ში პრეზიდენტმა რეიგანმა ასევე მკვეთრად შეამცირა გადასახადები, მაგრამ ვერ მიიღო მეტი საგადასახადო შემოსავლები. პირიქით,

შეერთებულ შტატებში პირის საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავალი ერთ პირზე (ინფლაციის გათვალისწინებით), 1980 წლიდან 1984 წლამდე 9%-ით შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში საშუალო შემოსავალი 4%-ით გაიზარდა. გადასახადების შემცირებამ იმ პირობებში, როცა პოლიტიკოსებს ხარჯების შემცირება არ სურდათ, წარმოშვა დიდი ბიუჯეტური დეფიციტი, რაც რეიგანის პრეზიდენტობის ორივე ვადისთვის იყო დამახასიათებელი.

ამასთანავე, ლაფერის არგუმენტი საფუძველს სრულიად მოკლებული არ იყო. იდეა იმის შესახებ, რომ გადასახადების შემცირებამ შეიძლება შემოსავალი გაზარდოს, შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ის გამოყენებული იქნება ყველაზე მაღალი გადასახადის განაკვეთით დაბეგრული გადასახადის გადამხდელების მიმართ. იქ, სადაც ტიპური მუშახელი ლაფერის მრუდის ზედა ბოლოშია, აღნიშნულმა მექანიზმმა შეიძლება უფრო ეფექტიანად იმუშაოს. მაგალითად, შვედეთში, 1980-იანი წლების დასაწყისში, ტიპური მუშახელი იბეგრებოდა ზღვრული საგადასახადო განაკვეთით - დაახლოებით 80%-ით. გადასახადის ასეთი მაღალი განაკვეთები მნიშვნელოვან ასტიმულირებდა უმუშევრობას. გამოკვლევების თანახმად, შვედეთი მართლაც უფრო მეტ შემოსავალს მიიღებდა, თუ გადასახადების განაკვეთს შეამცირებდა.

რაც უფრო ელასტიკურია მიწოდება და მოთხოვნა ნებისმიერ ბაზარზე, გადასახადები მით უფრო მეტად ამრუდებს ქცევას ამ ბაზარზე და მით უფრო სავარაუდოა, რომ გადასახადის შემცირება საგადასახადო შემოსავლებს გაზარდის. რამდენს იღებს ან კარგავს მთავრობა გადასახადის ცვლილების შედეგად არ შეიძლება გამოითვალოს მხოლოდ გადასახადის განაკვეთების გადასინჯვით. იგი ასევე დამოკიდებულია გადასახადების ცვლილების ზემოქმედებით ადამიანთა ქცევაზე.

მხოლოდ 0.5 პროცენტით. სამუშაო ძალის მიწოდების გრძელვადიანი ელასტიკურობა შეიძლება იყოს უფრო დიდი, ვიდრე მოკლევადიან პერიოდში, რადგან მუშახელს აქვს დრო შეცვალოს თავისი ქცევა. ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომისტის, ედვარდ პრესკოტის მიერ 2002 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საფრანგეთში და აშშ-ში სამუშაო ძალის მიწოდების ელასტიკურობას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება

იყო, რაც ძირითადად, ორი ქვეყნის საგადასახადო სისტემებს შორის განსხვავებით იყო განპირობებული.

**შემოწმებისთვის:** განიხილეთ შემოსავლის შესაბამისი ზომის და ჩანაცვლების გავლენა სამუშაო ძალის მიწოდების მრუდზე უფრო მაღალი განაკვეთის გადასახადის შემცირების შედეგად. რა ვითარებაში გამოიწვევს საგადასახადო განაკვეთების შემცირება რეალურად სამუშაო ძალის მიწოდების მრუდის უკუ მიმართულებით დახრას?

**მოქნილი შრომის ბაზრები.** გადასახადებისა და შეღავათების სისტემის შეცვლის გარდა, მიწოდების ეკონომიკის მომხრეები შრომის ბაზრებზე უფრო მეტი მოქნილობის საჭიროებას ხედავენ. ამ პოლიტიკას აქვს სხვადასხვა ასპექტი, რომელიც მოიცავს პროფკავშირების ძალაუფლების შემცირებას და როგორც დამსაქმებლების, ისე მუშახელისთვის ბაზრის სიგნალების გაუმჯობესებას. 1970- 1980-იან წლებში გაერთიანებულ სამეფოში პროფკავშირების ძალა მნიშვნელოვანი იყო. 1970-იან წლებში გაფიცვების შედეგად გაცდენილი დღეები საშუალოდ 12.8 მილიონს უტოლდებოდა. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა 1980-იანი წლების დასაწყისში ამტკიცებდა, რომ პროფკავშირები ძალიან დიდ ძალაუფლებას იყენებდნენ და მათ მიიღეს მთელი რიგი ახალი კანონები, რამაც პროფკავშირების ძალა მნიშვნელოვნად შეამცირა. შედეგი იყო ის, რომ პროფკავშირებს მოუხდათ ადაპტირება და განვითარება, ხოლო პროფკავშირებში გაწევრიანებული ადამიანების რიცხოვნობა და გაფიცვების შედეგად გაცდენილი დღეების რაოდენობა 1980-იანი წლების ბოლო პერიოდში და მის შემდეგ მკვეთრად შემცირდა. ახლა უფრო მეტი ადამიანი აწარმოებს შრომის ანაზღაურების შესახებ მოლაპარაკებებს ინდივიდუალურად ან ადგილობრივ დონეზე, ვიდრე პროფკავშირების საშუალებით, ხოლო მიწოდების პოლიტიკის მომხრეთა მტკიცებით, შედეგად ხელფასის განაკვეთები ბაზრის პირობებს უფრო ზუსტად ასახავს.

შრომის უფრო მოქნილი ბაზრები ასევე უკავშირდება იმას, თუ რამდენად მარტივად შეუძლიათ დამსაქმებლებს საბაზრო პირობებზე რეაგირება სამუშაო ძალის რაოდენობის ცვლილებებით. ეს ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც „დაქირავებისა და გათავისუფლების“ უნარი.

მოქნილი შრომის ბაზრები შეიძლება მოიცავდეს მუშახელთან მოკლევადიანი კონტრაქტების გამოყენებას, უფრო მოქნილ სამუშაო სტრუქტურას ისე, რომ საჭირო უნარების მქონე მუშახელი მიიზიდონ სამუშაოზე და უფრო ადვილად შეძლონ მუშახელის დათხოვნა, როდესაც ეკონომიკა შემცირდება. კრიტიკოსების მტკიცებით, მოქნილ შრომის ბაზრებს შეუძლიათ დამსაქმებელთა ინტერესები მშრომელთა ინტერესებზე მაღლა დააყენონ და ორივე მხარის უფლებებს შორის ბალანსის დაცვა აუცილებელია.



შრომის ბაზრები ასევე შეიძლება უფრო მოქნილი გახდეს საბაზრო ინფორმაციის გაუმჯობესებით, როგორც დამსაქმებლებისთვის, ასევე დასაქმებულთათვის. მრავალი მთავრობა ქმნის ე.წ. „დასაქმების ცენტრებს“, რომელთა საშუალებითაც დამსაქმებლებს შეუძლიათ სამუშაოს რეკლამირება, ხოლო სამუშაოს მაძიებლებს შეუძლიათ რჩევის მიღება, მომავალ დამსაქმებლებთან დაკავშირება, ასევე დახმარების მიღება CV-ების სრულყოფაში, გასაუბრების უნარებში, სამუშაოს აპლიკაციის ტექნიკაში და ა.შ.

**მთავრობის ხარჯების შემცირება.** რაც უფრო მეტ ფულს ხარჯავს მთავრობა, მით უფრო მეტად უწევს მას საგადასახადო შემოსავლების გაზრდა და ასევე სესხის აღება. მე-10 თემაში ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ შეიძლება ნებისმიერი საგადასახადო სტიმულირება შეიცვალოს-გამოდევნის ეფექტით. აქედან გამომდინარე, მთავრობებს ხარჯების შემცირება და ნაკლები სესხის აღება რომ შეეძლოთ, საპირისპირო ეფექტი იქნებოდა, რომელსაც ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც „მოზიდვის ეფექტს“. მთავრობის მიერ ნასესხები თანხის შემცირება იყო ფინანსური კრიზისის შემდგომი მკაცრი ეკონომიის პროგრამების მახასიათებელი, რომლის განხორციელება ბევრ ქვეყანას მოუწია. თუ სესხის აღება შემცირდება, სარგებლის განაკვეთები დაეცემა და ეს ფირმების მიერ ინვესტირების გადაწყვეტილებების მიღებაზე მოახდენს გავლენას.

სამთავრობო ხარჯების შემცირების შედეგად, კერძო ინვესტიციების გაზრდის არგუმენტის გარდა, მიწოდების ეკონომიკის მომხმრებებს შორის არსებობს ფუნდამენტური რწმენა, რომ მთავრობის ხარჯები არ იქნება ისეთი ეფექტიანი, როგორც კერძო სექტორის ეკვივალენტური ხარჯები. თუ მთავრობა უკან დაიხევს ეკონომიკაში ჩართულობიდან და რესურსების განაწილებას უფრო მეტად კერძო სექტორს მიანდობს, თანხები უფრო პროდუქტიულად და ეფექტიანად იქნება გამოყენებული, რაც ეკონომიკის პროდუქტიულ შესაძლებლობებს გააუმჯობესებს.

პრაქტიკაში ბევრი ქვეყნის მთავრობას ხარჯების შემცირება უჭირს, ვინაიდან მათი დიდი ნაწილი განკუთვნილია მოსახლეობის ისეთი კატეგორიებისათვის, როგორებიცაა ღარიბები და ხანდაზმულები, ფსიქიურად დაავადებულები, ბავშვები და ისინი, ვისაც სოციალური დაცვა განსაკუთრებით სჭირდებათ.

სამთავრობო ხარჯების შემცირების შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება უადრესად რთულია. მხოლოდ ზოგიერთი მთავრობა თუ იქნება დარწმუნებული, რომ მანდატს მიიღებს ამომრჩევლისგან, თუ იგი ისეთ გადაწყვეტილებებს მიიღებს. შეიძლება მნიშვნელოვანი თანხები დაიზოგოს, მაგრამ ეს ფაქტობრივად, პოლიტიკურ თვითმკვლელობას ნიშნავს.

**პრივატიზება და დერეგულირება.** ბოლო 30 წლის განმავლობაში, გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია პრივატიზება - სახელმწიფო საკუთრების აქტივების კერძო სექტორზე გადაცემა და კერძო სექტორის ფირმების როლის გაზრდა მთავრობისათვის სერვისების მიწოდებაში. პრივატიზება ასევე იყო ევროპის სხვა ქვეყნების მახასიათებელი. მათ შორისაა ავსტრია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, ნიდერლანდები და ესპანეთი.

**პრივატიზება - სახელმწიფო საკუთრების აქტივების კერძო სექტორისთვის გადაცემა.**

ომისშემდგომ პერიოდში გაერთიანებულ სამეფოში სახელმწიფო საკუთრებაში შედიოდა ბევრი დარგი, მაგალითად, ქვანახშირის, რკინიგზის, კომუნალური მომსახურების (წყალი, გაზი და ელექტროენერჯია), ფოლადის და ტელეკომუნიკაციების და ა.შ. 1980-1990-იან წლებში ამ დარგებიდან და ფირმებიდან ბევრი გაიყიდა და კერძო მესაკუთრების მფლობელობაში გადავიდა. ასევე მოხდა ისეთი მომსახურების ნაწილობრივი პრივატიზება, როგორცაა ნავის შეგროვება, დასუფთავება და საზოგადოებრივი კვების ორგანიზება.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ პრივატიზების ყველა ფორმის ფილოსოფიური საფუძველია რწმენა, რომ კერძო სექტორი, რომელიც წახალისებულია მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებისა და მოგების მოტივით, მოსახლეობისთვის საჭირო მომსახურებას უკეთესად უზრუნველყოფს უფრო დაბალ ფასში, უფრო მაღალი პროდუქტიულობით და მეტი ეფექტიანობით, ვიდრე სახელმწიფო სექტორი. ასევე ამტკიცებდნენ, რომ აქტივების კერძო სექტორისთვის გადაცემა ხელს შეუწყობს კონკურენციის გაძლიერებას, რაც შედეგად უფრო დაბალ ფასებსა და არჩევანის გაფართოებას განაპირობებს.

მრავალი დისკუსიის საგანია ის, თუ რამდენად უზრუნველყოფილია სარგებელი, რომელიც პრივატიზების დასაბუთების საფუძველი იყო. ბუნებრივი მონოპოლიების, როგორცაა წყალი, გაზი და ელექტროენერჯია, პრივატიზებამ შექმნა რთული სისტემა, რომლის გაგება ბევრ მომხმარებელს უჭირს და მიუხედავად მარეგულირებელი ორგანოებისა, რომლებიც ამჟამად ამ კერძო მონოპოლიების საქმიანობას აკონტროლებენ, არსებობს გარკვეული ეჭვი, რომ მონოპოლიური ძალაუფლების არსებობამ შეამცირა სამომხმარებლო ნამეტი და აუნაზღაურებელი დანაკარგები გამოიწვია. არსებობს რამდენიმე კვლევა, რომლის თანახმადაც პრივატიზებამ საზოგადოებას უფრო უკეთესი მომსახურება, გაუმჯობესებული პროდუქტები, დაბალი ფასები და მეტი არჩევანი უზრუნველყო.

პრივატიზების პროგრამების გარდა, ბევრმა მთავრობამ მიიღო კანონმდებლობა, რომელიც შეამცირებს ფინანსური და საქონლის ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირების შემაფერხებელ რეგულაციებს. დერეგულირებამ ბაზრის არასრულყოფილებასთან გამკლავება წარმატებით მოახერხა. მაგალითად, ტრანსპორტში, მონოპოლიების თავიდან ასაცილებლად, ადგილობრივი ავტობუსების მარშრუტების დემონოპოლიზება მოხდა, რამაც მომხმარებლებისთვის უფრო მეტი არჩევანი და დაბალი ფასები განაპირობა. ფინანსურ ბაზრებზე ახალი პროდუქტების სიუხვე შეიქმნა. ფიზიკურ პირებს და ფირმებს კრედიტებზე მეტი ხელმისაწვდომი შეექმნათ. მიუხედავად იმისა, რომ ამან გარკვეული გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკაზე, ბევრი ამტკიცებს, რომ 1990–2000–იან წლებში დერეგულირება ძალიან შორს წავიდა, რაც 2007–2009 წლების ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა.

**შემოწმებისთვის:** რატომ უწევთ შრომის ბაზრების მოქნილობის გაუმჯობესების პოლიტიკას დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლებების დაბალანსება?

## მიწოდების სტიმულირების ინტერვენციული პოლიტიკა

ცოდნის შექმნა საზოგადოებრივი სიკეთეა. ფირმები თავისუფლად სარგებლობენ სხვების მიერ შექმნილი ცოდნით და, შედეგად, ახალი ცოდნის შექმნას ძალიან მცირე რესურსებს უთმობენ. გარდა ამისა, ინვესტირება ისეთ ინფრასტრუქტურაში, როგორცაა საკომუნიკაციო ქსელები, გზები, რკინიგზა, პორტები და აეროპორტები, მნიშვნელოვანია ეკონომიკის ეფექტიანობისთვის. თუმცა, ამგვარ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისთვის საჭირო თანხები და მისთვის დამახასიათებელი რისკები ხშირად ძალიან დიდია, ხოლო მოგების მიღებას მაღალი ალბათობა ახასიათებს.

მაგალითად, ახალი საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა ზოგჯერ ნეგატიურ ეკოლოგიურ შედეგებთანაა დაკავშირებული, რაც ადგილობრივი მოსახლეობის შემფოთებას იწვევს. პროექტის დაგეგმვის პროცესი ხშირად შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდეს, რაც კიდევ მეტად გააძვირებს მშენებლობის რეალურ ღირებულებას. მთავრობები, მართალია, ახორციელებენ მსგავს პროექტებს, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კერძო ფირმები აქტიურად მონაწილეობენ ამ პროექტების რეალიზაციაში. მიწოდების სტიმულირების ინტერვენციული პოლიტიკა გულისხმობს იმ

გზებს, რომლითაც მთავრობები ცდილობენ ინვესტიციების წახალისებას განათლებაში, ტრენინგში, კვლევასა და განვითარებაში და ასევე ინფრასტრუქტურაში, რათა ეკონომიკის უფრო ეფექტიანი ფუნქციონირება

**ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში.** მთავრობები ხშირად უზრუნველყოფენ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის აუცილებელ სახსრებს, რაც შეიძლება განხილული იქნას როგორც გრძელვადიანი გავლება ეკონომიკაზე. ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ბიზნესის ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრები.

გზების, რკინიგზის, პორტებისა და აეროპორტების გაუმჯობესება ფირმებს საქონლის უფრო ეფექტიანად განაწილებაში ეხმარება; საკომუნიკაციო ქსელების გაუმჯობესება ხელს უწყობს მომსახურების სფეროს უფრო მეტ ეფექტიანობას; ენერჯის და წყალმომარაგების განვითარება ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით ან მიწოდების ქსელების გაუმჯობესება, ასევე ხელს უწყობს ფირმებს თავიანთი ენერგეტიკული მოთხოვნილების უზრუნველყოფაში და ხარჯების შემცირებაში, თუ ეს ქსელები უფრო ეფექტიანად იმუშავებენ.

**ინვესტიციები განათლებასა და ტრენინგში.** სკოლისა და უმაღლესი განათლების სისტემა ეკონომიკაში მომავალი ადამიანური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესების წყაროს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვერ ხედავს განათლებას, როგორც მომავალი მუშახელის მომზადების საშუალებას, ერთგვარი უნარები, რომლებიც სკოლისა და

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს აქვთ, მათი სამუშაოთი უზრუნველყოფის უნარზე და პროდუქტიულობის დონეზე ახდენს გავლენას. როგორც ვნახეთ, პროდუქტიულობა ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი ფაქტორია.

განათლების სისტემა, რომელიც ქვეყანას გააჩნია, ასევე მნიშვნელოვანია და რიგმა ქვეყნებმა ამ სფეროში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს. სირთულეს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ როგორი უნდა იყოს განათლების შესაბამისი სტანდარტები ინდივიდებისთვის და მთლიანად საზოგადოებისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მათემატიკისა და სამეცნიერო უნარების გაუმჯობესებას, რადგან მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ინდუსტრიაში ახალი ცოდნისა და ინოვაციების შექმნისათვის. მთავრობებს შეუძლიათ გრანტებისა ან დახმარებების გამოყოფა, რათა ხელი შეუწყონ მათემატიკისადმი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებისადმი ინტერესის ამაღლებას.

მთავრობებს ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ ტრეინინგებს; ფირმები შეიძლება მოერიდონ ძალიან ბევრი რესურსის ხარჯვას მუშახელის სწავლებაში, რადგან მათ არ აქვთ კონტროლი იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ ისინი ამ ტრეინინგებს. ერთი მხრივ, უკეთესად მომზადებული სამუშაო ძალა სასარგებლოა ფირმისთვის, რადგან იგი მუშახელს უფრო პროდუქტიულს ხდის. მეორე მხრივ, მუშახელს უფრო მოთხოვნადს ხდის და არსებობს რისკი, რომ მუშახელი გადავიდეს უკეთეს სამუშაოზე და სხვა ფირმამ ისარგებლოს პირველი ფირმის მიერ ტრეინინგში ჩადებული ინვესტიციით. ტრეინინგების მხარდაჭერითა და დახმარებით, მთავრობებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ „უბილეთო მგზავრის“ პრობლემის გადაჭრას.

**კვლევა და განვითარება (R&D)** - ცოდნის შექმნის გრძელვადიანი გაუმჯობესების, ახალი პროდუქტებისა და ახალი პროცესების განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა. ამასთან, R&D დიდ დანახარჯებს მოითხოვს. თუკი კვლევისა და განვითარების შედეგების დაცვა გარკვეულწილად შეუძლებელია, შექმნილი ცოდნა საზოგადოებრივი სიკეთე ხდება. ეს არის ერთ – ერთი მიზეზი, რის გამოც ბევრი მთავრობა ინვესტიციებს ახორციელებს R&D-ის მხარდაჭერისა და დაფინანსების მიზნით. შეიძლება შეიქმნას კვლევითი ინსტიტუციები, ზოგჯერ სახელმწიფოსთან პარტნიორობითაც, რომლებსაც დაფინანსების მოთხოვნით მიმართავენ ფირმები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. შემოთავაზებული კვლევის აქტუალობიდან და ღირებულებიდან გამომდინარე, იღებენ გადაწყვეტილებას თანხების გამოყოფის შესახებ. მთავრობებს ასევე შეუძლიათ უზრუნველყონ საგადასახადო კრედიტები, საგადასახადო შეღავათები ან გრანტები მცირე ფირმებისთვის R&D მხარდაჭერის მიზნით.

**რეგიონული ან დარგობრივი პოლიტიკები.** ევროპის რიგ ქვეყნებში ეკონომიკა უთანაბროდ დაბალანსებულია - არსებობს რეგიონების განვითარების დონეებს შორის განსხვავებები. ფირმები ხშირად მიისწრაფვიან ისეთი ადგილმდებარეობისკენ, სადაც ყველაზე დიდი ბაზრებია, ან სხვა ბუნებრივი უპირატესობებია (პორტები, კარგი ინფრასტრუქტურული კავშირები და ა.შ.). ზოგი რეგიონი ღარიბია, რადგან ზოგიერთმა

დარგმა, რომლებიც ადრე აქ ვითარდებოდა, დაცემა განიცადა (მაგ., ქვანახშირის მრეწველობა და სხვ.) და არ იქნა კომპენსირებული ახალი დარგების განვითარებით. პრობლემა ისიცაა, რომ ასეთი რეგიონები ეკონომიკურად განუვითარებელი შესაძლებელია დიდი ხნის განმავლობაში დარჩეს. მთავრობას შეუძლია, სცადოს ამგვარი ეკონომიკური დისბალანსის შეცვლა ამ რეგიონებში თავისი საქმიანობის გაფართოებით, საინვესტიციო გრანტების გაცემით, შეღავათიანი იჯარით, დასაქმების სუბსიდირებით და სხვა ღონისძიებებით, რათა ფორმები წახალისო განთავსდნენ ამ ადგილებში და შექმნან სამუშაო ადგილები. განზრახვა არის ის, რომ ამ ზონებში ინვესტიციების წახალისების შემთხვევაში, დადებითი რეგიონული მულტიპლიკაციის ეფექტი მიიღწევა.

**შემოწმებისთვის:** რატომ მიიჩნევა მნიშვნელოვნად ინვესტირება ხარისხიან განათლებასა და ტრენინგში ინტერვენციული პოლიტიკის წარმატებისთვის?

## დასკვნა

მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა ინტუიციურად გასაგებია. თუმცა, ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ AS მრუდის მარჯვნივ გადაადგილება ხანგრძლივი პროცესია. ინვესტირებამ განათლებაში, ტრენინგში და R&D-ში შეიძლება გაზარდოს ადამიანური კაპიტალის ხარისხი, მაგრამ ეკონომიკისთვის სარგებელი შეიძლება მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მოიტანოს. ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკა შეიძლება შთამბეჭდავი იყოს, მაგრამ ამგვარი პოლიტიკის ეფექტიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები დამაჯერებელი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ბაზრების ეფექტიანობისა და ეკონომიკის შესაძლებლობების გაუმჯობესების პოლიტიკები უნდა განხორციელდეს სხვა პოლიტიკებთან ერთად და არ განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ალტერნატიული ვარიანტი. მართლაც, განსხვავებები ფისკალურ, მონეტარულ და მიწოდების სტიმულირების პოლიტიკას შორის ზოგჯერ ძნელად ვლინდება. თუ მთავრობა აცხადებს, რომ ჩქაროსნულ სარკინიგზო ქსელში მილიარდების ინვესტიციას ახდენს, ეს ფისკალურ იმპულსს წარმოადგენს თუ მხოლოდ ეკონომიკის მიწოდების სტიმულირების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული?

## ახალი ამბებიდან

### მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა ჩინეთში

*2015 წელს საფონდო ბირჟები მკვეთრად მერყეობდნენ ნაწილობრივ ნავთობის ფასების მუდმივი შემცირების საპასუხოდ, ნაწილობრივ კი იმის შიშის გამო, რომ ჩინეთის ეკონომიკის ზრდა შენელდა, რასაც ბევრ სხვა ეკონომიკაზე დომინოს ეფექტი ჰქონდა. როგორ უპასუხა ჩინეთის მთავრობამ ამ ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციას?*

## მიწოდების სტიმულირების რეფორმები ჩინეთში?

2015 წლის განმავლობაში, ჩინეთის საფონდო ბირჟებზე ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური მოვლენა არასტაბილურობა იყო. რეპორტაჟები, რომ მრავალი წლის განმავლობაში, ჩინეთში ეკონომიკური ზრდა პირველად 7 პროცენტზე ნაკლები გახდა, განგაშის ზარებს რეკავდა არა მხოლოდ ჩინეთში, არამედ მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც, იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთის ეკონომიკა გლობალური ზრდისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ჩინეთის მთავრობა პრეზიდენტ სი ძინპინის მეთაურობით, არსებული პრობლემების დაძლევის პოლიტიკას ხელმძღვანელობდა. უნდა გავიხსენოთ, რომ 6 პროცენტთან ზრდა თუმცა შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ჩინეთის ეკონომიკისათვის საჭირო გახდა სხვადასხვა, განსაკუთრებით სტრუქტურული რეფორმები. აღმოჩნდა, რომ ამ რეფორმების ნაწილი თავისი ხასიათით მიწოდების სტიმულირებაზე იყო ორიენტირებული. 2013 წელს პრეზიდენტმა სიმ შექმნა ჩინეთის მიწოდების სტიმულირების ახალი ეკონომიკის აკადემია, რათა შემუშავებულიყო და გაანალიზებულიყო ქვეყნისთვის არსებული პოლიტიკური ალტერნატივები. 2015 წლის მაისში გამოცხადდა, რომ მიღებული იქნებოდა დერეგულირების პროგრამა და შემცირდებოდა გადასახადები მცირე ბიზნესისთვის. ორივე მათგანი შეიძლება შეფასდეს, როგორც მიწოდების მასტიმულირებელი.

ერთ-ერთი ეკონომიკური საკითხი, რომლის კარგად განხილვაც აკადემიას შეუძლია, არის ის, თუ როგორ უნდა გახდეს ინვესტიცია უფრო მოგებიანი და ზოგიერთ დარგში არსებული ჭარბი წარმოება როგორ უნდა დარეგულირდეს. ვინაიდან ინვესტიციებს მთავრობა გამოყოფს, ზოგიერთ შემთხვევაში ხარჯების დასაბუთებაზე მოთხოვნა შეიძლება უფრო მკაცრიც იყოს, რადგან ამ ხარჯებს მწარმოებლურობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ბევრი ეკონომისტი ფიქრობს, რომ მწარმოებლურობა უახლოეს წლებში უნდა იყოს პოლიტიკის ცენტრში, იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთში ხელფასები გაიზარდა და იაფი მუშახელი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთ წყაროს აღარ წარმოადგენს.

### კითხვები:

1. ჩინეთის ზრდის ტემპი 7 პროცენტზე ნაკლები იყო. რატომ არის ეს ჩინეთისა და გლობალური ეკონომიკის შემფოთების მიზეზი?
2. რა იგულისხმება ეკონომიკის „სტრუქტურულ რეფორმებში“?
3. ახსენით, როგორ შეიძლება დერეგულირებამ და მცირე ბიზნესისთვის საგადასახადო რეფორმებმა ხელი შეუწყოს ჩინეთში მიწოდების სტიმულირების პოლიტიკას.
4. იმის გათვალისწინებით, რომ მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა მიზნად ისახავს AS მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ, რატომ შეიძლება ჩინეთის მთავრობა ფოკუსირებული იყოს მიწოდების სტიმულირების რეფორმებზე, თუ ქვეყანა ჭარბი პროდუქციის წარმოებას განიცდის?
5. როგორ აუმჯობესებს მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა მწარმოებლურობას და რატომ არის ეს ასეთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ჩინეთის ეკონომიკის უწყვეტი

## შეჯამება

- ) 1980–1990–იან წლებში, მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა მრავალი მთავრობის ყურადღების ცენტრში მოექცა.
- ) მიწოდების სტიმულირების პოლიტიკა შექმნილია AS მრუდის მარჯვნივ გადასაადგილებლად.
- ) AS მრუდის მარჯვნივ გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს მდგრადი ეკონომიკური ზრდა, რაც ზრდის ეროვნულ შემოსავალს, მაგრამ ინარჩუნებს ფასების სტაბილურობას. ამასთანავე, ძლევს წარმოების პროცესში დაბრკოლებებს, თუკი ფისკალური ან მონეტარული პოლიტიკის საშუალებით ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია AD-ის ზრდაზე.
- ) მიწოდების სტიმულირების პოლიტიკამ შეიძლება ორი ძირითადი ფორმა მიიღოს - ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკა ან ინტერვენციული პოლიტიკა.
- ) ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკა მოწოდებულია ბაზრების გასათავისუფლებლად, რათა მათ რესურსები უფრო ეფექტიანად და ქმედითად გაანაწილონ.
- ) ინტერვენციული პოლიტიკა მიზნად ისახავს ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებას და მოითხოვს მთავრობის ჩარევას ინფრასტრუქტურაში - განათლებაში, ტრენინგებში და კვლევასა და განვითარებაში საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე მიმართული ინვესტიციების მოცულობის გაზრდით.

## კითხვები განხილვისთვის

1. რას გულისხმობს „სტაბილური ეკონომიკური ზრდა“?
2. განმარტეთ კეინზის ახალი AS მრუდის ფორმა.
3. რომელი ორი გზით შეიძლება გამოითვალოს გარღვევა გამოშვებაში და რა განსხვავებაა მათ შორის?
4. პოლიტიკის შემუშავებისას რა მნიშვნელობა აქვს გამოშვებაში გარღვევის სიდიდეს?
5. AS/AD დიაგრამის გამოყენებით აჩვენეთ, თუ როგორ შეიძლება AD-ს ზრდამ გამოიწვიოს ეროვნული შემოსავლის ზრდა, მაგრამ ფასების დონის ცვლილება არ მოხდეს.
6. რომელია წარმოების სტიმულირების პოლიტიკის ორი ძირითადი ტიპი და რა განსხვავებაა მათ შორის?
7. რატომ უსვამენ ხაზს მიწოდების ეკონომიკის მომხრეები ზღვრული საგადასახადო განაკვეთების მნიშვნელობას წახალისებებთან მიმართებაში?
8. რა არის ლაფერის მრუდი?
9. რატომ აუმჯობესებს შრომის მოქნილი ბაზრები ეკონომიკის ეფექტიანობასა და შესაძლებლობებს?
10. რატომ არის საჭირო მთავრობების მიერ განათლებაში, ტრენინგში, კვლევასა და განვითარებაში ინვესტირება?

## პრობლემები და სავარჯიშოები

1. კეინზური AS ახალი მრუდის გამოყენებით ახსენით, თუ რატომ აქვს AS მრუდს თითქმის ჰორიზონტალური დახრა, როდესაც გარღვევა გამოშვებაში ძალიან დიდია.
2. რატომ შეიძლება გაუჭირდეს მთავრობას გამოშვებაში გარღვევის ზომის ზუსტად გაზომვა?
3. დავუშვათ, რომ მთავრობა წარმატებულია AS მრუდის მარჯვნივ გადაადგილებაში. აჩვენეთ რა ემართება ფილიპსის მრუდს ასეთ სიტუაციაში.
4. რა სახის უკუდამოკიდებულების წინაშე დგანან მთავრობები, თუ განიხილებოდა გადაწყვეტილება სოციალური დახმარების დონის შემცირების შესახებ, როგორც ბაზარზე ორიენტირებული მიწოდების სტიმულირების პოლიტიკის ნაწილი?
5. მთავრობები, რომლებმაც შეამცირეს საშემოსავლო გადასახადის მაღალი განაკვეთები, დაადანაშაულებს მდიდრებისთვის უფრო მეტი თანხის მიცემაში ღარიბების ხარჯზე. წარმოადგინეთ არგუმენტი ამგვარი ბრალდების საწინააღმდეგოდ.
6. რა სახის დაშვებებს ემყარება პოლიტიკა, რომლის თანახმადაც საშემოსავლო გადასახადის შემცირება გაზრდის ეკონომიკაში მიწოდებულ შრომით საათებს?
7. რა პოტენციური ხარჯები და სარგებელი მოაქვს პოლიტიკას, რომელიც შემუშავებულია შრომის ბაზრების მოქნილობის გასაუმჯობესებლად?
8. რატომ უჭირთ მთავრობებს ხარჯების შემცირება?
9. მთავრობა აცხადებს გადაწყვეტილებას უმაღლეს განათლებაზე დანახარჯებში ინვესტირების



გაზრდის შესახებ, ახალგაზრდების მიერ უმაღლეს განათლების მიღების მაჩვენებლის 45 პროცენტამდე გაზრდის მიზნით:

- ა. აქვს მნიშვნელობა რომელ აკადემიურ ხარისხს იღებენ ახალგაზრდები უნივერსიტეტში?
  - ბ. რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია უნივერსიტეტში სწავლის მსურველი ახალგაზრდების წილი ადამიანური კაპიტალის ხარისხის გასაუმჯობესებლად?
  - გ. კიდევ რისი ამოქმედება შეიძლება დასჭირდეს მთავრობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში წარმატებული იყოს (მინიმუმ: იქნება თუ არა შესაბამისი სამუშაო ადგილები ახალგაზრდებისთვის, როდესაც ისინი სასწავლებელს დაამთავრებენ)?
10. როგორ შეძლებს მთავრობა იმის განსაზღვრას, იწვევს თუ არა სახელმწიფო სექტორის მომსახურების მიწოდებაში კერძო სექტორის მზარდი ჩართულობის პოლიტიკა უფრო ეფექტიან შედეგს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ იგივე მომსახურებას სახელმწიფო სექტორი უზრუნველყოფს ?

# ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკის (საერთაშორისო ეკონომიკის) ძირითადი ცნებები

როდესაც ავტომობილის ყიდვას დააპირებთ, შეგიძლიათ შეადაროთ „ფორდისა“ და „ტოიოტას“ უახლესი მოდელები. შვებულებას თუ გეგმავთ, შეგიძლიათ ფლორიდისა და მექსიკის სანაპიროებიდან ამოირჩიოთ რომელიმე. როდესაც მუშაობას იწყებთ და, ამასთან, თქვენი პენსიის უზრუნველსაყოფად ფულს ზოგავთ, შეგიძლიათ, ისეთი ურთიერთფონდი აირჩიოთ, რომელიც ამერიკული კომპანიების აქციებს ყიდულობს, ან ისეთი ფონდი, რომელიც უცხოური კომპანიების ყიდვით არის დაინტერესებული. თითოეულ ამ შემთხვევაში მონაწილეობას იღებთ არა მარტო აშშ-ს ეკონომიკაში, არამედ მთელი მსოფლიოს ეკონომიკაში.

საერთაშორისო ვაჭრობას ამკარა სარგებლობა მოაქვს. ვაჭრობა ადამიანებს იმის საშუალებას აძლევს, რომ აწარმოონ ის, რაც ყველაზე უკეთ შეუძლიათ, და მოიხმარონ მსოფლიოს ყველა კუთხეში ნარმოებული უამრავი სახის საქონელი და მომსახურება. *ეკონომიკის ათი პრინციპიდან ერთ-ერთი* ხომ ის არის, რომ ვაჭრობას ყველას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. საერთაშორისო ვაჭრობას ყველა ქვეყანაში შეუძლია ცხოვრების დონის ამაღლება, რადგან თითოეულ ქვეყანას საშუალება აქვს, აწარმოოს ის საქონელი თუ მომსახურება, რომლის წარმოებაშიც შედარებით უპირატესობა აქვს.

მაკროეკონომიკის შესწავლისას აქამდე არ შევხებივართ ეკონომიკის ურთიერთქმედებას მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან. მაკროეკონომიკის საკითხთა უმრავლესობისთვის საერთაშორისო ასპექტებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, როდესაც უმუშევრობის ბუნებრივ დონესა და ინფლაციის მიზეზებზე ვმსჯელობდით, საერთაშორისო ვაჭრობის შედეგების უგულვებელყოფა სრულიად უმტიკივნიულო იყო. ანალიზის სიმარტივისთვის ეკონომისტები ხშირად აკეთებენ დაშვებას ჩაკეტილი ეკონომიკის შესახებ – ისეთი ეკონომიკის შესახებ, რომელიც სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან არ ურთიერთქმედებს.



**ჩაკეტილი ეკონომიკა**  
ეკონომიკა, რომელიც არ ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან.

ღია ეკონომიკა  
ეკონომიკა, რომელიც  
თავისუფლად  
ურთიერთქმედებს  
სხვა ეკონომიკასთან.

მაგრამ არსებობს რამდენიმე მაკროეკონომიკური საკითხი, რომელიც ჩნდება ღია ეკონომიკაში – ეკონომიკაში, რომელიც შეუზღუდავად ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან. ამიტომ ამ და მომდევნო თავში ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკას გავხილავთ. გაცნობას დაფიქსებთ იმ ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადებით, რომელიც მემკვიდრეობითაა ცვლება ღია ეკონომიკის მსოფლიო ბაზრებთან ურთიერთქმედების აღწერის ზოგიერთ ცვლადს – ექსპორტს, იმპორტს, სავაჭრო ბალანსს და სავალუტო კურსს. ალბათ, უკვე იცნობთ გაზეთებიდან თუ ტელევიზიიდან. ჩვენი უპირველესი ამოცანაა ამონაცემების მნიშვნელობის გაგება. მომდევნო თავში ავაგებთ მოდელს, რომლის დახმარებითაც ავხსნით, როგორ განისაზღვრება ეს ცვლადები და როგორ მოქმედებს მათზე ეს თუ ის სამთავრობო პოლიტიკა.

## საქონლისა და კაპიტალის სავრთავრობის ნაკალი

ღია ეკონომიკა სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან ორი გზით ურთიერთქმედებს: ყიდულობს და ყიდის საქონელსა და მომსახურებას მსოფლიოს სასაქონლო ბაზრებზე, და ყიდულობს და ყიდის კაპიტალურ აქტივებს მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. განვიხილოთ ეს ორი საქმიანობა და მათ შორის არსებული მჭიდრო კავშირი.

ექსპორტი  
ქვეყნის შიგნით  
წარმოებული და  
ქვეყნის გარეთ  
გაყიდული საქონელი  
და მომსახურება.

### საქონლის ნაკალი: ექსპორტი, იმპორტი და წმინდა ექსპორტი

ექსპორტი არის ქვეყანაში წარმოებული საქონელი და მომსახურება, რომელიც უცხოეთში იყიდება, ხოლო იმპორტი – ქვეყნის გარეთ წარმოებული საქონელი და მომსახურება, რომელიც ქვეყნის შიგნით იყიდება. როდესაც „ბოინგი“, თვითმფრინავების მწარმოებელი აშშ-ში თვითმფრინავს აგებს და „უარ ფრანსის“ მიჰყიდის, ეს ექსპორტია შეერთებული შტატებისათვის და იმპორტი – საფრანგეთისთვის. როდესაც „ვოლვო“, ავტომობილების მწარმოებელი შვედეთში, თავის ავტომობილს შეერთებული შტატების მოქალაქეს მიჰყიდის, ეს იმპორტია შვედეთში, თავის ავტომობილს და ექსპორტი – შვედეთისთვის.

იმპორტი  
ქვეყნის გარეთ  
წარმოებული და  
ქვეყნის შიგნით  
გაყიდული საქონელი  
და მომსახურება.

ქვეყნის წმინდა ექსპორტი ამ ქვეყნის ექსპორტის ღირებულებისა და მისივე იმპორტის ღირებულების სხვაობაა.

წმინდა ექსპორტი  
უცხოელთა მიერ  
შეძენილი სამამულო  
წარმოების საქონლის  
ღირებულებისა  
(ექსპორტი) და  
ადგილობრივი  
რეზიდენტების მიერ  
შეძენილი უცხოური  
წარმოების საქონლის  
ღირებულების  
(იმპორტი) სხვაობა  
(იგივე სავაჭრო  
ბალანსი).

წმინდა ექსპორტი =  
ქვეყნის ექსპორტის ღირებულება – ქვეყნის იმპორტის ღირებულება.

„ბოინგის“ თვითმფრინავის უცხოეთში გაყიდვა აშშ-ს წმინდა ექსპორტს ზრდის, ხოლო „ვოლვოს“ ავტომობილის შეერთებულ შტატებში გაყიდვა აშშ-ს წმინდა ექსპორტს ამცირებს. რადგან წმინდა ექსპორტი იმაზე მეტყველებს, მყიდველია თუ გამყიდველი ქვეყანა მსოფლიოს საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე, წმინდა ექსპორტს სავაჭრო ბალანსსაც უწოდებენ. თუ წმინდა ექსპორტი დადებითია, მაშინ ექსპორტი იმპორტზე მეტია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანა იმაზე მეტს ყიდის უცხოეთში, რასაც უცხოეთიდან ყიდულობს. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ქვეყანას სავაჭრო უპირატესობა აქვს. თუ წმინდა ექსპორტი უარყოფითია, მაშინ ექსპორტი იმპორტზე ნაკლებია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანა იმაზე ნაკლებს ყიდის, რასაც ყიდულობს. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ქვეყანას სავაჭრო დეფიციტი აქვს. თუ წმინდა ექსპორტი ნულის ტოლია, მაშინ ექსპორტი და იმპორტი ერთმანეთის ტოლია და ამბობენ, რომ ქვეყანას დაბალანსებული ვაჭრობა აქვს.

სავაჭრო ბალანსი  
ქვეყნის ექსპორტისა  
და იმპორტის  
ღირებულებათა  
სხვაობა (იგივე  
წმინდა ექსპორტი).

მომდევნო თავში ჩამოვაყალიბებთ თეორიას, რომლითაც აიხსნება ეკონომიკის სავაჭრო ბალანსი, მაგრამ ამ ეტაპზეც კი უკვე შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოყოფა, რომლებიც ქვეყნის ექსპორტზე, იმპორტსა და წმინდა ექსპორტზე ზემოქმედებენ. ამ ფაქტორთა შორისაა:

- მომხმარებლების გემოვნება სამამულო და უცხოური საქონლის მიმართ;
- საქონლის ფასი ქვეყანაში და უცხოეთში;
- სავალუტო კურსი, რომლითაც ეროვნული ვალუტით უცხოური ვალუტის ყიდვა შეიძლება;

- ქვეყნიდან ქვეყანაში საქონლის ტრანსპორტირების ხარჯები;
  - მთავრობის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებით.
- როდესაც ეს ცვლადები მერყეობს, იცვლება საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობაც.

## მაგალითი | აშშ-ს ეკონომიკა სულ უფრო და უფრო ღია ხდება

უკანასკნელი ოთხი ათწლეულის განმავლობაში ამერიკის ეკონომიკაში მომხდარ უდიდეს ცვლილებებს შორის საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების მნიშვნელობის ზრდას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს ცვლილება ასახულია 1-ლ ნახაზზე, სადაც ნაჩვენებია უცხოეთში ექსპორტირებული და სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულება, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული წილი. 1950-იან წლებში საქონლისა და მომსახურების ექსპორტი საშუალოდ 5 პროცენტზე ნაკლებს შეადგენდა. დღეს ექსპორტი ამაზე ორჯერ მეტია, ხოლო იმპორტი – სამჯერ მეტი. საქონლისა და მომსახურების იმპორტიც ასეთივე სიდიდით გაიზარდა.

საერთაშორისო ვაჭრობის ასეთი ზრდა ნაწილობრივ ტრანსპორტირების გაუმჯობესების შედეგია. 1950-იან წლებში საშუალო საავტომობილო ხომალდის მიერ გადატანილი ტვირთის წონა 10,000 ტონას არ აღემატებოდა. დღეს გემებს 100,000 ტონაზე მეტი გადააქვთ. 1958 წელს შეიქმნა თვითმფრინავი დიდი დისტანციებისთვის, 1967 წელს კი – სატვირთო თვითმფრინავი, რამაც საშაერო ტრანსპორტის მკვეთრი გაიაფება გამოიწვია. ამის შედეგად საქონელი, რომლის წარმოება მხოლოდ ადგილობრივად ხდებოდა, დღეს მთელ მსოფლიოში იყიდება. მაგალითად, ყვავილებს ისრაელში ზრდიან და გასაყიდად შეერთებულ შტატებში აგზავნიან. ხილი და ბოსტნეული, რომელთა მოსავალიც მხოლოდ ზაფხულში მოდის, დღეს შეგიძლიათ ზამთარშიც მოიხმაროთ, რადგან ზამთარში ეს საქონელი სამხრეთ ნახევარსფეროდან ჩამოაქვთ.


საერთაშორისო ვაჭრობის ზრდაზე ტელეკომუნიკაციების განვითარებამაც იმოქმედა, რამაც ფირმებს საშუალება მისცა, უფრო ადვილად მიეღწიათ ოკეანისგალმელ მომხმარებლებამდე. მაგალითად, პირველი ტრანსატლანტიკური სატელეფონო კაბელის გაყვანა მხოლოდ 1956 წელს მოხერხდა. ჯერ კიდევ 1966 წელს ტექნოლოგია მარტო 138 ერთდროული სატელეფონო საუბრის საშუალებას იძლეოდა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას შორის. დღეს საკომუნიკაციო თანამგზავრები ერთდროულად 1 მილიონი სატელეფონო საუბრის საშუალებას იძლევა.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა საერთაშორისო ვაჭრობას ხელი ქვეყნების მიერ წარ-



„ჩვენ მანქანის ყიდვაზე კი არ ვსაუბრობთ, არამედ იმაზე, თუ როგორ ვებძოლოთ ჩვენი ძველის სავაჭრო დეფიციტს იაპონიასთან“.

სავაჭრო უპირატესობა ექსპორტის გადაჭარბება იმპორტზე.



### ნ ა ხ ა ზ ი 1

**აშშ-ს ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია**  
 ნახაზზე ნაჩვენებია აშშ-ს ეკონომიკის ექსპორტი და იმპორტი, როგორც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული წილი 1950-იანი წლებიდან დღემდე. ამ პერიოდში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების მნიშვნელობის ზრდაზე მეტყველებს.

წყარო: აშშ-ს კომერციის დეპარტამენტი.

სავაჭრო დეფიციტი  
იმპორტის გადაჭარბება  
ექსპორტზე.

დაბალანსებული ვაჭრობა  
ექსპორტისა და  
იმპორტის ტოლობა.

მოებული საქონლის სახეობების ცვლილებითაც შეუწყო. როდესაც მძიმე და დიდი ზომის ნედლეული (მაგალითად, ფოლადი) და სწრაფადფუჭებადი საქონელი (მაგალითად, საკვები მსოფლიოს პროდუქციის დიდ ნაწილს შეადგენდა, ტრანსპორტირება ხშირად ძვირი და ზოგჯერ შეუძლებელიც კი იყო. თანამედროვე ტექნოლოგიით წარმოებული საქონელი კი ხშირად მსუბუქი და ადვილი გადასატანია. მაგალითად, საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის ღირებულების თითოეულ დოლარზე ძალიან მცირე წონა მოდის, რაც აადვილებს ან საქონლის ერთ ქვეყანაში წარმოებასა და სხვა ქვეყანაში გაყიდვას. ამის კიდევ ერთი და უფრო დამაჯერებელი მაგალითია კინონიდუსტრია. მას შემდეგ, რაც შოლივუდის რომელიმე კინოსტუდია ფილმს გადაიღებს, ამ ფილმის ასლების მთელ მსოფლიოში გავრცელება მას თითქმის არაფერი უჯდება. და, მართლაც, ფილმები შეერთებული შტატების ექსპორტის უდიდესი ნაწილია.

მთავრობის სავაჭრო პოლიტიკაც ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას განაპირობებს. როგორც მე-3 და მე-9 თავებში ვნახეთ, ეკონომისტები ყოველთვის თვლიდნენ, რომ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობა ორმხრივად სასარგებლოა. საბოლოოდ ეს აზრი მთელი მსოფლიოს ეკონომისტებმა გაიზიარეს. საერთაშორისო შეთანხმებებმა, მაგალითად, ჩრდილოამერიკულმა შეთანხმებამ თავისუფალ ვაჭრობაზე (NAFTA) და გენერალურმა შეთანხმებამ ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT), თანდათან შეამცირა ვაჭრობის ბარიერები, როგორებიცაა ტარიფები და საიმპორტო კვოტები. ვაჭრობის ზრდა, რომელიც ნაჩვენებია 1-ლ ნახაზზე, ის მოვლენაა, რომელსაც ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა მხარს უჭერს და ხელს უწყობს. •

### ფინანსური რესურსების ნაკადი: კაპიტალის წმინდა გაღიწვა

აქამდე იმის შესახებ ვმსჯელობდით, როგორ იღებენ ღია ეკონომიკის რეზიდენტები მონაწილეობას საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრებში. ამას გარდა, ისინი მსოფლიო ფინანსურ ბაზრებშიც იღებენ მონაწილეობას. ამერიკის მოქალაქეს, რომელსაც \$20,000 აქვს, შეუძლია ამ ფულით იყიდოს როგორც „ტოიოტას“ მარკის ავტომობილი, ისე კორპორაცია „ტოიოტას“ აქციები. პირველი გარიგება საქონლის ნაკადია, მეორე კი – კაპიტალის ნაკადი.

ტერმინით კაპიტალის წმინდა გაღიწვა აღინიშნება ქვეყნის მოქალაქეების მიერ უცხოური აქტივების ყიდვისა და უცხოელების მიერ სამამულო აქტივების შეძენის სხვაობა:

$$\text{კაპიტალის წმინდა გაღიწვა} = \text{ადგილობრივი რეზიდენტების მიერ უცხოური კაპიტალის შეძენა} - \text{უცხოელების მიერ ადგილობრივი კაპიტალის შეძენა.}$$

კაპიტალის წმინდა  
გაღიწვა  
უცხოურ აქტივებში  
ადგილობრივი  
რეზიდენტების მიერ  
გადახდილი თანხისა  
და სამამულო  
აქტივებში უცხოელთა  
მიერ გადახდილი  
თანხის სხვაობა.

როდესაც შეერთებული შტატების მოქალაქე „ტელმექსის“, მექსიკის სატელეფონო კომპანიის, აქციებს ყიდულობს, ეს გარიგება ამ განტოლების მარჯვენა მხარის პირველ ნაწილს ზრდის, ანუ აფართოებს აშშ-ს კაპიტალის წმინდა გაღიწვას. როდესაც იაპონიის მოქალაქე შეერთებული შტატების სამთავრობო ობლიგაციას ყიდულობს, ეს გარიგება მოცემული განტოლების მარჯვენა მხარის მეორე ნაწილს აფართოებს და ამდენად, ამცირებს აშშ-ს კაპიტალის წმინდა გაღიწვას.

კაპიტალის გაღიწვა უცხოეთში ორ სახეს იღებს: „მაკდონალდის“ მიერ რუსეთში რესტორნის გახსნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაგალითია. ამერიკელის მიერ რუსული კორპორაციის აქციის შეძენა უცხოური პორტფელური ინვესტიციის მაგალითია. პირველ შემთხვევაში ამერიკელი მფლობელი აქტიურად ახორციელებს ინვესტირების მენეჯმენტს, მეორე შემთხვევაში კი ამერიკელ მფლობელს უფრო პასიური როლი აქვს. ორივე შემთხვევაში შეერთებული შტატების მოქალაქეები სხვა ქვეყანაში არსებულ აქტივებს ყიდულობენ, ამიტომ ორივე გარიგება აშშ-ს კაპიტალის წმინდა გაღიწვას ზრდის.

კაპიტალის წმინდა გაღიწვა (რომელსაც ხანდახან წმინდა უცხოურ ინვესტიციებსაც უწოდებენ) შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც. როდესაც ის დადებითია, ადგილობრივი რეზიდენტები უფრო მეტ უცხოურ აქტივებს ყიდულობენ, ვიდრე უცხოელები ადგილობრივს. ამდენად, ამბობენ, რომ ხდება ქვეყნიდან კაპიტალის გაღიწვა. როდესაც კაპიტალის წმინდა გაღიწვა უარყოფითია, ამ შემთხვევაში ადგილობრივი რეზიდენტები

უფრო ნაკლებ უცხოურ აქტივებს ყიდულობენ, ვიდრე უცხოელები შეიძენენ ადგილობრივს. ამ დროს ამბობენ, რომ ქვეყანაში კაპიტალის შემოდინება ხდება.

თეორიას, რომლითაც კაპიტალის წმინდა გადინება ახსნება, მომდევნო თავში გავეცნობით. აქ კი მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ მნიშვნელოვან ცვლადს, რომლებიც გავლენას ახდენენ წმინდა უცხოურ ინვესტიციებზე. ეს ცვლადებია:

- უცხოური აქტივის სარგებლის რეალური განაკვეთი;
- სამამულო აქტივის სარგებლის რეალური განაკვეთი;
- უცხოეთში აქტივების ფლობის ეკონომიკური და პოლიტიკური რისკი;
- სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს სამამულო აქტივების უცხოურ მფლობელობაზე.

განვიხილოთ, მაგალითად, ამერიკელი ინვესტორები, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ, მექსიკის მთავრობის ობლიგაციები იყიდონ თუ აშშ-ს მთავრობის ობლიგაციები (გაისხენეთ, რომ ობლიგაცია, ფაქტობრივად, გამომშვების მიერ გაცემული თამასუქია). ამ გადაწყვეტილების მისაღებად ამერიკელი ინვესტორები ერთმანეთს ადარებენ ამ ობლიგაციების სარგებლის რეალურ განაკვეთებს. რაც მეტია ობლიგაციის სარგებლის რეალური განაკვეთი, მით უფრო მიზნიდევლია ეს ობლიგაცია. მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას ამერიკელმა ინვესტორებმა ის რისკიც უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ ორი მთავრობიდან ერთ-ერთს შეუძლია ვალდებულება არ შეასრულოს, ანუ არ გადაიხადოს სარგებელი ან თავი, როცა ამის დრო მოვა. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ის შეზღუდვებიც, რომლებიც მექსიკის მთავრობამ დაანესა ან რომელთაც მომავალში დაანესებს უცხოელი ინვესტორების საქმიანობაზე.

## წმინდა ექსპორტისა და კაპიტალის წმინდა გადინების ტოლობა

როგორც ვნახეთ, ღია ეკონომიკა დანარჩენ სამყაროსთან ორგვარად ურთიერთქმედებს – საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრებზე და მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. წმინდა ექსპორტიცა და კაპიტალის წმინდა გადინებაც ამ ბაზრების დაუბალანსებლობას ზომავს. წმინდა ექსპორტი ასახავს ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის უთანაბრობას. კაპიტალის წმინდა გადინება კი ასახავს ქვეყნის მოქალაქეთა მიერ შექმნილ უცხოურ აქტივებსა და უცხოელთა მიერ შექმნილ სამამულო აქტივებს შორის უთანაბრობას.

გამოთვლებისას ირკვევა, რომ ეს ორი სიდიდე ერთმანეთს უნდა აწონასწორებდეს. ესე იგი, კაპიტალის წმინდა გადინება (NCO) ყოველთვის წმინდა ექსპორტის (NX) ტოლი უნდა იყოს:

$$NCO = NX$$

ეს ტოლობა სამართლიანია, რადგან თითოეულმა გარიგებამ, რომელიც ტოლობის ერთ მხარეზე მოქმედებს, ზუსტად ასევე უნდა იმოქმედოს მეორე მხარეზეც. ეს ტოლობა იგივევობაა – ტოლობა, რომელიც სამართლიანია, მასში მონაწილე ცვლადების განმარტებიდან გამომდინარე.

ამ ტოლობის სამართლიანობაში დასარწმუნებლად ერთი მაგალითი განვიხილოთ. წარმოიდგინეთ, რომ პროგრამისტი ხართ და აშშ-ში ცხოვრობთ. ერთ დღესაც თქვენ მიერ შექმნილ პროგრამას იაპონელ მომხმარებელს მიჰყიდით 10,000 იენად. პროგრამის გაყიდვა აშშ-სთვის ექსპორტია და ამდენად, ზრდის მის წმინდა ექსპორტს. მაგრამ კიდევ რა მოვლენა გვაქვს, რომელიც ტოლობის სამართლიანობას ადასტურებს? პასუხი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოექცევით ამ 10,000 იენას.

ჯერ დავუშვავთ, რომ თქვენ ამ იენებს მუთაქაში ჩატენით (ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენ იენები იენებისთვის გაქვთ და მეტი არაფერი). ამ შემთხვევაში თქვენ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს იყენებთ იაპონურ ეკონომიკაში ინვესტირებისათვის. ანუ ადგილობრივმა რეზიდენტმა (თქვენ) შეიძინა უცხოური აქტივები (იაპონური ვალუტა). აშშ-ს წმინდა ექსპორტის ზრდა ემთხვევა აშშ-ს კაპიტალის წმინდა გადინების ზრდას.

უფრო რეალისტურად თუ ვიმსჯელებთ, თქვენ, ალბათ, იაპონიის ეკონომიკაში ინვესტირებისათვის ამ ვალუტას მუთაქაში არ ჩატენით. ალბათ, ამ 10,000 იენას იაპონური კომპანიის აქციების ან იაპონიის მთავრობის ობლიგაციების საყიდლად გამოიყენებთ. თუმცა სიტუაცია დაახლოებით ისეთივეა: ადგილობრივი რეზიდენტი საბოლოოდ უცხოური აქტივის ყიდვას გადაწყვეტს. აშშ-ს კაპიტალის წმინდა გადინება (იაპონური აქციისა თუ ობლი-

გაცივის შექმნა) ზუსტად აშშ-ს წმინდა ექსპორტის ტოლია (პროგრამის გაყიდვა).

მოდით, ახლა შევცვალოთ მაგალითი. იმის ნაცვლად, რომ თქვენ 10,000 იენა იაპონური აქციების ან ობლიგაციების საყიდლად გამოიყენოთ, ამ ფულით იაპონურ საქონელს ყიდულობთ, მაგალითად, ციფრულ სათამაშოს. ამის შედეგად აშშ-ს იმპორტი იზრდება. პროგრამის ექსპორტი და ციფრული სათამაშოს იმპორტი ერთმანეთს აბალანსებს. იმერგამო, რომ იმპორტი და ექსპორტი ერთი და იმავე სიდიდით იცვლება, წმინდა ექსპორტის უცვლელი რჩება. ამ შემთხვევაში არც ამერიკელი იძენს იაპონურ აქტივს და არც იაპონელი — ამერიკულს. ამდენად, ეს არანაირ გავლენას არ ახდენს აშშ-ს კაპიტალის წმინდა გადინებაზე.

საბოლოო შესაძლებლობა ის არის, რომ ადგილობრივ ბანკში ნახვიდეთ და 10,000 იენა აშშ დოლარებზე გადაცვალოთ. თუმცა ეს სიტუაციას არ ცვლის, რადგან ბანკმა რაღაც უნდა მოუხერხოს ამ 10,000 იენას. მას შეუძლია იყიდოს იაპონური აქტივები (აშშ-ს კაპიტალის წმინდა გადინება); იყიდოს იაპონური საქონელი (აშშ-ს იმპორტი); ან იაპონური იენები იმ ამერიკელს მიჰყიდოს, რომელსაც ამგვარი გარიგების შესრულება უნდა. საბოლოოდ აშშ-ს წმინდა ექსპორტი კაპიტალის წმინდა გადინებას უნდა გაუტოლდეს.

შეგვიძლია, ეს მაგალითი მთლიანად ეკონომიკაზე განვაზოგადოთ:

- როდესაც ქვეყანას სავაჭრო გარდამეტი აქვს ( $NX > 0$ ), ის უფრო მეტ საქონელს და მომსახურებას ყიდის უცხოელებზე, ვიდრე თავად ყიდულობს მათგან. როგორ იყენებს იმ უცხოურ ვალუტას, რომელსაც ის საქონლისა და მომსახურების აწოდებას წმინდა გაყიდვიდან იღებს? ის უცხოურ აქტივებს ყიდულობს, რის გამოც ხდება ქვეყნიდან კაპიტალის გადინება ( $NCO < 0$ ).
- როდესაც ქვეყანას სავაჭრო დეფიციტი აქვს ( $NX < 0$ ), ის უფრო ნაკლებ საქონელს და მომსახურებას ყიდის უცხოელებზე, ვიდრე თავად ყიდულობს უცხოელებისაგან. როგორ აფინანსებს მსოფლიო ბაზარზე უცხოელებისაგან ამ საქონლისა და მომსახურების ყიდვას ქვეყანა? ის საზღვარგარეთ ყიდის აქტივებს, რის გამოც ხდება კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში ( $NCO < 0$ ).

საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადები და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები მონეტის ორი მხარეა.

## დანაზოგები, ინვესტიციები და მათი დამოკიდებულება საერთაშორისო ნაკადებთან

ქვეყნის დანაზოგებსა და ინვესტიციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. როგორც ზემოთ ვნახეთ, დანაზოგები და ინვესტიციები ჩაკეტილ ეკონომიკაში ერთმანეთის ტოლია, მაგრამ ღია ეკონომიკაში საქმე ასე მარტივად არ გახლავთ. მოდით, განვიხილოთ, როგორ დამოკიდებულებაშია დანაზოგები და ინვესტიციები საქონლისა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებთან, რომელიც წმინდა ექსპორტისა და კაპიტალის წმინდა გადინების მაჩვენებლებითაა გაზომილი.

როგორც, აღბათ, გახსოვთ, ტერმინი *წმინდა ექსპორტი* პირველად ამ წიგნში მამინ გამოჩნდა, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტებზე ვმსჯელობდით. ეკონომიკის მთლიანი შიდა პროდუქტი ( $Y$ ) ოთხი კომპონენტისგან შედგება. ეს კომპონენტებია: მოხმარება ( $C$ ), ინვესტიციები ( $I$ ), სახელმწიფო შესყიდვები ( $G$ ) და წმინდა ექსპორტი ( $NX$ ). ანუ

$$Y = C + I + G + NX$$

ეკონომიკის მთლიანი ხარჯები მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო შესყიდვებისა და წმინდა ექსპორტის ხარჯების ჯამია. რადგან თითოეული დახარჯული დოლარი ამ ოთხი კომპონენტიდან ერთ-ერთის ნაწილია, ეს ტოლობა იგივეობაა და, ცვლადების განმარტებიდან გამომდინარე, ის სამართლიანიც უნდა იყოს.

გავიხსენოთ, რომ ეროვნული დანაზოგი ქვეყნის შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც მიმდინარე მოხმარებისა და სახელმწიფო შესყიდვების ხარჯების გაღების შემდეგ რჩება. ეროვნული დანაზოგი ( $S$ ) უდრის  $Y - C - G$ -ს. თუ ამ ფაქტის გასათვალისწინებლად ტოლობას შევცვლით, ის შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Y - C - G = I + NX$$

$$S = I + NX$$



## ამერიკა უცხოურ კაპიტალზეა დამოკიდებული

ამერიკის ეკონომიკის 2004 წლის დიდი სავაჭრო დეფიციტის დაფინანსება კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაკადით მოხდა.

### აშშ-ს სავაჭრო დეფიციტის რეკორდი 2004 წელს

სიუ კირჩოფი

აშშ-ს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა — ქვეყნის სავაჭრო ბალანსის უმნიშვნელოვანესმა მაჩვენებელმა — 2004 წელს ყველა დროის რეკორდი მოხსნა და უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. მთავრობის განცხადებით, ეს ოთხშაბათს მოხდა და დოლარის სიმტკიცის თაობაზე გარკვეული შეშფოთების საბაბსაც იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ეკონომიკის სხვა მონაცემები წესრიგშია.

კომერციის დეპარტამენტი აცხადებს, რომ მიმდინარე ანგარიშმა მეოთხე კვარტლისათვის 187,9-მილიარდიანი, მთელი წლისათვის კი — 665,9-მილიარდიანი დეფიციტი აჩვენა. ეს 25,5%-ით აღემატება 2003 წლის გარღვევას, რომელიც 530,7 მლრდ-ის ტოლი იყო. დეფიციტი რეკორდულია — ეკონომიკის 5,7%.

დეფიციტის მოსალოდნელზე უფრო მაღალმა მაჩვენებლებმა განაახლა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ამერიკის ეკონომიკის დაფინანსება მეტისმეტად არის დამოკიდებული უცხოელ ინვესტორებზე, განსაკუთრებით კი — აზიის ცენტრალურ ბანკებზე.

იანვარში უცხოურმა ინვესტიციებმა 51%-ს მიაღწია, რაც რიგით მეორე რეკორდული მაჩვენებელია. ფონდების საჭიროება კი მატულობს.

ეთან შარისი, ლემან ბროსის მთავარი ეკონომისტი ნიუ-იორკში, მიმდინარე ანგარიშის მონაცემებს „საზარელს“ უწოდებს.

„ვეუბნებით უცხოელებს, რომ 600 კი არა, 700 მილიარდი გვასესხონ. სწორედ ეს ქმნის ამ საფონდო პრობლემას, — განაცხადა შარისმა. — მათ, შეიძლება, 300-400 მილიარდის სესხება სურდეთ, მაგრამ ჩვენ ყველა ზღვარს ვაჭარბებთ“.

თეთრი სახლის განცხადებით, სავაჭრო

დეფიციტი იმის შედეგია, რომ აშშ-ს ეკონომიკა სხვა ქვეყნებზე სწრაფად იზრდება. ფედერალური რეზერვის თავმჯდომარის, ალან გრინსპენის თქმით, სავაჭრო ბალანსი თანდათანობით მონწესრიგდება.

სხვა ეკონომისტები და მოწინავე ბიზნესმენები ფიქრობენ, რომ უცხოელი ინვესტორების დოლარში დაბანდებული კაპიტალის უცარი გადინება გამოიწვევს დოლარის მსყიდველობითი უნარისა და აქციათა ბაზრების მკვეთრ გაუარესებას და ინფლაციას, ამასთან, გაზრდის სარგებლის განაკვეთს...

გავლენიანი ინვესტორი უორენ ბაფეტი, „ბერკშირ ჰეტეუის“ აქციონერებისათვის გაგზავნილ წლებანდელ წერილში გვაფრთხილებს, რომ თუ აშშ განაგრძობს აქტივების უცხოელი ინვესტორებისათვის გადაცემას, იგი, შეიძლება, აქციათა პაკეტების მწარმოებელ საზოგადოებად გადაიქცეს.

წყარო: „იუ-ეს-ვი თუდეი“, 2005 წ. 17 მარტი

რადგან წმინდა ექსპორტი (NX) კაპიტალის წმინდა გადინებასაც (NCO) უდრის, ამ ტოლობას შეგვიძლია შემდეგი სახე მივცეთ:

$$S = I + NCO$$

დანაზოგი = სამამულო ინვესტიციები + კაპიტალის წმინდა გადინება

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ ქვეყნის დანაზოგი სამამულო ინვესტიციებისა და კაპიტალის წმინდა გადინების ჯამის ტოლი უნდა იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც შეერთებული შტატების მოქალაქე საკუთარი შემოსავლის ერთ დოლარს მომავლისთვის ინახავს, მან ეს დოლარი შეიძლება ან სამამულო კაპიტალის დაგროვებისათვის გამოიყენოს, ან კაპიტალის უცხოეთში შესაძენად.

ეს ტოლობა, ალბათ, გეცნობათ. როდესაც ფინანსური სისტემის როლს ვაანალიზებდით, ეს იგივეობა ჩაკეტილი ეკონომიკის სპეციალური შემთხვევისთვის განვიხილეთ. ჩაკეტილ ეკონომიკაში კაპიტალის წმინდა გადინება ნულის ტოლია (NCO = 0), ამიტომ დანაზოგი ინვესტიციების ტოლია (S = I). ჩაკეტილი ეკონომიკისგან განსხვავებით, ღია ეკონომიკა თავის დანაზოგს ორი მიზნით იყენებს: სამამულო ინვესტიციებისა და კაპიტალის წმინდა გადინებისათვის.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ფინანსური სისტემა ამ იგივეობის ორ მხარეს შორის დგას.



მაგალითად, ვთქვათ, სმითების ოჯახი საკუთარი შემოსავლის ნაწილის სამომავლოდ დაზოგვას აპირებს. ეს გადაწყვეტილება ზრდის ეროვნულ დანაზოგს, ჩვენი ტოლობის მარცხენა მხარეს. თუ სმითები საკუთარ დანაზოგს ურთიერთფონდში შეიტანენ, ურთიერთფონდს შეუძლია ამ თანხის ნაწილით „ჯენერალ მოტორსის“ აქციები იყიდოს, ხოლო „ჯენერალ მოტორსი“ მიღებულ თანხას ოპაიოში ქარხნის აშენებისთვის გამოიყენებს. ამას გარდა, ურთიერთფონდს შეუძლია სმითების დეპოზიტის ნაწილით „ტოიოტას“ აქციები იყიდოს, „ტოიოტა“ კი მიღებულ თანხას ოსაკაში ქარხნის აშენებას მოახმარს. ეს გარიგებები ცვლის ტოლობის მარჯვენა მხარეს. შეერთებული შტატებისთვის „ჯენერალ მოტორსის“ მიერ ახალი ქარხნის აშენებაზე გაღებული ხარჯები სამამულო ინვესტიციებია, ხოლო ამერიკის მოქალაქის მიერ „ტოიოტას“ აქციების შეძენა – კაპიტალის წმინდა გადინება. ამგვარად, აშშ-ს ეკონომიკაში არსებული დანაზოგი ან აშშ-ს ეკონომიკაში განხორციელებულ ინვესტიციებში აისახება, ან აშშ-ს კაპიტალის წმინდა გადინებაში.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაზოგები, ინვესტიციები და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები მჭიდროდ არის დაკავშირებული. როდესაც ქვეყნის დანაზოგები სამამულო ინვესტიციებს აჭარბებს, მისი კაპიტალის წმინდა გადინება დადებითია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა თავისი დანაზოგების ნაწილს უცხოური აქტივების შესაძენად იყენებს. როდესაც ქვეყნის სამამულო ინვესტიციები დანაზოგებს აჭარბებს, მაშინ კაპიტალის წმინდა გადინება უარყოფითია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სამამულო ინვესტიციებს უცხოელები აფინანსებენ სამამულო აქტივების შეძენის გზით.

**შეჯამება**

1-ლ ცხრილში შეჯამებულია ამ თავში წარმოდგენილი მოსაზრებები. იგი აღწერს ღია ეკონომიკის სამ შესაძლებლობას: სავაჭრო დეფიციტს, დაბალანსებულ ვაჭრობასა და სავაჭრო გარდამეტს.

ჯერ განვიხილოთ ქვეყანა, რომელსაც სავაჭრო გარდამეტი აქვს. სავაჭრო გარდამეტს მაშინ არსებობს, როდესაც ექსპორტი იმპორტს აჭარბებს. რადგან წმინდა ექსპორტი ექსპორტისა და იმპორტის სხვაობაა, მისი მნიშვნელობა (NX) ნულზე მეტია. სავაჭრო გარდამეტის დროს შემოსავალი ( $Y=C + I + G + NX$ ) ადგილობრივ ხარჯებს ( $C + I + G$ ) უნდა აჭარბებდეს. მაგრამ, თუ შემოსავალი (Y) ხარჯებზე მეტია ( $C + I + G$ ), მაშინ დანაზოგი ( $S=Y - C - G$ ) უნდა აჭარბებდეს ინვესტიციებს (I). რადგან ქვეყანა უფრო მეტს ზოგავს ვიდრე აბანდებს, ის დანაზოგის ნაწილს საზღვარგარეთ უნდა ხარჯავდეს. ამიტომ კაპიტალის წმინდა გადინება ნულზე მეტი იქნება.

საწინააღმდეგო ვითარებაა სავაჭრო დეფიციტის ქვეყნებში (როგორც არის აშშ). სავაჭრო დეფიციტი ნიშნავს, რომ ექსპორტი იმპორტზე ნაკლებია. რადგან წმინდა ექსპორტი ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობაა, NX ნულზე ნაკლებია. ამრიგად, სავაჭრო დეფიციტის დროს შემოსავალი ( $Y=C + I + G + NX$ ) ხარჯებზე ( $C + I + G$ ) ნაკლები უნდა იყოს. ამ შემთხვევაში დანაზოგი ( $S=Y - C - G$ ) ინვესტიციებს (I) უნდა ჩამორჩებოდეს. იმის გამო რომ ქვეყანა უფრო ნაკლებს ზოგავს, ვიდრე აბანდებს, ის ადგილობრივი ინვესტიციების ნაწილს აქტივების უცხოეთში გაყიდვით უნდა აფინანსებდეს, ამიტომ კაპიტალის წმინდა გადინება უარყოფითი იქნება.

დაბალანსებული ვაჭრობის ქვეყანა ამ ორ შემთხვევას შორისაა. ექსპორტი იმპორტს ტოლია, ასე რომ წმინდა ექსპორტი ნულს უდრის. შემოსავალი შიდა ხარჯებს უტოლდება დანაზოგი კი – ინვესტიციებს. კაპიტალის წმინდა გადინება ნულის ტოლია.

**მაგალითი | არის თუ არა აშშ-ს სავაჭრო დეფიციტი ძველის ეროვნული პრობლემა?**

ალბათ, გაგიგიათ, რომ პრესაში აშშ მსოფლიოს უდიდეს მსესხებლად არის მოხსენიებული. სავაჭრო დეფიციტის დასაფარავად მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე გამუდმებული სესხების გამო ქვეყანამ ეს წოდება უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში მოიპოვა.

სავაჭრო დეფიციტი	დაბალანსებული ვაჭრობა	სავაჭრო გარდამეტი
ექსპორტი < იმპორტი	ექსპორტი = იმპორტი	ექსპორტი > იმპორტი
წმინდა ექსპორტი < 0	წმინდა ექსპორტი = 0	წმინდა ექსპორტი > 0
$Y < C+I+G$	$Y = C+I+G$	$Y > C+I+G$
დანაზოგი < ინვესტიციები	დანაზოგი = ინვესტიციები	დანაზოგი > ინვესტიციები
კაპიტალის წმინდა გადინება < 0	კაპიტალის წმინდა გადინება = 0	კაპიტალის წმინდა გადინება > 0

საქონლისა და  
კაპიტალის  
საერთაშორისო  
წააღებში: შეჯამება

რატომ იქცევა აშშ ასე და აქვთ თუ არა ამერიკელებს შეშფოთების მიზეზი?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ვნახოთ, რას გვეუბნება აშშ-ს ეკონომიკის შესახებ მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

მე-2 ნახაზის (ა) ნაწილი გვიჩვენებს მშპ-ში ეროვნული დანაზოგისა და შიდა ინვესტიციების წილს 1960 წლიდან დღემდე. (ბ) გვიჩვენებს კაპიტალის წმინდა გადინებას (ანუ სავაჭრო ბალანსს), როგორც მშპ-ს წილს. დააკვირდით, რომ განმარტების შესაბამისად, კაპიტალის წმინდა გადინება ყოველთვის ეროვნული დანაზოგისა და შიდა ინვესტიციების სხვაობას უდრის.

ნახაზზე ნაჩვენებია მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც 1980-იანი წლების დასაწყისში მოხდა. 1980 წლამდე ეროვნული დანაზოგი და შიდა ინვესტიციები დაახლოებით თანაბარი იყო, შესაბამისად, კაპიტალის გადინება მინიმალური იყო. შემდეგ კი დანაზოგები მკვეთრად ჩამორჩა ინვესტიციებს და კაპიტალის წმინდა გადინებამ დიდ მასშტაბებს მიაღწია. ეს ნიშნავს, რომ უცხოური კაპიტალი შემოედინებოდა: უცხოელები უფრო მეტ აქტივებს იძენდნენ ამერიკაში, ვიდრე ამერიკელები – უცხოეთში. აშშ ვალებში ჩავარდა.

ისტორია გვიჩვენებს, რომ კაპიტალის მოძრაობაში მომხდარი ცვლილებები ზოგჯერ ინვესტირების, ხოლო ზოგჯერ დაზოგვის მერყეობებიდან იღებს სათავეს. 1980-1987 წლებში აშშ-ში კაპიტალის შემოდინება მშპ-ს 0,5%-დან 3,2%-მდე გაიზარდა. ეს 2,6%-იანი ზრდა უმეტესწილად დანაზოგების 3,2%-მდე დაცემის შედეგია. ეროვნული დანაზოგის შემცირება, თავის მხრივ, ხშირად საზოგადოებრივი დანაზოგის შემცირებით აიხსნება, რაც იგივეა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა.

შემდგომი ათწლეულის მოვლენები სხვაგვარად შეიძლება აიხსნას. 1991-დან 2000 წლამდე კაპიტალის შემოდინების წილი მშპ-ში 0,5%-დან 3,9%-მდე გაიზარდა. დააკვირდით, რომ ეს 3,4%-იანი ცვლილება დანაზოგების შემცირებას არ უკავშირდება. მართალია, დანაზოგები დროთა განმავლობაში გაიზარდა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი გარდამეტში გადავიდა, მაგრამ სამაგიეროდ მშპ-სთან მიმართებაში ინვესტირება 13,4-დან 17,7%-მდე გაიზარდა მას შემდეგ, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების ბუმმა მრავალი ფირმა დააინტერესა მაღალი ტექნოლოგიებით.

2000-2004 წლებში კაპიტალის შემოდინება აშშ-ში კვლავინდებურად გაგრძელდა და სარეკორდო დონეს, მშპ-ს 5,3%-ს, მიაღწია. 2000 წლის შემდეგ ინვესტირების ბუმი შეწყდა, მაგრამ ფედერალურ ბიუჯეტში კვლავ დეფიციტი გაჩნდა და ეროვნული დანაზოგი, ისტორიული მონაცემების გათვალისწინებით, უპრეცედენტოდ შემცირდა.

არის თუ არა სავაჭრო დეფიციტი პრობლემა აშშ-სათვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა დავაკვირდეთ ქვეყნის დანაზოგებსა და ინვესტიციებს.


ჯერ განვიხილოთ სავაჭრო დეფიციტი, რომელიც 1980-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში დანაზოგების კლებამ გამოიწვია. ნაკლები დანაზოგი იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანა სამომავლოდ ნაკლებ თანხას ინახავს. თუმცა, როდესაც ეს მოხდება, უკვე აზრი ეკარგება შედეგად მიღებული სავაჭრო დეფიციტის მონანიებას. თუ ეროვნული დანაზოგი სავაჭრო დეფიციტის ზრდას არ იწვევს, ეს აშშ-ში ინვესტიციების შემცირებაზე მეტყველებს. ინვესტიციების შემცირება კი, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს კაპიტალის მარაგზე, შრომის პროდუქტიულობასა და რეალურ ხელფასებზე. სხვანაირად რომ ვთქვათ,

**ეროვნული დანაზოგი, ადგილობრივი ინვესტიციები, კაპიტალის წმინდა გადინება**


(ა) ნახაზი გვიჩვენებს ეროვნული დანაზოგისა და შიდა ინვესტიციების წილს მშპ-ში, (ბ) ნახაზი კი – კაპიტალის წმინდა გადინების თანაფარდობას მშპ-სთან. როგორც ხედავთ, 1980 წლიდან მოყოლებული ეროვნული დანაზოგი მუდმივად მცირდება. ეროვნული დანაზოგის შემცირება კაპიტალის წმინდა გადინების კლებაში უფრო აისახა, ვიდრე შიდა ინვესტიციების შესუსტებაში.

წყარო: აშშ-ს კომერციის დეპარტამენტი.

ა) ეროვნული დანაზოგი და სამამულო ინვესტიციები (როგორც მშპ-ს პროცენტული წილი)



ბ) წმინდა უცხოური ინვესტიციები (როგორც მშპ-ს პროცენტული წილი)



თუკი აშშ-ს დანაზოგი მცირდება, ნულოვან ინვესტიციას ნამდვილად სჯობს ქვეყანაში უცხოური დაბანდება.

ახლა განვიხილოთ საინვესტიციო ბუმის შედეგად წარმოქმნილი სავაჭრო დეფიციტი როგორც ეს, მაგალითად, 1990-იან წლებში მოხდა. ამ შემთხვევაში ეკონომიკა ახალი კაპიტალის შესაძენად უცხოურ თანხებს სესხულობს. თუ დამატებითი კაპიტალის ინვესტირება საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის ზრდას იწვევს, მაშინ ეკონომიკა შეძლებს დაგროვილი ვალების გასტუმრებას და სესხება მიმზიდველი ხდება. ხოლო თუ უკუგება მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდება, მაშინ, წარსულის გათვალისწინებით, სესხება ნაკლებად მომგებიანი და ნაკლებად სასურველი ხდება.

ამრიგად, ამ მაგალითის სათაურში დასმულ კითხვაზე მარტივი და სწორი პასუხი არსებობს. ქვეყნები, ადამიანების მსგავსად, ფულის სესხებისას ან იჩენენ წინდახედულ ბას, ან – არა. სავაჭრო დეფიციტი თავისთავად პრობლემა არ არის, თუმცა ხანდახან პრობლემის ერთ-ერთ სიმპტომად გვევლინება. •

### საერთაშორისო ბარიერების ფასები: რეალური და ნომინალური სავალუტო კურსები

ჩვენ უკვე გავეცანით ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადადინების მაჩვენებლებს. ამ რაოდენობრივი ცვლადების გარდა, მაკროეკონომიკა ისეთ ცვლადებსაც შეისწავლის, რომლებიც ამ საერთაშორისო გარიგებების ფასებს ზომავენ. ისევე, როგორც ნებისმიერ ბაზარზე, საერთაშორისო ფასები მსოფლიო ბაზარზე მყიდველებისა და გამყიდველების გადანყვეტილებების კოორდინირების მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. აქ ჩვენ განვიხილავთ ორ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ფასს – ნომინალურ და რეალურ სავალუტო კურსს.

### ნომინალური სავალუტო კურსი

ნომინალური სავალუტო კურსი ის კურსია, რომლითაც ერთი ქვეყნის ვალუტა მეორე ქვეყნის ვალუტაზე იცვლება. მაგალითად, თუ ბანკში ნახვალთ, შეიტყობთ, რომ იენის კურსია ერთ დოლარში 80 იენა. თუ ბანკს ერთ აშშ დოლარს მისცემთ, 80 იაპონურ იენას მიიღებთ; ხოლო თუ 80 იაპონურ იენას მისცემთ, ერთ აშშ დოლარს მიიღებთ (სინამდვილეში იენის ყიდვისა და გაყიდვის ფასები ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავდება. ეს განსხვავება ბანკს გარკვეულ მოგებას აძლევს ამ მომსახურების სანაცვლოდ. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, აქ ამ განსხვავებას უგულებელვყოფთ).

სავალუტო კურსის გამოხატვა ორგვარად შეიძლება. თუ სავალუტო კურსია 80 იენა ერთ დოლარში, ეს იმასაც ნიშნავს, რომ სავალუტო კურსია 1/80 (=0,0125) დოლარი ერთ იენაში. ამ წიგნში ნომინალურ სავალუტო კურსს გამოვხატავთ უცხოური ვალუტის აშშ დოლართან შეფარდებით, მაგალითად, 80 იენა ერთ დოლარში.

თუ სავალუტო კურსი ისე იცვლება, რომ დოლარი მეტ უცხოურ ვალუტას ყიდულობს, ასეთ ცვლილებას დოლარის ღირებულების ზრდა ეწოდება. თუ სავალუტო კურსი ისე იცვლება, რომ დოლარი ნაკლებ უცხოურ ვალუტას ყიდულობს, ასეთ ცვლილებას დოლარის ღირებულების შემცირება ეწოდება. მაგალითად, როდესაც სავალუტო კურსი დოლარში 80 იენიდან დოლარში 90 იენამდე იზრდება, ვამბობთ, რომ დოლარის ღირებულება შემცირდა, იენის ღირებულება კი გაიზარდა.

აღბათ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან გსმენიათ, რომ დოლარი „მყარია“ ან „სუსტია“. ასეთი აღწერა, ჩვეულებრივ, ნომინალური სავალუტო კურსის ბოლოდროინდელ ცვლილებებს გულისხმობს. როდესაც ვალუტის ღირებულება იზრდება, ამბობენ, რომ ვალუტა გამყარდა, რადგან მას მეტი უცხოური ვალუტის ყიდვა შეუძლია. როდესაც ვალუტის ღირებულება მცირდება, ვამბობთ, რომ ვალუტა დასუსტდა.

ნებისმიერ ქვეყანაში მრავალი ნომინალური სავალუტო კურსი არსებობს. მაგალითად, აშშ დოლარებით შეგვიძლია ვიყიდოთ იაპონური იენები, ბრიტანული ფუნტები, ფრანგული ფრანკები, მექსიკური პესოები და ა. შ. როდესაც ეკონომისტები სავალუტო კურსის ცვლილებებს შეისწავლიან, ხშირად იყენებენ ინდექსებს, რომლებიც მრავალ სავალუტო კურსს ასაშუალოებენ. ისევე, როგორც სამომხმარებლო ფასების ინდექსი ეკონომიკაში არსებულ მრავალ ფასს ფასების დონის ერთიანი საზომით წარმოადგენს, სავალუტო კურსის ინდექსიც მრავალ სავალუტო კურსს ვალუტის საერთაშორისო ღირებულების ერთიანი საზომით გამოხატავს. ამიტომ, როდესაც ეკონომისტები დოლარის ღირებულების შემცირებასა თუ ზრდაზე ლაპარაკობენ, ხშირად მიმართავენ სავალუტო კურსის ინდექსს, რომელიც მრავალ ინდივიდუალურ სავალუტო კურსს ითვალისწინებს.

### ნომინალური სავალუტო კურსი

სავალუტო კურსი, რომლითაც ადამიანს შეუძლია ერთი ქვეყნის ვალუტით მეორე ქვეყნის ვალუტა შეიძინოს.

ღირებულების ზრდა ვალუტის ღირებულების ზრდა, რომელიც გამოიხატება უცხოური ვალუტის იმ რაოდენობით, რომლის ყიდვაც მას შეუძლია.

ღირებულების შემცირება ვალუტის ღირებულების შემცირება, გამოხატული უცხოური ვალუტის რაოდენობით, რომლის ყიდვაც მას შეუძლია.

## რეალური სავალუტო კურსი

### რეალური სავალუტო კურსი

კურსი, რომლითაც ადამიანს შეუძლია ერთი ქვეყნის საქონელი და მომსახურება მეორე ქვეყნის საქონლითა და მომსახურებით შეიძინოს.

რეალური სავალუტო კურსი ის თანაფარდობაა, რომლითაც პიროვნებას შეუძლია შეიძინოს ერთი ქვეყნის საქონელი და მომსახურება მეორე ქვეყნის საქონლითა და მომსახურებით. მაგალითად, ვთქვათ, მაღაზიაში მისვლისას აღმოაჩენთ, რომ გერმანული ლუდი ამერიკულზე ორჯერ ძვირია. ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ რეალური სავალუტო კურსი 1/2 ბოთლი გერმანული ლუდი ერთ ბოთლ ამერიკულ ლუდში. აღსანიშნავია, რომ, ნომინალური სავალუტო კურსის მსგავსად, რეალური სავალუტო კურსი გამოიხატება, როგორც უცხოური საქონლის ერთეულები სამამულო საქონლის ერთ ერთეულზე. ამ შემთხვევაში ერთეული საქონელია და არა ვალუტა.

რეალური და ნომინალური სავალუტო კურსები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ამას რომ დავრწმუნდეთ, ერთი მაგალითი განვიხილოთ. ვთქვათ, ამერიკული ბრინჯის ერთ ბუშელი \$100 ღირს, ხოლო იაპონური ბრინჯის ერთი ბუშელი - 16,000 იენი. რას უდრის რეალური სავალუტო კურსი ამერიკული და იაპონური ბრინჯისთვის? ამ კითხვაზე პასუხს გასაცემად ნომინალური სავალუტო კურსის მეშვეობით ფასები საერთო ვალუტაში უნდა გადავიყვანოთ. თუ ნომინალური სავალუტო კურსია 80 იენა ერთ დოლარში, მაშინ ერთ ბუშელი ამერიკული ბრინჯის ფასია 8,000 იენა. ამერიკული ბრინჯი იაპონურზე ორჯერ იაფია. რეალური სავალუტო კურსია 1/2 ბუშელი იაპონური ბრინჯი ერთ ბუშელ ამერიკულ ბრინჯში.

რეალური სავალუტო კურსის ეს გამოთვლები შემდეგი ფორმულით შეგვიძლია შევაჯამოთ:

$$\text{რეალური სავალუტო კურსი} = \frac{\text{ნომინალური სავალუტო კურსი } X \text{ სამამულო ფასი}}{\text{უცხოური ფასი}}$$

ჩვენს მაგალითში მოცემული რიცხვების ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$\begin{aligned} \text{რეალური სავალუტო კურსი} &= \frac{(80 \text{ იენა ერთ } \$) \times (\$100 \text{ ამერიკული ბრინჯის ერთ ბუშელი})}{6,000 \text{ იენა იაპონური ბრინჯის ერთ ბუშელზე}} \\ &= \frac{8,000 \text{ იენა ამერიკული ბრინჯის ბუშელში}}{16,000 \text{ იენა იაპონური ბრინჯის ბუშელში}} \\ &= 1/2 \text{ ბუშელი იაპონური ბრინჯი ერთ ბუშელ ამერიკულ ბრინჯში.} \end{aligned}$$

ამგვარად, რეალური სავალუტო კურსი დამოკიდებულია ნომინალურ სავალუტო კურსსა და ორი ქვეყნის ვალუტით გამოხატულ საქონლის ფასებზე.

რატომ ექცევა რეალურ სავალუტო კურსს ასეთი ყურადღება? ალბათ, ხედებით, რეალური სავალუტო კურსი ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი დეტერმინანტი მაგალითად, როდესაც „ანქლ ბენ, ინკ.“ იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, საკუთარ პროდუქციის დასამზადებლად ამერიკული ბრინჯი იყიდოს თუ იაპონური, ჯერ იმას იგებ რომელი ბრინჯია უფრო იაფი. რეალური სავალუტო კურსი მას ამ კითხვის პასუხს სთავაზობს. კიდევ ერთი მაგალითი ავიღოთ. წარმოიდგინეთ, რომ უნდა გადაწყვიტოთ, სადა ისვენოთ: მაიამიში (ფლორიდის შტატი) თუ ქენქანში (მექსიკა). ალბათ, ტურისტულ სააგენტოს აგენტს გამოჰკითხავთ მაიამის სასტუმროს ოთახის ფასის (დოლარებში), ქენქანის სასტუმროს ოთახის ფასისა (პესოებში) და პესოსა და დოლარის მიმდინარე სავალუტო კურსის შესახებ. თუ გადაწყვეტილების მიღებისას დანახარჯების შეფასებას იყენებთ, თქვენი გადაწყვეტილება რეალურ სავალუტო კურსს ემყარება.

ეკონომიკის მდგომარეობის შესწავლისას ეკონომისტები ცალკეული ფასების ნაცვლად ფასების საერთო დონეს იყენებენ. რეალური სავალუტო კურსის დასადგენად ისინი ფასების ინდექსებს, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების ინდექსს მიმართავენ. შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებს შორის საერთო რეალური სავალუტო კურსის გამოსათვლელ საჭიროა აშშ-ს ფასების ინდექსის (P), უცხოური ფასების ინდექსის (P\*) და აშშ დოლარსა და უცხოურ ვალუტას შორის ნომინალური სავალუტო კურსის (e) გამოყენება:

$$\text{რეალური სავალუტო კურსი} = (e \times P) / P^*$$

# ინფორმაციისათვის

ვერო



შესახებ, როგორც იყო გერმანული მარკა, ფრანგული ფრანკი ან იტალიური ლირა. იქნებ გინახავთ კიდეც ისინი.

ახლა ეს ვალუტები აღარ არსებობს. 1990-იან წლებში მრავალმა ევროპულმა ქვეყანამ ეკონომიკური სივრცე ერთიან ფულად სისტემაში გააერთიანა, რომლის ფულად ერთეულსაც ევრო ჰქვია. ევრომ მოქმედება 2002 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო. ამ ფულთან დაკავშირებულ მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ) ატარებს, რომელიც ყველა მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. ეცბ უშვებს ევროს და ზრუნავს მის მონოდებაზე, ისევე როგორც ფედერალური სარეზერვო სისტემა აშშ-ში - დოლარზე.

რატომ შემოიღეს ქვეყნებმა საერთო ფული? ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ვაჭრობის გამარტივება. წარმოიდგინეთ, რომ სხვადასხვა შტატში მიდისართ. ყველა საზღვრის გადაკვეთისას ფული უნდა ცვალოთ. ეს ბევრ უხერხულობას ქმნის და შეიძლება გადაგაფიქრებინოთ კიდევ რამის შექმნა.

ბინოთ კიდეც რამის შექმნა. ევროპის ქვეყნებმა გადანაცვლეს, რომ ეს უხერხულობები თავიდან აეცილებინათ.

საერთო ფულის შემოღება, გარკვეულწილად, პოლიტიკური გადანაცვტილება უფრო იყო, ვიდრე ეკონომიკური. ამ ნაბიჯის ზოგი მხარდამჭერი ფიქრობს, რომ ერთიანი ფული ევროპის ერებს ნაციონალისტური გრძნობების დაშოშმინებაში დაეხმარება და უფრო კარგად დაანახვებს მათ საერთო ისტორიასა და ბედისწერას. საერთო ფული, ფიქრობენ ისინი, ამ მიზნების მიღწევას გააადვილებს.

მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული მინუსებიც. თუ ევროპის ერებს ერთი ვალუტა ექნებათ, მაშინ მათ ერთნაირი მონეტარული პოლიტიკა უნდა ჰქონდეთ. იმ შემთხვევაში, თუ მათი მოსაზრებები მონეტარული პოლიტიკის შესახებ ერთმანეთს არ დაემთხვევა, მათ როგორც კონსენსუსამდე მისვლა დასჭირდებათ.

იმის გამო, რომ ევროს შემოღებას თავისი პლუსებიც აქვს და მინუსებიც, ევროპელ ეკონომისტთა შორის დღესაც მიმდინარეობს დავა იმაზე, ერთიანი ფულის შემოღება სწორი გადანაცვტილება იყო თუ არა.



ეს რეალური სავალუტო კურსი ასახავს ქვეყანაში არსებული საქონლისა და მომსახურების კალათის ფასს უცხოეთში არსებული საქონლისა და მომსახურების კალათის ფასთან შედარებით.

მომდევნო თავში ვნახავთ, რომ ქვეყნის რეალური სავალუტო კურსი ამ ქვეყნის საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის ძირითადი დეტერმინანტია. აშშ-ს რეალური სავალუტო კურსის შემცირება ნიშნავს, რომ შეერთებული შტატების საქონელი გაიაფდა უცხოურ საქონელთან შედარებით. ეს ცვლილება როგორც ამერიკელ, ისე უცხოელ მომხმარებლებს ამერიკული საქონლის უფრო დიდი რაოდენობით შექმნისა და სხვა ქვეყნების საქონლის უფრო მცირე რაოდენობით ყიდვისკენ უბიძგებს. ამის შედეგად აშშ-ს ექსპორტი იზრდება, ხოლო იმპორტი მცირდება და ორივე ეს ცვლილება აშშ-ს წმინდა ექსპორტის ზრდას იწვევს. და პირიქით, რეალური სავალუტო კურსის ზრდა ნიშნავს, რომ ამერიკული საქონელი გაძვირდა უცხოურ საქონელთან შედარებით, ამიტომ აშშ-ს წმინდა ექსპორტი მცირდება.

## სწავლი

**ბამოკითხვა:** განსაზღვრეთ ნომინალური სავალუტო კურსი და რეალური სავალუტო კურსი. ახსენით მათი ურთიერთდამოკიდებულება. • თუ ნომინალური სავალუტო კურსი იზრდება დოლარში 100 იენიდან დოლარში 120 იენამდე, იზრდება თუ მცირდება დოლარის ღირებულება?

**მსყიდველობითი უნარის პარიტეტი**  
თეორია, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ვალუტის ერთი ერთეულით უნდა შეგვეძლოს საქონლის ერთი და იმავე რაოდენობის შეძენა ყველა ქვეყანაში.

სავალუტო კურსი დროში მნიშვნელოვნად იცვლება. 1970 წელს ერთი აშშ დოლარით 3,6 გერმანული მარკის ან 627 იტალიური ლირას ყიდვა შეიძლებოდა. 1995 წელს ერთი აშშ დოლარით 1,43 გერმანულ მარკას ან 1629 იტალიურ ლირას იყიდდით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დროის განმავლობაში დოლარის ღირებულება განახევრდა გერმანულ მარკასთან შედარებით და ორჯერ და მეტად გაიზარდა იტალიურ ლირასთან მიმართებაში.

რით აიხსნება ასეთი დიდი ცვლილებები? ეკონომისტებმა მრავალი მოდელი შექმნეს იმის ასახსნელად, თუ როგორ განისაზღვრება სავალუტო კურსი. თითოეული მოდელი ამ ცვლილებების გამომწვევ მიზეზთა გარკვეულ ნაწილზე ამახვილებს ყურადღებას. ჩვენ ჩამოვაყალიბებთ სავალუტო კურსების უმარტივეს თეორიას, რომელსაც **მსყიდველობითი უნარის პარიტეტი** ეწოდება. ამ თეორიის თანახმად, ნებისმიერი ვალუტის ერთეულს ყველ ქვეყანაში საქონლის ერთი და იმავე რაოდენობის ყიდვა უნდა შეეძლოს. მრავალი ეკონომისტი თვლის, რომ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი იმ ეკონომიკურ ძალებს აღწერს რომლებიც გრძელვადიან პერიოდში სავალუტო კურსებს განსაზღვრავს. განვიხილოთ ლოგიკა, რომელსაც გრძელვადიანი პერიოდის სავალუტო კურსების ეს თეორია ემყარება და დავახასიათოთ მისი უპირატესობები და ნაკლოვანებები.

### **მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ძირითადი ლოგიკა**

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია ემყარება პრინციპს, რომელსაც *ერთიან ფასის კანონი* ეწოდება. ამ წესის თანახმად, საქონელი ყველგან ერთ ფასად უნდა იყიდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება მოგების მიღების შესაძლებლობის ხელიდან გაშვება მაგალითად, ვთქვათ, ყავის მარცვლები სიეტლში უფრო იაფია, ვიდრე ბოსტონში. პიროვნებებს შეუძლია, სიეტლში ყავა, ვთქვათ, ფუნტი \$4-ად იყიდოს, შემდეგ კი ბოსტონში ფუნტი \$5-ად გაყიდოს, რის შედეგადაც ფასებში არსებული განსხვავებიდან ერთ ფუნტ ყავაში \$1 მოგებას მიიღებს. სხვადასხვა ბაზრებზე სხვადასხვა ფასების უპირატესობის გამოყენებით პროცესს *არბიტრაჟი* ეწოდება. ჩვენს მაგალითში, როდესაც ადამიანები ამ არბიტრაჟულ შესაძლებლობის უპირატესობას იყენებენ, სიეტლში ყავაზე მოთხოვნა იზრდება, ბოსტონში კი – ყავის მიწოდება. სიეტლში ყავის ფასი გაიზრდება (მოთხოვნის ზრდის პასუხად), ბოსტონში კი – შემცირდება (მიწოდების ზრდის შედეგად). ეს პროცესი მანამ გაგრძელდება, სანამ საბოლოოდ ორივე ბაზარზე ფასები არ გათანაბრდება.

ახლა ვნახოთ, როგორ მოქმედებს ერთიანი ფასის კანონი საერთაშორისო ბაზარზე. თუ ერთი დოლარით (ან ნებისმიერი სხვა ვალუტით) შეერთებულ შტატებში მეტი ყავა ყიდვა შეიძლება, ვიდრე იაპონიაში, საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილეებს შეუძლია მოგება მიიღონ, თუ ყავას შეერთებულ შტატებში იყიდონ და იაპონიაში გაყიდონ. შეერთებული შტატებიდან იაპონიაში ყავის ექსპორტი ყავის ფასს გაზრდის ამერიკაში იაპონიაში კი – შემცირებს. და პირიქით, თუ ერთი დოლარით იაპონიაში მეტი ყავა ყიდვა შეიძლება, ვიდრე შეერთებულ შტატებში, ვაჭრებს შეუძლიათ ყავა იაპონიაში იყიდონ და შეერთებულ შტატებში გაყიდონ. იაპონიიდან ამერიკაში ყავის იმპორტი ყავის ამერიკულ ფასს შემცირებს, ხოლო იაპონურს – გაზრდის. საბოლოოდ, ერთიანი ფასის კანონის თანახმად, ერთ დოლარს ყველა ქვეყანაში ყავის ერთი და იმავე რაოდენობის ყიდვა უნდა შეეძლოს.

ამ ლოგიკას მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიამდე მივყავართ. ამ თეორიის თანახმად, ვალუტას ყველა ქვეყანაში ერთნაირი მსყიდველობითი უნარი უნდა ჰქონდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ დოლარით ამერიკასა და იაპონიაში ერთი და იმავე რაოდენობის საქონლის ყიდვა უნდა შეიძლებოდეს, იაპონური იენა კი ამერიკასა და იაპონიაში ერთი და იმავე რაოდენობის საქონელს უნდა ყიდულობდეს. *პარიტეტი* ნიშნავს თანასწორობას ხოლო *მსყიდველობითი უნარი* ეხება ფულის ღირებულებას, გამოხატულს იმ საქონლის და მომსახურების რაოდენობაში, რომლის ყიდვაც ფულის ამ ერთეულს შეუძლია. *მსყიდველობითი უნარის პარიტეტის* მიხედვით, ფულის ერთეულს ყველა ქვეყანაში ერთნაირ ღირებულება უნდა ჰქონდეს.

## მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის გამოყენება

რას გვეუბნება მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია სავალუტო კურსებთან დაკავშირებით? იმას, რომ ორი ქვეყნის ვალუტას შორის ნომინალური სავალუტო კურსი ამ ქვეყნებში არსებული ფასების დონეებზეა დამოკიდებული. თუ ერთი დოლარი საქონლის ერთსა და იმავე რაოდენობას ყიდულობს ამერიკაშიც (სადაც ფასები დოლარებშია გამოხატული) და იაპონიაშიც (სადაც ფასები იენებშია გამოხატული), მაშინ ერთი დოლარის შესაბამისი იენების რაოდენობა უნდა ასახავდეს საქონლის ფასებს შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში. მაგალითად, თუ ერთი ფუნტი ყავა 500 იენა ღირს იაპონიაში და \$5 ამერიკაში, მაშინ ნომინალური სავალუტო კურსი უნდა იყოს 100 იენა ერთ დოლარზე ( $500 \text{ იენა}/\$5 = 100 \text{ იენა დოლარზე}$ ). წინააღმდეგ შემთხვევაში დოლარის მსყიდველობითი უნარი ორივე ქვეყანაში ერთნაირი არ იქნება.

ამის უკეთ გასაგებად მარტივი მათემატიკური ოპერაციები გამოვიყენოთ. ვთქვათ,  $P$  არის ფასების დონე შეერთებულ შტატებში (დოლარებში),  $P^*$  არის ფასების დონე იაპონიაში (იენებში), ხოლო  $e$  ნომინალური სავალუტო კურსია (იენების რაოდენობა, რომლის ყიდვაც ერთი დოლარით შეიძლება). ახლა განვიხილოთ საქონლის ის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შეუძლია ერთ დოლარს შეერთებულ შტატებსა და უცხოეთში. შეერთებულ შტატებში ფასების დონეა  $P$ , ამიტომ \$1-ის მსყიდველობითი უნარი ამ ქვეყანაში  $1/P$ -ს ტოლია. უცხოეთში ერთი დოლარი შეიძლება უცხოური ვალუტის  $e$  ერთეულზე გადაიყვანოს, ამიტომ აქ დოლარის მსყიდველობითი უნარია  $e/P^*$ . იმისთვის, რომ ერთი დოლარის მსყიდველობითი უნარი ორივე ქვეყანაში ერთნაირი იყოს, უნდა შესრულდეს შემდეგი ტოლობა:

$$1/P = e/P^*$$

გარდაქმნის შედეგად მივიღებთ:

$$1 = eP/P^*$$

ამ ტოლობის მარცხენა მხარე მუდმივია, ხოლო მარჯვენა მხარე რეალური სავალუტო კურსია. ამგვარად, თუ ვალუტის მსყიდველობითი უნარი ქვეყანაში და ქვეყნის საზღვრებს გარეთ ყოველთვის ერთნაირია, მაშინ რეალური სავალუტო კურსი – სამამულო და უცხოური საქონლის ფარდობითი ფასი – ვერ შეიცვლება. რომ ვნახოთ, რას ნიშნავს ეს ანალიზი ნომინალური სავალუტო კურსისთვის, გარდავქმნათ უკანასკნელი ტოლობა:

$$e = P^*/P$$

ესე იგი ნომინალური სავალუტო კურსი უცხოური ფასების დონისა (უცხოური ვალუტის ერთეულებში) და სამამულო ფასების დონის (სამამულო ფასების ერთეულებში) შეფარდების ტოლია. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის თანახმად, ორი ქვეყნის ვალუტებს შორის ნომინალური სავალუტო კურსი ამ ქვეყნების ფასების დონეებს შორის სხვაობას უნდა ასახავდეს.

ამ თეორიის ძირითადი შედეგი ისაა, რომ ნომინალური სავალუტო კურსები ფასების დონეების ცვლილებასთან ერთად იცვლება. როგორც წინა თავში ვნახეთ, ნებისმიერ ქვეყანაში ფასების დონე ფულის მიწოდების რაოდენობისა და ფულზე მოთხოვნის რაოდენობის სრულ განონანსორებამდე თვითრეგულირდება. რადგან ნომინალური სავალუტო კურსი ფასების დონეზეა დამოკიდებული, ამიტომ ის დამოკიდებულია თითოეულ ქვეყანაში ფულის მიწოდებასა და მოთხოვნაზეც. როდესაც რომელიმე ქვეყნის ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას ზრდის, რითაც ფასების დონის ზრდას იწვევს, ამ ქვეყნის ვალუტის ღირებულება მსოფლიოს სხვა ვალუტებთან შედარებით მცირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის დიდ რაოდენობას ბეჭდავს, ამ ფულით არა მხოლოდ ნაკლები სამამულო საქონლისა და მომსახურების შექმნა შეიძლება, არამედ მას უკვე ნაკლები უცხოური ვალუტის ყიდვა ძალუძს.

ახლა კი შეგვიძლია პასუხი გავცეთ კითხვაზე, რომელიც ამ ქვეთავის დასაწყისში დავსვით: რატომ შემცირდა აშშ დოლარის ღირებულება გერმანულ მარკასთან შედარებით და გაიზარდა იტალიურ ლირასთან შედარებით? იმიტომ, რომ ამ პერიოდში გერმანიის მონეტარული პოლიტიკა ნაკლებად ინფლაციური იყო, ვიდრე შეერთებული შტატებისა, ხოლო იტალიის მონეტარული პოლიტიკა – მეტად ინფლაციური. 1970-დან



1995 წლამდე ინფლაცია შეერთებულ შტატებში წელიწადში 5,6 პროცენტს შეადგენდა, გერმანიაში ინფლაცია 3,7 პროცენტი იყო, ხოლო იტალიაში – 10,5 პროცენტი. რადგან შეერთებულ შტატებში ფასები გერმანულ ფასებთან შედარებით გაიზარდა, დოლარის ღირებულება მარკის ღირებულებასთან მიმართებაში შემცირდა. ხოლო, ვინაიდან შეერთებულ შტატებში ფასები იტალიურ ფასებთან შედარებით შემცირდა, დოლარის ღირებულება ლირის ღირებულებასთან მიმართებაში გაიზარდა.

გერმანიასა და იტალიას ახლა საერთო ვალუტა — ევრო აქვთ. ეს ნიშნავს, რომ ორივე ქვეყანა ერთ მონეტარულ პოლიტიკას ექვემდებარება და მათი ინფლაციის დონეებიც მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. მაგრამ ლირისა და მარკის ისტორიული გაკვეთილები ევროსაც შეეხება. ის, თუ რამდენ ევროს იყიდის აშშ 20 წლის შემდეგ, უფრო მეტს თუ ნაკლებს, დამოკიდებულია იმაზე, ევროპის ცენტრალური ბანკი ევროპაში ინფლაციის ნაკლებ თუ მეტ დონეს შეინარჩუნებს აშშ-თან შედარებით.

## მაგალითი | ნომინალური სავალუტო კურსი ჰიპერინფლაციის დროს

მაკროეკონომისტებს მართვადი ექსპერიმენტების განხორციელება არ შეუძლიათ. ამის ნაცვლად ისინი იძულებულნი არიან, ისტორიაში ეძებონ ბუნებრივი ექსპერიმენტების მაგალითები. ერთ-ერთი ბუნებრივი ექსპერიმენტია ჰიპერინფლაცია – მაღალი ინფლაცია რომელიც მაშინ ჩნდება, როდესაც მთავრობა ფულის საბეჭდი დაზგის ჩართვას გადანყვეტს თავისი დიდი ხარჯების დასაფარავად. ვინაიდან ჰიპერინფლაცია უკიდურესი შემთხვევაა ის ნათლად ასახავს ზოგიერთ ძირითად ეკონომიკურ პრინციპს.

განვიხილოთ 1920-იანი წლების პირველი ნახევრის გერმანიის ჰიპერინფლაცია. მე-3 ნახაზზე ნაჩვენებია ფულის მიწოდება, ფასების დონე და ნომინალური სავალუტო კურსი (აშშ ცენტები ერთ გერმანულ მარკაზე) გერმანიაში ამ პერიოდისთვის. უნდა აღინიშნოს რომ ეს ცვლადები ერთნაირად იცვლება. როდესაც ფულის მიწოდება სწრაფად ზრდას იწყებს, ფასების დონეც იმატებს, გერმანული მარკის ღირებულება კი მცირდება. როდესაც ფულის მიწოდება სტაბილური ხდება, ასეთივე მდგრადობით ხასიათდება ფასების დონეც და სავალუტო კურსიც.

ცვლილებები, რომელთაც ნახაზზე ვხედავთ, ყველა ჰიპერინფლაციას ახასიათებს. უდავოა, რომ ფულს, ფასებსა და ნომინალურ სავალუტო კურსს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. წინა თავში განხილული ფულის რაოდენობრივი თეორია გვიხსნის, როგორ მოქმედებს ფულის მიწოდება ფასების დონეზე.

აქ განხილული მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია კი იმას გვიხსნის, თუ როგორ მოქმედებს ფასების დონე ნომინალურ სავალუტო კურსზე. •

## მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის ნაკლოვანებები

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი იმის მარტივ მოდელს გვაძლევს, თუ როგორ განისაზღვრება სავალუტო კურსი. მრავალი ეკონომიკური მოვლენის გაგებისთვის ეს თეორია საკმაოდ კარგია. კერძოდ, ამ თეორიით აიხსნება გრძელვადიანი პერიოდის მრავალი ტენდენცია, როგორიცაა აშშ დოლარის ღირებულების შემცირება გერმანული მარკის ღირებულებასთან შედარებით და აშშ დოლარის ღირებულების ზრდა იტალიური ლირის ღირებულებასთან მიმართებაში. ამ თეორიით კარგად აიხსნება აგრეთვე ის დიდი ცვლილებები რომელთაც ჰიპერინფლაციების დროს ვხვდებით.

მაგრამ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია იდეალურად ზუსტი არ არის სავალუტო კურსების ცვლილება ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ დოლარის რეალური ღირებულება ყველა ქვეყანაში ერთნაირი იყოს. არსებობს იმის ორი მიზეზი თუ რატომ არ მართლდება მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია ყოველთვის პრაქტიკულად.

პირველი მიზეზი ისაა, რომ მრავალი სახის საქონელი ერთმანეთში ადვილად არ იცვლება. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ვარცხნილობა პარიზში უფრო ძვირია, ვიდრე

ნიუ-იორკში. ზოგიერთი მოგზაური, ალბათ, თავს აარიდებს პარიზში ვარცხნილობის გაკეთებას და ზოგიერთი ნიუ-იორკელი პარიკმახერი პარიზში გადავა სამუშაოდ. მაგრამ მათი ასეთი ქცევა, რომელსაც ერთგვარი არბიტრაჟული ოპერაცია შეიძლება ვუწოდოთ, შეზღუდული იქნება და ვერ აღმოფხვრის ფასებს შორის განსხვავებას. ამის გამო გადაზრა მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან მაინც იარსებებს და დოლარით (ან ფრანკით) პარიზში ვარცხნილობაში უფრო მეტს გადავიხდით, ვიდრე ნიუ-იორკში.


მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის ცხოვრებისეული სინამდვილიდან მოშორების მეორე მიზეზი ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული ორი სახის საქონელი, რომელთა ერთმანეთში გაცვლაც შესაძლებელია, ყოველთვის სრულყოფილი შემცვლელები არ არის. მაგალითად, ზოგ მომხმარებელს გერმანული ლუდი ურჩევნია, ზოგს კი - ამერიკული. ამასთან, დროთა განმავლობაში მომხმარებლების გემოვნება ლუდთან დაკავშირებით იცვლება. თუ გერმანული ლუდი უცებ უფრო პოპულარული გახდა, მოთხოვნის გაზრდა გერმანული ლუდის ფასის მკვეთრ გაზრდას გამოიწვევს. ამის შედეგად დოლარს (ან მარკას) ამერიკაში უფრო მეტი ლუდის ყიდვა შეეძლება, ვიდრე გერმანიაში. მაგრამ ამ ორ ბაზარზე არსებული ფასების განსხვავების მიუხედავად, არ იარსებებს მომგებიანი არბიტრაჟის შესაძლებლობა, რადგან მომხმარებლებს ეს ორი ლუდი ეკვივალენტურად არ მიაჩნიათ.

ამგვარად, იმის გამო, რომ ზოგი საქონელი ერთმანეთში არ იცვლება, ხოლო ზოგი საქონელი მაშინაც კი, როდესაც იცვლება, სრულყოფილი შემცვლელი არ არის, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია სრულყოფილად ვერ განსაზღვრავს სავალუტო კურსებს. ამ მიზეზების გამო რეალური სავალუტო კურსები დროდადრო იცვლება. მიუხედავად ამისა, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია პირველი ნაბიჯია სავალუტო კურსების უკეთესი გაგებისკენ. ამ თეორიის ძირითადი ლოგიკა დამაჯერებელია: როცა რეალური სავალუტო კურსი

ნახაზზე ნაჩვენებია ფულის მიწოდება, ფასების დონე და სავალუტო კურსი (აშშ ცენტები ერთ გერმანულ მარკაზე) გერმანიის შიპერინფლაციის დროს 1921 წლის იანვრიდან 1924 წლის დეკემბრამდე. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ეს ცვლადები ერთმანეთის მსგავსად იცვლება. როდესაც ფულის რაოდენობა სწრაფ ზრდას იწყებს, მას ფასების დონეც მიჰყვება, მარკის ღირებულება კი დოლარის ღირებულებასთან შედარებით მცირდება. როდესაც გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა ფულის მიწოდების სტაბილიზება მოახერხა, ფასების დონეცა და სავალუტო კურსიც სტაბილური გახდა.

ნ ა ხ ა ზ ი 3

**ფული, ფასები და ნომინალური სავალუტო კურსი გერმანიის შიპერინფლაციის დროს**





## სტარბაქსის ინდექსი

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის ახლებური გამოყენება სავალუტო ბაზრებზეც აღწევს.

### ბურბარაბი თუ ლოზიოს მარცვლეზი?

სტარბაქსის პირველი კაფე პარიზში 16 იანვარს უნდა გახსნილიყო. გაბედული ნაბიჯია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პარიზი კაფეების სამშობლოა. ფრანგული პრესის ზოგიერთ წარმომადგენელს პირიდან დუჟი მოსდის, როდესაც ესმის, რომ ამერიკელებსაც შეუძლიათ ყავის მოდულება. ყან პოლ სარტრს ალბათ მუყაოს ჭიქიდან ყავის ხვრეპისას ის მუზა არ ეწვეოდა, რომელიც მას ლე დიუ მაგოტში შავი ყავის სმისას ესტუმრაო, ქირქილებენ ისინი. მიუხედავად ამისა, ყურნალმა „ეკონომისტმა“ ერთი ასეთი შეკითხვა დასვა: რა შეუძლია გვითხრას სტარბაქსის ყავის (რომელიც ამჟამად 32 ქვეყანაში იყიდება) ფასმა ვალუტის კურსების შესახებ? მკითხველს, შეიძლება, გაახსენდეს „ეკონომისტის“ ბიგმაკის ინდექსი, რომელიც მსოფლიოში ჰამბურგერის ფა-

სების შედარებით ადგენს, რამდენად „სწორია“ უცხოური ვალუტების კურსი დოლართან მიმართებაში. ევროსთან მიმართებაში დოლარის ცოტა ხნის წინანდელი გამყარებისა და ჩინეთის მიერ თავისი ვალუტის ხელოვნურად დაბალი კურსის შენარჩუნების გათვალისწინებით, შეუძლებელია სტარბაქსის ინდექსისათვის თავის არიდება. გვაძლევს თუ არა იგი იმავე შედეგებს, რასაც ბიგმაკის ინდექსი? ორივე მათგანი დაფუძნებულია მსყიდველობითი უნარის პარიტეტზე (მუპ). ეს ნიშნავს, რომ გრძელვადიან პერიოდში ვალუტის კურსები იმ დონისაკენ მიისწრაფვის, როდესაც სამომხმარებლო კალათის ღირებულება სხვადასხვა ქვეყანაში თანაბარია, ანუ დოლარის მსყიდველობითი უნარი ყველგან ერთნაირია. შემთხვევითია, მაგრამ ფაქტია, რომ სტარბაქსის საშუალო ფასი ამერიკაში იგივეა, რაც ბიგმაკის, ანუ 2,8 დოლარი. ყავის ყოველი ქვეყნის ადგილობრივ ვა-

ლუტაში გამოხატული ფასის დოლარის ფასზე გაყოფით ჩვენ შეგვიძლია გამოვთვალოთ დოლარის მსყიდველობითი უნარის პარიტეტი. ვალუტის არსებულ გაცვლის კურსებთან მისი შედარებით შევძლებთ გავარკვიოთ, რეალურია თუ არა ვალუტის კურსი. მთავარი ვალუტების უმეტესობისათვის ჩვენი სტარბაქსის ინდექსი იმავე შედეგებს გვიჩვენებს, რასაც ბიგმაკის ინდექსი. უსიამოვნებები განსაკუთრებით ბევრია ევროპაში: ევრო (შეფარდებით 2,93 ევრო — 3,70 დოლარი იმ წვეყნებში, სადაც სტარბაქსი მუშაობს) და ახლოებით 30%-ის გადაჭარბებით არის შეფასებული დოლართან მიმართებაში. ფუნტი სტერლინგი — 17%-ით. ორივე საზომით მსოფლიოს ყველაზე ჭარბად შეფასებული ვალუტა შვეიცარიული ფრანკია. კანადური, ავსტრალიური და ახალზელანდიური დოლარები კი, პირიქით, მცირე ხნის წინანდელი ნახტომის მიუხედავად, ნაკლებადაა შეფასებული.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ნაწინასწარმეტყველები დონიდან გადაიხრება, ადამიანებს სხვა ქვეყნებში საქონლის გადატანის უფრო მეტი სტიმიული უჩნდებათ. მაშინაც კი, როდესაც მსყიდველობითი უნარის მექანიზმს რეალური სავალუტო კურსები ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაში ვერ მოჰყავს, ის იმის მოლოდინის საფუძველს მანაც გვაძლევს, რომ რეალური სავალუტო კურსების ცვლილებები მწირი და ხანმოკლე იქნება. ამდენად, ნომინალური სავალუტო კურსების დიდი და ხანგრძლივი ცვლილებები, როგორც წესი, ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ ფასების დონის ცვლილებების ამსახველია.

## მაგალითი | ჰამბურგერის სტანდარტი

როდესაც ეკონომისტები სავალუტო კურსების ასახსნელად მსყიდველობითი უნარის პარიტეტს მიმართავენ, მათ სჭირდებათ მონაცემები სხვადასხვა ქვეყნების სამომხმარებლო კალათის შესახებ. ამგვარი ანალიზის ერთ-ერთი სახეობაა საერთაშორისო ყურნალ „ეკონომისტის“ მეთოდი, რომელსაც ბიგმაკის ინდექსი ეწოდება. ყურნალი დროდადრო აგროვებს მონაცემებს სამომხმარებლო კალათის შესახებ, რომელიც შეიცავს „ხორცს, ფუნთუშას, სპეციალურ სოუსს, სალათს, ყველს, ხახვს, მწნილს და ქუნჯუთის (სეზამის, რედ.) მარცვლებს“. ეს კალათი იმ პროდუქტების ჩამონათვალია, რომლებიც ბიგმაკში გამოიყენება.

სამაგიეროდ აზიაში ამ ორი მაჩვენებლის შედეგები განსხვავებულია. ბიგმაკის ინდექსის მიხედვით, იენა 12%-ით ნაკლებად არის შეფასებული დოლართან მიმართებაში, სტარბაქსის ინდექსის მიხედვით კი, პირიქით – 13%-ით ჭარბად.

კიდევ უფრო საკვირველი შედეგი აჩვენა ჩინურმა იუანმა: ბიგმაკის მიხედვით 56%-ით ნაკლებადაა დოლარის მიმართ შეფასებული, სტარბაქსის მიხედვით კი დოლარის ფასს ემთხვევა. თუ ეს სიმართლეა, ამერიკელ მწარმოებლებს იუანის

შესახებ უკმაყოფილების გამოთქმის საფუძველი არ ჰქონიათ. ფასწარმოქმნის განსხვავებები, შეიძლება, უბრალოდ ამ ორი საქონლის ბაზარზე არსებული კონკურენციის შედეგი იყოს.

ბევრი მკითხველი, შეიძლება, ვერ ჩასწვდეს ბურგერნომიკასა და ყავანომიკას. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის განსაზღვრისათვის, ალბათ, არც ერთი მათგანი არ არის სრულყოფილი, რადგან ისინი დამახინჯებულია ვაჭრობასთან არაპირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით, როგორცაა, მაგალითად, იჯარის გადასახადი. თუმცა ეს სავალუტო კურსების შესწავლის აშკარად უფრო სახალისო მეთოდია, ვიდრე სახელმძღვანელოები [ავტორის შენიშვნა: რა თქმა უნდა, ამ სახელმძღვანელოს გამოკლებით].

მკითხველმა შეიძლება იკითხოს, რატომ მაინცდამაინც ბურგერი და ყავა და დაუშვათ იგივე ყურნალ „ეკონომისტის“ ფასი? იმიტომ, რომ ეს ყურნალი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არ გამოდის და მისი გავრცელება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც ბურგერები და ყავა უფრო შესაფერისია მონაცემების შესაგროვებლად.

**მინიშნებები:**

ადგილობრივი ვალუტის შეფასება დოლართან მიმართებაში, ნაკლები (-) და ჭარბი (+) შეფასებები პროცენტებში

	სტარბაქსის ინდექსი	ბიგმაკის ინდექსი
ავსტრალია	-4	-17
ბრიტანეთი	17	23
კანადა	-16	-16
ჩინეთი	-1	-56
ევროპის ქვეყნები	33	24
ჰონკონგი	15	-45
იაპონია	13	-12
მექსიკა	-25	-53
მალაიზია	-15	-21
ახალი ზელანდია	-12	-4
სინგაპური	2	-31
სამხრეთ კორეა	6	0
შვეიცარია	62	82
ტაივანი	-5	-21
ტაილანდი	-31	-46
თურქეთი	6	5

წყარო: „ეკონომისტი“


წყარო: „ეკონომისტი“, 2004 წ. 15 იანვარი

მაკდონალდსის ერთ-ერთ პროდუქტში, მთელ მსოფლიოში რომ იყიდება.

როცა ერთმანეთს ორ ქვეყანაში არსებულ და დოლარებში გამოხატულ ბიგმაკის ფასებს შევადარებთ, მსყიდველობითი უნარის პარიტეტზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვთვალოთ ადგილობრივი ვალუტების საპროგნოზო კურსები. საპროგნოზო კურსი ორი ქვეყნის ბიგმაკის ფასებს ერთმანეთს უთანაბრებს. მაგალითად, თუ აშშ-ში ბიგმაკი \$3 ღირს, ხოლო იაპონიაში – 300 იენა, მაშინ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიით, ამ ორი ვალუტის გაცვლის კურსი უნდა იყოს ასი იენა ერთ დოლარზე.

რამდენად ზუსტია ეს თეორია? ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მონაცემები 2005 წლის ივნისისათვის, როდესაც ბიგმაკის ფასი აშშ-ში \$3,06 იყო.

ქვეყანა	ბიგმაკის ფასი	კურსის პროგნოზი	რეალური კურსი
სამხრეთ კორეა	2500 ვონი	817 ვონი/დოლარი	1,004 ვონი/დოლარი
იაპონია	250 იენა	82 იენა/დოლარი	107 იენა/დოლარი
შვედეთი	31 კრონა	10,1 კრონა/დოლარი	7,4 კრონა/დოლარი
მექსიკა	28 პესო	9,2 პესო/დოლარი	10,8 პესო/დოლარი
ევროპის ქვეყნები	3,21 ევრო	1,05 ევრო/დოლარი	0,9 ევრო/დოლარი
ბრიტანეთი	1,88 ფუნტი	0,61 ფუნტი/დოლარი	0,55 ფუნტი/დოლარი



აშშ-ში ბიგმაკის ფასია \$3,06, ხოლო იაპონიაში – 250 იენა.

© SUSAN VAN ETTEN

როგორც ხედავთ, საპროგნოზო კურსები რეალურისაგან განსხვავებულია. ბიგმაკის საერთაშორისო მსაჯულად გამოყვანა არც ისე იოლია. თუმცა ორივე კურსი საკმაოდ ახლოდგას ერთმანეთთან. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი სავალუტო კურსების ზუსტი თეორია არ არის, მაგრამ მას ხშირად საყურადღებო ინფორმაციის მონოდება შეუძლია. •

### სწრაფი

**ბაზოკითხვა:** უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ესპანეთში მაღალი ინფლაცია იყო, იაპონიაში კი – დაბალი. თქვენი პროგნოზით, როგორ შეიცვლებოდა იაპონურ ენებში ნაყიდი ესპანური პესეტის ის რაოდენობა, რომლის ყიდვაც ადამიანს შეუძლია

## დასკვნა

ამ თავში ჩვენი მიზანი იყო რამდენიმე ძირითადი ცნების გაცნობა, რომელთაც მაკროეკონომისტიები ღია ეკონომიკის შენაგლისას იყენებენ. ახლა უკვე იცით, რატომ უნდა იყო ქვეყნის წმინდა ექსპორტი კაპიტალის წმინდა გადინების ტოლი და რატომ უნდა იყო ეროვნული დანაზოგი სამამულო ინვესტიციებისა და კაპიტალის წმინდა გადინების ჯამის ტოლი. ამას გარდა, უკვე იცით ნომინალური და რეალური სავალუტო კურსების არსი სავალუტო კურსების განმსაზღვრელი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის შედეგები და შეზღუდვები.

აქ განმარტებული მაკროეკონომიკური ცვლადები ღია ეკონომიკის გარე სამყაროსთან ურთიერთქმედების ანალიზის საწყისი წერტილია. მომდევნო თავში ისეთ მოდელს ჩამოვყალიბებთ, რომლითაც აიხსნება, რა განსაზღვრავს ამ ცვლადებს. ამის შემდეგ შეგვეძლებ ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა მოვლენა და პოლიტიკა ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე და იმ პროპორციებზე, რომლითაც ქვეყანას თავისი საქონლი უცხოურ პროდუქციაზე გაცვლა შეუძლია.

## შეჯამება

- წმინდა ექსპორტი არის უცხოეთში გაყიდული სამამულო საქონლისა და მომსახურების ღირებულებისა და ქვეყანაში გაყიდული უცხოური საქონლისა და მომსახურების ღირებულების სხვაობა. კაპიტალის წმინდა გადინება არის ქვეყნის მოქალაქეების მიერ შექმნილი უცხოური აქტივებისა და უცხოელთა მიერ შექმნილი სამამულო აქტივების სხვაობა. რადგან თითოეული საერთაშორისო გარიგება გულისხმობს აქტივის გაცვლას საქონელსა თუ მომსახურებაში, ეკონომიკის კაპიტალის წმინდა გადინება ყოველთვის მისი წმინდა ექსპორტის ტოლია.
- ეკონომიკაში დანაზოგით ხდება ან ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება, ან უცხოეთში აქტივების შექმნა. ამგვარად, ეროვნული დანაზოგი სამამულო ინვესტიციებისა და კაპიტალის წმინდა გადინების ჯამის ტოლია.
- ნომინალური სავალუტო კურსი ორი ქვეყნის ვალუტის ფარდობითი ფასია, ხოლო რეალური სავალუტო კურსი – ორი ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ფარდობითი ფასი. როდესაც ნომი-

ნალური სავალუტო კურსი ისე იცვლება, რომ ერთ დოლარს მეტი უცხოური ვალუტის ყიდვა შეუძლია ამბობენ, რომ დოლარის ღირებულება გაიზარდა ან დოლარი გაძლიერდა. როდესაც ნომინალური სავალუტო კურსი ისე იცვლება, რომ ერთ დოლარს ნაკლები უცხოური ვალუტის ყიდვა შეუძლია ამბობენ, რომ დოლარის ღირებულება შემცირდა ან დოლარი დასუსტდა.

- მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის თანახმად, ერთ დოლარს (ან ნებისმიერი სხვა ვალუტის ერთეულს) ყველა ქვეყანაში საქონლის ერთი და იმავე რაოდენობის ყიდვა უნდა შეეძლოს ამ თეორიიდან გამომდინარეობს, რომ ორი ქვეყნის ვალუტის ნომინალური სავალუტო კურსები ამ ორი ქვეყანაში არსებული ფასების დონეს ასახავს. ამის შედეგად იმ ქვეყნების ვალუტის ღირებულება რომლებშიც ინფლაცია შედარებით მაღალია მცირდება, ხოლო იმ ქვეყნების ვალუტის ღირებულება, რომლებშიც ინფლაცია შედარებით დაბალია იზრდება.

## პირითაღი ცნობები

ჩაკეტილი ეკონომიკა, გვ. 657  
ღია ეკონომიკა, გვ. 658  
ექსპორტი, გვ. 658  
იმპორტი, გვ. 658  
წმინდა ექსპორტი, გვ. 658  
სავაჭრო ბალანსი, გვ. 658

სავაჭრო უპირატესობა, გვ. 659  
სავაჭრო დეფიციტი, გვ. 660  
დაბალანსებული ვაჭრობა, გვ. 660  
კაპიტალის წმინდა გადინება, გვ. 660  
ნომინალური სავალუტო კურსი, გვ. 667  
ღირებულების ზრდა, გვ. 667

ღირებულების შემცირება, გვ. 667  
რეალური სავალუტო კურსი, გვ. 668  
მსყიდველობითი უნარის  
პარიტეტი, გვ. 670

## კითხვები გაერთიანებისთვის

1. განმარტეთ წმინდა ექსპორტი და კაპიტალის წმინდა გადინება. ახსენით, როგორ და რატომ არის ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული.
2. ახსენით კავშირი დანაზოგებს, ინვესტიციებსა და კაპიტალის წმინდა გადინებას შორის.
3. თუ იაპონური ავტომობილი 500,000 იენა ღირს, ასეთივე ტიპის ამერიკული ავტომობილი – \$10,000 და

ერთ დოლარს 100 იენის ყიდვა შეუძლია, როგორია ნომინალური და რეალური სავალუტო კურსები?  
4. აღწერეთ ეკონომიკური ლოგიკა, რომელსაც მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია ემყარება.  
5. თუ ფედერალური სარეზერვო სისტემა აშშ დოლარების დიდი რაოდენობის ბეჭდვას იწყებს, როგორ შეიცვლება იაპონური იენების რაოდენობა, რომლის ყიდვაც ერთ დოლარს შეუძლია?

## სამართალი

1. როგორ იმოქმედებს ქვემოთ ჩამოთვლილი გარიგებები აშშ-ს ექსპორტზე, იმპორტსა და წმინდა ექსპორტზე?
  - ა) ხელოვნებათმცოდნეობის ამერიკელი პროფესორი ზაფხულს ევროპული მიუზიუმების თვალჩინებაში ატარებს;
  - ბ) პარიზელი სტუდენტები ერთად მიდიან პოლივუდის უკანასკნელი ფილმის სანახადად;
  - გ) ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტური წიგნების მაღაზია „ლევინ 501“ მარკის ჯინსის ერთ შარვალს ყიდის;
  - დ) ბიძატყვენი ახალ „ვოლვოს“ ყიდულობს;
  - ე) კანადის მოქალაქე საქონელს ჩრდილო ვერმონტში ყიდულობს, რათა თავი აარიდოს კანადაში არსებულ გაყიდვის გადასახადებს.
2. წმინდა ექსპორტში აისახება ჩამოთვლილი გარიგებები თუ წმინდა კაპიტალის გადინებაში? განსაზღვრეთ, ამ ცვლადების შემცირებას ასახავს ისინი თუ ზრდას?
  - ა) ამერიკელი ყიდულობს „სონის“ ტელევიზორს;
  - ბ) ამერიკელი ყიდულობს „სონის“ აქციებს;
  - გ) „სონის“ საპენსიო ფონდი ყიდულობს აშშ-ს სახაზინო ობლიგაციას;
  - დ) „სონის“ თანამშრომელი ყიდულობს ჯორჯიის ატამს ამერიკელი ფერმერისაგან.
3. დაასახელეთ მიზეზები, რომელთა გამოც ქვემოთ ჩამოთვლილი საქონელი დღეს უფრო მეტად მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში, ვიდრე წარსულში:
  - ა) ხორბალი;
  - ბ) საბანკო მომსახურება;

გ) კომპიუტერული პროგრამები;  
დ) ავტომობილები.  
4. რა განსხვავებაა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საპორტფელს უცხოურ ინვესტიციებს შორის? რომელი უფრო შეიძლება ჩაერთოს პირდაპირ უცხოურ ინვესტირებაში: კორპორაცია თუ კერძო პირი? რომელი უფრო შეიძლება ჩაერთოს საპორტფელს უცხოურ ინვესტირებაში: კორპორაცია თუ კერძო პირი?  
5. როგორ იმოქმედებს ქვემოთ ჩამოთვლილი გარიგებები აშშ-ს კაპიტალის წმინდა გადინებაზე? პირდაპირი ინვესტიცია მონაწილეობს ამ შემთხვევებში თუ პორტფელური ინვესტიცია?

- ა) ფიჭური სატელეფონო კავშირის ამერიკული კომპანია თავის ოფისს ხსნის ჩეხეთის რესპუბლიკაში;
- ბ) ლონდონის „ჰაროდი“ თავის აქციებს „ჯენერალ ელექტრიკის“ საპენსიო ფონდს მიჰყიდის;
- გ) „ჰონდა“ აფართოებს თავის ქარხანას მერის-ვილში, ოჰაიოს შტატში;
- დ) ურთიერთფონდი „ფიდელითი“ „ფოლკსვაგენის“ აქციებს ფრანგ ინვესტორს მიჰყიდის.

- 6. თუ ეროვნული დანაზოგი არ იცვლება, რა მოსდის სამამულო კაპიტალის მარაგს კაპიტალის წმინდა გადინების ზრდის შედეგად – იზრდება, მცირდება თუ უცვლელი რჩება?
- 7. თითქმის ყველა დიდი გაზეთის ბიზნესგანყოფილება შეიცავს ცხრილს, სადაც აშშ-ს სავალუტო კურსია ნაჩვენები. ერთ-ერთი ასეთი ცხრილის დახმარებით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- ა) ნომინალური სავალუტო კურსია ამ ცხრილში ნაჩვენები თუ რეალური სავალუტო კურსი? ახსენით.
- ბ) როგორია სავალუტო კურსი შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის? შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის? გამოითვალეთ სავალუტო კურსი კანადასა და იაპონიას შორის.
- გ) თუ მომავალ წელს ინფლაცია შეერთებულ შტატებში უფრო მაღალი იქნება, ვიდრე იაპონიაში, დოლარის ღირებულების ზრდას უნდა მოველოდეთ თუ შემცირებას იაპონურ იენტან შედარებით?
8. კმაყოფილი იქნებიან თუ უკმაყოფილო ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები აშშ დოლარის ღირებულების ზრდის შედეგად? ახსენით.
- ა) ჰოლანდიური საპენსიო ფონდი, რომელიც აშშ-ს სამთავრობო ობლიგაციებს ფლობს;
- ბ) აშშ-ს მრეწველობის დარგები;
- გ) ავსტრალიელი ტურისტები, რომლებიც შეერთებულ შტატებში გამგზავრებას გეგმავენ;
- დ) ამერიკული ფირმა, რომელიც უცხოური საკუთრების შეძენას ცდილობს.
9. როგორ შეიცვლება აშშ-ს რეალური სავალუტო კურსი ქვემოთ ჩამოთვლილ სიტუაციებში? ახსენით.
- ა) აშშ-ს ნომინალური სავალუტო კურსი უცვლელია, მაგრამ ფასები შეერთებულ შტატებში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე უცხოეთში;
- ბ) აშშ-ს ნომინალური სავალუტო კურსი უცვლელია, მაგრამ ფასები უცხოეთში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შეერთებულ შტატებში;
- გ) აშშ-ს ნომინალური სავალუტო კურსი მცირდება, ხოლო ფასები შეერთებულ შტატებშიც და უცხოეთშიც უცვლელია;
- დ) აშშ-ს ნომინალური სავალუტო კურსი მცირდება, ფასები კი უცხოეთში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შეერთებულ შტატებში.
10. ქილა სოდა აშშ-ში \$0,75 ღირს, მექსიკაში კი - 12 პესო. როგორი იქნება პესო/დოლარის კურსი, თუ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შენარჩუნებულია? თუ მონეტარული პოლიტიკის შედეგად მექსიკის ფულის მასა გაორმაგდება და სოდის ფასი 24 პესომდე აიწევს, როგორ შეიცვლება მისი კურსი დოლართან მიმართებაში?

11. ვთქვათ, ერთი ბუშელი ამერიკული ბრინჯი \$10 ღირს, იაპონური ბრინჯი კი - 16,000 იენა, ხოლო ნომინალური სავალუტო კურსია 80 იენა ერთ დოლარში.
- ა) რა მოგების მიღება შეგიძლიათ ამ სიტუაციიდან როგორი იქნება თქვენი მოგება ერთი ბუშელ ბრინჯიდან? თუ ამ შესაძლებლობას სხვები იყენებენ, რა მოუვა ბრინჯის ფასებს იაპონიასა და შეერთებულ შტატებში?
- ბ) დაფუძვალეთ, ბრინჯი ერთადერთი საქონელია მსოფლიოში. რა მოუვა რეალურ სავალუტო კურსს შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის?

12. ამ თავში მოყვანილ მაგალითში ბიგმაკის ფასები მუშავებით გავაანალიზებთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი რამდენიმე ქვეყნისათვის. ქვემოთ მოყვანილია მონაცემები კიდევ რამდენიმე ქვეყნისათვის:

ქვეყანა	ბიგმაკის ფასი	კურსის პროგნოზი	რეალური კურსი
ინდონეზია	14,600 რუპია	რუპია / \$	9541 რუპია / \$
უნგრეთი	529 ფორინტი	ფორინტი / \$	204 ფორინტი / \$
ჩეხეთი	56,3 კრონი	კრონი / \$	24,5 კრონი / \$
კანადა	3,27 კანადური დოლარი	კანადური დოლარი / \$	1,24 კანადური დოლარი / \$

- ა) ყოველი ქვეყნისათვის გამოთვალეთ ადგილობრივი ვალუტის საპროგნოზო კურსი დოლართან მიმართებაში (გაიხსენეთ, რომ ბიგმაკის ამერიკული ფასი \$3,06-ია).
- ბ) მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის მიხედვით, როგორი იქნება ფორინტისა და კანადური დოლარის საპროგნოზო კურსი ერთმანეთთან მიმართებაში? რეალური კურსი?
- გ) რამდენად კარგად ხსნის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია სავალუტო კურსებს?



ამ თავში მოცემული საკითხების, ამოცანების, მაგალითების, სწრაფი გამოკითხვისა და ა.შ. შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის ესტუმრეთ ვებ-გვერდს <http://mankiw.swlearning.com>.

# თემა 11. ფინანსური კრიზისი და სახელმწიფო ვალი

## შესავალი

მოცემული თავი ეძღვნება ფინანსური კრიზისების თეორიების დეტალურად განხილვას. ფინანსური ბაზრის დერეგულაციამ, რომელიც 1970-იანი წლებიდან დაიწყო, გამოიწვია ფინანსური ინსტიტუტების რაოდენობისა და მათ შორის კონკურენციის მნიშვნელოვანია ზრდა. პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა XXI საუკუნის დასაწყისში აშშ-ს საბინაო ბაზარზე. მილიონობით ადამიანს მიეცა სესხის აღების საშუალება არა მხოლოდ სახლების, არამედ სხვა სამომხმარებლო საქონლის შესაძენდაც. ეს მოხდა შედარებით ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს ფონზე, სადაც წლების განმავლობაში უმუშევრობა შემცირდა, რამდენიმე ქვეყანაში წლების მანძილზე ეკონომიკური ზრდა პოზიტიური და სტაბილური იყო. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ინფლაციის დონემ მნიშვნელოვნად იკლო 1970-1980-იან წლებთან შედარებით. ინფლაციის კონტროლის მექანიზმი გადაეწყო ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ასეთ წარმატებულ პერიოდს განიხილავენ, როგორც „დიდი ზომიერება“<sup>1</sup> (“The Great Moderation”).

## ორი ურთიერთდაკავშირებული ციკლი

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ჰაიმან მინსკის<sup>2</sup> ვარაუდით, მომავალი არასტაბილურობის თესლი შეიძლება დაითესოს ხელსაყრელ ეკონომიკურ პირობებში. ფინანსური კრიზისის გასაანალიზებლად საჭიროა განვასხვავოთ ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ცნება - ბიზნესციკლი და ფინანსური ციკლი. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რამდენად უგულებელყო DSGE (Dynamic stochastic general equilibrium - დინამიური სტოქასტური ზოგადი წონასწორობა) მოდელებმა ფინანსური სექტორი. ეს გამოიწვია იმის დაშვებამ, რომ თითქოს ფინანსური სექტორი ნაყოფიერად რეალურ ეკონომიკაზე მოკვების გავლენის მიუხედავად, წარმატებით გააგრძელებდა ფუნქციონირებას.

<sup>1</sup> დიდი ზომიერება - ასე ჰქვია მაკროეკონომიკური სტაბილურობის პერიოდს შეერთებულ შტატებში 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან 2007 წლის ფინანსურ კრიზისამდე.

<sup>2</sup> ჰაიმან მინსკი (1927-1999) - ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტი, პოსტკეინზიანური თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.



რეალური ეკონომიკა დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, ხოლო ფინანსური ეკონომიკა არის ეკონომიკის ის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფინანსურ ბაზრებზე აქტივების ყიდვა-გაყიდვას.

ფინანსური ეკონომიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „საპოზი“ რეალური ეკონომიკისთვის, თუმცა აქტივების გაცვლა თავისთავად არ იწვევს რაიმეს წარმოებას. ფინანსური ბაზრების დერეგულაციის შედეგად ფინანსური ინოვაციების წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტი იმდენად გართულდა, რომ ნაკლებად ექვემდებარებოდა რეგულაციას შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან. ეს დაკავშირებული იყო ფინანსური ინსტრუმენტის- დერივატივების წარმოშობასთან. დერივატივები წარმოადგენს მეორად, ანუ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის ღირებულებასაც პირველადი ფინანსური ინსტრუმენტების (აქციები, ობლიგაციები, საინვესტიციო სერტიფიკატები და ა.შ.) ღირებულება განსაზღვრავს.

2009 წლის აგვისტოში, დიდი ბრიტანეთის მარეგულირებლის - ფინანსური მომსახურების ორგანოს (FSA) ხელმძღვანელმა ლორდ ტერნერმა ზოგიერთი ასეთი ინსტრუმენტი მოიხსენია, როგორც „სოციალურად უსარგებლო.“

ეკონომიკა მოიცავს ფინანსურ და ბიზნესის ციკლებს. მნიშვნელოვანია არ მოხდეს ამ ციკლების დამთხვევა. როგორც ვნახეთ, ბიზნესის ციკლზე გავლენას ახდენს მოთხოვნისა და მიწოდების ისეთი შოკები, როგორცაა ომი, საქონლის ფასების ცვლილება, მნიშვნელოვანი ბუნებრივი კატასტროფები (მაგალითად, მიწისძვრა), ან ტექნოლოგიური ცვლილებები და ა.შ. თუმცა ასეთ პირობებშიაც კი საფინანსო სექტორს შეუძლია გააგრძელოს შდარებით ეფექტიანი ფუნქციონირება.

**რეალური ეკონომიკა** - ეკონომიკის ის ნაწილი, სადაც ხდება საქონლისა და მომსახურების წარმოება.

**ფინანსური ეკონომიკა** - ეკონომიკის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ ბაზრებზე აქტივების ყიდვა-გაყიდვასთან.

ფინანსური ციკლის ამპლიტუდები შეიძლება ბიზნესციკლის ამპლიტუდებზე გაცილებით გრძელი იყოს. ფინანსური ციკლის აღმავლობა შეიძლება ხასიათდებოდეს ბანკების მოგების, სესხების (borrowing), საკრედიტო ბერკეტის (leverage) და აქტივების ფასების ზრდით. დაღმავლობის პერიოდში კი პირიქით ხდება.

ფინანსურმა ციკლმა შეიძლება გავლენა იქონიოს რეალურ ეკონომიკაზე, როგორც ციკლის აღმავლობის, ისე დაღმავლობის ფაზებში. როდესაც ვარდნა მწვავეა და საკმარისია კრიზისის

დასაწყებად, რეალურ ეკონომიკაზე გავლენა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, ხოლო რეცესია - მწვავე და გრძელვადიანი. როგორც წესი, ფინანსური კრიზისის შედეგად გამოწვეული რეცესიები უფრო მეტხანს გრძელდება და ზრდა, რომელიც შემდეგ იწყება, უფრო სუსტია.

როგორც საოჯახო მეურნეობების (შინამეურნეობების), ისე საფინანსო ინსტიტუტის დავალიანების ზრდა ფინანსური ციკლის აღმავლობის დროს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, ხოლო დაღმავლობისას ტარდება როგორც სესხის დაფარვის, ასევე ბალანსების „გასუფთავების“ ღონისძიებები სიტუაციის გამოსწორების მიზნით.

საოჯახო მეურნეობების (შინამეურნეობების) დავალიანების შემცირების მიზნით მოხმარების შემცირების ეფექტი, რომელსაც რეალურ ეკონომიკაში აქვს ადგილი, ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას (AD). სესხის დაფარვასა და ბალანსების გამოსწორებას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს, რაც ნაწილობრივ ხსნის, თუ რატომ შეიძლება გახანგრძლივდეს ფინანსური კრიზისი და რატომ იყოს მძიმე მისი შედეგები.

## ფინანსური აქსელერატორი (ამაჩქარებელი)

1994 წელს ბერნანკეს, გერტლერისა და გილქრისტის (Bernanke, Gertler & Gilchrist) მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში წარმოდგენილია ფინანსური აქსელერატორის თეორია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ფინანსურ ბაზრებზე არსებულ პრობლემებს შეუძლია გაზარდოს შოკი რეალურ ეკონომიკაში და შექმნას უკუკავშირის მარყუჟი<sup>3</sup>, რაც ამძაფრებს ეკონომიკურ პრობლემებს.

ფინანსური აქსელერატორის ფუნქციონირება შეიძლება დაიწყოს მაშინ, თუ გარკვეულ პერიოდში ფასის პოზიტიური შოკის ფონზე ეკონომიკური სუბიექტები ივარაუდებენ, რომ მომდევნო პერიოდშიც ფასები კვლავ გაიზრდება. ეს პროცესი ასახავს იმას, რაც რეალურად ხდებოდა გლობალური ფინანსური კრიზისის წინ.

ამ თეორიის ერთ-ერთი დაშვება მდგომარეობს შინამეურნეობების მიერ მოხმარების დასაფინანსებლად და საცხოვრებლის შესაძენად აუცილებელი სახსრების შეზღუდულობაში.

საცხოვრებელზე მოთხოვნის ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში (*ceteris paribus*), იწვევს ფასების ზრდას. რამდენად იზრდება სახლების ფასები დამოკიდებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების სიჩქარეზე, ახალ საცხოვრებელ სახლებზე მშენებლობის ტემპზე და ადამიანთა რაოდენობაზე, რომელთაც ახალ სახლში გადასვლა უნდათ. ფასების ზრდასთან ერთად, სახლის მეპატრონეების კეთილდღეობაც იზრდება. დერეგულაციისა და ფინანსური

<sup>3</sup> უკუკავშირის მარყუჟი არის პროცესი, როდესაც სისტემა შემოტრიალებულია და გამოიყენება როგორც რესურსი. ბიზნესში ეს ეხება მომხმარებლების ან თანამშრომლების უკუკავშირის (მომსახურების ან პროდუქტის შედეგების) გამოყენებას უკეთესი პროდუქტის ან სამუშაო ადგილის შესაქმნელად.

ინოვაციების გათვალისწინებით, მათ შეუძლიათ თავიანთი სახლების პოზიტიური კაპიტალი გამოიყენონ კიდევ უფრო მეტი სესხის აღებისთვის, რათა დახარჯონ უფრო მეტი არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლებისთვის, არამედ მოხმარების გაფართოებისთვისაც. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო აშშ-სა დიდი ბრიტანეთისთვის, მაგრამ ნაკლებად გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთისთვის, ვინაიდან ამ ქვეყნებში ბინათმფლობლობა არ იყო ფართოდ გავრცელებული.


მიწოდებისა და მოთხოვნის საფუძვლებზე დაყრდნობით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სახლების ფასები კვლავ იზრდება. 11.1 ნახაზზე მოცემული ნახაზი (ა) გვიჩვენებს დიდი ბრიტანეთის საცხოვრებელი სახლების ფასებს 1983-2008 წლებში. ამჟამად ჩანს, რომ სახლების საშუალო ფასი მკვეთრად გაიზარდა 1990-იანი წლების ბოლოდან 2007 წლამდე. 38.1 დიაგრამის (ბ) ნახაზზე ნაჩვენებია სახლების ფასების ინდექსი აშშ-ში 2000-დან 2008 წლამდე, რომლის დროსაც აშშ-ში სახლების ფასები დაახლოებით 80 პროცენტით გაიზარდა.


### ნახაზი 11.1

#### სახლის ფასების ზრდა

(ა) ნახაზზე ნაჩვენებია სახლის საშუალო ფასის ზრდა დიდ ბრიტანეთში 1983 წლიდან 2008 წლამდე. სახლის საშუალო ფასი 1983 წელს იყო 30 000 ფუნტი სტერლინგი, მაგრამ 2007 წლისთვის პიკს მიაღწია დაახლოებით 190 000 ფუნტ სტერლინგამდე.

(ბ) ნახაზი გვიჩვენებს ინდექსს Standard & Poors (S&P/Casoschiller US National Home). ფასების ინდექსი მიუთითებს სახლების ფასების მკვეთრ ზრდაზე.





აქტივების ფასების ზრდა, როგორც ეს 11.1 ნახაზზეა ნაჩვენები, სულაც არ ნიშნავს აქტივის ბუშტის წარმოიქმნას; ფასების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს ფუნდამენტური საბაზრო ფაქტორებით, რომელთა გამოყოფა შეიძლება ძალიან რთული იყოს. მყიდველებისა და იპოთეკის დამფინანსებლების მოლოდინებს ბაზრების განვითარების შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. „დიდმა ზომიერებამ“ შექმნა რისკის აღქმის ცვლილების პირობები: თუ არსებობდა სახლების ფასების კვლავ გაზრდის შესახებ მოლოდინები და ეკონომიკური სიტუაცია სტაბილური დარჩებოდა, გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იქნებოდა შემცირებული რისკის გათვალისწინებით.

როგორც კი სახლების ფასები იზრდება, განსხვავება კრედიტის ძირითად თანხასა და სახლის ღირებულებას შორის ქმნის პოზიტიურ კაპიტალს სახლის მეპატრონეებისათვის. იპოთეკური სესხის აღება და საკრედიტო ბარათებზე სესხის მიღება გაფართოვდა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მთლიანი პერსონალური ვალი, რომელიც მოიცავს საკრედიტო ბარათის სესხებსა და იპოთეკურ სესხებს, 1993 წელს დაახლოებით 400 მილიარდი ფუნტი სტერლინგიდან გაიზარდა და 2008 წელს მიაღწია პიკს 1.45 ტრილიონ გირვანქა სტერლინგამდე (წყარო: The Money Charity). ამ ციფრების მნიშვნელობის გასააზრებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთის მსკ 2008 წელს თითქმის 1.66 ტრილიონი ფუნტი სტერლინგი იყო. საკრედიტო ბარათების საშუალებით აღებული სესხები ძირითადად გამოიყენებოდა ყოველდღიური მოხმარებისთვის, აგრეთვე ხანგრძლივი მოხმარების ისეთი საგნებისთვის, როგორცაა საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონელი, ასევე არდდეგებზე დასვენების ხაჯრებისთვის და ა.შ. ამგვარად ეს ყველაფერი ზრდიდა ერთობლივ მოთხოვნას (AD).

ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის სტაბილური ეკონომიკური გარემო, კრედიტზე მოთხოვნის გაზრდა და ნაკლებად მკაცრი მარეგულირებელი ჩარჩო ნიშნავს, რომ ფასიანი ქაღალდების მფლობელებს შეუძლიათ მაღალი მოგების მიღება.

გლობალური საბანკო საქმის გაფართოებამ განაპირობა საცალო და საბითუმო ბანკების ნაკლებად შესამჩნევი გამიჯვნა. საცალო საბანკო მომსახურება გულისხმობს ძირითად საბანკო მომსახურებას - დეპოზიტების აღებას და შინამეურნეობებსა და ბიზნესზე სესხების გაცემას, ხოლო საბითუმო საბანკო საქმე უფრო ასოცირდება კორპორაციულ ფინანსებთან და საინვესტიციო ბანკებთან. საბითუმო საბანკო სექტორს არ აქვს დეპოზიტების აღების ფუნქცია. ამის ნაცვლად მოგებას, რომელიც მიღებულია ინვესტიციებიდან, ის იყენებს კიდევ უფრო მაღალი შემოსავლების მისაღებად. ამასთან, როდესაც განსხვავება საცალო და საბითუმო საბანკო მომსახურებას შორის ბუნდოვანი ხდება, საინვესტიციო ბანკებმა შეიძლება გამოიყენონ საცალო ბანკების მიერ გენერირებული სახსრები ფინანსურ აქტივებში, კერძოდ, სეკურიტიზებულ (securitized assets) ფასიანი ქაღალდებში აქტივების ინვესტირებისათვის.

**საცალო საბანკო ძირითადი მომსახურება** - დეპოზიტების აღება და შინამეურნეობებისა და ბიზნესისთვის სესხების გაცემა.

**საბითუმო საბანკო მომსახურება** - კორპორაციულ ფინანსებს და გულისხმობს ინვესტირებას ფინანსურ ინსტრუმენტებში.

იპოთეკური სესხის გაცემაში მონაწილე ფინანსური ინსტიტუტებისთვის სახლების ფასების ზრდა გულისხმობს, რომ მომავალში მათი ბალანსი გაუმჯობესდება. ეს ხდება ბაზარზე მარკირების პრაქტიკის გამო - ეს არის სააღრიცხვო პროცედურა, რომელიც აღრიცხავს ბალანსებში აქტივის "სამართლიან ღირებულებას" („fair value“) და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსურ აქსელერატორში.

მაგალითად, ბანკმა რომელმაც 250 000 ფუნტი სტერლინგი გასცა კრედიტად ახალგაზრდა წყვილზე, თავდაპირველად შეიძლება აღრიცხოს აქტივის ღირებულება, მაგრამ სახლების ფასების ზრდასთან ერთად, ამ აქტივის ღირებულება იზრდება ბანკის ჩანაწერებში. ბალანსის ზრდამ ბანკების პოზიცია უფრო გააძლიერა დამატებითი კრედიტების ძიების კუთხით. გარდა ამისა, სტაბილური ეკონომიკური პირობები და დაბალი საპროცენტო განაკვეთები ბანკებს განაწყობენ უფრო მეტი რისკების ძიებისკენ. მოგების მიღების მიზნით, ბანკები აფართოებენ საკუთარ სახსრების გასესხებას და ფასიანი ქაღალდების სეკურიტიზებულ

**Mark To Market (MTM)** - საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდი, რომელიც აღრიცხავს "აქტივის სამართლიან ღირებულებას ფინანსურ ბალანსზე"

აქტივების (securitized assets) შესყიდვას. საბოლოოდ კი ყოველივე ეს იწვევს აქტივებზე ფასების ზრდას.

ფინანსური ინსტიტუტების მიერ გასესხებული სახსრების გაფართოებისა და აქტივებზე ფასების ზრდის კვალობაზე, მათი რეალურ ეკონომიკაზე გავლენა ძლიერდება. შინამეურნეობების მიერ აღებული სესხების და მოხმარების ზრდა ადიდებს ერთობლივ მოთხოვნას (AD) და უზიდავს ინფლაციის ზრდას. ბევრმა ცენტრალურმა ბანკმა ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკა დაიწყო<sup>4</sup>. აქტივების ფასების ზრდა ფინანსურ ბაზრებზე და საცხოვრებელ სახლების მშენებლობებზე არ აისახება ინფლაციის მაჩვენებელში, რომელსაც იყენებენ ცენტრალური ბანკები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სამომხმარებლო ფასების ინდექსი - (CPI) გამორიცხავს საცხოვრებლის ხარჯებს. აქტივების ფასების ზრდა შეიძლება გარკვეული ხნის მანძილზე მიდინარეობდეს მანამ, სანამ სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით გაზომილი ინფლაცია დაიწყებს ზრდას. ნახაზი 38.2 გვიჩვენებს CPI და RPI ინდექსებს დიდ ბრიტანეთში 1997 წლიდან 2009 წლამდე.


## **ნახაზი 11.2**

### ***CPI და RPI დიდ ბრიტანეთში, 1997 - 2009 წწ.***

*ეს გრაფიკი აჩვენებს, რომ CPI, რომელიც არ მოიცავს საცხოვრებლის ხარჯებს, 2005 წლამდე რჩებოდა მიზნობრივ მაჩვენებელზე 20 პროცენტის ქვემოთ, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში, მხოლოდ სამიზნე დონეზე ოდნავ ზემოთ იყო. ამის საპირისპიროდ, RPI-მ, რომელიც მოიცავს საცხოვრებლის ხარჯებს, 2002 წლიდან დაიწყო ზრდა, 2007 წელს გადააჭარბა 2.0 პროცენტს და მიაღწია 4.3 პროცენტს.*

---

<sup>4</sup> ინფლაციის თარგეთირება - 2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმის დროს წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი და შემდგომ ამტკიცებს პარლამენტის მიერ.



## ცენტრალური ბანკების როლი

ცენტრალურ ბანკებს უდიდესი როლი ენიჭებათ ფინანსური კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით. ეკონომისტები გამოჰყოფენ ცენტრალური ბანკების ანტიკრიზისული პოლიტიკის სამ მასპეტს: ინტერვენციის სიჩქარე, ინოვაცია და კოორდინაცია.

2007 წელს გაჩნდა კრიზისის საწყისი ნიშნები, რომელიც გამოიხატა სუბსტანდარტული იპოთეკური სესხების დეფოლტის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებით.

იმავე წლის ივლისში Standard & Poors-მა და Moody's-მა შეამცირეს რეიტინგი იმ ობლიგაციებზე, რომელიც სუბსტანდარტულ იპოთეკურ სესხებს უზრუნველყოფდა. ივლისის ბოლოს გერმანულმა ბანკმა IKB-მ განაცხადა, რომ მას ფინანსური პრობლემები შეექმნა სუბსტანდარტული იპოთეკური სესხები დიდი რაოდენობით გაცემის გამო და ამ ბანკის აქტივები სწრაფად გამოისყიდა გერმანიის სახელმწიფო ბანკმა KW (Kreditanstalt für Wiederaufbau).<sup>5</sup> 2007 წლის აგვისტოს დასაწყისში სუბსტანდარტულ იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებული პრობლემები აშკარა გახდა და 3 აგვისტოს, Bear Stearns-ი<sup>6</sup> იძებული გახდა დაკავშირებოდა თავის აქციონერებს და მათთვის ეცნობებინა მის მმართველობაში

<sup>5</sup> Kreditanstalt für Wiederaufbau - ინგ. Credit Institute for Reconstruction.

<sup>6</sup> The Bear Stearns Companies, Inc. (Bear Stearns) - 2008 წლამდე ერთ-ერთი უდიდესი ინვესტიციური ბანკი და მოთამაშე მსოფლიოში ფინანსურ ბაზრებზე. ბანკი დაფუძნდა ნიუ-იორკში. Bear Stearns იყო S&P 500 საფონდო ინდექსის ნაწილი.

არსებული ორი ჰეჯ-ფონდის კრაზის შესახებ, რამაც ამ კომპანიის აქციებზე ფასების კატასტროფული ვარდნა გამოიწვია. 9 აგვისტოს, ფრანგულმა ბანკმა BNP Paribas-მა<sup>7</sup> განაცხადა, რომ იგი წყვეტს ვაჭრობას მის და ამით საკრედიტო ბაზრები ფაქტობრივად გაიყინა. ბანკთაშორისი დაკრედიტება შეჩერდა, ვინაიდან ბანკებმა გაიაზრეს, რომ სუბსტანდარტული დაკრედიტების წამოუდგენელი მოცულობით გაზრდა დიდი შეცდომა იყო.

საკრედიტო ბაზრების ფაქტობრივად გაყინვამ გამოიწვია მსოფლიო ცენტრალური ბანკების მხრიდან ჩარევის (ინტერვენციის) დაწყება. ECB ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც 9 აგვისტოს 95 მილიარდი ევროს ინიექცია განხორციელდა ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდურობის პრობლემების მოსაგვარებლად. მომდევნო დღეს დამატებით 61 მილიარდი ევროს ნებართვაც გაიცა. მალევე, აშშ-ს ფედერალურ სარეზერვო სისტემაში განაცხადეს, ლიკვიდობის ასამაღლებლად 38 მილიარდ ევროს გაიღებენ; ინგლისის ბანკი ამას არ აჰყვა. 10 აგვისტოს, ინგლისის ბანკი შეეჯახა Northern Rock-ში არსებულ მზარდ პრობლემებს. ეს ბანკი წინა წლებში სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ ახლა აღმოაჩინა, რომ ნასესხებ ფულზე დაფუძნებული მისი გაფართოება შეცდომა იყო. ვინაიდან საკრედიტო ბაზრები გაიყინა, მისთვის საქმიანობის გაგრძელება ძნელი შეიქმნა. მომდევნო კვირების განმავლობაში Northern Rock-ის პრობლემების მასშტაბები საჯარო გახდა და ბანკზე დაიწყო მასობრივი შეტევა. რიგები იქმნებოდა Northern Rock-ის ფილიალებთან, რადგან შემფოთებული მეანაზრეები ცდილობდნენ საკუთარი ფულის გამოტანას. სიტუაციის გამოსწორების მიზნით, 17 სექტემბერს მთავრობამ ბანკთან დაიწყო კონსულტაციები და მიღწეულ იქნა შეთანხმება Northern Rock-ში არსებული ყველა დეპოზიტზე სახელმწიფო გარანტიის გაცემის შესახებ.

მოგვიანებით ფინანსური კრიზისის გამწვავების გამო რომელი ბანკი დარჩენილიყო და რომელი გაკოტრებულიყო, ცენტრალური ბანკის უპირველესი განსახილველი საკითხი გახდა. ინგლისის ბანკმა დააფიქსირა ის ფაქტი, რომ ინვესტორები სათანადოდ არ აფასებდნენ რისკებს.

ინგლისის ბანკის თავდაპირველი დაუინტერესებლობა აქტიური ინტერვენციები მოეხდინა ფინანსურ ბაზარზე, განიხილებოდა როგორც მორალური საფრთხის შემცველი პრობლემა. აღნიშნულის მიზეზი ასევე იყო ფინანსური სტაბილურობის ნაკლებად პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნევა.

ამასთან ინგლისის ბანკს, სხვა ცენტრალურ ბანკებთან შედარებით, ფინანსურ კრიზისთან გასამკლავებლად ხელთ შეზღუდული ინსტრუმენტები ჰქონდა. მხოლოდ 2009 წელს, ინგლისის ბანკს მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები, რამაც მას ფინანსური სტაბილურობის კონტროლის გაუმჯობესების საშუალება მისცა.

---

<sup>7</sup> BNP Paribas არის ფრანგული ფინანსური კონგლომერატი, Crédit Agricole-თან, Société Générale-სა და Groupe BPCE-თან ერთად, რომლებიც ქმნიან ქვეყნის საბანკო ბაზრის „დიდი ოთხეულს“. 2011 წლიდან ისინი გლობალურად მნიშვნელოვანი ბანკებია.



მოგვიანებით ინგლისის ბანკმა საბოლოოდ გამოაცხადა, რომ ფინანსურ დახმარებას გაუწევდა კრიზისში მყოფ ინსტიტუტებს, თუმცა ასეთი სესხის აღება ჯარიმებს აკისრებდა მათ. შემდგომში ბანკმა მალევე მოხსნა ეს ჯარიმებები,

2008 წლის აპრილისთვის ინგლისის ბანკმა მოიპოვა უფლებამოსილება გამოეცა ბრიტანეთის მოკლევადიანი სახელმწიფო ობლიგაციები იპოთეკური ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ. ამასთან, 2007 წლის აგვისტოს ბოლოს გაირკვა, რომ Barclays-მა ცენტრალურ ბანკს სთხოვა 1.6 მილიარდი ფუნტი სტერლინგის ოდენობის სესხი. ეს ახალი ამბავი, რომელიც ჩვეულებრივ დროს არ გახდებოდა გაზეთების პირველი გვერდის მოწინავე სტატია, განიმარტა როგორც კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ Barclays-ს პრობლემები შეექმნა.

ფინანსური კრიზისის გამძაფრებამ გამოიწვია მთელს მსოფლიოში მონეტარული პოლიტიკის შერბილება. ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფედი) 2008 წლის იანვარში რეპოს განაკვეთი 0.75%-ით შეამცირა, ხოლო ინგლისის ცენტრალურმა ბანკმა მისი კურსი 4.0%-ით განსაზღვრა. ამასტანავე, ფედ-მა 8 თვის განმავლობაში 7-ჯერ შეამცირა განაკვეთები და, საბოლოოდ, 2,0%-ის დონეზე დააფიქსირა.

2008 წლის ოქტომბერში შვიდი მთავარმა ეკონომიკამ - დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, ჩინეთმა, ევროკავშირმა, კანადამ, არაბთა გაერთიანებულმა საემიროებმა (UAE) და შვედეთმა გამოაცხადეს საპროცენტო განაკვეთების კოორდინირებული 0,5 პროცენტის შემცირება. ოქტომბრის ბოლოს ფედ-მა განაკვეთი კვლავ შეამცირა 1 პროცენტით.

აშშ-ში დისკუსიები მიმდინარეობდა პრობლემური აქტივების მქონე ბანკების დახმარების გეგმის (TAP) შექმნის მიზნით 700 მილიარდი დოლარის ღირებულების ფონდის გამოყოფის შესახებ. ნოემბერში აშშ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოაცხადა 800 მილიარდი დოლარის დახმარების ახალი ფონდის შექმნა.

იმავე თვეში ინგლისის ბანკმა კიდევ ერთხელ შეამცირა განაკვეთები 1,5 პროცენტით - ეს იყო ყველაზე დიდი ცვლილება განაკვეთებში ინგლისის ბანკის არსებობის ისტორიაში (ბანკი შეიქმნა 1694 წელს).

ცენტრალური ბანკების მხრიდან კრიზისში მყოფ ეკონომიკაში ჩარევის უპრეცედენტო მასშტაბმა და მთავრობების მიერ გამოცხადებულმა სხვადასხვა ფისკალური სტიმულირების პროგრამებმა ნათლად აჩვენა კრიზისის სიღრმე. იპოთეკური დაკრედიტების ვარდნის და მსოფლიო საბანკო სისტემის კრაზით გამოწვეულმა „ინფექციამ“ უმძიმესი ზეგავლენა მოახდინა რეალურ ეკონომიკაზე. გამოჩნდა, გლობალური რეცესია უფრო რეალური საფრთხე იყო, ვიდრე ინფლაციის პერსპექტივა, თუმცა მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, ინფლაცია მაინც მაღალი დარჩა ისეთ ქვეყანაში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი.

ცენტრალური ბანკების ჩარევის სიჩქარე და მასშტაბი არაერთგვაროვანი იყო ტექნიკური და იდეოლოგიური განსხვავებების გამო, თუმცა ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელთა

უმეტესობა ამტკიცებდა, რომ მათ პასუხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შექმნილ გარემოებებში.

ცენტრალური ბანკები მოქნილი და ინოვაციური უნდა ყოფილიყვნენ უჩვეულო პრობლემების მოგვარებაში. ინგლისის ბანკის მსგავსად, სხვა ცენტრალურმა ბანკებმაც გააფართოვეს თავიანთი როლი, აიღეს ახალი უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და შემოიღეს ახალი ინსტრუმენტები. ორი ასეთი მაგალითია სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს შორის ორმხრივი სვოპ-შეთანხმებების (swap agreements) ზრდა, რაც გულისხმობს

ადგილობრივი ვალუტის გაცვლა აშშ დოლარზე იმ მიზნით, რომ მოხდეს ვაჭრობის დაფინანსების უზრუნველყოფა და ლიკვიდურობის შემსუბუქება. ასევე იქნა გამოყენებული რაოდენობრივი შემქუბუქების მექანიზმი.

## რა გავლენები იქნა შესწავლილი?

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) ასახავს ფინანსური კრიზისის განვითარების ოთხ ძირითად მიზეზს:

1. ღარიბი მოსახლეობისთვის სახლის საკუთრებაში ფლობის გაფართოებაზე ორიენტირებულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა და რეგულაციებში შესაბამისი ცვლილებების შეტანამ ხელი შეუწყო არაგონივრული სესხების მნიშვნელოვან ზრდას. ეს პოლიტიკური იმპულსი განსაკუთრებით გაძლიერდა აშშ-ში პრეზიდენტ კლინტონის და დიდ ბრიტანეთში ახალი ლეიბორისტების მმართველობის პერიოდში. აშშ-ში სუბსტანდარტული სესხების გაფართოება, დიდ ბრიტანეთში ბანკების სესხის გაცემის შემთხვევაში სახლების ღირებულების 125 პროცენტით ზრდა, საკრედიტო ბარათებზე უფრო ფართო წვდომა და ვალის დაგროვება, მონაცემების შემოწმების შეზღუდვა კრედიტის აღების დროს განაპირობებდა პრობლემური სესხები კოლოსალური მოცულობით დაგროვებას.
2. მარეგულირებელ სტრუქტურებში (ეს განსაკუთრებით აშშ-ს ეხება) შეტანილმა ცვლილებებმა ახალ ბიზნესს იპოთეკური სესხის ბაზარზე შესვლა საგრძნობლად გაუადვილა.
3. ბაზელ II-ის რეგულაციები, რომლებმაც ბანკებს შეუქმნა ბანკებს ბალანსგარეშე სტრუქტურების შექმნის შესაძლებლობა მისცა (ბაზელ II ეხება რეგულაციების ჩარჩოს, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკში (BIS) დისკუსიების შედეგად).
4. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების სტრუქტურაში შეტანილმა ისეთიმა ცვლილებებმა, როგორცაა აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში FSA, ბანკებს საშუალება მისცა გაეზარდათ ლევერიჯის კოეფიციენტები 15.1-დან 40.1-მდე (ლევერიჯის კოეფიციენტი - ვალის წილი საკუთარ კაპიტალში, რომელიც ზომავს თანაფარდობას ვალსა და საკუთარ კაპიტალს შორის).

OECD კრიტიკულად განწყობილი იყო ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიმართ, რადგანაც მათ საქმიანობაში არსებობდა სუსტი ადგილები. აღნიშნულის გამო ეროვნულმა მარეგულირებელმა სისტემებმა არა თუ ვერ შეძლო ფინანსური კრიზისის პრევენცია, არამედ მის წარმოქმნაც კი განაპირობა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) მნიშვნელოვნად ეთანხმებოდა OECD-ს იმ დასკვნებში, რომ ფინანსური ინსტიტუტები და ინვესტორები ძალზე მაღალი ოპტიმიზმით იყვნენ განწყობილნი აქტივების ფასებთან და რისკებთან მიმართებით. დაბალი საპროცენტო განაკვეთები და ფინანსური ინოვაციების ხარისხი ასტიმულირებდა გადაჭარბებულ ლევერიჯს, რამაც გაზარდა ფინანსური პროდუქტების ურთიერთდაკავშირების ქსელი. თუმცა, ამავე დროს, უფრო ბუნდოვანი გახდა ფინანსური სისტემისათვის თანდაყოლილი რისკები. მან ხაზი გაუსვა მარეგულირებელ ორგანოებსა და სამართლებრივ შეზღუდვებს შორის კოორდინაციის ნაკლებობას, რომლებიც ხელს უშლიდა ინფორმაციის უფრო ფართო მასშტაბით გავრცელებას და ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიდა მას ხელისუფლებისთვის.

პრობლემას წარმოადგენდა გლობალური ბანკების არსებობა, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებს კონტროლს. შესაბამისად, მათი მოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც ნაწილობრივი და არაეფექტიანი, რამაც განაპირობა არამარტო მონეტარული პოლიტიკის გავლენის შესუსტება, არამედ ბაზრის დამახინჯებაც. ასევე აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ქვეყნის ცენტრალურ ბანკს არ გააჩნდა კრიზისულ პერიოდში აუცილებელი ლიკვიდობის მხარდაჭერის ინსტრუმენტები.

მარეგულირებელი რეჟიმების მიმართ სხვა კრიტიკა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოქმედი წესები შესაძლოა არ ყოფილიყო საკმარისი ფინანსური ბაზრების ცვლილების ტემპის დასარეგულირებლად, რომ მარეგულირებლები მეტ დროს ხარჯავდნენ „ticking boxes-ზე“, ვიდრე ცუდი პრაქტიკის იდენტიფიცირებაზე და მასში ჩარევაზე. არსებობდა ბრალდებები, რომ მოქმედი წესების პირობებში მარეგულირებელ ორგანოებს შეეძლოთ „ზურგს უკან დამალვა“ და ბრალის სხვაზე გადატანა. მაგალითად, ისლანდიის სამი ბანკის რამდენიმე შვილობილი კომპანია (Kaup thing, Glitnir and Landsbanki) გაკოტრდა, რომლებიც ოპერირებდნენ გაერთიანებულ სამეფოში, მაგრამ FSA ამტკიცებდა, რომ ისინი ტექნიკურად მის იურისდიქციას არ ექვემდებარებოდნენ. აშშ-ში იმ სუბიექტების მთლიანი აქტივები, რომლებიც საბანკო სისტემის გარეთ იმყოფებოდნენ, არ მოექცნენ რეგულირების სფეროში (მოხსენიებულია როგორც ჩრდილოვანი საბანკო სისტემა), მაგრამ ბანკების მსგავსად მოქმედებდნენ, როგორც „ოფიციალური“ საბანკო სისტემა. მათი აქტივების ღირებულება 2007 წლის ბოლოს დაახლოებით 10 ტრილიონი დოლარით განისაზღვრა.

ამ ჩავარდნების მიზეზი ნაწილობრივად მარეგულირებლის შიდა პრობლემებზე მოდის. აღმოჩნდა, რომ ამ მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლებს არ ჰქონდათ საკმარისი ცოდნა თანამედროვე ფინანსური სისტემის მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, მათ ვერ

გააცნობიერეს ახალი ფინანსური ინსტრუმენტების როლი. ბანკებში მართვის მაღალი რგოლის ზოგიერთ ხელმძღვანელს კომპლექსურად არ ესმოდა მოდელების უსაფრთხოების უზრუნველყოფა (securitization models), არ გააჩნდა აქტივების შეფასების ტექნიკისა და რისკის მოდელების ცოდნა. მათ ასევე არ იცოდნენ თუ რა დონეზე შეიძლება „კუდიანმა დანაკარგებმა“ (ნორმალური განაწილების უკიდურესი მნიშვნელობები) გავლენა იქონიოს ოპერაციებზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ასეთი მოდელები ეყრდნობოდა „კარგი დროის“ სტატისტიკას და არ იყო ”შემოწმებული“ კრიზისის გამოცდილებით.

ცალკე საკითხია მარეგულირებელი ორგანოების მაღალპროფესიული პერსონალის შერჩევა და დაკომპლექტება, ვინაიდან არ არსებობდა სათანადო სტიმულირება - „რატომ უნდა ვიმუშაოთ FSA-ში, მაგალითად, წელიწადში 116 000 ფუნტი სტერლინგი ხელფასით, როდესაც FSA-ში მომუშავე პირების უნარები შეიძლება გაიყიდოს ინდუსტრიის სხვა სექტორებში მრავალ მილიონად?“ ამგვარად, სათანადო რესურსებით უზრუნველყოფის გარეშე მარეგულირებლები ყოველთვის წააწყდებიან დაბრკოლებას.

## სახელმწიფო ვალის კრიზისი

**სახელმწიფო ვალი** გულისხმობს ეროვნული მთავრობების მიერ ობლიგაციების გამოშვებას სახელმწიფოს ხარჯების დასაფინანსებლად. ფინანსური კრიზისის ერთ - ერთი შედეგი იყო ყურადღების გამახვილება იმ პრობლემებზე, რომლებიც შეექმნა ევროპის მრავალ ქვეყნას სესხების მართვის თვალსაზრისით. შეგახსენებთ, რომ ბიუჯეტის დეფიციტი არის სხვაობა საგადასახადო შემოსავლების ოდენობასა და მთავრობის ხარჯებს შორის. დეფიციტი ფინანსდება მთავრობის მიერ სესხის აღებით, რაც იწვევს მთლიანი დავალიანების ზრდას. სახელმწიფომ უნდა მართოს ეს დავალიანება სახელმწიფო ობლიგაციების დაფარვით მათი ვადის ამოწურვისას და ობლიგაციებზე საპროცენტო გადასახადის გადახდით.

მთავრობების დაკრედიტება ყოველთვის ითვლებოდა შედარებით ნაკლებრისკიანად, თუმცა ფინანსური კრიზისის შედეგად გაირკვა, რომ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობასთან მიმართებით ეს ასე არ იყო.

**სახელმწიფო ვალი** - ობლიგაციები, რომელიც გამოცემულია ეროვნული მთავრობების მიერ ხარჯების დასაფინანსებლად.

ფინანსური კრიზისის შედეგად შექმნილმა მაკროეკონომიკურმა შოკმა გამოიწვია ეკონომიკური საქმიანობის გლობალური შენელება. როდესაც ქვეყნები ხანგრძლივი პერიოდის ანმავლობაში განიცდიან ეკონომიკურ შენელებას, საგადასახადო შემოსავლები მცირდება, მაგრამ სოციალური დახმარების ხარჯები იზრდება. მართალია, ავტომატური

სტაბილიზატორები გარკვეულწილად უარყოფით ეფექტს არბილებენ, მძიმე რეცესიულ პერიოდში ამ ავტომატური სტაბილიზატორების გავლენა შესაძლოა შემცირდეს. ამ პირობებში მთავრობებმა უნდა გაზარდონ სესხები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მოიძიონ საკმარისი თანხები. ეს არსებითად ართულებს მთავრობის ყოველდღიური ვალდებულებების შესრულებას საკუთარი მოქალაქეების წინაშე..

## საბერძნეთის სასესხო დავალიანების კრიზისი

საბერძნეთი არის ქვეყანა, რომელიც სახელმწიფო ვალის კრიზისის მაგალითი გახდა. საბერძნეთში არსებული პრობლემები გარკვეულწილად გამოვლინდა ირლანდიაში, ესპანეთში, იტალიასა და პორტუგალიაში. 2009 წელს საბერძნეთმა გამოაცხადა, რომ მისი ბიუჯეტის დეფიციტმა მსკ-ს თითქმის 13 პროცენტს მიაღწია.

2010 წლის დასაწყისში ქვეყნის ვალი 300 მილიარდი ევრო იყო, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებას აღემატებოდა - მსკ-ს 115,1 პროცენტს შეადგენდა (გახსოვდეთ, რომ სტაბილურობისა და ზრდის პაკტის თავდაპირველ წესებში დადგენილია, რომ ვალი არ უნდა აღემატებოდეს მსკ-ს 60 პროცენტს). ბიუჯეტის დეფიციტი თითქმის 14 პროცენტამდე გაიზარდა - ეს ბევრად აღემატება იმ 3 პროცენტს, რაც EMU-ს წევრობის პირობებით იყო მოთხოვნილი<sup>8</sup>. ევროკავშირის სხვა ქვეყნები, განსაკუთრებით გერმანიამ, საბერძნეთი დაახასიათა როგორც „მოძალადე“ და დაადანაშაულა იმაში, რომ ის ცხოვრობს ევროპის სხვა ქვეყნების ხარჯზე

საბერძნეთმა სასესხო ვალდებულებების შესასრულებლად 2010 წელს დაახლოებით 50 მილიარდი ევრო მიიზიდა. ვინაიდან მას სჭირდებოდა 8.5 მლრდ ევროს გადახდა ობლიგაციების მფლობელთათვის, საბერძნეთის მთავრობა ახალი ობლიგაციების გამოშვებით გავიდა ბაზრებზე სესხების მისაღებად. ამ შემთხვევაში, ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, რათა ინვესტორების დაინტერესება გამოეწვია.

გამოშვებული ობლიგაციების ღირებულება დაახლოებით 5 მლრდ ევრო იყო 6-12 პროცენტის განაკვეთით მაშინ, როცა მსოფლიოში იმავე პერიოდში საპროცენტო განაკვეთები რეკორდულად დაბალ დონეზე იყო. შესაბამისად, საბერძნეთს გაცილებით უფრო მაღალი პროცენტი უნდა გადაეხადა ინვესტორებისათვის.

რაც უფრო დიდია სხვაობა სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე (ამ შემთხვევაში იგულისხმება განსხვავება მსგავს ობლიგაციებში), მით უფრო მეტად ითვალისწინებს ბაზარი ობლიგაციების დეფოლტის რისკს (ამ შემთხვევაში საუბარია ბერძნულ ობლიგაციებზე).

---

<sup>8</sup> EMU – (Economic and Monetary Union of the European Union) ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული კავშირი

2010 წლის თებერვალ-მარტში, საბერძნეთის მთავრობა შეეცადა შეემცირებინა სახელმწიფო ხარჯები სამუშაოების ადგილების, პენსიების, ხელფასებისა და მომსახურების მნიშვნელოვანი შემცირების ხარჯზე. ბერძენი მუშები პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდნენ. აშკარა იყო, რომ მთავრობას გაუჭირდებოდა ბიუჯეტის შემცირების იმგვარი განხორციელება, რაც აუცილებელი იყო ბაზრებზე ნდობის მოსაპვებლად. მისი დავალიანების ზრდისა და დეფიციტის შესახებ განცხადებების მიღმა ჩანდა, რომ საბერძნეთს აპრილამდე გაუჭირდებოდა დამატებითი თანხების შეგროვება თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. სააგენტოებმა სტაბილურად შეამცირეს ქვეყნის რეიტინგი, სანამ აპრილის ბოლოს საბერძნეთის სესხი ოფიციალურად არ შეაფასეს, როგორც "უსარგებლო" („junk“).

სპრედი ბერძნულ და გერმანულ ობლიგაციებს შორის გაიზარდა - აპრილში ორწლიან ობლიგაციებზე 19 პროცენტის, ხოლო ერთწლიან ობლიგაციებზე -11,3 პროცენტის ოდენობით. საბერძნეთის ვალის პრობლემების გამო ფინანსურ ბაზრებზე ნერვიულობამ ევროპის სხვა ქვეყნებზე მოიცვა, რამაც შექმნა საბერძნეთის დეფოლტის გამოცხადების და ევროკავშირის დატოვების საფრთხე. ამ შიშმა ევროს ღირებულების მკვეთრი ვარდნა გამოიწვია. ტრეიდერები პოზიციებს იკავებდნენ იმის მოლოდინით, რომ ევროს კურსი დაეცემოდა, რაც მათ მოგებას მოუტანდა. CME-ს მონაცემებმა აჩვენა, რომ ევროს დაცემის მოლოდინით გაფორმებული იყო 40 000-ზე მეტი კონტრაქტი, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 8 მილიარდი ევრო იყო.

ევროკავშირის საფინანსო ბაზრების კრიზისი გამწვავად და ბაზრებმა ევროკავშირის სხვა ქვეყნების მთავრობებს დახმარების თხოვნით მიმართეს. 2010 წლის 10 აპრილს ევროზონის ფინანსთა მინისტრებმა გამოაცხადეს შეთანხმება საბერძნეთისთვის 30 მილიარდი ევროს სესხების პაკეტის შესახებ. საბერძნეთმა განაცხადა, რომ არ აპირებს ამ სესხის მიღებას და მის ნაცვლად ევროდნობა ეკონომიკაში მკაცრი ზომების გატარებას, თუმცა ფინანსურმა ბაზრებმა ეჭვი შეიტანეს ამ გადაწყვეტილებაში.

ერთი კვირის შემდეგ საბერძნეთის პრემიერ მინისტრი საბოლოოდ დაემორჩილა იმას, რაც, ბევრის აზრით, გარდაუვალი იყო და განაცხადა, რომ საბერძნეთი გამოიყენებს ევროკავშირის მიერ შეთავაზებულ სესხებს. მოლაპარაკებები გაიმართა ევროკავშირთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ამ სესხების სტრუქტურაზე, რომლის მოცულობაც, პროგნოზის მიხედვით, 100 მილიარდ ევრომდე გაიზრდებოდა. გაჩნდა კითხვები აღნიშნული სესხის პირობების შესახებ. გერმანია მოითხოვდა, რომ მისი წილი ამ სესხების დაფინანსებაში ყოფილიყო მხოლოდ 8.4 მლრდ ევრო, რათა გერმანელი გადასახადის გადამხდელები დამშვიდებულიყვნენ, რომლებიც საბერძნეთისათვის სესხის მიცემის წინააღმდეგნი იყვნენ.

ამასთანავე, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა დაჟინებით მოითხოვა საბერძნეთის მთავრობის მიერ სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირება. ბევრი ბერძენისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ მათ გარედან კარნახობდნენ. საბერძნეთში

საპირველმანისო მუშათა ტრადიციულმა საპროტესტო აქციებმა ახალი მიმართულება შეიძინა, ხოლო ძალადობის მასშტაბმა და სიმძაფრემ ბევრი შეაძრწუნა. აშკარა იყო, რომ მკაცრი ეკონომიის განხორციელება ადვილი არ იქნებოდა და ცხადი იყო გერმანელების წინააღმდეგ ცუდი განწყობა. საბერძნეთის მთავრობა ყველა ქვეყანაზე ახორციელებდა ზეწოლას. ფინანსურ ბაზრებზე შეიმჩნეოდა ნერვიულობა იმის გამო, რომ საბერძნეთის მსგავსი პრობლემები გავრცელდებოდა მაღალი დავალიანების მქონე სხვა ქვეყნებში (ე.წ. "გადამდები ეფექტი") და არსებობდა შიში, რომ კრიზისს შესაძლოა ევროპის რეცესია გამოეწვია.

### მცირე (მოკლევადიანი) გაყიდვები Short-selling

2008 წლის 19 სექტემბრის დილით, დიდი ბრიტანეთის გაზეთების მოწინავე სტატიების რისხვა ფინანსური ბაზრების მოვაჭრეებს (ტრეიდერებს) დაატყდა თავს.

"აქციების ზვიგენები", "თაღლითი ტრეიდერები" და "ცბიერი საქმოსნები" - ეს ფრაზები გამოჩნდა პრესაში, რადგან HBOS-სა და Lloyds TSB-ს შორის 12 მლრდ გირვანქა სტერლინგის შერწყმა დაიწყო. არა მხოლოდ აქციების, არამედ სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მცირე გაყიდვებიც მიიჩნეოდა პრობლემატურად და კრიზისული ვითარების გასაღრმავებლად. ასეთი შერწყმის გარეშე, კრიტიკოსების აზრით, HBOS გადარჩებოდა და ათასობით სამუშაო ადგილი შენარჩუნდებოდა ქვეყნის მასშტაბით.

მოკლევადიანი გაყიდვები, ძირითადად, ფსონის დადების პრაქტიკაა იმ ვარაუდით, რომ აქტივის ფასი დაეცემა. განვიხილოთ იგი აქციების მაგალითზე: ინვესტორი მოელის, რომ აქციების ფასი (მაგალითად, HBOS-ში) დაეცემა; ამჟამად, ვთქვათ, აქცია ფასდება 250 პენსად. ისინი უკავშირდებიან ბროკერს და 3 მლნ აქციას „იღებენ სესხად“; ინვესტორი ყიდის აქციებს 250 პენსად, შესაბამისად, იღებს კრედიტს 7 500 000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით. რაღაც მომენტში, მომავალში, ინვესტორი შეწყვეტს გარიგებას 3 მილიონი აქციის ყიდვით, რათა დაფაროს ბროკერის ვალი. ვივარაუდოთ, რომ გამოსყიდვის ფასი ახლა არის 200 პენსი. ამგვარად, ინვესტორი იღებს მოგებას 1 500 000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით.

იმ დროისთვის წამოყენებული არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ მოკლევადიანი (მცირე) გაყიდვები იყო HBOS-ის აქციების ფასის მკვეთრი ვარდნის მიზეზი, რამაც გამოიწვია Lloyds-თან შერწყმა. ასევე გამოითქვა შეშფოთება, რომ ბანკებში აქციების ფასის შემცირების მიღმა სწორედ მოკლევადიანი გაყიდვები იდგა და სამომავლოდ ამგვარი საქმიანობა ფინანსურ ბაზრებზე არასტაბილურობას გამოიწვევდა. შედეგად, FSA-მ გამოაცხადა მოკლევადიანი გაყიდვის აკრძალვა 2009 წლის 16 იანვრამდე. ამ უპრეცედენტო ნაბიჯს ანალიტიკოსები და სითი ინსაიდერები არაერთგვაროვნად შეხვდნენ. ზოგს სჯეროდა, რომ ეს ქმედება რამდენიმე დღით დაგვიანებული იყო, ხოლო სხვები თვლიდნენ, რომ ეს ნაბიჯი იყო მკვეთრი რეაქცია, რომელიც არ ითვალისწინებდა ინვესტორთა შორის ნდობის ფართოდ გავრცელებულ ნაკლებობას. ნიუ-იორკში, SEC-მა განიხილა მსგავსი ნაბიჯები და აშშ-ს მთავრობამ ფედერალური სარეზერვო სისტემასთან, ნდობის განმტკიცების მიზნით, მუშაობა დაიწყო ბანკების მხარდამჭერი გეგმების შემუშავებაზე. გეგმის თანახმად, აშშ-ს მთავრობას მილიარდობით დოლარის ოდენობის უიმედო ვალი უნდა გამოესყიდა, რათა ბანკებს ისევ მისცემოდათ ნორმალურად ფუნქციონირების საშუალება და მომხდარიყო მათ მიმართ ნდობის აღდგენა.



## კრიზისის განვითარება

საბერძნეთმა და იტალიამ გადააჭარბეს 60 პროცენტთან თანაფარდობას მსპ-სთან მიმართებაში, რომელიც ევროკავშირის წევრობისთვის იყო საჭირო. 1990-იანი წლებში ორივე ქვეყანას ეს კოეფიციენტები მუდმივად 90 პროცენტზე მეტი ჰქონდა. 2007 წლისთვის ირლანდიამ, ესპანეთმა და პორტუგალიამ მოახერხეს ვალის კოეფიციენტების შემცირება 60-ზე დაბლა. ამ დროს, საპროცენტო განაკვეთების სპრედი ევროზონის სუვერენულ სესხზე შედარებით მცირე იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბაზრები არ ელოდნენ იმ ტიპის პრობლემებს, რასაც ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა წააწყდა პოსტკრიზისულ პერიოდში. ამასთან, პორტუგალიის, ესპანეთის, ირლანდიისა და საბერძნეთის კერძო სექტორის მიერ მოხდა სესხის აღების მკვეთრი ზრდა. 1998 წელს საბერძნეთში, შიდა კრედიტის წილი მსპ-სთან მიმართებაში 32 პროცენტით გაიზარდა და 2007 წელს 84% შეადგინა; პორტუგალიაში 81 პროცენტიდან 184 პროცენტამდე გაიზარდა, ირლანდიაში - 92 პროცენტიდან თითქმის 160 პროცენტამდე და ესპანეთში - 81 პროცენტიდან 168,5 პროცენტამდე. ამ შიდა საკრედიტო ბუმის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ბანკებს შეეძლოთ საერთაშორისო ბაზრებზე ევროს დაბალი პროცენტით სესხება.

ეს სესხები გამოყენებულ იქნა საცხოვრებელი ბინების და სამშენებლო სექტორის ბუმის დასაფინანსებლად და ხელი შეუწყო ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. როდესაც ფინანსური კრიზისი დაიწყო, კრედიტი „გაქრა“, საბინაო ბაზარი ჩამოიშალა და სამშენებლო სექტორმა დიდი ზარალი განიცადა. მთელ ევროპაში საბანკო სისტემები ცდილობდნენ დაეღვინათ რისკის ხარისხი, ზარალის პოტენციური ზომა და მოკლევადიანი დაფინანსების პრობლემების გადასაჭრელად სესხის აღების შესაძლებლობა. საბერძნეთის, ირლანდიის, ესპანეთისა და პორტუგალიის ქვეყნების დამოკიდებულება საერთაშორისო სესხის აღების შესაძლებლობაზე ნიშნავდა იმას, რომ ისინი ძალიან დაზარალდნენ საკრედიტო კრიზისის გამო. ამ ქვეყნების ბანკებმა, რომლებიც კრახის პირას იყვნენ, დახმარებისათვის მიმართეს ეროვნულ მთავრობებს. თუ მთავრობები ამ ბანკებს გაკოტრების უფლებას მისცემდა, მაშინ მოსახლეობის მიერ მიღებული ზარალი კოლოსალური იქნებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად ევროპის საბანკო სექტორზე. საკუთარი საბანკო სისტემის ხელშეწყობის მიზნით, მთავრობას მოუხდა მათთვის ფულადი დახმარების გაწევა, რაც, თავის მხრივ, მთავრობისგან ფისკალურ მოქნილობას მოითხოვდა.

კრიზისის შემდგომი რეცესიის მასშტაბებმა გავლენა მოახდინა საგადასახადო შემოსავლებსა და მთავრობის ხარჯებზე. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ესპანეთი და ირლანდია, საგადასახადო შემოსავლები შემცირდა სამშენებლო ინდუსტრიის შეკვეცის შედეგად, რომელიც კრიზისის წინა პერიოდში სახელმწიფო შემოსავლების უმნიშვნელოვანესი წყარო იყო. ამან, თავის მხრივ, გაზარდა ბიუჯეტის დეფიციტი. როდესაც ცხადი გახდა, რომ ამ მთავრობებმა სავარაუდოდ დაარღვიეს ევროკავშირის ფისკალური წესები და წარმოიქმნა საბანკო სისტემების ინტენსიური მხარდაჭერის საჭიროება,

ფინანსური ბაზრების ნდობა დაეცა, ხოლო საპროცენტო განაკვეთი ამ ქვეყნების სახელმწიფო ვალზე (sovereign debt) გაიზარდა.

**კვიპროსის კრიზისი** 2013 წლის მარტში კვიპროსში საბანკო სისტემა დაზარების პირას იყო. თითქმის ორი კვირის განმავლობაში ბანკებმა მთლიანად შეაჩერეს თავიანთი საქმიანობა. ამასობაში კი კვიპროსის მთავრობა ევროკავშირთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებას აწარმოებდა 5.8 მლრდ ევროს ოდენობის სესხის მიღების თაობაზე.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ კვიპროსის ბანკებმა განიცადეს მნიშვნელოვანი რესტრუქტურისა. ორკვირიანი იძულებითი შესვენებს შემდეგ, როდესაც ბანკები გაიხსნა, მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაწესდა ბანკებიდან ფულის გამოტანაზე. კონტროლი ასევე გაძლიერდა კვიპროსიდან ფულის გატანაზე. საფინანსო სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2015 წლის ივნისში დაამტკიცა კვიპროსისადმი ფინანსური დახმარება 280 მლნ ევროს ოდენობით. 2016 წლიდან სავალუტო ფონდის დახმარება შეწყდა, რაც გამოწვეული იყო კვიპროსის ეკონომიკაში მიღწეული პროგრესით.

**„სირია“ და მესამე დახმარების პროგრამა საბერძნეთში.** საბერძნეთში პროგრესი ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. 2015 წლის იანვარში მემარცხენე პარტიის, „სირიას“ გამარჯვებამ საპარლამენტო არჩევნებში განაპირობა ინტენსიური მოლაპარაკებების დაწყება საბერძნეთსა და მის კრედიტორებს - ECB-ს, გერმანიასა და სავალუტო ფონდს (IMF) შორის (მოხსენიებულია, როგორც „სამეული“). მოლაპარაკებები ძალიან რთულად მიმდინარეობდა, იყო პერიოდები, როდესაც საბერძნეთის გასვლა ევროზონიდან რეალური გახდა.

„სირია“ და მისი ლიდერი, ალექსის ციპრასი ქვეყანაში მკაცრი ეკონომიკის გატარების კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ. ახალი ტრანშის მიღების წინ ციპრასმა რეფერენდუმი დანიშნა კრედიტორებთან მოლაპარაკებების გაგრძელების თაობაზე. ამან გამოიწვია საბერძნეთის ბანკების ფულადი დახმარების გაყინვა, კაპიტალის კონტროლი და ბანკებიდან თანხის გატანის შეზღუდვა.

5 ივლისს ჩატარებულმა რეფერენდუმმა მხარი დაუჭირა ციპრასის პოზიციას შემდგომი რეფორმების გატარების უარყოფის თაობაზე, თუმცა 9 ივლისს ციპრასი მაინც გახდა იძულებული დაბრუნებოდა მოლაპარაკებების მაგიდას რეფორმების გაგრძელების თაობაზე, რის შედეგადაც მიღწეული იქნა შეთანხმება ფინანსური დახმარების მესამე ტრანშის მიღების შესახებ.

2015 წლის სექტემბერში ციპრასმა ახალი არჩევნები დანიშნა ხელშეკრულების პირობების გამო ქვეყანაში შექმნილი დიდი უკმაყოფილების ფონზე. თავად „სირია“-ში შეიქმნა განხეთქილება, რის შედეგადაც იგი ორ პარტიად გაიყო. მეორე პარტიაში გაერთიანდნენ ადამიანები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ამ ხელშეკრულებით საბერძნეთს დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს. თუმცა, როგორც ევროკავშირის კომისარმა, ჟან-კლოდ იუნკერმა

განაცხადა, ამ ხელშეკრულებას არ ჰყავდა გამარჯვებულები და დამარცხებულები. იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირიდან და საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული სესხებისა და დახმარებების საშუალებით მოხერხდა საბერძნეთის ეკონომიკის სტაბილიზაცია, დღეს ბევრი ეკონომისტი აღიარებს, რომ ამ ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური ზრდის დაწყებას კიდევ ბევრი წელი დასჭირდება.

**ევროპის ფინანსური სტაბილურობის ფონდი (EFSF) და ევროპული სტაბილურობის მექანიზმი (ESM)** საბერძნეთის ფინანსურმა კრიზისმა ევროპის ფინანსთა მინისტრებს უბიძგა 2010 წლის მაისში დაეარსებინათ ევროპის ფინანსური სტაბილურობის ფონდი (EFSF), რათა მხარი დაეჭირათ იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დეფოლტს განიცდიდნენ.

EFSF-მა კაპიტალის ბაზრიდან მოიზიდა სახსრები ობლიგაციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების გზით. შეგროვებული თანხა გადაეცა ქვეყნებს, რომლებიც დახმარებას ითხოვდნენ იმ პირობით, რომ ისინი რეფორმებს გაატარებდნენ.

თავდაპირველად დადგინდა, რომ აუცილებელი იყო 750 მილიარდი ევროს მოზიდვა.

ამ თანხებიდან გათვალისწინებული იყო საბერძნეთისთვის 110 მლრდ ევროს, ირლანდიისთვის - 85 მლრდ ევრო და პორტუგალიისთვის დაახლოებით 80 მლრდ ევროს გამოყოფა. EFSF-ის შექმნა დროებითი ღონისძიება იყო ფინანსური სირთულეების მქონე ქვეყნების მხარდაჭერის უფრო მუდმივი საშუალების შექმნამდე. EFSF-მა 2015 წლის ივნისში ფაქტიურად შეწყვიტა საქმიანობა, მაგრამ ჯერ კიდევ ფუნქციონირებს გაცემული სესხების დასაფარად და ობლიგაციების ფლობის მართვისთვის.

EFSF-ის ჩამნაცვლებელმა მუდმივმა სტრუქტურამ - სტაბილურობის ევროპულმა მექანიზმმა (ESM) ფუნქციონირება დაიწყო 2012 წლის ოქტომბერში.

ლუქსემბურგში დაფუძნებული ESM კლასიფიცირდება როგორც მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომლის კაპიტალი 704,8 მლრდ ევროა და მისი აქციონერი ევროზონის 19 წევრი ქვეყანაა. EFSF-ის მსგავსად, ESM აგროვებს სახსრებს კაპიტალის ბაზრებზე და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად ურთიერთობს იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც დახმარებას ითხოვენ.

სამომავლოდ ESM იქნება წევრი ქვეყნების პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება და იმუშავებს როგორც მონეტარული, ისე ფისკალური პრობლემების გადასაჭრელად. ESM დახმარებას გასცემს იმ მხოლოდ შემთხვევაში, თუ დახმარების მიმღები წევრი სახელმწიფო თანახმაა განახორციელოს ფისკალური და სტრუქტურული რეფორმები. სტრუქტურული რეფორმა გულისხმობს შრომისა და კაპიტალის ბაზრის ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ეკონომიკის ეფექტიანობი გაუმჯობესებას. ESM-ის მხარდაჭერის ერთ-ერთი ელემენტია წევრი ქვეყნის მდგომარეობისა და ევროზონის საერთო სტაბილურობის

გათვალისწინება. თუ ჩაითვლება, რომ ევროზონის ფინანსური სტაბილურობა საფრთხის წინაშეა, მაშინ ESM-ს შეუძლია ევროზონაში შემავალ ქვეყნებს დახმარება გაუწიოს.

## გამკაცრების პოლიტიკა - ძალიან შორს ძალიან სწრაფად?

სახელმწიფო ვალის კრიზისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია მრავალი ქვეყნის მიერ მკაცრი ეკონომიის პროგრამების მიღება - სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, გადასახადების ზრდა და სტრუქტურული რეფორმები. ადვილია იმის თქმა, რომ თუ ქვეყანა ძალიან ბევრს სესხს იღებს და აქვს ვალის პრობლემები, მან უნდა შეამციროს ხარჯები და გაზარდოს შემოსავლები, თუმცა პრაქტიკაში ასეთი პოლიტიკის გატარება ძალიან რთულია. მას შედეგად მოსდევს ეროვნული შემოსავლის შემცირება და უმუშევრობის ზრდა.

მაგალითად, თუ საბერძნეთი და სხვა მსგავსი ქვეყანა განიცდის მსკ ზრდის სუსტ ან უარყოფით ტემპებს, მაშინ სესხის დასაფარად აუცილებელი საგადასახადო შემოსავლების მიღების და ეკონომიკაში სახსრების ინვესტირების შესაძლებლობები შეზღუდულია. ასეთ პირობებში ფირმების ფუნქციონირება რთულდება და კორპორატიული სესხის გადახდის ალბათობა მცირდება. კორპორატიული ობლიგაციების განაკვეთების გაზრდა ხელს შეუშლის ფირმების მიერ ახალი სესხების აღებას, რაც კიდევ უფრო შეზღუდავს ეკონომიკის მწარმოებლურ შესაძლებლობას. ასეთ რთულ სიტუაციაში, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის პერიფერიული ქვეყნები აღმოჩნდნენ.

**მკაცრი ეკონომია დიდ ბრიტანეთში.** დიდ ბრიტანეთს ასევე ჰქონდა სესხის პრობლემა, რომლის შემცირების პირობა 2010 წელს არჩეულმა კოალიციურმა მთავრობამ დადო. სახელმწიფო ხარჯების შეკვეცამ და გადასახადების გადიდება გამოიწვია სუსტი ეკონომიკური ზრდა, რომელიც 2012 წლიდან საშუალო წლიურად დაახლოებით 2.0 პროცენტს შეადგენდა.

ბევრი ეკონომისტი თანხმდებოდა იმაზე, რომ დიდი ბრიტანეთის სესხის პრობლემის გადაჭრა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მკაცრი ეკონომიის ზომების გატარება სუსტი გლობალური ეკონომიკური ზრდის პირობებში არ იყო სწორი. პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

## სტრუქტურული და ციკლური დეფიციტები

სახელმწიფო (საჯარო) სექტორის დეფიციტზე ყურადღების ფოკუსირება განაპირობებს ციკლურ და სტრუქტურულ დეფიციტებს შორის განსხვავების დადგენი აუცილებლობას.

ციკლური დეფიციტი ხდება მაშინ, როდესაც მთავრობის ხარჯებსა და შემოსავალს შორის ბალანსი ირღვევა „ნორმალური“ ეკონომიკური ციკლის პირობებში.

ძლიერი ეკონომიკური ზრდის პირობებში მთავრობის საგადასახადო შემოსავალი გაიზრდება, სოციალურ უზრუნველყოფაზე და შეღავათებზე გაწეული ხარჯები კი შემცირდება. შედეგად სახელმწიფო ფინანსები გახდება პროფიციტული (ან დეფიციტი შემცირდება მნიშვნელოვნად). ეკონომიკური შენელების (ვარდნის) დროს პირიქით ხდება - ბიუჯეტის დეფიციტის ზომა იზრდება (ან პროფიციტი მცირდება). სტრუქტურული დეფიციტი გულისხმობს სიტუაციას, როდესაც დეფიციტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური ციკლის მოძრაობაზე, მაგრამ მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობა "ცხოვრობს თავის შესაძლებლობებს მიღმა" - ხარჯავს იმას, რაც არ აქვს. ეკონომისტების შეხედულებები სტრუქტურული დეფიციტის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ განსხვავებულია. ქვემოთ მოცემულია ორივე მხარის არგუმენტების მოკლე შეჯამება.

### **არგუმენტი 1: პოლიტიკოსებს სჭირდებათ სტრუქტურული დეფიციტის აღმოფხვრა.**

სტრუქტურული დეფიციტის არსებობა გულისხმობს, რომ სახელმწიფო ფინანსები კიდევ უფრო გაუარესდება ეკონომიკის რეცესიაში შესვლისას, რაც მოითხოვს სესხის მოცულობის გაზრდას და გრძელვადიან პერიოდში პრობლემებს შეუქმნის ეკონომიკის მდგრადობას. ეს ცხადი გახდა 2010 წელს დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მაგალითზე, რომელიც შეიქმნა ნაწილობრივ იმის გამო, რომ მთავრობამ აიღო ვალდებულება ძალიან ბევრი თანხა დაეხარჯა მომავალ "უკეთეს დროში".

მაღალი დეფიციტის პირობებში, მთავრობების მიერ ვალის გადაუხდელობის (დეფოლტის) რისკი მატულობს; მათ სულ უფრო მეტად გაუჭირდებათ დავალიანების გადახდა და მათი ხარჯები გაიზრდება. ეს ასევე ქმნის გაურკვეველობას ფინანსურ ბაზრებზე და საფრთხეს უქმნის ევროს სტაბილურობას. შედეგად, ფისკალური კონსოლიდაცია აუცილებელია გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის არასტაბილურობის შესამცირებლად და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად. ეს ფისკალური კონსოლიდაცია, უფრო უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ხარჯების შემცირებით, ვიდრე გადასახადების გაზრდით, ვინაიდან ამ უკანასკნელმა შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებას და ინვესტიციებს.

### **არგუმენტი 2: სტრუქტურული დეფიციტის იდეა არის მითი.**

ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ მთავრობის დეფიციტის სტრუქტურული ხასიათის შესახებ იდეა არის მითი. არსებობს მოსაზრება, რომ მთავრობებს უფრო მეტი სესხის აღება სჭირდებათ შემოსავლისა და ხარჯების შორის არსებული განსხვავების, ე.წ. „გეპ“-ის (gap) გამო. რამდენად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მთავრობების მიერ ფულის სესხების ერთადერთ მიზეზს წარმოადგენს რეცესიით გამოწვეული სახელმწიფო ფინანსების ცვლილებები? სტრუქტურული დეფიციტის ცნება გულისხმობს, რომ ეს არის თანხა, რომელსაც მთავრობები სესხულობენ, როდესაც ეკონომიკა ტრენდულ დონეზე მუშაობს.

პრობლემა ისაა, რომ მნიშვნელოვანი უთანხმოება არსებობს გამოშვების გეპის ზომის შესახებ. მრავალი კვლევის საფუძველზე, რომლითაც დადგენილია ეკონომიკური ვარდნის

გამოშვების გეპზე ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასება, მიღებულია განსხვავებული შედეგები.

დიდ ბრიტანეთში, IFS-ის შეფასებით, 2008 წლიდან ეკონომიკური ვარდნის მიერ გამოწვეულმა გამოშვების დანაკარგებმა 7,5 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა ხაზინა 5 პროცენტიან დანაკარგს აფიქსირებდა. სხვა შეფასებებით კი გეპი მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენდა.

გამოშვების გეპის ზომა მნიშვნელოვანია, რადგან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს დეფიციტის ციკლურ კომპონენტზე - რაც უფრო დიდია გამოშვების გეპი, მით უფრო დიდი იქნება ციკლური კომპონენტი და მით უფრო მცირე - სტრუქტურული. იგი ასევე ზემოქმედებს სესხის ზომის შეფასებაზე. დეფიციტის გაანგარიშება ემყარება ორ დაშვებას: პირველი, გადასახადების მგრძობელობის შესახებ და მეორე - მსპ-ს ცვლილებასა და როგორც საგადასახადო შემოსავლების, ასევე სამთავრობო ხარჯების ცვლილებას შორის კორელაციის არსებობის შესახებ.

როგორ იზრდება საგადასახადო შემოსავლები მსპ-ს ცვლილებებთან მიმართებაში? ეს ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება იმ ადამიანების რაოდენობაზე, რომელთაც სწრაფად შეეძლება იპოვონ სამუშაო ეკონომიკის გაფართოებისთანავე; ასევე იმაზეც, თუ რამდენად შემცირებულია მოცემულ მომენტში პოტენციური გამოშვება.

**შემოწმებისთვის:** ახსენით რატომ შეიძლება გავლენა იქონიოს არაზუსტმა ინფორმაციამ ეკონომიკური ზრდის პროგნოზზე და, შესაბამისად, მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტის ზომაზე.

## ფისკალური კონსოლიდაცია

საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემა მუდმივად წარმოადგენს მაკროეკონომიკური დებატების საგანს. მკაცრი ეკონომიის ღონისძიებები გულისხმობს, რომ მთავრობებმა უნდა მოახდინონ ფისკალური პოლიტიკის კონსოლიდაცია დეფიციტის შესამცირებლად და "საბუღალტრო წიგნების დაბალანსება". მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, 2015 წელს არჩეული კონსერვატიული მთავრობის ფინანსთა სამინისტროს კანცლერმა ჯორჯ ოსბორნმა არაერთხელ მოიხსენია "ბიუჯეტის დაბალანსება" და 2015 წლის ივნისში განაცხადა, რომ უნდა იქნას მიღებული კანონი, რომელიც მომავალ მთავრობებს მოსთხოვს ბიუჯეტის პროფიციტის შენარჩუნებას ეკონომიკის ზრდის პირობებში.

უნდა შეეცადოს თუ არა მთავრობა ბიუჯეტების დაბალანსებას, ეს ეკონომისტებს შორის კამათის საფუძველია. ფინანსურ ბაზრებზე ჩატარებულმა ჩვენმა კვლევამ აჩვენა, თუ როგორ მოქმედებს ბიუჯეტის დეფიციტი დანაზოგებზე, ინვესტიციებზე და სარგებლის (საპროცენტო) განაკვეთებზე. რამდენად დიდი პრობლემა შეიძლება იყოს ბიუჯეტის დეფიციტი?

**არგუმენტი 1: მთავრობამ უნდა დააბალანსოს თავისი ბიუჯეტი.** როდესაც მთავრობა ვერ აბალანსებს თავის ბიუჯეტს, მას სესხის აღება სჭირდება ობლიგაციების გამოშვების გზით დეფიციტის შესავსებად.

მაღალი და მზარდი სახელმწიფო ვალის პირდაპირი შედეგია მომავალი თაობების, როგორც გადასახადის გადამხდელთა ტვირთის ზრდა. ვალების და დაგროვილი პროცენტების გადახდის ვადის დადგომისას მომავალი გადამხდელები რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდებიან. მათ შეეძლება გადაიხადონ უფრო მაღალი გადასახადები, ისარგებლონ უფრო ნაკლები სახელმწიფო ხარჯებით, ან ორივე ერთად, რათა რესურსები ხელმისაწვდომი გახადონ სესხისა და დაგროვილი პროცენტის დასაფარად.

მეორე ვარიანტია ანგარიშსწორების ვადის გადადება, რითაც მთავრობის დავალიანება კიდევ უფრო გაიზრდება. ასეთმა რთულმა მემკვიდრეობამ დიდ სესხებთან მიმართებაში შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეამციროს მომავალი თაობების ცხოვრების დონე.

ამ პირდაპირი ეფექტის გარდა, ბიუჯეტის დეფიციტს აქვს სხვა უარყოფითი მაკროეკონომიკური ეფექტებიც. იმის გამო, რომ ბიუჯეტის დეფიციტი წარმოადგენს უარყოფით სახელმწიფო დანაზოგს, ის ამცირებს ეროვნულ დანაზოგს (კერძო და საზოგადოებრივი დანაზოგების ჯამი). შემცირებული ეროვნული დანაზოგი იწვევს რეალური საპროცენტო განაკვეთების ზრდას და ინვესტიციების შემცირებას. შემცირებული ინვესტიცია დროთა განმავლობაში იწვევს კაპიტალის უფრო მცირე მარაგს. კაპიტალის მცირე მარაგი ამცირებს შრომის მწარმოებლურობას, რეალურ ხელფასებს და ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების წარმოებას. ამრიგად, როდესაც მთავრობა ზრდის თავის დავალიანებას, მომავალ თაობებს აქვთ დაბალი შემოსავლები და უფრო მაღალი გადასახადები.

მიუხედავად ამისა, არსებობს სიტუაციები, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტის მართვა გამართლებულია. ისტორიის განმავლობაში, სახელმწიფო ვალის გაზრდის ყველაზე გავრცელებული მიზეზი არის ომი. როდესაც სამხედრო კონფლიქტი დროებით ზრდის სახელმწიფო ხარჯებს, გონივრულია, რომ ეს დამატებითი ხარჯები დაფინანსდეს სესხის აღებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადასახადები ომის დროს მკვეთრად უნდა გაიზარდოს, რაც საერთო დანაკარგების ზრდას გამოიწვევს. გარდა ამისა, გადასახადის გადამხდელთა იმჟამინდელი თაობების მიმართ ასეთი მაღალი გადასახადის განაკვეთები უსამართლო იქნება, რაც ომის შედეგებს კიდევ უფრო დაამძიმებს.

ანალოგიურად, მიზანშეწონილია ბიუჯეტის დეფიციტის დაშვება ეკონომიკური აქტიურობის დროებითი ვარდნის დროს. როდესაც ეკონომიკა რეცესიაში გადადის, საგადასახადო შემოსავლები ავტომატურად მცირდება, რადგან ხდება საგადასახადო ბაზის შეკვეცა, ხოლო ისეთი სატრანსფერო გადასახდელი, როგორცაა უმუშევრობის დახმარება, იზრდება.

ხალხი ასევე ხარჯავს ნაკლებს, რის გამოც მთავრობის შემოსავალი არაპირდაპირი გადასახადებიდანაც შემცირდება. თუ მთავრობა შეეცდება რეცესიის პერიოდში დაბალანსოს ბიუჯეტი, მას მოუწევს გადასახადების გაზრდა, ხარჯების შემცირება ან ორივე ერთად მაღალი უმუშევრობის დროს. ასეთი პოლიტიკა მიზნად ისახავს AD-ს შემცირებას იმ დროს, როდესაც საჭიროა სტიმულირება. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპები ეცემა. როდესაც ეკონომიკა აღდგენის ფაზაში გადავა, მოხდება პირიქით - ეკონომიკური აქტიურობის ზრდის დროს საგადასახადო შემოსავლები გაიზრდება და სატრანსფერო გადასახდელები შემცირდება. ამიტომ, სასურველია, მთავრობას ჰქონდეს ბიუჯეტის პროფიციტი (გარდამეტი) და ეს თანხები გამოიყენოს რეცესიის დროს ბიუჯეტის დეფიციტით გამოწვეული ვალების დასაფარავად; „სახურავის შეკეთება მაშინ, როდესაც მზე ანათებს” - განაცხადა კანცლერმა ოსბორნმა 2015 წელს.

ამგვარად, ომების გარდა, ბიზნეს ციკლის განმავლობაში, დაუბალანსებელი ბიუჯეტის არსებობის რაიმე ობიექტური საბაზი არ არსებობს. თუ რეცესიის პერიოდში მთავრობას აქვს ბიუჯეტის დეფიციტი, მას უნდა ჰქონდეს პროფიციტული სალდო, როდესაც ეკონომიკა აღდგება, რათა ბიუჯეტი დაბალანსდეს. მიმდინარე ბიუჯეტის დეფიციტის ალტერნატივასთან შედარებით, დაბალანსებული ბიუჯეტი - ან, სულ მცირე, ბიუჯეტი, რომელიც დაბალანსებულია ეკონომიკური ციკლის განმავლობაში - ნიშნავს უფრო მეტ დაზოგვას, ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის მომავალი კურსდამთავრებულები უფრო წარმატებულ ეკონომიკაში შევლენ.

**არგუმენტი 2: მთავრობამ არ უნდა დაბალანსოს მისი ბიუჯეტი.** სახელმწიფო ვალის პრობლემა ხშირად გაზვიადებულია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალი საგადასახადო ტვირთია ახალგაზრდა თაობებისთვის, ის ხშირად არცთუ ისე დიდია იმ შემოსავლთან შედარებით, რომელსაც ადამიანი საშუალოდ ცხოვრების მანძილზე იღებს. არგუმენტები მთავრობის ბიუჯეტის დაბალანსების საკითხის სასარგებლოდ ეფუძნება ერთი ადამიანის ან შინამეურნეობის (საოჯახო მეურნეობის) ეკონომიკის მისადაგებას მთლიან ეკონომიკასთან. უმეტეს ჩვენთაგანს სურს დაუტოვოს ანდერძი მეგობრებს, ნათესავებს ან ნებისმიერ საქველმოქმედო ორგანიზაციას იმის შესახებ, რომ სიკვდილის შემდეგ მას არ რჩება რაიმე ვალი. ადამიანებისგან განსხვავებით, ეკონომიკური ცხოვრება არ სრულდება, გარკვეულწილად ის მუდმივია, ამიტომ არასდროს არსებობს სესხის სრულად დაფარვის საფუძველი.



ბიუჯეტის დეფიციტის კრიტიკოსები ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ მთავრობის ვალი ვერ გაგრძელდება სამუდამოდ, მაგრამ სინამდვილეში ამას შეიძლება გარკვეული შედეგები ჰქონდეს. ისევე როგორც ბანკი, რომელიც შეაფასებს სესხის განაცხადს, შეადარებს პირის დავალიანებას მის შემოსავალთან, ჩვენ ასევე უნდა შევაფასოთ სახელმწიფო ვალის ტვირთის თანაფარდობა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის სიდიდესთან. მოსახლეობის ზრდა და ტექნოლოგიური პროგრესი დროთა განმავლობაში ზრდის ეკონომიკის მთლიან შემოსავლს. შედეგად, იზრდება ქვეყნის შესაძლებლობა გადაიხადოს სახელმწიფო ვალის პროცენტები. ყურადღება უნდა გამახვილდეს არა სესხის მთლიან ოდენობაზე, არამედ სესხისა და შემოსავლის თანაფარდობაზე. სანამ ეს მაჩვენებელი არ გაიზრდება, მანამდე ვალის დონე მისაღები რჩება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ სახელმწიფო ვალის დონე უფრო ნელა იზრდება, ვიდრე ეროვნული შემოსავალი, ეკონომიკის სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება.

დავუშვათ, რომ ეკონომიკის გამოშვება იზრდება წელიწადში საშუალოდ დაახლოებით 3%-ით. თუ ინფლაციის საშუალო დონის მაჩვენებელი წელიწადში 2%-ს შეადგენს, მაშინ ნომინალური შემოსავალი წლიურად 5%-ით იზრდება. სახელმწიფო ვალი, შესაბამისად, შეიძლება გაიზარდოს 5%-ით ყოველწლიურად.

უფრო მეტიც, შეცდომაა ბიუჯეტის დეფიციტის შედეგების ცალკე განხილვა. ბიუჯეტის დეფიციტი მხოლოდ ერთი დიდი სურათის ნაწილია იმის შესახებ, თუ როგორ ირჩევს მთავრობა ფულის შეგროვებას და ხარჯვას. ფისკალური პოლიტიკის შესახებ ამ გადაწყვეტილებების მიღებისას, პოლიტიკოსები სხვადასხვა გზით გავლენას ახდენენ გადასახადის გადამხდელთა მომავალ თაობებზე. მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტი ან გარდამეტი განხილულ უნდა იქნას ამ პოლიტიკასთან ერთად. მაგალითად, დავუშვათ, რომ მთავრობა ამცირებს ბიუჯეტის დეფიციტს სახელმწიფო ინვესტიციების, მაგალითად, განათლებაზე ხარჯების შემცირებით. ახდენს თუ არა ეს პოლიტიკა ახალგაზრდა თაობების კეთილდღეობაზე გავლენას? მთავრობის ვალი უფრო მცირე იქნება, როდესაც ისინი შევლენ სამუშაო ძალაში, რაც ნიშნავს მცირე საგადასახადო ტვირთს. თუ ისინი ნაკლებად განათლებულნი იქნებიან, ვიდრე მათ შეეძლოთ, მათი მწარმოებლურობა და შემოსავლები დაბალი იქნება. სკოლაში სწავლის შესახებ სხვადასხვა შეფასებებზე დაყრდნობით (მშრომელთა ხელფასების ზრდა, რომელიც სკოლაში დამატებით ერთ წელს სწავლობს) შეიძლება ვთქვათ, რომ გავლენა საკმაოდ დიდია. ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, განათლებაზე ხარჯების ზრდის ნაცვლად, ყველაფრის გათვალისწინებით, შესაძლოა მომავალი თაობების მდგომარეობას აუარესებდეს. აუცილებელია განვასხვაოთ სესხის აღება ინვესტიციის დასაფინანსებლად (რაც ხელს შეუწყობს მომავალში ეკონომიკის საწარმოო პოტენციალის (სიმძლავრეების) ზრდას) და სესხის აღებას მთავრობის მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად (როგორცაა სახელმწიფო სექტორის მუშაკთა ხელფასები).

დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი მიმდინარე ხარჯების მიხედვით დაბალანსებული იქნება ეკონომიკური ციკლის განმავლობაში, ითვალისწინებს ავტომატური

სტაბილიზატორების ეფექტს, როგორცაა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ზრდა და საგადასახადო შემოსავლების შემცირება, რაც ავტომატურად ხდება რეცესიის დროს (პირიქით ხდება ბუმის დროს). ამგვარად, იგი ხელს უწყობს ეკონომიკური რყევების შერბილებას. ბიუჯეტის დეფიციტის დაშვება საინვესტიციო ხარჯებისთვის გონივრულია. მართალია, ეს იწვევს სახელმწიფო ვალის ზრდას, მაგრამ შემდგომში განაპირობებს ინვესტიციების ზრდას, განათლების, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების და ა.შ. კუთხით. იმის მტკიცება, რომ მთავრობამ უნდა დააბალანსოს თავისი ბიუჯეტი განურჩევლად ეკონომიკური ციკლისა და ხარჯების სახეობების მიუხედავად, ზედმეტად მარტივია.

## სიმკაცრე თუ ზრდა?

ზემოთ მოყვანილი არგუმენტები განაპირობებს კამათს მკაცრი პოლიტიკის მნიშვნელობის შესახებ. ზოგიერთის აზრით, მსგავსი პოლიტიკა კონტრპროდუქტიულია.

დიდ ბრიტანეთში სესხების წლიური მოცულობა 2010 წლიდან შემცირდა და 2015 წლის აპრილიდან დეკემბრამდე 74.2 მლრდ გირვანქა სტერლინგი შეადგინა, რაც 11.0 მლრდ გირვანქა სტერლინგით ნაკლები იყო, ვიდრე 2014 წლის ანალოგიურ პერიოდში. ეს მაჩვენებლები უკეთესია, ვიდრე 153 მლრდ ფუნტი სტერლინგი 2009-10 წლებში. თუმცა, კანცლერი დადგა გამოწვევის წინაშე - 2020 წლისთვის უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ფინანსების მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც იყო 2015 წლის წინასაარჩევნო დანაპირები. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ კონსერვატიულმა მთავრობამ ძალიან სწრაფად მიიღო მკაცრი ეკონომიის რეჟიმი, რომლის შედეგადაც ეკონომიკა შესუსტდა, ხოლო სესხი და დეფიციტი ისე არ შემცირებულა, როგორც დაგეგმილი იყო. რა იწვევდა აზრთა ასეთ სხვადასხვაობას?

ერთი მიზეზია ის დაშვებები, რომლებიც ემყარება მკაცრი ეკონომიის ეფექტის გაანგარიშებისას გამოყენებულ მოდელებს

დიდ ბრიტანეთში საბიუჯეტო პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი ოფისი (independent Office for Budget Responsibility - OBR) თავისი გამოთვლების დროს ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ფისკალური მულტიპლიკატორი არის 0,5. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო ხარჯების 1 ფუნტი სტერლინგით შემცირება გამოიწვევს ეკონომიკაში წარმოების მოცულობის 50 პენსით შემცირებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასების მიხედვით, ამ ფისკალური მულტიპლიკატორების ზომა გაცილებით მაღალია - სადაღაც 0.9-დან 1.7-მდე. ფისკალური მულტიპლიკატორის ამ შეფასების მიხედვით, ეკონომიკაზე გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ანალიზის თანახმად, სამთავრობო შეკვეცის (government's cuts) შედეგი 5 წლის განმავლობაში მსკ-ს დაახლოებით 8 პროცენტი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ფისკალური მულტიპლიკატორი 1.3-ის, ანუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დიაპაზონის საშუალოს ტოლი იქნებოდა.

**არგუმენტი მკაცრი ეკონომიის სასარგებლოდ.** ქვეყნებმა უნდა მიიღონ ზომები საჯარო ფინანსების კონტროლის განსახორციელებლად. თუ იქნება სესხების გაზრდის მცდელობები რეცესიიდან გამოსასვლელად, ეს გამოიწვევს ინფლაციის ზრდას, სესხის ღირებულების ზრდას ევროკავშირის მასშტაბით და შემდგომ გაურკვევლობას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მთლიანად ევროზონას. ასევე არსებობს ზნეობრივი განზომილება მკაცრი ეკონომიის აუცილებლობის თვალსაზრისით - არ არის სამართლიანი იმის მოლოდინი, რომ იმ ქვეყნების გადამხდელებმა, რომლებმაც შეინარჩუნეს მკაცრი ფისკალური პოზიცია და შეასრულეს ევროზონის წესები, ხაჯები გაიღონ სხვა ქვეყნების მთავრობების არასწორი ქცევის გამო.

მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში მკაცრი ეკონომიის შედეგები მნიშვნელოვანია, მაგრამ სტრუქტურული რეფორმებიდან, საიმედო ფინანსებიდან, უფრო ძლიერი საბანკო სექტორიდან მიღებული გრძელვადიანი სარგებელი ნიშნავს, რომ ევროპის ყველა ქვეყანა იქნება უფრო კონკურენტუნარიანი, ძლიერი და მომავალში შეძლებენ უფრო მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

**არგუმენტი ზრდის სასარგებლოდ.** ევროპის წინაშე არსებული პრობლემების ძირითადი მიზეზი ფინანსური სისტემიდან მომდინარეობს და არა სამთავრობო ვალიდან. ეკონომიკური შენელების დროს მკაცრი ეკონომია მნიშვნელოვნად აისახება ეკონომიკაზე და კიდევ უფრო ღრმავდება ეკონომიკაში კრედიტის არარსებობის გამო. ადეკვატური დაკრედიტების გარეშე სამომხმარებლო ხარჯები და ბიზნესის ინვესტიციები შემცირდება და გამოიწვევს ხანგრძლივ ეკონომიკურ დეპრესიას. თუ წარმოების მოცულობა შემცირდება, საგადასახადო შემოსავლებიც შემცირდება, ხოლო მთავრობის ხარჯები და შეღავათები გაიზრდება. ეს, რატომ უნდა, არ შეამსუბუქებს სავალო კრიზისს. პირიქით - მთავრობები იძულებულნი იქნებიან უფრო მეტი სესხი აიღონ. ვალის კრიზისის გადაჭრის ერთადერთი გზა ეკონომიკური ზრდის მიღწევაა. მთავრობებმა უნდა აირჩიონ ხარჯების სტიმულირების კეინსიანური მოდელი.

უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა გამოიწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, უმუშევრობის შემცირებას და, შესაბამისად, სოციალურ დახმარებებზე მთავრობის ხარჯების შემცირებასაც, რაც ამცირებს სესხის საჭიროებას.

## საკითხის მოგვარება?

დებატები მკაცრი ეკონომიისა და ეკონომიკურ ზრდის შესახებ ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. შეცდომა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ეს არის უბრალოდ დავა სხვადასხვა შეხედულებათა შორის - ვინც ყველაფრის ფასად მოითხოვს მკაცრი ეკონომიის შენარჩუნებას და ვისაც სურს უარი თქვას მკაცრ ეკონომიაზე და ემხრობა ზრდას. ევროკავშირის კომისიამ 2013 წლის გაზაფხულზე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც

არნიშნავდა, რომ მკაცრი ეკონომიის პოლიტიკასა და ზრდას შორის წინააღმდეგობა არ არსებობს.

კომისია ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ვალის განაწილების (სპრედის) მასშტაბი მიუთითებდა ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან დეფოლტის საფრთხის შესახებ ლეგიტიმურ შეშფოთებაზე. თუმცა იქვე დაადასტურა, რომ სპრედის მასშტაბების ზრდას ასევე ჰქონდა სპეკულაციური მიზეზები. მან ასევე მიუთითა

იგი ასევე მიუთითებს ECB-ს მიერ გამოყენებულ პირდაპირ მონეტარულ ტრანზაქციებზე (OMT), სადაც ECB ყიდულობს ევროპის დავალიანების მქონე ქვეყნების ობლიგაციებს. ეს არა მხოლოდ ხელს შეუწყობს სესხის მომსახურების შემცირებას, არამედ ასევე სიგნალს მისცემს ბაზარს ევროს დასაცავად. ამგვარი პოლიტიკის სანდოობისთვის აუცილებელია სტრუქტურული რეფორმები და ფისკალური კონსოლიდაცია. სტრუქტურული რეფორმები, როგორცაა შრომისა და საქონლის ბაზრების მოქნილობის გაუმჯობესება, ხელს შეუწყობს ხელფასებისა და ფასების სიხისტის შემცირებას. გატარებული ღონისძიებებიდან სარგებლის მოტანას დასჭირდება გარკვეული დრო, თუმცა ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ევროპა კონკურენტუნარიანი იყოს გლობალურ ეკონომიკაში.

## ახალი ამბებიდან

### ირლანდია

ირლანდია იყო ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ფინანსური კრიზისის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა. ის ცდილობდა გადარჩენას და ამისთვის შემოიღო მკაცრი ეკონომიის პოლიტიკა. იყო ეს პოლიტიკა მამოძრავებელი ძალა ქვეყნის ეკონომიკის წარმატებული აღდგენისთვის?

### ირლანდია და ეკონომიკის აღდგენა

ფინანსური კრიზისის შედეგად (2007 წლიდან 2009 წლამდე ამ ქვეყნის ეკონომიკა 11%-ზე მეტად შემცირდა) ირლანდიის მთავრობას მოუწია ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან 64 მლრდ ევროს ოდენობის დახმარების მოძიება. მკაცრმა პოლიტიკამ ირლანდიაში ბევრს მიიმე დარტყმა მიაყენა - უმუშევრობა 2007 წლის 4.5%-დან 2010-2011 წლებში 15%-ზე უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო შემდგომ, 2016 წელს შემცირდა დაახლოებით 8,6 პროცენტამდე.

ირლანდია ფინანსური დახმარების პროგრამიდან გამოვიდა 2013 წელს და ამ წელს სახელმწიფო ვალმა ქვეყნის მსკ-ს 120%-ს მიაღწია. 2014 წლიდან იწყება ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების პროცესი, რაც ნაწილობრივ აიხსნება მთავრობის მიერ მკაცრი ეკონომიის პოლიტიკის გატარებით. ასევე გაიზარდა ქვეყნის მიმზიოდველობა ისეთი გლობალური კორპორატიული გიგანტებისთვის, როგორცაა Apple, Facebook, Google და Pfizer.

ეს მიმზიოდველობა შეიძლება აიხსნას 12.5 პროცენტის კორპორატიული გადასახადის განაკვეთით. ამ ფორმებისთვის ირლანდიას ბევრი სხვა უპირატესობაც ჰქონდა - სამუშაო ძალა კარგად იყო განათლებული, მიწოდება იყო დიდი, ხოლო ევროს შედარებით სისუსტე ეხმარებოდა ექსპორტს. 2016 წლის დასაწყისში, ერთ-ერთმა ცნობილმა საკრედიტო სარეიტინგო სააგენტომ Fitch- მა, გააუმჯობესა ირლანდიის სახელმწიფო ვალის რეიტინგი A- (მინუსი)- დან A-მდე. მკაცრი ეკონომიის პროგრამაში აღნიშნა, რომ "მთავრობებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ხალხის გვერდით ყოფნა და მისთვის პრობლემის ხასიათის, არსის და მასთან გამკლავების გეგმისა და სტრატეგიის ახსნა" (Irish Taoiseach, Enda Kenny). ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის ის გზა, რომელიც ირლანდიამ აირჩია, მისაბამი მაგალითი იყო ქვეყნებისათვის, რომლებიც ანალოგიურად დაზარალდნენ კრიზისისგან, თუმცა ვერ მოახერხეს ეკონომიკური ზრდის მიღწევა და სესხების შემცირება, როგორც ეს ირლანდიამ მოახერხა.

## კითხვები

1. როგორ ფიქრობთ, Irish Taoiseach-მა რატომ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ "მთავრობებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ხალხის გვერდით ყოფნა და მისთვის პრობლემის ხასიათის, არსის და მასთან გამკლავების გეგმისა და სტრატეგიის ახსნა" ევროკავშირის ფინანსური დახმარების პროგრამის წარმატებით შესრულების თვალსაზრისით?
2. რატომ არ აქვთ ირლანდიისა და საბერძნეთის მთავრობებს მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღების გარდა სხვა არჩევანი, თუკი ისინი აპირებენ საკუთარი ფინანსური სისტემის მიმართ ნდობის აღდგენას?
3. რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო ვალის შემცირება მისი მართვისთვის?
4. რატომ არის მიმზიდველი კორპორაციული გადასახადის დაბალი განაკვეთი მსხვილი იურიდიული პირებისთვის (Apple, Google და სხვ.)? რამდენად არის ეს ძირითადი მიზეზი ირლანდიაში მათი საქმიანობის გაფართოებისთვის?
5. თქვენი აზრით, რა იყო ირლანდიის ეკონომიკის ფინანსური კრიზისიდან სწრაფი გამოსვლის მნიშვნელოვანი მიზეზი?

## შეჯამება

- ) ბიზნეს ციკლების გარდა, ეკონომიკაში ასევე შესაძლოა არსებობდეს ფინანსური ციკლები, რომლებსაც უფრო გრძელი ამპლიტუდის ტენდენციები აქვთ.
- ) ფინანსური აქსელერატორის (ამაჩქარებლის) თეორიაში ნათქვამია, რომ ფინანსურ ბაზრებზე არსებული პრობლემები აძლიერებს შოკურ ზემოქმედებას რეალურ ეკონომიკაზე. ხელსაყრელმა ეკონომიკურმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკების და შინამეურნეობების მიერ რისკის ალების ზრდა და ვალის დონე გაიზარდოს. მიუხედავად იმისა, რომ აქტივების ფასები იზრდება, ფინანსური სექტორი და რეალური ეკონომიკა სესხის გაფართოებით სარგებელს იღებენ.
- ) საბოლოო ჯამში, აქტივების ფასების დაცემისას, საბანკო სექტორზე და შინამეურნეობებზე გავლენა შეიძლება იყოს ძლიერი და ფინანსური კრიზისებიდან გამოსვლა, როგორც წესი, გაცილებით დიდხანს გაგრძელდეს, ვიდრე საქმიანი ციკლების დაცემა რეალური ეკონომიკური შოკის გამო.
- ) ინფლაციის თარგეთირება შეიძლება ფინანსური კრიზისის ხელშემწყობი ფაქტორი გახდეს იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ბანკები ყურადღებას ამახვილებდნენ ინფლაციაზე და - არა სესხზე ან აქტივების ფასების ზრდაზე.
- ) ცენტრალური ბანკებისა და მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობა კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა ფინანსური კრიზისის წინა პერიოდში მათი პასიური მოქმედების გამო. საბანკო სისტემების რეგულირების რეფორმირების საკითხი კვლავ დღის წესრიგში რჩება.
- ) სახელმწიფო ვალის კრიზისი წარმოადგენდა ფინანსური კრიზისის შედეგს. კრიზისში მყოფი ქვეყნები იძულებულნი გახდნენ უფრო მეტი სესხი აეღოთ, ხოლო მათი დავალიანების მოცულობამ შექმნა დამაბულობა მომავალში მათი დეფოლტის მოლოდინი.
- ) სახელმწიფო დავალიანების სპრედები გაფართოვდა 2010 და 2011 წლებში, რის გამოც ზოგიერთ ქვეყანას ფინანსური დახმარების თხოვნა მოუწია ევროკავშირისთვის და საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის.
- ) ESM წარმოადგენს მუდმივ მექანიზმს ფინანსური სირთულეების მქონე ქვეყნების დასახმარებლად.
- ) დახმარების პროგრამების მიღებისთვის პირობები იყო მკაცრი, რამაც ევროკავშირის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა მოახდინა.
- ) გაიმართა დებატები მკაცრი ეკონომიის პოლიტიკიდან მიღებულ სარგებელსა და ზრდის სტიმულირების აუცილებლობას შორის, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

## კითხვები განხილვისთვის

1. რა განსხვავებაა "ფინანსურ ეკონომიკასა" და "რეალურ ეკონომიკას" შორის?
2. რა განსხვავებაა ფინანსურ და ბიზნეს ციკლებს შორის?
3. რატომ გრძელდება ფინანსური კრიზისის შემდგომი ეკონომიკის აღდგენა გაცილებით მეტხანს, ვიდრე რეალურ ეკონომიკაში შოკებით გამოწვეული ვარდნის შემთხვევაში?
4. მოკლედ აღწერეთ "ფინანსური აქსელერატორის (ამაჩქარებლის)" თეორია.
5. რატომ შეიძლება განაპირობოს მიმდინარე ფასებით გაანგარიშებულმა საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდებმა აქტივების ფასების მუდმივი ზრდა?
6. როგორ რეაგირებდნენ ცენტრალური ბანკები ფინანსურ კრიზისზე?
7. რატომ განიცადეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორცაა საბერძნეთი, ესპანეთი, ირლანდია, პორტუგალია და იტალია, ფინანსური კრიზისის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და სესხების ზრდა?
8. რა იგულისხმება ტერმინში "ინფიცირება" სახელმწიფო სესხის კრიზისის კონტექსტში?
9. რა არის ძირითადი არგუმენტები მკაცრი ეკონომიის პროგრამების გაგრძელების სასარგებლოდ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო ვალის პრობლემები?
10. რა არის ძირითადი არგუმენტები მკაცრი ეკონომიის, როგორც სახელმწიფო ვალის კრიზისის მოგვარების საწინააღმდეგოდ?

## პრობლემები და სავარჯიშოები

1. თქვენი აზრით, რამდენად განაპირობებს ფინანსური სექტორის ინოვაციები რისკის მიების გაზრდის მაჩვენებელს? დაასაბუთეთ პასუხი.
2. ისეთი ფინანსური კრიზისის ფონზე, როგორცაა dotcom კოლაფსი და აშშ-ის 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად შექმნილი კრიზისი, რატომ რეაგირებდა ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთების შემცირებით და ბაზრების დატბორვით ლიკვიდურობის საშუალებით?
3. რატომ მიიჩნევენ, რომ ფინანსური ბაზრები განაგრძობენ ნორმალურ ფუნქციონირებას რეალური ეკონომიკის მოთხოვნის ან მიწოდების შოკების შემთხვევაში, რაც რეცესიას იწვევს? რას ნიშნავს „ნორმალურად ფუნქციონირება“ ამ კონტექსტში?
4. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ მინსკის ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა არის ყველაზე ზუსტი თეორია 2007-9 წლების ფინანსური კრიზისის



ასახსნელად?

5. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ცენტრალური ბანკების მხრიდან ფინანსური კრიზისის საპასუხო რეაქცია "ფრაგმენტული" იყო?
6. რატომ ამტკიცებს ზოგიერთი კრიტიკოსი, რომ სახელმწიფო სესხის კრიზისის მიზეზი მდგომარეობს ევროსისტემის ცუდ დიზაინში და ევროზონის ქვეყნების შესაძლებლობებში თავისუფალი გადაადგილების შესახებ?
7. რა როლს ასრულებს ევროპული სტაბილურობის მექანიზმი წევრი ქვეყნების სახელმწიფო სესხის პრობლემების მართვაში?
8. მთელს ევროპაში მთავრობებმა დააწესეს მკაცრი ეკონომიის ზომები საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების მიზნით, რომელიც ფინანსური კრიზისის შემდეგ გაიზარდა. სწორად იქცევით ისინი, თუ ეკონომიკის აღდგენა სუსტად მიმდინარეობს?
9. დავუშვათ, რომ მთავრობა ამცირებს გადასახადებს და ზრდის ხარჯებს, ზრდის ბიუჯეტის დეფიციტს მსკ-ს 12 პროცენტამდე. თუ ნომინალური მსკ წელიწადში 7 პროცენტით იზრდება, ასეთი ბიუჯეტის დეფიციტი სამუდამოდ მდგრადია? ახსენით. თუ ამ მოცულობის ბიუჯეტის დეფიციტი შენარჩუნდება 20 წლის განმავლობაში, სავარაუდოდ რა დაემართება თქვენს გადასახადებს და თქვენი შვილების გადასახადებს მომავალში? შეგიძლიათ გააკეთოთ რამე დღეს ამ სამომავლო ეფექტის გამოსასწორებლად?
10. ამ თავში ნათქვამია, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ამცირებს მომავალი თაობების შემოსავალს, მაგრამ შეიძლება გაზარდოს გამოშვება და შემოსავალი რეცესიის დროს. ახსენით, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ორივე დებულება სიმართლე იყოს.

## თემა 12. საერთო სავალუტო ზონები და ევროპული მონეტარული კავშირი

1990-იან წლებში ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ გადაწყვიტა შეერთებოდა ევროპულ ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს (EMU), მიმოქცევიდან ამოეღო ეროვნული ვალუტა და გადასულიყო საერთო ვალუტის - „ევროს“ გამოყენებაზე.

**საერთო სავალუტო ზონა** არის გეოგრაფიული ზონა, სადაც მიმოქცევაშია ერთი ვალუტა, როგორც ანგარიშსწორების საშუალება. საერთო სავალუტო ზონის მეორე სახელწოდებაა *სავალუტო კავშირი*, ხოლო მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენაა *მონეტარული კავშირი*. ტერმინები „საერთო სავალუტო ზონა“, „სავალუტო კავშირი“ და „მონეტარული კავშირი“ ხშირად გამოიყენება მეტნაკლებად ურთიერთშემცვლელებად და ამ თავში ჩვენც ამავე პრაქტიკას მივმართავთ.

**საერთო სავალუტო ზონა** - გეოგრაფიული ზონა, სადაც მიმოქცევაშია ერთი ვალუტა, როგორც გაცვლის საშუალება.

### ევრო

ამ სახელმძღვანელოს შექმნის მომენტისათვის **ევროპულ ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში** (EMU) 19 ქვეყანა იყო გაწევრიანებული. ქვეყნები, რომლებიც ამჟამად ქმნიან ევრო-ზონას, არიან ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია და ესპანეთი. ერთიანი ევროპული ვალუტისკენ სწრაფვას დიდი ისტორია აქვს. მისი შექმნის პროცესში გადაწყვეტი ეტაპი დაიწყო 1992 წელს მასტრიხტის ხელშეკრულების გაფორმებით (რომელიც ოფიციალურად ევროპული კავშირის ხელშეკრულების სახელითაა ცნობილი). აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა სხვადასხვა კრიტერიუმი შეთავაზებულ სავალუტო კავშირში გაწევრიანების მსურველთათვის.

ახალი ვალუტის მისაღებად წევრ ქვეყნებს უნდა დაეკმაყოფილებინათ მკაცრი კრიტერიუმები. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი უნდა ყოფილიყო მთლიანი სამამულო პროდუქტის 3 პროცენტზე ნაკლები, სახელმწიფოს ვალის მთლიანი სამამულო პროდუქტთან შეფარდების კოეფიციენტს არ უნდა გადაეჭარბებინა 60 პროცენტისთვის. ასევე, სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო ინფლაციის დაბალი დონე და დაბალი სარგებლის განაკვეთი. მასტრიხტის ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა ახალი საერთო ვალუტის შემოღების განრიგი და ევროპული ცენტრალური ბანკის (ECB) დაფუძნების წესები. ECB 1998 წლის ივნისში ამოქმედდა და საერთო სავალუტო ზონაში შემავალი ქვეყნების ეროვნულ

ცენტრალურ ბანკებთან ერთად იგი ქმნის ცენტრალური ბანკების ევროპულ კავშირს (ESCB), რომელიც პასუხისმგებელია ფასთა სტაბილურობასა და საერთო ევროპული მონეტარული პოლიტიკის გატარებაზე.

**ევროპული ეკონომიკური და მონეტარული კავშირი** - ევროპული სავალუტო კავშირი, სადაც მოქმედებს საერთო ვალუტა - ევრო.

საერთო ევროპული ვალუტა - ევრო - ოფიციალურად 1999 წლის 1 იანვარს ამოქმედდა, როდესაც ის 12-მა ქვეყანამ მიიღო (საბერძნეთი ევროპულ ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს მხოლოდ 2001 წლის 1 იანვარს შეუერთდა). ამ დღეს ევროზონის ქვეყნების ძველ ეროვნულ ვალუტებს შორის გაცვლითი კურსები **გამოუხმობლად დაიბლოკა**, რამდენიმე დღის შემდეგ კი ფინანსურმა ბაზრებმა დაიწყეს ევროთი ვაჭრობა აშშ დოლარსა და ევროში დენომინირებულ ფასიან ქაღალდებზე.

1999 წლის დასაწყისიდან 2002 წლის დასაწყისამდე პერიოდი გარდამავალი ეტაპი იყო, როდესაც ეროვნული ვალუტები კვლავ მიმოიქცეოდნენ ევროზონის ქვეყნებში, ხოლო ფასები მაღაზიებში გამოსახული იყო ევროშიც და ადგილობრივ ვალუტაშიც. 2002 წლის 1 იანვარს მიმოქცევაში შევიდა ევროს პირველი ბანკნოტები და მონეტები, ხოლო რამდენიმე თვეში მთელი ევროზონა გადავიდა ევროს, როგორც გაცვლის საერთო საშუალების გამოყენებაზე.

ევროპის ეკონომიკური და მონეტარული კავშირის დაფუძნება მეტად თამამი ნაბიჯი იყო იმ 12 ქვეყნისათვის, ვინც თავიდანვე გაწევრიანდა კავშირში. ეროვნული ვალუტების უმრავლესობა, რომლებიც ევროთი შეიცვალა, საკუნეების განმავლობაში ცირკულირებდა. საერთო ვალუტის შემოდების სტიმულს, პოლიტიკურ მიზეზებთან ერთად, სავარაუდო ეკონომიკური სარგებლის მიღების პერსპექტივაც კვებავდა. კერძოდ, არსებობდა მოსაზრება, რომ საერთო ევროპული ვალუტა ხელს შეუწყობდა ევროპული საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორებისთვის „საერთო ბაზრის შექმნის პროცესის დასრულებას“, რომლის პროექტზეც მუდმივად მიდიოდა მუშაობა თითქმის მთელ ომისშემდგომ პერიოდში.

## ერთიანი ევროპული ბაზარი და ევრო

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ორი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული ნგრევის შემდეგ, რომელთაგან თითოეული თავდაპირველად ევროპულ კონფლიქტებზე იყო კონცენტრირებული, ზოგიერთმა დიდმა ევროპულმა ქვეყანამ (კერძოდ, საფრანგეთმა და გერმანიამ) გამოთქვეს სურვილი ძლიერი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის გზით შეუძლებელი გაეხადათ მათ შორის მომავალში ომის გაჩაღება. იინი იმედოვნებდნენ, რომ ამ ინტეგრაციას კიდევ უფრო დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური ჰარმონია მოჰყვებოდა. აღნიშნულის შედეგად ჩამოყალიბდა ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC), რომელაც ამჟამად ევროპული კავშირი ან ევროკავშირი ეწოდება. ევროპული კავშირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ევროკავშირი განმარტებულია, როგორც „ევროპის დემოკრატიული ქვეყნების ოჯახი, რომლებიც ერთად იღწვიან და ისწრაფვიან მშვიდობისა და კეთილდღეობისაკენ“.

**ევროპული კავშირი** - ევროპის დემოკრატიული ქვეყნების ოჯახი, რომლებიც ერთად იღწვიან და ისწრაფვიან მშვიდობისა და კეთილდღეობისაკენ.

თავდაპირველად, ევროკავშირის შემადგენლობაში მხოლოდ ექვსი ქვეყანა იყო: ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. 1973 წელს მას შეუერთდნენ დანია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო. საბერძნეთი ევროკავშირს 1981 წელს შეუერთდა, ესპანეთი და პორტუგალია - 1986 წელს, ავსტრია, ფინეთი და შვედეთი კი - 1995 წელს. 2004 წელს ადგილი ჰქონდა უდიდეს გაფართოებას ევროკავშირის ისტორიის მანძილზე და მას ათი ქვეყანა შეუერთდა. ხორვატია ევროკავშირის წევრი ქვეყანა 2013 წლის ივლისში გახდა, ხოლო ამჟამად კიდევ ხუთი „კანდიდატი ქვეყანა“ ცდილობს გაწევრიანებას. ეს ქვეყნებია ალბანეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი და თურქეთი. ბოსნია და ჰერცეგოვინა და კოსოვო „პოტენციურ კანდიდატებად“ კლასიფიცირდებიან.

## ერთიანი ევროპული ბაზარი

**ერთიანი ევროპული ბაზრის** შექმნა მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენა იყო. ერთიანი ევროპულ ბაზარზე სამუშაო ძალას, კაპიტალს, საქონელს და მომსახურებას თავისუფლად მოძრაობა შეუძლია. არსებობდა მოსაზრება, რომ ევროკავშირში გაერთიანების შედეგად კომპანიები დაიწყებდნენ მასშტაბის ეკონომიის უპირატესობების გამოყენებას, რადგანაც თავიანთ ბაზარს მთელი ევროპის ტერიტორიაზე გააფართოვებდნენ. ამავე დროს, არაეფექტიან ფირმებს მოუწევდათ ტრანსსასაზღვრო კონკურენციასთან გამკლავება, რაც აიძულებდა მათ ან გამოთიშოდნენ ბიზნესს ან აემალლებინათ ეფექტიანობა. ამ ყველაფრის მიზანი იყო ბიზნესისთვის შექმნილიყო სამართლიანი კონკურენციის გარემო, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა მასშტაბის ეფექტის მიღება და ჩამოყალიბდებოდა ძლიერი სამომხმარებლო ბაზა, რაც კომპანიებს გლობალურ ბაზრებზე შეღწევის საშუალებას მისცემდა. მეორე მხრივ, შინამეურნეობები მოიგებდნენ იმით, რომ ექნებოდათ დაბალი ფასები, საქონლისა და მომსახურების უფრო დიდი არჩევანი და დასაქმების უფრო ფართო არეალი, ხოლო ეკონომიკა მოიგებდა იმით, რომ ყოველივე ამის შედეგად, ზოგადად ეკონომიკური ზრდა დაჩქარდებოდა.

**ერთიანი ევროპული ბაზარი** - ჯერ კიდევ არასრული ბაზარი ევროპის ტერიტორიაზე, სადაც სამუშაო ძალას, კაპიტალს, საქონელს და მომსახურებას თავისუფლად მოძრაობა შეუძლია.

ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები მოიცავდა ევროკავშირის შიგნით მოქმედი სატარიფო და კვოტების ბარიერების გაუქმებას 1986 წელს და სწრაფვას მეტი ჰარმონიზაციისაკენ ისეთ სფეროებში, როგორცაა ირიბი დაბეგვრა, სამრეწველო რეგულირება, სოფლის მეურნეობასთან და თევზის მრეწველობასთან დაკავშირებული ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი პოლიტიკები.

მიუხედავად ამისა, რთული აღმოჩნდა არსებული ბარიერების გადალახვა, რომ გათავისუფლებულიყო სამუშაო ძალის, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის მოძრაობა. მაგალითად, თუმცა ევროკავშირში გაუქმდა შიდა ტარიფები და კვოტები, სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი საგადასახადო სისტემები და ტექნიკური რეგულაციები საქონელსა და მომსახურებაზე კვლავ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან იმდენად, რომ პრაქტიკაში ხშირად რთული იყო ექსპორტირება ერთი ქვეყნიდან მეორეში. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში წარმოებულ ავტომანქანას უნდა დაეკმაყოფილებინა ერთ ევროპულ ქვეყანაში მოქმედი გამონაბოლქვისა და უსაფრთხოების მოთხოვნების ერთი კონკრეტული პაკეტი, ხოლო მეორე ევროპულ ქვეყანაში - მოთხოვნების მეორე პაკეტი. ან კვალიფიციურ ინჟინერს შეიძლება აღმოეჩინა, რომ მის მიერ იტალიაში მიღებულ კვალიფიკაციას გერმანია არ აღიარებდა. ამის შედეგად, 1970-იანი და 1980-იანი წლების დასაწყისში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთაშორისო კონკურენტების, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ეკონომიკურ ზრდას. ამიტომ 1985 წელს ევროპულმა კომისიამ განსახილველად მოამზადა დოკუმენტი, რომელიც ითავლისწინებდა ღონისძიებებს ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნის დასასრულებლად. ამ დოკუმენტით განისაზღვრა 300-ზე მეტი ღონისძიება, რომელთა საბოლოო ვადადაც 1992 წლის 31 დეკემბერი დასახელდა. ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნა უნდა უზრუნველყო ევროკავშირის დირექტივებს, რომლებიც ამცნობდნენ წევრი ქვეყნების მთავრობებს, თუ რა ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი მიზნის მისაღწევად:

- )] საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის.
- )] წევრი ქვეყნების შესაბამისი კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული რეგლამენტის ერთმანეთთან დაახლოება.
- )] ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი კონკურენციის საერთო პოლიტიკა, რომლის მართვასაც ევროკომისია უზრუნველყოფდა.
- )] საერთო საგარეო ტარიფების სისტემა, რომელიც ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან მიმართებაში იმოქმედებდა.

ერთიანი ევროპული ბაზარი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. კერძოდ, ჯერ კიდევ არსებობს ძლიერი განსხვავებები ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ საგადასახადო სისტემებს შორის, აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციების სხვა ქვეყნებში გადატანა კვლავ ძნელია, და ევროკავშირის ქვეყნებში სამუშაო ძალის მობილობა ზოგადად დაბალია. ამ ყველაფრის გამომწვევი ზოგიერთი მიზეზის დაძლევა ძნელია: ენობრივი ბარიერი და ეკონომიკური განვითარების შეფარდებითი დონე აფერხებს ფაქტორების მოძრაობას, წევრი ქვეყნები კვლავ განაგრძობენ ერთმანეთთან ეკონომიკურ კონკურენციას და ზოგჯერ წინ საკუთარ ეროვნულ ინტერესებს აყენებენ, ვიდრე მთლიანად ევროკავშირისთვის საერთო სიკეთის მოტანის შესაძლებლობას.

თუმცა, 1985-1992 წლებში ნამდვილად გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ერთიანი ევროპული ბაზრის განვითარებისკენ. ერთიანი ევროპული ბაზრის პროექტის განხორციელებაში მიღწეული შედეგები ნამდვილად იყო აღნიშვნის ღირსი: ევროკომისიის შეფასებით, ერთიანი ევროპული ბაზრის დახმარებით შეიქმნა 2.5 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, ხოლო 1993

წლიდან, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, წარმოიქმნა დამატებითი სიმდიდრე 800 მილიარდი ევროს ოდენობით.

მასასადამე, ერთიანი ევროპული ბაზრის პროექტის კონტექსტში საერთო ევროპული ვალუტის შექმნა განიხილებოდა როგორც საბოლოო ნაბიჯი „ბაზრის დასრულებისაკენ“, რაც გულისხმობდა შემდეგს: (ა) ევროკავშირის შიგნით სხვადასხვა ეროვნული ვალუტებით (რომლებიც ტარიფებით მოქმედებენ) ვაჭრობიდან მომდინარე ტრანზაქციური დანახარჯებისგან გათავისუფლება, და (ბ) წევრ ქვეყნებს შორის ეროვნულ კონკურენტუნარიანობაში ცვალებადობის და მერყეობის აღმოფხვრა, რაც გამოწვეული იყო გაცვლითი კურსის მერყეობით. ევროპული მონეტარული და ეკონომიკური კავშირის შექმნამდე ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა

გაცვლითი კურსის მექანიზმში (ERM) მონაწილეობდა. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა სისტემას, რომლის დანიშნულებაც წევრ ქვეყნებს შორის გაცვლითი კურსის ცვლილებების შეზღუდვა იყო. თუმცა, გაცვლითი კურსის მექანიზმი არ აღმოჩნდა ეფექტიანი საშუალება გაცვლითი კურსის მერყეობის შესამცირებლად და ნებისმიერ შემთხვევაში არ ახდენდა გავლენას ტრანზაქციულ დანახარჯებზე, რომლებიც ევროკავშირის შიგნით ვაჭრობისას ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული ბანკის საკომისიოებიდან წარმოიქმნებოდა.

## საერთო ვალუტის უპირატესობები და დანახარჯები

### ერთიანი ვალუტის უპირატესობები

**ტრანზაქციული დანახარჯების აღმოფხვრა.** საერთო ვალუტის ერთი აშკარა და პირდაპირი უპირატესობაა წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაადვილება და კერძოდ, საერთო სავალუტო ზონაში მოქმედ წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობიდან გამომდინარე ტრანზაქციული დანახარჯების შემცირება. როდესაც გერმანული კომპანია ახორციელებს ფრანგული ღვინის იმპორტს, მას აღარ უწევს ბანკისთვის საკომისიოს გადახდა გერმანული მარკების ფრანგული ფრანკის ყიდვისთვის, რაც ღვინის მწარმოებელს უნდა გადაუხადოს, რადგან მას შეუძლია პირდაპირ ევრო გადაიხადოს. ცხადია, საბანკო სექტორი კარგავს შემოსავალს ვალუტებით ვაჭრობისას აღებული საკომისიოების სახით, მაგრამ ეს არ ახდენს გავლენას იმ ფაქტზე, რომ ტრანზაქციული დანახარჯების შემცირება წმინდა მოგებაა. ამის მიზეზი ისაა, რომ ვალუტის კონვერტაციისას გადახდილი საფასური სინამდვილეში საერთო დანაკარგია იმ ასპექტით, რომ კომპანია იხდის ტრანზაქციულ დანახარჯს, მაგრამ სანაცვლოდ არაფერს მატერიალურს არ იღებს.

**საფასო დისკრიმინაციის შემცირება.** ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ საერთო სავალუტო ზონის წევრების მეორე თუმცა ირიბი უპირატესობა არის საფასო დისკრიმინაციის შემცირება, რასაც ერთიანი ვალუტის არსებობის პირობებში ადგილი უნდა ჰქონდეს. თუ საქონლის ფასი მოცემულია ერთიანი ვალუტაში, უფრო რთული იქნება საფასო განსხვავებების დამალვა ქვეყნებს შორის. როგორც უკვე ცნობილია, საფასო დისკრიმინაცია იწვევს საზოგადოებისთვის საერთო დანაკარგს, ასე, რომ ეს საერთო ვალუტის კიდევ ერთი უპირატესობაა. ეს არგუმენტი გულისხმობს ვარაუდს, რომ საერთო ვალუტით განპირობებული ფასთა გამჭვირვალობა

გამოიწვევს საქონლის სპეკულაციურ შესყიდვას საერთო სავალუტო სივრცეში: ადამიანები იყიდიან საქონელს იქ, სადაც ის უფრო იაფია (რაც გამოიწვევს ამ ადგილზე ფასების ზრდის ტენდენციას) და შეამცირებს მოთხოვნას საქონელზე იქ, სადაც ის უფრო ძვირია (რაც გამოიწვევს ამ ადგილზე ფასების შემცირების ტენდენციას).

თუმცა, მთლიანობაში, ევროპული მონეტარული და ეკონომიკური კავშირი (EMU) ევროზონის ქვეყნებში საფასო დისკრიმინაციის აღმოფხვრას არ აპირებს. ისეთი საქონლისათვის, როგორცაა მაგალითად, საბაკალეო ნაწარმი, ერთიანი ვალუტის ფლობა ნაკლებ სავარაუდოა, რომ საერთო ევროპულ სივრცეში ფასების გათანაბრებისათვის წამახალისებელი იყოს, რადგან არბიტრაჟი მეტ ტრანზაქციული დანახარჯებს მოითხოვს (რაც ძირითადად მგზავრობებს უკავშირდება) თავად საქონლის ფასებთან შეფარდებით. ფასთა სხვაობის უპირატესობით სარგებლობისათვის შესაძლოა ადგილი ჰქონდეს საერთაშორისო შესყიდვებს - თუ ეს შედარებით ადვილი და მოსახერხებელია - მაგრამ ამის გაკეთება მთელი ევროკავშირის მასშტაბით ნიშნავს, რომ ეფექტები აუცილებლად უფრო შეზღუდული იქნება. ხანგრძლივი მოხმარების საგნებთან დაკავშირებული ტრანზაქციული დანახარჯები მათ ფასებთან შედარებით, პროცენტულად შეიძლება ნაკლები იყოს. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი მოხმარებლების მხრიდან სერიოზული არბიტრაჟის საგანი გახდეს საერთაშორისო ბაზარზე. გარდა ამისა, საერთო ეფექტს ამცირებს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში კვლავ განსხვავებული როზეტები და ელექტრომომარაგების სისტემებია, რომელთა ერთმანეთთან შეთავსება ძნელია.

**გაცვლითი კურსის მერყეობის შემცირება.** მესამე არგუმენტი საერთო ვალუტის სასარგებლოდ უკავშირდება გაცვლითი კურსის მერყეობის და, შესაბამისად, მისი არამდგრადობის შემცირებას ერთიანი ვალუტის არსებობის პირობებში. გაცვლითი კურსი შეიძლება არსებითად ყოველდღიურად იცვლებოდეს. ევროპული ეკონომიკური და მონეტარული კავშირის შექმნამდე, როდესაც გერმანული სუპერმარკეტი ახორციელებდა ფრანგული ღვინის იმპორტს, რომელიც გერმანიაში უნდა მიეწოდებინათ, ვთქვათ, სამი თვის ვადაში, გერმანულ კომპანიას უწევდა ნერვიულობა იმაზე, თუ რამდენი გერმანული მარკა ეღირებოდა ერთი ფრანგული ფრანკი სამი თვის შემდეგ და რა იქნებოდა ღვინის მთლიანი ღირებულება მარკებში. ასეთი არამდგრადობის გამო, სუპერმარკეტის კომპანიას შეიძლება საერთოდ თავი შეეკავებინა ღვინის იმპორტისგან და კონცენტრირებულიყო გერმანული ღვინის გაყიდვაზე, რითაც დაკარგავდა ვაჭრობის შედეგად მისაღებ მოგებას და შეამცირებდა ეკონომიკურ კეთილდღეობას. სუპერმარკეტს შეეძლო აღმოეფხვრა არამდგრადობა თუ ბანკი შეპირდებოდა, რომ სამი თვის შემდეგ ფრანგულ ფრანკს მიყიდდა შეთანხმებულ ფასში (ფორვარდული სავალუტო გარიგების მაგალითი), მაგრამ ბანკი ამ მომსახურებისთვის საკომისიოს დააკისრებდა და ეს საკომისო იქნებოდა იმპორტირებულ ღვინოზე დაწესებული ტარიფის ექვივალენტი. ამით კი საზოგადოებას კვლავ აუნაზღაურებელი დანაკარგი ექნებოდა.

გაცვლითი კურსის მერყეობის აღმოფხვრის შედეგად გაცვლითი კურსის არამდგრადობის შემცირებამ შესაძლოა ეკონომიკაში ინვესტიციებზეც დადებითი გავლენა იქონიოს. ეს უეჭველად ეხება კომპანიებს, რომლებსაც თავიანთი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ევროზონის სხვა ქვეყნებში გააქვთ ექსპორტზე. ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებში ნაკლები არამდგრადობა ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია დაგეგმოს სამომავლო ქმედებები ნაკლები რისკით და აქედან გამომდინარე, საინვესტიციო პროექტები, როგორცაა, მაგალითად,

ახალი ქარხნების აშენება ნაკლებ რისკთან იქნება დაკავშირებული. ინვესტიციების ზრდა სარგებელს მოუტანს მთელ ეკონომიკას, რადგან სავარაუდოდ, ის მაღალ ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს.

## ერთიან ვალუტასთან დაკავშირებული დანახარჯები

საერთო სავალუტო სივრცეში შესვლით გამოწვეული ეკონომიკური დანახარჯები ძირითადად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ქვეყანა უარს ამბობს თავის ეროვნულ ვალუტაზე. შესაბამისად, უარს ამბობს თავისუფლებაზე თავად განსაზღვროს საკუთარი მონეტარული პოლიტიკა და ასევე, შესაძლებლობაზე, განახორციელოს მაკროეკონომიკური კორექტირება მისი ვალუტის საგარეო ღირებულების ცვლილებების ფეხდაფეხ. მონეტარულ პოლიტიკას ევროპული ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს და ესაა პოტენციური პრობლემა. ვივარაუდოთ, რომ, მაგალითად, საერთო სავალუტო ზონაში მომხმარებელთა არჩევანმა ერთ ქვეყანაში (ვთქვათ, გერმანიაში) წარმოებული საქონელსა და მომსახურებიდან გადაინაცვლა მეორე ქვეყანაში (ვთქვათ, საფრანგეთში) წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე.


აღნიშნული სიტუაცია მოცემულია 12.1 ნახაზზე, რომელიც გვიჩვენებს გერმანიაში AD მრუდის გადაინაცვლებას მარცხნივ და საფრანგეთში AD მრუდის გადაინაცვლებას მარჯვნივ. რა უნდა მოიმოქმედონ გერმანიისა და საფრანგეთის გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ამასთან დაკავშირებით? პასუხი ერთია: არაფერი - საბოლოო ჯამში, თითოეული ეკონომიკა დაუბრუნდება გამოშვების თავის ბუნებრივ დონეს. გერმანიაში ეს მოხდება, როდესაც ფასების დონე დაეცემა, ხოლო შრომის ანაზღაურება, ფასები და მოლოდინი დარეგულირდება. კერძოდ, გერმანიაში უმუშევრობის დონის ზრდასთან ერთად, საბოლოო ჯამში, შემცირდება შრომის ანაზღაურება. დაბალი ხელფასი შეამცირებს კომპანიების ხარჯებს და ამიტომ, ნებისმიერ მოცემულ საფასო დონეზე, მიწოდების მოცულობა უფრო მაღალი იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანიის მოკლევადიანი ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ, სანამ საბოლოო ჯამში, ის არ გადაკვეთს AD მრუდს გამოშვების ბუნებრივ დონეზე. ამის საწინააღმდეგო მოხდება საფრანგეთში, სადაც მოკლევადიანი ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაინაცვლებს მარცხნივ. გამოშვების წონასწორობის ახალ დონეებთან ადაპტაცია ასევე მოცემულია 12.1 ნახაზზე.

### ნახაზი 12.1

#### მომხმარებლის არჩევანის გადაინაცვლება გერმანული საქონლიდან ფრანგულ საქონელზე

გერმანიაში AD-ის დაცემა იწვევს გამოშვების მოცულობის დაცემას  $Y^G_1$  -დან  $Y^G_2$  -მდე, ხოლო ფასების დონის დაწევას  $P^F_1$  -დან  $P^F_2$  -მდე. საფრანგეთში AD-ის ზრდა იწვევს გამოშვების მოცულობის გაზრდას  $Y^F_1$  -დან  $Y^F_2$  -მდე, თუმცა, დროთა განმავლობაში, ხელფასის დონე და ფასები დაკორექტირდება, ისე, რომ გერმანიისა და საფრანგეთის გამოშვება დაუბრუნდება თავის ბუნებრივ დონეს  $Y^G_1$  -ს და  $Y^F_1$  -ს, უფრო დაბალი ფასებით გერმანიაში  $P^F_3$  -ზე და უფრო მაღალი ფასებით საფრანგეთში  $P^F_3$  -ზე.





ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ თუ გერმანია და საფრანგეთი თავიანთ ვალუტებს და მოქნილ გაცვლით კურსს შეინარჩუნებდნენ, AD-ის მოკლევადიანი რყევები შემსუბუქდებოდა გაცვლითი კურსის მოძრაობით. რადგანაც ფრანგულ საქონელზე მოთხოვნა იზრდება, ხოლო გერმანულ საქონელზე მცირდება, ეს გაზრდის მოთხოვნას ფრანგულ ფრანკზე და შეამცირებს მოთხოვნას გერმანულ მარკაზე, რის გამოც ფრანგული ფრანკის ღირებულება მარკასთან შეფარდებით სავალუტო ბაზარზეც გაიზრდება. ამის შედეგად, გერმანიის მოსახლეობისათვის ფრანგული საქონელი უფრო გაძვირდება, რადგანაც ახლა მათ მეტი მარკის გადახდა უწევთ გარკვეული რაოდენობის ფრანგული ფრანკში, ხოლო გერმანული საქონელი უფრო გაიაფდება საფრანგეთის მოსახლეობისათვის. აქედან გამომდინარე, დაეცემა საფრანგეთის ექსპორტის წმინდა მოცულობა, რაც გამოიწვევს AD-ის დაცემასაც. ეს სიტუაცია ნაჩვენებია 12.2 ნახაზზე, სადაც საფრანგეთში AD-ის მრუდი გადაინაცვლებს კვლავ მარცხნივ, სანამ არ მიიღწევა წონასწორობა გამოშვების ბუნებრივ დონეზე/მაჩვენებელზე. და პირიქით, რაც ასევე ნაჩვენებია 12.2 ნახაზზე, გერმანიის ექსპორტის სუფთა მოცულობა გაიზრდება, ხოლო გერმანიაში AD-ის მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ, სანამ კვლავ არ მიიღწევა წონასწორობა გერმანიაში.

თუმცა, სავალუტო კავშირში ავტომატური კორექტირების აღნიშნული მექანიზმი არ მოქმედებს, რადგან, რა თქმა უნდა, საფრანგეთსა და გერმანიას ერთი და იგივე ვალუტა აქვთ (ევრო). საუკეთესო, რისი გაკეთებაც შეიძლება, არის დაცდა, სანამ დარეგულირდება ხელფასის და ფასების დონე საფრანგეთსა და გერმანიაში, რომ შეიცვალოს AS თითოეულ ქვეყანაში, როგორც ეს ნაჩვენებია 12.1 ნახაზზე. ამის შედეგად წარმოქმნილი გამოშვების და უმუშევრობის დონის მერყეობა თითოეულ ქვეყანაში სავარაუდოდ შექმნის დამაბულობას მონეტარულ კავშირში, რადგანაც გერმანიაში უმუშევრობის დონე გაიზრდება, საფრანგეთში კი - ინფლაციის დონე. უმუშევრობის დონის ზრდით შემფოთებული გერმანელი გადაწყვეტილების მიმღები პირები მხარს დაუჭირენ თავიანთ ქვეყანაში სარგებლის განაკვეთების შემცირებას AD გაზრდის მიზნით, ხოლო მზარდი ინფლაციით შემფოთებული მათი ფრანგი კოლეგები - სარგებლის განაკვეთების გაზრდას, რომ შეამცირონ AD საფრანგეთში. ევროპულ ცენტრალურ ბანკს ორივე ქვეყნის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლება. მეტად სავარაუდოა, რომ ის დააწესებს ისეთ


სარგებლის განაკვეთებს, რაც იქნება გერმანიისათვის სასურველ სარგებლის განაკვეთზე მაღალი და საფრანგეთისათვის სასურველზე დაბალი.

ევროპული ცენტრალური ბანკი კონცენტრირდება ინფლაციის ტარგეტირების სტრატეგიაზე, ხოლო ინფლაციის სამიზნე დონე ეფუძნება სამომხმარებლო ფასების ინდექსს, რომელიც გათვლილია, როგორც საშუალო მაჩვენებელი ევროზონის ტერიტორიაზე. თუ ინფლაციის დონე (ან მოსალოდნელი ინფლაციის დონე) ქვეყანაში ნაკლებია ევროზონისთვის დადგენილ საშუალო მაჩვენებელზე, ევროპული ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა ძალიან მკაცრი იქნება ამ ქვეყნისთვის. თუ ინფლაციის დონე საშუალოზე მაღალია, ევროპული ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა ძალიან რბილი იქნება ამ ქვეყანასთან მიმართებაში. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეიძლება, არის „ერთი ზომა ყველასათვის“ პოლიტიკის გატარება. სწორედ ამის გამო, ევროზონაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, როლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ დასახელებულ კრიტერიუმებს, სადაც ინფლაციის დონე და სარგებლის განაკვეთები ევროავშირისთვის დადგენილ საშუალო მაჩვენებლებს უახლოვდება.

## ნახაზი 12.2

### მომხმარებლის არჩევანის ცვლილება მოქნილი გაცვლითი კურსის პირობებში

სანამ ფასებმა კორექტირება ჯერ ვერ მოასწრო, გერმანიაში  $AD$ -ს დაცემა გამოიწვევს გამოშვების ვარდნას  $Y^G_1$ -დან  $Y^G_2$ -მდე. თუმცა, რადგანაც ეს დაკავშირებულია წმინდა საგარეო მოთხოვნის ვარდნასთან, ეცემა გერმანული ვალუტის ღირებულებაც, რაც საზღვარგარეთ გერმანულ პროდუქტს აიაფებს. შედეგად იზრდება წმინდა ექსპორტის მოცულობა და ერთობლივი მოთხოვნა აღდგება. საწინააღმდეგო ხდება საფრანგეთში: წმინდა საგარეო მოთხოვნის ზრდა იწვევს ფრანგული ვალუტის ღირებულების გაზრდას, რაც ამცირებს ფრანგულ საქონელს საზღვარგარეთ და აიძულებს  $AD$ -ს დაუბრუნდეს საწყის დონეს.



**შემოწმებისთვის:** - ჩამოთვალეთ და განიხილეთ სავალუტო კავშირში შესვლის მთავარი დანახარჯები და სარგებელი.

## ოპტიმალური სავალუტო სივრცის თეორია

ოპტიმალური სავალუტო სივრცის (OCA) თეორია ცდილობს დააწესოს კრიტერიუმები ქვეყანათა ჯგუფისათვის ისე, რომ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ ქვეყნებისათვის ერთობლივი ვალუტის მიღება გარკვეულწილად „ოპტიმალური“ იყოს. სიტყვა „ოპტიმალური“ აქ გულისხმობს თითოეული ქვეყნის შესაძლებლობას შეზღუდოს მონეტარული კავშირის დანახარჯები და გაზარდოს სარგებელი. როგორც წესი, ეს ცნება არ გამოიყენება ზუსტი მნიშვნელობით, რადგანაც შეუძლებელია მკაფიოდ განისაზღვროს მართლა ოპტიმალურია თუ არა ქვეყანათა ჯგუფისათვის სავალუტო კავშირის შექმნა. ამასთანავე, უმეტეს შემთხვევაში, ქვეყნები ოპტიმალური სავალუტო კავშირის ზოგიერთ და არა ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებენ.

**ოპტიმალური სავალუტო სივრცე** - ქვეყანათა ჯგუფი, რომელისთვისაც ოპტიმალურია საერთო ვალუტის შემოღება და სავალუტო კავშირის შექმნა.

## ერთიანი ვალუტის დანახარჯების შემცირების მახასიათებლები

ჯერ განვიხილოთ იმ ქვეყანათა ჯგუფის მახასიათებლები, რომლებიც ამცირებენ საერთო ვალუტის მიღებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონეტარულ კავშირში მონაწილეობის მთავარი დანახარჯია მონეტარული პოლიტიკის ავტონომიის დაკარგვა კონკრეტული დაინტერესებული ქვეყნებისათვის და ასევე, გაცვლითი კურსის მერყეობის გზით მაკროეკონომიკური კორექტირების შესაძლებლობის გამორიცხვა. გაცვლითი კურსის ინსტრუმენტის დაკარგვით და უნივერსალური „ერთი ზომა ყველასათვის“ მონეტარული პოლიტიკის შემოღებით გამოწვეული ეკონომიკური (და პოლიტიკური) დამაბულობის შემსუბუქების ერთ-ერთი გზაა ამ ქვეყნებში გრძელვადიანი წონასწორობის სწრაფად აღდგენა მაკროეკონომიკური შოკის შემდეგ. ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მოკლევადიანი კომპრომისის გათვალისწინებით, რაც უფრო სწრაფად შეძლებენ შესაბამისი ქვეყნები გრძელვადიან პერსპექტივაზე გასვლას - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოშვების და უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე დაბრუნებას - მით უკეთესი იქნება მათთვის. გრძელვადიან წონასწორობაზე ადაპტაციის ეს სიჩქარე მაღალი იქნება საერთო სავალუტო ზონაში სახელფასო მოქნილობისა და/ან სამუშაო ძალის მობილობის მაღალი დონის პირობებში.

საერთო სავალუტო ზონაში დამაბულობის შემსუბუქების კიდევ ერთი გზა იქნება, თუ სავალუტო კავშირის ყველა წევრი ქვეყანა ერთი და იმავე ტიპის მოთხოვნის შოკისკენ იქნება მიმართული (მაგ. თუ AD ერთდროულად დაეცემა ყველა ქვეყანაში), რადგანაც ამ შემთხვევაში ყველა ქვეყანა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთნაირ გადაწყვეტილებას დაუქერს მხარს (მაგ. სარგებლის განაკვეთების შემცირებას).

მახასიათებლების თითოეულ ამ ტიპს ცალ-ცალკე განვიხილავთ ქვემოთ.

**რეალური ხელფასის მოქნილობა.** დავუშვათ, რომ თითოეულ წევრ ქვეყანაში რეალური ხელფასის მაღალი მოქნილობაა და ხელფასი ძლიერად რეაგირებს უმუშევრობის დონის ზრდასა და ვარდნაზე. ეს ნიშნავს, რომ გრძელვადიან წონასწორობაზე გადასვლა, როგორც ეს ნაჩვენებია 12.1. ნახაზზე, ძალიან სწრაფად ხდება. ჩვენს მაგალითში, გერმანიაში AD-ს გადანაცვლებას მოსდევს ხელფასების დაცემა, ისე, რომ ფირმები მეტ მოგებას იღებენ ნებისმიერ მოცემულ ფასების დონეზე, AS-ს მრუდი გადანაცვლებს მარჯვნივ და გერმანია უბრუნდება გამოშვების ბუნებრივ ტემპს. თუ ხელფასი ძალიან მოქნილია, ეს კორექტირება შეიძლება ძალიან სწრაფად მოხდეს. ანალოგიურად საფრანგეთისთვის AD მრუდის გადანაცვლება მარჯვნივ იწვევს ხელფასის დონის სწრაფ ზრდას, ფირმები ნაკლებ მომგებიანად მიიჩნევენ წარმოებას გამოშვების ნებისმიერ დონეზე, მიწოდების მრუდი გადანაცვლებს მარცხნივ და გამოშვების ბუნებრივ ნიშნულზე მყარდება ახალი გრძელვადიანი წონასწორობა. აქედან გამომდინარე, მოკლევადიანი პერიოდის კომპრესირებით, სავალუტო კავშირში დამახულობა ძალიან სწრაფად აღმოიფხვრება.

ყურადღება გაამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ აქ მნიშვნელობა ენიჭება რეალურ ხელფასს. ზუსტად რეალური ხელფასის კორექტირება უნდა მოხდეს, რათა ამან გავლენა მოახდინოს AS მრუდზე, რაც ფირმებისთვის მეტად (ან ნაკლებად) მომგებიანს გახდის ფასების ნებისმიერი დონის პირობებში აწარმოოს განსაზღვრული რაოდენობის გამოშვება.

**სამუშაო ძალის მობილობა.** ალტერნატივის სახით ვივარაუდოთ, რომ სავალუტო კავშირის წევრ ქვეყნებში სამუშაო ძალის მობილობა ძალიან მაღალია: გერმანიაში მცხოვრები უმუშევრები ჩვეულებრივ მიდიან საფრანგეთში და იქ პოულობენ სამუშაოს. ეს იწვევს მაკროეკონომიკური დისბალანსის შემსუბუქებას, რადგანაც გერმანიაში უმუშევრობა მცირდება იქიდან გამომდინარე, რომ ბევრმა უმუშევარმა დატოვა ქვეყანა, ხოლო საფრანგეთში მცირდება ხელფასზე ინფლაციის ზეწოლა, რადგან სამუშაო ძალა იზრდება საფრანგეთში შესული მიგრანტების ხარჯზე. ამრიგად, ნათელია, რომ სამუშაო ძალის მობილობამ გარკვეულწილად შეიძლება დაიცვას სავალუტო კავშირი **ასიმეტრიული შოკებისგან** - სიტუციისგან, სადაც AD-ს ან/და AS-ის ცვლილება სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანია.

**ასიმეტრიული შოკები** - სიტუცია, სადაც ერთობლივი მოთხოვნის ან/და მიწოდების ცვლილება სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანია.

**კაპიტალის მობილობა.** კაპიტალის მობილობამ ასევე შეიძლება მოახდინოს ფულად-საკრედიტო ავტონომიის დაკარგვისა და გაცვლითი კურსის კორექტირების შეუძლებლობის კომპენსირება საერთო სავალუტო ზონის წევრ ქვეყნებს შორის. აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ფიზიკური კაპიტალი (მანქანა-მოწყობილობები) და ფინანსური კაპიტალი (ობლიგაციები, კომპანიის აქციები და საბანკო სესხები). სავალუტო კავშირის ასიმეტრიული შოკებისგან დაცვის თვალსაზრისით, ფიზიკური კაპიტალის მოძრაობა შეიძლება სასარგებლო იყოს წარმოების პოტენციალის გაფართოების ხარჯზე იმ ქვეყნებში, სადაც ბუმია. სხვა წევრი ქვეყნების კომპანიები ამ ქვეყნებში დაიწყებენ ქარხნების/ფაბრიკების აშენებას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი საშუალებების მონტაჟი გრძელვადიანი შეფერხებებით მიმდინარეობს,

ფიზიკური კაპიტალის მობილობა სასარგებლო იქნება მხოლოდ მდგრადი რეგიონული დისპროპორციების შესამცირებლად და არა მოკლევადიანი შოკების საკომპენსაციოდ.

*ფინანსური* კაპიტალის მობილობა შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს ეკონომიკების მოკლევადიანი გამოშვების შოკებისაგან დასაცავად. მაგალითად, ეკონომიკური რეცესიის მქონე ქვეყნის მოქალაქეებმა შეიძლება მოისურვონ ფულის სესხება იმ ქვეყნის მოქალაქეებისგან, რომელსაც ბუმი აქვს, რათა გადალახონ თავიანთი მოკლევადიანი სირთულეები. ჩვენი ორი ქვეყნის მაგალითში, გერმანიის რეზიდენტები ეფექტიანად ისესხებენ ფულს საფრანგეთის რეზიდენტებისაგან, რათა თავიანთი შემოსავლების შემცირების კომპენსირება მოახდინონ. ცხადია, ეს მოითხოვს, რომ გერმანიის მოქალაქეებს შეეძლოთ მარტივად ისესხონ საფრანგეთის მოსახლეობისგან კაპიტალის ბაზრების საშუალებით. ასე, რომ ფინანსური კაპიტალის მობილობა იქნება ყველაზე მაღალი იმ ქვეყნებს შორის, რომელთა კაპიტალის ბაზრები ერთმანეთთან მჭიდროდ ინტეგრირებულია. მაგალითად, თუ ბანკს აქვს ფილიალები სავალუტო კავშირის ერთზე მეტ ქვეყანაში, მაშინ სესხის აღება და სესხის გაცემა ზრდისა და რეცესიის მქონე ქვეყნებს შორის მეტ-ნაკლებად ავტომატურად მოხდება, რადგან ეკონომიკური ზრდის მქონე ქვეყნის რეზიდენტების საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის რაოდენობა იზრდება, მათი შემოსავლის ზრდასთან ერთად. რეცესიის მქონე ქვეყნის რეზიდენტები ზრდიან ოვერდრაფტს (ან ამცირებენ თავიანთ ფულად რეზერვებს) მათი შემოსავლის შემცირების კვალობაზე.

აღნიშნული კანონზომიერება შეგვიძლია განვიხილოთ მუდმივი შემოსავლის ცნების საკრედიტო საშუალებების ბაზართან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ ოჯახის შესაძლებლობა შეიძინოს საქონელი და მომსახურება, დიდწილად დამოკიდებულია მის მუდმივ შემოსავალზე, რაც მისი ნორმალური, ან საშუალო შემოსავალია. ჩვეულებრივ, ადამიანები ფულს სესხულობენ ან თავად გაასესხებენ შემოსავალში გაჩენილი დროებითი დისბალანსის მერყეობის აღმოფხვრის მიზნით. ახლა, როდესაც AD-ს შოკი უარყოფითად აისახება გერმანიის ეკონომიკაზე, გერმანიის შინამეურნეობების დიდი ნაწილი დაინახავს, რომ მათი დროებითი შემოსავალი დაეცემა და სესხის აღებას მოინდომებს, რათა შემოსავალი მუდმივ ან ნორმალურ დონემდე კვლავ გაზარდოს. გერმანიის მრავალი შინამეურნეობა ამას ახლა ერთდროულად აკეთებს. თუ სესხის აღება მხოლოდ გერმანიის ფინანსურ ბაზრებზეა შესაძლებელი, ეს გამოიწვევს სარგებლის განაკვეთების გაზრდას და გაართულებს სესხის აღების პროცესს. თუ საკრედიტო საშუალებების ბაზარი შემოიფარგლება შიდა ბაზრით, მაშინ შეიძლება ველოდოთ, რომ საკრედიტო სახსრების შეთავაზება რეცესიის დროს შემცირდება და მოთხოვნა გაიზრდება, რაც გამოიწვევს სარგებლის განაკვეთების მატებას. შედეგად, სარგებლის განაკვეთების ზრდამ ინვესტიციების შემცირების ხარჯზე, რეცესია კიდევ უფრო შეიძლება გაამძაფროს.

მეორე მხრივ, საფრანგეთში ეკონომიკური ბუმი ნიშნავს იმას, რომ ბევრი შინამეურნეობის შემოსავლის დონე მათ მუდმივ ან საშუალო შემოსავლის დონეზე მაღალია და, შესაბამისად, მათი დანაზოგებიც იზრდება. ახლა, თუ გერმანიის შინამეურნეობებს შეუძლიათ სესხის აღება საფრანგეთის შინამეურნეობებისგან (თუ სასესხო სახსრების ბაზარი მოიცავს როგორც საფრანგეთს, ისე გერმანიას), ორივე ქვეყანაში შინამეურნეობებს შეუძლიათ მოიხმარონ მათი ნორმალური ან საშუალო შემოსავლის შესაბამისად, რაც ზეგავლენას არ მოახდენს სარგებლის განაკვეთზე. გაიზრდება საკრედიტო სახსრების მიწოდება, რადგან საფრანგეთის

მოსახლეობა უფრო მეტ დანაზოგს გააკეთებს. ეს ნაწილობრივ ან სრულად აანაზღაურებს საკრედიტო სახსრებზე მოთხოვნის ზრდას, რომელიც წარმოიშობა გერმანიის რეზიდენტებისგან. როდესაც გერმანიის ეკონომიკა გამოვა რეცესიიდან და დაიწყებს გაჯანსაღებას, გერმანიის შინამეურნეობებს სესხების დაფარვა შეეძლებათ.

მართალია, ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ საბანკო სესხები, მაგრამ არსებობს ფინანსური კაპიტალის სხვა ფორმებიც, როგორც ობლიგაციები და კომპანიის აქციებია, მაგრამ რეცესიული ეკონომიკის მიერ სწრაფად მზარდი ეკონომიკისგან სახსრების მიღების პრინციპი იგივე რჩება. ამრიგად, ფინანსური კაპიტალის ბაზრის ინტეგრაცია სხვადასხვა ქვეყნებში საშუალებას აძლევს შინამეურნეობებს დააზღვიონ ერთმანეთი ასიმეტრიული შოკისგან, რათა ეკონომიკური ციკლის პერიოდში მოხმარების ვოლატულობის შემცირება შესაძლებელი იყოს.

**სიმეტრიული მაკროეკონომიკური შოკები.** გაითვალისწინეთ, რომ მონეტარული კავშირის წევრობაზე გაწეული დანახარჯების აღწერისას, ჩვენ გამოვიყენეთ პოზიტიური მოთხოვნის შოკის მაგალითი ერთ ქვეყანაში და იმავდროული უარყოფითი მოთხოვნის შოკი სხვა ქვეყანაში. იგივე სურათი გვექნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენ უბრალოდ დავუშვებდით პოზიტიური ან უარყოფითი მოთხოვნის შოკს ერთ ქვეყანაში და საერთოდ არ დავუშვებდით შოკს მეორე ქვეყანაში. მთავარი საკითხი იყო ის, რომ მოთხოვნის შოკი ასიმეტრიული იყო იმ გაგებით, რომ ის განსხვავებულად მოქმედებდა სავალუტო კავშირის სხვადასხვა წევრზე და სხვადასხვა მოკლევადიან პოლიტიკურ რეაგირებას მოითხოვდა. ცხადია, შოკი რომ სიმეტრიული ყოფილიყო, პრობლემა არ იქნებოდა. თუ, მაგალითად, AD ერთდროულად გაიზრდებოდა ყველა წევრ ქვეყანაში, რაც გამოიწვევდა მოსალოდნელი ინფლაციის მატებას, მაშინ სარგებლის განაკვეთების ზრდის პოლიტიკას მონეტარული კავშირის ყველა წევრი მიესალმებოდა. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი ერთი ვალუტის გამპომყენებელი ქვეყნები მოვიდოდნენ სინქრონიზაციაში - ერთდროულად შევიდოდნენ როგორც რეცესიაში, ისე ციკლის აღდგენის ფაზაში. ასე, რომ საუკეთესო სარგებლის განაკვეთის პოლიტიკის შესახებ უთანხმოების წარმოშობის ალბათობა ნაკლებია.

## ერთიანი ვალუტის სარგებლის ზრდის მახასიათებლები

**ვაჭრობის ინტეგრაციის მაღალი დონე.** რაც უფრო მეტია ქვეყნებს შორის ვაჭრობის ინტეგრაციის ხარისხი, მით უფრო მეტ სარგებელს იღებენ ისინი საერთო ვალუტის შემოღებით. სავალუტო კავშირის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა და ყველაზე პირდაპირი სარგებელი არის ტრანზაქციული დანახარჯების შემცირება. ამიტომ რაც უფრო მეტია საერთაშორისო ვაჭრობა, და, შესაბამისად - უცხოური ვალუტის ოპერაციები - მით უფრო მეტად მცირდება ტრანზაქციული დანახარჯები.

რაც უფრო მაღალი იქნება შიდაკავშირული ვაჭრობის დონე, მით უფრო მეტად შემცირდება გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, რაც სავალუტო კავშირის კიდევ ერთი უპირატესობაა.

**შემოწმებისთვის** - რას გულისხმობს ოპტიმალური სავალუტო ზონა? ჩამოთვალეთ და განიხილეთ ოპტიმალური სავალუტო ზონის ძირითადი მახასიათებლები.

## არის თუ არა ევროპა ოპტიმალური სავალუტო ზონა?

როდესაც დავადგენთ, თუ რომელი მახასიათებლები გახდის საერთო ვალუტის სარგებელს უფრო ძლიერს, ხოლო დანახარჯებს - უფრო სუსტს, შეგვეძლება უფრო კარგად გავიგოთ ჩამოყალიბდა თუ არა ევროპა და, კერძოდ, ევროზონის შემადგენლობაში შემავალი 19 ქვეყნის ჯგუფი ოპტიმალურ სავალუტო ზონად.

### ვაჭრობის ინტეგრაცია

ვაჭრობის ინტეგრაციის ხარისხი შეიძლება შეფასდეს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში იმპორტისა და ექსპორტის მიხედვით, რომელიც გამოსახულია მსკ - ს პროცენტის სახით. ევროპაში ვაჭრობის ინტეგრაციის ხარისხი საკმაოდ ცვალებადია, თუმცა საშუალოდ საკმაოდ მაღალია - გარდა საბერძნეთისა, რომელიც არსებითი გამონაკლისია. ვაჭრობის ინტეგრაციის ხარისხი დროთა განმავლობაში ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში იზრდებოდა, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ავსტრიაში, ინტეგრაცია უფრო მეტად აღინიშნა, ვიდრე სხვაში, როგორცაა იტალია.

ამის გამო, ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებდა, რომ ოპტიმალური სავალუტო ზონის ისეთი კრიტერიუმი, როგორცაა ვაჭრობის ინტეგრაციის მაღალი ხარისხი - შეიძლება სინამდვილეში ენდოგენური იყოს: ფაქტობრივად, სავალუტო კავშირის წევრობამ შეიძლება გააძლიეროს კავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ხარისხი, ასეთი ვაჭრობის განხორციელებისას ტრანზაქციული დანახარჯების შემცირების გამო.

საერთო ჯამში, ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ, თუ არა ყველამ, დიდი სარგებელი ნახა საერთაშორისო ვაჭრობაში ერთიანი ვალუტის გამოყენებისას წარმოქმნილი ტრანზაქციული დანახარჯების შემცირების შედეგად. მართლაც, როგორც შეფასდა, ეს სარგებელი ევროზონის მსკ-ს ერთი პროცენტის დაახლოებით ერთი მეოთხედიდან ნახევარამდე ნაწილს შეადგენს. ეს შეიძლება უმნიშვნელოდ ჟღერდეს, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ტრანზაქციული დანახარჯები დაუბრუნებელი დანაკარგია. უფრო მეტიც, მოგება არ არის ერთჯერადი: ის მუდმივად დაგროვდება, სანამ ერთიანი ვალუტა შენარჩუნდება, რადგანაც სავალუტო კავშირის არარსებობის შემთხვევაში მათი გადახდა იქნებოდა საჭირო. ამიტომ, ეს მოგება კუმულაციური ხდება. გარდა ამისა, თუ ევროზონის ვაჭრობის ინტეგრაციის ხარისხი დროთა განმავლობაში გაიზრდება ერთიანი ვალუტის შემოღების შედეგად, როგორც ზოგიერთი ეკონომისტი ვარაუდობს, დროთა განმავლობაში ტრანზაქციული დანახარჯების გადახდის აუცილებლობის არარსებობით მიღებული ფარული მოგებაც გაიზრდება.

ერთიანი ვალუტის სხვა, ირიბი სარგებელი, როდესაც ვაჭრობის ინტეგრაციის მაღალი ხარისხია, გამომდინარეობს არასტაბილურობის შემცირებიდან, რომელიც უკავშირდება წევრი ქვეყნების ეროვნულ ვალუტებს შორის გაცვლითი კურსის მერყეობების აღმოფხვრას (რადგან ეს

ვალუტები ჩანაცვლებულია ერთიანი ვალუტით). ამ სარგებლის რაოდენობრივი შეფასება რთულია, მაგრამ იგი ევროზონისთვის უმნიშვნელო არ არის.

## რეალური ხელფასის მოქნილობა

ბევრი კვლევა ჩატარდა ევროპაში რეალური ხელფასის მოქნილობის შესახებ და პარაქტიკულად ყველა კვლევის შედეგად დაიდო დასკვნა, რომ კონტინენტური ევროპის შრომის ბაზრები ერთ-ერთი ყველაზე ხისტია მსოფლიოში. ამის საპირისპიროდ, გაერთიანებული სამეფოს შრომის ბაზარი, ყოველ შემთხვევაში 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი გახდა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მოქმედებს კანონები მინიმალური ხელფასის შესახებ, თუმცა ეს ყველაფერი არაა, რადგანაც გაერთიანებულ სამეფოშიც დაწესებულია მინიმალური ხელფასები. შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზია ხელფასის შესახებ კოლექტიური მოლაპარაკებების მაღალი დონე, რაც ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა კონტინენტურ ევროპაში, ანუ სახელფასო ხელშეკრულებები, რომლებითაც ძალიან ბევრი დასაქმებული სარგებლობს. პროფესიულ კავშირებში სამუშაო ძალის გაერთიანების დონის ამსახველი ციფრები საკმაოდ შთამბეჭდავია ამ თვალსაზრისით. მაგალითად, ადრეულ 2000-იან წლებში, გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიაში და იტალიაში სამუშაო ძალის დაახლოებით 30 პროცენტი იყო გაწევრიანებული პროფესიულ კავშირში, ხოლო საფრანგეთში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 10 პროცენტი იყო (მას შემდეგ ეს ციფრი 8 პროცენტამდე შემცირდა). თუმცა, კონტინენტური ევროპის პროფესიული კავშირები ხშირად სარგებლობენ კოლექტიური მოლაპარაკებების, დამსაქმებლისა და დასაქმებულის სხვა უფლებებით, რაზეც გაერთიანებული სამეფოს პროფესიული კავშირების წევრებს მხოლოდ ოცნება შეუძლიათ. პროფესიული კავშირების ძალა და შრომის ბაზრის მოუქნელობა გარკვეულ პერიოდში იწვევდა შეშფოთებას საფრანგეთში. 2013 წელს ხელისუფლებასა და პროფესიულ კავშირებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება რთული და მკაცრი შრომის კანონმდებლობის რეფორმირების თაობაზე. შეთანხმებას არაერთგავროვანი რეაქცია მოჰყვა: ზოგიერთის აზრით, ეს არასაკმარისი იყო, სხვების ვარაუდით კი- ეს შეთანხმება ბოლოს მოუღებდა საფრანგეთში დასაქმებულთა უფლებებს.

ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღებას შესაძლოა ასევე უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინა ევროპაში ხელფასების მოქნილობაზე, რადგან ერთ ქვეყანაში დასაქმებულებსა და ფირმებს შორის გაფორმებული ბევრი ევროპული კოლექტიური სახელფასო ხელშეკრულება ხშირად ასევე ვრცელდება ამ ფირმის სამუშაო ძალაზე სხვა ევროპულ ქვეყნებში. ამას გარდა ერთიანი ვალუტა ააშკარავებს ევროპის ქვეყნებს შორის სახელფასო და საფასო განსხვავებებს. კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს გერმანიაში უარყოფითი მოთხოვნის შოკის და საფრანგეთში დადებითი შოკის შესახებ. კომპანიისთვის, რომელსაც დასაქმებული ყავს მუშახელი ორივე ქვეყანაში, რთული იქნებოდა გერმანიაში ხელფასის დაკლება, ხოლო საფრანგეთში მისი მომატება.

ამას გარდა, ევროპული შრომის კანონმდებლობა ზოგადად გაცილებით მეტად შემზღვევადია კონტინენტური ევროპის ბევრ ქვეყანაში, ვიდრე გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში, ისევე როგორც ხელფასებზე საშემოსავლო გადასახადები. ასე, რომ სამუშაო ძალის



შემცირებით ან გაზრდით გამოწვეული ფირმის ხარჯები შეიძლება ძალიან მაღალი იყოს. ეს ნიშნავს, რომ მაშინაც კი თუ იქნებოდა რეალური ხელფასის დინამიკა, ფირმები არ იჩქარებდნენ საპასუხოდ თავიანთი გამოშვების გაფართოებას ან შემცირებას, ამიტომ AS-ის ცვლილებებიც ნელა მოხდებოდა.

მთლიანობაში, ნაკლებდავარაუდოა, რომ ასიმეტრიულ შოკებზე ადაპტაცია რეალური ხელფასის ცვლილებების ხარჯზე საყურადღებო იყოს ევროზონაში.

## სამუშაო ძალის მობილობა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამუშაო ძალა ევროპის ქვეყნებში უმოძრაოა. ყოველ შემთხვევაში, თუ არ ჩავთვლით მიგრაციას ევროკავშირის ახალ, აღმოსავლეთ ევროპულ წევრებს, როგორცაა პოლონეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. ნაწილობრივ ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ევროპის ქვეყნებში ენებს, კულტურასა და სხვა სოციალურ ინსტიტუტებს შორის არსებულ განსხვავებებს, რაც მუშახელისთვის მიგრაციის პროცესს ართულებს. თუმცა, როგორც ჩანს, თავად ევროპელ მუშახელსაც დიდად არ სურს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა საკუთარ ქვეყანაშიც კი. სამუშაო ძალის მობილობის ხარისხი, თუ მას გავზომავთ როგორც იმ სამუშაო ძალის პროცენტს, რომელიც იცვლის გეოგრაფიულ მდებარეობას დროის ნებისმიერ კონკრეტულ მონაკვეთში, გაცილებით დაბალია ნებისმიერ კონკრეტულ ევროპულ ქვეყანაში, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში და კიდევ უფრო დაბალია ევროზონის ქვეყნებს შორის. ამრიგად, ევროპას ძალიან დაბალი შეფასება აქვს ოპტიმალური სავალუტო ზონის ამ კრიტერიუმის მიხედვით.

## ფინანსური კაპიტალის მობილობა

ფინანსური კაპიტალის მობილობის შესახებ მსჯელობისას, აუცილებელია საბითუმო და საცალო კაპიტალის ბაზრების ერთმანეთისაგან განსხვავება. საბითუმო კაპიტალის ბაზრები არის კაპიტალის ბაზრები, რომელშიც ოპერირებენ მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტები, მაგალითად, ბანკები და საინვესტიციო ფონდები, და ასევე ძალიან მსხვილი კორპორაციები. საცალო კაპიტალის ბაზრები (როგორცაა მრავალფილიალიანი ბანკები) ღიაა ინდივიდუალური შინამეურნეობებისთვის, მცირე და საშუალო ზომის კორპორაციებისთვის. ევროს შემოღებამდე ფინანსური ინტეგრაცია ევროზონის ქვეყნებს შორის სავარაუდოდ დაბალი იყო, როგორც საბითუმო ისე საცალო სექტორებში. თუმცა, ევროს შემოღების შემდეგ საბითუმო ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ,

შეიქმნა ერთიანი ბანკთაშორისი სარგებლის განაკვეთების მქონე ლიკვიდური ფულის ბაზარი ევროში ისე, რომ ბანკს, ვთქვათ, ლუქსემბურგში, შეეძლო ესესხა ევრო ისევე მარტივად და იმავე სარგებლის განაკვეთით ფრანკფურტში მდებარე სხვა ბანკისგან, როგორც ისესხებდა ლუქსემბურგში იმავე ქუჩაზე არსებული ბანკისგან. სახელმწიფო ობლიგაციების ბაზარზე საბაზრო ინტეგრაციის დონე ასევე მაღალია, რასაც ამტკიცებს ფაქტი, რომ სახელმწიფო

ობლიგაციებზე დაწესებული სარგებლის განაკვეთები ევროზონის სხვადასხვა ქვეყანაში ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან და აქვთ მსგავსად ცვლილების ტენდენცია. მეორე მხრივ, საცალო ბაზრის პროდუქტების ინტეგრაცია, როგორცაა შინამეურნეობებსა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე გაცემული სესხები, ჩამორჩება საბითუმო ბაზრის პროდუქტების ინტეგრაციას. ეს ცხადი ხდება ქვეყნებს შორის საბანკო დაკრედიტების განაკვეთებს შორის მუდმივად არსებული განსხვავებებით და საკმაოდ შეზღუდული საერთაშორისო საცალო საბანკო საქმიანობით. მართლაც, ეროვნული საბანკო სექტორები ძირითადად იზოლირებული დარჩნენ მხოლოდ უმნიშვნელო ტრანსსასაზღვრო შეღწევის ფონზე.

## სიმეტრიული მოთხოვნის შოკები

როგორც ჩანს, ევროზონის ქვეყნების ეკონომიკური ციკლები ერთმანეთთან დადებით კორელაციაში არ არის იმ გაგებით, რომ ძლიერი ზრდის და ვარდნის დროითი ინტერვალები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა. პრობლემა იმდენად იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გარდამტეხი მომენტები ერთმანეთს არ ემთხვევა, არამედ იმაში, რომ გარკვეული ქვეყნების, მაგალითად, ირლანდიისა და საბერძნეთის, ზრდის ტემპმა 2005-2007 წლებში ევროზონის ეკონომიკურ დინამიკას მთლიანობაში გადაასწრო, თუმცა შემდეგ, ფინანსური კრიზისის გამო ორივე მნიშვნელოვან პრობლემებს შეეჯახა. კრიზისის მომდევნო პერიოდში ირლანდიაში ადგილი ჰქონდა აღორძინებას და მისი ეკონომიკური დინამიკის ტემპი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მთლიანად ევროზონისა. საბერძნეთი კი სტაგნაციას აგრძელებდა. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის შემდეგ ევროზონამ მთლიანობაში სუსტი აღორძინება განიცადა, საბერძნეთს ამ აღორძინებაში წვლილი არ შეუტანია. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად ევროზონაში 2008-2014 წლების მონეტარული პოლიტიკა საბერძნეთისა და ირლანდიის ეკონომიკის იმავე პერიოდში არსებულ საჭიროებებს არ შეესაბამებოდა.

შესაბამისად, მტკიცებულებები საერთო ჯამში გარკვეულწილად არაერთგვაროვანია. თუმცა, მთლიანობაში ასიმეტრიული მოთხოვნის შოკების პრობლემა არ წარმოადგენს დიდ პრობლემას EMU-ის ამჟამინდელი წევრი ქვეყნებისათვის. ასიმეტრიული შოკები ეკონომიკაში შეიძლება სხვა დონეებზეც არსებობდეს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ რეალურად, შოკების უმრავლესობა, რომლებიც ასიმეტრიულად ახდენს გავლენას ევროპის ქვეყნებზე, უფრო მეტად დამახასიათებელია რეგიონისთვის ან დარგისთვის, ვიდრე მთლიანად ქვეყნისათვის. თუმცა, ეს არ არის სავალუტო კავშირში გაწევრიანების პრობლემა. ქვეყანა, რომლის რომელიმე დარგმა ან რეგიონმა, მაგალითად, უარყოფითი შოკი განიცადა, ნებისმიერ შემთხვევაში ვერ შეძლებს გაუმკლავდეს მას მონეტარული ან გაცვლითი კურსის პოლიტიკის გამოყენებით სხვა რეგიონებში ან დარგებში დისბალანსის წარმოქმნის გარეშე. ორსიჩქარიანი ევროკავშირის იდეამ ქვეყნების -პორტუგალია, ირლანდია, იტალია, საბერძნეთი და ესპანეთი გათვალისწინებით, რომლებსაც ფინანსური კრიზისის შემდეგ დავალიანების კრიზისის პრობლემები აქვთ, ხაზი გაუსვა, რომ არსებობს ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც სხვებზე უკეთ უმკლავდებიან ეკონომიკურ შტორმებს. გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, დანია და შვედეთი უფრო სწრაფად აღორძინდნენ ფინანსური კრიზისის შემდეგ. ეკონომისტებმა აღნიშნეს, რომ ევროზონისა და მთლიანად ევროკავშირის ინტეგრაციის ხარისხი გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკური

შოკიდან გამოსვლის უნარზე. თუ ევროკავშირის ქვეყნებს მნიშვნელოვანი ფისკალური სირთულეები შეექმნებათ და მკაცრი ზომების განხორციელება მოუწევთ, ამ ეკონომიკებში მოთხოვნის დონე დაეცემა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მოთხოვნაზე სხვა ეკონომიკებში. შედეგად, ევროზონის ყველა ქვეყანაში და მთლიანობაში ევროკავშირში ზრდა შესუსტდება.

## შეჯამება: არის თუ არა ევროპა ოპტიმალური სავალუტო ზონა?

ამ კითხვაზე არ არსებობს მკაფიო პასუხი. რა თქმა უნდა, ევროპის ბევრ ქვეყანას აქვს შიდა ვაჭრობის მაღალი ხარისხი და მეტ-ნაკლებად სინქრონიზებული ეკონომიკური ციკლები. თუმცა, ევროპაში დაბალია სამუშაო ძალის მობილობა და ხელფასის განაკვეთის ცვალებადობა (ზოგადად, შრომის ბაზრის მოქნილობა). მიუხედავად იმისა, რომ ევრომ გაზარდა ფინანსური ბაზრის ინტეგრაცია ევროზონის საბითუმო ვაჭრობის ფინანსურ ბაზრებზე, საცალო ვაჭრობის ბაზრები ეროვნულ დონეზე ძალზე სეგრეირებული რჩება.

შესაბამისად, თუ საერთო ჯამში ეკონომიკური ციკლის ძალიან ძლიერი განსხვავებები მოიცავს მთელს ევროზონას, დამოუკიდებელი მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის ნაკლებობა მწვავედ შეიგრძნობა. ეს შეიძლება ყოფილიყო ირლანდიასა და საბერძნეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებული შემთხვევა. ამ მიზეზით, ბევრი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ევროპა - მხედველობაშია ახლანდელი ევროზონა - არ არის ოპტიმალური სავალუტო ზონა. ამის მიუხედავად, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია, რომ ოპტიმალური სავალუტო ზონის ზოგიერთი კრიტერიუმი ენდოგენური იყოს.

კერძოდ, ერთიანი ვალუტა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტად გაზრდის ვაჭრობას EMU-ის წევრებს შორის. ამის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ წევრთა ვალუტების ეკონომიკური ციკლები უფრო მჭიდროდ სინქრონიზებული გახდება, რადგან AD ძვრებს ერთ ქვეყანაში უფრო ძლიერი თანხლები გავლენა აქვს ევროზონის სხვა ქვეყნებზე; თუმცა, ამას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს სინქრონიზებისათვის, ხოლო იმ პრობლემებმა, რომლებიც ევროკავშირს შეექმნა ფინანსური კრიზისის შემდეგ, EMU საშიშ ზღვრამდე მიიყვანა.

ერთიანმა ვალუტამ, თუ იგი შენარჩუნდება, შესაძლოა გრძელვადიან პერსპექტივაში დროთა განმავლობაში გაზარდოს სამუშაო ძალის მობილობა მთელს ევროპაში. ასევე მოსალოდნელია ფინანსური ბაზრის ინტეგრაციის გავრცელება საცალო კაპიტალის ბაზრებზე. 2014 წელს, მაგალითად, ევროპული გადახდების ერთიანი სისტემა (SEPA) ევროზონის ყველა ქვეყანაში ამოქმედდა. SEPA შეიქმნა წევრ ქვეყნებს შორის ევროს გადარიცხვის, პირდაპირი დებეტირებისა და გადახდების გასაადვილებლად.

ერთადერთი ჭეშმარიტი გამოცდა, არის (ან შეიძლება გახდეს თუ არა) ევროზონა ოპტიმალური სავალუტო ზონა, არის იმის დანახვა, შენარჩუნდება თუ არა EMU გრძელვადიან პერიოდში. ფინანსური კრიზისის შემდეგ, ევროზონის წინაშე მდგარმა გამოწვევებმა მთელი ევროპროექტის გრძელვადიანი გადარჩენა ეჭვქვეშ დააყენა. ევროს სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები, განსაკუთრებით ფინანსური რეგულირება და ფისკალური რეფორმა ამჟამად მიმდინარე განხილვის საგანია

## ფისკალური პოლიტიკა და საერთო სავალუტო ზონები

აქამდე ჩვენს განხილვაში აქცენტს ვაკეთებდით მონეტარული პოლიტიკის ავტონომიის დაკარგვაზე, რაც გულისხმობს ქვეყნებს შორის ერთიანი ვალუტის მიღებას. ამასთან, აშკარაა, რომ საერთო ვალუტა არ ნიშნავს იმას, რომ სავალუტო კავშირის წევრებმა ფისკალური პოლიტიკის სფეროში კვლავაც არ უნდა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა. მაგალითად, ასიმეტრიული მოთხოვნის შოკის ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში, რომელიც ზრდიდა მოთხოვნას საფრანგეთში და ამცირებდა გერმანიაში, საფრანგეთის მთავრობას შეეძლო ბიუჯეტური ხარჯების შემცირება მოთხოვნის შოკის ნეიტრალიზების მიზნით, ხოლო გერმანიის მთავრობას შეეძლო ბიუჯეტური ხარჯების გაზრდა რადგან ხელფასები ინერტული, ხოლო ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის მობილობა დაბალი იყო, ეროვნული ფისკალური პოლიტიკა, პრინციპში, კვლავ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მონეტარული პოლიტიკის ავტონომიის დაკარგვის შესამსუბუქებლად.

### ფისკალური ფედერალიზმი

დავუშვათ, რომ სავალუტო კავშირს გააჩნდა საერთო ფისკალური პოლიტიკა იმ გაგებით, რომ უნდა არსებობდეს ერთიანი, საერთო ფისკალური ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს საგადასახადო და ხარჯვით გადაწყვეტილებებს საერთო სავალუტო ზონაში. ეს ნიშნავს, რომ ფისკალური პოლიტიკა სავალუტო კავშირში იმუშავებდა ისევე, როგორც ფისკალური პოლიტიკა მუშაობს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაში, სადაც ერთ რეგიონში არსებული ჭარბი სახელმწიფო გადასახადების ნაწილი საბიუჯეტო ხარჯებზე გამოყენებულია სხვა რეგიონში ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად. კვლავ დავუბრუნდეთ მოთხოვნის ასიმეტრიული შოკის ჩვენებულ მაგალითს, რომელიც ზრდის AD-ს საფრანგეთში და ამცირებს AD-ს გერმანიაში, როგორც მოცემულია ნახაზზე 12.1. გახსოვდეთ, რომ ეკონომიკის ფისკალურ პოლიტიკაში ჩადებულია ავტომატური სტაბილიზატორები, რომლებიც ავტომატურად ასტიმულირებენ AD-ს, როდესაც ეკონომიკა რეცესიაში გადადის, პოლიტიკოსების მხრიდან რაიმე წინასწარგანზრახული ზომების მიღების გარეშე. ვინაიდან თითქმის ყველა გადასახადი მჭიდრო კავშირშია ეკონომიკაში ეკონომიკური აქტივობის დონესთან, გერმანიაში საგადასახადო შემოსავლები ავტომატურად შემცირდება AD-ს შოკის შედეგად, რასაც ეკონომიკა რეცესიაში გადაჰყავს. ამავდროულად, გერმანიაში ასევე გაიზრდება ტრანსფერული გადასახდელები უმუშევრობის შემწეობის სახით და სოციალური დაცვის სხვა შეღავათები. რეალურად ამის საპირისპირო მოხდება საფრანგეთში, სადაც ტრანსფერული გადასახადები შემცირდება და საგადასახადო შემოსავლები გაიზრდება ეკონომიკური აქტივობის დონესთან ერთად. ეს ცვლილებები ხელს შეუწყობს AD-ს გაზრდას გერმანიაში და მის შემცირებას საფრანგეთში, რაც გარკვეულწილად ასიმეტრიული მოთხოვნის შოკის კომპენსირებას მოახდენს.

თუ საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობებს ექნებათ საერთო ბიუჯეტი, მაშინ საფრანგეთის გაზრდილი წმინდა სახელმწიფო შემოსავლები შეიძლება გამოყენებულ იქნას გერმანიაში წმინდა სახელმწიფო შემოსავლების შემცირების განეიტრალებისათვის. თუ საერთო ჯამში მიღებული ზომები არ აღმოჩნდება საკმარისი მოთხოვნის შოკის ნეიტრალიზებისათვის,

მაშინ საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობები შეიძლება მივიდნენ ხისტ გადაწყვეტილებამდე გერმანიაში სახელმწიფო ხარჯების კიდევ უფრო გაზრდის, საფრანგეთში კი ხარჯების შემცირების, და შესაძლოა, გადასახადების გაზრდის შესახებ.

ფისკალური სისტემა ქვეყნების ჯგუფისთვის, რომელიც მოიცავს საერთო ფისკალურ ბიუჯეტს, გადასახადების სისტემას და ფისკალური გადარიცხვების სისტემას ქვეყნებში - ცნობილია როგორც ფისკალური ფედერალიზმი. მისი პრობლემაა ის, რომ ერთი ქვეყნის (აქ საფრანგეთი) გადასახადის გადამხდელები შეიძლება არ იყვნენ მოხარულნი, გადაიხადონ სხვა ქვეყნის (ამ მაგალითში, გერმანია) ბიუჯეტური ხარჯები და გადარიცხონ გადასახადები.

**ფისკალური ფედერალიზმი** - ფისკალური სისტემა ქვეყნების ჯგუფისთვის, რომელიც მოიცავს საერთო ფისკალურ ბიუჯეტს, გადასახადების სისტემას და ფისკალურ გადარიცხვებს ქვეყნებს შორის.

## ეროვნული ფისკალური პოლიტიკა სავალუტო კავშირში: უბილეთო მგზავრის პრობლემა

თუ პოლიტიკური მიზეზების გამო, ფისკალური ფედერალიზმი არ არის სავალუტო კავშირისთვის ღია არჩევანი, ჩვენ კვლავ უნდა გამოვიკვლიოთ კავშირის ცალკეული წევრების შესაძლებლობა გამოიყენონ ფისკალური პოლიტიკა ასიმეტრიული მაკროეკონომიკური შოკის ნეიტრალიზებისათვის, რომლის მოგვარება შეუძლებელია საერთო მონეტარული პოლიტიკით. კერძოდ, ჩვენს მაგალითში, რას აკეთებს გერმანია არასწორად, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დიდ დეფიციტს განიცდის, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს AD-ს შემცირებას და იღებს დიდ სესხებს დეფიციტის დასაფინანსებლად? ერთი პასუხი შეიძლება იყოს წევრი ქვეყნის სესხის ზრდის გავლენა სავალუტო კავშირის სხვა წევრებზე.

ყოველთვის, როდესაც მთავრობა დიდ ვალებს იღებს, არსებობს შესაძლებლობა, რომ მან ვალი ვერ გადაიხადოს. თუ ქვეყანა არ არის სავალუტო კავშირის წევრი და აკონტროლებს საკუთარ მონეტარულ პოლიტიკას, მას შეუძლია მოახდინოს მოულოდნელი ინფლაცია ფულის მასის ზრდით და შეამციროს სესხის რეალური ღირებულება. როდესაც ფასების დონის მკვეთრი ზრდა ხდება, ამას, როგორც წესი, თან ახლავს ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაში ღირებულების მკვეთრი დაცემა. ეს ნიშნავს, რომ უცხოური ვალუტით შეფასებული სახელმწიფო ვალის ღირებულება ახლა გაცილებით ნაკლები იქნება.

თუ ეს შეუძლებელია (როცა ქვეყანა სავალუტო კავშირის წევრია) მას აღარ აქვს მონეტარული პოლიტიკის ავტონომია და არ შეუძლია გააუფასუროს თავისი ვალუტის საერთაშორისო ღირებულება (რადგან ის იყენებს საერთო ვალუტას). მაშინ ვალზე უარის

თქმის ერთადერთი გზა არის პირდაპირი გადაუხდელობა (მაგ. სარგებლის გადახდის შეჩერება ან ძირი თანხის დაბრუნების შეუსრულებლობა ვადის დადგომისას). ზოგადად, ფინანსური ბაზრები კარგ გაკვეთილს აძლევენ მთავრობებს, რომლებიც დიდ სესხებს იღებენ, გაცემულ სესხებზე მაღალი სარგებლის დაწესებით. თუ ფიქრობთ, რომ არსებობს იმის მცირე შანსი მაინც, რომ ვერ დაიბრუნოთ ფული, ისურვებთ უფრო მაღალი განაკვეთის მიღებას ამ რისკის საკომპენსაციოდ. მაგალითად, საბერძნეთში ათწლიანი სახელმწიფო სესხის სარგებლის განაკვეთი 2014 წლის დეკემბრის 8.42 პროცენტიდან 2015 წლის აპრილში 12 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ქვეყნის მიერ დავალიანების გადაუხდელობის პერსპექტივის გამო შემფოთებას ასახავს. შედარებისთვის, იმავე პერიოდის სარგებლის განაკვეთები გერმანიის მსგავს სესხზე შესაბამისად 0.59 და 0.12 პროცენტი იყო. ქვეყნისათვის იშვიათად არის შეუძლებელი ფულის სესხება საერთაშორისო ბაზრებზე, მაგრამ თუ სარგებლის განაკვეთები დაახლოებით 7 პროცენტზე მეტია, მაშინ სესხის მომსახურების ღირებულება გრძელვადიან პერსპექტივაში არამდგრადი ხდება. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკური ზრდა სუსტია, როგორც ეს საბერძნეთში იყო. თუ სესხის ღირებულება სტაბილურად აღემატება 7 პროცენტს, მაშინ მოსალოდნელია, რომ მთავრობები უფრო მეტ პრობლემებს შეეჯახებიან და სავარაუდოა, რომ სესხს ვერ დაფარავენ.

სავალუტო კავშირის შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ერთი წევრი ქვეყნის მიერ ჭარბი სასესხო ვალდებულებების აღება გამოიწვევს სარგებლის გაზრდას საერთო სავალუტო ზონის მთელ ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ECB რეფინანსირების ოპერაციების მეშვეობით ევროზონაში აკონტროლებს მოკლევადიანი სესხების სარგებლის განაკვეთებს, იგი ვერ აკონტროლებს გრძელვადიანი სესხების, მაგალითად, 10 ან 20 წლიან სახელმწიფო ობლიგაციებზე სარგებლის განაკვეთებს. აქედან გამომდინარე, ევროზონის რომელიმე ქვეყნის მთავრობის მიერ ფისკალური უდისციპლინობა ხელს შეუწყობს სავალუტო კავშირის ყველა წევრისთვის სესხის აღების ღირებულების გაზრდას.

ამასთან, სარგებლის განაკვეთები შეიძლება საკმარისად არ იყოს გაზრდილი მაღალი სესხის აღების მსურველი მთავრობების მადის მოსათოკად. ბაზრები გრძნობენ, რომ სავალუტო კავშირის სხვა წევრები არ დაუშვებენ ასეთი ქვეყნის მიერ სესხის დაუფარაობას. თუ იგი ასეთი საფრთხის წინაშე დადგება, სხვა წევრები სავარაუდოდ აქტიურად ჩაერევიან, გამოისყიდონ სახელმწიფოს სესხს და ამ ქვეყანას „კრიზისიდან გამოიყვანენ“. ECB-ს, ევროკავშირის ფინანსთა მინისტრებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან ჩარევა ირლანდიის,

საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების ფინანსური კრიზისისგან გამოსაყვანა, არის ზუსტად ასეთი შემთხვევა. ამ შემთხვევებში მინისტრები EMU-ს შესანარჩუნებლად იბრძოდნენ. ფაქტობრივად, ეს არის უბილეთო მგზავრის პრობლემის მაგალითი - მთავრობა სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით ხარჯების გადახდის გარეშე.

გარდა ამისა, თუ ეს მთავრობა აღებულ სესხებს იყენებს ძლიერი საგადასახადო სტიმულირების დასაფინანსებლად, ამან შეიძლება იმუშაოს ECB-ის ანტიინფლაციური მონეტარული პოლიტიკის წინააღმდეგ ან გააუქმოს იგი მთლიანი ევროზონის მასშტაბით. .

ამ პრობლემების თავიდან აცილების მიზნით სავალუტო კავშირის წევრებმა შეიძლება დადონ შეთანხმება "არა-დახმარების შესახებ", რომელშიც ნათქვამია, რომ წევრ ქვეყნებს არ შეუძლიათ სხვა წევრებისგან დახმარებას მოელოდნენ, თუ მათი დავალიანების დონე არამდგრადი გახდება. ფაქტობრივად, EMU-ის წევრებს შორის არსებობს ზუსტად ასეთი შეთანხმება "არა-დახმარების შესახებ". სამწუხაროდ, „არა-დახმარების შესახებ“ შეთანხმება არ აღმოცნდა მყარი. ეს დაადასტურა წევრთა მცდელობამ მხარი დაეჭირათ მფლავნველი ქვეყნებისთვის სახელმწიფო ვალის კრიზისში. თუ EMU-ს წევრმა ვერ გადაიხადა სესხი, ეს დიდ გავლენას მოახდენს ევროზონის მასშტაბით, რადგან გამოიწვევს ფინანსური ბაზრების მიერ ნდობის დაკარგვას სხვა წევრებისთვის გაცემულ სესხებზე. ამის თავიდან ასაცილებლად EMU-ის წევრებმა იმოქმედეს იმ წევრი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომლებსაც სესხის გადაუხდელობის საფრთხე ემუქრებოდათ.

ამ მიზეზების გამო, სავალუტო კავშირის წევრებმა შეიძლება მოისურვონ ერთმანეთისთვის წესების დაწესება ეროვნული ფისკალური პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით, რათა თავიდან აიცილონ რომელიმე წევრის მიერ ფისკალური უდისციპლინობა. EMU-ს შექმნის პირველ პერიოდში შედგა და შეთანხმდა ფისკალური წესების კრებული. წესების ეს კრებული ცნობილია როგორც სტაბილურობისა და ზრდის პაკტი (SGP) (იხ. ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითის კვლევა).

### ქეისის განხილვა

#### სტაბილურობისა და ზრდის პაკტი: ავი ძალი კბილების გარეშე

სტაბილურობისა და ზრდის პაკტი იყო ფორმალური წესების კრებული, რომლის თანახმადაც, EMU-ს წევრებს თავიანთი ეროვნული ფისკალური პოლიტიკის გატარებისას გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდათ. მისი ძირითადი კომპონენტები იყო შემდეგი:

- წევრებმა მიზნად უნდა დაისახონ დაბალანსებული ბიუჯეტის მიღწევა.
- წევრები, რომელთა ბიუჯეტის დეფიციტი მსკ-ს 3 პროცენტზე მეტია, დაექვემდებარებიან სანქციებს, რამაც შეიძლება მიაღწიოს მსკ-ს 0,5 პროცენტს, იმ შემთხვევის გარდა, თუ ქვეყანა არ განიცდის განსაკუთრებულ გარემოებებს (მაგალითად, სტიქიას) ან ძალიან მკვეთრ რეცესიას, როდესაც მსკ წელიწადში 2 პროცენტით ან მეტით იკლებს.

თუ EMU-ის წევრები მოერგებიან SGP-ს, ეს გამორიცხავს უბილეთო მგზავრის პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე წევრი ქვეყნის გადაჭარბებულ ხარჯვასთან და სესხების აღებასთან. გადაწყვეტილება, რომ ბიუჯეტის მაქსიმალური დეფიციტი იყოს მსკ-ს არაუმეტეს 3 პროცენტი, დაკავშირებული იყო 1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულების პუნქტთან, რომლის თანახმად, სახელმწიფო ვალის გონივრული თანაფარდობა მსკ-სთან არ უნდა იყოს 60%-ზე მეტი. შესაძლოა შემთხვევით, თუმცა იგი ძალიან ახლოს იყო 1992 წლის გერმანიის რეალური სესხისა და მსკ-ს თანაფარდობასთან. ამასთან, თუ ვნახავთ, რომ სესხის 60 პროცენტთანმა თანაფარდობამ მსკ-სთან შესაძლოა გამოიწვიოს ბიუჯეტის „გონივრული“ დეფიციტი წელიწადში არა უმეტეს 3 პროცენტისა, მოდით, გავაკეთოთ მარტივი ბიუჯეტური არითმეტიკა. დავუშვათ, რომ ქვეყანას აქვს მსკ-ს რეალური ზრდა წელიწადში 3 პროცენტი და ინფლაცია წელიწადში 2 პროცენტი, ასე რომ ნომინალური მსკ წლიურად 5 პროცენტით იზრდება. ეს


ნიშნავს, რომ მისი სახელმწიფო ვალის ნომინალური ღირებულება შეიძლება წელიწადში 5 პროცენტით გაიზარდოს და კვლავ იყოს მდგრადი. თუ დავალიანების თანაფარდობა მსკ-სთან 60 პროცენტია, ეს ნიშნავს, რომ ვალი შეიძლება გაიზარდოს 60 პროცენტის 5 პროცენტით, ან მსკ-ს 3 პროცენტით წელიწადში, ხოლო დავალიანების მსკ-სთან თანაფარდობა უცვლელი დარჩეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი წყალობით ბიუჯეტის დეფიციტი შეიძლება იყოს მსკ-ს 3 პროცენტი წელიწადში.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ლოგიკა იყო ბიუჯეტის მაქსიმალური დეფიციტის წელიწადში 3 პროცენტით განსაზღვრაში (მაქსიმალური გონივრული 60 პროცენტთან თანაფარდობის პირობებში დავალიანებასა და მსკ-ს შორის) გაუგებარია, რატომ ითვალისწინებს SGP, რომ წევრების მიზანს უნდა წარმოადგენდეს დაბალანსებული ბიუჯეტი. ახლახანს განხილული ბიუჯეტური არითმეტიკიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ქვეყნებისთვის არ არის არაგონივრული, იქონიონ ბიუჯეტის მცირე დეფიციტი, სანამ ისინი მსკ-ის გრძელვადიანი მდგრადი ზრდით სარგებლობენ. SGP-ის მიერ ნაგულისხმევი ეროვნული ფისკალური პოლიტიკის ქმედითი "დამაწყნარებელი პერანგი" შეიძლება ასახავდა EMU-ის არქიტექტორების სურვილს, რომ ECB-მა შეინარჩუნოს ეფექტური მონოპოლია მოთხოვნის მართვაზე. ამასთან, SGP-სთვის გადამწყვეტი საკითხი იყო ის, საკმარისი იქნებოდა თუ არა მაქსიმალური დასაშვები ბიუჯეტური დეფიციტი ქვეყნისათვის, რათა მის ავტომატურ ფისკალურ სტაბილიზატორებს ამოქმედების საშუალება ჰქონოდა, როცა ქვეყანაში რეცესია დაიწყებოდა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სავალუტო კავშირში, რადგან წევრმა ქვეყნებმა უკვე დათმეს დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების თავიანთი უფლება და მათ პოლიტიკის ინსტრუმენტად გაცვლითი კურსის გამოყენება არ შეუძლიათ.

პრაქტიკაში, SGP აღმოჩნდა რაღაც უკბილო მაკონტროლებელი. რადგანაც ადრეულ წლებში ევროზონა განიცდიდა შენელებულ ზრდას, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წევრი ქვეყანა - კერძოდ, უმსხვილესი წევრებიდან ორი - საფრანგეთი და გერმანია - არღვევდა SGP-ს კრიტერიუმებს. ამასთან, როგორც საფრანგეთმა, ისე გერმანიამ შეძლეს EMU-ს სხვა წევრების დარწმუნება, რომ არ დაეკისრებინათ ჯარიმები და 2004 წელს ევროკომისიამ შეადგინა სახელმძღვანელო პრინციპები SGP-ს შერბილების შესახებ. ეს სახელმძღვანელო პრინციპები უფრო ფართო მასშტაბით განიხილავდა ქვეყნების სახელმწიფო ფინანსების მდგრადობას ინდივიდუალურ საფუძველზე. უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა სესხის მთელ ტვირთს და გრძელვადიან ვალდებულებებს, როგორცაა პენსიები. ფინანსური კრიზისის შედეგებმა უფრო მკაფიო გახადა SGP-ს შეზღუდვის აუცილებლობა

*სტაბილურობისა და ზრდის პაქტი: ავი ძალის კბილების გარეშე*





**შემოწმებისათვის** - რა არის ფისკალური ფედერალიზმი? როგორ შეუძლია მას დაეხმაროს საერთო სავალუტო ზონის ფუნქციონირებას?

## ბიუჯეტური პაქტი

ფინანსური კრიზისის შედეგად ევროპის მრავალი ქვეყნის დავალიანების კრიზისის პრობლემებმა და ევროზონის შენარჩუნების მცდელობებმა შედეგად მოიტანა მოლაპარაკებები ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის 1 იანვარს. იგი ცნობილია, როგორც ბიუჯეტური პაქტი, მაგრამ მისი სრული სახელწოდებაა *ხელშეკრულება სტაბილურობის, კოორდინაციისა და მმართველობის შესახებ ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში*. ბიუჯეტური პაქტის მიზანია:

*გამყაროს ეკონომიკური და სავალუტო კავშირის საყრდენი ისეთი წესების მიღებით, რომლებიც მიზნად ისახავს ბიუჯეტური დისციპლინის განმტკიცებას, ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის გაძლიერებას და ევროზონის მმართველობის გაუმჯობესებას, რითიც ხელს შეუწყობს ევროკავშირის მიზნების მიღწევას, რაც მდგომარეობს მდგრად ზრდაში, დასაქმებაში, კონკურენტუნარიანობასა და სოციალურ ერთიანობაში.*

ხელშეკრულება მოითხოვს მონაწილე წევრი სახელმწიფოებისგან, რომ მათი ბიუჯეტები იყოს დაბალანსებული ან ნამეტი და სტრუქტურული დეფიციტი არ აღემატებოდეს ქვეყნის ნომინალური მსპ–ს 0.5 პროცენტს. **სტრუქტურული დეფიციტი** გულისხმობს სიტუაციას, როდესაც დეფიციტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკურის ციკლის ფაზებზე, არამედ მთავრობა „თავისი საშუალებების მიღმა ცხოვრობს“ - ხარჯავს იმას, რაც არ მიუღია. ამ სახის დეფიციტი უპირისპირდება **ციკლურ დეფიციტს**, სადაც მთავრობის ხარჯები და შემოსავალი ირღვევა "ნორმალური" ეკონომიკური ციკლიდან გადახრით.

**სტრუქტურული დეფიციტი** - სიტუაცია, როდესაც მთავრობის დეფიციტი ეკონომიკურ ციკლის ფაზებზე დამოკიდებული არ არის.

**ციკლური დეფიციტი** - სიტუაცია, როდესაც მთავრობის ხარჯები და შემოსავალი ირღვევა „ნორმალური“ ეკონომიკური ციკლიდან გადახრით.

თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს გრძელვადიანი მდგრადობის მინიმალური ნიშნული, რომელიც ყოველწლიურად განიხილება. დაბალანსებული ბიუჯეტის წესიდან გადახრა დასაშვებია გამონაკლის გარემოებებში, როგორცაა მძიმე ეკონომიკური ვარდნა. თუ წევრი სახელმწიფო გადაუხვევს წესს, ამოქმედდება ავტომატური გამოსწორების მექანიზმი, რომელიც ჩაშენებული უნდა იყოს ქვეყნის იურიდიულ სისტემაში. ეს იურიდიული მექანიზმი 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. წევრი სახელმწიფოები დაექვემდებარნენ ბიუჯეტურ და ეკონომიკური პარტნიორობის პროგრამას, რომელიც ასახავს დეტალურ სტრუქტურულ რეფორმებს. წესები ვრცელდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერ 26-ვე ქვეყანაზე. ჩეხეთი და გაერთიანებული სამეფო ხელშეკრულებას გამოეთიშნენ.

უფრო მეტი ფისკალური დისციპლინის დაწესება გონივრულია. იგი ხელს უშლის მთავრობებს ზედმეტი ხარჯების შემცირებაში და უბილეთო მგზავრის პრობლემის დაძლევაში. ამიტომ ბიუჯეტური პაკტი მოიხსენიება, როგორც „ეკონომიკის ინსტიტუციური მკაცრი ზომები“.

## დასკვნა

ამ თავში ჩამოყალიბებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი საერთო სავალუტო ზონების შესახებ და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ევროპულ სავალუტო კავშირზე. იქ, სადაც ქვეყნების ჯგუფს შორის ვაჭრობის მაღალი ხარისხია, სავალუტო კავშირის შექმნის შედეგად სარგებელიც მიიღება. ეს ძირითადად გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობაში გარიგების ხარჯების და სავალუტო კურსის არამდგრადობის შემცირებით. ამასთან, არსებობს სავალუტო კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც დიდწილად უკავშირდება მონეტარული ავტონომიისა და სავალუტო კურსების მერყეობების, როგორც მაკროეკონომიკური კორექტირების მიღწევის საშუალების, დაკარგვას. სავალუტო კავშირის შექმნისას კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს ხარჯები და სარგებელი. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში გაცვლითი კურსის კორექტირების და მონეტარული ავტონომიის დაკარგვამ შეიძლება მცირედი გავლენა იქონიოს მონაწილე ქვეყნების ეკონომიკებში პროდუქტიულობისა და უმუშევრობის დონეზე. სავალუტო კავშირში გაწევრიანების შედეგად ამ მაკროეკონომიკურ ცვლადებში შეიძლება არსებითი მოკლევადიანი ეკონომიკური რყევები მოხდეს. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ არსებობს ასიმეტრიული მოთხოვნის შოკები, რაც გავლენას ახდენს სავალუტო კავშირზე და შეუძლებელს ხდის, ყველა ქვეყნისთვის „ერთნაირად შესაფერისი“ მონეტარული პოლიტიკის შექმნას. მოკლევადიანი კორექტირება ასევე ხანგრძლივი და მტკივნეულია, როდესაც ხელფასები ძალიან სწრაფად არ რეგულირდება, თუმცა ამ პრობლემის გადალახვა შესაძლებელია წევრ ქვეყნებში სამუშაო ძალის მობილობით.

იმ ქვეყნების ჯგუფს, რომლებისთვისაც მონეტარული კავშირის სარგებელი მაღალია და დანახარჯებიც შედარებით დაბალი, ოპტიმალურ სავალუტო ზონას უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ არსებული ევროპული სავალუტო კავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ინტეგრაციის საკმაოდ მაღალი ხარისხია და მათი ეკონომიკური ციკლები მეტ-ნაკლებად სინქრონიზებულია (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), ევროპაში სამუშაო ძალის მობილობა

და ხელფასის განაკვეთების ცვალებადობა განსაკუთრებით დაბალია. ასევე ევროზონის ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია, მიუხედავად იმისა, რომ დიდია საბითუმო სექტორში, საცალო ფინანსურ ბაზრებზე ჯერ-ჯერობით ნელა მიმდინარეობს. საერთო ჯამში, ევროზონა ალბათ არ არის ოპტიმალური სავალუტო ზონა. ამის მიუხედავად, EMU-ს შეუძლია, დააჩქაროს ევროზონის ეკონომიკური ინტეგრაცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თითოეული ქვეყნის სავალუტო კავშირში დარჩენის სარგებელს და შეამცირებს ხარჯებს.

## ახალი ამბებიდან

### გაერთიანებული სამეფო და ევროპა

*2014 წლის საარჩევნო კამპანიის დროს, კონსერვატიული პარტიის ლიდერმა დეივიდ კემერონმა პირობა დადო, რომ შეუდგებოდა ხელახალ მოლაპარაკებებს გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირის წევრობის შესახებ და ამომრჩევლებს ჩაუტარებდა რეფერენდუმს საკითხზე: „გაერთიანებული სამეფო უნდა დარჩეს ევროკავშირში თუ უნდა დატოვოს ის“.*

### ბრექსიტი

ევროკავშირი შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ოჯახი“, მაგრამ ოჯახებშიც არსებობს უთანხმოება და ზოგჯერ მჭიდროდ შეკრული ოჯახებიც კი იშლებიან. გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრი დეივიდ კემერონი თავისი პარტიის დიდი ნაწილის მხრიდან წინააღმდეგობას შეხვდა გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირის წევრობის პირობებთან დაკავშირებით. გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში ყოფნის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების დაპირებით კემერონმა დაიწყო გაურკვევლობისა და ევროკავშირის პარტნიორებთან მკაცრი მოლაპარაკებების პერიოდი. 2016 წლის ივნისში ჩატარებულმა არჩევნებმა უზრუნველყო ბევრისთვის მოულოდნელი შედეგი დააფიქსირა: გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირის დატოვებას მისცა ხმა.

არჩევნებამდე პერიოდი გაურკვეველი იყო გაერთიანებული სამეფოსა და მთლიანად ევროპისთვის. 2016 წლის დასაწყისში ინგლისის ბანკის მმართველი მარკ კარნი გამოდიოდა სპეციალური სახაზინო კომიტეტის წინაშე და მიუთითებდა ევროკავშირის დატოვების შესახებ ხმის მიცემის პოტენციურ საფრთხეებზე. ბაზრებმა და ბიზნესმა კარგად იცოდნენ რეფერენდუმის გეგმები და, როგორც ნებისმიერი გაურკვევლობის შემთხვევაში, კეთდებოდა გათვლები პოტენციურ რისკებთან დაკავშირებით.

კარნიმ აღნიშნა, რომ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც მთავრობას უნდა გაეთვალისწინებინა, იყო ვაჭრობის დეფიციტი, რომელიც 2016 წლის დასაწყისში მსკ-ს 3.7 პროცენტს შეადგენდა; ეს შედარებით მაღალ მაჩვენებლად ითვლება. ვაჭრობის დეფიციტი დაფინანსებას საჭიროებს და იგი ეყრდნობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც მზად არიან, შეიძინონ გაერთიანებული სამეფოს აქტივები. თუ გაერთიანებული სამეფო დატოვებდა ევროკავშირს, მაშინ უფრო რთული იქნება ამგვარი დაფინანსების წახალისება. კარნიმ

განაცხადა: „გლობალური გარემო ბევრად უფრო არამდგრადი გახდა და უცხო ადამიანების ქველმოქმედებაზე იმედის დამყარება ასეთ გარემოში ოპტიმალური არ არის. იმისათვის, რომ საჭირო დაფინანსება მოვიზიდოთ, ინვესტიციის მოგებიანობა უფრო მაღალი უნდა იყოს. - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაერთიანებულ სამეფოში სარგებლის განაკვეთები უნდა გაიზარდოს.“  
- აღნიშნა მან.

ლონდონის ეკონომიკის სკოლის (LSE) ეკონომიკური საქმიანობის ცენტრის (CEP) მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული საცნობარო დოკუმენტი (<http://cep.lse.ac.uk/pubs/download/EA022.pdf>) პროგნოზირებდა, რომ თუ გაერთიანებული სამეფო დატოვებდა ევროკავშირს, ევროკავშირთან ვაჭრობა სავარაუდოდ შემცირდებოდა, რადგან ვაჭრობის ხარჯები მოიმატებდა.

დოკუმენტის ავტორთა შეფასებით, თუ ოპტიმისტურ სცენარს განვიხილავდით, ბრექსიტი გაერთიანებულ სამეფოს მსკ-ს 1 პროცენტზე მეტი დაუჯდებოდა, ხოლო უფრო პესიმისტური სცენარის მიხედვით ეს ხარჯი შეიძლებოდა მსკ-ს 3.1 პროცენტი ანუ 50 მილიარდი ფუნტი სტერლინგი (65,7 მილიარდი ევრო) ყოფილიყო. წერილის მომზადების დროს გაერთიანებული სამეფო ჯერ კიდევ არ მონაწილეობდა ოფიციალურ მოლაპარაკებებში ევროკავშირის დატოვების შესახებ. კენჭისყრის საწყისი შედეგი იყო სტერლინგის შესუსტება უცხოური ვალუტის ბაზრებზე, აქციების კურსის თავდაპირველი დაცემა (მაგრამ შემდეგ აღდგენა), ხოლო 2016 წლის აგვისტოში ინგლისის ბანკმა სარგებლის განაკვეთები 0.25 პროცენტამდე შეამცირა. ევროკავშირის დატოვების შესახებ გაერთიანებული სამეფოს გადაწყვეტილების სრული ეფექტი ჯერ კიდევ არ იგრძნობა. უცნობია იგი დადებითი, როგორც ამას დატოვების მომხრეები აცხადებდნენ, თუ უარყოფითი, როგორც დარჩენის მომხრეები ამტკიცებდნენ.

#### *კითხვები:*

- 1 იმის გათვალისწინებით, რომ გაერთიანებული სამეფო არ არის ევროზონის ნაწილი, გამოიწვევს თუ არა ევროკავშირის დატოვება ნაკლებ პრობლემას?
- 2 გაურკვეველობა ისეთი საკითხის გარშემო, როგორცაა წევრი ქვეყნის მიერ ევროკავშირის დატოვება, რატომ აყენებს პოტენციურ ზიანს ისეთი ქვეყნის ეკონომიკის მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივებს, როგორცაა გაერთიანებული სამეფო?
- 3 რატომ შეიძლება გაუჭირდეს გაერთიანებულ სამეფოს იმპორტირებადი სახსრების მოზიდვა ევროკავშირის გარეთ ვაჭრობის დეფიციტის დასაფინანსებლად?
- 4 რატომ გაიზარდება „ვაჭრობის ხარჯები“ გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროკავშირის დატოვებით?
- 5 როგორ ფიქრობთ, რამდენად დაჩრდილულია ბრექსიტის ეკონომიკური არგუმენტები პოლიტიკური არგუმენტებით?



*ბრექსიტი - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკისა და ევროპისათვის*

## **შეჯამება**

- წ საერთო სავალუტო ზონა (ასევე ცნობილია, როგორც სავალუტო კავშირი ანუ მონეტარული კავშირი) არის გეოგრაფიული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მიმოქცევაშია ერთი ვალუტა, რომელიც მიღებულია როგორც გაცვლის საშუალება.
- წ საერთო სავალუტო ზონის ჩამოყალიბებამ შეიძლება მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს სავალუტო კავშირის წევრებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის უკვე არსებობს საერთაშორისო ვაჭრობის მაღალი ხარისხი (ანუ ვაჭრობის ინტეგრაციის მაღალი დონე). ეს, პირველ რიგში, გამოწვეულია ვაჭრობაში გარიგების ხარჯებისა და სავალუტო კურსის არამდგრადობის შემცირებით.
- წ არსებობს სავალუტო კავშირში გაწევრიანების დანაკარგები - დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკისა და გაცვლითი კურსის, როგორც მაკროეკონომიკური კორექტირების საშუალების დაკარგვის სახით. გრძელვადიანი ვერტიკალური მიწოდების მრუდის გათვალისწინებით, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობის დაკარგვა და გაცვლითი კურსის კორექტირების გართულება ძირითადად გავლენას ახდენს მოკლევადიან მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე.
- წ აღნიშნული კორექტირების ხარჯები მით უფრო დაბალი იქნება, რაც უფრო მეტია რეალური ხელფასის განაკვეთების ცვალებადობის ხარისხი, სამუშაო ძალის მობილურობა და კაპიტალის ბაზრის ინტეგრაცია მთლიან სავალუტო კავშირში; ასევე სავალუტო კავშირში რაც უფრო ნაკლები წევრები განიცდიან ასიმეტრიული მოთხოვნის შოკს.
- წ ქვეყნების ჯგუფს, რომელთაც აქვთ ვაჭრობის ინტეგრაციის, სამუშაო ძალის მაღალი მობილურობის და რეალური ხელფასების განაკვეთების ცვალებადობის მაღალი ხარისხი, კაპიტალის ბაზრის ინტეგრაციის მაღალი დონე და არ განიცდის ასიმეტრიულ მოთხოვნის შოკებს ჯგუფის სხვადასხვა წევრების მიხედვით, ეწოდება ოპტიმალური სავალუტო ზონა. ოპტიმალური სავალუტო ზონა სავარაუდოდ ყველაზე მეტ სარგებელს სავალუტო კავშირისგან მიიღებს.
- წ შესაძლებელია, რომ სავალუტო კავშირის შექმნის შემდეგ ქვეყნების ჯგუფი გახდეს

ოპტიმალური სავალუტო ზონა, რადგან საერთო ვალუტის არსებობას შეუძლია გააძლიეროს სავაჭრო ინტეგრაცია, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს წევრების ეკონომიკური ციკლების სინქრონიზაციას. ერთიანი ვალუტის არსებობა ასევე ხელს შეუწყობს სამუშაო ძალის მობილობის გაზრდას და კაპიტალის ბაზრის ინტეგრაციას.

წ მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ევროზონა მთლიანობაში ავლენს ვაჭრობის ინტეგრაციის მაღალ ხარისხს და მას ნაკლებად აწუხებს ასიმეტრიული მოთხოვნის შოკები, რეალური ხელფასის განაკვეთების ცვალებადობა და სამუშაო ძალის მობილურობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დაბალია. ევროს შემოღებამ, თუმცა გამოიწვია ევროზონის ფინანსური ბაზრის ინტეგრაციის ხარისხის ამაღლება საბითუმო დონეზე, საცალო ფინანსური ბაზრები ეროვნულ დონეზე ჯერ კიდევ სეგრეგირებული რჩება.

წ მთლიანობაში ევროზონა, ამჟამად არ არის ოპტიმალური სავალუტო ზონა, თუმცა საბოლოოდ იგი შეიძლება ასეთი გახდეს.

წ რეგულირების პრობლემები ისეთი სავალუტო კავშირის ფარგლებში, რომელიც ოპტიმალური სავალუტო ზონა არ არის, შეიძლება შეამსუბუქოს ფისკალურმა ფედერალიზმმა - საერთო ფისკალურმა ბიუჯეტმა და გადასახადების სისტემამ და ფისკალურმა გადარიცხვებმა წევრ ქვეყნებში. თუმცა, პრაქტიკაში ფისკალური ფედერალიზმის განხორციელება პოლიტიკური მიზეზების გამო შეიძლება რთული აღმოჩნდეს.

წ სავალუტო კავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული ფისკალური პოლიტიკა შეიძლება უბილეთო მგზავრის პრობლემის წინაშე დადგეს, რომლის დროსაც ერთი ქვეყანა იღებს სახელმწიფო სესხების დიდ ოდენობას და იხდის მასზე დაბალ სარგებელს. ვიდრე სხვა შემთხვევაში გადაიხდიდა, თუმცა, ამავე დროს, იგი აიძულებს სხვა წევრ ქვეყნებს გადაიხადონ უფრო მაღალი სარგებლის განაკვეთები. სწორედ ამ მიზეზის გამო, სავალუტო კავშირმა თავისი წევრების ეროვნული ფისკალური პოლიტიკის წესების დადგენა შეიძლება მოინდომოს.

## კითხვები განხილვისთვის

- 1 რა არის სავალუტო კავშირის შექმნის მთავარი უპირატესობები? რა არის მისი მთავარი უარყოფითი მხარეები?
- 2 გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი ხასიათისაა თქვენს მიერ პირველ კითხვაზე გაცემულ პასუხში ჩამოთვლილი უპირატესობები და უარყოფითი მხარეები?
- 3 შესაძლებელია თუ არა ქვეყნებში ფასების დისკრიმინაციის შემცირება სავალუტო კავშირის შექმნის მნიშვნელოვანი სარგებელი იყოს? განმარტეთ.
- 4 რა არის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ამცირებენ საერთო ვალუტის ხარჯებს?
- 5 როგორ იმოქმედებს თავად ქვეყანაზე და სავალუტო კავშირის სხვა წევრებზე იმ ქვეყნის ასიმეტრიული მიწოდების დარღვევა, რომელიც სავალუტო კავშირის წევრი იყო?
- 6 რა არის ოპტიმალური სავალუტო ზონა? ჩამოთვალეთ კრიტერიუმები, რომლებიც

ოპტიმალურმა სავალუტო ზონამ უნდა დააკმაყოფილოს.

7 არის თუ არა EMU ოპტიმალური სავალუტო ზონა?

8 რა არის ფისკალური ფედერალიზმი? როგორ შეიძლება სავალუტო კავშირში მაკროეკონომიკური კორექტირების პრობლემები შემსუბუქდეს ფისკალური ფედერალიზმით?

9 რატომ შეიძლება სურდეთ სავალუტო კავშირის წევრებს ეროვნული ფისკალური პოლიტიკის გატარების წესების დადგენა?

10 რა არის ფისკალური პაქტის ძირითადი მახასიათებლები?

## პრობლემები და სავარჯიშოები

1 განვიხილოთ ორი ქვეყანა, რომლებიც ერთმანეთთან ინტენსიურად ვაჭრობენ - კორნსილვანია და ტექოლენდი. კორნსილვანიის ეროვნული ვალუტა არის კობი, ხოლო ტექოლენდის ეროვნული ვალუტაა ბაიტი. კორნსილვანიის გამოშვება - ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქციაა, ხოლო ტექოლენდის გამოშვება - ძირითადად მაღალტექნოლოგიური ელექტრო საქონელია. დავუშვათ, რომ ორივე ქვეყნის ეკონომიკა გრძელვადიან მაკროეკონომიკურ წონასწორობაშია.

ა. გამოიყენეთ დიაგრამები თითოეული ეკონომიკის მდგომარეობის საილუსტრაციოდ. დარწმუნდით, რომ აჩვენეთ AD, SRAS და LRAS.

ბ. ახლა დავუშვათ, რომ ორივე ქვეყანაში გაიზარდა მოთხოვნა ელექტრო საქონელზე და ამავდროულად შემცირდა მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე. გამოიყენეთ თქვენი დიაგრამები იმის საჩვენებლად, თუ რა ხდება წარმოებაში და ფასების დონეში მოკლევადიან პერსპექტივაში თითოეულ ქვეყანაში. რა ბედი ეწევა უმუშევრობის დონეს თითოეულ ქვეყანაში?

გ. თქვენი დიაგრამების გამოყენებით აჩვენეთ, თუ როგორ შეეძლო თითოეულ ქვეყანას მონეტარული პოლიტიკის გამოყენება გამოშვების მოკლევადიანი რყევების შესამცირებლად.

დ. თქვენი დიაგრამების გამოყენებით აჩვენეთ, თუ როგორ შეიძლება შეამციროს კობი-ბაიტის გაცვლითი კურსის მოძრაობებმა გამოშვების მოკლევადიანი რყევები თითოეულ ქვეყანაში.

2 დავუშვათ, რომ ტექოლენდი და კორნსილვანია ქმნიან სავალუტო კავშირს და მიიღებენ ელექტროქროტს, როგორც საერთო ვალუტას. ახლა კვლავ დავუშვათ, რომ ორივე ქვეყანაში გაიზარდა მოთხოვნა ელექტრო საქონელზე და ამავდროულად შემცირდა მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე. როგორც სავალუტო კავშირის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, გაზრდით, შეამცირებთ ელექტროქროტის სარგებლის განაკვეთს, თუ იგივეს დატოვებთ? განმარტეთ. (მინიშნება: თქვენ ხართ პასუხისმგებელი ელექტროქროტის ზონაში დაბალი და სტაბილური ინფლაციის შენარჩუნებაზე).

3 დავუშვათ, რომ ტექოლენდი და კორნსილვანია გადაწყვიტენ, ჩაერთონ ფისკალურ ფედერალიზმში და საერთო ფისკალური ბიუჯეტი მიიღონ.

ა. აჩვენეთ, კვლავ AD/AS მოდელის გამოყენებით, თუ როგორ შეიძლება ფისკალური

პოლიტიკის გამოყენება ასიმეტრიული მოთხოვნის შოკის შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი რყევების შესამსუბუქებლად.

ბ. ფისკალური პოლიტიკის განხორციელების ტიპური ჩამორჩენის გათვალისწინებით, უწევთ რეკომენდაციას ფედერალური ფისკალური პოლიტიკის გამოყენებას მოკლევადიანი მაკროეკონომიკური მერყეობების შესამსუბუქებლად? (მინიშნება: განასხვავეთ ავტომატური სტაბილიზატორები და დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა.)

- 4 შეერთებული შტატები შეიძლება არატრივიალურ სავალუტო კავშირად მივიჩნიოთ, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ქვეყანაა, ის მოიცავს ბევრ შტატს, რომელთაც აქვთ ზომით ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკის შესადარი ეკონომიკა. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს 200 წელია, რაც ერთიანი ვალუტა აქვს, იგი შეიძლება წარმატებულ სავალუტო კავშირად ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, ამერიკის მრავალი შტატი ძალიან განსხვავებულ პროდუქციას და მომსახურებებს აწარმოებს ასე რომ მათზე დროთა განმავლობაში შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვადასხვა სახის მაკროეკონომიკურმა შოკებმა (ექსპანსიურმა და რეცესიულმა). მაგალითად, ტეხასი აწარმოებს ნავთობს, ხოლო კანზასი - სასოფლო-სამეურნეო საქონელს. როგორ ხსნით აშშ-ს სავალუტო კავშირის გრძელვადიან წარმატებას ამ მრავალფეროვნების გათვალისწინებით? არსებობს რაიმე გაკვეთილი ან პროგნოზი ევროპისთვის, რაც შეიძლება აშშ-ს გამოცდილებიდან გამომდინარე იქნას გათვალისწინებული?
- 5 ახსენით, მიზეზების მითითებით, თუ რატომ არის მართებული ან მცდარი შემდეგი განცხადებები:
  - ა. „ვაჭრობის მაღალი ხარისხი ქვეყნების ჯგუფს შორის ნიშნავს, რომ მათთვის სასარგებლო იქნება საერთო ვალუტის მიღება და სავალუტო კავშირის შექმნა“.
  - ბ. „ვაჭრობის მაღალი ხარისხი ქვეყნების ჯგუფს შორის ნიშნავს, რომ მათ აუცილებლად უნდა მიიღონ საერთო ვალუტა და სავალუტო კავშირი შექმნან“.
- 6 როგორ ფიქრობთ, უბილეთო მგზავრის პრობლემა, რომელიც სავალუტო კავშირში ეროვნულ ფისკალურ პოლიტიკასთან ასოცირდება, როგორც ტექსტში განვიხილეთ, სავარაუდოდ პრობლემა იქნება პრაქტიკაში? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
- 7 რა არის ევროკომისიის ფუნქცია? რა არის ევროკავშირის დანარჩენი ხუთი მთავარი ინსტიტუტი და რა არის მათი შესაბამისი როლები? რა არის ევროკავშირის სხვა მნიშვნელოვანი ორგანოები და რომელია მათი შესაბამისი როლები? (მინიშნება: ეწვიეთ ევროკავშირის ვებ – გვერდს: [www.europa.eu.int](http://www.europa.eu.int))
- 8 თუ ესპანეთის სახელმწიფო სესხის სარგებლის განაკვეთი იზრდება, ხოლო გერმანიისა იკლებს:
  - ა. რას გეუბნებათ ეს ამ ორი ქვეყნის ბაზრების ხედვის შესახებ?
  - ბ. თუ სარგებლის განაკვეთი იზრდება, რა ხდება ამ ორი ქვეყნისთვის ობლიგაციების ფასთან დაკავშირებით? განმარტეთ.
- 9 იმისათვის, რომ საერთო სავალუტო ზონამ ეფექტიანად იმუშაოს, ამტკიცებენ, რომ გაწევრიანებისთანავე ქვეყნები ეკონომიკური ციკლის ანალოგიურ ეტაპებზე უნდა იყვნენ. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ეს აუცილებელი?



**10** ფისკალური პაკტი კარგი იქნება თუ ევროზონის ყველა ქვეყანა ეკონომიკური ციკლის ანალოგიურ ეტაპებზე იმყოფება და მისი შექმნის მიზანია ფინანსური თავაშვებულობის შეკავება მომავალში. როგორც ევროპაში დავალიანების კრიზისის მოგვარების საშუალება, იგი წარუმატებლობისათვის განწირულია. რამდენად ეთანხმებით ამ განცხადებას?